სახელმძღვანელო წინადადებები

სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე

განკუთვნილია საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA

სახელმძღვანელო წინადადებები

სისხლის სამართლის საქმეზე
განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა
და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე

განკუთვნილია საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის

2015

წინანდებარე სახელმძღვანელო წინადადებები გამოცემულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით:

— ევროპის საბჭოს პროექტი "მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის გაძლიერება საქართველოში", რომელიც დაფინანსებულია დანიის სამეფოს მიერ საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით;

— ევროპის კავშირის პროექტი "სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში";

— აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის სამართლებრივი მრჩევლის პროგრამა, რომელიც დაფინანსებულია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს (INL) მიერ

წინამდებარე ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და აუცილებლად არ გამოხატავს ევროპის საბჭოს, ევროპის კავშირისა და აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ოფიციალურ პოზიციასა და პოლიტიკას.

პროექტს აფინანსებს
ევროკავშირი

პროექტს ახორციელებს
Hulla & Co. Human Dynamics KG

სარჩევი

წინასიტყვაობა 6

ბრძანება 8

განაჩენის ფორმები 11

ფორმა №1. გამამართლებელი განაჩენი – I ინსტანცია 12
ფორმა №2. გამამტყუნებელი განაჩენი – I ინსტანცია 14
ფორმა №3. ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი - I ინსტანცია 16
ფორმა №4. საპროცესო შეთანხმება – I ინსტანცია 18
ფორმა №5. გამამტყუნებელი განაჩენი და საპროცესო შეთანხმება – I ინსტანცია 20
ფორმა №6. განაჩენი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის – I ინსტანცია 22
ფორმა №7. გამამართლებელი/გამამტყუნებელი განაჩენი – აპელაცია 24
ფორმა №8. საპროცესო შეთანხმება – აპელაცია 26
ფორმა №9. გამამტყუნებელი განაჩენი და საპროცესო შეთანხმება – აპელაცია 28
ფორმა №10. გამამართლებელი/გამამატყუნებელი განაჩენი – კასაცია 30
ფორმა №11. საპროცესო შეთანხმება – კასაცია 32
ფორმა №12. გამამტყუნებელი განაჩენი და საპროცესო შეთანხმება – კასაცია 34
ნიმუში №1. სსკ-ის 177-ე მუხლი 36
ნიმუში №2. სსკ-ის 239-ე მუხლი 38
ნიმუში №3. სსკ-ის 273-ე მუხლი 39

განაჩენის დასაბუთება 40

სახელმძღვანელო წინადადებები 41

1. ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები განაჩენის დასაბუთების თაობაზე 41

2. მტკიცებულებისა და მტკიცების წესები 42

მტკიცებულების რელევანტურობა (საქმესთან შემხებლობა) 42
მტკიცებულების უტყუარობა 43
დაუშვებელი მტკიცებულება (ზოგიერთი საკითხი) 45
ზეპირი მტკიცებულების გამოყენების წესი 45
დოკუმენტური მტკიცებულების გამოყენების წესი 46
ნივთიერი მტკიცებულების გამოყენების წესი 46
აღიარება, როგორც მტკიცებულება და მისი გამოყენების წესი 46
ნაწილობრივ აღიარება, როგორც მტკიცებულება და მისი გამოყენების წესი 47
დუმილის უფლება 47
პირდაპირი მტკიცებულების გამოყენების წესი 47
ერთნაირი ან სხვადასხვა სახის ორი ან მეტი მსგავსი ინფორმაციის შემცველი
მტკიცებულების გამოყენების წესი 47
მტკიცებულების "კატეგორიულობა" 48
მტკიცებულების "წონა"/მნიშვნელობა 48
მტკიცებულების დაპირისპირება 48
მოტივი, რომლის მიხედვით სასამართლომ უარყო ერთი მტკიცებულება
და მიიღო სხვა, მისი საპირისპირო მტკიცებულება 49
მოწმის ჩვენების შეფასების სუბიექტური და ობიექტური ასპექტები 50
ალიბის უარყოფა ან დადასტურება განაჩენში 50
მტკიცების ტვირთი 51
გონივრულ ეჭვს მიღმა 51
მტკიცებულებათა ერთობლიობა 52

3. ბრალდება და კვალიფიკაცია 52

წარდგენილი ბრალდების ფარგლები 52
ქმედების სამართლებრივი კვალიფიკაცია 53
გადაკვალიფიცირება 54
ქმედების სპეციალური და ზოგადი ნორმებით დაკვალიფიცირება 55

4. სასჯელი 55
ძირითადი ნაწილი 55
დაუშვებელია შემამსუბუქებელ გარემოებად მიეთითოს 59
დაუშვებელია დამამძიმებელ გარემოებად მიეთითოს 59
სასჯელის დანიშვნის დროს გასათვალისწინებელი ცალკეული შემთხვევები 59
სასჯელის ცალკეული კომპონენტის დასაბუთების
ზოგიერთი პრაქტიკული მაგალითი 61

5. საპროცესო შეთანხმება 63

6. განაჩენის შედგენისას გასათვალისწინებელი ძირითადი წესები 63
წერისათვის მომზადება 63
სქემა 63
მოსამართლის თანაშემწის გამოყენება 64
განაჩენის ორგანიზება და შედგენა 64
სტრუქტურა 64
ციტირება 65
ურთიერთობა ქვემდგომი და ზემდგომი ინსტანციის
სასამართლოების მოსამართლეებს შორის 65
მრავალსიტყვაობა 65
სიზუსტისა და სიცხადის ნაკლებობა 65
გაუგებარი ანალიზი 66
პომპეზურობა და იუმორი 66
მოერიდეთ არასაჭირო სიტყვებს 66
წერეთ მოკლედ და პირდაპირ 66
გამოიყენეთ სასაუბრო ქართული 66
ყურადღებით მოეკიდეთ რედაქტირებას 67
წაიკითხეთ ხელახლა და შეასწორეთ 67
გადადეთ პროექტი და დაუბრუნდით მას დასვენებული გონებით 67
პროექტის წაკითხვა სთხოვეთ სხვას 67

განსხვავებული აზრი 67

განაჩენის ტექსტის სტილისტიკური გამართულობა 68

სახელმძღვანელო წინადადებები 69

I სასვენი ნიშნების გამოყენება, უფრო სწორედ — გამოუყენებლობა 69
II არ შეიძლება სიტყვების "ბოროტად გამოყენება" 70
III დონე უნდა ავიმაღლოთ თუ უნდა გავიღრმაოთ? 71
IV ცივილიზებული თუ ცივილური? 72
V აფიქსირებს თუ აღნიშნავს, თქვა, განაცხადა? 72
VI ე.წ. "რუსული კალკები" 72
VII პირი თუ პიროვნება 73
VIII სამუშაოდ განაწესეს, გააგზავნეს თუ გაანაწილეს? 73
IX სესხების აუცილებლობის საკითხი 74
X ლექსიკა-ფრაზეოლოგიური შეცდომები და რეკომენდაციები
მათ გასასწორებლად 76

XI მორფოლოგიური და სტილისტიკური შეცდომები და მათი
მართებული ფორმები 77

ნაშრომები 80

ზოგიერთი მოსაზრება ახალი სისხლის სამართლის საპროცესო
კოდექსის მიხედვით, მტკიცებულებებისა და მტკიცების შესახებ 81

განაჩენის დასაბუთების პრობლემური საკითხები 91

მოტივი, რომლის მიხედვით სასამართლომ უარყო ერთი მტკიცებულება
და მიიღო სხვა, მისი საპირისპირო მტკიცებულება 111

ალიბის დადასტურება და უარყოფა განაჩენში 122

საქართველოში სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი
განაჩენების მტკიცების მტკიცებულებითი სტანდარტი 133

ზოგიერთი მოსაზრება განაჩენის დასაბუთების
მატერიალურ-სამართლებრივ საკითხებზე 147

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის
ცალკეული ნორმების განმარტებები 156

გადაწყვეტილებათა დასაბუთება 165

სახელმწიფო ხელისუფლებათა განაწილების მიხედვით
ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემები 172

რეკომენდაციები სასამართლოს მიერ სასჯელის
შეფარდებისას გასათვალისწინებელ გარემოებათა შესახებ 177

სასჯელის დასაბუთება (სასჯელის დასაბუთებისას
გასათვალისწინებელი გარემოებები) 185

სასჯელის დასაბუთება 210

არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის გამოყენებისას
გასათვალისწინებელი ზოგიერთი საერთაშორისო სტანდარტის შესახებ 228

საპროცესო შეთანხმების დასაბუთებულობის პრობლემა
(საერთაშორისო გამოცდილება და სტანდარტები) 231

რეკომენდაციები სასამართლოს გადაწყვეტილების
შედგენისას გასათვალისწინებელი ძირითადი წესების შესახებ 238

სამართლებრივი დოკუმენტების ენობრივი თავისებურებები 249

განაჩენის წერის მეთოდი (TREAC) 285

მითითებისა და აღნიშვნის სტანდარტი სამართალში 293

სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებასთან დაკავშირებული
მნიშვნელოვანი ასპექტები ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს სტანდარტების შესაბამისად 310

წინასიტყვაობა

თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფოების განვითარებისა და წარმატების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი ამ ქვეყნებში არსებული დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემებია. სასამართლო სისტემისა და თითოეული მოსამართლის დამოუკიდებლობის ხარისხის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი კი დასაბუთებული გადაწყვეტილებებია.

სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ხარისხის გაუმჯობესება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა სასამართლო რეფორმის დაწყებისთანავე. რეფორმის განმავლობაში არაერთი ნაბიჯი გადაიდგა ამ მიმართულებით — მოძიებულ იქნა უცხო ქვეყნების შესაბამისი გადაწყვეტილებები, განზოგადდა ჩვენს სისტემაში არსებული პრაქტიკა, თუმცა სასურველი, მაღალი სტანდარტის მისაღწევად აუცილებელი გახდა საკითხის სისტემური დამუშავება და ყველა რესურსის გამოყენებით შესაბამისი სახელმძღვანელო წინადადებების (რეკომენდაციების) მომზადება, რაც გაცილებით ეფექტურად შეუწყობდა ხელს გადაწყვეტილებათა დასაბუთების ხარისხის გაუმჯობესებას.

სწორედ ამ მიზნით საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2014 წლის 24 იანვარს შეიქმნა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის სახელმძღვანელო წინადადებების განმსაზღვრელი კომისია.

კომისიის შემადგენლობაში გაერთიანდნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოქმედი და ყოფილი მოსამართლეები, სააპელაციო და პირველი ინსტანციის სასამართლოთა მოსამართლეები, უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანამშრომლები, სამეცნიერო წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლები და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოწვეული სპეციალისტები.

კომისიის ფარგლებში გაიმართა შვიდი სხდომა და სამუშაო ჯგუფების შეხვედრები, რის შედეგადაც მომზადდა შესაბამისი წინადადებები განაჩენის ფორმის, დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე. თითოეული ეს დოკუმენტი განხილულ იქნა კომისიის შეხვედრებზე, რამაც ქართველი და საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე კიდევ უფრო პრაქტიკული ხასიათი შეიძინა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გახდა. სახელმძღვანელო წინადადებების (რეკომენდაციების) შედგენისას გაზიარებულ და გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო გამოცდილება, განაჩენის დასაბუთების როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოში არსებული დადებითი და უარყოფითი მაგალითები, შიდა კანონმდებლობის მოთხოვნები. გარდა ამისა, წინადადებებში აისახა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები განაჩენის დასაბუთების საკითხებზე.

მიუხედავად იმისა, რომ კომისიის ფუნქციაში არ შედიოდა იურიდიულ ტექსტში მითითებებისა და აღნიშვნების სტანდარტის ჩამოყალიბება, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე კომისიამ ამ მიმართულებითაც მოიძია საუკეთესო მოდელი, რომელიც დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის მიერაა დამუშავებული და რომელიც შესულია წინამდებარე სახელმძღვანელოში.

საერთო ჯამში კომისიის მიერ წარმართული საქმიანობა ძალიან მასშტაბური იყო და სახელმძღვანელო წინადადებებმა (რეკომენდაციებმა) მოიცვა თითქმის ყველა მიმართულება, რაც უკავშირდება სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის დასაბუთებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასამართლო ხელისუფლების სახელით დიდი მადლობა მინდა ვუთხრა კომისიის თითოეულ წევრსა და მოწვეულ ადგილობრივ თუ საერთაშორისო ექსპერტებს, მეცნიერებს, იურისტებს, რომელთა გამოცდილება და ინტელექტუალური რესურსი კომისიის მუშაობის საფუძველი გახდა. გარდა ამისა, შეხვედრების მაღალ დონეზე ორგანიზებისა და ფინანსური მხარდაჭერისათვის განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნით საერთაშორისო ორგანიზაციებს — აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტს, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს წარმომადგენლობებს საქართველოში და საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანულ ფონდს, რომლებიც ყოველთვის უჭერენ მხარს საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას.

ვფიქრობ, კომისიის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო წინადადებები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს დასაბუთებული განაჩენის შედგენისას. მათთვის იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გაიმართება სპეციალური ტრენინგები ამ წინადადებების შესახებ. ბუნებრივია, კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები სავალდებულო არ არის, მაგრამ ვიმედოვნებ ყველა მოსამართლე გააცნობიერებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი გათვალისწინება, რათა სასამართლოს ყოველი განაჩენი იყოს კარგად დასაბუთებული, ყველასათვის გასაგები და სამართლიანი.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე,
კომისიის თავმჯდომარე

სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის დასაბუთებულობის გაუმჯობესებისა და ფორმის უნიფიცირების თაობაზე საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის სახელმძღვანელო წინადადებების შემუშავების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის სახელმძღვანელო წინადადებების განმსაზღვრელი კომისია (**შემდგომში კომისია**) შემდეგი შემადგენლობით:

კონსტანტინე კუბლაშვილი	—	საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე – **კომისიის თავმჯდომარე**;
ზაზა მეიშვილი	—	საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარე – **კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;**
პაატა სილაგაძე	—	საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი;
გიორგი შავლიაშვილი	—	საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი;
ლევან თევზაძე	—	თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე;
გერმანე დადეშქელიანი	—	თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე;
გიორგი არევაძე	—	თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე;
ვაჟა (მორის) ფუხაშვილი	—	მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე;
გოჩა მამულაშვილი	—	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;
თინათინ ქოქრაშვილი	—	საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სპეციალისტ-რედაქტორი;

ალექსანდრე წულაძე — საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო სტატისტიკისა და ანალიზის განყოფილების უფროსის მოადგილე

სოფიო წაქაძე — საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო სტატისტიკისა და ანალიზის განყოფილების მთავარი კონსულტანტი;

ალექსანდრე იაშვილი — საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის თანაშემწე;

გადრი ნიპარიშვილი — საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსი – **კომისიის მდივანი**.

2. კომისიის საქმიანობაში მონაწილეობა ეთხოვოთ:

მზია ლეკვეიშვილს — თსუ პროფესორ-ემერიტუსს;

გურამ ნაჭყებიას — თსუ პროფესორ-ემერიტუსს;

დავით სულაქველიძეს — თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილ წევრს;

იური ტყეშელაშვილს — კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილ წევრს;

მანანა ტაბიძეს — იუსტიციის უმაღლესი სკოლის ლექტორს;

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის (DOJ) წარმომადგენელს;

ევროკავშირის (EU) წარმომადგენელს;

საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) წარმომადგენელს;

ევროპის საბჭოს (COE) წარმომადგენელს.

3. საერთო სასამართლოების სისტემაში არსებული სისხლის სამართლის პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების, აგრეთვე უცხო ქვეყნების განაჩენებისა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გაანალიზების შედეგად, კომისიამ საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის 2015 წლის 1 მარტამდე შეიმუშაოს სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე.

კონსტანტინე კუბლაშვილი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კომისიის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის მადლობას ვუხდით:

სტივენ ნეფს — აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის იურიდიულ მრჩეველს;

ნატა წნორიაშვილს — აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის იურისტს;

ზაქარია ბოლიტოს — აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ექსპერტს, კემპბელის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორს;

მოსამართლე რენატე ვინტერს — ევროკავშირის პროექტის "სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში" ხელმძღვანელს;

მაია ჩოჩუას — ევროკავშირის პროექტის "სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში" ხელმძღვანელის მოადგილეს;

კევინ ჰიუს — ევროკავშირის პროექტის "სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში" ექსპერტს;

სულხან გამყრელიძეს — საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის პროექტის კოორდინატორს საქართველოში;

ეკატერინე ლორთქიფანიძეს — ევროპის საბჭოს პროექტის – „მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის გაძლიერება საქართველოში" – ოფიცერს;

თეა მაჩაიძეს — ევროპის საბჭოს პროექტის – „მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის გაძლიერება საქართველოში" – ოფიცერს;

მარიანა კიკუს — პროექტის მენეჯერს, მართლმსაჯულების ინსტიტუციური გაძლიერების განყოფილება, ადამიანის უფლებათა დირექტორატი, ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატი;

ანა-მარია ტელბისს — ევროპის საბჭოს პროექტის – „მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის გაძლიერება საქართველოში" ექსპერტს.

კომისიის მუშაობის ერთ-ერთი მიმართულება იყო განაჩენის ფორმის შექმნა, ვინაიდან განაჩენის სტრუქტურაზე ბევრადაა დამოკიდებული მისი დასაბუთების ეფექტიანობა და ხარისხი. ფორმის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, თუმცა იმ მიზნის მისაღწევად, რომ აღნიშნულ ფორმებს, გარდა ფორმალური მხარისა, უნდა დაეკმაყოფილებინა დასაბუთებული განაჩენის დაწერის კრიტერიუმი, გაზიარებულ იქნა როგორც საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელების, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეთა მიერ სატესტო ფორმით აპრობირებული მეთოდი, აგრეთვე საერთაშორისო გამოცდილება.

ფორმის შემუშავებისას კომისიამ თავი შეიკავა გარკვეული ფრაზებისა და სტანდარტული ტექსტების შემუშავებისა და შემდგომში ამ ფორმაში ჩასმისაგან, რაც რეალურად ინდივიდუალურობას დაუკარგავდა განაჩენს და საზოგადოების თვალში კოპირების შთაბეჭდილებას შექმნიდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიქმნა განაჩენის, ერთი შეხედვით, მარტივი, თუმცა მეტად სტრუქტურიზებული, დასაბუთების კრიტერიუმებს მორგებული ფორმა, რომელიც დაიყო დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების/ელემენტების მიხედულებით. ამგვარი ფორმების მეშვეობით განაჩენის შედგენა, ერთი მხრივ, მარტივ აღსაქმელს გახდის მის ყველა ნაწილს, ხოლო, მეორე მხრივ, მოსამართლეს გაუადვილებს განაჩენის დასაბუთების პროცესს. ფორმის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მოსამართლეს აძლევს საშუალებას მტკიცებულებები გააანალიზოს ცალ-ცალკე, დანაშაულის შემადგენლობის ცალკეული ნიშნების/ელემენტების შესაბამისად. აღნიშნული ფორმა ასევე იქნება სარკე იმისა, რამდენად საკმარისადაა დასაბუთებული და, ზოგადად, რამდენად საკმარისია/არასაკმარისია მტკიცებულებები პირის მიმართ გამამართლებელი/გამამატყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

განაჩენის შემოთავაზებულ ფორმაში ცალკეა გამოყოფილი სამართლებრივი შეფასების ველი, რომელშიც ძირითადი შეფასება, ძირითადი სამართლებრივი დასკვნა უნდა დაიწეროს და ასევე შესაძლებელია მსჯელობა გაიშალოს გარკვეულ სამართლებრივ საკითხებზე, საერთაშორისო თუ ადგილობრივ პრაქტიკაზე, ასევე განიმარტოს ნორმები.

აღნიშნულ ფორმაში აგრეთვე ცალკეა გამოყოფილი სასჯელის დასაბუთების კომპონენტი, რაც კიდევ უფრო მეტად გამოკვეთს ამ საკითხის დასაბუთების აუცილებლობას.
დაბოლოს, ქვემოთ მოყვანილია განაჩენის სხვადასხვა ფორმები და რამდენიმე მაგალითი შემოთავაზებული სტრუქტურით განაჩენის შედგენისათვის. აღნიშნული ფორმების ყველა დანაშაულზე მორგება იმდენად დიდი მოცულობის რესურსებს მოითხოვდა, რომ მას ცალკე სახელმძღვანელო დასჭირდებოდა, რის გამოც, სხვა დანაშაულებთან მიმართებით, მოსამართლეებმა, შემოთავაზებული პრინციპიდან და დანაშაულთა ინდივიდუალურობიდან გამომდინარე, თავად უნდა განსაზღვრონ ამ ელემენტების რაოდენობა.

ძირითადი ფორმების ჩამონათვალი:

ფორმა №1. გამამართლებელი განაჩენი – I ინსტანცია
ფორმა №2. გამამტყუნებელი განაჩენი – I ინსტანცია
ფორმა №3. ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი - I ინსტანცია
ფორმა №4. საპროცესო შეთანხმება – I ინსტანცია
ფორმა №5. გამამტყუნებელი განაჩენი და საპროცესო შეთანხმება – I ინსტანცია
ფორმა №6. განაჩენი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის – I ინსტანცია
ფორმა №7. გამამართლებელი/გამამტყუნებელი განაჩენი – აპელაცია
ფორმა №8. საპროცესო შეთანხმება – აპელაცია
ფორმა №9. გამამტყუნებელი განაჩენი და საპროცესო შეთანხმება – აპელაცია
ფორმა №10. გამამართლებელი/გამამატყუნებელი განაჩენი – კასაცია
ფორმა №11. საპროცესო შეთანხმება – კასაცია
ფორმა №12. გამამტყუნებელი განაჩენი და საპროცესო შეთანხმება – კასაცია

განაჩენის ფორმაში „ქმედების სამართლებრივი აღწერის" ველის პრაქტიკული ნიმუშები

ნიმუში №1. სსკ-ის 177-ე მუხლი
ნიმუში №2. სსკ-ის 239-ე მუხლი
ნიმუში №3. სსკ-ის 273-ე მუხლი

ფორმა №1. გამამართლებელი განაჩენი - I ინსტანცია

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

შესავალი ნაწილი

სასამართლოს დასახელება

საქმის № | თარიღი | ადგილი

მოსამართლე

სხდომის მდივანი

სხდომის სახე

ბრალდების მხარე

დაცვის მხარე

ბრალდებული (ვინაობა) ☐ *მონაწილეობის გარეშე*

კვალიფიკაცია (მუხლი, დისპოზიცია)

თარჯიმანი *(არასავალდებულო ველი)*

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

წარდგენილი ბრალდების არსი

სასამართლომ დაადგინა

ქმედების სამართლებრივი აღწერა

საპროცესო ნორმათა დაცულობა *(არასავალდებულო ველი)*

სამართლებრივი შეფასება

ნივთმტკიცების, ყადაღის ან სხვა საკითხების გადაწყვეტა *(არასავალდებულო ველი)*

სარეზოლუციო ნაწილი

მოსამართლე

შენიშვნა:

- ეს ფორმა განკუთვნილია სრულად გამამართლებელი განაჩენისათვის;
- "არასავალდებულო ველი" ნიშნავს, რომ შესაძლოა კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ეს ველი არარელევანტური იყოს.

ფორმა №2. გამამტყუნებელი განაჩენი - I ინსტანცია

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

შესავალი ნაწილი

სასამართლოს დასახელება

საქმის № | თარიღი | ადგილი

მოსამართლე

სხდომის მდივანი

სხდომის სახე

ბრალდების მხარე

დაცვის მხარე

ბრალდებული (ვინაობა) ☐ *მონაწილეობის გარეშე*

კვალიფიკაცია (მუხლი, დისპოზიცია)

თარჯიმანი *(არასავალდებულო ველი)*

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

სასამართლომ დაადგინა

ქმედების სამართლებრივი აღწერა

საპროცესო ნორმათა დაცულობა *(არასავალდებულო ველი)*

სამართლებრივი შეფასება

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები

სასჯელის ან სხვა ღონისძიების გამოყენების დასაბუთება

ნივთმტკიცების, ყადაღის ან სხვა საკითხების გადაწყვეტა *(არასავალდებულო ველი)*

სარეზოლუციო ნაწილი

მოსამართლე

შენიშვნა:

- ეს ფორმა განკუთვნილია სრულად გამამტყუნებელი განაჩენისთვის, აგრეთვე როდესაც ხდება კვალიფიკაციის შეცვლა ან დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ნაწილში გამართლება (მაგ.: ბრალდება წარდგენილია ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, გასაღებისათვის და გასაღება არ იქნა დადასტურებული მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად);
- "არასავალდებულო ველი" ნიშნავს, რომ შესაძლოა კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ეს ველი არარელევანტური იყოს.

ფორმა №3. ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი - I ინსტანცია

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

შესავალი ნაწილი

სასამართლოს დასახელება

საქმის № | თარიღი | ადგილი

მოსამართლე

სხდომის მდივანი

სხდომის სახე

ბრალდების მხარე

დაცვის მხარე

ბრალდებული (ვინაობა) ☐ *მონაწილეობის გარეშე*

კვალიფიკაცია (მუხლი, დისპოზიცია)

თარჯიმანი *(არასავალდებულო ველი)*

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

წარდგენილი ბრალდების არსი

სასამართლომ დაადგინა

ქმედების სამართლებრივი აღწერა

საპროცესო ნორმათა დაცულობა *(არასავალდებულო ველი)*

სამართლებრივი შეფასება

ნივთმტკიცების, ყადაღის ან სხვა საკითხების გადაწყვეტა *(არასავალდებულო ველი)*

სასამართლომ დაადგინა

ქმედების სამართლებრივი აღწერა

საპროცესო ნორმათა დაცულობა *(არასავალდებულო ველი)*

სამართლებრივი შეფასება

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები

სასჯელის ან სხვა ღონისძიების გამოყენების დასაბუთება

ნივთმტკიცების, ყადაღის ან სხვა საკითხების გადაწყვეტა *(არასავალდებულო ველი)*

სარეზოლუციო ნაწილი

მოსამართლე

შენიშვნა:

- აღნიშნული ფორმა განკუთვნილია ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც პირს ბრალად წარდგენილი აქვს ორი ან რამდენიმე მუხლი და ერთ ან რამდენიმე მათგანში მთლიანად გამამართლებელი განაჩენი დგება, ხოლო დანარჩენ ნაწილში გამოდის გამამტყუნებელი განაჩენი;
- ჯერ იწერება გამამართლებელი ნაწილი თავისი ყველა საკითხით, ხოლო შემდეგ გამამტყუნებელი;
- "არასავალდებულო ველი" ნიშნავს, რომ შესაძლოა კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ეს ველი არარელევანტური იყოს.

ფორმა №4. საპროცესო შეთანხმება - I ინსტანცია

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

შესავალი ნაწილი

სასამართლოს დასახელება

საქმის № **თარიღი** **ადგილი**

მოსამართლე

სხდომის მდივანი

სხდომის სახე

ბრალდების მხარე

დაცვის მხარე

ბრალდებული (ვინაობა)

კვალიფიკაცია (მუხლი, დისპოზიცია)

თარჯიმანი *(არასავალდებულო ველი)*

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

საპროცესო შეთანხმების არსი

მტკიცებულებათა ერთობლიობა

საპროცესო ნორმათა დაცულობა

სამართლებრივი შეფასება

ნივთმტკიცების, ყადაღის ან სხვა საკითხების გადაწყვეტა *(არასავალდებულო ველი)*

სარეზოლუციო ნაწილი

მოსამართლე

შენიშვნა:

- ეს ფორმა განკუთვნილია იმ შემთხვევისათვის, როდესაც მხოლოდ საპროცესო შეთანხმება მტკიცდება ან არ კმაყოფილდება შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად;
- "არასავალდებულო ველი" ნიშნავს, რომ შესაძლოა კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ეს ველი არარელევანტური იყოს.

ფორმა №5. გამამტყუნებელი განაჩენი და საპროცესო შეთანხმება ერთობლიობაში - I ინსტანცია

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

შესავალი ნაწილი

სასამართლოს დასახელება

საქმის № | თარიღი | ადგილი

მოსამართლე

სხდომის მდივანი

სხდომის სახე

ბრალდების მხარე

დაცვის მხარე

ბრალდებული (ვინაობა) ☐ *მონაწილეობის გარეშე*

კვალიფიკაცია (მუხლი, დისპოზიცია)

თარჯიმანი *(არასავალდებულო ველი)*

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

სასამართლომ დაადგინა

ქმედების სამართლებრივი აღწერა

საპროცესო ნორმათა დაცულობა *(არასავალდებულო ველი)*

სამართლებრივი შეფასება

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები

სასჯელის ან სხვა ღონისძიების გამოყენების დასაბუთება

საპროცესო შეთანხმების არსი

მტკიცებულებათა ერთობლიობა

საპროცესო ნორმათა დაცულობა

სამართლებრივი შეფასება

ნივთმტკიცების, ყადაღის ან სხვა საკითხების გადაწყვეტა *(არასავალდებულო ველი)*

სარეზოლუციო ნაწილი

მოსამართლე

შენიშვნა:

- ეს ფორმა განკუთვნილია ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც საქმე რამდენიმე პირიანია და ნაწილის მიმართ არსებითი განხილვის შედეგად დგება გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო ნაწილის მიმართ დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება ან არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე;
- ჯერ ივსება გამამტყუნებელი ნაწილი, ხოლო შემდეგ საპროცესო შეთანხმება;
- "არასავალდებულო ველი" ნიშნავს, რომ შესაძლოა კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ეს ველი არარელევანტური იყოს.

ფორმა №6. განაჩენი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის - I ინსტანცია

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

შესავალი ნაწილი

სასამართლოს დასახელება

საქმის № | თარიღი | ადგილი

მოსამართლე

სხდომის მდივანი

ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით

სხდომის სახე

ბრალდების მხარე

დაცვის მხარე

ბრალდებული (ვინაობა) ☐ *მონაწილეობის გარეშე*

კვალიფიკაცია (მუხლი, დისპოზიცია)

თარჯიმანი *(არასავალდებულო ველი)*

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

ბრალდების არსი

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი

ნაფიც მსაჯულთა რეკომენდაცია სასჯელზე *(არასავალდებულო ველი)*

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები *(არასავალდებულო ველი)*

სასჯელის ან სხვა ღონისძიების გამოყენების დასაბუთება *(არასავალდებულო ველი)*

ნივთმტკიცების, ყადაღის ან სხვა საკითხების გადაწყვეტა *(არასავალდებულო ველი)*

სარეზოლუციო ნაწილი

მოსამართლე

შენიშვნა:

- აღნიშნული ფორმა განკუთვნილია ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის (როგორც გამამართლებელი, ისე გამამტყუნებელი) საფუძველზე გამოტანილი განაჩენისათვის;
- "არასავალდებულო ველი" ნიშნავს, რომ შესაძლოა კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ეს ველი არარელევანტური იყოს.

ფორმა №7. გამამართლებელი/გამამტყუნებელი განაჩენი - აპელაცია

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

შესავალი ნაწილი

სასამართლოს დასახელება

საქმის № | თარიღი | ადგილი

თავმჯდომარე, მოსამართლეები

სხდომის მდივანი

სხდომის სახე

ბრალდების მხარე

დაცვის მხარე

გამართლებული/მსჯავრდებული (ვინაობა) ☐ *მონაწილეობის გარეშე*
კვალიფიკაცია (მუხლი, დისპოზიცია)
სასჯელი (სრული მოცულობით)

თარჯიმანი *(არასავალდებულო ველი)*

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

მხარეთა პოზიცია

სასამართლომ დაადგინა

ქმედების სამართლებრივი აღწერა *(არასავალდებულო ველი)*

საპროცესო ნორმათა დაცულობა *(არასავალდებულო ველი)*

სამართლებრივი შეფასება *(არასავალდებულო ველი)*

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები *(არასავალდებულო ველი)*

სასჯელის ან სხვა ღონისძიების გამოყენების დასაბუთება *(არასავალდებულო ველი)*

სარევიზიო საწყისი *(არასავალდებულო ველი)*

ნივთმტკიცების, ყადაღის ან სხვა საკითხების გადაწყვეტა *(არასავალდებულო ველი)*

სარეზოლუციო ნაწილი

თავმჯდომარე,
მოსამართლეები

შენიშვნა:

- აღნიშნული ფორმა განკუთვნილია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოსათვის როგორც გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი განაჩენის გამოსატანად;
- "არასავალდებულო ველი" ნიშნავს, რომ შესაძლოა კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ეს ველი არარელევანტური იყოს;
- არასავალდებულო ველები განსაზღვრულია იქიდან გამომდინარე, რომ სააპელაციო სასამართლო შეზღუდულია საჩივრის ფარგლებით, ანუ აპელანტის მოთხოვნით;

ფორმა №8. საპროცესო შეთანხმება - აპელაცია

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

შესავალი ნაწილი

სასამართლოს დასახელება

საქმის № | თარიღი | ადგილი

თავმჯდომარე, მოსამართლეები

სხდომის მდივანი

სხდომის სახე

ბრალდების მხარე

დაცვის მხარე

გამართლებული/მსჯავრდებული (ვინაობა) ☐ *მონაწილეობის გარეშე*
კვალიფიკაცია (მუხლი, დისპოზიცია)
სასჯელი (სრული მოცულობით)

თარჯიმანი *(არასავალდებულო ველი)*

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

საპროცესო შეთანხმების არსი

მტკიცებულებათა ერთობლიობა



შენიშვნა:

- აღნიშნული ფორმა განკუთვნილია იმ შემთხვევისათვის, როდესაც სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ საპროცესო შეთანხმება მტკიცდება ან არ კმაყოფილდება შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე;

- "არასავალდებულო ველი" ნიშნავს, რომ შესაძლოა კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ეს ველი არარელევანტური იყოს.

ფორმა №9. გამამტყუნებელი განაჩენი და საპროცესო შეთანხმება ერთობლიობაში - აპელაცია

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

შესავალი ნაწილი

სასამართლოს დასახელება

საქმის № | თარიღი | ადგილი

თავმჯდომარე,
მოსამართლეები

სხდომის მდივანი

სხდომის სახე

ბრალდების მხარე

დაცვის მხარე

გამართლებული/მსჯავრდებული (ვინაობა) ☐ *მონაწილეობის გარეშე*
კვალიფიკაცია (მუხლი, დისპოზიცია)
სასჯელი (სრული მოცულობით)

თარჯიმანი *(არასავალდებულო ველი)*

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

მხარეთა პოზიცია

სასამართლომ დაადგინა

ქმედების სამართლებრივი აღწერა *(არასავალდებულო ველი)*

საპროცესო ნორმათა დაცულობა *(არასავალდებულო ველი)*

სამართლებრივი შეფასება *(არასავალდებულო ველი)*

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები *(არასავალდებულო ველი)*

სასჯელის ან სხვა ღონისძიების გამოყენების დასაბუთება *(არასავალდებულო ველი)*

სარევიზიო საწყისი *(არასავალდებულო ველი)*

საპროცესო შეთანხმების არსი

მტკიცებულებათა ერთობლიობა

საპროცესო ნორმათა დაცულობა

სამართლებრივი შეფასება

ნივთმტკიცების, ყადაღის ან სხვა საკითხების გადაწყვეტა *(არასავალდებულო ველი)*

სარეზოლუციო ნაწილი

თავმჯდომარე,
მოსამართლეები

შენიშვნა:

- ეს ფორმა განკუთვნილია ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც რამდენიმე პირიანია საქმე და ნაწილის მიმართ არსებითი განხილვის შედეგად დგება გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო ნაწილის მიმართ დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება ან არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე;
- ჯერ ივსება გამამტყუნებელი ნაწილი, ხოლო შემდეგ საპროცესო შეთანხმება;
- "არასავალდებულო ველი" ნიშნავს, რომ შესაძლოა კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ეს ველი არარელევანტური იყოს.

ფორმა №10. გამამართლებელი/გამამატყუნებელი განაჩენი - კასაცია

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

შესავალი ნაწილი

სასამართლოს დასახელება

საქმის № | თარიღი | ადგილი

თავმჯდომარე, მოსამართლეები

სხდომის მდივანი

სხდომის სახე

ბრალდების მხარე

დაცვის მხარე

გამართლებული/მსჯავრდებული (ვინაობა) ☐ *მონაწილეობის გარეშე*

კვალიფიკაცია (მუხლი, დისპოზიცია)

სასჯელი (სრული მოცულობით)

თარჯიმანი *(არასავალდებულო ველი)*

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

მხარეთა პოზიცია

სასამართლომ დაადგინა

ქმედების სამართლებრივი აღწერა *(არასავალდებულო ველი)*

საპროცესო ნორმათა დაცულობა *(არასავალდებულო ველი)*

სამართლებრივი შეფასება *(არასავალდებულო ველი)*

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები *(არასავალდებულო ველი)*

სასჯელის ან სხვა ღონისძიების გამოყენების დასაბუთება *(არასავალდებულო ველი)*

სარევიზიო საწყისი *(არასავალდებულო ველი)*

ნივთმტკიცების, ყადაღის ან სხვა საკითხების გადაწყვეტა *(არასავალდებულო ველი)*

სარეზოლუციო ნაწილი

თავმჯდომარე,
მოსამართლეები

შენიშვნა:

- აღნიშნული ფორმა განკუთვნილია მხოლოდ საკასაციო სასამართლოსათვის როგორც გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი განაჩენის გამოსატანად;
- "არასავალდებულო ველი" ნიშნავს, რომ შესაძლოა კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ეს ველი არარელევანტური იყოს.
- არასავალდებულო ველები განსაზღვრულია იქიდან გამომდინარე, რომ საკასაციო სასამართლო შეზღუდულია საჩივრის ფარგლებით, ანუ კასატორის მოთხოვნით;
- ველში "სასამართლომ დაადგინა" იგულისხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები.

ფორმა №11. საპროცესო შეთანხმება - კასაცია

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

შესავალი ნაწილი

სასამართლოს დასახელება

საქმის № | თარიღი | ადგილი

თავმჯდომარე, მოსამართლეები

სხდომის მდივანი

სხდომის სახე

ბრალდების მხარე

დაცვის მხარე

გამართლებული/მსჯავრდებული (ვინაობა) ☐ *მონაწილეობის გარეშე*

კვალიფიკაცია (მუხლი, დისპოზიცია)

სასჯელი (სრული მოცულობით)

თარჯიმანი *(არასავალდებულო ველი)*

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

საპროცესო შეთანხმების არსი

მტკიცებულებათა ერთობლიობა



შენიშვნა:

- აღნიშნული ფორმა განკუთვნილია იმ შემთხვევისათვის, როდესაც საკასაციო სასამართლოში მხოლოდ საპროცესო შეთანხმება მტკიცდება ან არ კმაყოფილდება შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე.
- "არასავალდებულო ველი" ნიშნავს, რომ შესაძლოა კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ეს ველი არარელევანტური იყოს.

ფორმა №12. გამამტყუნებელი განაჩენი და საპროცესო შეთანხმება ერთობლიობაში - კასაცია

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

შესავალი ნაწილი

სასამართლოს დასახელება

საქმის № | თარიღი | ადგილი

თავმჯდომარე,
მოსამართლეები

სხდომის მდივანი

სხდომის სახე

ბრალდების მხარე

დაცვის მხარე

გამართლებული/მსჯავრდებული (ვინაობა) ☐ *მონაწილეობის გარეშე*

კვალიფიკაცია (მუხლი, დისპოზიცია)

სასჯელი (სრული მოცულობით)

თარჯიმანი *(არასავალდებულო ველი)*

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

მხარეთა პოზიცია

სასამართლომ დაადგინა

ქმედების სამართლებრივი აღწერა *(არასავალდებულო ველი)*

საპროცესო ნორმათა დაცულობა *(არასავალდებულო ველი)*

სამართლებრივი შეფასება *(არასავალდებულო ველი)*

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები *(არასავალდებულო ველი)*

სასჯელის ან სხვა ღონისძიების გამოყენების დასაბუთება *(არასავალდებულო ველი)*

სარევიზიო საწყისი *(არასავალდებულო ველი)*

საპროცესო შეთანხმების არსი

მტკიცებულებათა ერთობლიობა

საპროცესო ნორმათა დაცულობა

სამართლებრივი შეფასება

ნივთმტკიცების, ყადაღის ან სხვა საკითხების გადაწყვეტა *(არასავალდებულო ველი)*

სარეზოლუციო ნაწილი

თავმჯდომარე,
მოსამართლეები

შენიშვნა:

- ეს ფორმა განკუთვნილია ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც საქმე რამდენიმე პირიანია და ნაწილის მიმართ არსებითი განხილვის შედეგად დგება გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო ნაწილის მიმართ დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება ან არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე;
- ჯერ ივსება გამამტყუნებელი ნაწილი, ხოლო შემდეგ საპროცესო შეთანხმება;
- "არასავალდებულო ველი" ნიშნავს, რომ შესაძლოა კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ეს ველი არარელევანტური იყოს.

ნიმუში №1. სსკ-ის 177-ე მუხლი

2. ქმედების სამართლებრივი აღწერა:

2.1. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება

2.2. ქმედების ჩადენა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით

2.3. ქმედების ჩადენა, რომელმაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი

2.4. ქმედების ჩადენა სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით

2.5. ქმედების ჩადენა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ

2.6. ქმედების ჩადენა არაერთგზის

2.7. ქმედების ჩადენა ბინაში უკანონო შეღწევით

2.8. ქმედების ჩადენა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ

2.9. ქმედების ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ

2.10. ქმედების ჩადენა დიდი ოდენობით

2.11. ქმედების ჩადენა იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის

2.12. ქმედების ჩადენა მაგისტრალურ მილსადენში არსებული ნავთობის მიმართ

2.13. ქმედების ჩადენა მაგისტრალურ მილსადენში არსებული გაზის მიმართ

შენიშვნა:

- **ქმედების სამართლებრივი აღწერა დაფუძნებულია დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების/ელემენტების სტრუქტურაზე;**
- **აღნიშნული ნიშნები მოსამართლის მიერ ამოირჩევა წარდგენილი კვალიფიკაციის (სააპელაციო/საკასაციო ინსტანციაში მსჯავრდების/გამართლების კვალიფიკაციის) მიხედვით;**
- **მაგალითად თუ პირს ბრალად ედება ქურდობა, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი ამოირჩევა და შეივსება მხოლოდ 2.1., 2.2. და 2.3. პარაგრაფები და ა.შ.**

ნიმუში №2. სსკ-ის 239-ე მუხლი

2. ქმედების სამართლებრივი აღწერა:

2.1. ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს

2.2. ქმედება, რომელიც გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას

2.3. ქმედების ჩადენა ძალადობით

2.4. ქმედების ჩადენა ძალადობის მუქარით

2.5. ქმედების ჩადენა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ

2.6. ქმედების ჩადენა ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ

2.7. ქმედების ჩადენა ხულიგნობის აღმკვეთი სხვა პირის მიმართ

2.8. ქმედების ჩადენა ხულიგნობისათვის მსჯავრდებულის მიერ

2.9. ქმედების ჩადენა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით

2.10. ქმედების ჩადენა იარაღად სხვა საგნის გამოყენებით

შენიშვნა:

- **ქმედების სამართლებრივი აღწერა დაფუძნებულია დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების/ელემენტების სტრუქტურაზე;**
- **აღნიშნული ნიშნები მოსამართლის მიერ ამოირჩევა წარდგენილი კვალიფიკაციის (სააპელაციო/საკასაციო ინსტანციაში მსჯავრდების/გამართლების კვალიფიკაციის) მიხედვით;**
- **მაგალითად თუ პირს ბრალად ედება ხულიგნობის ჩადენა ძალადობითა და იარაღად სხვა საგნის გამოყენებით, ამოირჩევა და შეივსება მხოლოდ 2.1., 2.2., 2.3. და 2.10. პარაგრაფები და ა.შ.**

ნიმუში №3. სსკ-ის 273-ე მუხლი

2. ქმედების სამართლებრივი აღწერა:

2.1. ნარკოტიკული საშუალება

2.2. ნარკოტიკული საშუალების ანალოგი

2.3. პრეკურსორი

2.4. მცირე ოდენობით

2.5. პირადი მოხმარებისათვის უკანონო დამზადება

2.6. პირადი მოხმარებისათვის უკანონო შეძენა

2.7. პირადი მოხმარებისათვის უკანონო შენახვა

2.8. ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

2.9. ქმედების ჩადენა ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ

2.10. ქმედების ჩადენა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალ-ისწინებული დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ

შენიშვნა:

- **ქმედების სამართლებრივი აღწერა დაფუძნებულია დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების/ელემენტების სტრუქტურაზე;**
- **აღნიშნული ნიშნები მოსამართლის მიერ ამოირჩევა წარდგენილი კვალიფიკაციის (სააპელაციო/საკასაციო ინსტანციაში მსჯავრდების/გამართლების კვალიფიკაციის) მიხედვით;**
- **მაგალითად, თუ პირს ბრალად ედება ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშ-ნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება და იგი წინათ ნასამართლევი იყო სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, ამოირჩევა და შეივსება მხ-ოლოდ 2.1., 2.8. და 2.10. პარაგრაფები და ა.შ.**

განაჩენის დასაბუთება

კომისიის მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა განაჩენის დასაბუთების თაობაზე რეკომენდაციების შემუშავება იყო. ამ თვალსაზრისით გამოიყო ექვსი ძირითადი მიმართულება: 1. ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები განაჩენის დასაბუთების თაობაზე, 2. მტკიცებულებისა და მტკიცების წესები, 3. ბრალდება და კვალიფიკაცია, 4. სასჯელი, 5. საპროცესო შეთანხმება და 6. განაჩენის შედგენისას გასათვალისწინებელი ძირითადი წესები.

განაჩენის დასაბუთების საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, წინამდებარე რეკომენდაციები მეტად მოცულობითია, თუმცა კომისია შეეცადა მათგან უმთავრესი ნაწილების ცალკე ამოკრებას და გამოყოფას. თითოეულ რეკომენდაციასთან მიმართებით თქვენ შეგიძლიათ დაწვრილებით მოიძიოთ ინფორმაცია (შესაბამისი მაგალითებით) უშუალოდ შესაბამის ნაშრომებში.

რეკომენდაციებმა მოიცვა ისეთი საკითხები, როგორიცაა: მტკიცებულებათა შეფასების პრინციპები, მტკიცებულებათა გამოყენების წესები, დასაბუთების ტექნიკა, მტკიცებულებათა გაზიარება/არგაზიარება, კვალიფიკაციის საკითხები, დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების მითითება, სასჯელის დასაბუთება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, კონკრეტული მაგალითები სასჯელის დასაბუთების თაობაზე და ა.შ.

ვფიქრობთ, შემუშავებული წინადადებები (რეკომენდაციები) ხელს შეუწყობს მოსამართლეებს განაჩენის დასაბუთების პროცესში და მითითებული მაგალითები დაეხმარება მათ ტექსტის ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბებაში.

სახელმძღვანელო წინადადებები

1 ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები განაჩენის დასაბუთების თაობაზე

- განაჩენმა უნდა აჩვენოს, რომ მოსამართლემ უზრუნველყო პროცესის სამართლიანობა, მტკიცების სტანდარტის დაცვა და მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება.
- განაჩენი არ უნდა დაემსგავსოს სხდომის ოქმს ანდა შაბლონურ, კომპიუტერულ პროგრამაში დამზადებულ პროდუქტს. განაჩენში უნდა ჩანდეს მოსამართლის ნააზრევი და არგუმენტირებული მსჯელობა.
- დასაბუთება უნდა შეიცავდეს სასამართლოზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ფაქტების სისტემურ ანალიზს, მტკიცებულების შეფასების პრინციპებსა და მოცემული საქმის შესაბამისი კანონმდებლობის გამოყენებას. სასამართლოს განაჩენში ასახული ნებისმიერი დასკვნა უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის მსჯელობას.
- განაჩენში მიზანშეწონილია კანონის ნორმა მიეთითოს კონკრეტულად და არა — ზოგადად. მაგ.: სწორია: საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისად. არასწორია: საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.
- დაცვის მხარის თუნდაც ყველაზე მწვავე არგუმენტს უნდა გაეცეს პასუხი, ისევე როგორც სხვა დანარჩენს, მაგრამ მხოლოდ ისეთებს, რომლებიც გავლენას ახდენს მოსამართლის გადაწყვეტილებაზე.
- მოსამართლემ დასაბუთების პროცესი არ უნდა აქციოს მხარესთან დისკუსიად და დაპირისპირებად, პირიქით, იგი დასაბუთებისას რაც შეიძლება ობიექტური უნდა იყოს, როგორც მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი არბიტრი.
- განაჩენის დასაბუთების საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს დანაშაულის ელემენტების ფორმულირება და მსჯელობა, თუ რატომ მიიჩნევა ან არ მიიჩნევა თითოეული მათგანი დამტკიცებულად. თითოეული ელემენტის ფორმულირება და ამ ელემენტის შესაბამისი მტკიცებულების შეფასება ქმნის განაჩენის კარგ სტრუქტურას.
- დანაშაულის შემადგენელი ელემენტები თითოეული განაჩენის ჩონჩხს წარმოადგენს, ხოლო მოსამართლე „მას ხორცს შეასხამს" სასამართლოზე წარმოდგენილი/გამოკვლეული მტკიცებულების ძალის, სანდოობის, ავთენტურობისა და რელევანტურობის შეფასების შედეგად. თითოეულ სისხლის სამართლის დანაშაულს გააჩნია ნიშნები, ანუ ელემენტები, რომლებიც უნდა დამტკიცდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, რათა სასამართლომ დამნაშავედ ცნოს ბრალდებული მისთვის წაყენებულ ბრალდებაში.
- ტექსტის სხვადასხვა ნაწილის სისტემური დაკავშირება განაჩენს დამაჯერებლობასა და სანდოობას მატებს, ხოლო საკუთარი დასაბუთების ცხადად ფორმულირება აზრის ზუსტ გადმოცემას უწყობს ხელს, რაც განაჩენის ერთგვაროვან აღქმას განაპირობებს.
- როგორც სასამართლო განაჩენის დასაბუთებულობის კომპონენტის — მტკიცებულებების, შეფასება უნდა მოხდეს დეტალურად, ზუსტად და შეჯიბრებითი პროცესის პრინციპების შესაბამისად. არ არის საკმარისი მხოლოდ მტკიცებულებების ჩამოთვლა და შემდგომ დასკვნის გაკეთება — მაგ.: მოწმე ა-მ თქვა; მოწმე ბ-მ თქვა, მოწმე გ-მ თქვა და ამდენად, დადასტურებულია დ-ს მიერ დანაშაულის ჩადენა. მტკიცებულების უტყუარობა, სანდოობა და რელევანტურობა უნდა იქნას დასაბუთებული.

2 მტკიცებულებისა და მტკიცების წესები

- მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი **რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის** თვალსაზრისით, რადგან არც ერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

მტკიცებულების რელევანტურობა (საქმესთან შემხებლობა)

- მტკიცებულება რელევანტურია, თუ იგი შეიცავს (ადასტურებს ან/და უარყოფს) ინფორმაციას მტკიცების საგანთან დაკავშირებით, კერძოდ:

  ა) მას შეუძლია საქმისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოების ან ვარაუდის დამტკიცება ან/და უარყოფა.

  მაგ.: ბრალდების მხარემ მტკიცებულებად წარადგინა განაჩენი ბრალდებულის ნასამართლობაზე, რითაც ბრალდების მხარე დაადასტურებს ბრალდებულის მიერ არაერთგზისი დანაშაულის ჩადენას.

  ამასთან, საქმისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოებისა თუ ვარაუდის არსებობა ან/და არარსებობა ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს მტკიცებულებიდან;

  ბ) მას შეუძლია საქმის (ქმედების, მტკიცების საგნის) ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ მნიშვნელოვანი რაიმე გარემოების ან/და ვარაუდის დამტკიცება ან/და უარყოფა.

  მაგ.: დაცვის მხარემ მტკიცებულებად წარადგინა მოწმე, რომლის ჩვენებითაც დაცვის მხარე დაადასტურებს, რომ პირველად დაზარალებულმა განახორციელა თავდასხმა ბრალდებულზე.

  მაგ.: პირი (პირობითად — A) დააკავეს დანაშაულის ჩადენის ფაქტზე და მას ბრალად ედება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის" უკანონოდ შეძენა-შენახვა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი). A-მ ითანამშრომლა ბრალდების მხარესთან და დაასახელა ის პირი (პირობითად — B), ვისგანაც შეიძინა აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება. B-ის პირადი ჩხრეკის შედეგად, ამოღებული იქნა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი", თუმცა B უარყოფდა ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტს. A-სა და B-სგან ამოღებულ ნარკოტიკულ საშუალებებზე ჩატარებული ქიმიური ექსპერტიზის შედეგად, დადგინდა, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილ ობიექტებს გააჩნდათ საერთო ჯგუფური კუთვნილება, ისინი მიეკუთვნებოდნენ ერთ მთლიან მასას, მათ ჰქონდათ წარმოშობის საერთო წყარო, დამზადების წესი, შენახვის საერთო პირობები და ა.შ. აღნიშნული მტკიცებულება (ექსპერტის დასკვნა) რელევანტურია B-ს მიერ A-ზე ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის" დიდი ოდენობით გასაღების ფაქტის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი) დასადგენად და მისი გაზიარება შესაძლებელია.

  ამასთან, ფაქტის, გარემოებისა თუ ვარაუდის არსებობა ან/და არარსებობა ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს მტკიცებულებიდან.

- ამრიგად, რელევანტური არის ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც კონკრეტული სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტის, გარემოების ან ვარაუდის დამტკიცებას ან/და უარყოფას ახდენს.
- ამასთან, ფაქტის, გარემოების ან ვარაუდის არსებობა ან არსებობის უარყოფა **ლოგიკურად** უნდა გამომდინარეობდეს წარმოდგენილი მტკიცებულებიდან, ხოლო მხარისა და მოსამართლის ლოგიკური მსჯელობის ჯაჭვში ეს კავშირი ნათლად უნდა ჩანდეს.
- თუ მტკიცებულება რელევანტურია, მაშინ მისი გაზიარება შესაძლებელია.

  მაგ.: დაცვის მხარემ მტკიცებულებად წარადგინა მოწმე, რომლის ჩვენების მიხედვით, ბრალდებული მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენის მომენტში მასთან ერთად, შემთხვევის ადგილიდან შორს, სხვა ტერიტორიაზე, იმყოფებოდა.

  აღნიშნული მოწმის ჩვენება შესაძლებელია გაზიარებული იქნეს.
- თუ მტკიცებულება არ არის რელევანტური, მაშინ მისი გაზიარება არ შეიძლება.

  მაგ.: ბრალდების მხარემ მტკიცებულებად წარადგინა ექსპერტი, რომლის ჩვენებისა და დასკვნის მიხედვით, დანაშაულის სხვა შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად მოპოვებული თითის კვალი ბრალდებულის თითის კვალის იდენტურია, თუმცა დანაშაულის ამ შემთხვევის გამო პირი ბრალდებული არ არის და, ამასთან, ბრალდების მხარე დანაშაულის ამ შემთხვევის გამო ამ პირისათვის ბრალდების წაყენებას არ აპირებს.

  აღნიშნული მტკიცებულება გაზიარებული არ უნდა იქნეს.
- თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულება რელევანტურია, იგი შესაძლებელია არ იქნას გაზიარებული, თუ იგი ეწინააღმდეგება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის მიხედვით, გონივრულ ეჭვს მიღმა განმარტებულია, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში).

  მაგ.: დაცვის მხარემ მტკიცებულებებად წარადგინა სამი მოწმე, რომელთა ჩვენებების მიხედვით, ბრალდებული მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენის მომენტში მათთან ერთად, შემთხვევის ადგილიდან შორს, სხვა ტერიტორიაზე, იმყოფებოდა.

  აღნიშნულ მოწმეთა ჩვენებები შესაძლებელია არ იქნეს გაზიარებული, თუ ამ სისხლის სამართლის საქმეში არსებობს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობა (მაგ.: შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ექსპერტის ჩვენება და დასკვნა, მოწმეთა ჩვენებები და ა.შ.), რომელიც ობიექტურ პირს არწმუნებს პირის ბრალეულობაში.
- აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საკითხების გადაწყვეტისას მოსამართლე დისკრეციით სარგებლობს, რომელიც ამასთანავე არ უნდა იყოს თვითნებური ან ირაციონალური.

მტკიცებულების უტყუარობა

- მტკიცებულებათა შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მათი უტყუარობის საკითხის გადაწყვეტას, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს.

- მტკიცებულების უტყუარობის კონტექსტში მოწმის ჩვენების სანდოობა მხარემ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს, მოწმის არაგულწრფელი ხასიათის გამო.

  მაგ.: დაცვის მხარემ მოწმის სახით დაკითხა პირი, რომელმაც განაცხადა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენის დროს მასთან ერთად იმყოფებოდა, თუმცა აღნიშნული ფაქტი არაფრით არ დასტურდება და, ამასთან, ასევე არ დგინდება მოწმის მიკერძოება ან მის მიერ ფაქტის აღქმის, დამახსოვრების და/ან გადმოცემის უნარის ნაკლებობა.

- მტკიცებულების უტყუარობის კონტექსტში მოწმის ჩვენების სანდოობა მხარემ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს, მოწმის მიკერძოების გამო.

- მიკერძოება გამოხატავს ერთი მხარისა და მოწმის ურთიერთობას, რის გამოც, მოწმე ამ მხარის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ იძლევა ჩვენებას.

  მაგ.: დაცვის მხარემ მოწმის სახით დაკითხა პირი, რომელმაც პირდაპირი დაკითხვისას განაცხადა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენის დროს მასთან ერთად იმყოფებოდა სხვა ადგილას და შესაბამისად ვერანაირად ვერ ჩაიდენდა დანაშაულს. ამასთან, ჯვარედინი დაკითხვისას მოწმემ განაცხადა, რომ იგი ბრალდებულის ბიძაშვილია, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს მის მიუკერძოებლობას.

  მაგ.: ბრალდების მხარემ მოწმის სახით დაკითხა პოლიციელი, რომელმაც პირდაპირი დაკითხვისას განაცხადა, რომ ის არის თვითმხილველი და მან დაინახა, რომ ბრალდებული მონაწილეობდა ჯგუფურად განზრახ მკვლელობის ჩადენაში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე" ქვეპუნქტი). ამასთან, ჯვარედინი დაკითხვისას დაცვის მხარის კითხვაზე მოწმემ განაცხადა, რომ მანამდე მას ბრალდებული ყოველთვის პრობლემებს უქმნიდა მისი სამსახურებრივი უფლებამოსილებების განხორციელებაში და მას სხვებთან საუბარში ხშირად აუღნიშნავს, რომ ბრალდებული არ მოსწონდა და სიამოვნებით იხილავდა მას ციხის კარს მიღმა. ეს ყველაფერი ეჭვის ქვეშ აყენებს მოწმის მიუკერძოებლობას.

  მაგ.: დაცვის მხარემ მოწმის სახით დაკითხა პირი, რომელმაც პირდაპირი დაკითხვისას განაცხადა, რომ ბათუმში დანაშაულის ჩადენის მომენტში ბრალდებული თბილისში მასთან ერთად ქეიფობდა. ამასთან, ჯვარედინი დაკითხვისას პროკურორის კითხვაზე მოწმემ აღნიშნა, რომ იგი ბრალდებულის საუკეთესო მეგობარია და ისინი ბავშვობიდან ერთად გაიზარდნენ. ეს ყველაფერი ეჭვის ქვეშ აყენებს მის მიუკერძოებლობას.

- მტკიცებულების უტყუარობის კონტექსტში მოწმის ჩვენების სანდოობა მხარემ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს, მოწმის მიერ შეუსაბამო განცხადებების გაკეთების გამო.

  მაგ.: პირდაპირი დაკითხვისას მოწმემ განაცხადა, რომ ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის თვითმხილველი იყო, თუმცა ჯვარედინი დაკითხვისას მოწმემ დაადასტურა, რომ დანაშაულის ჩადენის დღეს იგი სხვა ქალაქში იმყოფებოდა.

  მაგ.: პირდაპირი დაკითხვისას მოწმემ განაცხადა, რომ მან დაინახა, თუ როგორ დააყაჩაღეს ბანკი და ოთხი პირი შემთხვევის ადგილიდან როგორ მიიმალა შავი ფერის მერსედესის მარკის ავტომანქანით. თუმცა ჯვარედინი დაკითხვისას მოწმემ განმარტა, რომ სულ სამი პირი იყო და ისინი შემთხვევის ადგილიდან "მერსედესის" მარკის ვერცხლისფერი ავტომანქანით მიიმალნენ.

  მაგ.: პირდაპირი დაკითხვისას მოწმემ განაცხადა, რომ ის და ბრალდებული დანაშაულის ჩადენის დღეს, 17 საათიდან 23 საათამდე, ერთად იმყოფებოდნენ. თუმცა ჯვარედინი დაკითხვისას მოწმემ განმარტა, რომ ბრალდებული მასთან ერთად იმ საღამოს 17 საათიდან მხოლოდ 20 საათამდე იმყოფებოდა.

- მტკიცებულების უტყუარობის კონტექსტში მოწმის ჩვენების სანდოობა მხარემ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს, მოწმის მიერ ფაქტის აღქმის, დამახსოვრების და/ან

გადმოცემის უნარის ნაკლებობის დემონსტრირების გამო.

მაგ.: პირდაპირი დაკითხვისას ხანდაზმულმა მოწმემ დაადასტურა, თუ როგორ ჩაიდინა დანაშაული ბრალდებულმა, თუმცა ჯვარედინი დაკითხვისას მოწმემ ვერ გაიხსენა მნიშვნელოვანი ინფორმაცია საკუთარი თავის შესახებ (მაგ.: როდის და სად დაიბადა, რა პროფესიისა და ა.შ.).

- ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, არ შეიძლება მოწმედ დაიკითხოს პირი, რომელსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება.
- მტკიცებულების უტყუარობის კონტექსტში მოწმის ჩვენების სანდოობა მხარემ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს, სხვა ფაქტებთან წინააღმდეგობის გამო.

  მაგ.: განზრახ მკვლელობის საქმეზე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი) სასამართლოში დაკითხვისას მოწმემ დაადასტურა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს დანაშაულის ადგილზე ბრალდებული დაინახა, სცადა მისი შეჩერება, რის გამოც, მის ტანსაცმელს ბრალდებულის სისხლი მოეცხო. თუმცა საქმეზე წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნისა და მოწმის სახით ექსპერტის დაკითხვის შედეგად, დადგინდა, რომ მოწმის ტანსაცმელზე არსებული სისხლი არც ბრალდებულის სისხლისა და არც დაზარალებულის სისხლის იდენტური არ არის.

- ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რასაკვირველია, სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, შინაგანი რწმენის საფუძველზე, რადგან სასამართლომ უნდა შეაფასოს, თუ სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი ყველა მტკიცებულება ცალ-ცალკე და საბოლოოდ — ერთობლივად, რამდენად უტყუარია და საკმარისია პირის დამნაშავედ ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

დაუშვებელი მტკიცებულება (ზოგიერთი საკითხი)

- განაჩენის დასაბუთებისას წინასასამართლო სხდომაზე დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებები არ უნდა იქნეს ნახსენები!
- შესაძლებელია, რომელიმე მტკიცებულებამ ისე გადალახოს დასაშვებობის შემოწმების ეტაპები, რომ დაუშვებლად არ იქნეს ცნობილი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ნიშანი იყოს გამოხატული მისი დაუშვებლად ცნობისათვის. მოსამართლემ ეს მტკიცებულება განაჩენით არ უნდა ცნოს დაუშვებლად, მაგრამ სწორედ ამ მოტივით არ უნდა გაიზიაროს იგი და აღნიშნოს, რომ მისი მოპოვებისას ისეთი ხარისხით დაირღვა კანონი, რომ მასზე დაყრდნობით რაიმე ფაქტის დადასტურება ან უარყოფა არაგონივრული და მიზანშეუწონელია.

ზეპირი მტკიცებულების გამოყენების წესი

- განაჩენის დასაბუთებისას მოწმის ჩვენებიდან მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მხოლოდ მისი მცირე ნაწილი, რომელიც უკავშირდება უშუალოდ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გარემოებებს და არა — ყველაფერი, რაც მოწმემ დაკითხვისას განაცხადა.
- მოსამართლემ უნდა გაარკვიოს, თუ რა გარემოებების დადასტურებასა, თუ დაუდასტურებლობას აპირებს მოწმის ჩვენებით, მოახდინოს დანაშაულებრივი

ქმედების გარემოებების ზუსტი იდენტიფიცირება და სწორედ ამის შემდეგ გადმოიტანოს ჩვენების ის ნაწილი შესაბამის ადგილას, რომელიც ამ გარემოებას ადასტურებს ან უარყოფს.

- არ არის საკმარისი მხოლოდ მოწმეთა ჩვენებების ჩამოთვლა და შემდეგ დასკვნის გაკეთება. ეს განაჩენის დასაბუთების ხარისხს ძალიან აქვეითებს. მაგ.: მოწმე ა-მ თქვა; მოწმე ბ-მ თქვა, მოწმე გ-მ თქვა და ამდენად,...
- უსარგებლო ინფორმაცია მოწმეთა დაკითხვის ოქმიდან განაჩენში არ უნდა იყოს მოყვანილი!

დოკუმენტური მტკიცებულების გამოყენების წესი

- დოკუმენტურ მტკიცებულებებში აღბეჭდილი ინფორმაციის გამოყენებისას აუცილებელია მიეთითოს, თუ რომელ ოქმზე ან ჩანაწერზეა საუბარი, რაც ამ მტკიცებულების მნიშვნელობას კიდევ უფრო გააძლიერებს და სათანადოდ წარმოაჩენს.
- როგორც წესი, დოკუმენტური მტკიცებულებები დიდი მოცულობისაა, თუმცა მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მხოლოდ მათში ასახული ინფორმაციის მცირე ნაწილი, რომელიც უკავშირდება უშუალოდ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გარემოებებს და არა ყველაფერი, რაც მათში დეტალურადაა ახსნილი და აღწერილი.
- სასურველია, მოსამართლე მოერიდოს ექსპერტიზის დასკვნების დასკვნითი ნაწილების პირდაპირ გადმოტანას, რაც ტექნიკურ შთაბეჭდილებასა და კოპირების ასოციაციას გამოიწვევს.
- ექსპერტიზის დასკვნაში ხშირია სამეცნიერო ტერმინოლოგიის გამოყენება, რაც ავტომატურ რეჟიმში არ უნდა აისახოს განაჩენში, რადგან იგი დიდი ალბათობით გაუგებარი დარჩება მხარეებისა და სხვა პირთათვის. მოსამართლე უნდა შეეცადოს ისინი აღწეროს ჩვეულებრივი სასაუბრო ენით.

ნივთიერი მტკიცებულების გამოყენების წესი

- ნივთიერ მტკიცებულებებზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს, თუ სად, როდის და რა ვითარებაში იქნა ისინი აღმოჩენილი ან ამოღებული.
- განაჩენში ნივთიერი მტკიცებულება უნდა აისახოს იმ მოცულობით, რაც კონკრეტული საქმის არსიდან გამომდინარე აუცილებელი და მნიშვნელოვანია.

აღიარება, როგორც მტკიცებულება და მისი გამოყენების წესი

- აღიარება მაშინ ჩაითვლება გამოყენებისათვის ვარგისად, თუ იგი ზუსტად აღწერს ბრალად წარდგენილი ქმედების გარემოებებს.
- მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, რომ აღიარება მტკიცეა და ჩვენებაში არ ჩანს რაიმე სახის ვარაუდები ან დაეჭვება.
- სასურველია, აღიარებით ჩვენებასთან ერთად სახეზე იყოს სხვა (მინიმუმ ერთი) მტკიცებულება, გარდა ირიბი ჩვენებისა, რომელიც, ცალკე აღებული, ადასტურებს პირის მიერ დანაშაულის ჩადენას, ზუსტად ისევე, როგორც ეს პირს ბრალად აქვს წარდგენილი.

- სასურველია, რომ მოსამართლე არ შემოიფარგლოს ბრალდებულის აღიარების ისეთი ფორმით, როდესაც ეს უკანასკნელი მხოლოდ განცხადებას აკეთებს ბრალის აღიარების თაობაზე და არ ასახელებს გარემოებებს. ასეთი აღიარება ყოველთვის ტოვებს გარკვეულ ეჭვებს. ამიტომ აუცილებელია, ჯერ ერთი, ბრალდებულისაგან ჩვენების მიღება და შემდეგ — მისი სწორად გამოყენება.

ნაწილობრივ აღიარება, როგორც მტკიცებულება და მისი გამოყენების წესი

- როდესაც ბრალდებული ახდენს ფაქტების ინტერპრეტაციას, აუცილებელია მისი გამოაშკარავება და ობიექტური კუთხით წარმოჩენა.
- ჩვენების ის ნაწილი, რომელიც დადგენილი გარემოებებისაგან განსხვავდება, აუცილებელია, რეაგირების გარეშე არ დარჩეს და მას დაუპირისპირდეს უტყუარობის მაღალი სტანდარტი, რომელსაც ამყარებს სხვა ობიექტური მტკიცებულებებით დადასტურებული ფაქტები.

დუმილის უფლება

- ის ფაქტი, რომ ბრალდებულმა დუმილის უფლება გამოიყენა, აუცილებლად უნდა მიეთითოს, რათა გაურკვეველი არ დარჩეს, თუ რატომ არ აისახა ბრალდებულის დამოკიდებულება წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით ამა თუ იმ ფაქტის ან გარემოების დასაბუთებისას.

პირდაპირი მტკიცებულების გამოყენების წესი

- პირდაპირი მტკიცებულება უნდა გახდეს მოსამართლის დასაბუთების ძირითადი დასაყრდენი და ფოკუსირება სწორედ ასეთ მტკიცებულებებზე უნდა გაკეთდეს.
- თავისთავად ის მოცემულობა, რომ რაიმე მტკიცებულება შეიძლება პირდაპირ კავშირში იყოს მომხდარ ფაქტთან, არ შეიძლება გახდეს ამ მტკიცებულების უტყუარობის საფუძველი. ფაქტები შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს აღქმული ან აღბეჭდილი მტკიცებულებებში. ამიტომ პირდაპირი მტკიცებულების კარგად წარმოჩენასთან ერთად რაიმე ფაქტის დასადასტურებლად ან უარსაყოფად უნდა დასაბუთდეს მისი სისწორე და მიზანშეწონილობა.

ერთნაირი ან სხვადასხვა სახის ორი ან მეტი მსგავსი ინფორმაციის შემცველი მტკიცებულების გამოყენების წესი

- არსებობს საქმეები, რომლებშიც მტკიცებულებები ხშირად ერთსა და იმავე ინფორმაციას შეიცავს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია სახით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.
- როდესაც სახეზეა ამგვარი მტკიცებულებები, ისინი განაჩენში განსხვავებული წესით უნდა აისახოს, კერძოდ, სასურველია, რომ ამ შემთხვევაში თითოეული მოწმის ჩვენება ცალ-ცალკე კი არ ავსახოთ განაჩენში, არამედ რაიმე კრებით სახელში გაერთიანდეს და ამ ე.წ. "სათაურის" ქვეშ იქნეს მოყვანილი ეს ინფორმაცია.

- თუ ორი ან მეტი მოწმის ჩვენება ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა დამატებით რაიმე მნიშვნელოვან გარემოებაზე მიუთითა, ასეთ შემთხვევაში ჩვენებები მაინც უნდა გაერთიანდეს და დამატებით აღინიშნოს ეს გარემოება.

მტკიცებულების „კატეგორიულობა"

- რაც უფრო მაღალია მტკიცებულების „კატეგორიულობა", მით უფრო მნიშვნელოვანია ასეთი მტკიცებულების წინა პლანზე წამოწევა და მასზე ყურადღების გამახვილება.
- „კატეგორიული" მტკიცებულებები მოსამართლისათვის ძირითადი დასაყრდენი უნდა გახდეს ამა თუ იმ ფაქტის ან გარემოების დასადასტურებლად/უარსაყოფად.
- დასაბუთებისას ნათლად უნდა აისახოს, რომ ეს მტკიცებულება ეჭვგარეშე, უტყუარობის უმაღლესი ხარისხით ადასტურებს შესაბამის ფაქტს ან გარემოებას.
- რაც შეეხება მოწმეთა ჩვენებების კატეგორიულობას, ისინი უფრო მეტად საფრთხილოა. შესაძლებელია მოწმე გარკვეულ ფაქტზე კატეგორიულად აპელირებდეს, თუმცა მაინც სცდებოდეს.
- მოსამართლემ თვალი არ უნდა დახუჭოს იმაზე, რომ ესა თუ ის მტკიცებულება არ არის ზუსტი და კატეგორიული, პირიქით, ამის წარმოუჩენლობით უფრო მეტი შესადავებელი ექნება მხარეს. ამიტომ, რაც არ უნდა მწვავე იყოს პრობლემა მტკიცებულებასთან მიმართებით, მისი ახსნა აუცილებელია.
- თუ მოწმის ჩვენება ფაქტებთან დაკავშირებით სავარაუდოა, ასეთი ჩვენების რაიმეს დასადასტურებლად გამოყენება ძალიან საფრთხილო და დელიკატური საკითხია. სავარაუდო მტკიცებულებები, ცალკე აღებული, ვერ ქმნის დამაჯერებლობის მაღალ ხარისხს, რის გამოც ხშირად ასეთი მტკიცებულებები გამოსაყენებლად უვარგისი ხდება, თუმცა ეს ისე არ უნდა იქნეს აღქმული, რომ მათზე განაჩენში საერთოდ არ იყოს მსჯელობა.

მტკიცებულების „წონა"/მნიშვნელობა

- მტკიცებულების „წონა" იმის მიხედვით მატულობს, თუ ბრალდების დასადასტურებლად ან უარსაყოფად რამდენად მნიშვნელოვან საკითხს ეხება და რა სიზუსტითა და დამაჯერებლობით ამტკიცებს ან უარყოფს მას.
- რაც უფრო მეტია მტკიცებულების „წონა", მით უფრო მეტადაა საჭირო მასზე აქცენტის გაკეთება.
- მოსამართლემ დასაბუთებისას უნდა ახსნას, რომ ამა თუ იმ ბრალდების დასადასტურებლად რაიმე მტკიცებულება ძალიან მნიშვნელოვანია და იგი ამ საქმეზე არსებობს.
- ძირითადი კონცენტრირება დასაბუთებისას სწორედ „მძიმეწონიან" — „ოქროს მტკიცებულებებზე" უნდა გაკეთდეს.

მტკიცებულებების დაპირისპირება

- მეტი დამაჯერებლობისათვის, სასურველია, რომ ერთ მტკიცებულებას ძირითად შემთხვევაში დაუპირისპირდეს რამდენიმე (მტკიცებულებათა ერთობლიობა) და

ეს უკანასკნელი შემთხვევა ყველაზე მეტად სასარგებლო და ადეკვატური იქნება როგორც დასაბუთებული დასკვნის, ასევე ამ დასკვნისადმი ნდობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

- როდესაც ერთ, მით უმეტეს, რამდენიმე მტკიცებულებას განაჩენში უპირისპირდება სხვა მტკიცებულება/მტკიცებულებათა ერთობლიობა, ამ უკანასკნელთაგან ისეთი პასაჟები უნდა მოძებნოს მოსამართლემ, რომლებიც ყველაზე კრიტიკულად ასახავს მათ მცდარობას, ნათლად აჩვენოს, რომ ასეთ ფაქტს ან გარემოებას ადგილი ვერ ექნებოდა და ეს მხოლოდ საქმის სხვა კალაპოტში გადაყვანის მცდელობაა.
- დამძლევი მტკიცებულებით დაპირისპირებისას, გარდა იმისა, რომ უნდა აღინიშნოს, თუ რა საწინააღმდეგო ფაქტს ან გარემოებას ადგენს იგი, განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს მოსამართლემ, რათა ნათლად გამოკვეთოს ერთი მტკიცებულების წამყვანი ფუნქცია აღნიშნული ფაქტის დადგენისათვის, მისი უტყუარობა და უფრო მაღალი ხარისხით დამაჯერებლობა, ვიდრე ამას დაძლეული მტკიცებულება ან მტკიცებულებები ქმნის.

მოტივი, რომლის მიხედვით სასამართლომ უარყო ერთი მტკიცებულება და მიიღო სხვა, მისი საპირისპირო მტკიცებულება

- მოსამართლე უნდა შეეცადოს მაქსიმალურად ჩაუღრმავდეს იმ ფაქტობრივი გარემოების ყველაზე უწვრილმანეს დეტალებს, რომლებსაც ეხება შესაფასებელი მტკიცებულებების შინაარსი.
- თითოეულ საქმესთან დაკავშირებით ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების შეფასებისადმი მიდგომა უნდა იყოს ინდივიდუალური და არა — ტრაფარეტული.
- მოსამართლემ მტკიცებულება არ უნდა შეაფასოს სხვა მტკიცებულებებისაგან მოწყვეტით, არამედ მხოლოდ მათთან ერთობლივად უნდა განიხილოს, ხოლო მისი მტკიცებულებითი ძალა, სარწმუნოობა და დამაჯერებლობა იმის შესაბამისად განსაზღვროს, რამდენად ეთანხმება მისი შინაარსი სხვა მტკიცებულებებს პირდაპირ ან არაპირდაპირ.
- როდესაც საქმეზე ორი ურთიერთსაპირისპირო მტკიცებულება არსებობს და ამათგან ერთი ისეთი შინაგანი წინააღმდეგობების შემცველია, რის გამოც მისი მიღება შეუძლებელია, არ შეიძლება ამის გამო მეორე, საპირისპირო მტკიცებულება ავტომატურად მიჩნეულ იქნეს უტყუარად და მისაღებად.
- ურთიერთსაპირისპირო მტკიცებულებებიდან რომელიმე მათგანისათვის მოსამართლის მიერ უპირატესობის მინიჭებაში საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დასაბუთებული დასკვნის გასაკეთებლად, გარდა უტყუარობისა, არსებით როლს თამაშობს აგრეთვე მათი მტკიცებულებითი ძალაც.
- სწორედ მტკიცებულებების უტყუარობა, მათი წარმოშობის წყაროს სანდოობა და მტკიცებულებითი ძალა წარმოადგენენ გადამწყეტი მნიშვნელობის იმ ფაქტორებს, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ პირის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის შესახებ მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაზე, ხოლო ეს უკანასკნელი არ შეიძლება წარმოადგენდეს მოსამართლის თვითნებური წარმოსახვისა თუ წინასწარ შეუმოწმებლად, თუნდაც, ერთი შეხედვით, გარეგნულად ერთობ დამაჯერებელი ვერსიის ჭეშმარიტებად აღიარების ნაყოფს.

მოწმის ჩვენების შეფასების სუბიექტური და ობიექტური ასპექტები

- სასამართლო განმარტავს, რომ მოწმის ჩვენების ფორმირებამ, როგორც წესი, შემდეგი სამი სტადია უნდა გაიაროს: ა) მოწმის მიერ ამა თუ იმ ფაქტის აღქმა; ბ) აღქმული ფაქტის დამახსოვრება და გ) დაკითხვისას ამ ფაქტის კვლავ წარმოქმნა. მოწმე ყოველივე იმას, რაც დაინახა, მოისმინა და ა. შ., ერთნაირი სიზუსტითა და სისრულით როდი აღიქვამს. მას შეეძლო ყურადღება მიექცია რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენისათვის, რაც მან თავისი თვალით დაინახა ან მოისმინა, რადგან მაშინ მისთვის ცნობილი არ იყო, რომ ამ მოვლენის შესახებ მას შემდეგში მოუხდებოდა ჩვენების მიცემა. ასეთ ვითარებაში ერთსა და იმავე ფაქტს სხვადასხვა მოწმე ერთგვარად კი არ აღიქვამს, არამედ განსახვავებულად, იმისდა მიხედვით, თუ ამ ფაქტის რომელმა მხარემ დააინტერესა მოწმე. ამიტომ არის, რომ ზოგჯერ საქმისათვის მნიშვნელოვანი რომელიმე ერთი ფაქტის შესახებ მისი აღმქმელი მოწმეები სრულიად საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევიან, თუმცა ისინი კეთილსინდისიერნი არიან და ნამდვილად სურთ მხოლოდ სიმართლის ჩვენება. მოწმის მიერ გარკვეული შემთხვევის სწორად აღქმაზე შეიძლება გავლენა იქონიოს იმ მდგომარეობამ, რომელშიც იმყოფება მოწმე ამ შემთხვევის აღქმის დროს. დადგენილია, რომ აღელვებასა და შიშს შეუძლია მოწმეში გაზვიადებული შთაბეჭდილების გამოწვევა. მოწმის მიერ ამა თუ იმ შემთხვევის აღქმაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს ობიექტურმა ფაქტორებმა, როგორებიცაა: მანძილი მოწმესა და იმ ადგილს შორის, საიდანაც მან აღიქვა ესა თუ ის შემთხვევა; დღისით თუ ღამით დაინახა; როგორ ამინდში და ა.შ. მოწმის ჩვენების შეფასებისას მხედველობაშია მისაღები ფაქტის აღქმისა და ჩვენების მიცემის მომენტებს შორის განვლილი დროის ხანგრძლივობა. რამდენადაც ხანგრძლივია ეს დრო, იმდენად მეტია ვარაუდი, რომ მოწმემ ბევრი რამ ვერ შეინარჩუნა მეხსიერებაში, დაავიწყდა.

ალიბის დადასტურება ან უარყოფა განაჩენში

- დაცვის მხარის მიერ ალიბის წარდგენის შემთხვევაში სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ორი რამ: 1. ალიბის ნამდვილობისა, თუ უსაფუძვლობის მტკიცების ტვირთი ოფიციალურად დაცვის მხარეს ვერ დაეკისრება; 2. თუკი დაცვის მხარე უთითებს ალიბის არსებობაზე, ეს საკითხი უნდა იყოს სათანადო არგუმენტებით ჯეროვნად დასაბუთებული, რათა შესაძლებელი იყოს მისეული ვერსიის საფუძვლიანობის შემოწმება და შეფასება სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.
- შესაძლებელია ალიბის მოწმეთა ჩვენებები ერმანეთთან სრულ თანხმობაში იყოს შინაარსით, მაგრამ თუკი ყველა მათგანი მთლიანობაში უპირისპირდება საყოველთაოდ ცნობილ ფაქტსა და მოვლენას, მაშინ ისინი ვერ იქნება მიღებული ალიბის უტყუარ მტკიცებულებებად.
- თუკი ალიბის მოწმეები, მართალია, ბრალდებულის ახლობელი ადამიანები არიან, მაგრამ მათი ჩვენებები არათუ ერთმანეთთან თანხვედრილია, არამედ ამ ჩვენებების სისწორე სხვა მტკიცებულებებითაც დასტურდება, თუნდაც არაპირდაპირ, ხოლო ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები მათ ვერ აბათილებენ, ცხადია, ასეთ შემთხვევაში ისინი შეიძლება მიღებულ იქნეს და საბოლოოდ საფუძვლად დაედოს გამამართლებელ განაჩენს.
- ის გარემოება, რომ ალიბის მოწმეები ბრალდებულისათვის უცხო, გარეშე ადამიანები არიან, არ წარმოადგენს მათი მიუკერძოებლობისა, თუ საქმისადმი ნეიტრალური დამოკიდებულების გარანტიას, ამიტომ ალიბის მოწმეთა ჩვენებების საფუძვლიანი შემოწმება და შეფასება ყოველთვის საჭიროა მათი სანდოობის თვალსაზრისით.
- სასამართლომ ალიბის მოწმეთა ჩვენებების შეფასებისას მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემო და ვითარებაც, რომელთა პირობებში ყალიბდებოდა აღნიშნული

ჩვენებები. სხვაგვარად რომ ითქვას, მოწმეებს ბრალდებულთან დაკავშირებული მოვლენის აღქმა უხდებოდათ მშვიდ და ჩვეულებრივ ვითარებაში, თუ ექსტრემალურ პირობებში, რამაც, შესაძლოა, გარკვეული განსხვავებები წარმოქმნას მათ ჩვენებათა შორის.

მტკიცების ტვირთი

- მტკიცების ტვირთის პრინციპიდან გამომდინარე, ბრალდების მხარემ უნდა დაამტკიცოს დანაშაულის თითოეული ელემენტი გონივრულ ეჭვს მიღმა.
- აღნიშნული ასევე მოიცავს დაცვის მიერ ბრალდების მტკიცებულებების გაბათილების მცდელობის შეფასებას, როგორიცაა დაცვის მიერ ჯვარედინი დაკითხვის დროს დასმული შეკითხვები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ ბრალდების მტკიცებულებათა სარწმუნოობასა და სანდოობას.
- თუ ბრალდების მხარის მტკიცებულება საკმარისად სარწმუნო და სანდოა მატერიალური ფაქტის დასადგენად, მაშინ დაცვის მტკიცებულებები, თუკი ასეთი არსებობს, შეიძლება შეფასდეს იმ კუთხით, თუ რამდენად წარმოქმნის გონივრულ ეჭვს მატერიალური ფაქტის დადგენის თვალსაზრისით.
- საბოლოო ნაბიჯი არის ინკრიმინირებული ფაქტის დამადასტურებელი სარწმუნო, სანდო და რელევანტური მტკიცებულების შეფასება მტკიცების სტანდარტის შესაბამისად და მტკიცებულებათა ერთობლიობის ფონზე. ამის შემდეგ მოსამართლეს შეუძლია ჩამოაყალიბოს თავისი მოტივირებული დასკვნა იმის შესახებ, თუ ბრალდების მხარემ რამდენად დაამტკიცა მატერიალური ფაქტი გონივრულ ეჭვს მიღმა.

გონივრულ ეჭვს მიღმა

- გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების სტანდარტი ზოგჯერ აღიწერება როგორც უტყუარობის ის დონე, რომელიც ადამიანმა თავის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად უნდა გამოიყენოს.
- მხოლოდ ის ფაქტი, რომ ბრალდებულმა ვერ შეძლო სამართლებრივი მტკიცებითი დაცვის განხორციელება, ყველა შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ საქმეში ბრალდების მხარე გაიმარჯვებს, თუ თვითონ საქმე გონივრულ ეჭვს მიღმა არ იქნება დამტკიცებული. განაჩენში ისე არ უნდა გამოჩნდეს, რომ მოსამართლეს დაბნეულობა შეაქვს, აქცენტი გადააქვს, ან აერთიანებს მტკიცების ტვირთს.
- გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების სტანდარტი არ გულისხმობს ყველა შესაძლო ეჭვს მიღმა მტკიცებას, ან მტკიცების მათემატიკურ უტყუარობას. შესაძლო ეჭვი, ან ეჭვი, რომელიც ეფუძნება ვარაუდს, სპეკულაციას, ან წინათგრძნობას, არ არის გონივრული ეჭვი. გონივრული ეჭვი არის საკმაო ეჭვი, რომელიც ეფუძნება მიზეზს, ლოგიკას, საღ აზრს, ან გამოცდილებას. ეს არის ეჭვი, რომელიც ჩვეულებრივ საღად მოაზროვნე ადამიანს გაუჩნდება მას შემდეგ, როდესაც ყურადღებით აწონის ყველა მტკიცებულებას და არის იმგვარი ეჭვი, რომლის გამოც ის შეყოყმანდება თავის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებისას. ამგვარი ეჭვი შესაძლოა გაჩნდეს მტკიცებულების არსებობის, ან არასაკმარისი მტკიცებულების, ან მტკიცებულების შინაარსის საფუძველზე.

მტკიცებულებათა ერთობლიობა

- არაფორმალური გაგებით, მტკიცებულებათა ერთობლიობა ერთმანეთთან უნდა იყოს შეთანხმებული — ანუ მტკიცებულებებს შორის უნდა არსებობდეს შინაარსობრივი კავშირი, ისინი უნდა იყოს ურთიერთთავსებადი, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთსა და იმავე გარემოებებზე უნდა უთითებდნენ, ერთსა და იმავე ფაქტებს უნდა ადასტურებდნენ და არა პირიქით — გამორიცხავდნენ.
- მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა იყოს აშკარა — ანუ ერთმანეთთან შეთანხმებული მტკიცებულებები აშკარად უნდა ადასტურებდნენ რაიმე ფაქტს ან გარემოებას და მათში ეჭვის შეტანის გონივრული საფუძველი არ უნდა არსებობდეს. მტკიცებულებათა ერთობლიობა პირდაპირ და ცალსახად უნდა ადგენდეს შესაბამის ფაქტებსა და პირის ბრალეულობას, სწორედ ამ პირის მიერ ქმედების ჩადენას, მოტივს, მიზანს, განზრახვას და ა.შ. და ეჭვის გაჩენის საფუძველი არ უნდა აჭარბებდეს დასაშვებ — გონივრულობის ზღვარს.
- მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა იყოს დამაჯერებელი — ანუ ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და უტყუარი მტკიცებულებები უნდა იყოს დამაჯერებელი ობიექტური, ნეიტრალური, გონივრულად მოაზროვნე პირისათვის, რათა იგი დარწმუნდეს სწორედ ამ პირის მიერ დანაშაულის ჩადენაში. დამაჯერებლობის ხარისხი იმდენად მაღალი უნდა იყოს, რომ რაიმე გონივრულ ეჭვს ან ვარაუდს არ იწვევდეს ბრალდებულის მიმართ. მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ადგენს და ადასტურებს გარკვეულ ფაქტებსა და გარემოებებს, არ უნდა ბადებდეს ისეთ კითხვებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის არსებით გარემოებებს ეჭვქვეშ დააყენებს და გონივრულ კითხვებს გააჩენს ამ პოზიციის საწინააღმდეგოდ.
- მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა არსებობდეს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანზე ცალ-ცალკე და არა — ზოგადად დანაშაულის ჩადენის შესახებ!

3 ბრალდება და კვალიფიკაცია

წარდგენილი ბრალდების ფარგლები

- სასამართლომ სისხლის სამართლის საქმე უნდა განიხილოს, ბრალდებულის დამნაშავეობა\უდანაშაულობაზე უნდა იმსჯელოს და ქმედება სამართლებრივად შეაფასოს (ქმედების კვალიფიკაცია) მხოლოდ ბრალდების დადგენილებაში მითითებული ფორმულირების ფარგლებში, ვინაიდან პირის ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა.
- ბრალდების ფარგლები მოიცავს როგორც კვალიფიკაციას, ასევე ფაქტებს, რომლებიც ასახულია ბრალის შესახებ დადგენილებაში, ანუ იმ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებიც ბრალდების მხარის შეფასებით წარმოადგენს კონკრეტულ დანაშაულს.
- დაუშვებელია იმაზე მძიმე კვალიფიკაციით პირის მსჯავრდება, ვიდრე მას ბრალად ჰქონდა წარდგენილი, თუნდაც აშკარა იყოს მისი ჩადენა.
- მოსამართლე ასევე გასცდება ბრალდების ფარგლებს იმ შემთხვევაში, თუ შეცვლის ბრალის ფორმას — გადავა გაუფრთხილებელიდან განზრახ დანაშაულზე.

გამონაკლისის დაშვება ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია, თუმცა განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო, რათა პირის მდგომარეობა არ გაუარესდეს.

- როდესაც ბრალის დადგენილებაში გამორჩენილია რაიმე ეპიზოდი და არაა აღწერილი მისი გარემოებები, თუმცა მუხლობრივად ან დისპოზიციურად მოცემულია იგი, დაუშვებელია ასეთ შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მტკიცებულებათა ერთობლიობა.
- წარდგენილი ბრალდებისაგან გადახვევისას, როდესაც გადაკვალიფიცირება ხდება შემსუბუქებისაკენ, მნიშვნელოვანია, რომ პირის მდგომარეობა არ გაუარესდეს და ბრალდებულის ქმედებამ იმაზე მეტი შინაარსი არ შეიძინოს, ვიდრე ეს ბრალდების მხარემ ბრალდების შესახებ დადგენილებაში ჩამოაყალიბა.

ქმედების სამართლებრივი კვალიფიკაცია

- ქმედების სწორად დაკვალიფიცირებისათვის, სამართლებრივი შეფასების მეტი არგუმენტირებულობისა და დამაჯერებლობისათვის უმჯობესია, ბრალდებულისათვის ბრალად წარდგენილი დანაშაულის არსებობა\არარსებობა დადგინდეს და შეფასდეს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის კონკრეტული მუხლის (დანაშაულის) შემადგენლობის ნიშნების გამოყოფით, კომისიის მიერ შემუშავებული განაჩენის ფორმების შესაბამისად და ამის შემდეგ თითოეული დანაშაულის ნიშნის დასადგენად, მიეთითოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ დანაშაულის შემადგენლობის კონკრეტულ ნიშანს.
- დანაშაულის დაყოფა შემადგენელ ნიშნებად, რომლებიც ერთობლიობაში ქმნის კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობას, საშუალებას აძლევს მოსამართლეს თითოეულ ნიშანთან მიმართებით შეაფასოს მტკიცებულებების ერთობლიობა, ამასთან, ნათლად დაინახოს, დგინდება თუ არა მტკიცებულებებით დანაშაულის ყველა ნიშანი. თუმცა, ერთ-ერთი ნიშნის არარსებობაც ერთმნიშვნელოვნად არ ნიშნავს იმას, რომ ბრალდებულის ქმედება არ წარმოადგენს დანაშაულს. შესაძლოა, ერთი რომელიმე ნიშნის არარსებობის გარეშეც სახეზე იყოს სხვა დანაშაულის შემადგენლობა, რის გამოც სასამართლომ ამ მიმართებით აუცილებლად უნდა იმსჯელოს.
- მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებაზე სასამართლომ უნდა იმსჯელოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ გარემოებაზე მხარე უთითებს, ასევე — საკუთარი ინიციატივით, როდესაც აშკარაა ასეთი გარემოების სავარაუდო არსებობა. სხვა შემთხვევებში უმჯობესი იქნება, ზოგადად მიეთითოს, რომ ბრალდებულის ქმედება მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულია, ვინაიდან მათი გამომრიცხველი გარემოებები საქმეზე დადგენილი არ ყოფილა.
- სასამართლოს მიერ გაკეთებული სამართლებრივი შეფასება კვალიფიკაციის შესახებ არ უნდა იყოს ბუნდოვანი და ზოგადი. განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილის „სამართლებრივი შეფასების" ველიდან ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად უნდა იკითხებოდეს, თუ რატომ მიიღო სასამართლომ კონკრეტული გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე აპელირებს კვალიფიკაციაზე, სასამართლომ ყურადღების მიღმა არ უნდა დატოვოს ეს საკითხი და ძირითადი არგუმენტების მოშველიებით, თუნდაც მოკლედ, მაგრამ უნდა გასცეს დასაბუთებული პასუხი.
- სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ისეთი ქმედებების სამართლებრივ შეფასებას, რომლებიც თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, ასევე ატარებენ ადმინისტრაციული ან სამოქალაქო ურთიერთობის ხასიათს, თუმცა მათგან სწორედ დანაშაულის შემადგენლობის კონკრეტული ნიშანი განასხვავებს.
- სასამართლომ მკაფიოდ უნდა მიუთითოს, ქმედება ბრალის რომელი ფორმით

არის ჩადენილი. ბრალის ფორმის დაუდგენლობა, ან განზრახი ბრალის ნაცვლად გაუფრთხილებელი ბრალის დადგენა გამართლების ან კვალიფიკაციის შეცვლის საფუძველია, ამიტომ ბრალის ფორმის დადგენისა და განაჩენში სათანადოდ ასახვის საკითხს სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს.

- დანაშაულის ჩადენის მოტივისა და მიზნის მითითება სავალდებულოა. აღნიშნული განპირობებულია მოტივისა და მიზნის მნიშვნელობით, ისინი რიგ შემთხვევებში დანაშაულის შემადგენლობის ან მაკვალიფიცირებელ ნიშნებს წარმოადგენენ. გარდა აღნიშნულისა, ისინი გავლენას ახდენენ სასჯელის სახესა და ზომაზე.
- დანაშაულის ჩადენის დროის, ადგილისა და ხერხის დადგენასა და მითითებას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. ერთი შეხედვით ამ უმნიშვნელო საკითხების ყურადღების მიღმა დატოვება მტკიცებულებათა შეფასების ეტაპზე და მომავალშიც სხვადასხვა სირთულეს აჩენს, რის გამოც მოსამართლის მხრიდან მოითხოვს სათანადო ყურადღებასა და განაჩენში ზუსტად ასახვას.
- განაჩენში უნდა მიეთითოს დანაშაულის შედეგი, ვინაიდან, რიგ შემთხვევებში, იგი დანაშაულის შემადგენლობის ნიშანია.
- მიზეზობრივი კავშირის დადგენა და განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში, „სამართლებრივი შეფასების" ველში სათანადოდ ასახვა სავალდებულოა, ვინაიდან იგი მატერიალურ დანაშაულებსა და საფრთხის შემქმნელ დელიქტებში პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა.

გადაკვალიფიცირება

- გადაკვალიფიცირების საკითხს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ პირს იმაზე მეტ დანაშაულში არ დაედოს მსჯავრი, რაც არ ჩაუდენია და, მეორე მხრივ, საერთოდ არ გამოირიცხოს პირის ბრალეულობა დანაშაულში.
- გადაკვალიფიცირება დასაშვებია მხოლოდ იმავე ხარისხის (მაგ.: მითვისებიდან გაფლანგვაზე) ან მსუბუქ ბრალდებაზე (მაგ.: ყაჩაღობიდან ძარცვაზე).
- გადაკვალიფიცირებისას სწორი კვალიფიკაციის მოსაძებნად მოსამართლეს შეუძლია იმოქმედოს შემდეგი თანმიმდევრობით:
  1. კიდევ ერთხელ უნდა შემოწმდეს იმავე მუხლის დისპოზიცია;
  2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმავე თავში მოიძებნოს მსგავსი სახის სხვა დანაშაული, რომელიც გარკვეულწილად, თუმცა სრულად არ განსხვავდება წარდგენილი ბრალდებისაგან;
  3. გადაკვალიფიცირებისას მნიშვნელოვანია ასევე ზოგადი და სპეციალური ნორმების კონკურენცია, ანუ, თუ ბრალდება წარდგენილია ზოგადი ნორმით და არსებობს სპეციალური ნორმა, ბრალდებულის ქმედება სწორედ ამ უკანასკნელით უნდა დაკვალიფიცირდეს;
  4. შესაძლებელია, მოსამართლის მიერ დადგენილი ფაქტები იმდენად განსხვავდებოდეს წარდგენილი ბრალდებისაგან, რომ სისხლის სამართლის კოდექსის სხვა თავით გათვალისწინებულ დანაშაულთან გვქონდეს საქმე. ამიტომ ეს შემთხვევაც არ არის გამორიცხული, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლე წარდგენილი ბრალდების თვისებრივ და არსებით შინაარსს არ გასცდეს;
  5. თუ მოსამართლემ იმგვარი ფაქტები დაადგინა, რომლებიც თვისებრივად და არსობრივად ძალიან შორსაა წარდგენილი ბრალდების არსთან, თუმცა შეიცავს სხვა

დანაშაულის ნიშნებს, ქმედება არ უნდა გადაკვალიფიცირდეს და ბრალდებული უნდა გამართლდეს;

6. შესაძლებელია, სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს სხვა ორზე. ეს ვითარება გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება არსებობდეს და თანაც საფრთხილოა, რომ მოსამართლე არ გასცდეს ბრალდების ფარგლებს;

7. ასევე დასაშვებია რამდენიმე მუხლიდან ერთ მუხლზე გადაკვალიფიცირება.

- როდესაც მტკიცებულებები უდავოა, ეს არ ნიშნავს, რომ მოსამართლეს გადაკვალიფიცირების უფლება არ აქვს, პირიქით, თუ წარდგენილი ბრალდების არსი იმგვარადაა ფორმულირებული, რომ იგი შეიცავს არა წარდგენილი ბრალდების, არამედ სხვა დანაშაულის ნიშნებს, კვალიფიკაციის შეცვლა არამარტო შესაძლებელი, აუცილებელიც კია.

ქმედების სპეციალური და ზოგადი ნორმებით დაკვალიფიცირება

- როდესაც ერთსა და იმავე ფაქტზე პირს ბრალდება წარდგენილი აქვს როგორც სპეციალური, ასევე ზოგადი ნორმებით, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას აუცილებელია მათი დახარისხება და შესაბამისი შეფასების გაკეთება, რათა ასევე ორივე მათგანით არ მოხდეს პირის მსჯავრდება.
- როდესაც ბრალდება ერთდროულად წარდგენილია სპეციალური და ზოგადი ნორმებით, ამ შემთხვევაში ქმედება არ უნდა გადაკვალიფიცირდეს და პირი უნდა გამართლდეს ზოგადი ნორმით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო სპეციალურ ნორმასთან მიმართებით გამოტანილ უნდა იქნეს გამამტყუნებელი განაჩენი.
- თუ საქმეში ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, აუცილებელია სამოტივაციო ნაწილში, სამართლებრივი შეფასების ველში აღინიშნოს ეს მოტივები, ხოლო შემდეგ ასახვა ჰპოვოს სარეზოლუციო ნაწილში. აღნიშნულის მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილში "გასწორება" არც ისე სწორი და მოტივირებული გამოჩნდება, თუ არა — გაურკვეველი.

4 სასჯელი

ძირითადი ნაწილი

- საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, [...]. ბუნებრივია, მხოლოდ ამ ნორმის მშრალი მითითება განაჩენში არ ქმნის სასჯელის დასაბუთების კომპონენტს და სასურველია, ამ გარემოებების ცალ-ცალკე აღნიშვნა და შეფასება[1].
- სასამართლოს ფუნქციას წარმოადგენს სწორედ ის, რომ ამა თუ იმ დანაშაულისათვის მოსამართლე სასჯელის შეფარდებისას არ უნდა შემოიფარგლოს ზოგადი ფრაზით

1 თითოეული გარემოება პრაქტიკული მაგალითებით განხილულია ძირითად ნაშრომებში.

მიზანშეწონილების შესახებ, არამედ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაასაბუთოს მის მიერ არჩეული სასჯელის ზომის გამოყენების მოტივაცია და საფუძველი.

- თუ რომელიმე შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება გათვალისწინებულია დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად (მას ითვალისწინებს მუხლი, მუხლის ნაწილი, ქვეპუნქტი), დაუშვებელია იმავე გარემოების მხედველობაში მიღება სასჯელის დანიშვნისას (სსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილი). იგივე წესი უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულთა ერთობლიობაა და გარემოება, რომელსაც მივიჩნევთ დამამძიმებლად, სხვა დანაშაულის შემადგენლობაშია (მას ითვალისწინებს მუხლი, მუხლის ნაწილი, ქვეპუნქტი).

- იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის კოდექსით ამომწურავად არ არის განსაზღვრული შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს სასჯელის სახესა და ზომაზე, აღნიშნული მოსამართლემ თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად უნდა განსაზღვროს და შეაფასოს.

- უპირველეს ყოვლისა, სასჯელის შეფარდებისას მოსამართლე უნდა ეფუძნებოდეს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარებას.

- დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების ხარისხობრივი შეფასება განსაკუთრებით რთული საკითხია. აღნიშნულს აქტუალურობას მატებს ის შემთხვევები, როდესაც ერთდროულად სახეზეა რამდენიმე დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოება, რომელთა ხარისხის დასადგენად რაიმე „ფორმულის" წინასწარ შემუშავება შეუძლებელია. შემსუბუქების ან დამძიმების ხარისხი ურთიერთკავშირში უნდა შეაფასოს მოსამართლემ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ინდივიდუალურობიდან გამომდინარე.

- დანაშაულის მოტივი სასჯელის შემსუბუქების თვალსაზრისით — დანაშაულის ჩადენა ყველა იმ მოტივით, რომელიც ადამიანური თვალსაზრისით, კულტურისა და ზნეობის ნორმების გათვალისწინებით, დანაშაულის ჩადენის მიუხედავად, არ მიუთითებს გასაკიცხაობის მაღალ მაჩვენებელზე სასჯელის სამართლიანობის კონტექსტში.

  მაგ.: დაზარალებულის ვიქტიმურობა — ვიქტიმურობა ის საკითხია, რომელიც ძირითად შემთხვევაში განსაზღვრავს დანაშაულის ჩადენას. რაც უნდა მძიმე იყოს ჩადენილი დანაშაული, ვიქტიმურობა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად (თუმცა შემსუბუქების ხარისხი დამოკიდებულია დაზარალებულის ქმედებაზე). მიუხედავად დამდგარი შედეგისა, ხშირ შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოების შეფასებას, თუ რა როლი ჰქონდა დაზარალებულის ქცევას მომხდარი დანაშაულის პროვოცირებისას, დაზარალებულის მხრიდან ხომ არ განხორციელებულა არაერთჯერადი ან განგრძობადი შეურაცხყოფა, ან ძალადობა, ასევე მძიმე შეურაცხყოფა ან ძალადობა. უნდა შეფასდეს ის ფაქტორიც, რომ დაზარალებულის ქცევას ეთიკურ, მორალურ ან კანონიერ ჩარჩოპირობებში შეეძლო რეალურად გამხდარიყო დანაშაულის მაპროვოცირებელი, მისი ჩადენის მთავარი მოტივი, თუ არა. აგრეთვე მნიშვნელოვანია იმ გარემოების შეფასება, ხომ არ მოუხდენია დაზარალებულს აღმოფხვრილი კონფლიქტის ხელახლა გაღვივება, ხელახლა ინიცირება.

- დანაშაულის მოტივი სასჯელის დამძიმების თვალსაზრისით — დანაშაულის ჩადენა ყველა იმ მოტივით, რომელიც საზოგადოებრივ წესრიგს, კულტურისა და ზნეობის ნორმებს მაღალი ხარისხით ეწინააღმდეგება.

  მაგ.: შურისძიება — ზოგადად, შურისძიება უნდა დაიგმოს და უნდა მიეთითოს განაჩენში, რომ იგი არ არის ადეკვატური პასუხი და მოქმედება გარკვეული (მაგ: მართლსაწინააღმდეგო, არაზნეობრივი) ქმედების საწინააღმდეგოდ. სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში დაუშვებელია ცალკეულმა პირებმა თავის თავზე აიღონ მოწინააღმდეგის დასჯა და მასზე ანგარიშსწორება, ვინაიდან ამისათვის არსებობენ

შესაბამისი სტრუქტურები, სამართალდამცავი ორგანოები, სასამართლო და ა.შ. შურისძიების მოტივით დანაშაულის ჩადენა გაუმართლებელია ყველა შემთხვევაში და მას სათანადო პასუხი უნდა გაეცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში უგულებელყოფილი იქნება კანონის უზენაესობა.

- დანაშაულის მიზანი სასჯელის შემსუბუქების თვალსაზრისით — დანაშაულის ჩადენა ყველა იმ მიზნით, რომელიც არ არის არაეთიკურობისა და არაზნეობრიობის მაღალი ხარისხით გამოხატული.

- დანაშაულის მიზანი სასჯელის დამძიმების თვალსაზრისით — დანაშაულის ჩადენა ყველა იმ ხულიგნური, არაზნეობრივი და არაეთიკური მიზნით, რომელიც საზოგადოებაში დამკვიდრებულ წესებს მაღალი ხარისხით ეწინააღმდეგება/ ხელყოფს.

  მაგ.: დანაშაულის ჩადენა სხვისთვის მომსახურების გაწევის მიზნით — ეს გარემოება ასევე მნიშვნელოვანია, რადგან არც ერთი პირის სიამოვნება და სურვილების დაკმაყოფილება არ ღირს იმად, რომ თუნდაც სულ მცირე მნიშვნელობის დანაშაული ჩაიდინო.

- ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება სასჯელის შემსუბუქების თვალსაზრისით — ყველა იმ მოტივით, მიზნით, გარემოებებში და პირის მიმართ ჩადენილი ქმედება, სადაც ნათლად იკვეთება დაბალი საზოგადოებრივი საშიშროება, მართლწესრიგის ნორმების მცირე უპატივცემულობა და უგულებელყოფა, ნების არადამაჯერებლობა, მერყეობა.

- ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება სასჯელის დამძიმების თვალსაზრისით — დანაშაულის ჩადენა ყველა იმ მოტივით, მიზნით, გარემოებებში და პირის მიმართ ჩადენილი ქმედება, სადაც ნათლად იკვეთება მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება, მართლწესრიგის ნორმების განსაკუთრებული უპატივცემულობა და უგულებელყოფა, ნების სიმტკიცე, გამორჩეული ცინიზმი, სიძულვილი, ასევე ისეთი პირების მიმართ, რომლებიც საზოგადოებაში თავისი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო მომეტებულ პატივისცემას ან გაფრთხილებას საჭიროებენ (ორსული ქალის, მოხუცის, არასრულწლოვნის მიმართ და სხვა).

- მოვალეობათა დარღვევის ხასიათთან მიმართებით მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს, რომ რაც უფრო საშიში, მწვავე ხასიათი აქვს მოვალეობათა დარღვევასა და უგულებელყოფს მას, ხოლო მოვალეობათა დარღვევის ზომასთან მიმართებით, რაც უფრო მაღალია დარღვევის ზომა, ხარისხი, მით უფრო უნდა დამძიმდეს სასჯელის ზომა, რაც ამ კრიტერიუმების მითითებით ხაზგასმით უნდა აისახოს განაჩენში. რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით რაც უფრო მეტად არღვევს პირი მოვალეობას, მით უფრო მძიმე უნდა იყოს სასჯელი.

  შემსუბუქების კონტექსტში მაგ.: ბრალდებულს იარაღიდან არასოდეს გაუსვრია ან სხვა გზით უკანონოდ გამოუყენებია; სახეზეა ნაკლებად სახიფათო იარაღი ან საბრძოლო მასალა.

  დამძიმების კონტექსტში მაგ.: დანაშაულის ჩადენა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ — განსაკუთრებით საყურადღებოა, როდესაც პირი დანაშაულს სჩადის იმ პირის მიმართ, რომელიც მასზე რაიმე ნიშნით არის დამოკიდებული და ამის გამო იგი დანაშაულის ჩადენაზეც კი მიდის, რადგან ჰგონია, რომ მასთან მსხვერპლი გარკვეულ ვალშია. დაუშვებელია, გარკვეული სახის ვალდებულებები საბოლოო ჯამში თანასწორუფლებიანობის დარღვევამდე მივიდეს.

- ქმედების განხორციელების სახე და ხერხი — მოსამართლის სახელმძღვანელო პრინციპი სასჯელის დასაბუთების დროს ქმედების განხორციელების სახესა და ხერხთან მიმართებით უნდა მდგომარეობდეს შემდეგში: რაც უფრო საშიშია, რთულია

და მეტად უპირისპირდება მართლწესრიგს ქმედების განხორციელების სახე და ხერხი, მით უფრო მკაცრი უნდა იყოს სასჯელი და პირიქით.

შემსუბუქების კონტექსტში მაგ.: დანაშაულის ჩადენა პირის ან ქონებისათვის ნაკლები საშიშროების შემქმნელი ადგილიდან; ბრალდებული იარაღს ინახავდა გარკვეული საკოლექციო ან არადანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით.

დამძიმების კონტექსტში მაგ.: მოტყუებით — მოტყუებით გაიყვანა სახლიდან და შემდეგ ჩაიდინა დანაშაული; მოტყუებით შევიდა ბინაში, თავი წარუდგინა პოლიციის თანამშრომლად ან ფოსტის თანამშრომლად და ა.შ.; დანაშაულის ჩადენა სამსახურებრივი სარგებლობისათვის მინდობილი იარაღით — განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო სარგებლობისათვის მინდობილი იარაღით პირმა არ ჩაიდინოს დანაშაული. ამ შემთხვევაში ბრალდებულისათვის იარაღი ხელმისაწვდომი ხდება ზედმეტი სირთულეებისა და დაბრკოლებების გარეშე, რაც, ზოგადად, ფართო ფენებისათვის რთული და შეუძლებელია. ბრალდებულს ეს იარაღი იმიტომ გააჩნდა, რომ თავად ყოფილიყო მართლწესრიგისა და საზოგადოების უსაფრთხოების სადარაჯოზე. იგი ამ პირობებში ბოროტად იყენებს ამ პრივილეგიას, რაც ორმაგად უფრო გასაკიცხი ქმედებაა.

- მართლსაწინააღმდეგო შედეგი — მართლსაწინააღმდეგო შედეგი მოსამართლემ სასჯელის დანიშვნისას უნდა გაითვალისწინოს და განაჩენში ასახოს შემდეგი მიმართებით: დამძიმების თვალსაზრისით, რაც უფრო მძიმე, დიდი და მასშტაბურია მართლსაწინააღმდეგო შედეგი, სასჯელის ზომა უფრო მაღალი უნდა იყოს, ხოლო რაც უფრო მცირე, უმნიშვნელო და არაარსებითია ზიანი, სხვა გასათვალისწინებელ გარემოებებთან ურთიერთკავშირში უნდა შემცირდეს სასჯელის ზომა.

- მსჯავრდებულის პიროვნება — განაჩენში სასჯელის დასაბუთების ამ ნაწილში მოსამართლემ უნდა მიუთითოს და იმსჯელოს დამნაშავის წარსულ ცხოვრებაზე, პირად და ეკონომიკურ პირობებზე, ყოფაქცევაზე ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით მის მისწრაფებაზე, აანაზღაუროს ზიანი და შეურიგდეს დაზარალებულს. ასევე ყველა იმ გარემოებაზე, რაც წარმოაჩენს მსჯავრდებულის პიროვნებას, მის ხასიათს და გავლენას მოახდენს სასჯელზე.

მაგ.: დამნაშავის წარსული ცხოვრება შემსუბუქების კონტექსტში — სამხედრო, სამოქალაქო, საქველმოქმედო ან საჯარო სექტორში სამსახური, დასაქმებისას მის მიერ შეტანილი წვლილი, წარსულში კეთილი საქმეების კეთება — ამგვარი ფაქტორების არსებობისას შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სასჯელის შემცირება, ამგვარი ქმედებების შინაარსისა და მასშტაბის გათვალისწინებით;

დამძიმების კონტექსტში: ნასამართლობა — წინა ნასამართლობა ის საკითხია, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბრალდებულის პიროვნების, მისი მისწრაფებების, ცხოვრების წესის შესაფასებლად და სათანადო დასკვნების გამოსატანად. რაც უფრო მეტად სერიოზულია ბრალდებულის ნასამართლობა, უფრო მკაცრი სასჯელი უნდა განისაზღვროს. გარკვეული ყურადღება უნდა დაეთმოს „კარიერული დამნაშავეების" კლასიფიცირებას. ესენი ის ბრალდებულები არიან, რომლებიც მონაწილეობდნენ დანაშაულებრივ საქმიანობაში, რაც მათთვის საარსებო წყაროს წარმოადგენს და რამდენჯერმე არიან მსჯავრდებულნი ერთი და იმავე კატეგორიის დანაშაულისათვის. ამგვარი ბრალდებულების მიმართ სასჯელის დონე მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს. თუმცა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სახეზეა არაერთგზისი დანაშაული ან დანაშაულის ჩადენა ორჯერ ან მეტჯერ ნასამართლევი პირის მიერ.

მაგ.: დამნაშავის პირადი პირობები შემსუბუქების კონტექსტში — ავადმყოფობა — მსჯავრდებული პირის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობას შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული პოზიტიური ეფექტი სასჯელის შემცირებასა, თუ ნაკლებად მკაცრი სასჯელის სახის გამოყენებაზე. ყველა შემთხვევაში გასათვალისწინებელია ჩადენილი დანაშაულის ხასიათი.

დამძიმების კონტექსტში: ეკონომიკური დანაშაულის ჩადენა ფინანსურად შეძლებული პირის მიერ.

დაუშვებელია შემამსუბუქებელ გარემოებად მიეთითოს:

- არ არის ნარკოტიკების მომხმარებელი — თუ პირს მსჯავრი დაედო სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, არ არის მიზანშეწონილი ეს ფაქტი მიეთითოს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად;
- არ არის ნასამართლევი.
- ამ კონტექსტში საერთოდ არ არის რელევანტური დამნაშავე პირის რასობრივი, სქესობრივი კუთვნილება, წარმომავლობა, რწმენა, რელიგია, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი და სხვა მსგავსი ნიშნები.

დაუშვებელია დამამძიმებელ გარემოებად მიეთითოს:

- არ ასახელებს დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებს;
- არ აანაზღაურა ზიანი;
- არ თანამშრომლობს გამოძიებასთან;
- არ აღიარებს დანაშაულს;
- მიიმალა.
- ამ კონტექსტში საერთოდ არ არის რელევანტური დამნაშავე პირის რასობრივი, სქესობრივი კუთვნილება, წარმომავლობა, რწმენა, რელიგია, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი და სხვა მსგავსი ნიშნები.
- დაუშვებელია, მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის დამამძიმებლად მიეთითოს ისეთი გარემოება, რომლის შესრულებას ან დაკმაყოფილებას კანონი მას არ ავალდებულებს.

სასჯელის დანიშვნის დროს გასათვალისწინებელი ცალკეული შემთხვევები

- სასჯელის მიზნები — სასჯელის დასაბუთებისას მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს სასჯელის მიზნები და დასაბუთდეს ისინი კონკრეტული სასჯელის სახისა და ზომის გამოყენებასთან მიმართებით. სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.
- ახალი დანაშაულის თავიდან აცილება — აუცილებელია, დასაბუთდეს სასჯელის გამოყენების პრევენციული ხასიათი. შესაძლოა, არსებობდეს როგორც კერძო, ასევე ზოგადი პრევენცია. ორივე მათგანი ემსახურება საზოგადოების სიმშვიდეს, ახალი დანაშაულების თავიდან აცილებას, კრიმინალის შემცირებას. კერძო პრევენციის მიზანი მიიღწევა მსჯავრდებულზე სასჯელის ისეთი ზემოქმედებით, რომ მომავალში აღარ ჩაიდინოს ახალი დანაშაული. კერძო პრევენციის გაანალიზება და შეფასება უნდა მოხდეს განსაკუთრებით იმ საფუძვლებით, როდესაც პირს არაერთ დანაშაულში ედება ბრალი (მაგ. არაერთგზისობა, განგრძობადობა და დენადობა, დროის მოკლე პერიოდში რამდენიმე დანაშაულის ჩადენა, ერთგვაროვანი ტიპის დანაშაულების

ჩადენა). ზოგადი პრევენცია, როგორც წესი, ემსახურება საზოგადოების ფართო მასების გაფრთხილებას, რომ თუ ასეთ დანაშაულს ჩაიდენენ, მათ მიმართაც მკაცრი მიდგომა იქნება გამოყენებული. ზოგადი პრევენციის შესაფასებლად ასევე მნიშვნელოვანია გარკვეული დანაშაულების მომრავლება ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონში.

- დამნაშავის რესოციალიზაცია — ეს ფაქტორი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. სასჯელის გამოყენება უნდა იყოს პროპორციული, რათა მსჯავრდებულმა გააცნობიეროს ჩადენილი ქმედება და გამოიტანოს სათანადო დასკვნები, მოახდინოს საკუთარი თავის რეაბილიტაცია და ღირსეულ წევრად დაუბრუნდეს საზოგადოებას.
- თავისუფლების აღკვეთის გამოყენებისას (თუ მუხლი სხვა სახის სასჯელებსაც ითვალისწინებს) მოსამართლემ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ არის აუცილებელი ბრალდებულის საზოგადოებისაგან იზოლაცია; არის თუ არა სასჯელის ესა თუ ის ზომა საქმის გარემოებებისა და მსჯავრდებულის პიროვნების პროპორციული.
- აუცილებელია ქონების ჩამორთმევა დასაბუთდეს განაჩენში, რადგან საქმე ეხება საკუთრების უფლების შეზღუდვას და ამ საკითხისათვის გვერდის ავლა ყოველთვის შექმნის საკუთრების უფლების შელახვის სერიოზულ განწყობას.
- დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. აღნიშნული მოთხოვნა იმპერატიულია და მასზე მითითება სავალდებულოა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ნასამართლობა არასრულწლოვანების პერიოდს უკავშირდება, ნასამართლობა გაქარწყლებული ან მოხსნილია, ან ნასამართლობა, რომელიც ქმნის რეციდივს, ახალი დანაშაულის შემადგენლობის ნიშანია.
- სასჯელთა შეკრებისას დამატებითი სასჯელები შეიკრიბება ცალკე და ძირითადი სასჯელი ვერ შთანთქავს მას.
- ჯარიმა შესაძლოა იყოს დასჯის სრულიად მართებული და ლეგიტიმური ფორმა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მას ეკონომიკური ზეგავლენა ან შედეგი აქვს. ამიტომ მათი გამოყენება შესაძლოა, უფრო ადეკვატური იყოს ეკონომიკურ დანაშაულებზე.
- თუ მოსამართლე მსჯავრდებულის მიმართ იყენებს სსკ-ის 88-ე მუხლს, ცალკე მის შემამსუბუქებელ გარემოებებში არასრულწლოვანებაზე მითითება არასწორია, რადგან ამ გარემოებას თავად კოდექსი მიიჩნევს შემამსუბუქებლად და აწესებს სასჯელის შემცირების ზომას. ხოლო, თუ ინიშნება თავისუფლების აღკვეთაზე მსუბუქი სახის სასჯელი, არასრულწლოვანება, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება, მიეთითება სასჯელის დასაბუთებისას.
- როგორც წესი, დამამძიმებელი გარემოებების არარსებობისას არ უნდა იქნეს გამოყენებული სასჯელის უმკაცრესი ან მასთან მიახლოებული ზომა, რადგან იგი ვერ იქნება სამართლიანი და ადეკვატური.
- რიგ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ პირმა ჩაიდინა ერთი მუხლის ფარგლებში გათვალისწინებული რამდენიმე ქმედება, მაგ.: შეძენა, შენახვა, დამზადება, გასაღება და ა.შ.
- როგორც წესი, ბრალდებულის დახასიათება შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს როგორც შემამსუბუქებელ, ისე დამამძიმებელ გარემოებად, თუმცა სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს ამგვარი დახასიათების სისრულეს, მის გამცემ პირს, რამდენად ქმნის იგი ზუსტ სურათს ამ პირის შესაფასებლად, რამდენად რეალური შეიძლება იყოს იგი საქმის გარემოებებისა და თავად ამ დახასიათების შინაარსის გათვალისწინებით.

- არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის შეფარდების მიზანი უნდა იყოს რეინტეგრაცია, იგი უნდა იყოს კონსტრუქციული და არა — სადამსჯელო ხასიათის. რეინტეგრაციისათვის საუკეთესო საშუალება არასაპატიმრო სასჯელთა გამოყენება და მასზე გარკვეული მოვალეობების დაკისრებაა.
- სასჯელის ზომის განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავის პერსონალურ ბრალს, სამართლებრივი სიკეთის დაზიანების ხარისხს, პირის გამოსწორების შესაძლებლობას და ამავე დროს — საზოგადოების სოციალური დაცვის აუცილებლობას.
- სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას სავალდებულოა დადგინდეს ჩადენილი დანაშაულის სოციალური საშიშროება, თუ რაოდენ საფრთხის შემქმნელი იყო იგი საზოგადოებისათვის.
- მოსამართლემ სასჯელის შეფარდებისას უნდა გაითვალისწინოს პიროვნების სუბიექტური მახასიათებლები. სასამართლომ არ უნდა განიხილოს დამნაშავე, როგორც აბსტრაქტული დანაშაულის სუბიექტი, რომელიც ყველა ფორმალური პირობის გათვალისწინებით, პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით; მან დამნაშავე უნდა განიხილოს როგორც ადამიანი თავისი ინდივიდუალური ნიშნებით; ადამიანი, რომელიც მოქმედებს განსაზღვრულ საზოგადოებრივ გარემოში, აქვს წარსული ცხოვრება და ა.შ.

სასჯელის ცალკეული კომპონენტის დასაბუთების ზოგიერთი პრაქტიკული მაგალითი[2]

- სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული — სასამართლოს მიაჩნია, რომ როდესაც ჩადენილი დანაშაული ეხება ადამიანის სიცოცხლეს, მის შემდგომ არსებობას, სასჯელის საკმარისობის თვალსაზრისით ლმობიერი სასჯელის გამოყენება მიზანშეუწონელია. ასეთ დროს უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოებაში იმ განწყობის დანერგვას, რომ ადამიანებმა ერთმანეთი არ უნდა გაიმეტონ სასიკვდილოდ, რომ თითოეულ მათგანს აქვს სიცოცხლის უფლება და მას დაცვა სჭირდება. როგორც საქართველოს კონსტიტუციითა და შიდა კანონმდებლობით, ასევე მრავალი საერთაშორისო აქტით გარანტირებულია სიცოცხლის უფლება და მისი მშვიდობიან პირობებში შელახვის ყოველი მცდელობა მკაცრად უნდა იქნეს პასუხგაცემული როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოების მხრიდან, რასაკვირველია, ცივილიზებული ფორმებით.
- გაუპატიურება (სქესობრივი დანაშაული) — გაუპატიურება ხშირად გენდერთან დაკავშირებული დანაშაულია და ძირითადად ქალების წინააღმდეგ არის ჩადენილი. სექსუალური ძალადობა მასობრივ შიშს, ხანგრძლივ ემოციურ და ფიზიკურ ტკივილსა და რიგ შემთხვევებში საცხოვრებელი ადგილის სამუდამოდ შეცვლას იწვევს. გარდა ამისა, ამგვარი დანაშაულები განაპირობებს არა მხოლოდ მსხვერპლის, არამედ მისი ოჯახის ტანჯვას და უარყოფითი ეფექტის მომცველია, რომელიც შესაძლოა, მთლიანად საზოგადოებაზეც გადავიდეს. ამგვარი ძალადობა ადამიანის იმდენად ინტიმურ გარემოს ლახავს, რომ მისი დავიწყება ძალიან ძნელია და ხშირად ეს იარა დიდხანს არ ყუჩდება, გარკვეულწილად დამღად რჩება პირის ცხოვრებაში. ამგვარ მსხვერპლს ხშირად აღენიშნება ფიზიკური და ფსიქოლოგიური პრობლემები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსუბუქი სახის სასჯელის გამოყენება მიზანშეუწონელია.
- ქრთამი — სასამართლო აღნიშნავს, რომ ქრთამის დანაშაული განსაკუთრებით

2 მსგავსი ხასიათის დასაბუთება შესაძლებელია გაკეთდეს ნებისმიერ დანაშაულზე

საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ინტერესებს, დემოკრატიული სტრუქტურების ფუნქციონირებას, მომსყიდველობისა და მიკერძოებულობის გავრცელებას. ის განსაკუთრებით დესტრუქციულია მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისათვის ქრთამის მიცემასთან, რაც ხელს უწყობს დანაშაულის დაფარვას, მის წახალისებასა და გავრცელებას, რაც საბოლოო ჯამში სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მავნებელი და დამაზიანებელია, რადგან საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობის იდეას, რის გამოც სასამართლოს მიზანშეუწონილად მიაჩნია სსკ-ის 339-ე მუხლთან მიმართებით ლმობიერი სასჯელის გამოყენება.

- სახელმწიფო წარმომადგენლის მიერ დანაშაულის ჩადენა — სასამართლოს მიაჩნია, რომ როდესაც სახელმწიფოს წარმომადგენელი (განსაკუთრებით კი თანამდებობის პირი/სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი — თუ ასეთი შემთხვევაა), რომელიც ვალდებულია დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ფუნდამენტური უფლება — ადამიანის ჯანმრთელობა და თავისუფლება — დანაშაულის ხასიათის შესაბამისად), ადამიანის უფლებები — სჩადის დანაშაულს, სასჯელის საკმარისობის თვალსაზრისით, ლმობიერი სასჯელის გამოყენება მიზანშეუწონელია. პირიქით, ასეთ პირებს უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, ვიდრე ჩვეულებრივ დამნაშავეებს, რადგან ამ შემთხვევაში სამსჯავროზეა არა მხოლოდ თითოეული დამნაშავის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, არამედ სახელმწიფოს ვალდებულებაც, აღმოფხვრას დაუსჯელობის სინდრომი, რომელიც დამნაშავეებს შეიძლება გააჩნდეთ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ გარკვეული თანამდებობა უკავიათ, აგრეთვე ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ქვეყნის მმართველობითი სისტემის მიმართ სათანადო ნდობისა და პატივისცემის შენარჩუნება-განმტკიცებას.

- სამართალდამცავის (პოლიციელის) მიერ დანაშაულის ჩადენა — სასამართლოს მიაჩნია, რომ როდესაც სახელმწიფოს წარმომადგენელი, განსაკუთრებით კი სამართალდამცავი/პოლიციის თანამშრომელი, რომელიც ვალდებულია დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, მართლწესრიგი, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ფუნდამენტური უფლება — ადამიანის ჯანმრთელობა და თავისუფლება — სჩადის დანაშაულს, სასჯელის საკმარისობის თვალსაზრისით, ლმობიერი სასჯელის გამოყენება მიზანშეუწონელია. პირიქით, ასეთ პირებს უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, ვიდრე ჩვეულებრივ დამნაშავეებს, რადგან ამ შემთხვევაში სამსჯავროზეა არა მხოლოდ თითოეული დამნაშავის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, არამედ სახელმწიფოს ვალდებულებაც, აღმოფხვრას დაუსჯელობის სინდრომი, რომელიც დამნაშავეებს შეიძლება გააჩნდეთ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ გარკვეული თანამდებობა უკავიათ, აგრეთვე ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ქვეყნის სამართალდამცავი სისტემის მიმართ სათანადო ნდობისა და პატივისცემის შენარჩუნება-განმტკიცებას.

- გაქცევა — სასამართლოს მიაჩნია, რომ ა-ს მიმართ გაქცევის ეპიზოდში გამოყენებულ უნდა იქნეს მკაცრი სასჯელი, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის თავისუფლებისკენ სწრაფვა გასათვალისწინებელი ფაქტორია, მსუბუქი სასჯელის გამოყენებით არ უნდა წახალისდეს ეს დანაშაული და მისი ფონი, მით უმეტეს — მკაცრი რეჟიმის დაწესებულებებში. აღნიშნული საფრთხეს უქმნის არა მარტო სასჯელაღსრულების ადმინისტრაციის თანამშრომელთა უსაფრთხოებას, არამედ, ზოგადად, საზოგადოებისას. ერთი მხრივ, გვირაბის გათხრა ქმნის პატიმართა გარკვეული რაოდენობის გაქცევის გონივრულ საფრთხეს, ხოლო სხვა საშუალებებით გაქცევა საფრთხეს უქმნის როგორც თავად პატიმართა, ისე თანამშრომელთა სიცოცხლეს.

5 საპროცესო შეთანხმება

- მნიშვნელოვანია, მოსამართლეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბრალდებულის ნების ნამდვილობის შემოწმებას და ეს არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ზეპირი თანხმობის ფორმალური მოსმენით.
- მნიშვნელოვანია, სასამართლომ ყურადღებით შეისწავლოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მოლაპარაკების ამსახველი საპროცესო შეთანხმების ოქმი, გაეცნოს იქ არსებულ შენიშვნებს ასეთის არსებობის შემთხვევაში და დარწმუნდეს, ხომ არ ახდენენ ისინი გავლენას საპროცესო შეთანხმების ნამდვილობაზე; საჭიროების შემთხვევაში, ოქმის ირგვლივ არსებულ საკითხებს შეეხოს საბოლოო გადაწყვეტილებაშიც.
- მნიშვნელოვანია, მოსამართლე დააკვირდეს, რამდენად სრულყოფილად არის ბრალდებულის დაცვის უფლება რეალიზებული, რამდენად სათანადოდ არის ბრალდებული ბრალის შინაარსზე, მოსალოდნელ სასჯელზე ინფორმირებული და რამდენად უზრუნველყოფილ იქნა ადვოკატის ჩართულობა საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკების ყველა ეტაპზე. რომელიმე ამ ელემენტის პრობლემურად მიჩნევის შემთხვევაში მოსამართლემ ისინი უნდა წამოსწიოს და განიხილოს საბოლოო გადაწყვეტილებაში.
- მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლეს ავტონომიურად სასჯელის შემცირების, თუ შეცვლის უფლებამოსილებას არ უტოვებს, ეს ავტომატურად სულაც არ ამართლებს გადამეტებულად მსუბუქი, ან მძიმე სასჯელის დამტკიცებას მხოლოდ იმ მოტივით, რომ ბრალდების მხარემ ამგვარი შუამდგომლობა წარადგინა. სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ბრალის შესაბამისი სასჯელიც არის. შესაბამისად, მოსამართლე ყურადღებით უნდა დააკვირდეს სასჯელის განსაზღვრის პროცესს და შეუსაბამო სასჯელის შემთხვევაში: 1) შესთავაზოს მხარეებს შეცვლილი პირობები და დაელოდოს მათი ხელახალი მოლაპარაკების შედეგებს; 2) უარი თქვას საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე.

6 განაჩენის შედგენისას გასათვალისწინებელი ძირითადი წესები

წერისათვის მოემზადება

- სანამ წერას დაიწყებდეს, მოსამართლემ უნდა გააანალიზოს, თუ რა სურს განაჩენში აისახოს და როგორ უნდა გადმოსცეს იგი.
- მოსამართლემ უნდა მიუთითოს არსებითი ფაქტები, ჩამოაყალიბოს საკითხები, განსაზღვროს კანონის მოქმედი ნორმები, სასამართლოს გადაწყვეტილებები. მოკლედ, მან საქმე უნდა „დაყოს" სხვადასხვა კომპონენტად.

სქემა

- სქემა მოსამართლეს გააზრებაში ეხმარება.

- სქემის მომზადება ყველაზე ხელსაყრელია საქმის განხილვის დამთავრებისთანავე, რადგან მოსამართლეს საკუთარი მოსაზრებები, სხვა მოსამართლის (საქმის კოლეგიურად განხილვის შემთხვევაში) მიდგომები და მხარეთა პოზიციები „გონებაში აქვს" და ამ დროს გაცილებით კომფორტული და ადვილია აზრების ჩამოყალიბება.

მოსამართლის თანაშემწის გამოყენება

- განაჩენის დამწერი მოსამართლისათვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლია თანაშემწეს და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაგროვილი საქმეების რაოდენობა დიდია, ასეთ დროს მისი დახმარება არსებითია.
- მოსამართლის თანაშემწესთან დისკუსია სასარგებლოა განაჩენის დაგეგმვისას და სქემის შედგენის დროს. თანაშემწესთან აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ამ გზით მათი შემოწმების შესაძლებლობა ფასდაუდებელია.
- თუმცა, მოსამართლეს უნდა ახსოვდეს, რომ თანაშემწის უნარის მიუხედავად, განაჩენი ყოველთვის მოსამართლემ უნდა შეადგინოს.

განაჩენის ორგანიზება და შედგენა

- განაჩენმა უნდა მოახდინოს წარმოდგენილი საკითხების იდენტიფიკაცია, ჩამოაყალიბოს შესაბამისი ფაქტები და გამოიყენოს მოქმედი კანონმდებლობა, რომ შეიქმნას ადვილად გასაგები და კარგად დასაბუთებული გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც უნდა გადაიჭრას საქმის განხილვის შედეგად.

სტრუქტურა

- განაჩენის ნათელი და ლოგიკური სტრუქტურა მკითხველს მის გააზრებაში დაეხმარება.
- ნუმერაციის ან მკითხველისათვის სტრუქტურის აგებულების ჩვენების სხვა ფორმის გამოყენება, როგორც წესი, სასარგებლოა და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განაჩენი ვრცელია, ხოლო საკითხი — კომპლექსური. აღნიშნული წარმოადგენს არა მხოლოდ გზამკვლევს მკითხველისათვის, არამედ მოსამართლესაც ეხმარება, „მოაწესრიგოს" აზრები და შეამოწმოს გადაწყვეტილების ლოგიკურობა.
- ის, რომ მხარემ წამოჭრა გარკვეული საკითხი, არ ნიშნავს, რომ განაჩენში იგი აუცილებლად უნდა იქნეს განხილული, თუ ის შედეგისთვის მნიშვნელოვანი არ არის.
- სამართლებრივი პრინციპების განხილვა განაჩენის არსს წარმოადგენს. მან სასამართლოს დასკვნა უნდა წარმოაჩინოს მსჯელობისა და ლოგიკის საფუძველზე, მკითხველი შედეგის სისწორეში უნდა დაარწმუნოს მსჯელობის ძალით და არა — კამათით.
- მოსამართლე უნდა შეეხოს სადავო მოსაზრებებსა და საწინააღმდეგო არგუმენტებს, საკითხები ერთმანეთს უნდა დაუპირისპიროს და მათზე ღიად იმსჯელოს. მიუხედავად იმისა, რომ განაჩენი ყველა საკითხსა და დავას არ უნდა შეეხოს, მსჯელობა საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ წაგებულ მხარეს აჩვენოს, რომ მისი პოზიციის არსებითი ასპექტები სრულად იქნა გათვალისწინებული.
- განაჩენის დასაბუთებისათვის ხშირად აუცილებელია განიმარტოს, თუ რატომ არ

იქნა გათვალისწინებული საწინააღმდეგო არგუმენტები, თუმცა, წაგებული მხარის ძირითადი არგუმენტების განხილვისას განაჩენი არ უნდა იქცეს კამათის საგნად მოსამართლესა და მხარეს შორის, ან — სხვა მოსამართლესთან, ან — ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოსთან.

- თუ წაგებულმა მხარემ არსებითი არგუმენტები წარმოადგინა, განაჩენში უნდა განიმარტოს, თუ რატომ არ იქნა ისინი გათვალისწინებული, თუმცა, მან არ უნდა გააქარწყლოს წაგებული მხარის არგუმენტები მხოლოდ ცალკეული საკითხების მიხედვით, ანდა მიიღოს კამათის ან წინააღმდეგობის ელფერი.

ციტირება

- თუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვან საკითხზე წარსულში იმავე ან ზემდგომმა სასამართლომ რაიმე არსებითი განმარტა, კონკრეტულის ციტირება შესაძლებელია უფრო დამარწმუნებელი და ინფორმაციული იყოს, ვიდრე მისი უბრალო მითითება ან პერიფრაზა.
- თუმცა, ციტირების გავლენა მისი სიდიდის უკუპროპორციულია. ამიტომ მოიყვანეთ მოკლე ციტატა და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია.

ურთიერთობა ქვემდგომი და ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეებს შორის

- ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს შეუძლია და მან უნდა გამოასწოროს კიდეც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს შეცდომები, ეს უნდა შესრულდეს გარემოებების შელამაზებისა და ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს კრიტიკის გარეშე.

მრავალსიტყვაობა

- მრავალსიტყვაობა ნიშნავს არა მხოლოდ ზედმეტი სიტყვების გამოყენებას, მაგ.: ორი სიტყვის გამოყენებას, როდესაც ერთიც საკმარისია, არამედ ასევე — ზედმეტი ინფორმაციის გადმოცემას, ზედმეტი საკითხების განხილვას და უბრალოდ, ზედმეტად ვრცლად წერას.
- ხშირად მრავალსიტყვაობა ასახავს ავტორის უმოქმედობას ან უუნარობას, განასხვაოს არსებითი პრობლემა ნაკლებად მნიშვნელოვნისაგან.

სიზუსტისა და სიცხადის ნაკლებობა

- სიზუსტე კარგად წერის უპირველესი წინაპირობაა.
- განაჩენის წერისას სიზუსტე მნიშვნელოვანია არა მარტო სტილის თვალსაზრისით, არამედ იმიტომაც, რომ მოსამართლეები სამართლიანობისათვის წერენ.
- მცდელობასა და გულდასმით რედაქტირებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ზუსტად წერისათვის. ეს ნიშნავს იმას, რომ მოსამართლემ კრიტიკულად უნდა გადაიკითხოს განაჩენის თითოეული წინადადება და დასვას შეკითხვა: აქ რისი თქმა მინდოდა? სწორედ ეს ვთქვი და მეტი არაფერი?

გაუგებარი ანალიზი

- მიუხედავად იმისა, რომ სასურველია, განაჩენს მარტივი და სხარტი ფორმა ჰქონდეს, მოსამართლემ მსჯელობა საკმარისად უნდა განავრცოს, რათა მკითხველმა სწორად აღიქვას მისი არსი.

პომპეზურობა და იუმორი

- სამართლებრივი წერა შეიძლება იყოს პომპეზური, თუმცა მოსამართლე უნდა უფრთხილდეს პომპეზურობის ნიშნებს, როგორიცაა: ორაზროვანი ან მაღალფარდოვანი გამონათქვამები; მედიდური სიტყვის „ჩვენ" გამოყენება; ექსკურსები შეუსაბამო ერუდიციის გამოსავლენად და ა.შ.
- განაჩენში იუმორი მხარეს შესაძლებელია, მოსამართლის ქედმაღლობად და მგრძნობიარობის ნაკლებობად მოეჩვენოს, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, რომ სამართალწარმოებაში მხარემ რაიმე სასაცილოდ მიიჩნიოს.

მოერიდეთ არასაჭირო სიტყვებს

- კარგად წერა ნიშნავს ზუსტად წერასაც. წინადადება არ უნდა შეიცავდეს ზედმეტ სიტყვებს, აბზაცი — ზედმეტ წინადადებებს იმავე მიზეზით, რითაც, მაგალითად, ნახატზე არ უნდა იყოს ზედმეტი ხაზები.
- ეს არ ნიშნავს იმას, რომ ავტორმა შეამოკლოს ყველა წინადადება, ან საერთოდ არ შეეხოს დეტალებს და საკითხი მხოლოდ ზედაპირულად განიხილოს.
- აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ განაჩენში ყველა სიტყვას უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა და თავისი დანიშნულება.

წერეთ მოკლედ და პირდაპირ

- მოკლედ წერა ხელს უწყობს სიაშკარავეს. მეტად სავარაუდოა, რომ ნაწერი, რომელიც საკითხებს მოკლედ განიხილავს, უკეთ გასაგები იქნება, ვიდრე ვრცელი ვერსია. მოკლედ წერა ავტორს აგრეთვე აიძულებს, ზუსტად გააანალიზოს და ყურადღება გაამახვილოს იმაზე, თუ რისი თქმა სურს.
- სამართლებრივი წერა პირდაპირი უნდა იყოს. გამოიყენეთ მარტივი, დეკლარაციული ხასიათის წინადადებები და უმეტესად მოკლე აბზაცები, თუმცა, ცვალეთ წინადადებების სიგრძე და სტრუქტურა, როდესაც აუცილებელია ხაზგასმა, კონტრასტი და მკითხველის დაინტერესება.

გამოიყენეთ სასაუბრო ქართული

- კომპლექსური მოსაზრებებიც კი შეიძლება გამოითქვას მარტივი ენით, რომელიც გასაგებია ჩვეულებრივი მკითხველისათვის. მარტივ ენაზე წერა მოითხოვს იმას, რომ მოსამართლემ სრულად გაიგოს აზრი, რაც მას შესაძლებლობას მისცემს, დაშალოს იგი ძირითად კომპონენტებად.
- თავიდან აიცილეთ „იურიდიული ენა", კლიშეები, გაცვეთილი ფრაზები (მაგ.: „როგორც

ზემოთ აღინიშნა”), ლათინური გამონათქვამები, ჟარგონი.

- სპეციალური იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებისას გაითვალისწინეთ, თუ რამდენად გასაგებია იგი სავარაუდო მკითხველისათვის.

ყურადღებით მოეკიდეთ რედაქტირებას

- მოსამართლემ თავისი ნაწერი კრიტიკულად უნდა შეამოწმოს, გამოასწოროს ბუნდოვანებები, გააუქმოს ზედმეტი, გააშალაშინოს გადასვლები და შეამჭიდროოს სტრუქტურა.

წაიკითხეთ ხელახლა და შეასწორეთ

- რედაქტირება მოიცავს ზედმეტი სიტყვებისა და ფაქტების წაშლას, ბუნდოვანი და დაუდევარი წინადადებების ხელახლა დაწერას, ტავტოლოგიის აღკვეთას, რეორგანიზებას, განაჩენის გასუფთავებას, გაშალაშინებასა და შემჭიდროებას.

- რედაქტირება მხოლოდ ენაზე, გრამატიკასა და სტილზე არ უნდა იყოს ორიენტირებული. მოსამართლემ განაჩენის თანამიმდევრულობაც უნდა შეამოწმოს.

გადადეთ პროექტი და დაუბრუნდით მას დასვენებული გონებით

- „პროექტის ცოტა ხნით გვერდზე გადადებამ” შესაძლებელია, რედაქტირების პროცესს მეტი ობიექტურობა შემატოს. ეს მოსამართლეს დაეხმარება, დაინახოს ისეთი რამ, რასაც ადრე ვერ ამჩნევდა, ან სხვა თვალით შეხედოს განაჩენს და ახალ იდეებზე იფიქროს.

პროექტის წაკითხვა სთხოვეთ სხვას

- მოსამართლის თანაშემწემ, რომელსაც აქამდე მოცემულ პროექტზე არ უმუშავია, შესაძლებელია სასარგებლო ფუნქცია შეასრულოს, რაც გამოიხატება სხვა თვალის მიერ პროექტის წაკითხვაში, სარედაქციო ხასიათისა თუ არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების კრიტიკაში და ა.შ. თუმცა, ეს ფუნქცია შეიძლება იმ თანაშემწემაც შეასრულოს, რომელიც მოსამართლეს პროექტის შექმნასა თუ რედაქტირებაში ეხმარებოდა.

განსხვავებული აზრი

- განსხვავებული აზრი სხვადასხვა მიზანს ემსახურება. განსხვავებულმა აზრმა, რომელიც მკვეთრ ან დამრიგებლურ ტონს ატარებს, შესაძლებელია, სასამართლოს შემადგენლობის წევრების გახლეჩა და მათ უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება გამოიწვიოს; შეარყიოს განაჩენისა და, ზოგადად, სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს, ავტორიტეტი; გამოიწვიოს გაუგებრობა და ა.შ.

განაჩენის ტექსტის სტილისტიკური გამართულობა

სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის მიზნით შექმნილი კომისიის ფარგლებში, ასევე მრავალი პრაქტიკოსი იურისტის თხოვნა-სურვილის გათვალისწინებით, სტილისტიკურად შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა უაღრესად ვრცელი მასალა, რის შედეგადაც გამოვლინდა ყველაზე გავრცელებული ტიპობრივი შეცდომები, რომლებიც გარკვეულ სისტემაში იქნა მოყვანილი და წინამდებარე სახით გთავაზობთ.

ქართულში არსებობს შესანიშნავი გამოთქმა — "სიტყვის გზა". "სიტყვის გზაში" მიზანმიმართული სიტყვა იგულისხმება, რომელიც ხშირად უფრო ეფექტურია, ვიდრე სხვა რამ საშუალება. სიტყვა მაშინ არის გზიანი, როდესაც მთქმელი მას სწორ გზას, სწორ მიმართულებას უძებნის, როდესაც გააზრებული აქვს, რას ამბობს, როგორ ამბობს, როდის ამბობს, ვის ეუბნება. მოსამართლის სიტყვამ თავისი გზა რომ იპოვოს ანუ მიზანმიმართული გახდეს, უმთავრესი კრიტერიუმი, რითაც იგი უნდა ხელმძღვანელობდეს განაჩენზე მუშაობისას, არის აზრის ნათლად, გასაგებად, მარტივად ჩამოყალიბება, — რთული კონსტრუქციის წინადადებების, იურიდიული ტერმინოლოგიის ჭარბად გამოყენების, პლეონიზმების (ზედმეტი სიტყვების) გარეშე. მოსამართლის მსჯელობა, მისი არგუმენტები, რომლებითაც ის ამტკიცებს ან უარყოფს ამა თუ იმ აზრს, ისე უნდა იყოს გამართული, ისე ნათლად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ არც ერთ მხარეს საეჭვო, საკამათო და სადავო არაფერი დარჩეს. მათ უნდა ირწმუნონ ნაწერის, გადაწყვეტილების სიმართლე და კანონიერება.

სახელმძღვანელო წინადადებები[1]

I

ჩვენი უპირველესი რჩევაა წეროთ მოკლე (მარტივი) წინადადებებით და დასვათ წერტილი. ხშირად მთელი აბზაცი ერთი რთული კონსტრუქციის წინადადებაა, რომელიც ბუნდოვანი და მკითხველისთვის რთულად აღსაქმელია. მარტივი წინადადებებით აზრის ჩამოყალიბება — გამოხატვა ადვილი არ არის, მაგრამ მათი მეშვეობით ჩანაფიქრი უფრო ნათლად გადმოიცემა. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ რთული წინადადებებით არ ისარგებლოთ, ისინი ქართულისთვის ბუნებრივია, ორგანულია, "კარგად ჯდება" თხრობაში, მაგრამ — იმ შემთხვევაში, თუ წინადადებას სწორად ავაგებთ. რამდენიმე დაქვემდებარებული წინადადება ერთ მთავართან, ამდენი **„მაგრამ", „რომელიც", „როდესაც", „ხოლო"** და სხვა მაქვემდებარებელი კავშირებით აგებული წინადადებებით მსჯელობა — გაანალიზება — დამტკიცება — უარყოფა, რაც განაჩენების ძირითადი მიზანია, ნააზრევს გარკვეულწილად ბუნდოვანს ხდის.

ბუნდოვანება კი სასამართლო განაჩენების ყველაზე დიდი ნაკლია (რბილი შეფასებით), რადგან ბუნდოვანება ქმნის ნოყიერ ნიადაგს ტექსტის ინტერპრეტაციისათვის — ორივე მხარე მას თავის სასარგებლოდ კითხულობს, რაც ორმაგი წაკითხვის სტანდარტის საფუძველი ხდება. ეს კი გაუთავებელ დავას წარმოშობს ("აქ ამის თქმა უნდოდა ავტორს, იქ — იმის", "თქვენ არასწორად გაიგეთ", "ეს ასე კი არა, ისეა" და სხვა. ალბათ, ხშირად ყოფილხართ ასეთი კამათის მოწმენი).

თუ მხარე განაჩენმა არ დაარწმუნა გამოტანილი ვერდიქტის სისწორეში, მაშინ, რა თქმა უნდა, მიზანი მიღწეული არ არის და საეჭვო ხდება არა მარტო მოსამართლის, არამედ სასამართლოს ავტორიტეტიც. ამიტომ წერის და მეტყველების მაღალი კულტურა მოსამართლეს ისევე სჭირდება, როგორც — კანონის ცოდნა.

დანტემ, რომელსაც იტალიელი ხალხი უზენაეს პოეტს და სამშობლოს მამას უწოდებს, თავის "ნადიმში" იტალიური ენა ქერის პურს შეადარა — ე.ი. ყველასათვის საყვარელს, ყველასათვის სასურველს, ყველასათვის უბრალოს, ხელმისაწვდომსა და საყოველთაოს. ქართული ენა, რომელსაც აკადემიკოსი ნიკო მარი თავისი შინაგანი ბუნებით მსოფლიო ენას უწოდებდა, გონიერი მოქართულის ხელში ის საჭრეთელია, რომლითაც ნებისმიერი სირთულის იურიდიული დოკუმენტი ნებისმიერი პირისათვის შეიძლება გახდეს ხელმისაწვდომი და ადვილად აღსაქმელი.

სასვენი ნიშნების გამოყენება, უფრო სწორედ — გამოუყენებლობა

დავიწყოთ სასვენი ნიშნებით:
გარდა იმისა, რომ სასვენი ნიშნების სწორად ხმარება, ზოგადად, წერის კულტურის ნიშანია, მას წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. სასვენი ნიშნების არასაჭირო ადგილას დასმა ან პირიქით — საჭირო ადგილას არდასმა ცვლის წინადადების შინაარსს და ხშირად, რისი თქმაც გვინდა, იმის საპირისპიროს ვიღებთ. ამიტომ მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ ერთი შეხედვით უწყინარი წერტილ-მძიმის სწორად გამოყენებას.

1 ავტორები: თინათინ ქოქრაშვილი და მანანა ტაბიძე.

აბრევიატურის სწორად წერა

აბრევიატურა ანუ სიტყვის პირობითი შემოკლება, მაგალითად, აშშ, მაგთი, შპს, სს, გაერო, ეუთო, იუნესკო, იუნისეფი და მრავალი სხვა განსაკუთრებით ხშირად გვხვდება განაჩენებში.

აბრევიატურა იწერება წერტილების გარეშე, მაგ: სს და არა ს.ს., შპს და არა შ.პ.ს.

აბრევიატურის ბრუნვისას ბრუნვის ნიშანი დეფისით არ უნდა გამოიყოს და ბრჭყალების შიგნით უნდა მოექცეს. მაგ: შპს "ზილის", შპს "ზილისათვის" და არა — შპს "ზ.ი.ლ"-ის, შპს "ზ.ი.ლ."-ისათვის.

II

არ შეიძლება სიტყვების „ბოროტად" გამოყენება. ეს განსაკუთრებით ეხება შემდეგ სიტყვებს: „აღნიშნული", „განხორციელება", „აწარმოებს", „იქნა", „მოხდა", „მოიაზრება", რომლებიც გვხვდება ყველგან, ყველანაირ კონტექსტში. "აღნიშნული ფაქტი", "აღნიშნული დადგენილება", "აღნიშნული ავტომობილი", "აღნიშნული მოსარჩელე", "აღნიშნული ექსპერტიზა" და ა.შ.

სტილისტიკური თვალსაზრისით, განსაკუთრებით უმართებულოა, როდესაც "აღნიშნულს" ცალკე, საზღვრული სიტყვის გარეშე იყენებენ. მაგ: "აღნიშნული ამტკიცებს", "აღნიშნულით მან გაამყარა თავისი აზრი", "აღნიშნულით უთითებს" და სხვა.

"აღნიშნულს" აუცილებლად სჭირდება მეორე სიტყვა ანუ ტანდემი უნდა შეიქმნას: "**აღნიშნული გარემოება** ამტკიცებს", "**აღნიშნული არგუმენტით** მან გაამყარა თავისი აზრი", "**აღნიშნული დებულებით** იგი უთითებს" და სხვა. ყური და თვალი ისეა შეჩვეული ამ "აღნიშნულს", რომ აღარ გვეხამუშება, მაგრამ ხშირი ტავტალოგია სტილისტურად "ამძიმებს" ტექსტს.

ასევეა სიტყვა „განხორციელება", რომლის გამოყენების არეალი განუზომლად გაიზარდა. შეიძლება "მისასვლელი გზა განხორციელდეს?" (სწორია: "მისასვლელი გზა გაიყვანა"). ნაცვლად იმისა, რომ დავწეროთ "ტექნიკა გაიტანა", ვწერთ "ტექნიკის გატანა განახორციელა", ასევე "თანხის ჩარიცხვა განახორციელა", ნაცვლად იმისა, რომ დავწეროთ "თანხა ჩარიცხა". ვწერთ "საქმიანობა ვერ განახორციელა", მართებულია კი — "საქმიანობა ვერ შეძლო" და სხვა მრავალი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ჭარბი გამოყენება სისხლის სამართლის საქმეებში დანაშაულთა აღწერისას. "მ.კ. კედელს ამოეფარა და იქიდან განახორციელა სროლა". "სროლები განახორციელეს წინასწარ ჩასაფრებულმა პირებმა". უამრავი ამგვარი წინადადების მოყვანა შეიძლება. **როდემდე უნდა ვახორციელოთ სროლები?** დროა, ამ სიტყვას თავისი შესაფერისი ადგილი მივუჩინოთ.

იგივე ვითარებაა სიტყვა "წარმოებასთან" დაკავშირებით, რომელიც გვხვდება ყველანაირ კონტექსტში:

		უნდა იყოს:
საქმის გამოძიებას აწარმოებს	—	საქმეს იძიებს
მტკიცებულებების გამოკვლევას აწარმოებს	—	მტკიცებულებებს იკვლევს
ექსპერტიზას აწარმოებს	—	ექსპერტიზას ატარებს
რეგისტრაციას აწარმოებს	—	აღრიცხავს
საკანცელარიო საქმეებს აწარმოებს	—	საკანცელარიო საქმეებს უძღვება, განაგებს

სიტყვები — „იქნა" და „სასამართლო თვლის"

აბსოლუტურად ყველა განაჩენშია: "სრულყოფილად არ იქნა", "საქმეზე დადგენილ იქნა", "ვერ იქნა წარმოდგენილი ამ გარემოების დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულებები", "სასამართლოს მიერ არ იქნა გამოკვლეული", "სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები" და "მოსარჩელის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი".

მართებული ფორმებია: სასამართლომ არ გამოიკვლია; არ შეაფასა; სასამართლომ დაადგინა ან არ დაადგინა; მოსარჩელემ წარმოადგინა; განმარტა და სხვა.

სიტყვა **„თვლის"** მხოლოდ თავისი მნიშვნელობით უნდა გამოვიყენოთ ანუ ვინმეს ან რაიმეს თვლისას და მას არ შეიძლება სხვა შინაარსი მივანიჭოთ. ეს კონტექსტი — "სასამართლო თვლის" — თითქმის ყოველ აბზაცშია. ამიტომ უნდა გამოვიყენოთ: **„სასამართლოს მიაჩნია", „სასამართლოს აზრით", „პალატის შეხედულებით", „სასამართლოს მოსაზრებით".**

მართალია, ზოგჯერ თავიდან ვერ ავიცილებთ სიტყვების — **„იქნა" და „მიერ"** გამოყენებას, მაგრამ სადაც შესაძლებელია, მათი გავრცელების არეალი უნდა შევზღუდოთ და ზმნათა აქტიური, მოქნილი ფორმებით ჩავანაცვლოთ: დაამტკიცა, გამოიყენა, წარმოადგინა, შეაფასა, გამოიკვლია, დაადასტურა, ჩაატარა, შეასახლა და სხვა.

იგივე ითქმის სიტყვა **„მოხდაზე"**. ასევე არ შეიძლება მისი ყველანაირ კონტექსტში გამოყენება. "მოხდა ექსპერტიზის დანიშვნა", "მოხდა თანხის გადარიცხვა", "მოხდა სხდომის გადადება", "მოხდა დენის გათიშვა". **უნდა იყოს: „ექსპერტიზა დაინიშნა", „თანხა გადაირიცხა", „სხდომა გადაიდო", „დენი გაითიშა" და სხვა.**

სიტყვები — „მოიაზრება", „დავმოკლდები", „ჩამოვყალიბდები", „ვკონკრეტდები", „აღარ განვმეორდები", „გაახმოვანა", „გააჟღერა"

„მოიაზრების" ნაცვლად მართებულია გამოვიყენოთ **„იგულისხმება"**. სრულიად გაუგებარია **„დავმოკლდების"** დამკვიდრება **„მოკლედ ვიტყვის"** ნაცვლად და **„აღარ განვმეორდების"** გამოყენება **„მეორედ აღარ გავიმეორებ"** — შესიტყვების ნაცვლად. ასევე უმართებულოა: **„ამ საქმეზე ჩამოვყალიბდები და მოგახსენებთ"**. უნდა იყოს: **„ამ საქმეზე ჩამოვაყალიბებ ჩემს მოსაზრებას და მოგახსენებთ"**. ასევე: **„ვკონკრეტდები"** კი არა, არამედ – **„ვაკონკრეტებ ჩემს მოსაზრებას"**. ხშირად „აღნიშნა", „განაცხადა", „თქვა" – ზმნების ნაცვლად გვესმის **„გააჟღერა"**. მაგ.: **„პროკურორმა თავისი მოსაზრება გააჟღერა"**; **„გაჟღერდა განაჩენის ძირითადი არსი"**, რაც არ არის სწორი, რადგან **„ჟღერა"** დაკავშირებულია მუსიკალური ბგერების გამოცემასთან – **„ჟღერს მუსიკა"**, **„აჟღერებს სიმებს"** და სხვ. ამიტომ უნდა ვთქვათ და ვწეროთ: **„პროკურორმა თავისი მოსაზრება განაცხადა ან აღნიშნა"**. **„გაცხადდა განაჩენის ძირითადი არსი"**. რაც შეეხება **„გახმოვანებას"**, უმართებულოა მისი გამოყენება **„აზრის გამოთქმის"** ან **„გამოცხადების"** ნაცვლად. მაგალითად: **„მოსამართლე თავის განაჩენს დღეს გაახმოვანებს"** — შეცდომაა. უნდა იყოს: **„მოსამართლე თავის განაჩენს დღეს გამოაცხადებს"**, მაგრამ **„მსახიობი ფილმს ახმოვანებს"** — აქ კი სწორედ **„ახმოვანებს"** არის საჭირო სიტყვა.

III

დონე უნდა ავიმაღლოთ თუ უნდა გავიღრმაოთ?

დონე შეიძლება იყოს მაღალი ან დაბალი. მაგალითად, "წყლის დონე მაღალია". აქედან გამომდინარე, შეიძლება დონის ამაღლება ან დაქვეითება, დადაბლება.

სწორი ფორმაა: "ამაღლდა მოსამართლეთა კვალიფიკაციის დონე", მაგრამ გვხვდება დონის გაღრმავებაც, რაც მცდარი გამოთქმაა.

გაღრმავება შეიძლება ცოდნის, ღრმა დონე არ არსებობს. ცოდნა კი შეიძლება იყოს ღრმა ან ზერელე.

ე.ი. მართებული ფორმებია: დონე ამაღლდა ან დადაბლდა, ხოლო ცოდნა — გაღრმავდა.

IV

ცივილიზებული თუ ცივილური?

ერთიც და მეორეც, ოღონდ თავ-თავის ადგილზე! ცივილიზებული ნიშნავს ცივილიზაციას ზიარებულს, კულტურულს, ცივილური კი – სამოქალაქოს, არასამხედროს. ამიტომ მათი აღრევა ყოვლად დაუშვებელია. ხშირად გვესმის: **„ცივილური ქცევა"**, **„ცივილური ქალაქი"**, რაც არასწორია. უნდა იყოს: ცივილიზებული ქცევა, ქალაქი, ყოფა, აზროვნება და ა.შ., ხოლო ცივილური ურთიერთობა ნიშნავს არა კულტურულ ურთიერთობას, არამედ – სამოქალაქოს.

V

აფიქსირებს თუ აღნიშნავს, თქვა, განაცხადა?

განაჩენებში ხშირია ზმნის — „აფიქსირებს" გამოყენება „აღნიშნავს", „თქვა", „განაცხადას" ნაცვლად, რაც უმართებულოა. მაგალითად: „მხარეებმა დააფიქსირეს თავიანთი აზრი"; „სხდომის თავმჯდომარემ დააფიქსირა, რომ საქმე ზეპირი მოსმენით განიხილებოდა". უნდა იყოს: „მხარეებმა გამოთქვეს თავიანთი აზრი", „სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქმე ზეპირი მოსმენით განიხილებოდა".

„აფიქსირებს" გამოიყენება აღნუსხვის მნიშვნელობით. ქართულისათვის ბუნებრივია შემდეგი წინადადება: „სამართალდამცავებმა მრავალი ანალოგიური ფაქტი დააფიქსირეს".

VI

ე.წ. „რუსული კალკები"

განაჩენებში ხშირად გვხვდება გამოთქმები: "მთვრალ მდგომარეობაში მყოფი", "დაკეტილ მდგომარეობაში მყოფი", გაჩერებულ მდგომარეობაში მყოფი", რაც რუსული გამოთქმების პირდაპირი თარგმანია.

მართებული ფორმებია: **„იყო მთვრალი", „ნასვამი", ავტომანქანას ნასვამი მართავდა", „მანქანა გაჩერებული იყო", „მანქანა დაკეტილი იყო" და სხვ.**

ასევე რუსული გამოთქმების — Ряд вопросов, Целый ряд вопросов-ის ანალოგიით ამ გამოთქმებმა თარგმანის გზით გაიკვალა გზა ქართულში. ესაა — „რიგი საკითხებისა" და „მთელი რიგი საკითხებისა". რად უნდა ვთქვათ რიგი საკითხი, არგუმენტი, საქმე, მტკიცებულება, როცა გვაქვს მისი შესატყვისი შესანიშნავი ქართული სიტყვები: ზოგიერთი, რამდენიმე, ბევრი, მრავალი, სხვადასხვა. რატომ დავივიწყოთ, რად დავიწუნოთ საკუთა-

რი და რად მივცეთ სხვას უპირატესობა? **ზოგიერთი საკითხი, რამდენიმე არგუმენტი, ბევრი საქმე, მრავალი მტკიცებულება — მშვენიერი შესიტყვებებია.**

სასამართლო განაჩენებში ძალზე პოპულარული გამოთქმაა "ადგილი აქვს" ან "ადგილი არა აქვს", რაც რუსული Имеет место-ს შესატყვისია. თითქმის ყოველ განაჩენშია — "ადგილი აქვს დანაშაულის რეციდივს". "დანაშაულს ადგილი არ ჰქონია". "კანონის დარღვევას თითქმის სისტემატურად აქვს ადგილი". "ამ პროცესში ადგილი აქვს მტკიცებულებების გაყალბებას".

„მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა"

ეს გამოთქმაც რუსული ენის გავლენითაა დამკვიდრებული.

"ქვეშ" ცალკე მდგომი თანდებულია და აღნიშნავს რაღაცის ქვეშ ყოფნას: მაგიდის ქვეშ, საწოლის ქვეშ და სხვა. რას ნიშნავს "მართვის ქვეშ?" ავტომანქანა როგორ უნდა მოექცეს მართვის ქვეშ? **უნდა იყოს: „ავტომანქანა, რომელსაც იგი მართავდა".**

„ძებნაშია", „მიმალვაშია", „ძებნაში მყოფი", „მიმალვაში მყოფი"

ძალზე ხშირად გვხდება: „პირი ძებნაშია", „პირი მიმალვაშია", რაც უმართებულოა. ეს შესიტყვებები რუსული გამოთქმის ისეთივე კალკირებული ვარიანტია, როგორიც, მაგალითად, „წამალი გაყიდვაშია". მისი ბუნებრივი ქართული ეკვივალენტია: „პირი იძებნება", „პირი იმალება" ან „მიმალულია". ასევე „ძებნაში მყოფი", „მიმალვაში მყოფი" კი არა, არამედ — „ძებნილი", „მიმალული" და სხვ.

VII

პირი და პიროვნება

რა შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ან ერთი ან მეორე? **პირი** ფართო მნიშვნელობის სიტყვაა და ახასიათებს ამა თუ იმ ინდივიდს მისი სოციალური მდგომარეობისა თუ ოფიციალური სტატუსის მიხედვით, მაგ: სამოქალაქო პირი, სამხედრო პირი, სასულიერო პირი, პასუხისმგებელი პირი, ნდობით აღჭურვილი პირი, უცხო პირი, გარეშე პირი და სხვა. რაც შეეხება **პიროვნებას**, მისი მნიშვნელობა უფრო ვიწროა და გულისხმობს ადამიანს გამორჩეული მორალური თუ ინტელექტუალური თვისებებით, მაგ: საინტერესო პიროვნება, ძლიერი პიროვნება, ინტელექტუალური პიროვნება, ნაკითხი პიროვნება, სუსტი პიროვნება, გამორჩეული პიროვნება, კარგი პიროვნება და სხვა. შეინიშნება, რომ უფრო ხშირად **პიროვნება იხმარება პირის ნაცვლად** (მაგ: "სასამართლომ განიხილა 6 პიროვნების სარჩელი", **უნდა იყოს:** 6 პირის სარჩელი. ასევე: "დაწესებულების მანქანას უნდა იყენებდეს მხოლოდ ის პიროვნება, ვისზეც ტრანსპორტია მიმაგრებული". **უნდა იყოს:** ის პირი, ვისზეც ტრანსპორტია მიმაგრებული).

VIII

სამუშაოდ განაწესეს, გაგზავნეს თუ გაანაწილეს?

როდესაც რამდენიმე ადამიანზეა საუბარი, შეიძლება ვთქვათ "გაანაწილეს". მაგალითად: "მოსამართლეები სამუშაოდ რაიონებში გაანაწილეს". "იუსტიციის საბჭომ მოსამართლე-

ები სამუშაოდ გაანაწილა“. მაგრამ როცა ზმნა “გაანაწილეს“ ერთ სპეციალისტს ეხება, მაშინ არ შეიძლება ვთქვათ “სამუშაოდ გაანაწილეს“, რადგან ერთი კაცის “განაწილება“ წარმოუდგენელია. ასეთ შემთხვევაში მართებულია ვთქვათ “სამუშაოდ განაწესეს“ ან “სამუშაოდ “გაგზავნეს“ **ე.ი. სწორია სამუშაოდ განწესება, გაგზავნა და არა — განაწილება.**

ქართველი იურიდიული საზოგადოებრიობა თუ ქართული იურიდიული საზოგადოებრიობა?

საზოგადოებრიობა ადამიანთა ერთობლიობაა, კრებითი სახელია, ამიტომ მსაზღვრელად ადამიანის სადაურობის (თუ ეროვნების) გამომხატველი სიტყვა უნდა დავურთოთ. **მაშასადამე, უნდა ვთქვათ და ვწეროთ: ქართველი (და არა ქართული) იურიდიული საზოგადოებრიობა, ისევე როგორც ქართველი (და არა ქართული) სტუდენტობა, ინტელიგენცია და სხვა.**

და ბოლოს:

ხშირია შემთხვევები, როცა განაჩენების დიდი ნაწილი მოსამართლეებს დაბეჭდვის შემდეგ არ წაუკითხავთ და ისე აქვთ ხელი მოწერილი. სხვაგვარად შეუძლებელია, მათ არ შეემჩნიათ გარკვეულ სიტყვათა ორჯერ დაბეჭდვის შემთხვევები, ასე მრავლად გამოტოვებული ასოები, არეული სასვენი ნიშნები და სხვა. ვფიქრობთ, ზედმეტია კიდევ ერთხელ მინიშნება, რომ დაბეჭდვის შემდეგ განაჩენი აუცილებლად ყურადღებით და კრიტიკულად უნდა იყოს წაკითხული და მხოლოდ ამის შემდეგ — ხელმოწერილი.

IX

სესხების აუცილებლობის საკითხი

ლექსიკის სესხება, განსაკუთრებით დარგობრივი ლექსიკისა, დამახასიათებელია ნებისმიერი ენისათვის, თუმცა სხვადასხვა თავისებურებით. ლექსიკის სესხებასთან დაკავშირებით ორი ფაქტორი იპყრობს ყურადღებას: 1. ე.წ. გარდაუვალი სესხება, ანუ როდესაც სესხება აუცილებლობაა, რადგან მიმღებ ენას არა აქვს ამავე მნიშვნელობის სიტყვა, რამდენადაც თავად ცნებაც (აღსანიშნიც) სიახლეა კონკრეტულ სიტუაციაში. ასეთ შემთხვევაშიც, ცხადია, შეიძლება მოიძებნოს მიმღები ენის ლექსიკაში (ძველში ან ახალში) მეტ-ნაკლებად მსგავსი ისეთი სიტყვა, რომელსაც დაეკისრებოდა ამ ახალი შინაარსის გადმოცემა, თუმცა ასეთ შემხვევებში ზომიერების ფარგლებში არც სესხებაა მაინც და მაინც საზიანო (მაგალითად, ასეთ “გარდაუვალ ნასესხობებს წარმოადგენს: კომპიუტერი, კონსტიტუცია, კონვენცია და სხვ.), 2. ე.წ. ალტერნატიული სესხება, როდესაც ენაში არის სათანადო სიტყვა, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზით (უცხოენოვანი მასალის სისტემატიური გამოყენების, მთარგმნელის დაუდევრობისა თუ არაკომპეტენტურობის, მოდის, გამსესხებელი ენის პრესტიჟულობის ან სხვა მიზეზის გამო) მისი უცხოური ეკვივალენტი იქნა გადმოტანილი. ამგვარი სესხებისას მოხვდა ქართულში ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა: ნაცია (ერი)/ნაციონალური (ეროვნული), მენეჯმენტი (მართვა), ... და სხვ.

ალტერნატიული სესხების შემთხვევაში გარკვეული დროით ენაში ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ ძველი და ახალი ლექსიკური ერთეულები, დროთა განმავლობაში კი ან ერთ–ერთი დაიკარგება, ან ეს ორი ეკვივალენტური ლექსემა ერთმანეთში გადაინაწილებს ძირითადი მნიშვნელობის სხვადასხვა ასპექტს და განაგრძობს არსებობას, როგორც დამოუკიდებელი მაგრამ სინონიმური ლექსემა (ამ რიგისაა: შეტყობინება [გზავნილი] და მესიჯი და ა.შ.).

სწორედ "ალტერნატიული სესხებიდან მომდინარეობს ქართულში იურიდიული ტერმინოლოგიური დუბლეტებიც, როგორიცაა: (პროკურორი/ბრალმდებელი. ადვოკატი/ დამცველი (მაგ.: სახალხო დამცველი, მაგრამ არა სახალხო ადვოკატი), სასამართლო გადაწყვეტილებები (ქეისები) „ხელშეკრულება" — „შეთანხმება" — „კონვენცია" და სხვ.)

ხელშეკრულება	—	კონტრაქტი
მედიატორი	—	მომრიგებელი
მაკლერი	—	შუამავალი
ოფერტი	—	შეთავაზება
აქცეპტი	—	თანხმობა, მიღება, დადასტურება
ალიმენტი	—	სარჩო
ბენეფიციარი	—	მოსარგებლე
ლეგატი	—	საანდერძო დანაკისრი
რეკლამაცია	—	პრეტენზია
კომპენსაცია	—	ზიანის ანაზღაურება
ავთენტიკური /აუთენტიკური	—	ჭეშმარიტი
ასოციაცია	—	კავშირი
დევიაცია	—	გადახრა
ინტერნაციონალური	—	საერთაშორისო
იუვენალური	—	არასრულწლოვანთა
იდენტური	—	მსგავსი
კონტრაქტი	—	ხელშეკრულება
კუმულაცია	—	ერთობლიობა
ლეგალური	—	კანონიერი
ლეგალიზაცია	—	დაკანონება
რელევანტური	—	მნიშვნელოვანი
რესოციალიზაცია	—	გამოსწორება
პენიტენციალური	—	სასჯელაღსრულებითი
პრომულგირება	—	დადასტურება
პრევენცია	—	არიდება
რეალიზაცია	—	გასაღება
რეაბილიტაცია	—	გამოსწორება
დეტერმინირება	—	განზრახვა
კომპენსაცია	—	ანაზღაურება
ინვესტიცია	—	დაბანდება
დიფერენციაცია	—	განსხვავება
კაზუსი	—	შემთხვევა

X

ლექსიკა-ფრაზეოლოგიური შეცდომები და რეკომენდაციები მათ გასასწორებლად

სიტყვათა შერჩევა, განსაკუთრებით სასამართლოს განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში მარტო იურისტებზე დამოკიდებულიც არ არის, ამ ნაწილში მნიშვნელოვანია მოწმეთა ჩვენებები, სადაც ამა თუ იმ მოქმედებისა, თუ განწყობის კვალიფიკაცია ხშირად მოწმის სიტყვებითვეა გადმოცემული. ასეთ შემთხვევებს საგანგებო განხილვა მართებს:

ე.წ. პარონიმები ანუ მსგავსი ჟღერადობისა და განსხვავებული მნიშვნელობის (ან მხოლოდ ზოგ კონტექსტში განსხვავებული) სიტყვები:

არაკანონიერი (უკანონო)	–	არაკანონზომიერი (ის, რაც არ არის კანონზომიერი)
არასისტემური (ანალიზი)	–	არასისტემატური (სამუშაო)
ასაკოვანი (ადამიანი)	–	ასაკობრივი (ზღვარი)
ასიგნაცია (მოძვ. ქაღალდის ფული)	–	ასიგნება (სპეც. გარკვეული თანხის გამოყოფა რაიმე მიზნით, მიზნობრივი დაფინანსება
ასოციაცია (მაგ.ადვოკატთა გაერთიანება)	–	ასოცირება
აუცილებელი (საჭირო)	–	უცილობელი (გარდაუვალი)
აღთქმა	–	აღქმა
გაკიცხვა (დატუქსვა)	–	განკიცხვა (გაკილვა)
გაკითხვა	–	განკითხვა (განსჯა, გასამართლება)
გასამართლებელი საბუთი (ის, რაც ამართლებს)	–	გასასამართლებელი საბუთი (ის რაზეც სასამართლომ უნდა იმსჯელოს)
გამოდევნა	–	გამოდევნება
განრიგება (მოწესრიგება)	–	გარიგება
განსახლება	–	გასახლება
განურჩევლად	–	გაურჩევლად
გაპარული	–	გაპარებული
გარანტი	–	გარანტია
გასაზიარებელი	–	ზიარი, საზიარო
გატანა	–	გატანება
დაავალდებულებს, დაავალებს	–	დაავალიანებს
დაგეგმვა	–	დაგეგმარება (დაპროექტება)
დავალებული	–	დავალიანებული

დაზარალებული (ვინც მატერიალური ზარალი განიცადა)	—	დაზიანებული (მაგ. სახლი)
დეკლამაცია	—	ა) მხატვრული კითხვა; ბ) გადატ. პათეტიკური მეტყველება, ყალბი პათოსი) — დეკლარაცია (ოფიციალური განცხადება)
დეპორტი (გარიგება ბირჟაზე)	—	დეპორტაცია (გასახლება)
გასახლება (იძულებითი)	—	გადასახლება (არაიძულებითი)
დისკრეტული (ნაწყვეტ-ნაწყვეტი)	—	დისკრეციული (საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედი)
დოგმატური (უკრიტიკოდ გაზიარებული)	—	დოგმატიკური (საეკლესიო მწერლობის დარგი)
დოკუმენტისთვის დამახასიათებელი	—	დოკუმენტური (დოკუმენტებზე დამყარებული, დოკუმენტირებული (ილუსტრაციებით დამოწმებული)
დუბლეტი (მეორე ცალი)	—	დუბლიკატი (დედნის ძალის მქონე მეორე ცალი)
ერთაშორისი (მეგობრობა)	—	საერთაშორისო (ხელშეკრულება)

XI

მორფოლოგიური და სტილისტიკური შეცდომები და მათი მართებული ფორმები

შეცდომაა:	**სწორია:**
შუავმდგომლობ	ვშუამდგომლობ
რამოდენიმე	რამდენიმე
წყვიტავს	წყვეტს
ფაქტიური	ფაქტობრივი
ცოლ-ქმრული ურთიერთობა	ცოლქმრული ურთიერთობა
მონაწილეობას იღებდა	მონაწილეობდა
სხვადასხვა ეპიზოდები	სხვადასხვა ეპიზოდი
მანქანაში იჯდნენ	მანქანაში იჯდა (როცა ერთ პირზეა საუბარი), მაგრამ მანქანაში ისხდნენ (როცა მრავალ პირზეა საუბარი)
ეხლა, ეხლანდელი	ახლა, ახლანდელი
ავტომანქანა აქვს	ავტომანქანა ჰყავს
სათავსო	სათავსი

შეცდომაა:	სწორია:
სცნო, სჩანს	ცნო, ჩანს
ტრამვა	ტრავმა
მომსახურეობა	მომსახურება
სამსახურეობრივი	სამსახურებრივი
თვისობრივი	თვისებრივი
ადექვატური, რელიქვია	ადეკვატური, რელიკვია
ექვივალენტი, ქვოტა	ეკვივალენტი, კვოტა
ქვორუმი, სერთიფიკატი	კვორუმი, სერტიფიკატი
აბითურიენტი	აბიტურიენტი
სადაო, დავობს	სადავო, უდავო, უდავოდ, იდავებს, იდავა, დაობს, იდაოს, უდავია, დაობდა
ტიპიური	ტიპური, ტიპობრივი, ტიპურობა
პრემიალური	პრემიული
პრეზუმპცია	პრეზუმფცია
პრულარიზმი	პლურალიზმი
პროვინციალური	პროვინციული
შრომის უნარმოკლებული	შრომისუნარმოკლებული
მოიჯარადრე	მოიჯარე
ერთი და იგივე პირმა	ერთმა და იმავე პირმა
ერთი და იგივე პირს	ერთსა და იმავე პირს
ფსიქიური	ფსიქიკური
სტაციონალური	სტაციონარული
ნერვოლოგიური დისპანსერი	ნევროლოგიური დისპანსერი
გაწევრიანება	გაწევრება, წევრად მივიღეთ, წევრი გახდა
პროგრამირება	დაპროგრამება
ტუბერკულიოზი, ცეროზი	ტუბერკულოზი, ციროზი,
კარდეოლოგია	კარდიოლოგია
ორი წლის უკან	ორი წლის წინ
წარმოჩინდა	წარმოჩნდა
ექსგუმაცია	ექსჰუმაცია
დედასთან და ძმებთან	დედასა და ძმებთან
არავინ არ გამოეხმაურა	არავინ გამოეხმაურა
დროზე (მიეხმარა)	დროულად (მიეხმარა)
ბოლოსდაბოლოს	ბოლოს და ბოლოს
ჩვენთაგანი	ჩვენგანი
იცოდა მისმა ძმამ და ადვოკატმა	იცოდნენ მისმა ძმამ და ადვოკატმა
იქნება დასჯილი	დაისჯება

შეცდომაა:	**სწორია:**
შეურაცხოფილი	შეურაცხყოფილი
ვერავის ვერ დავადანაშაულებთ	ვერავის დავადანაშაულებთ
ავღძრავთ	აღვძრავთ
მითუმეტეს	მით უმეტეს
ქონდა	ჰქონდა
მასიური მღელვარება	მასობრივი მღელვარება
ჩემის აზრით	ჩემი აზრით
შესძლო	შეძლო
თვლიდა დამნაშავედ	მიიჩნევდა დამნაშავედ
სწორედ მოიქცა	სწორად მოიქცა
ეპატიებია	ეპატიებინა
დაანახა	დაანახვა
წინად	წინათ
როგორც მთავრობას ისევე ხალხს	როგორც მთავრობას, ისე ხალხს
ჩადის დანაშაულს	სჩადის დანაშაულს
მუშაობა დიალოგის რეჟიმში	მუშაობა დიალოგის რეჟიმით ან წესით
მოსამართლეთა წრეში ეს აზრი	მოსამართლეთა წრეში ეს აზრი
მუსირებს	ტრიალებს
დაიწყო საქმეების მოსმენები	დაიწყო საქმეების მოსმენა
დააპირა მისთვის დარტყმა	დაუპირა დარტყმა
მხარეები არ აყენებენ პრეტენზიას	მხარეები არ აცხადებენ პრეტენზიას
იგი ტაქსაობდა	იგი ტაქსისტობდა
ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან	ჩამოვიდა უცხოეთიდან, მაგრამ საზღვარგარეთ იყო („გარეთ" – მაგრამ არა „გარეთიდან")
სასამართლოს აჩვენა	ჩვენება მისცა
შეწყვიტა მათთან სახლში მისვლა	შეწყვიტა მათთან სახლში სიარული
თვალი მოკრა	თვალი მოჰკრა
არ მქონე	არმქონე
საშვალება	საშუალება
ორ სართულიანი	ორსართულიანი
წინად	წინათ
ნერვოზი	ნევროზი
თანხა ეკონომიკურად დახარჯა	ეკონომიურად (სწორია, თუკი მომჭირნეობას ნიშნავს); ეკონომიკურად (სწორია, თუკი დარგს უკავშირდება)

ამ ნაწილში შესულია კომისიის წევრებისა და ექსპერტების მიერ მომზადებული ნაშრომები, რომლებში ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებსაც ეფუძნება წინარე სახელმძღვანელო წინადადებები, აგრეთვე — მითითებისა და აღნიშვნების სტანდარტი სამართალში და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი განაჩენის დასაბუთების ძირითად ასპექტებზე

ზოგიერთი მოსაზრება ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მტკიცებულებებისა და მტკიცების შესახებ[1]

1 შედგენილია საქართველოს უზენაეს სასამართლოში შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ 2010 წელს, გადამუშავებული ვერსია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის, საჯაროობის, მხარეთა თანასწორობის, მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევის და სხვა პროგრესულ პრინციპებზე. მისი მიზანია, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სწრაფი, ეფექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემის შექმნა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ჩამოაყალიბა მტკიცებულებისა და მტკიცების წესების ახლებური სისტემა, რომელიც ეყრდნობა დასაბუთებული ვარაუდის, ალბათობის მაღალი ხარისხისა და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტებს.

მტკიცებულება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, **მტკიცებულება** არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზე მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ახორციელებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

მოწმე არის ნებისმიერი პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ. **მოწმის ჩვენება** არის სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია.

ექსპერტი კი, სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირია, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად მიწვეულია მხარის ან მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, **ნივთიერი მტკიცებულება** არის ნებისმიერი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან-თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის, დამნაშავის დადგენის ან ბრალდების უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს.

დოკუმენტი კი, მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოების დადგენისათვის საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით, ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მთავარი აქცენტი კეთდება შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით, სასამართლო კამათის პირობებში განხილულ მტკიცებულებაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი თანაბარ მდგომარეობაში და პირობებში აყენებს როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს მათ მიერ მტკიცებულებათა მოპოვების, ასევე, სასამართლოს წინაშე მათი წარდგენის მხრივ.

ამასთან, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის საფუძველზე (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი), ანუ კანონმდებელმა ხაზი გაუსვა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტს, რაც გულისხმობს, რომ თანასწორობისა და შეჯიბრობითობის პრინციპი სრულად მოქმედებას იწყებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტიდან და არა მანამდე. ნიშანდობლივია ისიც, რომ დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამოძიების დაწყების ვალდებულება აქვს მხოლოდ პროკურორსა და გამომძიებელს (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილი), სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება კი მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლი). ამასთან, სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ) (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამრიგად, სანამ პროკურორი (ან გამომძიებელი) არ დაიწყებს გამოძიებას და მასთან ერთად ან მის შემდეგ — სისხლისსამართლებრივ დევნას, მანამდე კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში არ არსებობს დაცვის მხარე (რომელსაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, წარმოადგენენ ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი). შესაბამისად, ბრალდებულს, მის ადვოკატს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტიდან აქვს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილით გარანტირებული უფლება, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეებს ამ კოდექსით დადგენილი წესით საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები.

დაცვის მხარეს ასევე უფლება აქვს, ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, მათ შორის ჩხრეკა და ამოღება, თუმცა ამისათვის მან შუამდგომლობით უნდა მიმართოს სასამართლოს განჩინების მისაღებად (მაგ.: ადვოკატმა უნდა დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი, რომელიც კერძო საკუთრებას წარმოადგენს და აღნიშნულზე მას მესაკუთრე თანხმობას არ აძლევს. ადვოკატმა შუამდგომლობით უნდა მიმართოს სასამართლოს და სასამართლოს განჩინების მიღების შემდეგ იგი უფლებამოსილია ჩაატაროს შემთხვევის ადგილის დათვალიერება).

თუმცა დაცვის მხარეს გადაუდებელი აუცილებლობით კერძო საკუთრების, მფლობელობის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შემზღუდველი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლებამოსილება არ გააჩნია, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შესაბამისი უფლებამოსილება მხოლოდ ბრალდების მხარეს გააჩნია.

მტკიცებულების შეფასების პრინციპები

მხარეები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოიპოვებენ „მტკიცებულებებს", ამასთან, უნდა ითქვას, რომ გამოძიების ეტაპზე მხარეთა მიერ მოპოვებულ მასალას (ინფორმაციას) მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს „მტკიცებულება", რადგანაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მხარეთა მიერ მოპოვებული

მასალა (ინფორმაცია) მას შემდეგ იძენს მტკიცებულების მნიშვნელობას, როდესაც მოხდება მხარეთა მიერ ამ მასალის (ინფორმაციის) წარდგენა სასამართლოში. თუმცა არც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის მიხედვით, მხარის მიერ მოპოვებული მასალის (ინფორმაციის) სასამართლოსათვის წარდგენა, ამ მასალას (ინფორმაციას) ავტომატურად არ აქცევს გასაზიარებელ მტკიცებულებად, რადგან, წარდგენის შემდეგ, მტკიცებულებამ (მხარეთა მიერ მოპოვებულმა და სასამართლოსათვის წარდგენილმა მასალამ (ინფორმაციამ)) უნდა გადალახოს რამდენიმე „ბარიერი", ანუ მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი **რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის** თვალსაზრისით (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილი), რადგან არც ერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეულ ამ „ბარიერს" (რელევანტურობა, დასაშვებობა, უტყუარობა) თავისი მნიშვნელობა ენიჭება და შესაძლებელია კონკრეტული მტკიცებულება აკმაყოფილებდეს ორ „ბარიერს", მაგრამ მესამე „ბარიერის" გადაულახაობის გამო, იგი არ იქნეს გაზიარებული.

მაგ.: ბრალდებულს ბრალი ედება ყაჩაღობაში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ბრალდების მხარემ მტკიცებულებად წარმოადგინა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც მითითებულია, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული თითის კვალი ბრალდებულისაგან აღებული თითის კვალის იდენტურია. თუმცა ექსპერტიზის დასკვნაში არაფერია მითითებული ექსპერტის ვინაობის შესახებ (სახელი, გვარი, განათლება, სპეციალობა, სპეციალობით მუშაობის სტაჟი, სამეცნიერო ხარისხი და ა.შ.), არ არის აღნიშნული ის, რომ ექსპერტი გააფრთხილეს განზრახ არასწორი დასკვნის მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი, ვინ ესწრებოდა მას, რა მასალები გამოიყენა, რა საგანი, დოკუმენტი, ნიმუში ან სხვა ობიექტი გამოიკვლია, რა გამოკვლევა ჩაატარა და რა მეთოდები გამოიყენა ექსპერტმა. ასევე დასმულ კითხვებზე ექსპერტის მიერ დასაბუთებული პასუხები არ არის გაცემული. ზემოაღნიშნული დარღვევების გამო ექსპერტიზის დასკვნა შესაძლებელია არ იქნეს მიჩნეული დასაშვებ მტკიცებულებად (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე) და არ იქნეს გაზიარებული, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ საქმისათვის რელევანტურია.

წინამდებარე მოსაზრებების მიზანია, პროცესის მხარეებს, პროცესის სხვა მონაწილეებსა და სასამართლოს ხელი შეუწყოს, მტკიცებულებებთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული სტანდარტების მაქსიმალურად შესაძლო ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების საკითხში. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობისა და სამართლებრივი სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, ეს მოსაზრებები არ ატარებს სავალდებულო ხასიათს და მტკიცებულებებსა და მტკიცებასთან დაკავშირებულ ნორმათა გამოყენებისას, როგორც სასამართლოს, ასევე მხარეებს, კანონით მათთვის მინიჭებული სრული უფლებამოსილება აქვთ, კანონის ნორმები განმარტონ საყოველთაოდ აღიარებული იმ ზოგადი პრინციპების შესაბამისად, როგორიცაა — მხარეთა ურთიერთდამოუკიდებლობა, შეჯიბრებითობა, სწრაფი, ეფექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უფლება.

მტკიცებულების რელევანტურობა (საქმესთან შემხებლობა)

მტკიცებულება რელევანტურია, თუ იგი შეიცავს (ადასტურებს ან/და უარყოფს) ინფორმაციას მტკიცების საგანთან დაკავშირებით, კერძოდ:

ა) მას შეუძლია საქმისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოების ან ვარაუდის დამტკიცება ან/და უარყოფა.

მაგ.: ბრალდების მხარემ მტკიცებულებად წარადგინა განაჩენი ბრალდებულის

ნასამართლობაზე, რითაც ბრალდების მხარე დაადასტურებს ბრალდებულის მიერ არაერთგზისი დანაშაულის ჩადენას.

ამასთან, საქმისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოებისა თუ ვარაუდის არსებობა ან/და არარსებობა ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს მტკიცებულებიდან;

ბ) მას შეუძლია საქმის (ქმედების, მტკიცების საგნის) ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ მნიშვნელოვანი რაიმე გარემოების ან/და ვარაუდის დამტკიცება ან/და უარყოფა.

მაგ.: დაცვის მხარემ მტკიცებულებად წარადგინა მოწმე, რომლის ჩვენებითაც დაცვის მხარე დაადასტურებს, რომ პირველად დაზარალებულმა განახორციელა თავდასხმა ბრალდებულზე.

მაგ.: პირი (პირობითად — A) დააკავეს დანაშაულის ჩადენის ფაქტზე და მას ბრალად ედება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის" უკანონოდ შეძენა-შენახვა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი). A-მ ითანამშრომლა ბრალდების მხარესთან და დაასახელა ის პირი (პირობითად — B), ვისგანაც შეიძინა აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება. B-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, ამოღებული იქნა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი", თუმცა B უარყოფდა ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტს. A-სა და B-სგან ამოღებულ ნარკოტიკულ საშუალებებზე ჩატარებული ქიმიური ექსპერტიზის შედეგად, დადგინდა, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილ ობიექტებს გააჩნდათ საერთო ჯგუფური კუთვნილება, ისინი მიეკუთვნებოდნენ ერთ მთლიან მასას, მათ ჰქონდათ წარმოშობის საერთო წყარო, დამზადების წესი, შენახვის საერთო პირობები და ა.შ. აღნიშნული მტკიცებულება (ექსპერტის დასკვნა) რელევანტურია B-ს მიერ A-ზე ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის" დიდი ოდენობით გასაღების ფაქტის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი) დასადგენად და მისი გაზიარება შესაძლებელია.

ამასთან, ფაქტის, გარემოებისა თუ ვარაუდის არსებობა ან/და არარსებობა ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს მტკიცებულებიდან.

ამრიგად, რელევანტური არის ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც კონკრეტული სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტის, გარემოების ან ვარაუდის დამტკიცებას ან/და უარყოფას ახდენს.

ამასთან, ფაქტის, გარემოების ან ვარაუდის არსებობა ან არსებობის უარყოფა **ლოგიკურად** უნდა გამომდინარეობდეს წარმოდგენილი მტკიცებულებიდან, ხოლო მხარისა და მოსამართლის ლოგიკური მსჯელობის ჯაჭვში ეს კავშირი ნათლად უნდა ჩანდეს.

თუ მტკიცებულება რელევანტურია, მაშინ მისი გაზიარება შესაძლებელია.

მაგ.: დაცვის მხარემ მტკიცებულებად წარადგინა მოწმე, რომლის ჩვენების მიხედვით, ბრალდებული მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენის მომენტში მასთან ერთად, შემთხვევის ადგილიდან შორს, სხვა ტერიტორიაზე, იმყოფებოდა.

აღნიშნული მოწმის ჩვენება შესაძლებელია გაზიარებული იქნეს.

თუ მტკიცებულება არ არის რელევანტური, მაშინ მისი გაზიარება არ შეიძლება.

მაგ.: ბრალდების მხარემ მტკიცებულებად წარადგინა ექსპერტი, რომლის ჩვენებისა და დასკვნის მიხედვით, დანაშაულის სხვა შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად მოპოვებული თითის კვალი ბრალდებულის თითის კვალის იდენტურია, თუმცა დანაშაულის ამ შემთხვევის გამო პირი ბრალდებული არ არის და, ამასთან, ბრალდების მხარე დანაშაულის ამ შემთხვევის გამო ამ პირისათვის ბრალდების წაყენებას არ აპირებს.

აღნიშნული მტკიცებულება გაზიარებული არ უნდა იქნეს.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულება რელევანტურია, იგი შესაძლებელია არ იქნას გაზიარებული, თუ იგი ეწინააღმდეგება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის მიხედვით, გონივრულ ეჭვს მიღმა განმარტებულია, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში).

მაგ.: დაცვის მხარემ მტკიცებულებებად წარადგინა სამი მოწმე, რომელთა ჩვენებების მიხედვით, ბრალდებული მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენის მომენტში მათთან ერთად, შემთხვევის ადგილიდან შორს, სხვა ტერიტორიაზე, იმყოფებოდა.

აღნიშნულ მოწმეთა ჩვენებები შესაძლებელია არ იქნეს გაზიარებული, თუ ამ სისხლის სამართლის საქმეში არსებობს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობა (მაგ.: შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ექსპერტის ჩვენება და დასკვნა, მოწმეთა ჩვენებები და ა.შ.), რომელიც ობიექტურ პირს არწმუნებს პირის ბრალეულობაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საკითხების გადაწყვეტისას მოსამართლე დისკრეციით სარგებლობს, რომელიც ამასთანავე არ უნდა იყოს თვითნებური ან ირაციონალური.

მტკიცებულების დასაშვებობა

მტკიცებულების დასაშვებობის საკითხს სისხლის სამართლის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხს წყვეტს სასამართლო. ამასთან, აღნიშნული საკითხი, როგორც წესი, წინასასამართლო სხდომაზე წყდება; კერძოდ: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე სხვა შუამდგომლობებთან ერთად განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე.

მტკიცებულების დასაშვებობა-დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის არათანაბრად არის განაწილებული, რადგან ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ანუ, დაცვის მხარეს არ ეკისრება ვალდებულება, ამტკიცოს, რომ მისი მტკიცებულება დასაშვებია, თუმცა მას უფლება აქვს, სადაოდ გახადოს ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობა. ბრალდების მხარე კი, ვალდებულია, ამტკიცოს, ერთის მხრივ, მისი მტკიცებულების დასაშვებობა და, მეორეს მხრივ, დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობა.

მტკიცებულების დაუშვებლად მიჩნევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მტკიცებულება მოპოვებული უნდა იყოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით (და არა ზოგადად — სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დარღვევით) (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ამასთან, განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. „მოწამლული ხის ნაყოფის" პრინციპი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით

მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია. აღნიშნული პრინციპის თანახმად, მტკიცებულების მოპოვებისას ბრალდების მხარის მიერ დაშვებულმა შეცდომამ ამ მტკიცებულების დაუშვებლობასთან ერთად შესაძლებელია მასზე დაყრდნობით მოპოვებული მტკიცებულების ავტომატურად დაუშვებლობა გამოიწვიოს (მიუხედავად იმისა, რომ ამ მტკიცებულების მოპოვებისას კანონმდებლობის მოთხოვნები არ დარღვეულა). მაგ.: თუ ბრალდების მხარის მტკიცებულება — ჩხრეკის ოქმი დაუშვებელ მტკიცებულებად გადაიქცა, მის საფუძველზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებაც (მოწმის ჩვენება) დაუშვებელია. რაც მთავარია, ეს მოთხოვნა სავალდებულოა და იგი არ წარმოადგენს მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებაში შემავალ საკითხს. ერთადერთი ამ სიტუაციაში რაც შეიძლება სადაო გახდეს, არის მხოლოდ იმის მტკიცება, რომ ეს მტკიცებულება მოპოვებული იყო ბრალდების მხარის დაუშვებლად მიჩნეული მტკიცებულების საფუძველზე, თუ მისგან დამოუკიდებლად. მაგ.: ბრალდების მხარემ დაამტკიცოს, რომ მოწმის ჩვენება მოპოვებული იყო დამოუკიდებლად, და არა მანამდე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების — ჩხრეკის საფუძველზე.

„მოწამლული ხის ნაყოფის" პრინციპი არ ვრცელდება დაცვის მხარის მტკიცებულებებზე. ანუ, დაცვის მხარის მხოლოდ ის მტკიცებულება შეიძლება გახდეს დაუშვებელი, რომელიც მოპოვებული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით (და არა ასევე ამ დაუშვებელი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულებაც).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მტკიცებულება ასევე დაუშვებელია, თუ იგი მოპოვებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ.

წინასასამართლო სხდომის გამართვამდე 5 დღით ადრე მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილი).

თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, დაცვის მხარის უფლება ინფორმაციის გადაცემის თაობაზე შეიძლება ბრალდების მხარის შუამდგომლობით შეზღუდოს სასამართლომ მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მიღებული ინფორმაციის ნაწილში და მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით, გარდა იმისა, რომ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს, დამატებით დადგენილია, რომ ბრალდების მხარე ასევე ვალდებულია ამ შემთხვევაში დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები.

თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს დაცვის მხარის ანალოგიური შინაარსის ვალდებულებას, რომ მან ასეთ შემთხვევაში ბრალდების მხარეს გადასცეს

მის ხელთ არსებული გამამტყუნებელი მტკიცებულებები.

ნიშანდობლივია ისიც, რომ დაცვის მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ ბრალდების მხარე უფლებამოსილია დაცვის მხარისაგან მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისათვის არსებული მასალის მხარისათვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას.

მტკიცებულების უტყუარობა

მტკიცებულებათა შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მათი უტყუარობის საკითხის გადაწყვეტას, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს.

მტკიცებულების უტყუარობის კონტექსტში მოწმის ჩვენების სანდოობა მხარემ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს, მოწმის არაგულწრფელი ხასიათის გამო.

მაგ.: დაცვის მხარემ მოწმის სახით დაკითხა პირი, რომელმაც განაცხადა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენის დროს მასთან ერთად იმყოფებოდა, თუმცა აღნიშნული ფაქტი არაფრით არ დასტურდება და, ამასთან, ასევე არ დგინდება მოწმის მიკერძოება ან მის მიერ ფაქტის აღქმის, დამახსოვრების და/ან გადმოცემის უნარის ნაკლებობა.

მტკიცებულების უტყუარობის კონტექსტში მოწმის ჩვენების სანდოობა მხარემ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს, მოწმის მიკერძოების გამო.

მიკერძოება გამოხატავს ერთი მხარისა და მოწმის ურთიერთობას, რის გამოც, მოწმე ამ მხარის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ იძლევა ჩვენებას.

მაგ.: დაცვის მხარემ მოწმის სახით დაკითხა პირი, რომელმაც პირდაპირი დაკითხვისას განაცხადა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენის დროს მასთან ერთად იმყოფებოდა სხვა ადგილას და შესაბამისად ვერანაირად ვერ ჩაიდენდა დანაშაულს. ამასთან, ჯვარედინი დაკითხვისას მოწმემ განაცხადა, რომ იგი ბრალდებულის ბიძაშვილია, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს მის მიუკერძოებლობას.

მაგ.: ბრალდების მხარემ მოწმის სახით დაკითხა პოლიციელი, რომელმაც პირდაპირი დაკითხვისას განაცხადა, რომ ის არის თვითმხილველი და მან დაინახა, რომ ბრალდებული მონაწილეობდა ჯგუფურად განზრახ მკვლელობის ჩადენაში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე" ქვეპუნქტი). ამასთან, ჯვარედინი დაკითხვისას დაცვის მხარის კითხვაზე მოწმემ განაცხადა, რომ მანამდე მას ბრალდებული ყოველთვის პრობლემებს უქმნიდა მისი სამსახურებრივი უფლებამოსილებების განხორციელებაში და მას სხვებთან საუბარში ხშირად აუღნიშნავს, რომ ბრალდებული არ მოსწონდა და სიამოვნებით იხილავდა მას ციხის კარს მიღმა. ეს ყველაფერი ეჭვის ქვეშ აყენებს მოწმის მიუკერძოებლობას.

მაგ.: დაცვის მხარემ მოწმის სახით დაკითხა პირი, რომელმაც პირდაპირი დაკითხვისას განაცხადა, რომ ბათუმში დანაშაულის ჩადენის მომენტში ბრალდებული თბილისში მასთან ერთად ქეიფობდა. ამასთან, ჯვარედინი დაკითხვისას პროკურორის კითხვაზე მოწმემ აღნიშნა, რომ იგი ბრალდებულის საუკეთესო მეგობარია და ისინი ბავშვობიდან ერთად გაიზარდნენ. ეს ყველაფერი ეჭვის ქვეშ აყენებს მის მიუკერძოებლობას.

მტკიცებულების უტყუარობის კონტექსტში მოწმის ჩვენების სანდოობა მხარემ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს, მოწმის მიერ შეუსაბამო განცხადებების გაკეთების გამო.

მაგ.: პირდაპირი დაკითხვისას მოწმემ განაცხადა, რომ ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის თვითმხილველი იყო, თუმცა ჯვარედინი დაკითხვისას მოწმემ დაადასტურა, რომ დანაშაულის ჩადენის დღეს იგი სხვა ქალაქში იმყოფებოდა.

მაგ.: პირდაპირი დაკითხვისას მოწმემ განაცხადა, რომ მან დაინახა, თუ როგორ დააყაჩაღეს ბანკი და ოთხი პირი შემთხვევის ადგილიდან როგორ მიიმალა შავი ფერის მერსედესის მარკის ავტომანქანით. თუმცა ჯვარედინი დაკითხვისას მოწმემ განმარტა, რომ სულ სამი პირი იყო და ისინი შემთხვევის ადგილიდან ვერცხლისფერი მერსედესის მარკის ავტომანქანით მიიმალნენ.

მაგ.: პირდაპირი დაკითხვისას მოწმემ განაცხადა, რომ ის და ბრალდებული დანაშაულის ჩადენის დღეს, 17 საათიდან 23 საათამდე, ერთად იმყოფებოდნენ. თუმცა ჯვარედინი დაკითხვისას მოწმემ განმარტა, რომ ბრალდებული მასთან ერთად იმ საღამოს 17 საათიდან მხოლოდ 20 საათამდე იმყოფებოდა.

მტკიცებულების უტყუარობის კონტექსტში მოწმის ჩვენების სანდოობა მხარემ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს, მოწმის მიერ ფაქტის აღქმის, დამახსოვრების და/ან გადმოცემის უნარის ნაკლებობის დემონსტრირების გამო.

მაგ.: პირდაპირი დაკითხვისას ხანდაზმულმა მოწმემ დაადასტურა, თუ როგორ ჩაიდინა დანაშაული ბრალდებულმა, თუმცა ჯვარედინი დაკითხვისას მოწმემ ვერ გაიხსენა მნიშვნელოვანი ინფორმაცია საკუთარი თავის შესახებ (მაგ.: როდის და სად დაიბადა, რა პროფესიისა და ა.შ.).

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, არ შეიძლება მოწმედ დაიკითხოს პირი, რომელსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება.

მტკიცებულების უტყუარობის კონტექსტში მოწმის ჩვენების სანდოობა მხარემ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს, სხვა ფაქტებთან წინააღმდეგობის გამო.

მაგ.: განზრახ მკვლელობის საქმეზე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი) სასამართლოში დაკითხვისას მოწმემ დაადასტურა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს დანაშაულის ადგილზე ბრალდებული დაინახა, სცადა მისი შეჩერება, რის გამოც, მის ტანსაცმელს ბრალდებულის სისხლი მოეცხო. თუმცა საქმეზე წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნისა და მოწმის სახით ექსპერტის დაკითხვის შედეგად, დადგინდა, რომ მოწმის ტანსაცმელზე არსებული სისხლი არც ბრალდებულის სისხლისა და არც დაზარალებულის სისხლის იდენტური არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რასაკვირველია, სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, შინაგანი რწმენის საფუძველზე, რადგან სასამართლომ უნდა შეაფასოს, თუ სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი ყველა მტკიცებულება ცალ-ცალკე და საბოლოოდ — ერთობლივად, რამდენად უტყუარია და საკმარისია პირის დამნაშავედ ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

საქმის არსებითი განხილვისას დამატებითი მტკიცებულების წარდგენისა და არსებითად ახალი მტკიცებულების მოპოვების წესი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამონაკლისის სახით ადგენს საქმის არსებითი განხილვის სხდომის დაწყების შემდეგ მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის არსებითი განხილვის დროს დამატებითი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში სასამართლო მხარის შუამდგომლობით იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს და არკვევს საქმის არსებით განხილვამდე მტკიცებულების წარუდგენლობის მიზეზს, რის საფუძველზედაც იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე მტკიცებულების დაშვება-არდაშვების თაობაზე.

წარდგენილი დამატებითი მტკიცებულების საქმეზე დაშვების შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გონივრული ვადით გადადოს საქმის განხილვა, თუ მხარეს დაცვის ან ბრალდების პოზიციის მოსამზადებლად დამატებითი დრო ესაჭიროება (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვისას არსებითად ახალი მტკიცებულების მოპოვების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, თუ ამ მტკიცებულების მოპოვება ან მისი მოპოვების შესახებ შუამდგომლობის დაყენება მანამდე ობიექტურად შეუძლებელი იყო (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ერთგვაროვანი სახის შუამდგომლობები სასამართლოს ერთად წარედგინება.

ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი ნაფიცი მსაჯულების გარეშე განიხილება.

სპეციალური წესი

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 238-ე მუხლი, რომლის თანახმად, ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ (თუ ეს არ არის წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი ან/და გამიზნული არ არის ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად), აგრეთვე ნებისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ, რომელსაც კავშირი არა აქვს ბრალის დამტკიცებასთან.

აღნიშნული მუხლი გამორიცხავს სისხლის სამართლის საქმეზე ისეთი მტკიცებულების წარდგენას, რომელსაც კავშირი არა აქვს ბრალთან(ანუ შესაბამისად, ამ სისხლის სამართლის საქმესთან).

გამონაკლის წარმოადგენს მტკიცებულება ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ და ისიც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არის წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი ან/და გამიზნულია ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად.

მაგ.: ბრალდების მხარემ წარმოადგინა განაჩენი, რომლითაც დგინდება, რომ ბრალდებული ადრე ნასამართლევია ძარცვისათვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლი). ამ განაჩენის საფუძველზე ბრალდების მხარემ ბრალდებულის ქმედება დააკვალიფიცირა არაერთგზის ჩადენილ ქურდობად (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი).

განაჩენის დასაბუთების პრობლემური საკითხები[1]

1 ავტორი: ბადრი ნიპარიშვილი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსი, კომისიის მდივანი, სამართლის მაგისტრი, 2014.

შინაარსი

1. განაჩენის კანონიერება, დასაბუთებულობა, სამართლიანობა 93
2. ზეპირი მტკიცებულების გამოყენების წესი 94
3. დოკუმენტური მტკიცებულების გამოყენების წესი 96
4. ნივთიერი მტკიცებულების გამოყენების წესი 97
5. აღიარება, როგორც მტკიცებულება და მისი გამოყენების წესი 98
6. ნაწილობრივ აღიარება, როგორც მტკიცებულება
   და მისი გამოყენების წესი 99
7. დუმილის უფლება 100
8. პირდაპირი მტკიცებულების გამოყენების წესი 100
9. ერთნაირი ან სხვადასხვა სახის ორი ან
   მეტი მსგავსი ინფორმაციის შემცველი
   მტკიცებულების გამოყენების წესი 100
10. დაუშვებელი მტკიცებულების ზოგიერთი ასპექტი 101
11. მტკიცებულების „კატეგორიულობა" 102
12. მტკიცებულების წონა 103
13. მტკიცებულებათა დაპირისპირება 104
14. მტკიცებულებათა ერთობლიობა 105
15. წარდგენილი ბრალდების ფარგლები 106
16. ფაქტების დადგენის წესი 107
17. გადაკვალიფიცირება 108
18. ქმედების სპეციალური და ზოგადი ნორმით დაკვალიფიცირების საკითხი 109

1. განაჩენის კანონიერება, დასაბუთებულობა, სამართლიანობა

სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმები გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში.

განაჩენის კანონიერება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. აუცილებელია, რომ განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას. კანონების გამოყენებისას ასევე აუცილებელია მათი ქვემდებარეობის დაცვა, რაც განსაზღვრულია ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონით.

განაჩენი კანონიერია, თუ ის მოქმედებები და მტკიცებულებები, რომლებსაც ეფუძნება მიღებული დასკვნები და გადაწყვეტილებები, თავის მხრივ, აკმაყოფილებს კანონიერების პრინციპს, ისინი მოპოვებული, დამაგრებული და გამოყენებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და სისხლის სამართლის პროცესში კანონი არსებითად არ დარღვეულა.

სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

დასაბუთების სტანდარტებზე რამდენიმე პარაგრაფში იქნება საუბარი. აქ შევეხებით დასაბუთების ფორმალურ სტანდარტს, ანუ როგორ შეიძლება აცილებულ იქნეს კრიტიკა, რომ განაჩენი არ არის დასაბუთებული.

ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ერთი გზით. განაჩენი არ უნდა დაემსგავსოს სხდომის ოქმს ანდა კომპიუტერულ პროგრამაში დამზადებულ „ნაწარმს". განაჩენში უნდა ჩანდეს მოსამართლის ნააზრევი და არგუმენტირებული მსჯელობა, უნდა იგრძნობოდეს აზრთა ჭიდილი. არ არის აუცილებელი ყველა წვრილმანზე მოსამართლემ თავისი აზრი და შეხედულება დააფიქსიროს, თუმცა ყველა საშუალო დონის და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე სასურველია, და, აუცილებელიც კი, დასაბუთება იყოს დამაჯერებელი. დაცვის მხარის თუნდაც ყველაზე მწვავე არგუმენტს უნდა გაეცეს პასუხი, მაგრამ ბუნებრივია მხოლოდ ისეთებს, რომლებიც გავლენას ახდენს მოსამართლის გადაწყვეტილებაზე.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტორს, რომ მოსამართლემ დასაბუთების პროცესი არ უნდა აქციოს მხარესთან დისკუსიად და დაპირისპირებად, პირიქით, დასაბუთებისას რაც შეიძლება ობიექტური უნდა გამოჩნდეს მოსამართლე, როგორც მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი არბიტრი.

ასევე, დასაბუთებისას არ უნდა გამოჩნდეს, რომ მოსამართლემ სუბიექტური დამოკიდებულება გამოავლინა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსამართლე შეიზღუდოს მტკიცებულებებს შორის კავშირის ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებისას ვერსიების განვითარების პროცესში, თუ მას ეს მიზანშეწონილად მიაჩნია.

ყველა შემთხვევაში განაჩენში უნდა იკითხებოდეს, თუ რატომ მივიდა მოსამართლე ამა თუ იმ დასკვნამდე.

სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

სასჯელის დასაბუთების საკითხები დეტალურად ახსნილია შესაბამის პარაგრაფში, თუმცა ამ შემთხვევაშიც ყურადღება გამახვილებულია რამდენიმე საკითხზე.

უპირველესად აღსანიშნავია, რომ განაჩენის სამართლიანობა უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ სასჯელის საკითხს.

სასჯელი უნდა იყოს კანონიერი და დასაბუთებული!

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სსკ-ის შესაბამისი მუხლები აწესებენ სასჯელების ზოგად სანქციებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის ადეკვატური სახისა და ზომის გამოყენებას.

ბუნებრივია, ამის მიღწევა რთული, მაგრამ დაუძლეველი საკითხი არ არის.

უბრალოდ, საჭიროა, მოსამართლე ისეთივე ყურადღებით და აქტუალობით მიუდგეს ამ საკითხსაც, როგორც ბრალეულობის დადგენას.

განაჩენში მნიშვნელოვანია როგორც ბრალის, ისე სასჯელის დასაბუთება და დასაბუთების პროცესი ორივე შემთხვევაში მეტ-ნაკლებად სრული უნდა იყოს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მოსამართლე შემოიფარგლოს მხოლოდ საკანონმდებლო რეგულაციებით სასჯელთან მიმართებით და თავი შეიკავოს ინდივიდუალური შეფასებებისაგან.

გარდა ამისა, სასჯელის დანიშვნისას აუცილებელია სავალდებულო წესით გაზიარებული და ნაჩვენები იყოს ის იმპერატიული (სასარგებლო, თუ საუარესო) ნორმები, რომლებიც უკავშირდება სასჯელის დანიშვნის წესს.

2. ზეპირი მტკიცებულების გამოყენების წესი

საქართველოს სსსკ-ის 47-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში ჩვენების მიცემისას მოწმის სტატუსით სარგებლობენ ასევე გამომძიებელი, პროკურორი, ბრალდებული, დაზარალებული, ექსპერტი და თარჯიმანი.

შესაბამისად, გარდა საკუთრივ მოწმისა, ყველა ზემოაღნიშნული პირის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება უნდა შეფასდეს ზეპირ მტკიცებულებად.

თუ განაჩენში აქცენტი კეთდება, მაგალითად, დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემის წესზე, სასურველია მიეთითოს, რომ იგი მოწმის სახითაა დაკითხული. მაგ: შეცდომაა — გიორგი გიორგაძის დაზარალებულის სახით დაკითხვისას, სწორია — დაზარალებულ გიორგი გიორგაძის დაკითხვისას ან დაზარალებულ გიორგი გიორგაძის მოწმის სახით დაკითხვისას.

როგორც წესი, ზეპირი მტკიცებულება (შემდგომში — **მოწმის ჩვენება**) ყველაზე გავრცელებული სახის მტკიცებულებაა, ასევე მასშტაბურიცა და მნიშვნელოვანიც. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი შინაარსისა და ამ შინაარსის შეფასებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სწორად დანახვასა და მის განაჩენში ასახვას.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ განაჩენის დასაბუთებისას მოწმის ჩვენებიდან მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მხოლოდ მისი მცირე ნაწილი, რომელიც უკავშირდება უშუალოდ დანაშაულებრივი ქმედების (შემდგომში — **ქმედება**) ჩადენის გარემოებებს და არა — ყველაფერი, რაც მოწმემ დაკითხვისას განაცხადა.

ამასთან, განაჩენში მთლიანი ჩვენებებისა, თუ თუნდაც ამ მნიშვნელოვანი გარემოებების გადმოტანა პირდაპირი წესით, სამოტივაციო ნაწილის მხოლოდ ერთ ადგილას არ უნდა ხდებოდეს, რაც აშკარად მიუთითებს, რომ მოსამართლისათვის დასაბუთების კომპონენტი მეორეხარისხოვანია.

ბუნებრივია, თუ მოწმე მხოლოდ ერთ გარემოებასთან მიმართებით აკეთებს განცხადებას, იგი გამოიყენება სამოტივაციო ნაწილის მხოლოდ ერთ კომპონენტში, ხოლო თუ ჩვენება ეხება ქმედების რამდენიმე მახასიათებელს, ისინი უნდა გადანაწილდეს ქმედების გარემოებებთან შესაბამისობის დაცვით. მაგ.: თუ ერთი მოწმე იძლევა ინფორმაციას პირის მიერ ნივთის დაუფლებისა და ამ ნივთის ღირებულების თაობაზე, ეს ინფორმაცია უნდა გადანაწილდეს სამოტივაციო ნაწილის ორ კომპონენტში და ცალ-ცალკე უნდა აისახოს და არა — ერთად.

პირველ რიგში, მოსამართლემ უნდა გაარკვიოს, თუ რა გარემოებების დადასტურებასა

თუ დაუდასტურებლობას აპირებს მოწმის ჩვენებით, მოახდინოს დანაშაულებრივი ქმედების გარემოებების ზუსტი იდენტიფიცირება და სწორედ ამის შემდეგ გადმოიტანოს ჩვენების ის ნაწილი შესაბამის ადგილას, რომელიც ამ გარემოებას ადასტურებს ან უარყოფს. დანაშაულის თითოეული ელემენტის შესაბამისი მტკიცებულების აღნიშვნა გადაწყვეტილების დასაბუთების მაღალ სტანდარტზე მიუთითებს.

თუ საჭიროა ჩვენების ამა თუ იმ ნაწილთან მიმართებით გარკვეული შენიშვნის გაკეთება ან სხვა რაიმეს აღნიშვნა, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება ფაქტს, კომენტარი შეიძლება გაკეთდეს ფრჩხილებში.

ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენების მრავალფეროვნებას ერთ გარემოებაზე, ანუ როდესაც სხვადასხვა ან ერთი და იმავე მხარის შეკითხვაზე პასუხები სხვადასხვაგვარია, ამ დროს უნდა მოხდეს ჩვენების იმ ნაწილის გადმოტანა, რომელიც შემაჯამებელი და საბოლოოა ან დამაზუსტებელ შეკითხვას მოჰყვა.

თუმცა, თუ მოწმის ჩვენება იმდენად ჩამოუყალიბებელი და დამაბნეველია, რომ მისი პასუხები გარკვეულ გარემოებებზე გაიცა მხოლოდ მრავალი კითხვის დასმის შემდეგ, ეს შეიძლება გახდეს მოწმის ჩვენების გაუზიარებლობის საფუძველიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენების გამოყენებისას მოსამართლე ვალდებული არ არის იმ „ენაზე" გადმოიტანოს ეს, როგორითაც მოწმე საუბრობს — ეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ციტირებისას შეიძლება. რაც შეეხება შინაარსის გადმოტანას (პერიფრაზს) იგი უნდა განხორციელდეს ქართული სალიტერატურო ენით, ყოველგვარი კუთხური სპეციფიკური სიტყვებისა და გამონათქვამების გარეშე, თუმცა ამ დროს არ უნდა მოხდეს ჩვენების შინაარსის დამახინჯება ან არასწორი ინტერპრეტაცია.

არ არის საკმარისი მხოლოდ მოწმეთა ჩვენებების ჩამოთვლა და შემდეგ დასკვნის გაკეთება. ეს განაჩენის დასაბუთების ხარისხს ძალიან აქვეითებს. მაგ.: მოწმე ა-მ თქვა; მოწმე ბ-მ თქვა, მოწმე გ-მ თქვა და ამდენად,...

თუ რამდენიმე ზეპირი მტკიცებულება ადასტურებს ან უარყოფს გარკვეულ ფაქტს, მოსამართლე უნდა შეეცადოს ერთი მტკიცებულებიდან მეორეზე გადასასვლელად გამოიყენოს გარკვეული ხრიკები და მინიშნებები, რომლებიც ამ ორ მტკიცებულებას ერთმანეთთან დააკავშირებს იმგვარად, რომ მსჯელობის შთაბეჭდილებას დატოვებს და უბრალო ჩამონათვალს, სიას ან ოქმს არ დაემსგავსება. მაგ.: ამავეს ადასტურებს; იმავეზე მიუთითებს; იმავე გარემოებას ადასტურებს; გარდა ამისა; ხოლო რაც შეეხება; არა მხოლოდ ეს მტკიცებულება, არამედ; ამაზე ასევე მეტყველებს, (ეს ფრაზები მოსამართლემ უნდა გამოიყენოს ისეთ სიტყვებთან, რომლებიც ხაზს უსვამს რაიმე ფაქტს ან აქტივობას მაგ: როლი, ადგილი, მიზანი, მოტივი, გარეგნობა, ხმა) და ა.შ.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია, განსაკუთრებით ზეპირ მტკიცებულებებთან მიმართებით — განაჩენი არ არის სასამართლო სხდომის ოქმი და ფაქტების ასახვასთან დაკავშირებითაც კი არ უნდა ტოვებდეს სხდომის ოქმის შთაბეჭდილებას, რაც თავის მხრივ მოსამართლის ფუნქციას უკანა პლანზე სწევს და მის დომინანტურ მდგომარეობას ძალზე აკნინებს.

იმ შემთხვევაში, თუ საუბარია ბრალდებულის ჩვენებაზე და მისი მონათხრობი აბსოლუტურად არ შეესაბამება საქმეზე დადგენილ გარემოებებს, მისი ვერსიის განაჩენში გადატანისას (სხვადასხვა ადგილას შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით), როდესაც მოსამართლე აფასებს მის ჩვენებას, სასურველია, არ იქნეს გამოყენებული სიტყვა — „თითქოს".

სასურველია, თუ მოწმის სახელის გამოყენებისას განაჩენში მიეთითება მისი სახელი და გვარი სრულად და არა ინიციალებით ან შემოკლებით.

უსარგებლო ინფორმაცია მოწმეთა დაკითხვის ოქმიდან განაჩენში არ უნდა იყოს მოყვანილი!

სასურველია, რომ მოწმეთა ჩვენებები რაიმე წესით იყოს თანმიმდევრული, კერძოდ, ინფორმაციულად (შინაარსობრივად) და დროულობის (ფაქტების განვითარების) თვალსაზრისით ყველაზე ახლოს მდგომი ჩვენებები ერთმანეთის შემდეგ უნდა იყოს მოყვანილი.

თუ სასამართლო განხილვისას დაიკითხა მოწმე, რომლის ჩვენებასაც არავითარი კავშირი არა აქვს მომხდარ ფაქტთან, მისი საერთოდ უყურადღებოდ დატოვება არასწორია, რადგან ამით შეიძლება თანასწორობა დაირღვეს. შეგვიძლია ამ შემთხვევაში მხოლოდ ზოგადი შეფასებით შემოვიფარგლოთ. მაგ: მოწმე ა-ს ჩვენება არც ადასტურებს და არც უარყოფს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელიც ბრალშია მოცემული, ან მოწმე ბ-ს ჩვენება შემხებლობაში არაა მოცემულ საქმესთან და ა.შ.

მოსამართლე უნდა მოერიდოს მოწმეთა ჩვენებებიდან იმ ამონარიდების მოყვანას, რომელიც შეიცავს რაიმე დანაშაულის წამახალისებელ ფორმულირებებს ან ფილოსოფიურ შეფასებებს.

მოსამართლემ ცალსახად უნდა გამოკვეთოს, თუ რა მხრივ მიემართება ამა თუ იმ მოწმის ჩვენება ბრალდებულს ან მომხდარ ფაქტს.

ჩვენება, რომელსაც მოსამართლე არ იზიარებს, ან რომელიც არ ადასტურებს პირის მიერ დანაშაულის ჩადენას, ასევე აუცილებელია აისახოს განაჩენში ფრაგმენტულად და მოკლედ, თუმცა არა იმგვარად, რომ ამ მოქმედებამ მისი უარყოფის მოტივების მითითება და ახსნა საერთოდ გააქროს.

3. დოკუმენტური მტკიცებულების გამოყენების წესი

დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

შესაბამისად, დოკუმენტური მტკიცებულებებია: ექსპერტიზის დასკვნები, საგამოძიებო მოქმედებათა ოქმები, ბუღალტრული მასალები, ცნობები და ა.შ.

დოკუმენტურ მტკიცებულებებში აღბეჭდილი ინფორმაციის გამოყენებისას აუცილებელია მიეთითოს, თუ რომელ ოქმზე ან ჩანაწერზეა საუბარი. მაგ.: ა-ს ბინის ჩხრეკის ოქმი; 2014 წლის 10 ივლისის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, რომლითაც მოხდა შპს „გიორგის" დათვალიერება და ა.შ., რაც ამ მტკიცებულების მნიშვნელობას კიდევ უფრო გააძლიერებს და სათანადოდ წარმოაჩენს.

დოკუმენტურ მტკიცებულებებს, გარკვეული სახის დანაშაულებზე განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ამიტომ აუცილებელია მათი შინაარსისა და ამ შინაარსის შეფასებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სწორად დანახვა და მისი ასახვა განაჩენში.

როგორც წესი, დოკუმენტური მტკიცებულებები დიდი მოცულობისაა, თუმცა მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მხოლოდ მათში ასახული ინფორმაციის მცირე ნაწილი, რომელიც უკავშირდება უშუალოდ დანაშაულებრივი ქმედების (შემდგომში — ქმედება) ჩადენის გარემოებებს და არა ყველაფერი, რაც მათში დეტალურადაა ახსნილი და აღწერილი.

განსაკუთრებით ეს ეხება ექსპერტიზის დასკვნას. ამ უკანასკნელთან მიმართებით სასურველია, განაჩენში აისახოს არა მთლიანად დასკვნა, არამედ დასკვნის ის ნაწილი, რომელიც დანაშაულის ელემენტებს ადასტურებს/უარყოფს. რიგ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ზიანის ან ნარკოტიკული საშუალების ოდენობა, ხოლო რიგ შემთხვევაში — ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხი. ყველა შემთხვევაში საინტერესო არ არის

ჭრილობების, მიმართულებებისა და ორგანოების ჩამოთვლა, თუმცა რიგ შემთხვევაში ესეც აუცილებელია. მაგალითად, თუ წარდგენილი ბრალდება განსაკუთრებულ სისასტიკეზე მიუთითებს. ამ დროს ჯანმრთელობის დაზიანების დეტალური აღწერა პირდაპირ შემხებლობაში იქნება განხორციელებულ ქმედებასთან. სხვა ყველა შემთხვევაში, სასურველია, მოსამართლე მოერიდოს ექსპერტიზის დასკვნების დასკვნითი ნაწილების კოპირებას, რაც ტექნიკურ შთაბეჭდილებასა და კოპირების ასოციაციას გამოიწვევს.

ბუნებრივია, თუ დოკუმენტური მტკიცებულება მხოლოდ ერთ გარემოებასთან მიმართებით ატარებს ინფორმაციას, მისი გამოყენება სამოტივაციო ნაწილის მხოლოდ ერთ კომპონენტში მოთავსდება, ხოლო თუ იგი ეხება ქმედების რამდენიმე მახასიათებელს, მაშინ უნდა გადანაწილდეს ქმედების გარემოებებთან შესაბამისობის დაცვით. მაგ.: თუ ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია დაზიანების ხარისხი და ის საგანი, რომლითაც მიყენებულია დაზიანება, ამგვარი დასკვნის ერთ ადგილას კონცენტრირება სასურველი არ არის.

დოკუმენტური მტკიცებულების მოპოვების ხერხსა და სხვა მახასიათებლებზე, სასურველია, აღნიშვნა გაკეთდეს არა უშუალოდ დასაბუთების ნაწილში, არამედ ფრჩხილებში, რომელიც დამატებით ინფორმაციას მოგვცემს ამ მტკიცებულების მნიშვნელოვან ასპექტზე. მაგ: დაცვის ან ბრალდების მხარე სადავოდ ხდიდა ამ მტკიცებულებასთან დაკავშირებით გარკვეულ საკითხს, ამ დროს მოსამართლეს შეუძლია ეს საკითხი განმარტოს ფრჩხილებში.

გარდა ამისა, ექსპერტიზის დასკვნაში ხშირია სამეცნიერო ტერმინოლოგიის გამოყენება, რაც ავტომატურ რეჟიმში არ უნდა აისახოს განაჩენში, რადგან იგი დიდი ალბათობით გაუგებარი დარჩება მხარეებისა და სხვა პირთათვის. მოსამართლე უნდა შეეცადოს ისინი აღწეროს ჩვეულებრივი სასაუბრო ენით. ექსპერტიზის დასკვნიდან შესაძლებელია როგორც უშუალოდ დასკვნითი ნაწილის გამოყენება, ასევე მთლიანად მასში მოცემული ინფორმაციის გამოყენებაც, ბუნებრივია, თუ ეს მნიშვნელოვანია ფაქტის დასადგენად.

რაც შეეხება განაჩენში მტკიცებულებების ასახვის რიგითობას, აღსანიშნავია, რომ დოკუმენტური მტკიცებულებები არ უნდა იყოს უკანა პლანზე გადაწეული, ზეპირი მტკიცებულებების შემდეგ, ვინაიდან ხშირად სწორედ დოკუმენტური მტკიცებულებებია უფრო ღირებული. ამიტომ, სასურველია, რომ მტკიცებულებები არ იქნეს დაჯგუფებული ამ პრინციპით და განაჩენში მეტი თავისუფლება იგრძნობოდეს მათი ასახვის თვალსაზრისით.

ის დოკუმენტური მტკიცებულება, რომელსაც შედეგი არ მოჰყვა, სასურველია, განაჩენში არ მიეთითოს. მაგალითად, ჩაატარეს ბინის ჩხრეკა და იქიდან არაფერი არ ამოღებულა, ან დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი და ვერ იპოვეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია. ამგვარი დოკუმენტური მტკიცებულებების ასახვა მხოლოდ მაშინაა რეკომენდებული, თუ იგი სხვა მტკიცებულებებთან ჯაჭვში აბათილებს გარკვეულ ფაქტს ან ვარაუდს. მაქსიმუმ, შესაძლებელია მიეთითოს, რომ ეს მტკიცებულებები არარელევანტურია.

მოსამართლემ ცალსახად უნდა გამოკვეთოს, თუ რა მხრივ მიემართება ესა თუ ის დოკუმენტური მტკიცებულება ბრალდებულს ან მომხდარ ფაქტს.

როგორც წესი, დოკუმენტურ მტკიცებულებებთან მიმართებით ხშირად გვხვდება დათვალიერების ოქმები და სასურველი იქნება, თუ ამ ორ მტკიცებულებით კატეგორიას (ნივთიერი და დოკუმენტური) ერთდროულად ავსახავთ განაჩენში.

4. ნივთიერი მტკიცებულების გამოყენების წესი

ნივთიერი მტკიცებულება – საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან-თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და

შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის, დამნაშავის დადგენის ან ბრალდების უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს.

შესაბამისად, ნივთიერი მტკიცებულებებია: ნარკოტიკული საშუალება, ცეცხლსასროლი იარაღი, ტანისამოსი და ა.შ.

ნივთიერ მტკიცებულებებზე საუბრისას აუცილებელია იმის აღნიშვნა, თუ სად, როდის და რა ვითარებაში იქნა ისინი აღმოჩენილი ან ამოღებული.

ნივთიერი მტკიცებულებები, როგორც წესი, უშუალო კავშირშია დანაშაულთან და ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი თვისებრიობის, შინაარსისა და ამ შინაარსის შეფასებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სწორად დანახვასა და მის განაჩენში ასახვას.

ამასთან, თუ ნივთიერი მტკიცებულება აღარ არსებობს მატერიალური ფორმით (მაგ: ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ სრულად გაიხარჯა ან განადგურდა), მაინც აუცილებელია განაჩენში აღნიშნული ინფორმაციის დაფიქსირება.

როგორც წესი, ნივთიერ მტკიცებულებებთან მიმართებით ხშირად გვხვდება დათვალიერების ოქმები და სასურველი იქნება, თუ ამ ორ მტკიცებულებით კატეგორიას (დოკუმენტურს და ნივთიერს) ერთდროულად ავსახავთ განაჩენში (შენიშვნა: დათვალიერების ოქმის მითითებისას იხელმძღვანელეთ დოკუმენტური მტკიცებულების გამოყენების წესით).

განაჩენში ნივთიერი მტკიცებულება უნდა აისახოს იმ მოცულობით, რაც კონკრეტული საქმის არსიდან გამომდინარე აუცილებელი და მნიშვნელოვანია.

ნივთიერი მტკიცებულების მოპოვების ხერხსა და სხვა მახასიათებლებზე, სასურველია, აღნიშვნა გაკეთდეს არა უშუალოდ დასაბუთების ნაწილში, არამედ ფრჩხილებში, რომელიც დამატებით ინფორმაციას მისცემს მკითხველს ამ მტკიცებულების მნიშვნელოვან ასპექტზე.

თუ ნივთიერი მტკიცებულება ხასიათდება სპეციფიკური ტერმინოლოგიით, სასურველია, არ მოხდეს მისი განაჩენში კოპირება და ჩვეულებრივი სასაუბრო ენით დაიწეროს.

მოსამართლემ ცალსახად უნდა გამოკვეთოს, თუ რა მხრივ მიემართება ესა თუ ის ნივთიერი მტკიცებულება ბრალდებულს ან მომხდარ ფაქტს.

5. აღიარება, როგორც მტკიცებულება და მისი გამოყენების წესი

ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება ისეთივე სახისაა (მტკიცებულებაა), როგორც ყველა სხვა დანარჩენი და მისი გამოყენება ყოველგვარი უხერხულობისა და ზედმეტი ფიქრის გარეშე უნდა მოხდეს — ეს აუცილებელიც კია (სხვა საკითხია მისი გაზიარება), თუმცა არსებობს გარკვეული წესები, რომლებიც, სასურველია, მოსამართლემ გაითვალისწინოს, კერძოდ:

1. უპირველესად, აღიარება "მტკიცებულებათა დედოფალი" არაა და განაჩენი მხოლოდ მასზე ვერ იქნება დამყარებული;
2. შესაბამისად, მხოლოდ აღიარება საკმარისი არ არის პირის ბრალეულობის დასადასტურებლად;
3. აღიარება მაშინ ჩაითვლება გამოყენებისათვის ვარგისად, თუ იგი ზუსტად აღწერს ბრალად წარდგენილი ქმედების გარემოებებს;
4. მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, რომ აღიარება არაა მიღებული რაიმე სახის ზეწოლის შედეგად და იგი ნებაყოფლობითია;
5. მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, რომ აღიარება მტკიცეა და ჩვენებაში არ ჩანს რაიმე სახის ვარაუდები ან დაეჭვება;

6. სასურველია აღიარებით ჩვენებასთან ერთად სახეზე იყოს სხვა (მინიმუმ ერთი) მტკიცებულება, გარდა ირიბი ჩვენებისა, რომელიც, ცალკე აღებული, ადასტურებს პირის მიერ დანაშაულის ჩადენას, ზუსტად ისევე, როგორც ეს პირს ბრალად აქვს წარდგენილი;

7. ეს სხვა მტკიცებულება შეიძლება მომდინარეობდეს ბრალდებულისგან (მაგ. ბრალდებულმა მიუთითა, რომ დანაშაულის ჩადენის იარაღი იყო რაიმე ტერიტორიაზე), თუმცა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ბრალდებულის ჩვენების გაგრძელება ან სახესხვაობა, მაგ.: ჩვენების ადგილზე შემოწმება და სხვ.;

8. როდესაც სახეზეა მხოლოდ ერთი სხვა მტკიცებულება, რომელიც თანხვედრაშია და ადასტურებს ბრალდებულის აღიარებით ჩვენებას, მეტი დამაჯერებლობისათვის შეძლებისდაგვარად ხაზი უნდა გაესვას ისეთ ასპექტებს, რომლებიც უნიკალურად აკავშირებს ერთმანეთთან ამ ორ მტკიცებულებას;

9. სასურველია, რომ მოსამართლე არ შემოიფარგლოს ბრალდებულის აღიარების ისეთი ფორმით, როდესაც ეს უკანასკნელი მხოლოდ განცხადებას აკეთებს ბრალის აღიარების თაობაზე და არ ასახელებს გარემოებებს. ასეთი აღიარება ყოველთვის ტოვებს გარკვეულ ეჭვებს. ამიტომ აუცილებელია, ჯერ ერთი, ბრალდებულისაგან ჩვნების მიღება და შემდეგ — მისი სწორად გამოყენება.

6. ნაწილობრივ აღიარება, როგორც მტკიცებულება და მისი გამოყენების წესი

ბრალდებულის ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენება, შეიძლება ორგვარად იქნეს აღქმული, კერძოდ:

1. როდესაც იგი ერთ ან რამდენიმე დანაშაულს აღიარებს, ხოლო სხვას ან დანარჩენებს უარყოფს და;

2. როდესაც იგი ერთი ბრალდების (დანაშაულის) ფარგლებში რაღაც ფაქტებს ადასტურებს, ხოლო დანარჩენს (განზრახვას ანდა მოტივს (შეფასებას)) უარყოფს. მაგ.: აღიარებს დანის დარტყმას, თუმცა მკვლელობის განზრახვას არ ადასტურებს. ანუ აღიარებს ფაქტს და არ ეთანხმება კვალიფიკაციას; ან აღიარებს ძარცვას, თუმცა პირთა ჯგუფის გარეშე; ადასტურებს ფაქტობრივი გარემოებების მხოლოდ ნაწილს, მაგ.: კი იყო მისული შემთხვევის ადგილზე, მაგრამ მას არ უსვრია ან არ მოუპარავს რაიმე ნივთი და ა.შ.

პირველი შემთხვევა მარტივია და ამ დროს მოსამართლე უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმ ბრალდებით, რომელსაც იგი სრულად აღიარებს და გამოიყენოს შესაბამისი (იხ. აღიარების პარაგრაფი) წესები, ხოლო სხვა ბრალდებაზე აღიარებით ჩვენებას ვერ გაავრცელებს;

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, როდესაც საუბარია ერთი ბრალდების (დანაშაულის) ფარგლებში ნაწილობრივ აღიარებაზე — დასაბუთებაც ორმხრივი იქნება.

იმას, რასაც მოსამართლე იზიარებს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს ფაქტები ასევე დასტურდება სხვა მტკიცებულებებით, ან პირიქით — ამ მტკიცებულებებით დადგენილი ფაქტები დაადასტურა ბრალდებულმაც. რაიმე პრობლემას არ წარმოადგენს, რომ მოსამართლე ასე მოიქცეს, რადგან ის გარემოება, რომ ბრალდებულის ჩვენების რაღაც ნაწილი ადასტურებს გარკვეულ ფაქტებს ესეც დასკვნის სარწმუნოობასა და მეტ სიმყარეზე მეტყველებს. ამიტომ ამის უგულებელყოფა დაუშვებელია. მოსამართლე ყველანაირად უნდა შეეცადოს ეს გარემოებები დასაბუთებისას წინა პლანზე წამოსწიოს.

როდესაც ბრალდებული ახდენს ფაქტების ინტერპრეტაციას, აუცილებელია მისი გამოაშკარავება და ობიექტური კუთხით წარმოჩენა.

ჩვენების ის ნაწილი, რომელიც დადგენილი გარემოებებისაგან განსხვავდება, აუცილებელია, რეაგირების გარეშე არ დარჩეს და მას დაუპირისპირდეს უტყუარობის მაღალი სტანდარტი, რომელსაც ამყარებს სხვა ობიექტური მტკიცებულებებით დადასტურებული ფაქტები.

7. დუმილის უფლება

დუმილის უფლება — ესაა ბრალდებულისათვის კანონით მინიჭებული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პოზიცია, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მის წინააღმდეგ რაიმე ფორმით იქნეს გამოყენებული. მაგ.: არ შეიძლება მოსამართლემ განაჩენის დასაბუთებით ნაწილში რაიმე დასკვნის გაკეთებისას ახსენოს, რომ ბრალდებულს ჩვენება არ მიუცია ამ საკითხზე, რასაც შესაძლოა ორაზროვანი გაგება მოჰყვეს და ა.შ.

ის ფაქტი, რომ ბრალდებულმა დუმილის უფლება გამოიყენა, აუცილებლად უნდა მიეთითოს, რათა გაურკვეველი არ დარჩეს, თუ რატომ არ აისახა ბრალდებულის დამოკიდებულება წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით ამა თუ იმ ფაქტის ან გარემოების დასაბუთებისას.

8. პირდაპირი მტკიცებულების გამოყენების წესი

პირდაპირი მტკიცებულებებია: მკვლელობის შემსწრე მოწმე, ამოღების ოქმი და სხვ.

პირდაპირი მტკიცებულება უნდა გახდეს მოსამართლის დასაბუთების ძირითადი დასაყრდენი და ფოკუსირება სწორედ ასეთ მტკიცებულებებზე უნდა გაკეთდეს.

თავისთავად ის მოცემულობა, რომ რაიმე მტკიცებულება შეიძლება პირდაპირ კავშირში იყოს მომხდარ ფაქტთან, არ შეიძლება გახდეს ამ მტკიცებულების უტყუარობის საფუძველი. ფაქტები შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს აღქმული ან აღბეჭდილი მტკიცებულებებში. ამიტომ პირდაპირი მტკიცებულების კარგად წარმოჩენასთან ერთად რაიმე ფაქტის დასადასტურებლად ან უარსაყოფად უნდა დასაბუთდეს მისი სისწორე და მიზანშეწონილობა.

პირდაპირი მტკიცებულება ყველა შემთხვევაში უნდა გამოიყენებოდეს დასაბუთების პროცესში, სხვა საკითხია მისი გაზიარება. ის ფაქტი, რომ მტკიცებულება პირდაპირია, არ ნიშნავს, რომ იგი უტყუარია!

პირდაპირი მტკიცებულებაა ის მტკიცებულებაც, რომელიც, თუმცა სხვა მტკიცებულებას უკავშირდება, მაგრამ დანაშაულთან მიმართებით რაიმე გარემოების პირველადი დამდგენია, მაგ. ექსპერტიზის დასკვნა ნარკოტიკის არსებობაზე და სხვ. ამდენად, ეს უკანასკნელიც ისეთსავე მნიშვნელობას იძენს, როგორც, მაგალითად, ამოღებული ნივთიერება ან იარაღი. გაზიარების საკითხი სხვაგან იქნება განხილული.

შესაბამისად, პირდაპირია ასევე ის მტკიცებულებებიც, რომლებიც კი არ იმეორებს, არამედ აღწერს სხვა მტკიცებულებებს.

9. ერთნაირი ან სხვადასხვა სახის ორი ან მეტი მსგავსი ინფორმაციის შემცველი მტკიცებულების გამოყენების წესი

არსებობს საქმეები, სადაც მტკიცებულებები ხშირად ერთსა და იმავე ინფორმაციას შეიცავს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია სახით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

მაგ.: ორი პოლიციელის ჩვენება, ხულიგნობის შემსწრე ორი ოფიციანტის ჩვენება, ასევე გარკვეული ოფიციალური დოკუმენტი და მისი შემდგენელი პირის ჩვენება და ა.შ.

როდესაც სახეზეა ამგვარი მტკიცებულებები, ისინი განაჩენში განსხვავებული წესით უნდა აისახოს, კერძოდ, სასურველია, რომ ამ შემთხვევაში თითოეული მოწმის ჩვენება ცალ-ცალკე კი არ ავსახოთ განაჩენში, არამედ რაიმე კრებით სახელში გაერთიანდეს და ამ ე.წ. „სათაურის" ქვეშ იქნეს მოყვანილი ეს ინფორმაცია.

მაგ: მოწმეებმა ა-მ და ბ-მ, რომლებიც საპატრულო პოლიციის თანამშრომლები არიან ... და სხვ.

თუ ორი ან მეტი მოწმის ჩვენება ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა დამატებით რაიმე მნიშვნელოვან გარემოებაზე მიუთითა, ასეთ შემთხვევაში ჩვენებები მაინც უნდა გაერთიანდეს და დამატებით აღინიშნოს ეს გარემოება.

მაგ: მოწმეებმა ა-მ, ბ-მ და გ-მ, რომლებიც რესტორან „გიორგის" თანამშრომლები არიან, აღნიშნეს ...., ამასთან მოწმე — გ-მ დამატებით აღნიშნა, რომ ... და სხვ.

იმავე წესით უნდა ვიმოქმედოთ, როდესაც ორი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფი სხვადასხვა სახის მტკიცებულებაზეა საუბარი, კერძოდ, ამოღების ოქმსა და პოლიციელის ჩვენებაზე, რომელმაც ამოღება ჩაატარა. ასეთ შემთხვევაში, სასურველია, ჯერ „ძირითადი" მტკიცებულების, ხოლო შემდეგ — ფაკულტატიურის, დამაზუსტებელი მტკიცებულების შინაარსის გადმოცემა.

მაგ: 2014 წლის 5 იანვრის ამოღების ოქმით დადგენილია, რომ ბრალდებულ ა-ს პირადი ჩხრეკისას მისი შარვლის ჯიბიდან ამოღებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი, მოყავისფრო ტარით, წარწერით "CZ", რაც დაადასტურა მოწმე ბ-მ, რომელმაც უშუალოდ ჩაატარა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება; მოწმე გ-მ, რომელიც შემთხვევის დროს სეირნობდა ძაღლთან ერთად, დაინახა, თუ როგორ ჩაარტყა ..., რაც ასევე დასტურდება გარე სათვალთვალო კამერის ჩანაწერებით და ა.შ.

ერთნაირი ან სხვადასხვა სახის, მსგავსი ინფორმაციის შემცველი ორი ან მეტი მტკიცებულების გამოყენების ზემოაღნიშნული წესი უფრო ლაკონიურს და მარტივად აღსაქმელს გახდის განაჩენის დასაბუთებით ნაწილს, ისევე როგორც კონსოლიდირებულად წარმოადგენს მათ.

ბუნებრივია, თუ ორი ან მეტი რაიმე ნიშნით გაერთიანებული მოწმეები (მაგ. რესტორნის თანამშრომლები) სხვადასხვა ფაქტს ადასტურებენ, ეს წესი არ გამოიყენება.

10. დაუშვებელი მტკიცებულება (ზოგიერთი საკითხი)

მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი შესაძლებელია გადაწყდეს არსებითად ახალი გარემოების გათვალისწინებით არსებითი განხილვისას წარდგენილ მტკიცებულებასთან მიმართებით, წინასასამართლო სხდომის შემდეგ.

ორივე შემთხვევაში მტკიცებულებათა დასაშვებობის ეტაპი გავლილია სათათბირო ოთახში გასვლისას და მოსამართლემ ზუსტად იცის, რომელი მტკიცებულებებია დაუშვებელი და რომელი — დასაშვები და საერთო ჯამში, რას უნდა დააყრდნოს მან თავისი გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილება კი ყველა შემთხვევაში მოსამართლემ უნდა დააყრდნოს მხოლოდ და მხოლოდ დასაშვებად ცნობილ მტკიცებულებებს. საწინააღმდეგო მოქმედება კანონის უხეში დარღვევაა.

განაჩენის დასაბუთებისას დაუშვებელი მტკიცებულებები არ უნდა იქნეს ნახსენები!

შესაძლებელია ზემოაღნიშნული ორი ეტაპი ისე გადალახოს რომელიმე მტკიცებულებამ, რომ დაუშვებლად არ იქნეს ცნობილი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ნიშანი იყოს გამოხატული მისი დაუშვებლად ცნობისათვის. როგორ უნდა იმოქმედოს საქმის არსებითად განმხილველმა მოსამართლემ განაჩენის გამოტანისას, რომელიც აღმოაჩენს, რომ მტკიცებულება კანონის შესაბამისად დაუშვებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი და

ის ფორმალურად არის კიდევაც დაუშვებელი.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ განაჩენში მოსამართლემ ამ მტკიცებულებაზე ყურადღება უნდა გაამახვილოს, აღნიშნოს, რომ არსებობს ასეთიც, ანუ არ უნდა მოახდინოს მისი სრული უგულებელყოფა.

თუმცა მეორე საკითხია მისი გაზიარება.

დაუშვებელია, რომ მოსამართლემ ეს მტკიცებულება განაჩენით გამოაცხადოს დაუშვებლად და არ გაითვალისწინოს, თუმცა შესაძლებელია, რომ მან სწორედ ამ მოტივით არ გაიზიაროს ეს მტკიცებულება და აღნიშნოს, რომ ამ მტკიცებულების მოპოვებისას ისეთი ხარისხით დაირღვა კანონი, რომ მისი მეშვეობით რაიმე ფაქტის დადასტურება ან უარყოფა არაგონივრული და მიზანშეუწონელია.

11. მტკიცებულების „კატეგორიულობა"

მტკიცებულების „კატეგორიულობა" ერთ-ერთი ის საკითხია, რომელიც გადამწყვეტია მისი მნიშვნელობის შესაფასებლად.

მტკიცებულების „კატეგორიულობა" გამოიხატება იმაში, თუ რა სიზუსტით შეუძლია მას დაადასტუროს/უარყოს ესა თუ ის ფაქტი ან გარემოება.

რაც უფრო მაღალია მტკიცებულების „კატეგორიულობა", მით უფრო მნიშვნელოვანია ასეთი მტკიცებულების წინა პლანზე წამოწევა და მასზე ყურადღების გამახვილება.

არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე თავიანთი სტატუსით „სპეციალურ" მტკიცებულებებს წარმოადგენს და ისინი, მაგალითად, მეცნიერული თვალსაზრისით იკვლევენ ამა თუ იმ გარემოებას, რომელიც სცილდება მოსამართლისა და მხარეთა კომპეტენციას. მაგ.: ჯანმრთელობის დაზიანების განსაზღვრა, ნარკოტიკული ნივთიერების სახის დადგენა და ა.შ.

ასეთ დროს შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს ასეთი მტკიცებულებების „კატეგორიულობის" ხარისხი. ძირითადად ასეთ მტკიცებულებას წარმოადგენს ექსპერტიზის დასკვნა.

ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ყოველგვარი ეჭვის გარეშე ადგენს რაიმე გარემოებას, აბსოლუტურად კატეგორიულია და მას შეუცვლელობის თვისება ახასიათებს, ანუ მასში ეჭვის შეტანის საფუძველი ფაქტობრივად არ არსებობს, თუ პრობლემა არ წარმოიქმნა თავად იმ მტკიცებულებაში, საგანში ან სხვ., რომელიც ექსპერტიზის ჩატარების ობიექტს წარმოადგენს ან ექსპერტიზის ჩატარების კანონიერებასა და, შესაბამისად, დასკვნის კანონიერებაში არსებობს ეჭვები.

„კატეგორიული" მტკიცებულებები მოსამართლისათვის ძირითადი დასაყრდენი უნდა გახდეს ამა თუ იმ ფაქტის ან გარემოების დასადასტურებლად/უარსაყოფად.

დასაბუთებისას ნათლად უნდა აისახოს, რომ ეს მტკიცებულება ეჭვგარეშე, უტყუარობის უმაღლესი ხარისხით ადასტურებს შესაბამის ფაქტს ან გარემოებას.

რაც შეეხება მოწმეთა ჩვენებების კატეგორიულობას, ისინი უფრო მეტად საფრთხილოა. შესაძლებელია მოწმე გარკვეულ ფაქტზე კატეგორიულად აპელირებდეს, თუმცა მაინც სცდებოდეს. ვინაიდან ფაქტების აღქმა და მეხსიერებაში აღბეჭდვა დამოკიდებულია ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებზე, მოწმეთა ჩვენებების კატეგორიულად შეფასება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დეტალური სიზუსტით აღწერენ მოვლენებს, შეესაბამებიან სხვა მტკიცებულებით დადგენილ გარემოებებს და ისეთ სპეციფიკურ დეტალებზე ამახვილებენ ყურადღებას, რომლებიც მხოლოდ ამ საქმისთვისაა დამახასიათებელი, ინდივიდუალურია და მხოლოდ რეალურ მოწმეს შეიძლება სცოდნოდა, მის ჩვენებებში არ შეინიშნება ყოყმანი, მერყეობა და ვარაუდები.

სავარაუდოა ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც აბსოლუტური სიზუსტით არ ადგენს

რაიმე გარემოებას. მაგ: მასში არის ასეთი ფრაზები: შეიძლება ეს იყოს; შეიძლება გამოწვეული იყოს და ა.შ.

ექსპერტიზის დასკვნა შეიძლება სავარაუდო იყოს როგორც საქმისათვის გადამწყვეტ, ისე მეორეხარისხოვან საკითხებზე.

დასაბუთებისას უნდა გამოიკვეთოს, რომ, მართალია, ექსპერტიზის დასკვნა სრული სიზუსტით არ ადგენს რაიმე ფაქტს, მაგრამ სხვა მტკიცებულებებთან ერთად საკმარისია... (ამ შემთხვევაში ეს სავარაუდო მტკიცებულება არ უნდა გახდეს მოსამართლის ძირითადი დასკვნის დასაყრდენი).

მოსამართლემ თვალი არ უნდა დახუჭოს იმაზე, რომ ესა თუ ის მტკიცებულება არ არის ზუსტი და კატეგორიული, პირიქით, ამის წარმოუჩენლობით უფრო მეტი შესადავებელი ექნება მხარეს. ამიტომ, რაც არ უნდა მწვავე იყოს პრობლემა, მტკიცებულებასთან მიმართებით მისი ახსნა აუცილებელია. სწორედ მაშინ იგრძნობა დასაბუთების დონე, როდესაც მოსამართლე თავისუფალია ამგვარი მტკიცებულებების შეფასებისას და თავს არ არიდებს მათ, მით უმეტეს, როდესაც მხარე სწორედ ამ გარემოებებზე აპელირებს.

თუ მოწმის ჩვენება ფაქტებთან მიმართებით სავარაუდოა, ასეთი ჩვენების რაიმეს დასადასტურებლად გამოყენება ძალიან საფრთხილო და დელიკატური საკითხია. სავარაუდო მტკიცებულებები, ცალკე აღებული, ვერ ქმნის დამაჯერებლობის მაღალ ხარისხს, რის გამოც ხშირად ასეთი მტკიცებულებები გამოსაყენებლად უვარგისი ხდება, თუმცა ეს ისე არ უნდა იქნეს აღქმული, რომ მათზე განაჩენში საერთოდ არ იყოს მსჯელობა.

შესაძლებელია მტკიცებულება რაიმე ფაქტს კატეგორიულად ადასტურებდეს, ხოლო სხვას — არა. ამ შემთხვევაშიც საფრთხილოა ასეთი მტკიცებულების გაზიარება და იგი სხვა მტკიცებულებებთან ჯაჭვში უნდა იქნეს ახსნილი და გაზიარებული. თუმცა ცალსახად იმის თქმა, რომ თუ მტკიცებულება ყველა ფაქტთან მიმართებით კატეგორიული არ არის და ეს შეიძლება გახდეს მისი მთლიანობაში გაუზიარებლობის საფუძველი, არასწორია.

12. მტკიცებულების „წონა"/მნიშვნელობა

მტკიცებულების „წონის" სწორად გააზრება და შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია.

მტკიცებულების „წონა" იმის მიხედვით მატულობს, თუ ბრალდების დასადასტურებლად ან უარსაყოფად რამდენად მნიშვნელოვან საკითხს ეხება და რა სიზუსტით და დამაჯერებლობით ამტკიცებს ან უარყოფს მას.

რაც უფრო მეტია მტკიცებულების „წონა", მით უფრო მეტადაა საჭირო მასზე აქცენტის გაკეთება.

მოსამართლემ დასაბუთებისას უნდა ახსნას, რომ ამა თუ იმ ბრალდების დასადასტურებად რაიმე მტკიცებულება ძალზე მნიშვნელოვანია და იგი ამ საქმეზე არსებობს.

„პირველხარისხოვანი" მტკიცებულება შესაძლებელია იყოს მაგ: ექსპერტიზის დასკვნა, რომელმაც უნდა დაადგინოს, ამოღებული ნივთიერება შეიცავს თუ არა ნარკოტიკულ საშუალებას; ასევე, რომელიც ადგენს, ვარგისია თუ არა ცეცხლსასროლი იარაღი ან სხვა საბრძოლო მასალა გამოსაყენებლად; დოკუმენტი, რომელიც გაყალბებულია; ანგარიშფაქტურა, რომლითაც დასტურდება ე.წ. „უსაქონლო ოპერაცია" და ა.შ.

დასაბუთებისას მტკიცებულებათა გამოყენების თანმიმდევრობა უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებულების „წონის"/მნიშვნელობის პრინციპს. ანუ „მძიმეწონიანი" მტკიცებულებები უნდა აღინიშნოს თავიდან, ხოლო ბოლოს ის (ისინი), რომლებიც ყველაზე ნაკლებად ეხება შესაბამის საკითხს, ფაქტს, ვარაუდს ან გარემოებას.

მტკიცებულების ამგვარი პრინციპით დალაგება მკითხველს პირველ რიგში ამ

მტკიცებულებებზე ამახვილებინებს ყურადღებას და, შესაბამისად, მოსამართლის გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის პირველი ეფექტი უფრო დიდია.

ამიტომ ძირითადი კონცენტრირება დასაბუთებისას სწორედ „მძიმეწონიან" — „ოქროს მტკიცებულებებზე" უნდა გაკეთდეს.

13. მტკიცებულებების დაპირისპირება

ერთ-ერთი ყველაზე მნიშნელოვანი საკითხია მტკიცებულებების ურთიერთმიმართება, დაპირისპირება.

ეს საკითხი ძირითადად მაშინაა აქტუალური, როდესაც ორივე მხარეს წარმოდგენილი აქვს მტკიცებულებები და ერთნი ადასტურებენ, ხოლო მეორენი უარყოფენ გარკვეულ ფაქტებსა და გარემოებებს.

სწორედ ამ დროს უპირისპირდებიან მტკიცებულებები ერთმანეთს და მათ შორის გარკვეული „ბრძოლა" იმართება. თუ რომელი მტკიცებულება იქნება გამარჯვებული (არ აქვს მნიშვნელობა, რომელი მხარის მტკიცებულებებია ისინი), პირველ რიგში, დამოკიდებულია მტკიცებულების „წონასა" და სხვა ისეთ საკითხებზე, რომლებიც სხვა პარაგრაფებშია განხილული. ამ შემთხვევაში კი მნიშვნელოვანია, სწორად იქნეს წარმოჩენილი და გამოყენებული მტკიცებულებების დაპირისპირების საკითხი.

პრიორიტეტის განსაზღვრაში — ჯერ რომელი მტკიცებულებით დაიწყოს მსჯელობა — „მძლეველით" თუ „დაძლეულით", რთულია კატეგორიულად რაიმეს თქმა და ეს მოსამართლის გადასაწყვეტია, ისევ და ისევ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.

მეტი დამაჯერებლობისათვის, სასურველია, რომ ერთ მტკიცებულებას ძირითად შემთხვევაში დაუპირისპირდეს რამდენიმე (მტკიცებულებათა ერთობლიობა) და ეს უკანასკნელი შემთხვევა ყველაზე მეტად სასარგებლო და ადეკვატური იქნება როგორც დასაბუთებული დასკვნის, ასევე ამ დასკნისადმი ნდობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ბუნებრივია, როდესაც ერთ, მით უმეტეს, რამდენიმე მტკიცებულებას განაჩენში უპირისპირდება სხვა მტკიცებულება/მტკიცებულებათა ერთობლიობა, ამ უკანასკნელთაგან ისეთი პასაჟები უნდა მოძებნოს მოსამართლემ, რომლებიც ყველაზე კრიტიკულად ასახავს მათ მცდარობას, ნათლად აჩვენოს, რომ ასეთ ფაქტს ან გარემოებას ადგილი ვერ ექნებოდა, და ეს მხოლოდ საქმის სხვა კალაპოტში გადაყვანის მცდელობაა.

დამძლევი მტკიცებულებით დაპირისპირებისას, გარდა იმისა, რომ უნდა აღინიშნოს თუ რა საწინააღმდეგო ფაქტს ან გარემოებას ადგენს იგი, განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს მოსამართლემ, რათა ნათლად გამოკვეთოს ერთი მტკიცებულების წამყვანი ფუნქცია აღნიშნული ფაქტის დადგენისათვის, მისი უტყუარობა და უფრო მაღალი ხარისხით დამაჯერებლობა, ვიდრე ამას დაძლეული მტკიცებულება ან მტკიცებულებები ქმნის.

დამძლევ მტკიცებულებათა ერთობლიობით დაპირისპირებისას შესაძლებელია არჩეულ იქნეს ორი გზა: 1. ცალ-ცალკე განიხილოს ისინი და ბოლოს ჩამოაყალიბოს დასკვნა ან მე-2. — ისინი ერთად განიხილოს.

რომელი გზა გამოიყენოს — პირველი თუ მეორე, მთლიანად დამოკიდებულია მოსამართლისათვის დასაბუთების კომფორტულობისა და თვითონ მტკიცებულებათა შინაარსობრივი და სახეობრივი მსგავსების გათვალისწინებით.

თუ ორივე მხარე ერთი და იმავე მტკიცებულებით აპელირებს ამა თუ იმ ფაქტის დასადასტურებლად ან უარსაყოფად, აქ მოსამართლეს შეუძლია ჩართოს როგორც სამართლებრივი რეგულაციები და ამ გზით დაადასტუროს ან უარყოს რომელიმე მხარის არგუმენტი, ასევე მოიშველიოს სხვა მტკიცებულებები, რომლებიც საფუძვლიანად ამყარებს რომელიმე მათგანის პოზიციას. ამ შემთხვევაში აუცილებელია, თავად სადავო

მტკიცებულების შესახებ ითქვას და აიხსნას ის მოტივები, რომელსაც მოსამართლე მასზე დაყრდნობით მიიჩნევს. ბუნებრივია, ამ მსჯელობისას დისკუსიის ძირითადი საგანი სწორედ ეს მტკიცებულება უნდა იყოს.

სასურველი არ არის, რომ მტკიცებულებათა დაპირისპირება გადაიზარდოს ისეთი არგუმენტების მოყვანაში, რომლებსაც არაფრის ან თითქმის არაფრის მომცემი მნიშვნელობა აქვთ ამ საკითხის გადაწყვეტისათვის. ეს გზა ყოველთვის გაზრდის დასაბუთების ამ კონტექსტის მოცულობას, რაც, როგორც არაერთგზის აღინიშნა, აუფერულებს მთავარ სათქმელსა და აქვეითებს დასაბუთების ხარისხს.

შეჯიბრებითი მართლმსაჯულების პირობებში განსაკუთრებით მრავლად იქნება ისეთი საქმეები, რომელთა განხილვისას მოსამართლეს მოუწევს ბრალდებისა და დაცვის მხარეთა მტკიცებულებებისა და არგუმენტების ჭიდილში საკუთარი გადაწყვეტილების მიღება და, ბუნებრივია, ამ პროცესში კარგად ჩამოყალიბებული, ნათელი და გასაგები შეფასებებისა და დასკვნების გამოხატვა მნიშვნელოვანწილად აამაღლებს განაჩენის დასაბუთების ხარისხს.

14. მტკიცებულებათა ერთობლიობა

საბოლოო ჯამში, მტკიცებულებათა ერთობლიობა ის საკითხია, რომელიც მიღებული გადაწყვეტილების დასკვნითი საფეხურია დასაბუთების თვალსაზრისით, ანუ როდესაც მტკიცებულებები შეფასდება ყველა ზემოაღნიშნული პრინციპის შესაბამისად და ამ დროს მოსამართლეს უნდა დარჩეს მტკიცებულებათა ის ერთობლიობა, რომელიც უტყუარია და საკმარისია გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

კანონის კატეგორიული მოთხოვნაა, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.

ფორმალური გაგებით, მტკიცებულებათა ერთობლიობა არის ორი ან მეტი მტკიცებულება, აგრეთვე, თუ სახეზეა ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება და მასთან ერთად, როგორც მინიმუმ, არსებობს კიდევ ერთი სხვა მტკიცებულება.

— არაფორმალური გაგებით, მტკიცებულებათა ერთობლიობა ერთმანეთთან უნდა იყოს შეთანხმებული — ანუ მტკიცებულებებს შორის უნდა არსებობდეს შინაარსობრივი კავშირი, ისინი უნდა იყოს ურთიერთთავსებადი, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთსა და იმავე გარემოებებზე უნდა უთითებდნენ, ერთსა და იმავე ფაქტებს უნდა ადასტურებდნენ და არა პირიქით — გამორიცხავდენენ;

— მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა იყოს აშკარა — ანუ ერთმანეთთან შეთანხმებული მტკიცებულებები აშკარად უნდა ადასტურებდნენ რაიმე ფაქტს ან გარემოებას და მათში ეჭვის შეტანის საფუძველი არ უნდა არსებობდეს. მტკიცებულებათა ერთობლიობა პირდაპირ და ცალსახად უნდა ადგენდეს შესაბამის ფაქტებს და პირის ბრალეულობას, სწორედ ამ პირის მიერ ქმედების ჩადენას, მოტივს, მიზანს, განზრახვას და ა.შ და ეჭვის გაჩენის საფუძველი არ უნდა აჭარბებდეს დასაშვებ — გონივრულობის ზღვარს;

— მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა იყოს დამაჯერებელი — ანუ ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და უტყუარი მტკიცებულებები უნდა იყოს დამაჯერებელი ობიექტური, ნეიტრალური, გონივრულად მოაზროვნე პირისათვის, რათა იგი დარწმუნდეს სწორედ ამ პირის მიერ დანაშაულის ჩადენაში. დამაჯერებლობის ხარისხი იმდენად მაღალი უნდა იყოს, რომ რაიმე ეჭვს ან ვარაუდს არ იწვევდეს ბრალდებულის მიმართ. მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ადგენს და ადასტურებს გარკვეულ ფაქტებსა და გარემოებებს, არ უნდა ბადებდეს ისეთ კითხვებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის არსებით გარემოებებს ეჭვქვეშ დააყენებს და გონივრულ კითხვებს გააჩენს ამ პოზიციის საწინააღმდეგოდ.

მნიშვნელოვანი საკითხია ის, თუ **მკიცებულებათა ერთობლიობაში რა ფორმის მტკიცებულებები მოიაზრება**: მხოლოდ **პირდაპირი**, მხოლოდ **არაპირდაპირი** თუ **ორივე** მათგანი.

როგორც წესი, დასაბუთების მაღალი სტანდარტი მინიმუმ ორი პირდაპირი მტკიცებულების არსებობას გულისხმობს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა არსებობდეს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანზე ცალ-ცალკე და არა — ზოგადად დანაშაულის ჩადენის შესახებ.

ბუნებრივია, არც ისაა გამორიცხული, რომ მტკიცებულებათა ერთობლიობა შედგებოდეს მხოლოდ ერთი, ფაქტის უშუალო შემსწრე პირის მტკიცებულებისა და ასევე სხვა ისეთი მტკიცებულებებისაგან, რომლებიც ადასტურებს დანაშაულის ჩადენას. მაგ.: ყაჩაღობისას მხოლოდ დაზარალებულის ჩვენება და ბრალდებულის ამოცნობაა, ხოლო დამნაშავე სხვას არავის დაუნახავს, თუმცა სხვა მტკიცებულებები მეტყველებს, რომ ყაჩაღობაა ჩდენილი. თუმცა, ამ მოცემულობაშიც ძალიან საფრთხილოა ასეთ მტკიცებულებებზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა. ყველა შემთხვევაში მტკიცებულებები ყველა საქმეში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს, მათი დამაჯერებლობის, უტყუარობის, „კატეგორიულობისა" და მნიშვნელობის გათვალისწინებით. ამასთან, კატეგორიულად იმის გამორიცხვა, რომ აქ სტანდარტი არ არის დაცული, არ შეიძლება, მით უმეტეს, რომ ევროპული კონვენცია და სასამართლო პრაქტიკა დასაშვებად მიიჩნევს ერთ მტკიცებულებაზე დაყრდნობით განაჩენის გამოტანას.

ბუნებრივია, ქართული კანონმდებლობა უფრო მაღალ სტანდარტს — ერთობლიობას მოითხოვს, თუმცა ასეთ საგამონაკლისო, განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც სხვა მტკიცებულების ობიექტურად მოპოვება გონივრულ ზღვარს შორდება, უშუალო მტკიცებულება შესაძლებელია მხოლოდ ერთი იყოს. ხოლო ეს ერთი მტკიცებულება იმდენად მაღალი სტანდარტით უნდა შეფასდეს დამაჯერებლობის, სანდოობის, უტყუარობის, სხვა მტკიცებულებებთან თავსებადობის, ქმედების განხორციელებისას განვითარებული მოვლენებისა და დეტალების სრულყოფილი ჩამოყალიბებითა და ახსნით, აღწერით, დანაშაულის აშკარა კვალით და სხვა მსგავსი კრიტერიუმებით, რომ შეიქმნას გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი და გამოირიცხოს ყოველგვარი სუბიექტური დამოკიდებულება ან სხვა მიკერძოება ბრალდებულის მიმართ.

15. წარდგენილი ბრალდების ფარგლები

წარდგენილი ბრალდების ფარგლების საკითხი პირდაპირ უკავშირდება შეჯიბრებითობის პრინციპის კიდევ ერთი ფორმით რეალიზაციას სისხლის სამართლის პროცესში. ამიტომ ამ საკითხის სწორი შეფასება მნიშვნელოვანია.

ბრალდების ფარგლები მოიცავს როგორც კვლიფიკაციას, ასევე ფაქტებს, რომლებიც ასახულია ბრალის შესახებ დადგენილებაში. ანუ იმ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებიც ბრალდების მხარის შეფასებით წარმოადგენს კონკრეტულ დანაშაულს.

დაუშვებელია იმაზე მძიმე კვალიფიკაციით პირის მსჯავრდება, ვიდრე მას ბრალად ჰქონდა წარდგენილი, თუნდაც აშკარა იყოს მისი ჩადენა. მაგალითად, პირმა ჩაიდინა ყაჩაღობა, თუმცა ბრალად წარედგინა ძარცვა. მოსამართლე პირს ვერ ცნობს დამნაშავედ ყაჩაღობაში. ამასთან, სასურველია, მოსამართლე შეძლებისდაგვარად მოერიდოს იმის აღნიშვნას, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა ყაჩაღობა, თუმცა ისეთი შთაბეჭდილებაც არ უნდა დარჩეს, რომ იგი ვერ ერკვევა კვალიფიკაციაში და თუ ეს საჭიროა, უნდა ითქვას, რომ, მართალია, ბრალდებულის ქმედების ნაწილში სახეზეა ყაჩაღობის შემადგენლობის ნიშნები, მაგრამ ვინაიდან მას ბრალად არ აქვს წარდგენილი სსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, სასამართლო ვერ გასცდება ბრალდების ფარგლებს.

მოსამართლე იმ შემთხვევაში გასცდება ბრალდების ფარგლებს, თუ შეცვლის ბრალის ფორმას — გადავა გაუფრთხილებელიდან განზრახ დანაშაულზე. გამონაკლისის დაშვება ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია, თუმცა განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო, რათა არ გაუარესდეს პირის მდგომარეობა (იხ. გადაკვალიფიცირების პარაგრაფი).

ამ საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია კიდევ რამდენიმე მიმართულება, კერძოდ:

1. როდესაც ბრალის დადგენილებაში გამორჩენილია რაიმე ეპიზოდი და არაა აღწერილი მისი გარემოებები, თუმცა მუხლობრივად ან დისპოზიციურად მოცემულია იგი, დაუშვებელია ასეთ შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მტკიცებულებათა ერთობლიობა;

2. როდესაც ბრალდების დადგენილებაში ასახული ფაქტობრივი გარემოებები არ წარმოადგენს დანაშაულს, ხოლო ამ ფაქტთან დაკავშირებული სხვა გარემოებები, რომლებსაც ბრალდების მხარე არ ედავება პირს, შესაძლოა შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს. ამ შემთხვევაშიც მოსამართლე ვერ გასცდება ბრალდების არსს და ვერ გამოკვეთავს იმაზე მეტ ფაქტობრივ გარემოებებს, ვიდრე ეს ბრალდების დადგენილებაშია მოცემული. ამ შემთხვევაში დაუშვებელია პირდაპირი მითითება, რომ ის კი არაა ამ პირის ქმედებაში დანაშაული, რაც ბრალდების დადგენილებაშია ასახული, არამედ ქმედების სხვა ნაწილი წარმოადგენს დანაშაულს, რომელსაც ბრალდების მხარე ამ კონკრეტული ბრალდების საქმეში დანაშაულად არ მიიჩნევს. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დასაბუთებისას შესაძლებელია გაკვრით, ირიბად ითქვას, რომ სასამართლო ვერ აფასებს ბრალდებულის ქმედებას მის მიერ ამ პროცესში განხორციელებულ სხვა ქმედებებთან. მაგ.: სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ სხვა წევრებთან ერთად ტენდერში გამარჯვებული გამოავლინა კანონდარღვევით, რომლის საფუძველზეც შემდეგ დაიდო ხელშეკრულება და მოხდა შესყიდული ნივთის მიღება-ჩაბარება, რომლის დროსაც კანონი არ დარღვეულა, ხოლო ბრალდების მხარე სატენდერო კომისიის თავმჯდომარეს ედავება არა ტენდერის ჩატარებაში გამოვლენილ დარღვევებს, არამედ ნივთის მხოლოდ ჩაბარების მიზანშეწონილობას.

წარდგენილი ბრალდებისაგან გადახვევისას, როდესაც გადაკვალიფიცირება ხდება შემსუბუქებისაკენ, მნიშვნელოვანია, რომ პირის მდგომარეობა არ გაუარესდეს და ბრალდებულის ქმედებამ იმაზე მეტი შინაარსი არ შეიძინოს, ვიდრეს ეს ბრალდების მხარემ ბრალდების შესახებ დადგენილებაში ჩამოაყალიბა.

16. ფაქტების დადგენის წესი

მართალია, ფაქტების დადგენის ნაწილი განაჩენის დასაბუთებითი, მსჯელობითი ნაწილისგან გამიჯნულია, მაგრამ არა იმდენად, რომ მას თავისი განსაკუთრებული ფუნქცია დასაბუთებასთან მიმართებით საერთოდ შევუწყვიტოთ.

დადგენილი ფაქტები სწორედ ის მოცემულობაა, რომლის დასადგენადაც არსებობს დასაბუთების — სამოტივაციო ნაწილი.

ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დადგენილი ფაქტების ნაწილში აღვწეროთ ის ფაქტები, რომლებსაც მიემართება დასაბუთებისას მიღწეული დასკვნები.

ის ფაქტები და გარემოებები, რომლებიც დადგენილია დასაბუთების კომპონენტში, სრულად უნდა აისახოს დადგენილ ფაქტებში.

სასურველია, რომ მოსამართლის მიერ დადგენილი ფაქტები თავისი ფორმით მეტისმეტი სიზუსტით არ შეესაბამებოდეს ბრალდების დადგენილებაში აღწერილს, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, თუ დანაშაულის ფაბულა მეტად ტექნიკურ და მარტივ ხასიათს ატარებს და რაიმე მასშტაბურობით არ ხასიათდება.

როდესაც არ დასტურდება ის ფაქტები, რომლებიც ასახულია ბრალდების დადგენილებაში, „დადგენილ ფაქტებში" მოსამართლემ უნდა აღწეროს ის გარემოებები, რომლებიც მან

მიიჩნია დადგენილად და რომლებიც განსხვავდება ბრალდების მხარის პოზიციისაგან, თუმცა განაჩენის ეს ნაწილი კონსტატაციის ხასიათს ატარებს და მასში არ უნდა ჩანდეს პაექრობის ან შეკამათების რაიმე ნიშანი. იგი არ უნდა დაიწეროს ისეთი ენით, რომელიც ნეგატიურ კონტექსტში აღწერს მოვლენებს, მაგ: ბრალდებულს არ ჩაუდენია, ბრალის დადგენილებაში ასახული რაიმე ფაქტი არ დასტურდება და ა.შ., თუმცა, რასაკვირველია, თუ ბრალდებული არ ყოფილა იმ ადგილას, რასაც ბრალდების მხარე ედავება და ვერც ის დგინდება, თუ სად იყო, მაგრამ დადასტურებულია, რომ იქ ნამდვილად არ ყოფილა, მოსამართლემ უნდა დაწეროს, რომ იგი იქ არ ყოფილა.

სასურველია, თუ ფაქტების დადგენისას მოსამართლე მაქსიმალურად მოერიდება რაიმე ქმედებისათვის სამართლებრივი ტერმინის დარქმევას, რადგან ეს სამოტივაციო ნაწილში უნდა განხორციელდეს. მაგ: იქურდა, იყაჩაღა და ა.შ.

17. გადაკვალიფიცირება

გადაკვალიფიცირების საკითხს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ პირს იმაზე მეტ დანაშაულში არ დაედოს მსჯავრი, რაც მას არ ჩაუდენია და, მეორე მხრივ, საერთოდ არ გამოირიცხოს პირის ბრალეულობა დანაშაულში.

არის შემთხვევები, როდესაც მოსამართლე სრულად არ არის დარწმუნებული ან განიცდის უხერხულობას წარდგენილ ბრალდებასა და დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს შორის თავსებადობასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეესაბამება დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იმ კვალიფიკაციას, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ამა თუ იმ დანაშაულისათვის.

აღნიშნული პრობლემის დასაძლევად უნდა მივმართოთ გადაკვალიფიცირებას, რაც ჩიხური სიტუაციიდან თავის დაღწევის კარგი საშუალებაა.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება მძიმე ბრალდებაზე გადაკვალიფიცირება, ეს დაუშვებელია.

გადაკვალიფიცირება დასაშვებია მხოლოდ იმავე ხარისხის (მითვისებიდან გაფლანგვაზე) ან მსუბუქ ბრალდებაზე (ყაჩაღობიდან ძარცვაზე).

გადაკვალიფიცირებისას სწორი კვალიფიკაციის მოსაძებნად მოსამართლეს შეუძლია იმოქმედოს შემდეგი თანმიმდევრობით:

1. პირველ რიგში კიდევ ერთხელ უნდა შემოწმდეს იმავე მუხლის დისპოზიცია. თუ სსკ-ის შესაბამისი მუხლი მხოლოდ ერთ ქმედებას არქმევს დანაშაულს, მაშინ აზრი არ აქვს იქ ძიებას, ხოლო თუ იგი ქმედებების მრავალფეროვნებით გამოირჩევა, შესაძლოა სწორედ ერთი სათაურის ქვეშ გაერთიანებული პირობითად მეორე ქმედება აღმოჩნდეს სწორი კვალიფიკაცია იმ ქმედებისათვის, რასაც ბრალდებულს ედავებიან. მაგ: მითვისება და გაფლანგვა; ცემა და სხვაგვარი ძალადობა და ა.შ;

2. მეორე ნაბიჯია, საქართველოს სისიხლის სამართლის კოდექსის იმავე თავში მოიძებნოს მსგავსი სახის სხვა დანაშაული, რომელიც გარკვეულწილად, თუმცა სრულად არ განსხვავდება წარდგენილი ბრალდებისაგან. მაგ. ყაჩარობიდან ძარცვაზე; ძარცვიდან ქურდობაზე და ა.შ;

3. გადაკვალიფიცირებისას მნიშვნელოვანია ასევე ზოგადი და სპეციალური ნორმების კონკურენცია, ანუ, თუ ბრალდება წარდგენილია ზოგადი ნორმით და არსებობს სპეციალური ნორმა, ბრალდებულის ქმედება სწორედ ამ უკანასკნელით უნდა დაკვალიფიცირდეს. მარტივი ხერხია, როდესაც ბრალდების მხარე შეარჩევს რაიმე ზოგად ნორმას, მაგ: თანამდებობის გადამეტებას და ბრალდებას არ წარუდგენს სპეციალური ნორმით, მაგ. მითვისება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ბუნებრივია ქმედება უნდა გადაკვალიფიცირდეს მხოლოდ სპეციალურ ნორმაზე (თუმცა, წარდგენილი ბრალდების ფარგლების (სიმძიმის კომპონენტის) დაცვით);

4. შესაძლებელია, მოსამართლის მიერ დადგენილი ფაქტები იმდენად განსხვავდებოდეს წარდგენილი ბრალდებისაგან, რომ სსკ-ის სხვა თავით გათვალისწინებულ დანაშაულთან გვქონდეს საქმე. ამიტომ ეს შემთხვევაც არ არის გამორიცხული, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლე წარდგენილი ბრალდების თვისებრივ და არსებით შინაარსს არ გასცდეს;

5. თუ მოსამართლემ იმგვარი ფაქტები დაადგინა, რომლებიც თვისებრივად და არსობრივად ძალიან შორსაა წარდგენილი ბრალდების არსთან, თუმცა შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს, ქმედება არ უნდა გადაკვალიფიცირდეს და ბრალდებული უნდა გამართლდეს;

6. შესაძლებელია, სსკ-ის ერთი მუხლით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს სხვა ორზე. ეს ვითარება გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება არსებობდეს და თანაც საფრთხილოა, რომ მოსამართლე არ გასცდეს ბრალდების ფარგლებს. მაგ: თუ პირს ბრალად წარდგენილი აქვს ყაჩაღობა და ფაქტობრივი გარემოებების თანახმად დასტურდება, რომ ჩადენილია გამოძალვა და სხეულის მსუბუქი დაზიანება, მსჯავრდება სწორედ ამ უკანასკნელი მუხლებით უნდა განხორციელდეს. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ შემთხვევაში ბრალდების ფორმულირებაში საკუთრების დაუფლებისაკენ მიმართულ ქმედებასთან ერთად უნდა აღიწეროს სხეულის დაზიანების ფაქტიც და უნდა არსებობდეს შესაბამისი მტკიცებულებები ორივე მათგანის დასადასტურებლად;

7. ასევე დასაშვებია რამდენიმე მუხლიდან ერთ მუხლზე გადაკვალიფიცირება. ამ შემთხვევაშიც ეს უნდა მოხდეს ძირითადი წესების დაცვით და არც ეს წარმოადგენს რაიმე შემაფერხებელ ვითარებას.

როდესაც ხდება დანაშაულის გადაკვალიფიცირება განაჩენის, სარეზოლუციო ნაწილში დაუშვებელია აღიბეჭდოს არასწორ კვალიფიკაციაში გამამართლებელი ფორმულირება. მაგ: გამართლდეს სსკ-ის 178-ე მუხლით და ცნობილ იქნეს დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის — ეს არასწორია, რადგან არავინ არაფერში არ მართლდება. გამართლება ნიშნავს ბრალის სრულად დაუდასტურებლობას ჩადენილ ქმედებაში.

სწორი ფორმულირება შესაძლებელია ამგვარად: ა-ს მიმართ სსკ-ის 178-ე მუხლით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 177-ე მუხლზე და იგი აღნიშნული კვალიფიკაციით იქნეს ცნობილი დამნაშავედ. ან: ა-ს მიმართ სსკ-ის 178-ე მუხლით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 177-ე მუხლზე. ა. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენაში.

როდესაც მტკიცებულებები უდავოა, ეს არ ნიშნავს, რომ მოსამართლეს გადაკვალიფიცირების უფლება არ აქვს, პირიქით, თუ წარდგენილი ბრალდების არსი იმგვარადაა ფორმულირებული, რომ იგი შეიცავს არა წარდგენილი ბრალდების, არამედ სხვა დანაშაულის ნიშნებს, კვალიფიკაციის შეცვლა არამარტო შესაძლებელი, აუცლებელიც კია.

გადაკვალიფიცირებისას არ უნდა მოხდეს გაუფრთხილებელი დანაშაულიდან განზრახ დანაშაულზე გადასვლა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს მოქმედება ხელშესახებად და რეალურად აუმჯობესებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას სასჯელთან მიმართებით, ვინაიდან განზრახ დანაშაულს თან მოჰყვება თავისი მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი უკუშედეგები (რეციდივი, პირობითი მსჯავრის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ.).

18. ქმედების სპეციალური და ზოგადი ნორმით დაკვალიფიცირების საკითხი

როდესაც ერთსა და იმავე ფაქტზე პირს ბრალდება წარდგენილი აქვს როგორც

სპეციალური, ასევე ზოგადი ნორმებით, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას აუცილებელია მათი დახარისხება და შესაბამისი შეფასების გაკეთება, რათა ასევე ორივე მათგანით არ მოხდეს პირის მსჯავრდება.

კერძოდ, თუ პირს ბრალი ედება ერთდროულად საქართველოს სსკ-ის 332-ე ან 333-ე მუხლის პირველი ნაწილითა და იმავე კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით (მითვისება/გაფლანგვა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) დაუშვებელია, რომ ორივე მათგანით დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი. მოცემულ შემთხვევაში სსკ-ის 182-ე მუხლი სპეციალური შემადგენლობაა, ხოლო 332/333-ე მუხლი კი — ზოგადი, სპეციალური და ზოგადი ნორმების კონკურენციისას კი უპირატესობა ენიჭება სპეციალურს და, შესაბამისად, პირის მსჯავრდება მოხდება მხოლოდ სპეციალურით — ამ შემთხვევაში სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით. რაც შეეხება ზოგად ნორმას, პირი უნდა გამართლდეს ამგვარი ნორმით წარდგენილ ბრალდებაში, რათა მინიმუმ ფორმალურად მაინც არ მოხდეს მისი მსჯავრდება იმაზე მეტად, ვიდრე ეს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს შეესაბამება ანუ არ მოხდეს დუბლირება.

თუ საქმეში ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, აუცილებელია სამოტივაციო ნაწილში, სამართლებრივი შეფასების ველში, აღინიშნოს ეს მოტივები, ხოლო შემდეგ ასახვა ჰპოვოს სარეზოლუციო ნაწილში. აღნიშნულის მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილში „გასწორება" არც ისე სწორი და მოტივირებული გამოჩნდება, თუ არა — გაურკვეველი.

მოტივი, რომლის მიხედვით სასამართლომ უარყო ერთი მტკიცებულება და მიიღო სხვა, მისი საპირისპირო მტკიცებულება[1]

1 ავტორი: დავით სულაქველიძე – თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი წევრი, 2014.

სისხლის სამართლის საქმეზე მთლიანობაში დანაშაულის ფაქტთან ანდა მტკიცების საგნის რომელიმე ძირითად ელემენტთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გამამტყუნებელ თუ გამამართლებელ განაჩენში საბოლოო დასკვნების გაკეთებისას, მტკიცებულებების შესახებობისა და საკმარისობის დადგენასთან ერთად, სასამართლოსათვის ერთ-ერთ ურთულეს მომენტს წარმოადგენს მტკიცებულებების შეფასება მათი უტყუარობის (სარწმუნოობის) და მტკიცებულებითი ძალის თვალსაზრისით, იმის მოტივაცია და დასაბუთება – ურთიერთსაპირისპირო მტკიცებულებებიდან რატომ მიიღო სარწმუნოდ ერთი და რატომ უარყო მეორე. სწორედ ასეთი შეფასების უშუალო შედეგს წარმოადგენს სასამართლოს მიერ ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებებიდან ერთის მიღება და, შემდგომ ამისა, საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლად გამოყენება, ხოლო მეორე, მისი საწინააღმდეგო მტკიცებულების უარყოფა და განრიდება.

ეს უთუოდ ფრიად საინტერესო და, ამასთანავე, ძალზე საპასუხისმგებლო ეტაპი სასამართლოს მოქმედებისა კიდევ უფრო გართულებულია ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით, კერძოდ, ეგრეთ წოდებული წმინდა შეჯიბრებითი პროცესის ინსტიტუტით, რომლითაც სასამართლო (მოსამართლე) მოკლებულია ყოველგვარ შესაძლებლობას რაიმე სახით ან ფორმით მონაწილეობა მიიღოს მხარეთა მიერ წარმოებულ მტკიცებულებათა გამოკვლევაში ამ უკანასკნელთა თუნდაც სანდოობის შემოწმების მიზნით, რათა აღნიშნული მტკიცებულებების სარწმუნოობისა თუ უტყუარობის საკითხის გადაწყვეტისას მისი ანუ მოსამართლის წარმოდგენა დაზღვეული იყოს მხარეთა სავსებით შესაძლო მიკერძოებულობით გამოწვეული ნეგატიური შედეგებისაგან.

მოსამართლის მიერ საქმეზე ამა თუ იმ მტკიცებულების უარყოფისას ან უტყუარად აღიარებისა და მიღებისას თავისი პოზიცია სათანადოდ და დამაჯერებლად უნდა იყოს მოტივირებული და დასაბუთებული. რაღა თქმა უნდა, რომ მოსამართლის მიერ მის წინაშე მდგარი ამგვარი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში ობიექტური ხასიათის ფაქტორებთან (მაგალითად: მოსამართლისათვის საქმის მასალების შესწავლისა და ანალიზისათვის საკმარისი დროის არსებობა; იმ წყაროს სანდოობა, საიდანაც მტკიცებულება არის მოპოვებული, მაშინაც, კი როდესაც ეს მტკიცებულება დასაშვებადაა მიჩნეული და მას საქმესთან შესახებობაც გააჩნია; პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე ფაქტების არსებობა და სხვა) ერთად უდიდესი, შეიძლება თამამად ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ სუბიექტურ ფაქტორებს როგორიცაა: მოსამართლის ფართო ცოდნა ადამიანთა ყოფითი ურთიერთობების სფეროში; ადამიანის (განსაკუთრებით კი არასრულწლოვნის) ქცევის ფსიქოლოგიური კანონზომიერებებისა და თავისებურებების ცოდნა; მსგავს საქმეებზე წინარე სამოსამართლო საქმიანობისას პირადი პრაქტიკით შეძენილი გამოცდილება; საქმის წვრილმანებსა და დეტალებში წვდომის უნარი; ფაქტების შეჯერებისა და მათ შორის რეალური კავშირ-ურთიერთობების გამოკვლევისა და აღმოჩენის უნარი; მტკიცებულებათა გამოკვლევისას დაკვირვებისა და ყურადღების მაქსიმალური მობილიზების უნარი; ასევე, აღლო და მიხვედრილობა. აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისეთ ფსიქოლოგიურ ფენომენზე, როგორიცაა მოსამართლის შინაგანი რწმენა, როგორც მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასების შედეგი, რომელიც ასევე ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს თამაშობს მოსამართლის მიერ მტკიცებულების როგორც უტყუარობის, ასევე მტკიცებულებითი ძალის განსაზღვრისას, ხოლო აქედან გამომდინარე, მისი უარყოფის ან სარწმუნოდ მიღებისას. ყველა ზემოხსენებული სუბიექტური ფაქტორი პირდაპირ გავლენას ახდენს მოსამართლის შინაგან რწმენაზე და ზოგადად მის დამოკიდებულებაზე ფაქტებისა და მათი ამსახველი მტკიცებულებებისა და თვით ბრალდებულის პიროვნების მიმართაც კი, რამაც, თავის მხრივ, მისი დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს დანიშნული სასჯელის სახისა და ზომის შერჩევაზეც.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ უნდა განვიხილოთ საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორი ზოგადი მიდგომებით უნდა იხელმძღვანელოს მოსამართლემ მტკიცებულების უტყუარობისა, თუ მისი მტკიცებულებითი ძალის განსაზღვრისა და, აქედან გამომდინარე,

ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებებიდან ერთ-ერთი მათგანის მიღებისას და მეორის უარყოფისას. ამგვარი პრობლემის გადაწყვეტისას მოსამართლემ უნდა დაიცვას შემდეგი წესები:

1. ამა თუ იმ მტკიცებულების უტყუარობისა და მტკიცებულებითი ძალის შეფასებისას (აქ შეგნებულად არ ვიყენებთ სიტყვა „შემოწმებას", რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსამართლე მთლიანად მოკლებულია მტკიცებულების უტყუარობის შემოწმებისათვის საჭირო ლეგიტიმურ საპროცესო საშუალებებს) საჭირო და სასარგებლოა ადრინდელი პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ასეთი გამოცდილების გადაქცევა სტერეოტიპად ან ერთგვარ კლიშედ, რომლის თარგზეც „გამოიჭრება" ყოველი ახალი გადაწყვეტილება მტკიცებულების უტყუარობისა თუ მისი მიუღებლობის თაობაზე, რამაც შეიძლება მოსამართლე მძიმე და გამოუსწორებელ შეცდომამდე მიიყვანოს;

2. აღნიშნული შეცდომის თავიდან ასაცილებლად მოსამართლე უნდა შეეცადოს მაქსიმალურად ჩაუღრმავდეს იმ ფაქტობრივი გარემოების ყველაზე უწვრილმანეს დეტალებს, რომელსაც ეხება შესაფასებელი მტკიცებულებების შინაარსი, რამდენადაც ეს შესაძლებელია მხარეების მიერ საქმეზე ჩატარებული სასამართლო გამოძიების შედეგებისა და საქმეში არსებული სხვა მასალების გათვალისწინებით. შეიძლება სწორედ ასეთი დეტალების შესწავლამ მოგვცეს მყარი საფუძველი შინაგანი რწმენისათვის მტკიცებულების უტყუარობის ან მისი მიუღებლობის თაობაზე. სულაც არ არის უსარგებლო გვახსოვდეს ცნობილი გამოთქმა - „ეშმაკი ყოველთვის დეტალებში იმალებაო", რადგან მტკიცებულების (მაგალითად, მოწმის ან დაზარალებულის ჩვენების) შინაარსის დეტალებს შორის არსებული წინააღმდეგობების წარმოჩენამ შესაძლოა მთელი მოვლენის ნამდვილი, ჭეშმარიტი არსი დაგვანახოს;

3. თითოეულ საქმესთან დაკავშირებით ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების შეფასებისადმი მიდგომა უნდა იყოს ინდივიდუალური და არა ტრაფარეტული, რადგან უნდა გვახსოვდეს, რომ გარეგნულად რაოდენ იდენტურადაც შეიძლება გამოიყურებოდეს ორი საქმე ან ორი სხვადასხვა ფაქტობრივი გარემოება, სინამდვილეში ისინი ყოველთვის განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მთელი რიგი ისეთი თავისებურებებით, რამაც შესაძლოა გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს მათ ობიექტურ შეფასებაზე უტყუარობისა და სანდოობის თვალსაზრისით;

4. ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც თავისთავშივე შეიცავს შინაგან წინააღმდეგობებს, იმთავითვე უნდა იქნეს უარყოფილი იმისგან დამოუკიდებლად - საქმეში არსებობს თუ არა მისი საწინააღმდეგო მტკიცებულება. მაგალითად, დავუშვათ, საქმეზე არსებობს მხოლოდ ბრალდების ორი მტკიცებულება- ექსპერტიზის დასკვნა და მოწმის ჩვენება, ხოლო დაცვის მხარეს საპირისპირო მტკიცებულება საერთოდ არ წარმოუდგენია. შესაძლებელია ეს ორი მტკიცებულება ფორმალურად ერთმანეთს ადასტურებდეს კიდეც, მაგრამ თუკი მოწმის ჩვენება, ცალკე აღებული, აშკარად წინააღმდეგობრივ და ურთიერთგამომრიცხავ გარემოებებს შეიცავს, მაშინ იგი როგორც მტკიცებულება, უარყოფილ უნდა იქნეს;

5. მოსამართლემ მტკიცებულება არ უნდა შეაფასოს სხვა მტკიცებულებებისაგან მოწყვეტით, არამედ მხოლოდ მათთან ერთობლიობაში უნდა განიხილოს, ხოლო მისი მტკიცებულებითი ძალა, სარწმუნოობა და დამაჯერებლობა იმის შესაბამისად განსაზღვროს - რამდენადაა თანხმობაში მისი შინაარსი სხვა მტკიცებულებებთან პირდაპირ ან არაპირდაპირ. მაგრამ, ამასთან ერთად, მოსამართლემ ისიც უნდა იქონიოს მხედველობაში, რომ ტრაფარეტული მიდგომა არც აქ გამოდგება ანუ არ შეიძლება ამა თუ იმ მტკიცებულების არასარწმუნოობაზე იქნეს დასკვნა გაკეთებული ყველა ისეთ შემთხვევაში, როდესაც მისი საწინააღმდეგო მტკიცებულებები რაოდენობრივად უფრო მეტია. მაგალითად, შესაძლებელია ბრალდების ერთი მოწმის ჩვენებას უპირისპირდებოდეს დაცვის ხუთი მოწმის ჩვენება (ანდა პირიქით), მაგრამ ეს უკანასკნელნი იმდენი შინაგანი წინააღმდეგობებისა თუ აშკარა შეუსაბამობების

შემცველი იყოს, რომ მათი გაზიარება და სარწმუნოდ მიღება შეუძლებელი გახდეს;

6. მოსამართლემ აუცილებლად უნდა იქნეს გაითვალისწინოს ის გარემოებაც, რომ არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევების არსებობაც, როდესაც საქმეზე ორი ურთიერთსაპირისპირო მტკიცებულებაა წარმოდგენილი და ამათგან ერთი ისეთი შინაგანი წინააღმდეგობების შემცველია, რომ მისი მიღება შეუძლებელია, მაგრამ არ შეიძლება ამის გამო მეორე, საპირისპირო მტკიცებულება ავტომატურად მიჩნეულ იქნეს უტყუარად და მისაღებად. ავიღოთ მარტივი მაგალითი: დაზარალებული ოჯახის ხუთი წევრი, როგორც ბრალდების მოწმეები, თავიანთ ჩვენებებში ადასტურებენ, რომ სწორედ ბრალდებულმა განახორციელა ბინაში მათზე ყაჩაღური თავდასხმა, ხოლო ბრალდებულის ოჯახის ორი წევრი, როგორც დაცვის მოწმეები, თავიანთ ჩვენებებში ადასტურებენ საპირისპიროს, რომ მომხდარი დანაშაულის დროს ბრალდებული შინ იმყოფებოდა. თუმცა შეიძლება არცერთი მათგანის ჩვენება არ იქნეს მიჩნეული უტყუარად და მისაღებად იმის გამო, რომ ცალკე აღებული ბრალდების მოწმეების ჩვენებები და ცალკე აღებული დაცვის მოწმეების ჩვენებები მნიშვნელოვან და არსებით დეტალებში ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ, რის შედეგადაც ისინი მოკლებულნი იყვნენ სარწმუნოობასა და დამაჯერებლობას;

7. დაუშვებელია მოსამართლემ მტკიცებულების უტყუარობისა, თუ მისი არასარწმუნოობის თაობაზე შინაგანი რწმენა შეიქმნას აღნიშნული მტკიცებულების წყაროს (მაგალითად, ჩვენების მიმცემი მოწმის) ან თვით ამ მტკიცებულებების შესახებ არასაპროცესო გზით მიღებული ან ვინმეს მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციით, გარეგნულად რაოდენ დამაჯერებლადაც შეიძლება გამოიყურებოდეს ეს ინფორმაცია (საყოველთაოდ ცნობილი უდავო ფაქტისა), რადგან წარმოუდგენლად განუზომელია ასეთი ინფორმაციის ანდა საზოგადოებასა თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საყოველთაოდ გავრცელებული და დამკვიდრებული შეხედულებების გაზიარებით მძიმე შეცდომის დაშვების შესაძლებლობა. ამიტომ მოსამართლე ყოველნაირად უნდა ეცადოს, რომ მტკიცებულების უტყუარობისა თუ არასარწმუნოობის თაობაზე შინაგანი რწმენა დააფუძნოს კანონზე, საქმის მასალებზე, თავის ცოდნასა და პირად გამოცდილებაზე.

8. შესაძლებელია, რომ მტკიცებულების უტყუარობის შესაფასებლად არ მოიპოვებოდეს სხვა პირდაპირი მტკიცებულება. მაგრამ, თუკი მოიპოვება სხვა, ერთი ან რამდენიმე არაპირდაპირი მტკიცებულება, რომლებიც მის უტყუარობას ადასტურებენ და, ამასთან, ისინი ეჭვს არ იწვევენ მათი სანდოობის თვალსაზრისით, მაშინ ეს სავსებით საკმარისი საფუძველია ასეთი მტკიცებულების სარწმუნოდ მიჩნევისათვის.

მას შემდეგ, რაც აღინიშნა იმ ზოგადი პრინციპული მიდგომების თაობაზე, რომლებითაც სასამართლომ (მოსამართლემ) უნდა იხელმძღვანელოს მტკიცებულების უტყუარობის თვალსაზრისით შეფასებისას და, შესაბამისად, ორი ურთიერთსაპირისპირო მტკიცებულებიდან ერთის მიღებისას და მეორის უარყოფისას, უპრიანია ყურადღება გავამახვილოთ იმ ძირითად კონკრეტულ კრიტერიუმებზე, რომლებიც მოსამართლემ უნდა მოიშველიოს მტკიცებულების შეფასებისას მისი უტყუარობის თვალსაზრისით და რომელთა თაობაზე საუბარია სისხლის სამართლის პროცესის თეორიასა და სპეციალურ ლიტერატურაში:

პირველი კრიტერიუმია თვითონ მტკიცებულების წყაროს თვისებების შეფასება მისი სანდოობის თვალსაზრისით, მაგალითად: დასკვნის გამცემი ექსპერტის კვალიფიციურობა და კომპეტენტურობა; მოწმის მიკერძოებულობა ან პირიქით – საქმისადმი ნეიტრალური დამოკიდებულება; დაზარალებულის ისეთი ფიზიოლოგიური ან ფიზიკური ნაკლი, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა იქონიოს ფაქტებისა და მოვლენების ადეკვატურად აღქმის უნარზე და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე, კერძოდ, მოწმის ჩვენების მისი შესაძლო მიკერძოებულობისა თუ მიუკერძოებლობის გათვალისწინებით შეფასებისას, ამ საკითხის გადაწყვეტას არ უნდა მივუდგეთ ფორმალურაად, ანუ თუ, მაგალითად, მოწმე ბრალდებულის ნათესავია,

არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ის აუცილებლად მიკერძოებული იქნება, ანდა პირიქით – თუკი მოწმე ბრალდებულის ან დაზარალებულის ნათესავი ან მეგობარი არ არის, ის ამიტომ აუცილებლად მიუკერძოებელი იქნება და უფრო მეტ ნდობას იმსახურებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანი მეტად რთული ფსიქოლოგიური ფენომენია და მისი სანდოობის შეფასებისას მომეტებული სიფრთხილე და დაკვირვება გვმართებს.

მეორე კრიტერიუმია იმ გარემოებების შეფასება, რომლებშიც მიმდინარეობდა მტკიცებულების ფორმირება, მაგალითად: ის ვითარება და პირობები, რომლებშიც მოწმე იმყოფებოდა (ღამის საათები; კლიმატური პირობების გამო ცუდი ხილვადობა; აღქმის მომენტში მანძილი მოწმესა და შემთხვევის ადგილს შორის); საჭირო მასალის მოცულობა და საკმარისობა ექსპერტიზის ჩასატარებლად და სხვა.

მესამე კრიტერიუმია მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მიღების ხერხებისა და საშუალებების შეფასება, მაგალითად: საქმისათვის დიდი მნიშვნელობის ფაქტობრივი გარემოება შეიძლება დადგინდეს დაინტერესებულ მოწმეთა ჩვენებებითაც, ასევე დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით ან/და უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული ოფიციალური ხასიათის დოკუმენტებით. ასეთ შემთხვევაში აღნიშნულთაგან უფრო ნაკლებ სანდოობას იმსახურებს მოწმეთა ჩვენებების სახით წარდგენილი მტკიცებულებები, რადგან ისინი მაინც სუბიექტური ხასიათისაა და შესაძლოა მათზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ მთელი რიგი ნეგატიური სუბიექტური ფაქტორები (გარდა იმ განსაკუთრებული შემთხვევისა, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, დოკუმენტური მტკიცებულების ფალსიფიკაციის თაობაზე).

მეოთხე კრიტერიუმია იმ გარემოებათა შეფასება, რომლებიც არაპირდაპირ ადასტურებენ ან უარყოფენ შესაბამის მტკიცებულებაში წარმოდგენილ გარემოებას. მაგალითად, დანაშაულის ჩადენის დღეს ბრალდებულის ყოფნა იმ დაწესებულებაში, სადაც მკვლელობა მოხდა, რომელიც არაპირდაპირ ადასტურებს მოწმის ჩვენებას, რომლის მიხედვით სწორედ ბრალდებულმა ესროლა დანა ზურგის არეში გარდაცვლილ დაზარალებულს.

მეხუთე კრიტერიუმია პირდაპირ მტკიცებულებაში დაცული ინფორმაციის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულების შეფასება, რომელიც ასევე პირდაპირ ადასტურებს იმავე ფაქტს. მაგალითად, გარე სათვალთვალო კამერით გადაღებული ვიდეოფირის შეფასება, რომელზედაც აღბეჭდილია ბრალდებული იმ მომენტში, როდესაც იგი ძალაყინით ამტვრევს სუპერმარკეტის საცავის კარს, საიდანაც ძვირადღირებული ტექნიკა იქნა გატაცებული, და ბრალდების მოწმის ჩვენება, რომელიც აცხადებს, რომ მან დაინახა ბრალდებული ღამით იმ მომენტში, როდესაც ამ უკანასკნელს სუპერმარკეტის საცავიდან გამოჰქონდა ელექტრონული ტექნიკა.

გარდა აღნიშნულისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ურთიერთსაპირისპირო მტკიცებულებებიდან რომელიმე მათგანისათვის მოსამართლის მიერ უპირატესობის მინიჭებაში საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დასაბუთებული (მოტივირებული) დასკვნის გასაკეთებლად, გარდა უტყუარობისა, არსებით როლს თამაშობს აგრეთვე მათი მტკიცებულებითი ძალაც.

ეს უკანასკნელი უნდა განვასხვაოთ მტკიცებულების უტყუარობისაგან, ასევე მტკიცებულების ისეთი ფორმალურ-ნიშნობრივი თვისებებისაგან, როგორიაა მტკიცებულების დასაშვებობა და შესახებობა. მაგალითად, საქმეზე შეიძლება არსებობდეს პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებები, რომლებიც გარკვეული ფაქტობრივი გარემოების არსებობაზე ან მის შეუძლებლობაზე მიუთითებენ. აღნიშნული მტკიცებულებებიდან შესაძლოა ყველა უტყუარი იყოს, ამასთან, ისინი მოპოვებული იყოს საპროცესო ნორმების სრული დაცვით ანუ ისინი დასაშვებნი იყვნენ და საქმესთან შესახებობაც გააჩნდეთ. მაგრამ, ასეთ ვითარებაში, პირდაპირ მტკიცებულებებს უფრო მეტი მტკიცებულებითი ძალა გააჩნიათ, ვიდრე არაპირდაპირ მტკიცებულებებს. დავუშვათ, რომ დანაშაულის შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილია ბრალდებულის კუთვნილი ქურთუკი, რომელიც საქმეში ჩართულია ბრალდების არაპირდაპირი მტკიცებულების სტატუსით,

ხოლო დაცვის მხარემ წარადგინა პირდაპირი მტკიცებულება ვიდეოფირის ორიგინალის სახით, რომლის მიხედვით ბრალდებული იმ მომენტში, როდესაც დანაშაული მოხდა, სულ სხვა ადგილზე იმყოფებოდა. ასეთ პირობებში ხსენებულ ვიდეოფირს უფრო მეტი მტკიცებულებითი ძალა და მნიშვნელობა ექნება. მტკიცებულებებს შორის განსხვავება მათი მტკიცებულებითი ძალის თვალსაზრისით შეიძლება განაპირობოს არამარტო იმ გარემოებამ – ისინი პირდაპირია თუ არაპირდაპირი, არამედ სხვა თვისობრივმა მახასიათებლებმაც. მაგალითად, ნივთიერ მტკიცებულებას, რომელსაც აქვს მყარად უცვლელი სახე და რომელზედაც აღბეჭდილია დანაშაულის კვალი, გააჩნია უფრო მეტი მტკიცებულებითი ძალა, ვიდრე იგივე ფაქტისა თუ გარემოების დასადგენად იმავე ნივთიერი მტკიცებულების თაობაზე სპეციალისტის მიერ მიცემულ ჩვენებას. არ არსებობს რაიმე წინასწარ დადგენილი წესები ან კრიტერიუმები იმის განსაზღვრისათვის – რომელ მტკიცებულებას გააჩნია უფრო მეტი მტკიცებულებითი ძალა. ამ უკანასკნელის მართებულად განაზღვრა მრავალ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებაზე და მოსამართლის მხრივ მათი სწორად შეფასების უნარზეა დამოკიდებული.

სწორედ მტკიცებულებების უტყუარობა, მათი წარმოშობის წყაროს სანდოობა და მტკიცებულებითი ძალა წარმოადგენენ გადამწყეტი მნიშვნელობის იმ ფაქტორებს, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ პირის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის შესახებ მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაზე, ხოლო ეს უკანასკნელი არ შეიძლება წარმოადგენს მოსამართლის თვითნებური წარმოსახვისა თუ წინასწარ შეუმოწმებლად, თუნდაც ერთი შეხედვით გარეგნულად ერთობ დამაჯერებელი ვერსიის, ჭეშმარიტებად აღიარების ნაყოფს.

ყოველივე ამის შემდეგ უნდა აღინიშნოს იმის თაობაზეც, თუ როგორი ფორმით უნდა ჩამოაყალიბოს მოსამართლემ გამამტყუნებელ ან გამამართლებელ განაჩენში თავისი მოტივაცია – დასაბუთება, რომლითაც მან უნდა მიიღოს ერთი მტკიცებულება და უარყოს მისი საპირისპირო სხვა მტკიცებულება, კონკრეტულად როგორი უნდა იყოს მისი მსჯელობა და დასკვნა ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას. წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთ ნაწილში უკვე იყო მითითებული იმის თაობაზე, თუ რა ტაქტიკური გზები შეიძლება აირჩიოს მოსამართლემ მტკიცებულებათა დაპირისპირებისას გადაწყვეტილების მიღებისათვის, ამიტომ აქ აღარ იქნება ხელახლა მასზე საუბარი. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ურთიერთსაპირისპირო მტკიცებულებების არსებობისას მოსამართლის პოზიცია იმის თაობაზე – მათგან რომელი მიიჩნიოს სარწმუნოდ და მისაღებად, მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული ბრალდებისა და დაცვის მხარეების უნარზე – ადეკვატურად ჩაატარონ სასამართლო გამოძიება და ჯეროვან დონეზე წარმოაჩინონ თავიანთი მტკიცებულებების საფუძვლიანობა და დამაჯერებლობა, აგრეთვე ჯვარედინი დაკითხვითა თუ სხვა საპროცესო საშუალებებით გამომაზეურონ მათი მტკიცებულების საპირისპირო მტკიცებულების წინააღმდეგობრივი ხასიათი და არასანდოობა. თუმცა მოსამართლე (სასამართლო) ნებისმიერ შემთხვევაში, მოვალეა ჯეროვნად ჩამოაყალიბოს თავის მსჯელობასა და დასკვნაში ის მოტივები, რომელთა საფუძველზეც მან უპირატესობა მიანიჭა ამა თუ იმ მტკიცებულებას ამ უკანასკნელის საპირისპირო მტკიცებულებასთან კონკურენციისას.

ახლა ავიღოთ კონკრეტული მაგალითები იმისა, როგორი ფორმით შეიძლება ჩამოაყალიბოს მოსამართლემ (სასამართლომ) განაჩენში თავისი მოტივები და დასაბუთება გარკვეული მტკიცებულების მიღებისა და მისი საპირისპირო მტკიცებულების უარყოფისას:

1. „მ.ს-ს მიმართ წარდგენილი ბრალდების დასადასტურებლად, რომლის მიხედვით მან ჩაიდინა ჯგუფური ყაჩაღობა ბინაში უკანონო შეღწევითა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების, კერძოდ, მოწმეების – გ. ტ-ს, ა. ლ-სა და ე.ბ-ს ჩვენებების მიხედვით, რომლებიც მოცემულ საქმეზე დაზარალებულებად არიან ცნობილნი, 2010 წლის 5 ნოემბერს, დაახლოებით 02.00 საათზე მათ ოჯახზე შეიარაღებული თავდასხმა, სხვა ორ თანამზრახველთან ერთად, განახორციელა სწორედ მ.ს-მ, რომელიც მათ ამოიცნეს: მისი სხეულის მდგომარეობით

(ის საგრძნობლად მოხრილია წელში); თავის ქალას ფორმით (უკან წაგრძელებული კეფით); თვალების ფერით (მწვანე ფერის თვალები); გამოკვეთილად მაღალი და კეხიანი ცხვირით, რომელიც ნიღბის ქვეშაც კი ადვილი შესამჩნევი იყო; ხმით, რომელიც არის ძალზე დაბალი ტემბრის; საუბრის მანერით (საუბრისას ის ხშირად იყენებდა ჩვეულ ფრაზას – „თუ შეიძლება მადროვეთ"). მ.ს-ს გარეგნული ნიშნები აღნიშნულ მოწმეებს დადასტურებული აქვთ ამოცნობის ოქმებშიც, ხოლო მთლიანობაში მათი ჩვენებები, რომლებშიც ისინი აღწერენ მათზე ყაჩაღური თავდასხმის მთელ მიმდინარეობას, ძირითად და მნიშვნელოვან დეტალებში ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა არ არიან იდენტურნი.

მ.ს-ს მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით დაცვის მხარემ წარმოადგინა საპირისპირო მტკიცებულებები, კერძოდ: ბრალდებულის საცხოვრებელ ადგილზე მოქმედი პოლიკლინიკის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლის მიხედვით 2010 წლის 1 ნოემბრიდან 27 ნოემბრამდე მ.ს-ს უტარდებოდა მკურნალობის კურსი რადიკულიტის გამო; იმავე პოლიკლინიკის მიერ გაცემული მეორე დოკუმენტის მიხედვით 2010 წლის 3 და 5 ნოემბერს მ.ს. იმყოფებოდა აღნიშნულ პოლიკლინიკაში ექიმთან მიღებაზე, რა დროსაც მას ჩაუტარდა ინტენსიური თერაპიის კურსი; დაცვის მოწმის, ექიმ ნ.ტ-ს მიერ სასამართლოში პირდაპირი დაკითხვისას მიცემული ჩვენების მიხედვით, მასთან მიღებაზე ყოფნისას მ.ს-ს უჭირდა თავისუფალი მოძრაობა და აწუხებდა ასევე მაღალი არტერიული წნევა. გარდა ამისა, დაცვის მხარემ წარმოადგინა კლინიკა „ოკულისტის" მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლის მიხედვით, იმ პერიოდში, როდესაც განსახილველი დანაშაულის შემთხვევა მოხდა, მოწმე გ.ტ-ს, რომელიც საქმეზე დაზარალებულად არის ცნობილი, გააჩნდა მხედველობის პრობლემა და გადიოდა მკურნალობის კურსს. ამის გამო გ.ტ-ს არ შეეძლო სცოდნოდა მ.ს-ს გარეგნული ნიშნები მისი ამოცნობისას, რაც მას, სავარაუდოდ, პოლიციამ წინასწარ მიაწოდა, ხოლო ეს გარემოება ეჭვქვეშ აყენებს ასევე სხვა მოწმეების მიერ მ.ს-ს ამოცნობასა და მთლიანად მათ ჩვენებებსაც. დაცვის მხარე მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, აპელირებს იმაზე, რომ აღნიშნულ მტკიცებულებებში მითითებულ გარემოებათა გამო მ.ს-ს არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო იმ დანაშაულში, რომლის ჩადენაც მას ბრალად ერაცხება.

სასამართლომ შეისწავლა და გააანალიზა რა მ.ს-ს ბრალდების საქმეზე ბრალდებისა და დაცვის მხარეების მიერ წარმოდგენილი ურთიერთსაპირისპირო მტკიცებულებები, მიიჩნია, რომ ბრალდების მოწმეთა ჩვენებები ერთმანეთთან სრულ თანხმობაშია და ერთგვაროვნად ადასტურებენ ფაქტობრივ გარემოებებს. მათ თავიანთ ჩვენებებში მითითებული გარემოებები და მათ შორის მ.ს-ს გარეგნობის ნიშნები დადასტურებული აქვთ ბრალდებულის ამოცნობისას, ამასთან, მათ არ გააჩნდათ არავითარი შესაძლებლობა იმისა, რომ ამოცნობის ჩატარებამდე ერთმანეთთან წინასწარ შეთანხმებულიყვნენ აღნიშნული ნიშნების თაობაზე, რომლებსაც მანამდე არასდროს არ უნახავთ ბრალდებული მ.ს.; განსაკუთრებით კი შეუძლებელი იყო დანაშაულის ჩადენამდე დაზარალებულებს რაიმე სცოდნოდათ მ.ს-ს საუბრის მანერის თავისებურების თაობაზე.

დაცვის მხარის საპირისპირო მტკიცებულებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე შემდეგ გარემოებებს: 2010 წლის 3 და 5 ნოემბერს მ.ს, მართალია, იმყოფებოდა პოლიკლინიკაში ექიმთან მიღებაზე და მოძრაობის თავისუფლებაც მას გარკვეულად შეზღუდული ჰქონდა, მაგრამ ყაჩაღური თავდასხმა მოხდა გვიან ღამით, 02.00 საათზე, ხოლო მ.ს. პოლიკლინიკაში იმყოფებოდა დღისით. ამასთან, ჯვარედინი დაკითხვის დროს მოწმე ნ.ტ-მ, მ.ს-ს მკურნალმა ექიმმა, დაადასტურა, რომ მ.ს. მასთან მიღებაზე თავისი ფეხით მივიდა, სხვის დაუხმარებლად, საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ხოლო რაც შეეხება მაღალ წნევას, მას არ ჰქონია ჰიპერტონიული კრიზი, არამედ ჰქონდა 160–100-ზე, რომელიც ქრონიკული ხასიათისა იყო. მოწმე ნ.ტ-მ ასევე განაცხადა, რომ მან ურჩია მ.ს-ს წოლითი რეჟიმის დაცვა, რასაც მ.ს. ვერაფრით ვერ ეგუებოდა და ჯიუტად აგრძელებდა ფიზიკურ აქტივობას. აღნიშნული გარემოებები იმაზე მიუთითებს, რომ მითითებულ დროს მ.ს-ს ფიზიკური მდგომარეობა ისეთი იყო, რაც მას არ უსპობდა შესაძლებლობას მონაწილეობა მიეღო დანაშაულის ჩადენაში. რაც შეეხება დაზარალებულ გ.ტ-ს მხედველობის პრობლემას, დადასტურებულია, რომ მას აქვს შორი მხედველობის

პრობლემა, რაც მას ხელს არ უშლიდა ახლო მანძილიდან კარგად შეემჩნია ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილე მ.ს-ს გარეგნული ნიშნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც ემყარება კანონსა და საქმეში არსებულ კანონიერ მტკიცებულებათა ობიექტურ ანალიზს, თვლის, რომ დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ვერ იქნება მიჩნეული ისეთ სარწმუნო და უდავო საფუძვლად, რომელსაც შეიძლება სასამართლო დაეყრდნოს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას. ამავე დროს, საქმეზე ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები მ.ს-ს ბრალეულობის დასადასტურებლად, არის სარწმუნო და არ არსებობს რაიმე საფუძველი მათ უტყუარობაში ეჭვის შესატანად. ამასთან, ისინი ერთობლიობაში სავსებით აკმაყოფილებენ მოთხოვნას კანონიერი და დასაბუთებული მტკიცებულებათა საკმარისობის თაობაზე.

მოხმობილ მაგალითში მოცემული იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდებოდა მტკიცებულებების მთელი სპექტრი, რა დროსაც საკითხი სასამართლომ გადაწყვიტა ბრალდების მტკიცებულებების სასარგებლოდ, რადგან მათ ბევრად უფრო მეტი მტკიცებულებითი ძალა გააჩნდათ, ვიდრე დაცვის მხარის მტკიცებულებებს. მაგრამ შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როდესაც რამდენიმე მტკიცებულებას უპირისპირდება ერთი მტკიცებულება, მაგრამ სწორედ ის იყოს უფრო სარწმუნო.

გავაანალიზოთ შემდეგი მაგალითი:

2. „წარდგენილი ბრალდების მიხედვით, ა. შ-ს ბრალი ედება ორი ადამიანის განზრახ მკვლელობის მცდელობაში, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით. ა. შ-მ ორმხრივი ჩხუბის დროს დანით სიცოცხლისათვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენა ე.ზ-სა და ო. ც-ს, ხოლო უ. კ-ს კი – ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, რაც დადასტურებულია თითოეული მათგანის მიმართ ჩატარებული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით. ანალოგიური ექსპერტიზა ჩატარდა ასევე ბრალდებულ ა.შ-ს მიმართ, რომლითაც დადგენილია მისთვის მიყენებული სხეულის მრავლობითი დაზიანებები, როგორც სხეულის წინა მხარეზე – გულმკერდის, მუცლისა და სახის არეში, ასევე სხეულის უკანა მხარეზე – ზურგის, წელის, კეფისა და ფერდების არეში. აღნიშნული დაზიანებები, სავარაუდოდ, მიყენებულია მკვრივი, ბლაგვი საგნების გამოყენებით, მათ შორის შესაძლებელია მუშტითა და ფეხსაცმლიანი ფეხებითაც.

საქმეზე დაზარალებულად ცნობილი ე. ზ-ს, ო. ც-სა და უ. კ-ს, როგორც ბრალდების მოწმეების მიერ სასამართლოში პირდაპირი დაკითხვისას მიცემული ჩვენებებით ირკვევა, ისინი იყვნენ ნასვამ მდგომარეობაში და ქუჩაში მოსეირნობდნენ. მათ გზად შეხვდათ მანამდე მათთვის უცნობი ა.შ., რომელსაც სიგარეტი სთხოვეს, რაც ამ უკანასკნელმა რატომღაც საწყენად მიიღო და მათ უხეშად უპასუხა. ამის გამო მათ ა.შ-ს შენიშვნა მისცეს და მისგან პასუხიც მოითხოვეს მისი მხრიდან გამოვლენილ უხეშობაზე. მაგრამ, მათთვის მოულოდნელად, ა.შ-მ დანა ამოიღო და მათ დაერია, რა დროსაც მისი მოქმედებით ანუ დანის დარტყმით მიიღეს მძიმე ჭრილობები, რის შემდეგაც ა. შ-მ დატოვა შემთხვევის ადგილი. მათ მოახერხეს მობილური ტელეფონით სასწრაფო-სამედიცინო დახმარების გამოძახება, რამაც ისინი სიკვდილისაგან იხსნა. ჯვარედინი დაკითხვისას განაცხადეს, რომ არ იციან როდის, სად, ვისგან და რა ვითარებაში მიიღო ა. შ-მ სხეულის მრავლობითი დაზიანებები, ვინაიდან მათ ის არ უცემიათ. ამასთან, ისინი არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ა. შ-ს მიერ ხელოვნურად მიყენებულ თვითდაზიანებებსა და სიმულაციას.

მოწმის სახით პირდაპირი დაკითხვისას ბრალდებულმა ა. შ-მ განაცხადა, რომ მოდიოდა ქუჩაში, რა დროსაც გზად გადაეყარა მანამდე მისთვის უცნობ ე. ზ-ს, ო. ც-სა და უ. კ-ს, რომლებმაც ის შეაჩერეს და სიგარეტი მოსთხოვეს. მან უპასუხა, რომ სიგარეტი არ ჰქონდა და შეეცადა მათ გაცლოდა, რადგან შეამჩნია – ისინი ნასვამები იყვნენ. მაგრამ უცნობები მას არ მოეშვნენ და უხეში ტონით დაუწყეს საუბარი, თუ რატომ

არ ჰქონდა სიგარეტი, მათ უპასუხა, რომ ეს მათი საქმე არ იყო და კვლავ შეეცადა იქაურობას გაცლოდა, მაგრამ ამ დროს ერთმა მათგანმა დაიძახა – „შენ, ბიჭო, რამდენს გვიბედავო"! რა დროსაც მას სახეში, თვალის არეში მოხვდა მუშტი, რის შედეგადაც მან წონასწორობა დაკარგა და მუხლებზე დავარდა. ამ მომენტში მას სამივემ დაუწყო ცემა დაუზოგავად, სცემდნენ ფეხებით, რომლებმაც ის წრეში მოიმწყვდიეს და ფეხზე წამოდგომის საშუალებას არ აძლევდნენ. ის უკვე ცუდად ხდებოდა და იმასაც ხვდებოდა, რომ მათ თავს ველარ დააღწევდა, ხოლო მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა. ამის გამო ის იძულებული გახდა, თავის დაცვის მიზნით დანა ამოეღო და მისი მეშვეობით მოეგერიებინა მოძალადეთა თავდასხმა. იგი დანას იქნევდა ყველა მიმართულებით და თავდამსხმელებს ურტყამდა იქ, სადაც ხელი მიუწვდებოდა – ქვედა კიდურების, მუცლისა და საზარდულის მიმართულებით. დანის ქნევას აგრძელებდა მანამ, სანამ არ შეწყდა მასზე თავდასხმა. ამის შემდეგ მან დაჭრილებისათვის გამოიძახა სასწრაფო სამედიცინო დახმარება, ხოლო თვითონ დაუყოვნებლივ გამოცხადდა პოლიციის უახლოეს განყოფილებაში, განაცხადა მომხდარის შესახებ და მოითხოვა სამედიცინო შემოწმება, რაც ჩაუტარდა კიდეც. ჯვარედინი დაკითხვისას ა.შ-მ აღნიშნა, რომ ის ხშირად ატარებს ჯიბით პატარა ზომის დასაკეც დანას, რომელსაც ის იყენებს ჰიგიენური დანიშნულებით, ხოლო შემთხვევის დროს ის სკოლაში მიიჩქაროდა, რათა სკოლიდან შინ წაეყვანა თავისი პირველკლასელი შვილი – გია, რასაც ის თითქმის ყოველდღე აკეთებს, როდესაც მის სამუშაო ადგილზე შესვენების დროა.

სასამართლომ, განიხილა რა აღნიშნული მტკიცებულებები ა.შ-ს ბრალდებასთან დაკავშირებით, მიიჩნია, რომ ბრალდების მოწმეების – ე.ზ-ს, ო.ც-სა და უ.კ-ს ჩვენებები ვერ იქნება გაზიარებული და მიღებული უტყუარ მტკიცებულებებად შემდეგ გარემოებათა გამო:

მათი ჩვენებები, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთთან თანმხობაშია, ეწინააღმდეგებიან საქმეში არსებულ სხვა სარწმუნო და ობიექტურ მტკიცებულებებს. კერძოდ, მათი ჩვენებების მიხედვით ბრალდებულ ა.შ-ს სხეულზე არავითარი დაზიანებები არ უნდა ჰქონოდა, მასთან მომხდარი კონფლიქტის იმ ვითარებიდან გამომდინარე, რასაც ისინი აღწერენ თავიანთ ჩვენებებში. სინამდვილეში კი პოლიციის განყოფილებაში ჩატარებული სამედიცინო შემოწმების აქტითა და შემდგომში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია ა.შ-ს სხეულზე არსებული მრავლობითი დაზიანებები – როგორც წინა მხარეზე, ასევე უკანა მხარეზე, კერძოდ, ზურგზე, კისერთან ახლოს მიყენებული დაზიანების ნაკვალევი წააგავს ფეხსაცმლის ლანჩის ფორმას. ამასთან, ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია ა.შ-ს კუთვნილ შარვალზე მუხლების არეში არსებული დაზიანებები, რომელიც განვითარებულია ფიზიკური ზემოქმედებით და საიდანაც ამოღებულია ნიადაგისა და ქვიშის ნაწილაკები. გარდა ამისა, დადგენილია, რომ ა.შ-ს სხეულზე განვითარებული დაზიანებები, დროის თვალსაზრისით, მიყენებულია კონფლიქტის მიმდინარეობისას, რადგან ის ამ კონფლიქტის დამთავრებისთანავე დაუყოვნებლივ გამოცხადდა პოლიციაში, სადაც მას ჩაუტარდა სამედიცინო შემოწმება და შესაბამის ოქმში პოლიციაში გამოცხადების დროსთან ერთად დაფიქსირდა აღნიშნული დაზიანებები. ამასთან, ე.ზ., ო.ც. და უ. კ. თავიანთ ჩვენებებში არ მიუთითებენ, რომ ა.შ., როდესაც მათ ქუჩაში შეხვდა, იყო ნაცემი ან სახეზე ჰქონდა რაიმე დაზიანება, პირიქით, ისინი აცხადებენ, რომ არ იციან სად და როდის მიიღო ა.შ-მ სხეულის დაზიანებები. ყოველივე ამასთან ერთად, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნებით დადგენილია, რომ ე.ზ-ს დანით მიყენებული მძიმე დაზიანება აღენიშნება ქვედა კიდურზე, ბარძაყის არეში; ო.ც-ს საზარდულში, ხოლო უ.კ-ს წელის უკან. ყველა ეს დაზიანება და მათთვის მიყენებული დანარჩენი მსუბუქი დაზიანებები წარმოადგენენ ნაკვეთი ხასიათის ჭრილობებს, რაც მიყენებული უნდა იყოს მოქნეული დანის გასმით და დანის პირდაპირი დარტყმით მიყენებულ ჭრილობებს არ წარმოადგენენ. ამავე დროს, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ა.შ-ს სხეულზე არსებული დაზიანებების განლაგება და ლოკალიზაცია გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ა.შ-ს მიეყენებინა თვითდაზიანებები იმ ადგილებში, სადაც ისინი იქნა აღმოჩენილი.

ამასთან, მომხდარი შემთხვევის დროსა და პოლიციაში ა.შ-ს გამოცხადების დროის მომენტს შორის იმდენად მცირე ინტერვალია, რომ ძალზე საეჭვოა ამ პერიოდში მას მოეხერხებინა, სიმულაციის მიზნით ზემოაღნიშნული თვითდაზიანებების მიყენება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ შემთხვევაში განხილული გარემოებები მთლიანად ადასტურებენ ბრალდებულ ა.შ-ს ჩვენების, როგორც მტკიცებულების, სისწორეს და უტყუარობას, რომელიც სრულ თანხმობაშია საქმეში არსებულ სხვა უტყუარ მტკიცებულებებთან, რის გამოც ის მიღებული და გათვალისწინებული უნდა იქნეს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას, ხოლო ბრალდების მოწმეების ე.ზ-ს ო.ც-სა და უ.კ-ს ჩვენებები უარყოფილ უნდა იქნეს, როგორც არასარწმუნო მტკიცებულებები".

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ წარმოდგენილ შემთხვევაში სასამართლომ უტყუარ მტკიცებულებად მიიღო ბრალდებულის ანუ საქმის შედეგით აშკარად დაინტერესებული მოწმის ჩვენება, რადგან მისი სისწორე დასტურდებოდა სხვა სარწმუნო მტკიცებულებებით. ამიტომ, დაუშვებელია ჩვენების, როგორც მტკიცებულების უტყუარობაში ეჭვის შეტანა და მისი უარყოფა მხოლოდ იმ მოტივით, რომ ის საქმის შედეგით დაინტერესებულ მოწმეს ეკუთვნის, არამედ პროცესუალურად ყოველი შესაძლებელი საშუალებით უნდა გაირკვეს მისი ობიექტურობა და შესაბამისობა სხვა უტყუარ მტკიცებულებებთან, რის შემდეგაც უნდა იქნეს დასკვნა გაკეთებული მისი მიღებისა თუ უარყოფის შესახებ.

ანალოგიური მეთოდი, მოტივაცია და დასაბუთება შეიძლება იქნეს გადაწყვეტილების მისაღებად გამოყენებული იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთი და იმავე ფაქტისა თუ გარემოების თაობაზე ერთმანეთს უპირისპირდება მხოლოდ ორი სხვადასხვა მტკიცებულება. სასამართლოსათვის შედარებით უფრო რთული გადასაწყვეტია ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთი და იმავე საკითხის თაობაზე არსებობს ერთი და იმავე სახის ექსპერტიზის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნა, ხოლო იმავე საკითხზე ჩატარებული კომისიური ექსპერტიზა ფაქტობრივად უშედეგოდ დასრულდა, რადგან კომისიის მონაწილე ექსპერტები ვერ შეთანხმდნენ და კვლავ განსხვავებულ პოზიციებზე დარჩნენ. პრობლემა კი ისაა, რომ, როგორც ცნობილია, ექსპერტიზა ტარდება სპეციფიკური საკითხის გასარკვევად, რომელიც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, რაც მოსამართლეს არ გააჩნია. საქმეზე ორი ან მეტი ურთიერთსაწინააღმდეგო საექსპერტო დასკვნის არსებობისას მოსამართლე უნდა შეეცადოს იმის დადგენას, რომელი საექსპერტო დასკვნა უფრო შეესაბამება საქმეში არსებულ სხვა მასალებსა და უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას, როდესაც პირის ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია ექსპერტიზის დასკვნის გარეშე. რა თქმა უნდა, აღნიშნული სირთულე მოსამართლეს (სასამართლოს) არ ათავისუფლებს იმის მოვალეობისაგან, რომ განაჩენში წარმოადგინოს ჯეროვანი მოტივები და საფუძვლიანი დასაბუთება იმის თაობაზე, რატომ მიაჩნია სარწმუნოდ შესაბამისი საექსპერტო დასკვნა და რატომ უარყოფს მის საწინააღმდეგო საექსპერტო დასკვნას. ასეთ დროს ყურადღება უნდა მიექცეს – რომელი ექსპერტიზა ჩატარდა უფრო სრულფასოვან პირობებში და გააჩნდა თუ არა ექსპერტს ყველა საჭირო მასალა; რომელ საექსპერტო დასკვნაშია წარმოდგენილი კატეგორიული და ცალსახა გადაწყვეტა სადავო საკითხისა; რამდენად სრულყოფილი სამეცნიერო და მეთოდიკური ბაზა იქნა გამოყენებული ექსპერტის მიერ მის წინაშე დასმული საკითხის გადასაწყვეტად; რამდენად ცხადი და გასაგებია დასკვნის კვლევით ნაწილში განვითარებული მსჯელობა და რამდენად შეესაბამება იგი საბოლოო დასკვნით დებულებას; რამდენად ადეკვატური იყო ექსპერტისათვის დასმული კითხვები; დასკვნაში ექსპერტი ხომ არ გასცდა თავისი კომეტენციის ფარგლებს. გარდა აღნიშნულისა, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სხვა გარემოებებს, რომლებიც შეიძლება მოსამართლეს დაეხმაროს მყარი შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაში ექსპერტიზის დასკვნის, როგორც მტკიცებულების უტყუარობისა და რელევანტურობის თაობაზე, და რომლებმაც სათანადო ასახვა უნდა ჰპოვოს მოსამართლის მიერ განაჩენში წარმოდგენილ მოტივაციასა და დასაბუთებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემდეგი: განაჩენის სამოტივაციო ნაწილში სასამართლოს (მოსამართლის) მიერ მტკიცებულებების შეფასებებთან დაკავშირებით განვითარებული მსჯელობები და დასაბუთებები არ უნდა შეიცავდეს პირდაპირ ან არაპირდაპირ დასკვნებს პირის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე, რათა სამართლებრივი შეფასებების ნაადრევი მანიფესტირებით ობიექტური დამკვირვებლის წარმოდგენაში არ გაჩნდეს ეჭვი საქმის შედეგისადმი სასამართლოს მიკერძოებული დამოკიდებულების თაობაზე.

ბოლოს უნდა ითქვას კიდევ ერთ აუცილებელ საკითხზე: მოსამართლემ (სასამართლომ) განაჩენში მოტივაციისა და დასაბუთებისას ყოველნაირად უნდა აარიდოს თავი ისეთი ფრაზების გამოყენებას, როგორიცაა „თავისთავად ცხადია"; „სრულიად გასაგებია"; „არ შეიძლება სადავო იყოს"; „უპრიანია დავასკვნათ"; „ცალსახად აშკარაა" და სხვა ასეთი, რომლებიც განაჩენისა თუ მოსამართლის დასკვნების დამაჯერებლობას საეჭვოს ხდის კომპეტენტური მკითხველის თვალში, რადგან ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლე ცდილობს ასეთი ფრაზებით გადაფაროს განაჩენის არაჯეროვანი დასაბუთებულობა და თავისი პოზიციის სისუსტე, რათა მკითხველის თვალში გააქარწყლოს როგორმე თავისი დაურწმუნებლობა ყოველივე იმაში, რასაც იგი წერს.

ალიბის დადასტურება ან უარყოფა განაჩენში[1]

1 ავტორი: დავით სულაქველიძე – თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი წევრი, 2014.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა სამართლებრივი მნიშვნელობით ალიბის ცნებაში იგულისხმება მხოლოდ შემდეგი რამ: დაცვის მხარის მიერ წამოყენებული ვერსია დანაშაულის ჩადენის მომენტში ბრალდებულის არა შემთხვევის, არამედ სხვა ადგილზე ყოფნისა და აქედან გამომდინარე, მომხდარ დანაშაულში მისი მონაწილეობის შეუძლებლობის შესახებ. ამიტომ, ალიბი არ უნდა ავურიოთ დაცვის მხარის მიერ ბრალდებულის უდანაშაულობის დასადასტურებლად წარმოდგენილ სხვა მსგავს ვერსიებში, მაგალითად, ვერსიაში იმის თაობაზე, რომ ბრალდებულთან აღმოჩენილი ნაქურდალი ნივთი მის მიერ დანაშაულებრივი გზით კი არაა მოპოვებული, არამედ მან ის ბაზრობაზე იყიდა უცნობი პირისაგან; ან კიდევ, ასეთი ვერსია: ბრალდებული დანაშაულის ჩადენის ადგილზე აღმოჩნდა სრულიად შემთხვევით, პირად საქმესთან დაკავშირებით და მომხდარ დანაშაულთან მას არაფერი აქვს საერთო. ალბათ სრულიად გასაგებია, რომ, უმეტეს შემთხვევებში, ალიბის არსებობისა თუ არარსებობის საკითხი უკავშირდება პირს, რომელსაც ბრალს სდებენ როგორც დანაშაულის ამსრულებელს ან თანაამსრულებელს. თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში, ალიბის საკითხი შესაძლებელია ეხებოდეს ასევე დანაშაულის თანამონაწილესაც (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე), თუკი, დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, დანაშაულის ჩადენის მთელი პროცესის მიმდინარეობისას ყოვლად აუცილებელი იყო თანამონაწილის ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო დაცვა კი ამტკიცებს, რომ დანაშაულის განხორციელებისას მისი საწყისი მომენტიდან საბოლოო დასრულების მომენტამდე, ის საზღვარგარეთ იმყოფებოდა. მაგალითად, პირს ბრალი ედება ჯგუფურ ყაჩაღობაში თანამონაწილეობისათვის, რაც გამოიხატა ამ პირის მიერ აღნიშნული ჯგუფისათვის იარაღისა და დანაშაულის სხვა საშუალებების მიწოდებაში მაშინ, როდესაც სხვა მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ ყაჩაღთა ჯგუფი შეიქმნა დანაშაულის ჩადენამდე ერთი თვით ადრე. დაცვის მხარე კი აყენებს ვერსიას იმის თაობაზე, რომ ბრალდებული ჯერ კიდევ ყაჩაღთა ჯგუფის შექმნამდე სამი თვით ადრე გაემგზავრა უცხოეთში, სადაც ის დარჩა ერთ წელზე მეტ ხანს და, მაშასადამე, ამ პერიოდში მას არ შეეძლო ფიზიკური დამხმარის სახით რაიმე მონაწილეობა მიეღო საქართველოში ჩადენილ დანაშაულში.

დაცვის მხარის მიერ ალიბის წარდგენის შემთხვევაში სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ორი რამ: პირველი ის, რომ ალიბის ნამდვილობისა თუ უსაფუძვლობის მტკიცების ტვირთი ოფიციალურად დაცვის მხარეს ვერ დაეკისრება; მეორე ის, რომ თუკი დაცვის მხარე სასამართლოს წინაშე აყენებს შუამდგომლობას ალიბის არსებობის შესახებ, ასეთი შუამდგომლობა უნდა იყოს სათანადო არგუმენტებით ჯეროვნად დასაბუთებული, რათა შესაძლებელი იყოს მისეული ვერსიის საფუძვლიანობის შემოწმება და შეფასება სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. ამასთან, დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებსა თუ მტკიცებულებებს უნდა გააჩნდეთ შესახებობა მტკიცების საგანთან.

როგორც წესი, დაცვის მხარე ბრალდებულის უდანაშაულობის ვერსიას ალიბის მოშველიებით აყენებს ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების სტადიაზე, მაგრამ თუ ამ ეტაპზე ვერსია და ალიბი ბრალმდებელმა მხარემ არ გაიზიარა, საკითხის განხილვა გადადის სასამართლოში საპროცესო კანონით დადგენილი შესაბამისი წესების დაცვით. არ არის გამორიცხული, რომ დაცვის მხარემ ალიბი წამოაყენოს საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის დროსაც, ცხადია, თუკი დაასაბუთებს, რომ მანამდე ამის გაკეთება მისთვის ობიექტურად იყო შეუძლებელი. გარკვეულ ინტერესს იწვევს შემდეგი საკითხი: როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე, თუკი დაცვის მხარემ ვერსია ალიბის არსებობის თაობაზე წარადგინა სასამართლო გამოძიების დამთავრების შემდეგ თავის დასკვნით სიტყვაში. სრულიად გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში, მოსამართლე განაჩენის სამოტივაციო ნაწილში ვერ იმსჯელებს ისეთ ალიბზე, რომელიც არ ყოფილა შემოწმებული სასამართლო გამოძიებისას. თუმცა შესაძლებელია ამან გარკვეული გავლენა მოახდინოს მოსამართლის შინაგან რწმენაზე დაცვის მტკიცებულებების შეფასებისას, იმისდაკვალად, თუ რამდენად საფუძვლიანად და დამაჯერებლად გამოიყურება აღნიშნული ალიბი.

სავსებით შესაძლებელია, რომ დაცვის მხარის მიერ ყოველგვარი არგუმენტებისა და დასაბუთების გარეშე წარდგენილი ალიბი სასამართლომ უარყოს მის განსახილველად

შუამდგომლობის დაშვებისა თუ არდაშვების საკითხის გადაწყვეტის ეტაპზევე. მაგალითად, დაცვის მხარე აყენებს ვერსიას იმის თაობაზე, რომ იმ დროს, როდესაც დანაშაული ჩადენილ იქნა თბილისში, ბრალდებული იმყოფებოდა ქ. ბათუმში, კერძოდ, ქალაქის მერთან მიღებაზე, თუმცა არავითარ არგუმენტზე არ უთითებს და მას არც რაიმე დასაბუთება არ გააჩნია. სასამართლოს შეუძლია შუამდომლობა უარყოს დაუსაბუთებლობის მოტივით და საერთოდ არ განიხილოს ის არსებითად. ისეთ შემთხვევაში კი, როდესაც ხსენებულ შუამდგომლობაში მოშველიებული არგუმენტები საკმაოდ საფუძვლიანია, სასამართლო მოვალეა, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების სრული დაცვით, ორივე მხარეს მისცეს საშუალება ამტკიცონ თავიანთი პოზიციები ალიბთან დაკავშირებით, საპროცესო ნორმებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

მომდევნო მსჯელობის საგანს წარმოადგენს საკითხი – მხარეთა მიერ ალიბთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების მოსმენის შემდეგ, განაჩენის შედგენისას, სასამართლომ როგორ და რა საშუალებებით უნდა შეამოწმოს და შეაფასოს ალიბის ნამდვილობა ან მისი სიყალბე. ასეთ შემთხვევაში მხარეთა მიერ ალიბთან დაკავშირებით სასამართლოსათვის მიწოდებული თითოეული არგუმენტი მოსამართლემ უნდა შეაფასოს საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, რა დროსაც შეიძლება გადააწყდეს იმავე ვითარებას, რაც შეიძლება წარმოიშვას ზოგადად ბრალდებისა და დაცვის მტკიცებულებების დაპირისპირებისას და რის თაობაზეც უკვე იყო ზემოთ აღნიშნული. ცხადია, ამ დროს სასამართლო გამოიყენებს დასაბუთებისა და მოტივაციის იმავე წესებს.

ამავე დროს, ალიბის შეფასებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ შესაძლებელია პრაქტიკაში შეგვხვდეს ალიბის ფრიად განსხვავებული შემთხვევები გარკვეული თავისებურებებით. კერძოდ, შესაძლოა ალიბის ნამდვილობის დადასტურებისათვის დაცვის მხარემ წარმოადგინოს მოწმეები, რომლებიც არიან ბრალდებულის ახლო ნათესავები, მეზობლები, თანამშრომლები, ან მეგობრები. ასევე შესაძლებელია მოწმეებად წარმოდგენილი იყვნენ სრულიად გარეშე ადამიანებიც, რომლებსაც ბრალდებულთან შემთხვევითი შემხვედრობა აქვთ. გარდა ამისა, ისიც შესაძლებელია, რომ ბრალდებულს არ ჰყავდეს მოწმეები, რომლებიც მის ალიბს დაადასტურებენ. აგრეთვე ისიც შესაძლებელია, რომ მოწმეების ჩვენებები ალიბის რეალობას ადასტურებდნენ პირდაპირ, და იყოს მოწმეთა ისეთი ჩვენებებიც, რომლებიც ალიბის რეალობას ადასტურებდნენ არაპირდაპირ. თითოეულ დასახელებული შემთხვევის მიმართ მოსამართლეს მოეთხოვება განსხვავებული მიდგომა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ალიბის მოწმეები არიან ბრალდებულის ახლობელი ადამიანები, ცხადია, სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის სასარგებლოდ მათი შესაძლო მიკერძოებულობის ალბათობას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის გამო ავტომატურად უნდობლობა გამოვუცხადოთ მათ ჩვენებებს, არამედ თითოეული ასეთი ჩვენება უნდა გავაანალიზოთ დეტალებსა და წვრილმანებში იმის გასარკვევად, რამდენად არიან ისინი ურთიერთთანხმობაში. შესაძლოა გარეგანი გამოხატვის ფორმით ისინი ერთმანეთს არ ემთხვეოდეს, მაგრამ მთავარია არსობრივად ერთმანეთთან იყვნენ კორელაციაში. ამგვარი კორელაციის არარსებობის შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, მოწმეთა ჩვენებები ვერ იქნება მიღებული, როგორც ალიბის უტყუარი მტკიცებულებები.

ასევე გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: შესაძლებელია ალიბის მოწმეთა ჩვენებები ერმანეთთან სრულ თანხმობაში იყვნენ შინაარსობრივად, მაგრამ თუკი ყველა მათგანი მთლიანობაში უპირისპირდება საყოველთაოდ ცნობილ ფაქტსა და მოვლენას, მაშინ ისინი ვერ იქნებიან მიღებულნი ალიბის უტყუარ მტკიცებულებებად. მაგალითად, ალიბის მოწმეები თავიანთ ჩვენებებში დარწმუნებით აცხადებენ, რომ მომხდარი შემთხვევისას ბრალდებული ერთ-ერთი მათგანის ბინაში იმყოფებოდა და მათთან ერთად უყურებდა ევროპის ჩემპიონთა ლიგის საფეხბურთო მატჩს, ასევე ასახელებენ გამარჯვებულ გუნდსა და მატჩის ანგარიშს. სინამდვილეში კი, მათ მიერ დასახელებულ

დროს ტელევიზიით, მართალია, გადაიცემოდა საფეხბურთო მატჩი, მაგრამ იგი მეორე ტაიმის დასაწყისში ჩაიშალა და ვეღარ გაგრძელდა მეტოქე გუნდების ფეხბურთელებს შორის მომხდარი ჩხუბის გამო, რომელშიც მაყურებლებიც ჩაებნენ. ამასთან, იმ გუნდს, რომელსაც ალიბის მოწმეები გამარჯვებულად აცხადებდნენ, ტექნიკური დამარცხება ჩაეთვალა, ხოლო მატჩის შეწყვეტისას ანგარიში იყო 0:0.

მიუხედავად ზემოთქმულისა, თუკი ალიბის მოწმეები, მართალია, ბრალდებულის ახლობელი ადამიანები არიან, მაგრამ მათი ჩვენებები არათუ თანხმობაშია ერთმანეთთან, არამედ ამ ჩვენებების სისწორე სხვა მტკიცებულებებითაც დასტურდება, თუნდაც არაპირდაპირ, ხოლო ბრალმდებელი მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები მათ ვერ აბათილებენ, ცხადია, ასეთ შემთხვევაში ისინი შეიძლება მიღებულ იქნენ და საბოლოოდ საფუძვლად დაედოს გამამართლებელ განაჩენს. პირიქით, ის გარემოება, რომ ალიბის მოწმეები ბრალდებულისათვის უცხო, გარეშე ადამიანები არიან, არ წარმოადგენს მათი მიუკერძოებლიობისა თუ საქმისადმი ნეიტრალური დამოკიდებულების გარანტიას, ამიტომ, ალიბის მოწმეთა ჩვენებები საფუძვლიან შემოწმებასა და შეფასებას ყოველთვის მოითხოვენ მათი სანდოობის თვალსაზრისით.

გარდა ყოველივე აღნიშნულისა, სასამართლომ ალიბის მოწმეთა ჩვენებების შეფასებისას მხედველობაში უნდა იქონიოს ის გარემო და ვითარება, რომელთა პირობებშიც ყალიბდებოდა აღნიშნული ჩვენებები. სხვაგვარად რომ ითქვას, მოწმეებს ბრალდებულთან დაკავშირებული მოვლენის აღქმა უხდებოდათ მშვიდ და ჩვეულებრივ ვითარებაში, თუ ექსტრემალურ ვითარებაში, რამაც შესაძლოა გარკვეული განსხვავებები წარმოქმნას მათ ჩვენებათა შორის. არამარტო ექსტრემალურ, არამედ ასევე ჩვეულებრივ ვითარებასთან დაკავშირებული ალიბის მოწმეთა ჩვენებებს შორის გარკვეული წინააღმდეგობების არსებობის შემთხვევაშიც, ზოგჯერ ჭეშმარიტების მისაკვლევად და შეცდომის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია მათი შეფასებისათვის მივმართოთ განსხვავებულ მეთოდს, კერძოდ, ცალკეული ფრაგმენტების მეშვეობით მოვლენის მთლიანი სურათის რესტავრაციის მეთოდს. ამ დროს ყურადღება უნდა მიექცეს ცალკეული მოწმის ჩვენებაში ამა თუ იმ არსებითი ხასიათის დეტალის არსებობას, რომელიც თანხმობაში უნდა იყოს სხვა მოწმეთა ჩვენებებში წარმოდგენილ ასეთივე ფრაგმენტულ დეტალებთან, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან ერთიან უტყუარ სურათს, რომელიც ადასტურებს დანაშაულის შემთხვევისას ბრალდებულის სხვა ადგილზე ყოფნას. დავუშვათ, დაცვის მხარე აყენებს ვერსიას იმის თაობაზე, რომ დანაშაულის ჩადენის დროს ბრალდებული იმყოფებოდა სულ სხვა ადგილზე, რა დროსაც ის ავტოსაგზაო ავარიაში მოჰყვა და მსუბუქი დაზიანებები მიიღო. ამ ვერსიას ადასტურებს მძღოლის ჩვენების ერთი დეტალი იმის თაობაზე, რომ ავარიის შედეგად მისი ავტობუსის ერთ-ერთმა მგზავრმა ფეხი იღრძო; ერთ-ერთი მოწმე, რომელიც ავტოავარიას სრულიად შემთხვევით შეესწრო, ადასტურებს, რომ მან დაშავებული მგზავრი, რომელსაც ავტოავარიის შემდეგ ფეხით გადაადგილება ძლიერ უჭირდა და სახეზეც ღრმა ნაიარევი ეტყობოდა, თავისი ავტომანქანით ქალაქის უახლოეს უბანში მცხოვრები, მისი ნაცნობი ექიმი-ტრავმატოლოგის ბინაში მიიყვანა, რადგან კვირა დღე იყო და პოლიკლინიკა არ მუშაობდა. პოლიკლინიკის ექიმი-ტრავმატოლოგი თავის ჩვენებაში აღნიშნავს, რომ აღნიშნულ დროს მან შინ მიიღო პაციენტი ნაღრძობი ფეხით, რომელიც ამბობდა, რომ ავტოავარიაში მოჰყვა, მის გვარს ვერ იხსენებს, თუმცა კარგად ახსოვს მისი სახელი – ჰამლეტი. ბრალდებულის მეუღლე და შვილი მიახლოებით ასახელებენ იმ დროს, როცა ის შინ დაბრუნდა დაზიანებული ფეხით, რომელიც ლოგიკურ კავშირშია ექიმის მიერ მითითებულ დროსთან. მან პაციენტს აღმოუჩინა პირველადი სამედიცინო დახმარება, რაც სრულიად საკმარისი იყო დაზიანების ხასიათიდან გამომდინარე, ამიტომ ის არა საავადმყოფოში, არამედ შინ გაუშვა. ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილზე გამოცხადებული პოლიციის თანამშრომელი თავის ჩვენებაში უთითებს ავტოსაგზაო შემთხვევის თარიღსა და დროს. აღნიშნულ მოწმეთა ჩვენებებში გაფანტული ცალკეული ფრაგმენტული დეტალები მთლიანობაში წარმოგვიდგენენ ალიბის ნამდვილობის დამადასტურებელ გარემოებას, თუმცა იმავდროულად შესაძლებელია აღნიშნულ მოწმეთა ჩვენებებს შორის გარკვეული

წინააღმდეგობებიც არსებობდეს ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილთან და დროსთან, ასევე ბრალდებულის გარეგნობასთან, მის ჩაცმულობასა თუ ასაკთან დაკავშირებით და ა.შ., რაც არ შეიძლება ალიბის უარყოფისა და ბრალდებულის მსჯავრდების საფუძველი გახდეს.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ალიბის ნამდვილობის შემოწმება და შეფასება სასამართლოსათვის მნიშვნელოვან სირთულეებთან არ არის დაკავშირებული ისეთ შემთხვევაში, როდესაც მის დასადასტურებლად დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილია ნივთობრივი მტკიცებულებები, მაგალითად, ვიდეოფირი, ოფიციალური დოკუმენტი, ფოტომასალა და სხვ. ალიბის საკითხის გადაწყვეტა სასამართლოსათვის მაშინ არის რთული პრობლემა, როდესაც მისი დადასტურება ან უარყოფა უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მოწმეების ჩვენებების საფუძველზე, რა დროსაც, მიუკერძოებლობის თვალსაზრისით, მოწმის სანდოობის ფაქტორთან ერთად მხედველობაშია მისაღები სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორებიც, მაგალითაც, მოწმის მიერ ფაქტის სწორად აღქმის ფსიქოლოგიური უნარი, ასევე დიდი ხნის განმავლობაში დამახსოვრებისა და ჩვენების მიცემისას მისი ადეკვატურად გადმოცემის უნარი; ის ვითარება, რომლის პირობებშიც უხდებოდა მოწმეს ფაქტის აღქმა (არსებობდა თუ არა ხელსაყრელი პირობები საიმისოდ, რომ მოწმის ყურადღება მაქსიმალურად ყოფილიყო მობილიზებული და ფაქტზე ორიენტირებული), მოწმის მიერ ფაქტის აღქმის მომენტიდან ჩვენების მიცემამდე გასული დრო და ა.შ. სწორედ აქ დასახელებული, თუ ყველა სხვა ფაქტორის ერთობლიობაში ანალიზისა და შეფასების შედეგად შეიძლება გარკვეული დასკვნების გამოტანა ალიბთან დაკავშირებით მოწმეების მიერ მიცემული თითოეული ჩვენების შეფასებისას ამ უკანასკნელთა გაზიარებისა თუ მიუღებლობის თაობაზე დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩამოსაყალიბებლად.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ უკვე შეიძლება განვიხილოთ სასამართლოს განაჩენში დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ალიბის შესაძლო უარყოფის ან დადასტურების თაობაზე განვითარებული მსჯელობისა და დასაბუთების მაგალითები:

1. მოტივირებული დასაბუთება ალიბის ნამდვილობის დადასტურების თაობაზე განაჩენის სამოტივაციო ნაწილში ნ.კ-ს ბრალდების საქმეზე, რომელსაც ბრალი ედებოდა ძარცვისათვის, ჩადენილი ისეთი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით.

საქმის შინაარსი: 2014 წლის 16 იანვარს, დაახლოებით 15.00 საათზე, თბილისში, კერძოდ, მუხიანის დასახლებაში, დაზარალებულს, ქალბატონ ქ.თ-ს თავს დაესხა მისთვის უცნობი ადამიანი, 30-35 წლის მამაკაცი, რომელიც მას დაეჯახა, რის გამოც ის წაიქცა და ხელჩანთა ხელიდან გაუვარდა. მძარცველმა ისარგებლა რა ამ გარემოებით, დასტაცა ხელი მის ხელჩანთას და გაიქცა, ირბინა რამდენიმე ასეული მეტრი და მიიმალა. დაზარალებულის ჩვენების მიხედვით, მძარცველი იყო საშუალოზე მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი, ჰქონდა გრძელი მუქი თმა. მოასწრო მარცხენა მხრიდან სახეზეც შეეხედა მისთვის - დაამახსოვრდა, რომ მძარცველს ჰქონდა მოგრძო სახე, წამოზრდილი მუქი წვერით, ასევე თვალში მოხვდა საშუალო სიმაღლის კისერი წინ გამოწეული ხორხით. სამძებრო ოპერატიული ღონისძიებების გატარების შემდეგ, 2014 წლის 20 თებერვალს, პოლიციამ დააკავა ნ.კ., რომელიც ამოიცნო დაზარალებულმა ქ.თ-მ. გარდა ამისა, ნ.კ-ს სამუშაო ადგილზე ჩატარებული ჩხრეკისას ამოღებულ იქნა დაზარალებულ ქ.თ-ს კუთვნილი ნივთი - გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს პატარა მოოქროვილი ქანდაკება, რომელიც შემთხვევის დღეს მან შეიძინა სუვენირების მაღაზიაში 100 ლარად. აღნიშნულ ნივთთან ერთად მას ხელჩანთაში ჰქონდა ასევე თანხაც - 15 ლარი, ხოლო თვითონ ხელჩანთა ღირდა 30 ლარი. ბრალდებული ნ.კ., კომპიუტერული პროგრამების სპეციალისტი, ცხოვრობს და მუშაობს ვარკეთილის დასახლებაში. მისი სამუშაო მაგიდის უჯრაში ჩხრეკისას აღმოჩენილი ნივთის თაობაზე დაკითხვისას ბრალდებულმა ნ.კ-მ განაცხადა, რომ აღნიშნული ნივთი მან შეიძინა 120 ლარად, 2014 წლის 15 თებერვალს, შაბათ

დღეს, თბილისში, ე.წ. მშრალ ხიდთან არსებულ ბაზრობაზე, სადაც მოქალაქეები ძირითადად ყიდიან ოჯახიდან გამოტანილ ნივთებს. ეს ნივთი მას უნდოდა ეჩუქებინა მისი ახლო მეგობრისათვის – ე.ლ-სთვის დაბადების დღეზე, რომელიც ერთი კვირის შემდეგ, 2014 წლის 23 თებერვალს ხდებოდა 30 წლის და იგი გატაცებულია ხელოვნების ნაწარმოებებით, აქვს მათი კოლექცია.

დაკავების დროისათვის ნ.კ. იმყოფებოდა აღრიცხვაზე პრობაციის შესაბამის ბიუროში, რადგან ის იყო პირობით მსჯავრდებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო. ამ დანაშაულისათვის მისი მსჯავრდების შემდეგ მას დაეხმარა ზემოხსენებული ახლო მეგობარი – ე. ლ. და პრობაციის ბიუროს ოფიცერი კერძო ფირმა "მერკურში" პროგრამისტად მუშაობის დაწყებაში, სადაც ერთად მუშაობდნენ ის და მისი მეგობარი ე.ლ.

დაცვის მხარემ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით იმის თაობაზე, რომ მომხდარი დანაშაულის შემთხვევის დროს ბრალდებული ნ.კ. იმყოფებოდა თბილისში, თავის საცხოვრებელ უბანში – ვარკეთილის დასახლებაში, რის გამოც შეუძლებელი იყო მას იმავე დროს ძარცვა ჩაედინა მუხიანის დასახლებაში, ხოლო ამ ორ დასახლებას შორის მანძილი არის დაახლოებით 35-40 კილომეტრი. აღნიშნული ვერსიის დასადასტურებლად დაცვის მხარემ სასამართლოში წარმოადგინა მოწმეები: ე. ლ. – ბრალდებულის სამსახურის მეგობარი; დ.კ. – ბრალდებულის მეუღლე და ვ.კ. – ბრალდებულის დედა; ა.ბ. – ბრალდებულის მეზობელი და ამ უკანასკნელის შვილი – ვ.ბ.; ასევე მოწმე – ო.ც., დურგალი, რომელიც დაქირავებული ჰყავდა ბრალდებულს და ამ უკანასკნელის საცხოვრებელ ბინაში 2014 წლის 17 იანვრიდან 5 თებერვლამდე აწარმოებდა სადურგლო სამუშაოებს; ჯ.შ. – ფირმა "მერკურის" დირექტორი. აღნიშნული მოწმეები დაცვის მხარემ წარადგინა პოლიციაშიც, ჯერ კიდევ ნ.კ-ს დაკავების მომდევნო დღეს, რომლებმაც თავიანთ ჩვენებებში დაადასტურეს დაცვის მხარის ზემოაღნიშნული ვერსია.

აღნიშნულმა მოწმეებმა სასამართლო გამოძიების დროსაც, რომელიც შედგა 2014 წლის 20-21 მაისს, გაიმეორეს მათ მიერ პოლიციაში მიცემული ჩვენებები, რომლებმაც კვლავ დაადასტურეს, რომ მუხიანის დასახლებაში მომხდარი ძარცვისას ნ.კ. ნამდვილად იმყოფებოდა ვარკეთილში.

სასამართლოს დასაბუთება განაჩენის სამოტივაციო ნაწილში:

"ბრალდებულ ნ.კ-ს საქმეზე დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ვერსიის შესამოწმებლად სასამართლოში დაიკითხნენ დაცვის მოწმეები: მოწმე ე.ლ-მ აჩვენა, რომ ის და ნ.კ. არიან ახლო მეგობრები და ერთად მუშაობდნენ ფირმა "მერკურში". თვითონ ნამდვილად არის დაბადებული თებერვლის 23 რიცხვში და ყოველი დაბადების დღეს მას ნ.კ. ჩუქნიდა სუვენირებს. 2014 წლის 16 იანვარს ის იმყოფებოდა თავის სამუშაო ადგილზე, მაგრამ იმ დღის მოვლენები ზუსტად არ ახსოვს, კერძოდ, იმ დღეს რა დროს მივიდა სამსახურში ნ.კ. და რა დროს დატოვა მან თავისი სამუშაო ადგილი. მაგრამ ახსოვს, რომ წინა დღეს – 15 იანვარს ფირმის დირექტორი ჯ.შ. მასთან საუბარში უკმაყოფილებას გამოთქვამდა ნ.კ-ს მიმართ ამ უკანასკნელის მიერ 14 და 15 იანვარს სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო. დირექტორი ამბობდა, რომ ნ.კ-მ, როგორც ჩანს, ძველი სტილით ახალი წლის დადგომა აღნიშნა, მაგრამ ეს არ არის საპატიო მიზეზიო. ამიტომ, ის აპირებდა, რომ მეორე დღეს, ე.ი. 16 იანვარს სერიოზულად დალაპარაკებოდა ნ.კ-ს, რადგან ეს არ არის პირველი შემთხვევაო. მოწმე ე.ლ-მ თავის ჩვენებაში მიუთითა იმაზეც, რომ აღნიშნულ დღეს ფირმის დირექტორი შეხვდა და ესაუბრა თუ არა ნ.კ-ს, ამის შესახებ მან არ იცის. ჯვარედინი დაკითხვისას მან აღნიშნა ასევე, რომ არის ხელოვნების მოყვარული და მას შინ აქვს სურათებისა და ქანდაკებების მომცრო კოლექცია.

მოწმე ო. ც-მ აჩვენა, რომ პროფესიით დურგალია და შეკვეთების საფუძველზე აწარმოებს სადურგლო სამუშაოებს სხვადასხვა კლიენტის ბინებში, რომელთა შორის იყო ნ.კ-ც. 2014 წლის 16 იანვარს, დაახლოებით 14. 00-დან 15.00 საათამდე პერიოდში, ის იმყოფებოდა

ნ.კ-სთან ამ უკანასკნელის ბინაში, რომელთანაც აწარმოებდა მოლაპარაკებას აღნიშნულ ბინაში სადურგლო სამუშაოების შესასრულებლად. მათი მოლაპარაკება გაგრძელდა დაახლოებით 30-40 წუთის განმავლობაში, რა დროსაც ისინი შეთანხმდნენ, რომ მის ბინაში სადურგლო სამუშაოს დაიწყებდა მეორე დღიდან, ე.ი. 17 იანვრიდან. ჯვარედინი დაკითხვისას ო.ც-მ აღნიშნა: ნ.კ-სთან მოლაპარაკების დრო მას იმიტომ დაამახსოვრდა, რომ იმ დღეს – 16 იანვარს გერმანიიდან დაბრუნდა მისი შვილი და სწორედ ამიტომ ვერ მოახერხა მან ნ.კ-სთან მოსალაპარაკებლად დილით მისულიყო. ახსოვს, რომ დაახლოებით 14.00 საათამდე შინ იყო, თავის შვილთან და ამის შემდეგ წავიდა ნ.კ-სთან. ახსოვს ისიც, რომ შინ დაბრუნების შემდეგ, დაახლოებით 15.30 საათზე, ის შვილთან ერთად გავიდა ქალაქში საქმიან შეხვედრაზე. მან სამუშაოები ნ.კ-ს ბინაში დაასრულა თებერვლის დასაწყისში, დღე და რიცხვი ზუსტად არ ახსოვს.

მოწმე ა.ბ-მ აჩვენა, რომ 2014 წლის 16 იანვარს, დაახლოეიბთ 15.30 საათზე, მისი მიწვევით მასთან სტუმრად მივიდა მისი მეზობელი ნ.კ., რადგან იმ დღეს მისი შვილის ვ.ბ-ს დაბადების დღის აღსანიშნავად ოჯახში სუფრა იყო გაშლილი. იმ დღეს სუფრაზე ნ.კ. დიდხანს არ დარჩენილა, დაახლოებით საათნახევრის შემდეგ მან ბოდიში მოიხადა – სამსახურში ვარ აუცილებლად მისასვლელი, რადგან დირექტორმა დამირეკა სასწრაფოდ უნდა მოხვიდეო. ამ სიტყვების შემდეგ მან სუფრა დატოვა და წავიდა. აღნიშნულ დღეს მან სტუმრები ადრიანად მიიწვია ოჯახში, რადგან იმავე დღის ბოლოს მისი შვილი ვ.ბ. მეგობრებთან ერთად გუდაურში აპირებდა წასვლას და ასეც მოხდა.

ა.ბ-ს ჩვენებაში მითითებული გარემოებები დაადასტურა მისმა შვილმაც, მოწმე ვ.ბ-მ, რომელმაც აღნიშნა, რომ სუფრიდან ნ.კ. მან გააცილა, რადგან მისი მამა – ა.ბ. თამადა იყო და ამიტომ სუფრას ვერ დატოვებდა. ნ.კ-ს წასვლის დრო მას იმიტომ დაამახსოვრდა, რომ სუფრიდან გასვლისას ნ.კ-მ მას ჰკითხა, რომელი საათი იყო, რადგან ძალიან ჩქარობდა – დირექტორთან შეხვედრაზე მისვლა არ დავაგვიანოო.

ნ.კ-ს დედამ – მოწმე ვ.კ-მ უჩვენა, რომ 2014 წლის 16 იანვარს ის დილიდან ცუდად იყო, რადგან ჰიპერტონიითაა დაავადებული, რის გამოც, დაახლოებით 11 საათზე თავის შვილს – ნ.კ-ს დაურეკა სამსახურში, სთხოვა შინ დაბრუნებულიყო და სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოეძახა. ის მართლაც მოვიდა ნახევარ საათში და სასწრაფო დახმარებაც გამოიძახა. დაახლოებით ნახევარ საათში სასწრაფოს ბრიგადა გამოცხადდა და აღმოუჩინა მას დახმარება. ექიმები დაახლოებით 40 წუთის განმავლობაში იმყოფებოდნენ მასთან. მათი წასვლის შემდეგ მან ნ.კ. აფთიაქში გაგზავნა წამლების მოსატანად, რის შემდეგაც, როგორც ახსოვს, მასთან სახლში გამოცხადდა ხელოსანი, რომელსაც მათ ბინაში სადურგლო სამუშაოები უნდა შეესრულებინა. ცოტა ხანში მისი შვილი – ნ.კ. დაბრუნდა აფთიაქიდან და თითქმის მთელი საათის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებას ხელოსანთან, რომლის სახელი იცის, მაგრამ მისი გვარი კი აღარ ახსოვს. შემდეგ მას ჩაეძინა და სანამ მას ეძინა, მისი შვილი ნ.კ. სად იყო და რას აკეთებდა დღის ბოლომდე, არ იცის.

იგივე გარემოებები დაადასტურა თავის ჩვენებაში მოწმე დ.კ-მ, ბრალდებულის მეუღლემ, რომელმაც დამატებით აღნიშნა, რომ იანვრის შუა რიცხვებში, ზუსტი დრო არ ახსოვს, მათ ბინაში დაიწყო სადურგლო სამუშაოები, რომელიც თებერვლამდე გაგრძელდა. რაც შეეხება მათთან დურგალის გამოცხადებას, იანვრის ის დღე მას ნამდვილად ახსოვს, რომ იყო ძალიან დატვირთული ნ.კ-სთვის: დილით ჯერ სასწრაფო დახმარება ჰყავდათ გამოძახებული, შემდეგ დურგალი იყო, მისი წასვლის შემდეგ კი მეზობელმა დაუძახა თავისთან. თან იმ დღეს პრობაციის ბიუროში იყო გამოსაცხადებელი და ვერ ახერხებდა მისვლას, რის გამოც ძალიან წუხდა – რეჟიმის დარღვევად არ ჩამითვალონო და აპირებდა დღის ბოლოს მაინც გამოცხადებულიყო იქ რეგისტრაციის გასავლელად, მაგრამ ეს დღე იყო 16 იანვარი, თუ 15, ან 17 იანვარი დანამდვილებით არ ახსოვს.

მოწმე ჯ.შ-მ (ფირმა "მერკურის" დირექტორი) უჩვენა, რომ ნ.კ დაპატიმრებამდე ორი წლისა და ცხრა თვის განმავლობაში მუშაობდა მის ქვემდაბარე დაწესებულებაში. იგი შესანიშნავი პროგრამისტია და შრომის ანაზღაურებაც ადეკვატური ჰქონდა. ორი წლის

მანძილზე ნ.კ-სთან ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში იგი ხშირად აცდენდა სამუშაოს. გადამოწმების შემდეგ ირკვეოდა, რომ ეს გაცდენები ყოველთვის დაკავშირებული იყო მის ოჯახურ ან პირად პრობლემებთან. მიუხედავად ამისა, ეს გარემოება ფირმისათვის უკვე გარკვეული ზიანის მომტანი იყო. ნ.კ-ს მიერ სამუშაოს ბოლო გაცდენა მოხდა 2014 წლის 14-15 იანვარს, ზედიზედ ორი დღე არ იყო სამუშაოზე. ამიტომ მესამე დღეს ანუ 16 იანვარს გამოვიძახე სასაუბროდ დღის მეორე ნახევარში, რადგან მანამდე მთელი დღე დაკავებული ვიყავი სამსახურებრივი საქმეებით. ის ჩემთან გამოცხადდა ჩემს მიერ მითითებულ დროს, რომელი საათი იყო ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ იყო სამუშაო დღის ბოლო პერიოდი. მახსოვს ასევე, რომ იმ დღესაც – 16 იანვარს, დილით, ნ.კ. იყო სამუშაოზე, მაგრამ შემდეგ 12.00 საათზე არ აღმოჩნდა სამსახურში (ამ დროს თათბირი მქონდა თანამშრომლებთან და ის არ ესწრებოდა). ჩვენ დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ვსაუბრობდით და ბოლოს მკაცრად გავაფრთხილე ნ.კ. იმის თაობაზე, რომ სამუშაოს თუნდაც კიდევ ერთხელ გაცდენის შემთხვევაში იგი დათხოვნილი იქნებოდა. 16 იანვრის ამბები ნ.კ-სთან დაკავშირებით დამამახსოვრდა იმიტომ, რომ იყო ძველი სტილით ახალი წლის მომდევნო დღეები და, ამასთან ნ.კ. ზედიზედ ორი დღე არ იმყოფებოდა სამსახურში, რაც მანამდე არ მომხდარა.

აღნიშნულ მოწმეთა ჩვენებების ერთობლიობაში შეფასების შემდეგ, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებებზე: თითოეული მოწმის ჩვენება არის დამაჯერებელი და არ ტოვებს ხელოვნურად შეთხზული ამბის შთაბეჭდილებას. ისინი თავისუფლად, ზედმეტი დაძაბულობის გარეშე მოუთხრობდნენ სასამართლოს ბრალდებულ ნ.კ-სთან დაკავშირებულ 2014 წლის 16 იანვრის ამბებს, რომლებიც არსებითად არ განსხვავდებიან მათ მიერვე წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემული ჩვენებებისაგან. არცერთი მათგანი არ გვიამბობს იმაზე, თუ სად და რა ვითარებაში ხედავდნენ ისინი ნ.კ-ს 16 იანვარს მთელი დღის განმავლობაში, არამედ ისინი ყვებიან – აღნიშნული დღის ცალკეულ მონაკვეთში სად იმყოფებოდა და რას საქმიანობდა ნ.კ. მათი ჩვენებები ერთობლიობაში ქმნიან დღის მთლიან, დამაჯერებელ და ლოგიკურად თანმიმდევრულ სურათს, რაც გვარწმუნებს არა მხოლოდ ამ ჩვენებების სისწორეში, არამედ დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ვერსიის საფუძვლიანობასა და ნამდვილობაში, რომლის მიხედვით სივრცის (მანძილი მუხიანისა და ვარკეთილის დასახლებებს შორის) და დროის (დღის განმავლობაში ნ.კ-ს მონაწილეობით განვითარებულ მოვლენებს შორის დროის თვალსაზრისით არ არსებობდა ისეთი თავისუფალი "ფანჯარა", რომლის განმავლობაშიც ის მოასწრებდა ვარკეთილიდან მუხიანში მისვლას, დანაშაულის ჩადენასა და შემდეგ უკან დაბრუნებას) ფაქტორების გათვალისწინებით ნ.კ-ს არანაირი შესაძლებლობა არ გააჩნდა ფიზიკურად მონაწილეობა მიეღო დაზარალებულ ქ.თ-ს მიმართ ჩადენილ ძარცვაში. საყურადღებო და ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ საქმის სხვა მასალები ადასტურებს შემდეგს – მუხიანის დასახლების ტერიტორიაზე მომხდარი ძარცვა ატარებს სპონტანურად ჩადენილის და არა წინასწარ დაგეგმილი დანაშაულის ხასიათს. თუკი პირობითად დავუშვებთ იმას, რომ მძარცველი იყო ნ.კ., მაშინ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოებაც, რომ 2014 წლის 16 იანვრამდე მას არ შეეძლო სცოდნოდა, დააკავებდა თუ არა მას პოლიცია. ამიტომ ნ.კ-ს არ შეეძლო წინასწარ მოემზადებინა დაცვის შესაძლო მოწმეები და მათ წინაშე თავისი თავი წინდაწინ ემხილებინა დანაშაულში, რათა მათ შემდგომში მისთვის სასარგებლო ჩვენებები მიეცათ. მისი მხრიდან ეს არ იქნებოდა გონივრული მოქმედება, ვიდრე დანაშაული არ იყო გახსნილი და ძარცვის ჩამდენის ვინაობა დადგენილი. მისი დაკავების შემდეგ კი ხსენებულმა მოწმეებმა მეორე დღესვე მისცეს ჩვენებები გამოძიებას, რის გამოც მათ არ ჰქონდათ იმის დრო და საშუალება, რომ თავიანთი ჩვენებების შინაარსი წინასწარ ერთმანეთთან შეეთანხმებინათ. ამავე დროს, ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ დაცვის მოწმეების უმრავლესობა (ფირმა "მერკურის" დირექტორი, დურგალი და ნ.კ-ს მეზობელი) ერთმანეთს არ იცნობენ, რაც ნაკლებ სარწმუნოს ხდის მათ შორის რაიმე შეთანხმების არსებობას. შესაძლებელია დასახელებულ მოწმეთა ჩვენებებს შორის არსებობდეს მცირეოდენი შეუსაბამობები დროის მომენტებთან

დაკავშირებით, მაგრამ ეს გარემოება ვერ გახდება საფუძველი მათი უარყოფისათვის. პირიქით, აღნიშნული თვალსაზრისით, სრული სიზუსტე და შესაბამისობა იქნებოდა ფრიად საეჭვო და არადამაჯერებელი, რადგან მეტისმეტად ძნელი სავარაუდებელია ადამიანს აბსოლუტური სიზუსტით ახსოვდეს ერთი თვის წინ მომხდარი მოვლენის ყველა წვრილმანი და დეტალი, როცა საამისოდ მოვლენის აღქმის მომენტში არ არსებობს დამკვირვებლის განსაკუთრებული ინტერესი.

რაც შეეხება ბრალდების მხარის მიერ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს – დაზარალებულის ჩვენებას, დაზარალებულის მიერ ბრალდებულის ამოცნობის ოქმს, ნივთმტკიცებასა და დაზარალებულის მიერ მისი ამოცნობის ოქმს, უნდა აღინიშნოს შემდეგი: გასათვალისწინებელია, რომ მომხდარი ძარცვის დროს იყო ძალზე ღრუბლიანი ამინდი, ამასთან, ქალაქის იმ რეგიონში, სადაც შემთხვევა მოხდა, იდგა სქელი ნისლი, რასაც შეეძლო გაერთულებინა დაზარალებულისათვის მძარცველის გარეგნობის სწორად აღქმა, რომელიც მან მხოლოდ გვერდიდან დაინახა და ისიც წამიერად. მართალია, შემდგომში დაზარალებულმა ამოიცნო ბრალდებული, მაგრამ საქმე ისაა, რომ ბრალდებულის ამოცნობა მოხდა მხოლოდ ძალზე ზოგადი ნიშნებით (აღნაგობა, გრძელი და მუქი თმები, სახეზე წამოზრდილი წვერი, წინ გამოწეული ხორხი და სხვა), რომლებითაც შესაძლებელია მრავალი ადამიანი ჰგავდეს ერთმანეთს, რის გამოც ვერ გამოირიცხება დაზარალებულის კეთილსინდისიერი შეცდომა ნ.კ-ს ამოცნობისას. მით უფრო, რომ დაზარალებული არ უთითებდა ნ.კ-ს გარეგნობის დამახასიათებელ მკვეთრ ინდივიდუალურ ნიშნებზე, კერძოდ, როგორიცაა გრძელი კეხიანი ცხვირი, ასევე სახის მარცხენა მხარეზე ცხვირის ფუძესა და თვალს შორის არსებული, კარგად შესამჩნევი ნაიარევი. ბრალდებულის სამუშაო ადგილის ჩხრეკისას ამოღებული ნივთმტკიცების – დაზარალებულის კუთვნილი ქანდაკებისა და დაზარალებულის მიერ მისი ამოცნობის ოქმის თაობაზე კი უნდა ითქვას შემდეგი: საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულება, რომლითაც უარყოფილი იქნებოდა ბრალდებულ ნ.კ-ს მიერ გაცხადებული ვერსია მის მიერ აღნიშნული ნივთის თბილისში, მშრალ ხიდთან არსებულ ბაზრობაზე უცნობი პირისაგან შეძენის თაობაზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ნივთი, რომელიც მისგან მარცველმა გაიტაცა, დაზარალებულს შეძენილი ჰქონდა სუვენირების მაღაზიაში, რის გამოც არ არის გამორიცხული, რომ ანალოგიური ნივთის სხვა ეგზემპლარიც ყოფილიყო დამზადებული და სწორედ ის ჰქონდეს შეძენილი ბრალდებულს ბაზრობაზე.

ამრიგად, ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ შემთხვევაში ბრალდების მტკიცებულებები ვერ იქნება მიჩნეული უფრო მეტი მტკიცებულებითი ძალის მქონედ, ვიდრე არის დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, არაფერი რომ ითქვას მათ უტყუარობაზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, მტკიცებულებების შეფასებისას მათთან დაკავშირებით წარმოშობილი ყოველგვარი საფუძვლიანი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. მათ საპირისპიროდ, დაცვის მხარის მიერ ალიბის დასადასტურებლად წარმოდგენილი მტკიცებულებები მიჩნეულ უნდა იქნეს უტყუარად და დამაჯერებლად, რომლებიც ადგილს არ ტოვებენ მათ მიმართ გონივრული და საფუძვლიანი ეჭვის არსებობისათვის.“

2. განვიხილოთ მაგალითი სასამართლოს მიერ იმ ალიბის უარყოფისა და მისი დასაბუთების შესახებ, რომელიც დაცვის მხარემ წარადგინა მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე:

ა) საქმის ფაქტობრივი გარემოებები წარდგენილი ბრალდების მიხედვით:

“2014 წლის 11 იანვარს, 20.50 საათზე, ძარცვისათვის ნასამართლობის მქონე ხ.წ–მ თბილისში, ვაგზლის მოედანზე, დაიქირავა ტაქსი, რომლის მძღოლს, ნ.ტ-ს სთხოვა, რომ წაეყვანა მუხიანის დასახლებაში. ნ.ტ. დაეთანხმა და ისინი გაემგზავრნენ ხ.წ-ს მიერ ნაჩვენებ მისამართზე. როდესაც ისინი გასცდნენ ნ. დუმბაძის ქუჩას, ერთ-ერთ მოსახვევში, ხ.წ. მოულოდნელად დანით შეიარაღებული თავს დაესხა მძღოლ ნ.ტ-ს და მოკვლის მუქარით მოსთხოვა მისთვის თანხის გადაცემა. მძღოლის მხრიდან დაუმორჩილებლობისა და წინააღმდეგობის გაწევის გამო, მძიმედ დაჭრა იგი

გულმკერდის არეში, მარჯვენა მხარეს, რის შემდეგაც მას ჯიბიდან ამოაცალა 142 ლარი, მობილური ტელეფონი კი მას ვერ უპოვა, რომლითაც შემდეგში ნ.ტ-მ დარეკა 112-ზე და ითხოვა დახმარება. აღნიშნულის შემდეგ ხ.წ. დანაშაულის ჩადენის ადგილიდან მიიმალა. შემდგომში დაზარალებულმა ნ.ტ-მ დეტალურად აღწერა ხ.წ-ს გარეგნული ნიშნები და ჩაცმულობა, რის საფუძველზეც მან ამოცნობისას უყოყმანოდ მიუთითა მასზე. გარდა ამისა, დაზარალებულ ნ.ტ-ს კუთვნილი ავტომანქანის უკანა სალონის სავარძლის ზედაპირიდან ამოღებულ იქნა მასზე დარჩენილი ქსოვილების ბოჭკოები და მიკროელემენტები. ტექნიკური ექსპერტიზით დადგინდა, რომ აღნიშნული ბოჭკოები და მიკროელემენტები იდენტურია ბრალდებულ ხ.წ-სგან გამოძიების პროცესში ამოღებული მისი შარვლისა და ნაქსოვი ქურთუკის ბოჭკოებისა. აღნიშნული მტკიცებულებების საფუძველზე ხ.წ-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, აგრეთვე იმავე კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით".

ბ) დაცვის მხარის მიერ წარდგენილი ალიბის მიხედვით, ხ.წ. აღნიშნულ დანაშაულს ვერ ჩაიდენდა, რადგან იმ დროს, როდესაც ეს დანაშაული მოხდა, ხ.წ. იმყოფებოდა თბილისის სხვა უბანში, რესტორან "სალხინოში", სადაც ის მიწვეული იყო მისი მეზობლის მიერ ამ უკანასკნელის დაბადების დღის აღსანიშნავ სუფრაზე. მოცემული ალიბის დასადასტურებლად დაცვის მხარემ წარმოადგინა მოწმეების: ა.ლ-ს (ხ.წ-ს მეზობელი), ე.ბ-ს, ო.ნ-ს, ი.თ-სა და თვით ხ.წ-ს ჩვენებები. ყველა დასახელებული მოწმე თავის ჩვენებებში აღნიშნავდა, რომ 2014 წლის 11 იანვრის საღამოს ისინი იმყოფებოდნენ რესტორანში საქეიფოდ, მათთან ერთად იყო ასევე ხ.წ-ც. ისინი რესტორანში შეიკრიბნენ დაახლოებით 17.00 საათზე და იქ იმყოფებოდნენ 23 საათამდე, რა დროსაც დაიშალნენ და სახლებში წავიდნენ.

გ) სასამართლოს მიერ ალიბის უარყოფა და ამ პოზიციის მოტივირებული დასაბუთება განაჩენში:

"სასამართლო არ ეთანხმება დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ ვერსიას მუხიანის დასახლებაში ტაქსის მძღოლზე ყაჩაღური თავდასხმის დროს ბრალდებულ ხ.წ-ს სხვა ადგილზე – რესტორან "სალხინოში" ყოფნის თაობაზე. სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოში ჯვარედინი დაკითხვის დროს დაცვის მიერ წარმოდგენილი მოწმეების ჩვენებები, მნიშვნელოვანი დეტალების თვალსაზრისით, აღმოჩნდნენ ერთმანეთთან არსებით წინააღმდეგობებსა და შეუსაბამობებში. სახელდობრ: მოწმე ა.ლ-მ თავის ჩვენებაში მიუთითა, რომ ხ.წ. სუფრაზე იმყოფებოდა დასაწყისიდან დასასრულამდე და მთელი ამ დროის მანძილზე ის არსად არ გასულა. სუფრის დამთავრების შემდეგ ხ.წ. შინ მისმა თანამშრომელმა, მოწმე ე.ბ-მ წაიყვანა თავისი ავტომანქანით, დაახლოებით 22.00 საათზე. ამასთან, აღნიშნა, რომ იმ საღამოს ხ.წ-ს ეცვა შავი ფერის ტყავის ქურთუკი და მოყავისფრო შარვალი; მოწმე ე.ბ-ს ჩვენების მიხედვით კი ხ.წ. სუფრაზე გამოჩნდა შუა ქეიფის დროს, ალბათ დაახლოებით 20.30 საათზე, დაგვიანებისათვის კი მან ბოდიში მოიხადა, შემდეგ სუფრაზე ბოლომდე დარჩა. შინ კი ხ.წ., როგორც მას ახსოვს, წაიყვანა მისმა მეზობელმა ა.ლ-მ. კარგად ახსოვს, რომ ხ.წ-ს ეცვა ნაქსოვი, სქელი ჟაკეტი, მუქი ლურჯი ფერისა, მისი შარვალი კი შავი ფერის იყო; მოწმე ო.ნ-მ თავის ჩვენებაში მიუთითა, რომ ხ.წ. სუფრაზე თავიდანვე იყო, მაგრამ შემდეგ შუა ქეიფის დროს წავიდა, რის გამოც თამადას ბოდიში მოუხადა. ახსოვს, რომ აღნიშნულ საღამოს სუფრაზე ხ.წ-ს ეცვა მომწვანო ფერის პიჯაკი და ჯინსის შარვალი. რესტორნიდან კი ის მარტო წავიდა, ავტომანქანით სუფრის წევრთაგან ის არავის არ წაუყვანია; მოწმე ი.თ–ს ჩვენებით ხ.წ. სუფრაზე მაშინ გამოჩნდა, როდესაც ქეიფი უკვე მთავრდებოდა და დაშლას აპირებდნენ. სუფრის დამთავრების შემდეგ ხ.წ.-მ ტაქსი გამოიძახა, თქვა, რომ თავის ნათესავთან უნდა წასულიყო აუცილებელ საქმეზე, რის გამოც მოწმე ა.ლ-ს უარი უთხრა მის შეთავაზებაზე – შინ ერთად წასულიყვნენ. მოწმე ი.თ-მ თავის ჩვენებაში ასევე მიუთითა, რომ სუფრაზე ის და ხ.წ. გვერდიგვერდ ისხდნენ და კარგად ახსოვს, რომ ხ.წ-ს ეცვა ყავისფერი ჯემპრი და შავი შარვალი.

სასამართლოს მიაჩნია, რომ დაცვის მხარის მოწმეთა ჩვენებებს შორის ერთი და იმავე გარემოებების თაობაზე ისეთი არსებითი წინააღმდეგობებია, რომელთა გამო საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ დგება არა მარტო ის გარემოება – რესტორანში სუფრის დაწყებიდან მის დამთავრებამდე პერიოდში რა დროს იმყოფებოდა ხ.წ. ამ სუფრაზე და რა დროს აღარ იყო, არამედ ისიც კი – 2014 წლის 11 იანვრის საღამოს ხ.წ. საერთოდ იმყოფებოდა თუ არა რესტორან "სალხინოში". აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მოწმეების: ა.ლ-ს, ე.ბ-ს, ო.ნ-სა და ი.თ-ს ჩვენებებს ვერ მიიღებს უტყუარ მტკიცებულებებად, რომლებიც ვერ იქნება გათვალისწინებული სასამართლოს მიერ ხ.წ-ს ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტისას.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ წარმოდგენილი მაგალითები სასამართლოს მოტივაციისა და დასაბუთებისა ალიბთან დაკავშირებით, არ უნდა იქნეს მიღებული, როგორც სავალდებულო ტრაფარეტი, რომელიც ყველა შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოყენებული, რადგან ყველა საქმე და შემთხვევა არის ინდივიდუალური და განსხვავებული თავისი შინაარსით, რაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სასამართლოს მიერ ალიბის საფუძვლიანობის დადასტურებისა თუ მისი უარყოფისას. შესაბამისად, ამ საკითხისადმი მოსამართლის მიდგომა უნდა იყოს შემოქმედებითი, რათა განაჩენს ჰქონდეს საჭირო დასაბუთებულობაც და სათანადო დამაჯერებლობაც.

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი
სისხლის სამართლის საქმეთა განყოფილება

საზღვარგარეთ პროკურორების
განვითარების, დახმარებისა და ტრეინინგების ოფისი

ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი 20530

საქართველოში სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენების მტკიცების მტკიცებულებითი სტანდარტები[1]

1 ავტორი: სტივენ ს. ნეფი, მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში, იუსტიციის დეპარტამენტი, აშშ-ის საელჩო, თბილისი, საქართველო, 22 ივლისი, 2014.

მოსამართლის მიერ განსახილველი თითოეული სამართლებრივი საკითხი ან შესაბამისი ფაქტების დადგენა მტკიცებულების თანმიმდევრულ სტანდარტებს უნდა ექვემდებარებოდეს. მაგალითად, შეერთებულ შტატებში განსახილველი სამართლებრივი საკითხის შესაბამისად მტკიცებულების სხვადასხვა სტანდარტი არსებობს.

მოსამართლეებს უნდა შეეძლოთ იმის შეფასება, ბრალდების მხარემ დააკმაყოფილა თუ არა განსხვავებული სამართლებრივი საკითხებისათვის დადგენილი სტანდარტები. როდესაც ბრალდებული ადვოკატის მეშვეობით წარადგენს მტკიცებულების დაუშვებლობის შესახებ შუამდგომლობას ბრალდებულის უფლების, არ დაექვემდებაროს დაუსაბუთებელ ჩხრეკას და ამოღებას, სავარაუდო დარღვევის საფუძველზე, სასამართლომ უნდა შეაფასოს ბრალდების მხარი მიერ გონივრული ეჭვის (მცირე ხნით დროებითი დაკავება და ზედაპირული შემოწმება) ან დასაბუთებული ვარაუდის (ჩხრეკის ორდერები, გამონაკლისი შემთხვევები, რომლებიც არ საჭიროებენ ჩხრეკის ორდერს და დაპატიმრება) დადგენის შესაძლებლობა. სხვა წინასასამართლო სხდომების შემთხვევაში უნდა შეფასდეს ბრალდების მხარემ დააკმაყოფილა თუ არა მტკიცების დასაბუთებულობის სხვა სტანდარტები, როგორიცაა მტკიცებულებათა უპირატესობის სტანდარტი (ნებაყოფილობით თანხმობის განცხადება ან უფლების დათმობა, არ დაიბრალოს დანაშაული) და აშკარა და დამარწმუნებელი მტკიცებულების სტანდარტი (მტკიცების ტვირთი დაკავების გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით). დასასრულს, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე სასამართლო პროცესის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა დაადგინოს, ბრალდების მხარემ გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურა თუ არა წაყენებული ბრალდება. სასამართლოს ყოველი განჩინება, რომელიც ამ შეკითხვებს სცემს პასუხს, ასევე უნდა შეიცავდეს მემორანდუმს, რომელშიც განხილული იქნება საკამათო სამართლებრივი საკითხის მტკიცების შესაბამისი სტანდარტი. როდესაც სასამართლო პასუხს სცემს ბრალდების მხარის მიერ კონკრეტული მტკიცების ტვირთის გაწევის შესახებ შეკითხვას, მან უნდა მიუთითოს შესაბამისი სტანდარტი და განსაზღვრება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი ერთგვაროვნება საქართველოს მასშტაბით ყველა სასამართლოში. დასაბუთებული ვარაუდის განსაზღვრება ისეთივე უნდა იყოს ქუთაისში, როგორიც თბილისში, ამდენად პროკურორებისათვის დაკისრებული მტკიცების ტვირთი იგივე უნდა იყოს და უზრუნველყოფილ იქნეს მისი თანმიმდევრულობა. უფრო მეტიც, სასამართლოებმა საქართველოში უნდა განიხილონ მტკიცების მტკიცებულებითი სტანდარტების განვრცობის საკითხი, რათა პასუხი გასცენ სხვადასხვა ტიპის შეკითხვებს, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ.

გონივრული ეჭვი

გონივრული ეჭვი არის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტზე ნაკლები სტანდარტი, რომელიც უპირველეს და სამართლებრივად მოთხოვნილ ყველაზე დაბალ სტანდარტს წარმოადგენს საერთოდ სტანდარტის არქონის შემდეგ. თუმცა ამგვარი სტანდარტი ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული და დადგენილი საქართველოში, შეერთებულ შტატებში იგი ყველაზე ხშირად არის ასოცირებული საგამოძიებო მიზნებისათვის მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებების დროებითი და მცირედი მასშტაბით შეჩერების თაობაზე დასმულ შეკითხვებთან, კერძოდ, ეჭვმიტანილის გარე ტანსაცმლის ზედაპირული დათვალიერება, ან მცირე ხნით დაკავება, რომელიც ასოცირებულია, მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შემთხვევებთან. პოლიციამ შეიძლება, მცირე ხნით გააჩეროს პირი საგამოძიებო მიზნებისათვის, თუ მას აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა (*Terry v. Ohio*, 392 U.S. 1, 27 (1968)).

ზემოაღნიშნული სტანდარტის აღწერისას აშშ-ის სასამართლოები გონივრულ ეჭვს შემდეგნაირად განმარტავენ:

„გონივრული ეჭვის სტანდარტით სამართალდამცავებს მოეთხოვებათ კონკრეტული

ფაქტების ქონა, რომლებიც მიუთითებენ დანაშაულებრივ საქმიანობაზე იმ დრომდე, სანამ საგამოძიებო მიზნით დაკავებას განახორციელებენ... გონივრული ეჭვი უფრო მეტია, ვიდრე წინათგრძნობა. იგი უნდა ეფუძნებოდეს დეტალურ და ობიექტურ საფუძველს, რათა დანაშაულის ჩადენაში კონკრეტული პირის მიმართ არსებობდეს ეჭვი. ამისათვის საჭიროა კონკრეტული და მკაფიოდ ჩამოყალიბებადი ფაქტების არსებობა, რომლებიც ამ ფაქტებზე დაფუძნებულ რაციონალურ დასკვნებთან ერთად საგამოძიებო მიზნით პირის გაჩერების გონივრულ საფუძველს ქმნიან....ეჭვის ეს სავალდებულო დონე მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება მტკიცებულებათა უპირატესობის სტანდარტით დანაშაულის ჩადენის მტკიცებას. უფრო მეტიც, გონივრული ეჭვი შესაძლოა, წარმოიშვას ისეთი მტკიცებულებიდან, რომელიც ნაკლებ საიმედოა საიმედოობის იმ დონესთან შედარებით, რაც შესაძლოა დასაბუთებული ვარაუდის წარმოსაჩენად მოითხოვებოდეს" (*Williams v. Leatherwood*, 258 Fed. Appx. 817, 821 (6th Cir. 2007)).

დასაბუთებული ვარაუდი

საქართველოში, ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების გარდა დასაბუთებული ვარაუდი ყველაზე აღიარებული და ხშირად მოთხოვნადი მტკიცების ტვირთია ბრალდების მხარის მიმართ მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით. დასაბუთებული ვარაუდი აუცილებელია ჩხრეკის ორდერის მოსაპოვებლად ან პირის დაპატიმრებისათვის. აუცილებელია ჩხრეკის იმ შემთხვევების ლეგიტიმურობის დადგენა, რომლებიც ჩხრეკის ორდერის საგამონაკლისო წესების გამოყენებით განხორციელდა, როგორიცაა გადაუდებელი გარემოებები ანუ გადაუდებელი აუცილებლობა.[2] დასაბუთებული ვარაუდი ბრალის წაყენების თავდაპირველი სტანდარტიც არის.[3]

2 უნდა აღინიშნოს, რომ გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე ჩხრეკის ჩატარების შემთხვევაში იურისდიქციებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის დაკმაყოფილების გარდა სხვა მოთხოვნებიც გააჩნიათ. პოლიციამ (და საბოლოოდ სასამართლომ) უნდა შეძლოს დამაკმაყოფილებელი სამართლებრივი დასაბუთების ჩამოყალიბება ამგვარი ჩხრეკის შემთხვევებისათვის ანუ მათ უნდა დააკმაყოფილონ სასამართლოს მოთხოვნა, რომ მტკიცებულების პოტენციური განადგურება ან დაკარგვა გარდაუვალი იყო არსებული კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე (აღემატება ზოგად რისკს, რაც ყველა შემთხვევაში არსებობს). უფრო მეტიც, მათ არასოდეს არ უნდა გამოიყენონ ისეთი საგნები, რომლებიც მათ გადაუდებელ ვითარებაში ჩხრეკის დროს იპოვეს, როგორც არგუმენტაცია ფაქტის შემდგომ სასამართლოდან ნებართვის მისაღებად. ეს დაკავშირებულია ასევე სათანადო პროცესის დაცვის საკითხთან. საქართველოში ამჟამად არსებული პრაქტიკა სასამართლოებში გულისხმობს მოსამართლის ხელმოწერას, ანუ ნებართვის მიცემას გადაუდებელი საჭიროების ჩხრეკის ჩასატარებლად. ამგვარი პრაქტიკა უხვად შეიცავს პრობლემებს. პირველ რიგში, მას ახლავს რისკი, რომ პოლიცია ჩხრეკის დროს მოპოვებულ ინფორმაციას გამოიყენებს ჩხრეკის მოთხოვნის არგუმენტაციად, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა. მეორე, ეს ადვოკატებს ართმევს მნიშვნელოვან შესაძლებლობას, რომ ეჭვის ქვეშ დააყენონ ამგვარი ჩხრეკის ლეგიტიმურობა პროკურორიდან აღმოჩენილი ფაქტების მიღების შემდეგ. ბოლოს და ბოლოს, სასამართლომ ხომ უკვე გამოსცა დადგენილება ჩხრეკის მართებულობის შესახებ (ბრალდების მხარის შეჯიბრებითობის საფუძველზე მონაწილეობისა და მისი მოსაზრებების გათვალისწინების გარეშე), ბრალდებულის უნარი, მოგვიანებით მოითხოვოს არამართებულად მოპოვებული მტკიცებულების გამორიცხვა, მნიშვნელოვნად მცირდება. დასასრულს, სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც ხელმისაწვდომი არ არის სამუშაო საათების შემდეგ სამართალდამცავებისათვის ჩხრეკის განხორციელებაზე წინასწარი ნებართვის მისაცემად, წარმოუდგენელ ტვირთს აკისრებს პოლიციას და ზრდის სათანადო პროცესის დარღვევის რისკს. სასამართლოებმა უნდა შემოიღონ მაგისტრატი მოსამართლეების მორიგება, რომლებიც მიიღებენ, განიხილავენ და ჩხეკის ნებართვას გასცემენ ჩხრეკის ჩატარებამდე. ეს პოლიციას შესაძლებლობას აძლევს, შემოსაზღვროს დანაშაულის ადგილი და სასამართლოდან ჩხრეკის ნებართვა წინასწარ მიიღოს, ისე რომ მას არ დასჭირდება მნიშვნელოვანი სამუშაო ძალის და რესურსების გამოყენება დანაშაულის ადგილის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაცვა ჩხრეკის ჩატარებამდე.

3 საქართველოს კანონმდებლობა, ფაქტობრივად, ამჟამად მოითხოვს პროკურორებისაგან, რომ პირს ბრალდება წარუდგინონ როგორც კი ისინი მოიპოვებენ მტკიცებულებას, რომელიც აკმაყოფილებს მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. თუმცა ეს დებულება, სავარაუდოდ, მიღებულია იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული პოტენციური ბრალდების ეჭვმიტანილისათვის თვალწინ ფრიალი, რათა მათ გამოსძალონ სასურველი პირობები, ეს პრობლემატური მიდგომაა, რომელიც უფრო შედეგებზეა ორიენტირებული, ვიდრე პროცესზე ამ საკითხთან მიმართებით. ეს დებულება პროკურორებს და გამომძიებლებს ხელს უშლის სრულად გამოიძიონ საქმეები იმ დრომდე, სანამ ისინი ბრალდებას წარუდგენენ ეჭვმიტანილებს, რაც სათანადო პროცესის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ისეთ სისტემაში, როდესაც პროკურორების მნიშვნელოვანი დისკრეციული უფლებით არიან აღჭურვილნი და მართებულადაც, კანონმა მათ შესაძლებლობა უნდა მისცეს, რომ სრულად გამოიძიონ და შეაფასონ საქმეები იმ დრომდე, სანამ ბრალდების წარდგენა მოხდება, რათა დაზოგონ პროკურატორის და სასამართლოს რესურსები. ასევე უზრუნველყონ, რომ აშკარად დაუსაბუთებელი საქმეები არ იქნეს განხილული და უდანაშაულო ბრალდებულებს ბრალდება არ წარედგინოთ. ეს დებულება საბოლოოდ

აშშ-ში სასამართლოები შემდეგნაირად განმარტავენ დასაბუთებულ ვარაუდს:

დასაბუთებული ვარაუდი არის „რწმენის გონივრული საფუძველი, რომელიც არ არის გამყარებული საკმარისი (prima facie) მტკიცებულებებით, მაგრამ აღემატება უბრალო ეჭვს" (*Smith v. Thornburg*, 136 F.3d 1070, 1074 (6th Cir. 1998)). ჩხრეკის ჩატარების დასაბუთებული ვარაუდი არსებობს მაშინ, როდესაც „საკმაო ალბათობა არსებობს, რომ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული კონტრაბანდა ან მტკიცებულება კონკრეტულ ადგილას აღმოჩნდება" (*წყარო იგივე).* ანალოგიურად, დასაბუთებული ვარაუდი პირის დასაპატიმრებლად ან მისთვის დანაშაულის ჩადენაში ბრალის წასაყენებლად, განისაზღვრება შემდეგნაირად: „მოცემული მომენტისათვის არებობს თუ არა ფაქტები და გარემოებები, რომებლიც ცნობილია [პოლიციელისათვის] და რომელთა შესახებაც მათ საკმაოდ სანდო ინფორმაცია აქვთ და რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ გონიერმა ადამიანმა ირწმუნოს, დაკავებულის მიერ დანაშაულის ჩადენა, ან მისი ჩადენის პროცესში ყოფნა" (*Beck v. Ohio*, 379 U.S. 89, 91 (1964)). დასაბუთებული ვარაუდის ანალიზისათვის ყოველთვის მოითხოვება იმის მტკიცება, რომ არსებობს „მხოლოდ ალბათობა ანუ მნიშვნელოვანი შანსი, რომ ჩადენილია დანაშაულებრივი საქმიანობა და არ არის საჭირო ამგვარი საქმიანობის ფაქტობრივი მხარის ჩვენება" (*Illinois v. Gates*, 462 U.S. 213, 244 n. 13 (1983)). სასამართლოს მიერ დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შეფასება უნდა დაეფუძნოს გარემოებათა ერთობლიობას (*წყარო იგივე).* „გარემოებთა ერთობლიობის ანალიზი მოიცავს არსებული სიტუაციის რეალისტურ ანალიზს სამართალდამცავი პირის თვალთახედვით" *(United States v. Ferguson*, 8 F.3d 385, 392 (6th Cir. 1993)).

მტკიცებულებათა უპირატესობის სტანდარტი

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სისხლის სამართლის საქმეებში სასამართლოები იყენებენ მტკიცებულებათა უპირატესობის სტანდარტს, რათა დაადგინონ მთელი რიგი სამართლებრივი საკითხები. მაგალითად, იმის დასამტკიცებლად, რომ ბრალდებულმა ნებაყოფილობით განაცხადა ჩხრეკაზე თანხმობა[4] ან უარი თქვა, ესარგებლა დუმილის და ადვოკატის ყოლის უფლებით[5], პროკურორებმა უნდა დააკმაყოფილონ მტკიცებულებათა უპირატესობის სტანდარტი. აღნიშნული სტრანდარტის დაუკმაყოფილებლობა განაპირობებს მტკიცებულების გამორიცხვას. წინასწარი პატიმრობის ცალკეული საკითხები ასევე მოითხოვს მტკიცების ამ სტანდარტის დაკმაყოფილებას. ამავე სტანდარტით ხელმღვანელობს სასამართლო, როდესაც ის აფასებს ისეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევასთან, სასჯელის შეფარდების გარკვეულ საკითხებთან და მტკიცებულებითი სამართლის ნორმების ანალიზთან, მაგალითად, არსებობდა თუ არა წინასწარი შეთანხმება, რაც განცხადების მტკიცებულების სახით წარმოდგენის საშუალებას იძლევა წინასწარი შეთანხმების განსამტკიცებლად, რაც ირიბი ჩვენების დაუშვებლობის წესის გამონაკლისია. ამგვარი სტანდარტი, ამჟამად არ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით და პრაქტიკაში არ გვხვდება.

მტკიცებულებათა უპირატესობის სტანდარტს ხშირად აღწერენ როგორც ისეთ სტანდარტს, რა შემთხვევაშიც „უფრო სავარაუდოა, ვიდრე — არა", რომ მოცემული

მოითხოვს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ გადასინჯვას, რაც ასევე არღვევს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს სასამართლო და აღამსრულებელ შტოებს შორის და ლახავს პროკურატურის დამოუკიდებლობას.

4 მტკიცებულებათა უპირატესობის სტანდარტის საფუძველზე, ცხადი და დადებითი ჩვენების გამოყენებით ბრალდების მხარე ვალდებულია აჩვენოს, რომ ბრალდებულმა შეგნებულად, გააზრებულად და ნებაყოფილობით განაცხადა თანხმობა პირად ჩხრეკაზე ან ქონების გაჩხრეკაზე. სასამართლო შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე აანალიზებს შეასრულა თუ არა ბრალდების მხარემ ეს ვალდებულება და აჩვენა თუ არა რომ ბრალდებული არ აიძულეს თანხმობა განეცხადებინა მთლიანად (*United States v. Burns*, 298 F.3d 523, 541 (6th Cir. 2002)).

5 მთავრობას აკისრია ტვირთი მტკიცებულებათა უპირატესობის სტანდარტის საფუძველზე დაგვანახოს, რომ ბრალდებულმა შეგნებულად, გააზრებულად და ნებაყოფილობით განაცხადა უარი მე-5 შესწორებით გათვალისწინებულ დუმილის უფლებაზე და ადვოკატის ყოლის უფლებაზე (*United States v. Adams*, 583 F.3d 457, 467 (6th Cir. 2009)).

მტკიცება სწორია. მათემატიკური ტერმინებით თუ გადმოვცემთ, მტკიცებულებათა უპირატესობის სტანდარტი განისაზღვრება როგორც 50.01%-იანი უტყუარობის დონე. შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ მტკიცებულებათა უპირატესობის სტანდარტი განსაზღვრა ისეთ მტკიცებად, რომელიც ფაქტის დამდგენს მიიყვანს იმ დასკვნამდე, რომ „ფაქტის არსებობა უფრო სავარაუდოა, ვიდრე მისი არარსებობა" (*In re Winship*, 397 U.S. 358, 371 (1970)).

აშკარა და დამარწმუნებელი მტკიცებულება

შეერთებულ შტატებში ბოლო სტანდარტი, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს ჩამოუვარდება, არის აშკარა და დამარწმუნებელი მტკიცებულება. ეს სტანდარტი გამოიყენება წინასწარი პატიმრობის გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით და სააპელაციო სასამართლოს მიერ გარკვეული საქმეების გადასინჯვისას, ასევე სასჯელის შეფარდების, ფსიქიკური მდგომარეობისა და შერაცხაობის გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული სტანდარტი განისაზღვრება როგორც „აშკარა და დამარწმუნებელი, რაც ყველა შემთხვევაში არ გულისხმობს იმას, რომ მტკიცება უდავოა. საკმარისია, რომ არსებობდეს მტკიცებულებითი ღირებულების და არსებითი შინაარსის მტკიცება, რომელსაც მტკიცებულების ძალა აქვს და საკმარისია გონიერი ადამიანების დასარწმუნებლად" (*Chester for Chester v. Secretary of Health and Human Services*, 808 F.2d 473, 479 (6th Cir. 1987)).

გონივრულ ეჭვს მიღმა

მტკიცების სტანდარტი, რომელიც სისხლის სამართლის ყველა საქმეში ბრალდებულის ბრალის დასამტკიცებლად გამოიყენება, არის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი. საქმის დაწყებიდან მის დამთავრებამდე მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს აკისრია. სასამართლოს ანალიზი, დაკმაყოფილდა თუ არა მტკიცების აღნიშნული სტანდარტი, თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს. მტკიცების გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი, თუმცა მნიშვნელოვანი ტვირთია, გადაულახავი არ არის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბრალდების მხარემ წარმოდგენილი საქმე ყველა შესაძლო ეჭვს მიღმა უნდა დაამტკიცოს. ყველა ეჭვი გონივრული უნდა იყოს და ეფუძნებოდეს საღ აზრს. მაგალითად, თუ შეხვედრა შენობის მე-3 სართულზე ტარდება, შესაძლებელია, რომ ვინმე ამ შეხვედრაზე დასასწრებად ჭოკის გამოყენებით შევიდეს ოთახში ან ღია ფანჯარაში ბატუტის გამოყენებით გადახტეს, მაგრამ ამგვარი ეჭვები არაგონივრულია, თუმცა შესაძლებელია. ამდენად, შესაძლოა ითქვას, რომ ოთახში გამართულ შეხვედრაზე დასასწრებად დამსწრეების მიერ შენობის შიგნით არსებული კიბეების, ლიფტის ან ესკალატორის გამოყენება დადგენილია გონივრულ ეჭვს მიღმა. გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების სტანდარტი ზოგჯერ აღიწერება როგორც უტყუარობის ის დონე, რომელიც ადამიანმა თავის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად უნდა გამოიყენოს.

თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც დაცვის მხარე მტკიცებითი დაცვის ხერხს მიმართავს, როგორიცაა თვითდაცვა ანუ ალიბი, გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების ტვირთი კვლავ ბრალდების მხარეს ეკისრება. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ბრალდებულმა ვერ შეძლო სამართლებრივი მტკიცებითი დაცვის განხორციელება, ყველა შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ საქმეზე ბრალდების მხარე გაიმარჯვებს, თუ თვითონ საქმე გონივრულ ეჭვს მიღმა არ იქნებოდა დამტკიცებული. ამდენად, გადაწყვეტილების მიმღებმა სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ არ წარმოჩინდეს ისე, თითქოს მას დაბნეულობა შეაქვს, აქცენტი გადააქვს ან აერთიანებს მტკიცების ტვირთს. ანალიზი იმისა შეძლო თუ არა ბრალდებულმა თვითდაცვის განხორციელება, მაგალითად, შესაძლოა ეს რელევანტური იყოს იმ საკითხთან მიმართებით, შეძლო თუ არა ბრალდების მხარემ მთლიანად საქმის გონივრულ ეჭვს მიღმა დამტკიცება, ეს ყველა შემთხვევაში არ განაპირობებს იმას, რომ

საქმე ამავე შედეგით დასრულდება, თუნდაც დაცვის მხარემ ვერ შეძლოს თვითდაცვის არგუმენტის დადგენა.

შეერთებული შტატების სამოდელო ფედერალურ მოდელში, რომელიც განკუთვნილია ნაფიცი მსაჯულებისათვის გონივრული ეჭვის შესახებ მითითებების მისაცემად, გონივრული ეჭვი შემდეგნაირად არის განმარტებული:

იმისათვის, რომ ბრალდებული დამნაშავედ იქნეს მიჩნეული წაყენებულ ბრალდებაში, ბრალდების მხარემ უნდა დაგარწმუნოს, რომ ბრალდებული დამნაშავეა გონივრულ ეჭვს მიღმა. ბრალდებულის მსჯავრდება დაუშვებელია ეჭვის ან ვარაუდის საფუძველზე. პირის მსჯავრდება უნდა დაეფუძნოს მხოლოდ მტკიცებულებას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ამტკიცებს პირის ბრალეულობას. გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების სტანდარტი არ გულისხმობს ყველა შესაძლო ეჭვს მიღმა მტკიცებას ან მტკიცების მათემატიკურ უტყუარობას. შესაძლო ეჭვი, ან ეჭვი, რომელიც ეფუძნება ვარაუდს, სპეკულაციას, ან წინათგრძნობას, არ არის გონივრული ეჭვი. გონივრული ეჭვი არის საკმაო ეჭვი, რომელიც ეფუძნება მიზეზს, ლოგიკას, საღ აზრს ან გამოცდილებას. ეს არის ეჭვი, რომელიც ჩვეულებრივ საღად მოაზროვნე ადამიანს გაუჩნდება მას შემდეგ, როდესაც ყურადღებით შეაფასოს ყველა მტკიცებულებას და არის იმგვარი ეჭვი, რომლის გამოც ის შეყოყმანდება თავის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებისას. ამგვარი ეჭვი შესაძლოა გაჩნდეს მტკიცებულების არსებობის, ან არასაკმარისი მტკიცებულების, ან მტკიცემულების შინაარსის საფუძველზე.

ამიტომ, ნაფიცი მსაჯულებისათვის სამოდელო მითითებები შესაძლოა, მნიშვნელოვანი კრიტერიუმი აღმოჩნდეს სამართლებრივი მოსაზრებების შესამუშავებლად, რადგან ისინი შეიცავენ საღ და თანმიმდევრულ განსაზღვრებებს და სახელმძღვანელო მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ მოხდეს ფაქტების მისადაგება კანონებთან. ეს დაეხმარება როგორც ადვოკატებს, ასევე გარეშე დამკვირვებლებს.

სასამართლოს გადაწყვეტილებების ფორმატი

გადაწყვეტილებების შედგენისას, რომელიც სასამართლოს განჩინებას უჭერს მხარს სისხლის სამართლის საქმეში, მოსამართლემ უნდა დაიცვას ფაქტების დადგენის, სამართლებრივი შეფასებისა და გადაწყვეტილების მონახაზის სტანდარტული ფორმატი.

დასკვნა

ხშირად სასამართლოსათვის უპრიანია, თუ სასამართლოს დასკვნას გადაწყვეტილების დასაწყისშივე მიუთითებს, რათა მკითხველს არ მოუწიოს მთლიანი გადაწყვეტილების წაკითხვა ან მის ბოლომდე წაკითხვამდე იმის გამოცნობა, თუ რა შედეგით დასრულდება იგი. პირველ რიგში დასკვნის მითითება მკითხველს დაეხმარება სასამართლოს ანალიზი შემდგომ სათანადო კონტექსტში აღიქვას.

სამართლებრივი ნორმები, რომელთაც საქმე ეფუძნება

კანონმდებლობა. საქართველოში, რომელიც უმთავრესად პოზიტიური სამართლის ქვეყანაა, სასამართლომ უნდა მიუთითოს, თუ რომელი საკანონმდებლო წყაროს დაეფუძნება სასამართლოს გადაწყვეტილება. ამასთანავე მოსამართლემ უნდა მიუთითოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და სხვა დამაჯერებელი პრეცედენტები[6], რომელთაც ის დაეყრდნობა საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას.

6 ასეთი დამაჯერებელი პრეცედენტები მოიცავს შესწავლილ სამართლებრივ ხელშეკრულებებს, სამართლებრივი მიმოხილვის სტატიებს და პრეცედენტულ სამართალს ანალოგიური საკითხების შესახებ სხვა ქვეყნებიდან, როგორიცაა ინგლისი ან შეერთებული შტატები, რომელთა სისტემებიც საერთო სამართლის ძლიერ კომპონენტს შეიცავს, საიდანაც შესაძლებელია საჭირო სიღრმისეული ინფორმაციის მიღება საქართველოში არსებული ანალოგიური საკითხების შესახებ.

ელემენტები. დანაშაულის შემადგენელი ელემენტები თითოეული გადაწყვეტილების ჩონჩხს წარმოადგენს, ხოლო მოსამართლე „მას ხორცს შეასხამს" სასამართლოზე წარმოდგენილი მტკიცებულების ძალის, სანდოობის, ავთენტურობისა და რელევანტურობის ანალიზის შედეგად. თითოეულ სისხლის სამართლის დანაშაულს გააჩნია ასპექტები ანუ ელემენტები, რომელთა დამტკიცებაც უნდა მოხდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, რათა სასამართლომ დამნაშავედ ცნოს ბრალდებული მისთვის წაყენებულ ბრალდებაში.

ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, დანაშაულის ელემენტების დადგენა შესაძლებელია თვითონ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ტექსტიდან. შეერთებულ შტატებში სისხლის სამართლის ყოველი დანაშაულისთვის არსებობს მითითებები ნაფიცი მსაჯულებისათვის, რომელშიც წარმოდგენილია თითოეული დანაშაულის ელემენტების მონახაზი. სასამართლოები ამ მონახაზს იყენებენ არა მხოლოდ ნაფიცი მსაჯულებისათვის მითითებების მისაცემად, არამედ მტკიცებულების შესაფასებლად ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე სასამართლო პროცესის ან მტკიცებულების გამორიცხვის თაობაზ**ე** წარმოდგენილი შუამდგომლობების კონტექსტში.

მაგალითად, შეერთებული შტატების ფედერალური კანონის მიხედვით პირველი ხარისხის მკვლელობა შედგება ოთხი ელემენტისაგან:

1) ბრალდებულმა უკანონოდ მოკლა ან გამოიწვია (მსხვერპლის სახელი და გვარი) სიკვდილი. ტერმინის „უკანონო" განხილვა მთელ რიგ შემთხვევებში ხდება, მაგალითად როდესაც ბრალდებულის მტკიცებით მან იმოქმედა თვითდაცვის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ დაცვის მხარე ამ საკითხს დააყენებს, ბრალდების მხარე ვალდებულია, გონივრულ ეჭვს მიღმა დაამტკიცოს თვითდაცვის მტკიცების საწინააღმდეგო;

2) ბრალდებული წინასწარშეცნობილი ბოროტი განზრახვით მოკლეს. ტერმინის „წინასწარშეცნობილი ბოროტი განზრახვა" განხილვა მთელ რიგ შემთხვევებში ხდება, მაგალითად, როდესაც ბრალდებულის მტკიცებით ის მოქმედებდა აღელვების დროს;

3) მკვლელობა წინასწარგანზრახული იყო ან ჩადენილ იქნა სხვა მძიმე დანაშაულის ჩასადენად, როგორიცაა ძარცვა, ხანძრის განზრახ გაჩენა, გაქცევა, მკვლელობა, ადამიანის გატაცება, სექსუალური ძალადობის მიზნით თავდასხმა, ცემა, სახელმწიფო ღალატი, ტერორიზმი და სხვ.;

4) მკვლელობას ადგილი ჰქონდა ფედერალურ საკუთრებაში არსებულ მიწაზე ან უძრავ ქონებაში.

პირველი ხარისხის მკლელობის საქმის განხილვისას სასამართლოზე წარმოდგენილი თითოეული მტკიცებულება სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაკავშირებული უნდა იქნეს ამ ელემენტებიდან, სულ მცირე ერთ ელემენტთან.

სამართლებრივი ნორმის განმარტება

ფაქტების დადგენა. ფაქტების დადგენის ნაწილი სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულების და ფაქტების მითითების უფრო მექანიკური პროცესია, რომელთაც სასამართლო ეყრდნობა გადაწყვეტილების მისაღებად. ამგვარი ფაქტების ანალიზი და შეფასება შემდგომ ხორციელდება, მაგრამ სასამართლო ვალდებულია, მიუთითოს იმ ფაქტებზე, რომელთაც ის დაეყრდნობა დასკვნის მისაღებად. აღნიშნულ სექციაში მითითებული ფაქტები შემდგომ საქმის ანალიზში იქნება ჩართული.

ანალიზი

სასამართლოს ანალიზი უნდა შეიცავდეს სასამართლოზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ფაქტების სისტემატურ შეფასებასა და მოცემულ საქმესთან დაკავშირებული კანონმდებლობის (კანონები, სამართლებრივი განსაზღვრებები, ელემენტები და სხვ.)

გამოყენებას. ანალიზში ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა მტკიცებულების დასაშვებობა, შესაბამისობა და შემოთავაზებული მტკიცების მტკიცებულებითი ღირებულება; სასამართლოს მიერ მტკიცებულების თითოეულ ნაწილზე მინიჭებული შედარებითი ძალა; წარმოდგენილი მოწმეებისა და დოკუმენტების საიმედოობა; ფიზიკური მტკიცებულების, ფოტოსურათებისა და მტკიცებულების სახით წარმოდგენილი დოკუმენტების ავთენტურობა.

მტკიცებულებათა შესახებ წესები. შეერთებულ შტატებში მოქმედებს მტკიცებულებათა კომლექსური და კოდიფიცირებული წესები, რაც არა მხოლოდ სასამართლოზე მტკიცებულების დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება სასამართლოს, არამედ წარმოადგენს სახელმძღვანელოს ამ მტკიცებულების შეფასებისათვის. რეკომენდირებულია, რომ საქართველომ შემოიღოს ამგვარი წესების კრებული, რაც დაეხმარება სასამართლოს და მხარეებს. საქართველოს კანონმდებლობით მტკიცებულებათა კომპლექსური, კოდიფიცირებული წესების შემოღება იდეალური იქნება, რითაც დახმარება გაეწევა მოსამართლეებს და ნაფიც მსაჯულებს მტკიცებულების სათანადოდ შეფასებაში, მხარეებს კი დაეხმარება სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულების არჩევისას გადაწყვეტილების მიღებაში. ამ ეტაპამდე კი მოსამართლეებმა მტკიცებულებების ანალიზი უნდა განახორციელონ მტკიცებულებითი სტანდარტების საფუძველზე, თუნდაც ისინი ჯერ კიდევ არ არსებობდეს კანონის სახით.

დასაშვებობა და შესაბამისობა. გადამწყვეტი შეკითხვა ყველა მტკიცებულებისთვის არის მათი დასაშვებობის საკითხი. საჭიროა არსებობდეს პრეზუმფცია, რომ შესაბამისი მტკიცებულება დასაშვებია, მაგრამ არსებობს ზოგიერთი გარემოება, როდესაც ცალკეული მტკიცებულების მტკიცებულებით ღირებულებას მნიშვნელოვნად გადაწონის მისი პრეიუდიციული ძალა და არ უნდა იქნეს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ. შეფარდებითი შესაბამისობა და ცალკეული მტკიცებულების სისწორე მოითხოვს ანალიზს სასამართლოს გადაწყვეტილებაში. ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც საკმარისად რელევანტურია დასაშვებობის მიზნებისათვის, საქმეში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებით არ უნდა იყოს თანაბარი მტკიცებულებითი ღირებულების. გადაწყვეტილებაში უნდა გაიმიჯნოს თითოეული დაშვებული შესაბამისი მტკიცებულების ღირებულება, რაც განაპირობებს მეორე განხილვას.

ძალა. გადაწყვეტილების შედგენისას მოსამართლემ უნდა განიხილოს მტკიცებულებებისათვის მინიჭებული ძალა ანუ ღირებულება, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში. განსახილველი საკითხები შესაძლოა, მოიცავდეს შემდეგს: მტკიცებულება პირდაპირია, თუ ირიბი; მტკიცებულების წყარო დასუსტებულია, თუ საიმედოობის ნაკლები მახასიათებლები აქვს, მაგალითად, არის ირიბი ჩვენება; ფიზიკური მტკიცებულების დამცველმა შესაძლოა თუ არა დაამტკიცოს, რომ მიღება-გადაცემის დოკუმენტირების ძლიერი სისტემა არსებობს; თითოეული მოწმის ჩვენება იყო საიმედო მთლიანად, ნაწილობრივ, თუ საერთოდ არ იყო საიმედო. სასამართლომ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რომ კატეგორიულად არ გამორიცხოს გარკვეული ტიპის მტკიცებულებები, როგორც თვისობრივად არასაიმედო მტკიცებულება.

ზოგჯერ ამბობენ, რომ პირდაპირი მტკიცებულება უფრო ღირებულია, ვიდრე ირიბი მტკიცებულება, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. მაგალითად, მოწმე შესაძლოა, მოვიდეს და გითხრას, რომ მან დაინახა, თუ როგორ აიღო პირმა კუ ტყეში და დადო ოთხი ფუტის (1 მეტრი და 21 სმ) სიმაღლის ხის კუნძზე. ეს არის პირდაპირი მტკიცებულების მაგალითი და თუ თქვენ გჯერათ მოწმის, ეს ნამდვილად ძლიერი მტკიცებაა. მაგრამ თუ ვინმეს არ სჯერა, რომ მოწმე მთლიანად საიმედოა? თუ შემდეგ ვინმე გაივლის ტყეში და დაინახავს, თუ როგორ ზის კუ ამ ხის კუნძზე, მას ექნება ძლიერი ირიბი მტკიცებულება, რომ სხვა ადამიანმა კუ იქ დასვა, თუნდაც მას არ ჰქონდეს პირდაპირი მტკიცებულება, რადგან მას თვითონ, ან სხვა ვინმეს, არ დაუნახავს. ცხადია, რომ კუებს არ შეუძლიათ ხეზე აძრომა, ამდენად ირიბი მტკიცებულება კუს ხის კუნძზე ყოფნის

შესახებ ისეთივე მძლავრი მტკიცებულებაა იმისა, რომ ვიღაც პირი პასუხისმგებელია იმაზე, რომ კუ ხის კუნძის თავზე აღმოჩნდა, როგორც იმ პირის პირდაპირი ჩვენება, რომელიც ამბობს, რომ მან დაინახა, თუ როგორ დასვა ვიღაც პირმა კუ ხის კუნძზე.

შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ, მაგალითად, განაცხადა, რომ ირიბი მტკიცებულება გარეგნულად არ განსხვავდება პირდაპირი მტკიცებულებისაგან (*Holland v. United States*, 348 U.S. 121, 139-140 (1954)). ის, რომ ირიბი ჩვენება თვისობრივად არასაიმედოა, პოპულარულ სატელევიზიო შოუებსა და ფილმებში გაკეთებული დაშვებაა და რეალობას არ წარმოადგენს. ამდენად, ნაფიცი მსაჯულებისათვის სამოდელო ინსტრუქციები მტკიცებულების განხილვის შესახებ შემდეგია:

„პირდაპირი მტკიცებულება უბრალოდ არის მტკიცებულება, რომელიც თვითმხილველის ჩვენებას ჰგავს და თუ თქვენ ენდობით მას, ეს პირდაპირ ამტკიცებს ფაქტის არსებობას. იმ შემთხვევაში, თუ მოწმემ ჩვენება მისცა, რომ მან დაინახა, თუ როგორ წვიმდა გარეთ და თქვენ მისი გჯერათ, ეს იქნება პირდაპირი მტკიცებულება, რომ წვიმდა. ირიბი მტკიცებულება უბრალოდ არის გარემოებათა წყება, რომელიც ირიბად ამტკიცებს ფაქტს. თუ ვინმე შემოვიდა სასამართლო დარბაზში ლაბადით, რომელზეც წყლის წვეთებია და სველი ქოლგა უკავია ხელში, ეს იქნება ირიბი მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც თქვენ შეგიძლიათ დაასკვნათ, რომ წვიმდა. ეს თქვენი საქმეა, თუ რამდენ ძალას მიანიჭებთ პირდაპირ და ირიბ მტკიცებულებას. კანონი არ ანსხვავებს, თუ რამდენი ძალა უნდა მიანიჭოთ თქვენ რომელიმე მტკიცებულებას ანუ თქვათ, რომ ერთი მტკიცებულება უკეთესია მეორე მტკიცებულებაზე. თქვენ ყველა მტკიცებულება უნდა განიხილოთ, პირდაპირი და ირიბი, მათ მიანიჭოთ ის ძალა, რომელსაც თქვენი რწმენით ის იმსახურებს" (მე-6 ოლქის სამოდელო მითითებები ნაფიცი მსაჯულებისათვის, 1.06. პირდაპირი და ირიბი მტკიცებულება).

საიმედოობა. როდესაც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი ჩვენება დაიჯეროს და მიანიჭოს შესაბამისი ძალა, მან უნდა გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მოწმის ინტელექტი, შესაძლებლობა, რომელიც მოწმეს უნდა ჰქონოდა იმისათვის, რომ იმ მოვლენის მოწმე ყოფილიყო, რომლის შესახებაც ის ჩვენებას იძლევა და მოწმის მახსოვრობა, ნებისმიერი მოტივი, რომლის გამოც მოწმემ შესაძლოა, გარკვეული მიმართულებით გარკვეული მხარის სასარგებლოდ მისცეს ჩვენება, მოწმის ქცევა ჩვენების მიცემის დროს და ნებისმიერი წინა შეუსაბამო ჩვენებები ან მოწმის ჩვენების შიდა წინააღმდეგობები, ჩვენების ზოგადი სისწორე და გამამყარებელი ინფორმაციის არსებობა ან არარსებობა. ეს არის ის ფაქტორები, რომლებიც განხილულ უნდა იქნენ სასამართლოს გადაწყვეტილებაში, როდესაც ხდება მტკიცებულების და მისი საიმედოობის შეფასება. როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს მოწმის ნდობასთან დაკავშირებით, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ ადამიანებს ზოგჯერ განსხვავებულად ესმით ან ხედავენ და ზოგჯერ ავიწყდებათ რაც გაიგონეს და დაინახეს. ამიტომ საჭიროა, რომ სასამართლომ გაითვალისწინოს წინააღმდეგობა უბრალოდ არასწორად გახსენების, ან დავიწყების ბრალია, თუ განზრახ თქვა მოწმემ სიცრუე. ეს გადაწყვეტილება შესაძლოა, დაეფუძნოს იმას, ეს მნიშვნელოვან ფაქტთან არის დაკავშირებული, თუ მცირე დეტალთან.

მოწმის დარჩენილი ჩვენებისადმი ნდობა და ჩვენების საიმედოობა შესაძლოა დაეყრდნოს სასამართლოს მიერ განხორციელებულ ამ შეფასებას და მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლემ გადაწყვეტილებაში აღნიშნოს, თუ რა დასკვნები გამოიტანა და რატომ. ბრალდებულის ჩვენება, თუ ის გადაწყვეტს ჩვენების მიცემას, ასევე უნდა განისაჯოს, როგორც ნებისმიერი სხვა მოწმის ჩვენება. ბრალდებულის მიერ ჩვენების მიუცემლობამ არ უნდა გამოიწვიოს არავითარი კომენტარი, ან უარყოფითი დასკვნები სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

სასამართლომ ასევე უნდა გაითვალისწინოს ის გარემოებები, რომელთა ფარგლებშიც მოხდა გარკვეული სახის ჩვენების შეთავაზება. მაგალითად, ირიბი ჩვენება, ჩვეულებისამებრ, მიჩნეულია, რომ თვისებრივად არასაიმედოა და ამგვარი ჩვენების

დაშვებამ შესაძლოა, ზიანი მიაყენოს ბრალდებულის უნარს დაუპირისპირდეს მოწმეს და იმ მტკიცებას, რომელიც მის წინააღმდეგ იქნა შემოთავაზებული. მიუხედავად ამისა, არსებობს ირიბი ჩვენების გარკვეული სახეები, რომელიც შესაძლოა, საკმარისად საიმედოდ იქნეს მიჩნეული იმისათვის, რომ დაშვებულ იქნეს მტკიცებულების სახით. შეერთებულ შტატებში ირიბი ჩვენების მიცემის წესის ამგვარი გამონაკლისები და აკრძალვები ცალსახად არის კოდიფიცირებული მტკიცებულებათა შესახებ წესებში. მაგალითად, თუ მოწმე ქუჩის კუთხეში დგას და ხედავს, რომ მანქანამ წითელ შუქზე გაიარა მაღალი სიჩქარით, დაეჯახა ფეხით მოსიარულეს და მოკლა, მოწმის აღელვებული წამოძახილი: „ღმერთო ჩემო, იმ მწვანე ლადამ ახლახანს ჩაიქროლა წითელ შუქზე და ეს კაცი მოკლა!", მიჩნეულ იქნება დასაშვებად ისეთი პირის, მაგალითად, იმ პოლიციელის ჩვენების მეშვეობით, რომელიც იქ იყო და გაიგონა მოწმის ყვირილი, მაგრამ თვითონ არ დაუნახავს როგორ მოხდა ეს შემთხვევა. ამ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო შეადგენს თავის გადაწყვეტილებას, შეუძლია მიუთითოს, რომ თუმცა მოწმე არ იყო წარმოდგენილი ჩვენების მისაცემად, სასამართლომ მისი ნათქვამის შესახებ ჩვენება დასაშვებად, სანდოდ და საიმედოდ მიიჩნია, რადგან ამ ტიპის სიტუაციებში, ადამიანები, რომლებიც ამგვარი შემაძრწუნებელი შემთხვევის მოწმენი ხდებიან, ნაკლებად არის მოსალოდნელი, რომ ისეთი რამ თქვან, რაც არ იყო სიმართლე, ან წინასწარ იქნა ჩამოყალიბებული გარკვეული პერიოდის ფიქრის, ან გახსენების შემდეგ. უფრო მეტიც, ამგვარი შენიშვნის წარმოთქმა უფრო საიმედოდ არის მიჩნეული, რადგან ის ამ შემაძრწუნებელი შემთხვევის პარალელურად ითქვა.

ავთენტურობა. ერთი ხერხი, რომლითაც შესაძლებელია ფიზიკური მტკიცებულების და დოკუმენტური მტკიცებულების ავთენტურობის უზრუნველყოფა არის ის, რომ სასამართლომ დამცველისაგან მოითხოვოს მტკიცებულების დამხმარე მოწმის წარმოდგენა, რომელსაც შეუძლია, ჩვენება მისცეს, თუ რას წარმოადგენს ეს ფიზიკური მტკიცებულება და რატომ უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ ეს მტკიცებულება ავთენტურია. ეს შესაძლოა, განხორციელდეს საგნის უნიკალური მაიდენტიფიცირებელი ნიშნების მეშვეობით, მისი მიღება-ჩაბარების დოკუმენტირების სისტემის მეშვეობით იმ დროიდან, როდესაც ეს საგანი ამოღებულ იქნა და მისი სასამართლოში წარდგენის მომენტამდე ან ჩანაწერების წარმოების სისტემატური მეთოდოლოგიის არსებობა, რომელიც წარმოაჩენდა იმას, რომ მოცემული დოკუმენტი ან მტკიცებულება ავთენტურია.

ანალიზის ნიმუში: სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ უნდა შევიდეს დასკვნითი განცხადებები გამყარების ან დასაბუთების გარეშე და ანალიზი უნდა მოიცავდეს ფაქტებს, კანონმდებლობას, და მტკიცებულების პრინციპებს. მაგალითად, განაცხადი, რომ „ზაზა ფაჩულია დიდებული ქართველი კალათბურთელია", წარმოადგენს მხოლოდ დასკვნით განცხადებას და არ არის დამაჯერებელი, დამარწმუნებელი და ინფორმაციული. მეორე მხრივ, კი განცხადება: „ზაზა ფაჩულია დიდებული ქართველი კალათბურთელია, რადგან მსოფლიოში უმაღლეს პროფესიულ დონეზე მოთამაშე ერთ-ერთი ჯგუფის ძირითად შემადგენლობაში თამაშობს და მის მიერ კალათში ჩაგდებული და კალათიდან მოხსნილი ბურთების რაოდენობა ყველა თამაშში საშუალოდ ორ ციფრიან მაჩვენებელს უტოლდება და, ამავე დროს, თითო თამაშში მოწინააღმდეგის მიერ კალათში ნასროლ 2 ბურთს ბლოკავს," ისეთი განცხადებაა, რომელიც დასკვნის ძლიერ დასაბუთებას შეიცავს. სამართლებრივი მოსაზრების შედგენისას მეორე მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული. ამისათვის საუკეთესო გზაა მტკიცებულების გაანალიზება დანაშაულის ელემენტების გათვალისწინებით, როგორც ეს ზემოთ იქნა განხილული. შედეგად მივიღებთ ცხად და თანმიმდევრულ საფუძველს როგორც გადაწყვეტილების მისაღებად, ასევე სამართლებრივი მოსაზრების შესადგენად. რეკომენდირებულია, რომ იმ დრომდე, სანამ სისხლის სამართლის დანაშაულების კონკრეტული ელემენეტები კოდიფიცირებული იქნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, სასამართლო ხელისუფლებამ ცხადად უნდა განმარტოს სისხლის სამართლის თითოეული დანაშაულის ელემენტები, რათა სასამართლოებს შეეძლოთ თითოეულ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულების თანმიმდევრული ანალიზი ამ ელემენტების გათვალისწინებით და

ამდენად პროკურორებისათვის ცნობილი იყოს ის სტანდარტი, რომელიც მათ უნდა დააკმაყოფილონ.

წინა განცხადების მოსაზრება გამოვიყენოთ სამართლებრივი მაგალითის მიმართ და დავუშვათ, რომ პროკურორმა ბრალდებულს წაუყენა ბრალდება ქურდობაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. თუმცა ამჟამად მოქმედ კოდექსში არ არის კონკრეტულად მითითებული დანაშაულის ელემენტები, ამ დანაშაულის ელემენტები შესაძლოა, ასე გამოიყურებოდეს:

1) ბრალდებულმა [მალულად], [ფარულად], [მოიპარა], [გაფლანგა], [არამართლზომიერად აიღო, გადასცა ან დამალა], [თაღლითობით ან მოტყუებით მოიპოვა], [პირადი], [უძრავი] ქონება, რომელიც აღწერილია ბრალდებულად ცნობის დადგენილებაში;

2) ბრალდებულმა მიითვისა ქონება იმ განზრახვით, რომ მისი მფლობელისათვის არ მიეცა ამ ქონების, ან საქონლის გამოყენების, ან სარგებლის მიღების საშუალება;

3) აქტივის მისაკუთრებისას ბრალდებულმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა[7] უძრავ ქონებას, რომელიც მან მიისაკუთრა ან სხვა ქონებას, რომელზეც მიმაგრებული იყო მოძრავი ქონება;

4) ბრალდებულმა ქურდობა ჩაიდინა [სახლში], [სასაწყობეში] უკანონო შესვლის შედეგად.

არასათანადოდ შედგენილ მოსაზრებას შესაძლოა, შემდეგი სახე ჰქონდეს:

„მე დავადგინე ბრალდებულის დამნაშავეობა, რადგან ბრალდების მხარემ წარმოადგინა 10 მოწმე, 6 დოკუმენტი და მოპარული ნივთი. წარმოდგენილი მტკიცებულებისა და ინფორმაციის ამ მოცულობით წარმოდგენის, ასევე მხარეთა არგუმენტების გამო, მე მიმაჩნია, რომ ბრალდების მხარემ დააკმაყოფილა მტკიცების ტვირთი და საქმე დაამტკიცა გონივრულ ეჭვს მიღმა.”

მეორე მხრივ, კარგად დაწერილი ანალიზიდან ამონარიდი შესაძლოა, ასე გამოიყურებოდეს:

„ბრალდებულის ბრალეულობას ვადგენ შემდეგი მიზეზების გამო. ბრალდების მხარემ ქურდობის დანაშაულის თითოეული ელემენტი დაამტკიცა გონივრულ ეჭვს მიღმა.

პირველ ელემენტთან დაკავშირებით ბრალდების მხარემ წარმოადგინა ბ-ნი ბერუაშვილი, ქონების მფლობელი, რომელმაც ჩვენება მისცა, რომ მას შუაღამეს გაეღვიძა, ბინაში შემოსულ ქურდს გადააწყდა და დაინახა ბრალდებული მეორე პირთან ერთად, რომელსაც მისი კუთვნილი სამსუნგის ფირმის 60 ინჩიანი (152.4 სმ.) ტელევიზორი მიჰქონდა. ბერუაშვილმა მოწმის ტრიბუნიდან შეძლო ბრალდებულის ამოცნობა შეესაბამებოდა პოლიციელ წნორიაშვილის ჩვენებას, რომლის თანახმად ბერუაშვილმა ბრალდებული იცნო მის სახლში ქურდობის დასრულებისთანავე მოწყობილი ამოცნობის პროცესის დროს. ამდენად, ბერუაშვილის ჩვენება საიმედო ჩვენებად მიმაჩნია, რადგან იგი განმტკიცებულია სხვა მტკიცებულებით და ჩვენებით. ბრალდების მხარემ ასევე წარმოადგინა ტელევიზორი, რომელიც ბრალდებულის საცხოვრებელი სახლიდან იქნა ამოღებული ჩხრეკის ორდერის შესრულების დროს, რაც ცალსახად ძლიერი არაპირდაპირი მტკიციებულებაა იმისა, რომ ბრალდებული იყო ის პირი, რომელმაც ტელევიზორი აიღო. ტელევიზორი იდენტიფიცირებულ იქნა ბერუაშვილის საკუთრებად, რადგან ბრალდების მხარემ წარმოადგინა მისი შეძენის დოკუმენტაცია და ამავე დოკუმენტაციაშია აღნიშნული ტელევიზორის სერიული ნომერი, რომელიც დაემთხვა ბრალდებულის საცხოვრებელი სახლიდან ამოღებული ტელევიზორის სერიულ ნომერს.

მეორე ელემენტთან დაკავშირებით, ბერუაშვილის ტელევიზორის ბრალდებულის სახლიდან ამოღების გარდა, რაც ბრალდებულის განზრახვის მნიშვნელოვან ირიბ მტკიცებულებას

7 საჭიროა განისაზღვროს ტერმინი „მნიშვნელოვანი ზიანი”. ეს წარმოადგენს ფულად ღირებულებას, თუ სხვა რაოდენობრივ, ან ხარისხობრივ საზომს?

წარმოადგენს, რომ ტელევიზორის მფლობელისათვის არ მიეცა მისი გამოყენების საშუალება, ბრალდების მხარემ ასევე წარმოადგინა თანამონაწილე, ბ-ნი გოგრაძე, რომელიც ბრალდებულს ქურდობის ჩადენაში ეხმარებოდა. საპროცესო შეთანხმების პირობებით ჩვენების მიცემისას, რაც ნაკლებ მკაცრი სასჯელის შეფარდებას გულისხმობს იმ შემთხვევაში, თუ გოგრაძემ ითანამშრომლა ბრალდების მხარესთან და სწორად მისცა ჩვენება, აღწერა გეგმა, რომელიც ბრალდებულთან ერთად შეიმუშავა, რათა ბერუაშვილის სახლში შეეღწიათ ყველას დაძინების შემდეგ და მოეპარათ ტელევიზორი, რომელსაც გამოიყენებდნენ ბრალდებულის სახლში მსოფლიო თასზე საფეხბურთო მატჩების დიდ ეკრანზე საყურებლად. მიუხედავად იმისა, რომ გოგრაძეს ჰქონდა სიცრუის თქმის მოტივი, მე მისი ჩვენება სანდოდ მიმაჩნია, რადგან ის შეესაბამებოდა საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებას და ასევე საპროცესო გარიგება სიცრუის თქმის არამასტიმულირებელი იქნებოდა, რადგან საპროცესო გარიგება მისგან მოითხოვს უტუარი ჩვენების მიცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ გარიგებით ვეღარ ისარგებლებს. უფრო მეტიც, მოწმის ადგილზე ყოფნისას მან გულწრფელად გამოხატა სინანული და აღიარა მონაწილეობა ამ გეგმის შესრულებაში. ამდენად, მე ასევე დავადგინე, რომ ბრალდების მხარემ დანაშაულის მეორე ელემენტიც გონივრულ ეჭვს მიღმა დაამტკიცა.

რაც შეეხება მესამე ელემენტს, ბერუაშვილმა ჩვენება მისცა, რომ ტელევიზორის აღებისას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა კედელს, რომელზეც ტელევიზორი იყო დაკიდებული და დააზიანა ტელევიზორის ირგვლივ არსებული ავეჯი, ასევე თვითონ ტელევიზორი. ბრალდების მხარემ წარმოადგინა დაზიანებული კედლის, ავეჯის და ტელევიზორის ფოტოსურათები, ასევე წარმოადგინა თითოეული ამ ქონების გარემონტების ხარჯის ამსახველი ქვითრები. ქვითრები დამოწმებულია ქონების შემკეთებელი სარემონტო კომპანიის მიერ, თავდაპირველი ქვითრები ამოიღო კომპანიის საქმიანი დოკუმენტაციიდან ეს დაემთხვა ბერუაშვილის მიერ წარმოდგენილ ქვითრებს. ამდენად, მესამე ელემენტიც დაკმაყოფილებულია.

დანაშაულის მეოთხე ელემენტი დამტკიცდა ბერუაშვილის, გოგრაძის, წნორიაშვილისა და ლაბორატორიის ტექნიკოსის პატარაიას ჩვენებებით, რომლითაც დაკმაყოფილდა მოთხოვნა, რომ ქონების მისაკუთრება მოხდა სახლში უკანონოდ შესვლის შედეგად. ამ ინციდენტამდე ბერუაშვილი არ იცნობდა ბრალდებულს და ცხადია მისთვის არ მიუცია სახლში შესვლისა და ტელევიზორის წაღების ნებართვა. პოლიციელმა წნორიაშვილმა ასევე დამატებით მისცა ჩვენება, რომ მან შეძლო ბერუაშვილის საცხოვრებელ სახლში თითის უხილავი ანაბეჭდების აღება კედლიდან, სადაც ეკიდა ტელევიზორი. აღნიშნული ანაბეჭდები გამოიკვლია ლაბორატორიის ტექნიკოსმა პატარაიამ, რომელმაც მისცა ჩვენება, რომ ბრალდებულის სახლში კედლიდან აღებული ანაბეჭდები დაემთხვა ბრალდებულის ანაბეჭდებს. ამდენად, დაცვის მხარემ ცალსახად დაამტკიცა, რომ ბრალდებული მონაწილეობდა მსხვერპლის სახლში უკანონო შესვლაში ანუ შეჭრაში, რაც აკმაყოფილებს მეოთხე ელემენტს.

რადგან ბრალდების მხარემ დაამტკიცა დანაშაულის თითოეული ელემენტი გონივრულ ეჭვს მიღმა, მან დააკმაყოფილა მოცემულ საქმეში ბრალდების მტკიცების ტვირთი და დამნაშავედ მიიჩნევს ბრალდებულს ქურდობის დანაშაულის ჩადენაში, როგორც ეს აღწერილია ბრალდებულად ცნობის დადგენილებაში.”

დასკვნა/გადაწყვეტილება

დავუშვათ, რომ სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დასაწყისშივე განაცხადა, როგორც ეს ზემოთ იყო შემოთავაზებული. დასკვნითი ნაწილი უფრო მეტი უნდა იყოს ვიდრე ამ დასკვნის ხელახალი ფორმულირება საქმეში არსებული ფაქტებისა და შესაბამისი კანონმდებლობის სრული ანალიზის შემდეგ ზემოთ განხილული გონივრული სტანდარტების გამოყენებით.

დასასრულს, სასამართლომ სრულიად უნდა აიცილოს თავიდან ამორფული კონცეფციების გამოყენება, როგორიცაა „შიდა ჰოლისტიკური რწმენა”, რომელიც

შეეხება ბრალდებულების ბრალს, ან უდანაშაულობას, ან ნებისმიერ სხვა სამართლებრივ საკითხს, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს. ამგვარი მიდგომები კრიტიკას იმსახურებენ და საუკეთესო შემთხვევაში ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ, რომ მოსამართლე საკუთარ პირად, სუბიექტურ რწმენას წარადგენს კანონის ობიექტური რეალობის ნაცვლად, ხოლო უარეს შემთხვევაში, ეს შექმნის შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლეზე არამართლზომიერი გავლენა მოახდინა საქმის რომელიმე მხარემ. საქართველოში სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის მცირეხნიანი ისტორიის გამო ეს სერიოზულ საზრუნავს წარმოადგენს, ხოლო შთაბეჭდილება, თუნდაც იგი ფაქტობრივ რეალობას არ წარმოადგენდეს, რეალობა ხდება ხოლმე. უფრო მეტიც, არ არსებობს თანმიმდევრული სტანდარტი, რათა პროკურორებმა იცოდნენ, თუ როგორ დააკმაყოფილონ იგი, რაც შედეგად გვაძლევს უხარისხო სამართალს. სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ უნდა დარჩეს ადგილი სპეკულაციისათვის ან ინტერპეტაციისათვის, თუ რატომ მიიღო სასამართლომ მოცემული კონკრეტული გადწყვეტილება.

დათქმები:

დათქმული ჩვენება

როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ ცალკეული მოწმეები ჩვენებას მისცემენ გარკვეული მიმართულებით, სასამართლომ ეს უნდა მიიღოს როგორც მოწმის ადგილიდან მიცემული ფაქტობრივი ჩვენება. მიუხედავად ამისა, ამგვარი დათქმით არ დგინდება მოწმის მიერ გადმოცემული ფაქტები, არამედ უბრალოდ ამით ჩვენება ხდება მტკიცებულება, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც წარმოდგენილი იქნება. ის ექვემდებარება შესაბამისობის, ავთენტურობისა და სისწორის კრიტერიუმებს, ისევე როგორც ყველა სხვა სახის მტკიცებულება. ამგვარი დათქმა უბრალოდ განაპირობებს მხარეთა უნარს, თავიდან აიცილონ მოწმის სასამართლოში გამოძახება პირდაპირი ჩვენების მისაცემად. როდესაც დათქმები შეეხება ჩვენებას და არა ფაქტებს მხარეებმა შესაძლოა, მაინც სადავოდ გახადონ მოცემული ჩვენების უტყუარობა და სისწორე საწინააღმდეგო მტკიცებულების, ან ჩვენების გამოყენების, ან სასამართლოში არგუმენტების წამოყენების გზით. დაცვის ადვოკატმა შესაძლოა ხაზი გაუსვას ფაქტს, მაგალითად, იმას რომ ამგვარი ჩვენება არ არის გამყარებული ან არ ამყარებს საქმეში მოცემულ ნებისმიერ რომელიმე მტკიცებულებას. სასამართლომ თავის მოსაზრებაში უნდა განიხილოს ამგვარი ჩვენების ანალიზი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ჩვენების შემთხვევაში.

დათქმული ფაქტები

როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ ცალკეული ფაქტები უტყუარია, სასამართლომ ამ ფაქტების მიმართ ისეთი დამოკიდებულება უნდა გამოხატოს, თითქოს ისინი დამტკიცებულია. თუმცა სასამართლოზეა დამოკიდებული შეაფასებს თუ არა ამგვარი მტკიცების ღირებულებას და მნიშვნელობას. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ ესა თუ ის ფაქტი თვითონ ამტკიცებს დანაშაულის ელემენტს, სასამართლომ ეს ელემენტი დაკმაყოფილებულად უნდა მიიჩნიოს. მაგალითად, თუ ბრალდების მხარემ უნდა დაამტკიცოს, როგორც ბრალდების ერთი ელემენტი, რომ ადრე ბრალდებული მსჯავრდებული იყო დანაშაულის ჩადენისათვის, სასამართლომ მხარეთა დათქმა, რომ ბრალდებული მსჯავრდებულია დანაშაულის ჩადენისათვის, უნდა მიიჩნიოს ამ ელემენტის დამტკიცებად. თუმცა, ეს არ იქნება საკმარისი მთლიანად ბრალის დასამტკიცებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბრალდების მხარე დანაშაულის დამატებით ელემენტებს გონივრულ ეჭვს მიღმა დაამტკიცებს.

პრეიუდიცია

სასამართლომ შესაძლოა, პრეიუდიციულად მიიღოს სამართლებრივი ფაქტები, თუ ისინი წარმოადგენენ საყოველთაოდ დადგენილ სიმართლეს, ფაქტებს ან მტკიცებულებებს.

ანალოგიურად, სასამართლომ შესაძლოა, პრეიუდიციულად მიიღოს სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები, რომლებიც დადგენილ სიმართლეს წარმოადგენენ, მაგრამ დამახასიათებელია მხოლოდ ცალკეული საქმეებისათვის. ამდენად, თუნდაც არც ერთი მტკიცებულება არ იყოს წარმოდგენილი გარკვეულ ეტაპზე, სასამართლოს შეუძლია, პრეიუდიციულად მიიღოს ფაქტი, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია, ან შეიძლება მისი ზუსტი და დაუყოვნებლივი დადგენა ზუსტი წყაროდან ისე, რომ შეუძლებელია მის წინააღმდეგ გონივრული დავის გამართვა (მაგ.: თბილისი საქართველოს ქალაქია). მოსაზრების დაწერისას სასამართლომ ცხადად უნდა გადმოსცეს პრეიუდიციულად მიღებული ნებისმიერი ფაქტი, რომელსაც ის ეყრდნობა. თუმცა სასამართლოებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ ფაქტების პრეიუდიციულად მიღებაზე. მაგალითად, თუ ბრალდების მხარე წარმოადგენს მოთანამშრომლე მოწმეს, რომელთანაც გაფორმებულია საპროცესო შეთანხმება და რომელიც შეიცავს გარკვეულ ფაქტებს, რომლებზეც შეთანხმდნენ პროკურორი და მოთანამშრომლე ბრალდებული, არ წარმოადგენენ ისეთ ფაქტებს, რომლებსაც სასამართლო პრეიუდიციულად მიიღებს სხვა საქმესთან და სხვა ბრალდებულთან მიმართებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსამართლეს შეუძლია პრეიუდიციულად მიიღოს, რომ მხარეებმა წინა საქმეში პრეიუდიციულად მიიღეს ფაქტები, როგორც საპროცესო გარიგების ნაწილი, მაგრამ მოსამართლეს არ შეუძლია, თვითონ ამ ფაქტების პრეიუდიციულად მიღება, რადგან ამჟამინდელ ბრალდებულს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს დაუპირისპირდეს მოთანამშრომლე მოწმის ფაქტების ვერსიას.

ზოგიერთი მოსაზრება განაჩენის დასაბუთების მატერიალურ-სამართლებრივ საკითხებზე[1]

1 ავტორი: ალექსანდრე იაშვილი – საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე, თსუ-ს დოქტორანტი, 2014.

1. ქმედების სამართლებრივი კვალიფიკაცია

1.1. **ქმედების კვალიფიკაცია** გულისხმობს სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით საქმეზე არსებული ფაქტების შეფასებას, რაც თავისი არსით ერთ-ერთი მნიშვნელოვანია განაჩენის დასაბუთების კუთხით.

არასწორი კვალიფიკაცია და სამართლებრივი შეფასება რიგ შემთხვევებში უკავშირდება უდანაშაულო პირის მსჯავრდებას, რაც მას უკანონო გადაწყვეტილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებას წარმოუშობს.

არასწორი კვალიფიკაცია ასევე განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში, როდესაც პირი იმაზე მეტ სასჯელს იხდის, ვიდრე გადაკვალიფიცირების შემთხვევაში სწორი სსკ-ის მუხლის სანქციის უმაღლესი ზომაა.

მაგალითი №1: პირს პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 19,160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით — ბინაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ შესვლის მცდელობაში, რომელიც არღვევს ბინის ხელშეუხებლობას, ჩადენილი ძალადობის მუქარით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. უზენაესი სასამართლოს განაჩენით პირის ქმედება სსკ-ის 19,160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 150-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და მიესაჯა ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის **უმაღლესი ზომა** — 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. პირს უზენაესი სასამართლოს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის მოხდილი ჰქონდა 1 წელზე მეტი თავისუფლების აღკვეთა, რის გამოც მას წარმოეშვა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება[2].

აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა ფაქტობრივად შეუძლებელია და პირველი ინსტანციის განაჩენის გასაჩივრება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში რიგ შემთხვევებში სწორედ კვალიფიკაციის მართებულობას უკავშირდება, თუმცა საკითხისადმი სწორმა მიდგომამ უნდა შეამციროს არასწორი კვალიფიკაციის რისკი. ამ რეკომენდაციების ერთერთი მიზანიც სწორედ ესაა.

1.2. განაჩენი არ უნდა დაემსგავსოს სხდომის ოქმს — სასამართლო ქმედების სამართლებრივი შეფასებისას (კვალიფიკაციისას) უნდა დაეყრდნოს მხოლოდ იმ დადგენილ ფაქტებს, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ კონკრეტული ქმედების დანაშაულად დაკვალიფიცირებისათვის და წარმოადგენენ კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს. ფაქტები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება დანაშაულის ნიშნებს, განაჩენის სამოტივაციო ნაწილში, სამართლებრივი შეფასების ველში, მინიმუმადე უნდა იქნეს შემცირებული.

1.3. ქმედების სწორად დაკვალიფიცირებისათვის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია ფაქტების ამომწურავად დადგენა. იმ პირობებში, როდესაც მხარეთა მიერ მოწმის დაკითხვის დროს ამომწურავად და ნათლად არ დგინდება ფაქტები, მოსამართლემ უმჯობესია, ისარგებლოს დამაზუსტებელი შეკითხვის დასმის უფლებით, რათა შესაძლებლობის შემთხვევაში დააზუსტოს ზოგადი და სავარაუდო პასუხები. მართალია, მტკიცებულებათა გამოკვლევა ცალსახად მხარეთა კომპეტენციაა, თუმცა ეს მოსამართლემ იმგვარად არ უნდა გაიგოს, რომ მას ამ მიმართებით არაფერი მოეთხოვება, პირიქით: კანონმდებლის მიერ მოსამართლისათვის დამაზუსტებელი შეკითხვის უფლების მინიჭებით, მას საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული დაკითხვის მიმდინარეობიდან გამომდინარე, უჩნდება საფუძველი, დააზუსტოს გარკვეული გარემოებები, რომელთა თაობაზეც მოწმის პასუხი ბუნდოვანია. ამდენად, ფაქტების სწორად და ამომწურვად დადგენაში მოსამართლის როლი არც თუ უმნიშვნელოა და მოითხოვს მის ადეკვატურ რეაგირებას.

2 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება, №202აპ-13, 26 მარტი, 2014 წელი.

1.4. სასამართლომ სისხლის სამართლის საქმე უნდა განიხილოს, ბრალდებულის დამნაშავეობა\უდანაშაულობაზე უნდა იმსჯელოს და ქმედება სამართლებრივად შეაფასოს (ქმედების კვალიფიკაცია) მხოლოდ ბრალდების დადგენილებაში მითითებული ფორმულირების ფარგლებში, ვინაიდან პირის ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა (საქართველოს სსსკ-ის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილი). წარდგენილი ბრალდების ფარგლებში მოიაზრება სწორედ პროკურორის მიერ ბრალდების შესახებ დადგენილებაში ჩამოყალიბებული ბრალდების ფორმულირება, რომელშიც მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული იმ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების აღწერა (როგორ გამოიხატა), რომელსაც ბრალდების მხარე ედავება ბრალდებულს, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით (სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი). ის გარემოებები და ფაქტები, რაც პირდაპირ არ გამომდინარეობს ბრალდების შესახებ დადგენილებიდან, არ შეიძლება მოიაზრებოდეს პირის მიმართ კონკრეტული ქმედებისათვის წარდგენილ ბრალდებად.

ამდენად, სასამართლო მკაცრად არის შეზღუდული ბრალდების ფარგლებით და მხოლოდ ბრალდების დადგენილებაში მითითებული ფაქტობრივად განხორციელებული ქმედების დადგენის შემდეგ და მის ფარგლებში უნდა შეაფასოს ქმედების კვალიფიკაცია **ა.** მართებულია; **ბ.** არ წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს; **გ.** არასწორი კვალიფიკაციის გამო წარდგენილი ბრალდება უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის სხვა მუხლზე.

1.5. ქმედების სწორად დაკვალიფიცირებისათვის, სამართლებრივი შეფასების მეტი არგუმენტირებულობისა და დამაჯერებლობისათვის უმჯობესია, ბრალდებულისათვის ბრალად წარდგენილი დანაშაულის არსებობა\არარსებობა დადგინდეს და შეფასდეს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის კონკრეტული მუხლის (დანაშაულის) შემადგენლობის ნიშნების გამოყოფით, კომისიის მიერ შემუშავებული განაჩენის ფორმების შესაბამისად და ამის შემდეგ თითოეული დანაშაულის ნიშნის დასადგენად, საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით, მიეთითოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ დანაშაულის შემადგენლობის კონკრეტულ ნიშანს.

მაგალითი №1: ყაჩაღობა (სსკ-ის 179-ე მუხლი)

- ☐ დანაშაულის სუბიექტის თავდასხმა

  (მტკიცებულებები: №1, №2 ....);

- ☐ სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი

  (მტკიცებულებები: №1, №2 ....);

- ☐ სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა

(მტკიცებულებები: №1, №2 ....);

მოცემულ მაგალითში დანაშაულის — ყაჩაღობის დაყოფა შემადგენელ ნიშნებად, რომლებიც ერთობლიობაში ქმნის ამ დანაშაულის შემადგენლობას, საშუალებას აძლევს მოსამართლეს თითოეულ ნიშანთან მიმართებით შეაფასოს მტკიცებულებების ერთობლიობა, ამასთან, ნათლად დაინახოს, დგინდება თუ არა მტკიცებულებებით დანაშაულის ყველა ნიშანი, რომელთაგან თუნდაც ერთის გარეშე ქმედების ყაჩაღობად დაკვალიფიცირება გამოირიცხება. თუმცა ერთ-ერთი ნიშნის არარსებობაც ერთმნიშვნელოვნად არ ნიშნავს იმას, რომ ბრალდებულის ქმედება არ წარმოადგენს დანაშაულს. შესაძლოა, ერთი რომელიმე ნიშნის არარსებობის გარეშეც სახეზე იყოს სხვა დანაშაულის შემადგენლობა, რის გამოც სასამართლომ ამ მიმართებით აუცილებლად

უნდა იმსჯელოს. მაგალითად: სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარის გარეშე, როდესაც პირი აშკარად ეუფლება სხვის მოძრავ ნივთს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, არსებობს სხვა დანაშაულის — ძარცვის შემადგენლობა.

ამდენად, **მოსამართლემ ზედმიწევნით უნდა შეადაროს დადგენილი ფაქტები კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის თითოეულ ნიშანს, რაც მცდარი კვალიფიკაციის რისკს მინიმუმამდე ამცირებს.**

1.6. ბრალდებულის მიმართ ბრალად წარდგენილი ფაქტობრივად განხორციელებული ქმედების (მოქმედება ან უმოქმედობა) საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით დაუდგენლობის/დაუდასტურებლობის შემთხვევაში მართებული იქნება, თუ განაჩენში (სამართლებრივი შეფასების ნაწილში) დამატებით არ იქნება ვრცელი მსჯელობა კვალიფიკაციის მართებულობისა და ქმედების სამართლებრივი შეფასების შესახებ, ვინაიდან ქმედების მტკიცებულებების საფუძველზე ერთმნიშვნელოვნად და უტყუარად დადგენის გარეშე ყოველგვარი აზრი ეკარგება ქმედების კვალიფიკაციაზე სიღრმისეულ მსჯელობას. ასეთ შემთხვევაში მართებული იქნება განაჩენში მიეთითოს, მაგალითად: წარდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ დადასტურდა ა.ა-ს ისეთი განზრახი ქმედება, რომელიც მიმართული იქნებოდა მეორე ადამიანის სიცოცხლის მოსპობისაკენ და დასაბუთება შემოიფარგლოს ფაქტობრივ გარემოებაზე მსჯელობით. ამასთან, იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის მიერ ფაქტობრივად განხორციელებული ქმედება, დადგენილი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, წარმოადგენს იმავე ან უფრო მსუბუქი კატეგორიის დანაშაულს, სასამართლო, ბუნებრივია, ვერ შემოიფარგლება მხოლოდ ფაქტებზე მსჯელობით. ბრალდებულის მიერ ფაქტობრივად განხორციელებულ ქმედებას უნდა მიეცეს სამართლებრივი შეფასება, თუმცა ამ შემთხვევაშიც კვალიფიკაციის შეცვლა არ უნდა სცდებოდეს ბრალდების ფარგლებს. მაგ: ბრალდების დადგენილების თანახმად, ა.ა.-მ განზრახ მოკვლის მიზნით ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა ბ.ბ-ს. საქმეზე არსებული და გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ ა.ა.-ს, იარაღთან დაუდევარი დამოკიდებულების გამო, შემთხვევით გაუვარდა იარაღი და ტყვია მოხვდა ბ.ბ.-ს. მოცემულ შემთხვევაში მართლებული იქნება წარდგენილი ბრალდების — სსკ-ის 108-ე მუხლის გადაკვალიფიცირება სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, ვინაიდან, პირველ რიგში, არ სცილდება ბრალდების ფარგლებს, ამასთან, ვერ დადგინდა ა.ა.-ს განზრახვა — მოეკლა ბ.ბ, თუმცა მისი ასეთი გაუფრთხილებელი ქმედებაც დანაშაულს წარმოადგენს, რაც სასამართლოს მხრიდან აუცილებლად მოითხოვს სამართლებრივ შეფასებას (კვალიფიკაციას).

1.7. სსკ-ის ერთი მუხლიდან მეორეზე გადაკვალიფიცირების დროს პირველი ინსტანციის სასამართლოში ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს წარდგენილი ბრალდების უფრო მძიმე მუხლზე გადაკვალიფიცირების დაუშვებლობის სტანდარტი, ხოლო სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში - საუარესოდ შებრუნების კრიტერიუმები.

1.8. იმ შემთხვევაში, როდესაც პირს ბრალდება წარდგენილი აქვს როგორც დანაშაულის ამსრულებელს, თუმცა გამოკვლეული მტკიცებულებების მიხედვით, იგი არის არა ამსრულებელი, არამედ — მხოლოდ თანამონაწილე, სასამართლომ უნდა მიუთითოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმაზე (სსკ-ის 25,180-ე მუხლი) და დაასაბუთოს, რატომ არის პირი თანამონაწილე და არა, ამსრულებელი. ანალოგიურად უნდა გადაწყდეს საკითხი დაუმთავრებელი დანაშაულის შემთხვევაში და კერძო ნაწილის მუხლის წინ მიეთითოს ზოგადი ნაწილის მუხლი — 18,180-ე (დანაშაულის მომზადება) ან 19,180-ე (დანაშაულის მცდელობა) შესაბამისი დასაბუთებით.

1.9. განაჩენის სამოტივაციო ნაწილში, ქმედების სამართლებრივი შეფასების ველში სასამართლომ არსებობის შემთხვევაში უნდა იმსჯელოს ერთიანი დანაშაულის

(დენადი, განგრძობადი) თაობაზე და ეს საკითხი არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა. ერთი და იმავე დანაშაულის რამდენიმე ეპიზოდის არსებობის შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ამ მიმართებით. მაგალითად, თაღლითობის რამდენიმე ეპიზოდის არსებობის პირობებში, როდესაც დანაშაულის სუბიექტს ამოძრავებდა ერთიანი მიზანი და საერთო განზრახვა (მტკიცებულებებით უტყუარად დადგენილი), საქმე გვექნება განგრძობად დანაშაულთან, რის გამოც დანაშაულის კვალიფიკაცია უნდა დაზუსტდეს.

1.10. მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებაზე სასამართლომ უნდა იმსჯელოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ გარემოებაზე მხარე უთითებს, ასევე — საკუთარი ინიციატივით, როდესაც აშკარაა ასეთი გარემოების არსებობა. სხვა შემთხვევებში უმჯობესი იქნება, ზოგადად მიეთითოს, რომ ბრალდებულის ქმედება მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულია, ვინაიდან მათი გამომრიცხველი გარემოებები საქმეზე დადგენილი არ ყოფილა.

1.11. სასამართლოს მიერ გაკეთებული სამართლებრივი შეფასება კვალიფიკაციის შესახებ არ უნდა იყოს ბუნდოვანი და ზოგადი. განაჩენის სამოტივაციო ნაწილის სამართლებრივი შეფასების ველიდან ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად უნდა იკითხებოდეს, რატომ მიიღო სასამართლომ კონკრეტული გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე აპელირებს კვალიფიკაციაზე, სასამართლომ ყურადღების მიღმა არ უნდა დატოვოს ეს საკითხი და ძირითადი არგუმენტების მოშველიებით, თუნდაც მოკლედ, მაგრამ უნდა გასცეს დასაბუთებული პასუხი.

1.12. სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ისეთი ქმედებების სამართლებრივ შეფასებას, რომლებიც თავიაანთი ბუნებიდან გამომდინარე, ასევე ატარებენ ადმინისტრაციული ან სამოქალაქო ურთიერთობის ხასიათს, თუმცა მათგან სწორედ დანაშაულის შემადგენლობის კონკრეტული ნიშანი განასხვავებს, მაგალითად: თაღლითობის (სსკ-ის 180-ე მუხლი) შემთხვევაში — მოტყუება; ხულიგნობის (სსკ-ის 239-ე მუხლი) შემთხვევაში — საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა, საზოგადოების აშკარა უპატივცემულობა, ძალადობა ან ძალადობის მუქარა და სხვა.

ქმედების დანაშაულად სწორად დაკვალიფიცირებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება კანონის მართებულად განმარტებას, აქტუალურია ასევე ახალი კანონის განმარტების საკითხი. სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის კანონის განმარტებისას სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში კანონის განმარტება მხოლოდ სიტყვა-სიტყვითი განმარტების მეთოდით არ არის მართებული და საჭიროა განმარტების სხვა მეთოდების გამოყენება (ლოგიკური, გრამატიკული, განვრცობითი, შეზღუდვითი). რეკომენდებულია, მოსამართლემ კანონის განმარტებისას მოიძიოს კონკრეტულ საკითხზე მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკა და იცოდეს, რა მოცემულობის წინაშე იმყოფება.

1.13. ქმედების სწორად დაკვალიფიცირებისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება ბრალის ფორმის დადგენას. **ბრალის ფორმები** და მათი ცნება მოცემულია სსკ-ის მე-9, მე-10 მუხლებში. განაჩენის სამოტივაციო ნაწილში, სამართლებრივი შეფასების ველში, სასამართლომ მკაფიოდ უნდა მიუთითოს, ქმედება ბრალის რომელი ფორმით არის ჩადენილი *(მათ შორის კონკრეტულად პირდაპირი/არაპირდაპირი განზრახვით, თუ თვითიმედოვნებით/დაუდევრობით)*, ვინაიდან სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კონკრეტული მუხლი ამა თუ იმ ქმედების ჩადენას მხოლოდ განსაზღვრული ბრალის ფორმით მიიჩნევს დანაშაულად. ბრალის ფორმის დაუდგენლობა, ან განზრახი ბრალის ნაცვლად გაუფრთხილებელი ბრალის დადგენა გამართლების ან კვალიფიკაციის შეცვლის საფუძველია, ამიტომ ბრალის ფორმის დადგენისა და განაჩენში სათანადოდ ასახვის საკითხს სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს.

მაგალითი №1: ცეცხლსასროლი იარაღის დაუფლება, სსკ-ის 237-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. შესაბამისად, თუკი პირს არ ამოძრავებს ცეცხლსასროლი იარაღის დაუფლების მიზანი და ამგვარი იარაღი მისი ნებისაგან დამოუკიდებლად, შემთხვევით აღმოჩნდება უკვე დაუფლებულ ნივთებს შორის, ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება დანაშაულის ამა თუ იმ საგნით დაფუძნებული რომელიმე მუხლით. მხოლოდ მესაკუთრისაგან ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ ამოღების გათვალისწინებით პირის პასუხისგებაში მიცემა სხვა არაფერია, თუ არა ქმედების ობიექტური შერაცხვა, რაც დაუშვებელია ზოგადსამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარე[3].

მაგალითი №2: პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცება (სსკ-ის 362-ე მუხლი, მე-2 ნაწილი) შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, რაც იმას გულისხმობს, რომ პირის მიზანია, დაეუფლოს კონკრეტულად ამ ნივთს. ე.ი. იგი არა მხოლოდ უნდა ითვალისწინებდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არამედ სურდეს კიდეც ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდეს ასეთი შედეგის დადგომის გარდაუვალობას[4].

მაგალითი №3: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გულისხმობს მის ჩადენას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით[5].

აღნიშნული მაგალითები მოწმობს განაჩენში ბრალის ფორმის სათანადოდ დადგენისა და ასახვის მნიშვნელობას დანაშაულის კვალიფიკაციის თვალსაზრისით, რასაც მოსამართლეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ.

ბრალის ფორმას არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ქმედების კვალიფიკაციის, არამედ სასჯელის დანიშვნისა და დასაბუთების კუთხითაც, რაც დეტალურად სასჯელის დასაბუთებასთან მიმართებით იქნება განხილული.

3. მოტივისა და მიზნის მითითება განაჩენის სამოტივაციო ნაწილში

3.1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენის მოტივისა და მიზნის მითითება სავალდებულოა გამამტყუნებელი განაჩენის სამოტივაციო ნაწილში. აღნიშნული განპირობებულია მოტივისა და მიზნის მნიშვნელობით, ისინი რიგ შემთხვევებში დანაშაულის შემადგენლობის ან მაკვალიფიცირებელ ნიშნებს წარმოადგენენ. გარდა აღნიშნულისა, ისინი გავლენას ახდენენ სასჯელის სახესა და ზომაზე.

3.2. დანაშაულის მოტივის ცნება სისხლის სამართლის კოდექსში რეგლამენტირებული არ არის, თუმცა მისი არსი შემდეგნაირად უნდა იქნეს გაგებული: დანაშაულის მოტივს წარმოადგენს იმ გარემოებათა ერთობლიობა, რაც პირს უბიძგებს კონკრეტული ქმედებისაკენ, ასევე ის მოვლენები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად პირის კონკრეტული ქცევის განმაპირობებელია. მოტივის დადგენა სამართლებრივი თვალსაზრისით სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს განსაზღვროს, თუ რატომ ჩაიდინა პირმა კონკრეტული დანაშაული.

დანაშაულის ჩადენის მოტივი შეიძლება იყოს **მაგალითად**: დისკრიმინაციული (რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის,

3 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება, №233აპ-09, 28 ივლისი, 2009 წელი.

4 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება, №494აპ-07, 9 ოქტომბერი, 2007 წელი.

5 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება, №121კოლ-05, 2 მარტი, 2006 წელი.

ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის გამო), ეჭვიანობა, ეკონომიკური პირობები, ანგარება, ხულიგნური ქვენაგრძნობა, მსხვერპლის სამსახურებრივი საქმიანობა და სხვა პირადი მოტივები.

3.3. დანაშაულის მიზანი — ეს არის ის სასურველი შედეგი, რის მიღწევაც სურს დანაშაულის სუბიექტს.

3.4. სასამართლომ განაჩენის დასაბუთებისას უნდა დაადგინოს და განაჩენის სამოტივაციო ნაწილში ასახოს დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ხდებიან დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, რომელთა გარეშეც ბრალად წარდგენილი დანაშაული სახეზე არ გვექნება და საქმე გვექნება სხვა დანაშაულთან, ან ისეთ ქმედებასთან, რომელიც დანაშაულს არ წარმოადგენს. სწორედ ასეთ შემთხვევაში, თუ დანაშაულის მოტივისა და მიზნის დადგენა მხარეთა მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებებით ვერ ხერხდება, განაჩენში უნდა მიეთითოს, რომ დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი სასამართლომ ვერ დაადგინა, რის გამოც დაისმება ქმედების გადაკვალიფიცირების ან გამართლების საკითხი (თუ იგი დანაშაულის შემადგენლობის ნიშანია).

მაგალითი №1: პირს ბრალი წარდგენილი აქვს ანგარებით ჩადენილი განზრახ მკვლელობისათვის (სსკ-ის 109-ე მუხლი, მე-3 ნაწ. „გ" ქ/პუნქტი), თუმცა გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ მსხვერპლის ძვირფასი ნივთების დაუფლების განზრახვა თავდამსხმელს წარმოეშვა მისი მოკვლის შემდეგ და მას თავიდანვე (მკვლელობამდე) ანგარების მოტივი არ ამოძრავებდა, ამის გამო დაისმება კვალიფიკაციის შეცვლის საკითხი.

მაგალითი №2: პირს ბრალი წარდგენილი აქვს განზრახ მკვლელობისათვის, ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით (სსკ-ის 109-ე მუხლი, 1-ლი ნაწ. „დ" ქ/პუნქტი), თუმცა გამოკვლეული მტკიცებულებებით მიზანი — სხვა დანაშაულის დაფარვა გამოკვლეული მტკიცებულებებით არ დადასტურდა, შესაბამისად, დაისმება კვალიფიკაციის შეცვლის საკითხი.

აღნიშნული მოწმობს განაჩენში მოტივისა და მიზნის სათანადოდ დადგენისა და ასახვის მნიშვნელობას დანაშაულის სწორად დაკვალიფიცირების თვალსაზრისით, რაც მოსამართლეებს არ უნდა დარჩეთ ყურდღების მიღმა.

3.5. დანაშაულის ჩადენის მოტივისა და მიზნის დადგენას მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის განსაზღვრის თვალსაზრისითაც. იგი შესაძლოა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებასაც წარმოადგენდეს, რაც დეტალურად იქნება განხილული სასაჯელის დასაბუთების ნაწილში.

3.6. ამდენად, დანაშაულის ჩადენის მოტივისა და მიზნის დადგენას და განაჩენში მათ სათანადოდ ასახვას აქვს არამხოლოდ თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა და როდესაც მტკიცებულებები მათი დადგენის შესაძლებლობას იძლევა, მოტივი და მიზანი აუცილებლად უნდა მიეთითოს განაჩენის სამოტივაციო ნაწილში, ხოლო თუ ვერ დგინდება, ესეც უნდა აღინიშნოს.

4. დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, ხერხი

4.1. დანაშაულის ჩადენის დროის დადგენასა და მითითებას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. იგი, პირველ რიგში, უკავშირდება სისხლის სამართლის კანონის დროში სწორად გამოყენების საკითხს, ვინაიდან ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს.

4.2. დანაშაულის ჩადენის ადგილისა და დროის დადგენა პრინციპული მნიშვნელობის საკითხია, ვინაიდან იგი მტკიცებულებათა უტყუარობისა და სარწმუნოობის ერთგვარ საზომს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, მოწმემ მიუთითოს ის ადგილი და დრო, როდესაც მოხდა კონკრეტული ფაქტი, შემდეგ მისი პასუხი უნდა შეფასდეს სხვა მოწმეთა ჩვენებებსა და მტკიცებულებებთან კავშირში. უმნიშვნელო წინააღმდეგობების შემთხვევაში მოწმეთა ჩვენებები გაზიარებული უნდა იქნეს, ხოლო როდესაც მათ შორის არსებითი წინააღმდეგობებია, მცირდება მათი გაზიარებისა და გამოყენების შესაძლებლობა.

როდესაც დანაშაულის ჩადენის ადგილისა და დროის შესახებ მხარეთა კითხვები არ არის ამომწურავი და ისინი ობიექტურად შესაძლებლობის ფარგლებში არ აზუსტებინებენ მოწმეს ამ გარემოებებს, უმჯობესია, მოსამართლემ ისარგებლოს დამაზუსტებელი შეკითხვით, რათა პასუხგაუცემელი და ბუნდოვანი არ დარჩეს ეს კითხვები. მოწმის ჩვენება ამ ნაწილში უნდა შეფასდეს სხვა ჩვენებებთან ერთობლიობაში. ამასთან, ცალსახაა, რომ დანაშაულის სურათის შეძლებისდაგვარად აღდგენა მისი ჩადენის ადგილისა და დროის დადგენის გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელია.

4.3. თუ დანაშაულის ჩადენის ზუსტი დროის მითითება ობიექტური საფუძვლებით შეუძლებელია, მაგალითად, ნაპოვნია გვამი, რომელიც ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაახლოებით 2-3 თვის გარდაცვლილია, უნდა მიეთითოს დანაშაულის ჩადენის სავარაუდო დრო.

4.4. დანაშაულის ჩადენის დროის მითითებას განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს „ამნისტიის შესახებ" კანონის სწორად გამოყენების თვალსაზრისით, ვინაიდან, როგორც წესი, მისი მოქმედება ვრცელდება კონკრეტულ თარიღამდე ჩადენილ დანაშაულებზე, რაც განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის სამართალწარმოებადასრულებულ სისხლის სამართლის საქმეებზე. დანაშაულის ჩადენის დროის განსაზღვრა ასევე მნიშვნელოვანია სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილთან (მოქმედი რედაქცია) მიმართებით.

4.5. ამდენად, ერთი შეხედვით ამ უმნიშვნელო საკითხის ყურადღების მიღმა დატოვება მტკიცებულებათა შეფასების ეტაპზე და მომავალშიც სხვადასხვა სირთულეს აჩენს, რის გამოც მოსამართლის მხრიდან მოითხოვს სათანადო ყურადღებასა და განაჩენში ზუსტად ასახვას.

5. დანაშაულის შედეგი

5.1. განაჩენის სამოტივაციო ნაწილში უნდა მიეთითოს დანაშაულის შედეგი, ვინაიდან იგი რიგ შემთხვევებში დანაშაულის შემადგენლობის ნიშანია და მისი დადგენის გარეშე მინიმუმ დამთავრებული დანაშაული არ იქნება სახეზე.

5.2. დანაშაულის შედეგი შეიძლება მატერიალურ (ქონებრივი, ჯანმრთელობის დაზიანება) ან არამატერიალურ (არაქონებრივი უფლებების ხელყოფა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების ხელყოფა) ზიანში გამოიხატოს. ორივე შემთხვევაში სასამართლომ განაჩენის სამოტივაციო ნაწილში უნდა დაადგინოს და მიუთითოს ზიანის სახე და მოცულობა.

5.3. ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს შედეგიანი (მატერიალური) დანაშაულები, საფრთხის შემქმნელი დელიქტები და შედეგგარეშე (ფორმალური) დანაშაულები.

ა.მატერიალური დანაშაულის შემადგენლობისა და დამთავრებულად მიჩნევისათვის განმსაზღვრელია შედეგის დადგომა;

ბ. ფორმალური დანაშაული დამთავრებულად მიიჩნევა აკრძალული ქმედების ჩადენისთანავე, ხოლო შედეგის დადგომას მნიშვნელობა არ აქვს;

გ. საფრთხის შემქმნელ დელიქტებში დანაშაული დამთავრებულად ითვლება ზიანის დადგომის კონკრეტული საფრთხის შექმნის მომენტიდან.

განაჩენის სამოტივაციო ნაწილში მატერიალური დანაშაულის შემთხვევაში ერთმნიშვნელოვნად უნდა მიეთითოს დამდგარი შედეგი, ხოლო ფორმალური დანაშაულისა და საფრთხის შემქმნელ დელიქტებში, შედეგის მიუხედავად, სახეზეა თუ არა დამთავრებული დანაშაული.

5.4. შედეგის დადგომა და მისი განაჩენში ასახვა განმსაზღვრელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირს ბრალად ედება გაუფრთხილებლობითი დანაშაული, ვინაიდან გაუფრთხილებლობითი დანაშაულის მცდელობა არ არსებობს და მხოლოდ შედეგის (მაგ. ჯანმრთელობის დაზიანება, გარდაცვალება) დადგომის შემთხვევაში დაეკისრება პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

5.5. ამდენად, დანაშაულის შედეგს განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის, არამედ სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის განსაზღვრის დროს, რაც დეტალურად განხილული იქნება სასჯელის დასაბუთების ნაწილში.

6. მიზეზობრივი კავშირი

6.1. თუ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით დანაშაული მხოლოდ მაშინ ითვლება დამთავრებულად, როდესაც ქმედებამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია ან ასეთი შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხე შექმნა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ამ ქმედებასა და შედეგს ან საფრთხეს შორის (საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილი).

6.2. მიზეზობრივი კავშირის დადგენის გარეშე მატერიალურ დანაშაულთან და საფრთხის შემქმნელ დელიქტებთან მიმართებით შეუძლებელია პირს დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხიხმგებლობა, ვინაიდან თუ სუბიექტის მიერ განხორციელებული ქმედება უშუალო კავშირში არ არის და არ განაპირობებს დამდგარ შედეგს/კონკრეტულ საფრთხეს, ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი არ არსებობს, რაც გამორიცხავს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

6.3. მიზეზობრივი კავშირის არსებობაზე მიუთითებს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს უმოქმედობის შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის დადგენის წესს.

6.4. ისეთ დანაშაულებზე, რომლებიც ეხება ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფას, ექსპერტმა ერთმნიშვნელოვნად უნდა დაადასტუროს, რომ მიყენებულმა დაზიანებებმა გამოიწვია ჯანმრთელობის ხელყოფა ან გარდაცვალება, რის საფუძველზეც სასამართლომ უნდა დაადგინოს მიზეზობრივი კავშირის არსებობა დაზიანებებსა და დამდგარ შედეგს შორის. თუმცა მიზეზობრივი კავშირის დადგენა მხოლოდ აღნიშნულით არ შემოიფარგლება. განმსაზღვრელია, მხარეთა მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდეს პირი, რომელმაც მსხვერპლს დაზიანებები მიაყენა. სწორედ ამის შემდეგ იკვრება ჯაჭვი დანაშაულის სუბიექტის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, შესაბამისად, დგინდება მიზეზობრივი კავშირი.

6.5. ამდენად, მიზეზობრივი კავშირის დადგენა და განაჩენის სამოტივაციო ნაწილში, სამართლებრივი შეფასების პუნქტში სათანადოდ ასახვა სავალდებულოა, ვინაიდან იგი მატერიალურ დანაშაულებსა და საფრთხის შემქმნელ დელიქტებში პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა. შესაბამისად, ამ საკითხს აქვს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული ნორმების განმარტებები[1]

1 შედგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილულ საქმეებზე მოსამართლეების მიერ შემუშავებული განმარტებების გათვალისწინებით.

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილიდან:

1. **დანაშაულის მცდელობად ითვლება,** როდესაც პირმა გააკეთა ყველაფერი, რაც საჭირო იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშავისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

2. დანაშაულის ამსრულებელი არის პირი, ვინც უშუალოდ თავისი გონებითა და ქმედებით ჩადის დანაშაულს, ხოლო დანაშაულის დამხმარეა პირი, ვინც დანაშაულის ამსრულებელს ამა თუ იმ სახით ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენაში.

3. ამსრულებლისგან განსხვავებით, დამხმარე უშუალოდ არ მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში, თუმცა თავისი ქმედებით ხელს უწყობს ან უადვილებს ამსრულებელს განზრახვის განხორციელებას. დახმარება სხვადასხვა სახით შეიძლება გამოვლინდეს, მათ შორის, შეიძლება გამოიხატოს შემთხვევის ადგილზე დამნაშავის მიყვანაში, დანაშაულის ჩადენის ადგილის მახლობლად მეთვალყურედ დგომაში და სხვა. ერთიანი დანაშაულებრივი ჩანაფიქრის (მაგ.: მკვლელობისა და ყაჩაღობის) განსახორციელებლად ამსრულებელი და დამხმარე როლებს წინასწარ ინაწილებენ. ამდენად დამხმარე ამსრულებელს უწევს დანაშაულის (მაგ.: მკვლელობისა და ყაჩაღობის) ჩადენამდე დაპირებულ დახმარებას. შესაბამისად, დამხმარე პასუხს აგებს ამსრულებლის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულზე (დანაშაულებზე), რომლის (რომელთა) ჩასადენადაც მან დახმარება გაუწია ამსრულებელს (სურდა ან უშვებდა მათ ჩადენას), თუმცა დამხმარე პასუხს არ აგებს ამსრულებლის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულზე, რომელსაც არ მოიცავდა მისი (დამხმარის) განზრახვა ან რომლის ჩადენასაც ის არ ვარაუდობდა.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილიდან:

1. **განზრახი მკვლელობა** გულისხმობს ერთი ადამიანის მიერ განზრახ, შეგნებულად მეორე ადამიანისთვის სიცოცხლის არამართლზომიერ მოსპობას. განზრახი მკვლელობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია დადგინდეს, რომ პირს ნამდვილად ჰონდა მეორე პირის მოკვლის განზრახვა და პირის სიკვდილი, უშუალოდ დამნაშავის მიერ ჩადენილმა ქმედებამ გამოიწვია;

   1.1. **ორი ან მეტი პირის მკვლელობა** წარმოადგენს მკვლელობის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებას და გულისხმობს, რომ დამნაშავეს გაცნობირებული აქვს და სურს, რომ მისი ქმედების შედეგად დადგეს ორი ან მეტი პირის სიკვდილი; ორი ან მეტი პირის მკვლელობის ქვეშ იგულისხმება ორი ან მეტი დაზარალებულისთვის სიცოცხლის მოსპობა, რომელიც ჩადენილია ერთდროულად ან სხვა პირისთვის სიცოცხლის მოსპობა პირველი მსხვერპლის მკვლელობიდან მცირე დროის განმავლობაში; პირის დამნაშავედ ცნობისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს, რომ დამნაშავე მოქმედებდა ერთიანი განზრახვით; თუ კი ეს ქმედებები ერთიანი განზრახვით არ იყო მოცული, მაშინ თითოეული მკვლელობა დამოუკიდებელ დანაშაულად მიიჩნევა;

   1.2. **მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას** წარმოადგენს მკვლელობის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებას და გულისხმობს ადამიანის სიცოცხლის მოსპობას ისეთი საშუალებით და ისეთ ვითარებაში, როდესაც იმავდროულად რეალური საფრთხე ექმნება დანაშაულის ადგილზე ან მის სიახლოვეს მყოფ, მსხვერპლის გარდა სხვა, ორი ან მეტი პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, რაც დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, თუმცა შეგნებულად უშვებს მკვლელობის ჩადენას სწორედ ამგვარ ვითარებაში. ამასთან, სავალდებულო არ არის სხვა პირსაც მიადგეს ფიზიკური ზიანი;

1.3. **მკვლელობა ჯგუფურად** არის ჩადენილი, როცა ორი ან მეტი პირი საერთო ძალისხმევითა და მოკვლის ერთიანი განზრახვით, მეტ-ნაკლები აქტიურობით განხორციელებული მოქმედებებით, როლების განაწილებით, სიცოცხლეს ძალადობით უსპობს სხვა ადამიანს. **იგი გულისხმობს**, ყველანაირი ფორმით ორი ან მეტი პირის შეთანხმებას, რომელიც წარმოიშობა დანაშაულის ჩადენამდე და მიზნად ისახავს დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობას.

ჯგუფის თითოეული წევრის ქმედება ჯგუფურ მკვლელობად შეფასდება მიუხედავად იმისა, კონკრეტულად ვინ რა როლი შეასრულა და რა დაზიანება მიაყენა ან საერთოდ მიაყენა თუ არა დაზიანება მსხვერპლს. ამდენად, ჯგუფური მკვლელობისათვის პასუხს აგებენ ის პირები, რომელთაც დაგეგმეს და მოახდინეს დანაშაულის ორგანიზება, ასევე ის პირი (პირები), ვინც მსხვერპლს სასიკვდილო დაზიანება მიაყენა და ის პირი (პირები), ვინც მკვლელობის პროცესში ფიზიკური ზემოქმედებით მსხვერპლს უზღუდავდა წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას ან მსხვერპლის მიმართ ახორციელებდა სხვა ძალმომრეობით მოქმედებას, რითაც თანამოაზრეებს უადვილებდა მკვლელობის განზრახვის აღსრულებას;

1.4. **ანგარებითი მკვლელობა** ისეთი მკვლეობაა, რომლის მიზანია, მატერიალური გამორჩენის მიღება, როდესაც მკვლელი დანაშაულს ჩადის გარკვეული ანაზღაურების, ან ქონებრივი უფლების მოპოვების სანაცვლოდ, ან მატერიალური ხარჯისგან, მაგალითად, ვალის დაბრუნებისგან გასათავისუფლებლად;

1.5. **მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკითაა** ჩადენილი, როდესაც დამნაშავის მოქმედება განსაკუთრებულ მწვალებლურ ხასიათს ატარებს. განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილია აგრეთვე მკვლელობა მსხვერპლის ახლო ნათესავების თანდასწრებით;

1.6. **მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით** გულისხმობს, რომ მკვლელობამდე სხვა დანაშაული უკვე იყო ჩადენილი და პირი ცდილობს დაფაროს როგორც დანაშაული, ისე მასში მონაწილე პირები.

სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით მკვლელობაში იგულისხმება იმ პირის ჩამოშორება, რომელსაც დამნაშავის აზრით შეუძლია, ხელი შეუშალოს მას დანაშაულის ჩადენაში. დამნაშავე ჯერ უსპობს სიცოცხლეს მსხვერპლს, ხოლო შემდეგ ახორციელებს მის მიერ ჩაფიქრებულ დანაშაულს;

1.7. **შეკვეთით მკვლელობის** შემთხვევაში მკვლელობის ორგანიზატორი, გარკვეული ფულადი ან სხვაგვარი ანაზღაურების სანაცვლოდ, რაიმე პირადი მოტივით უკვეთავს სხვა პირს (პირებს) დაზარალებულის მკვლელობას.

1.8. **არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს** წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას; განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში არაერთგზის ჩადენილად ჩაითვლება, თუ მკვლელობის ჩამდენი პირი წარსულში ნასამართლევია იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ანუ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის.

2. **უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (აფექტი) ჩადენილი მკვლელობისათვის დამახასიათებელია,** რომ დამნაშავე მოქმედებს უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოწვეულია დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო ქცევით. მუხლის განმარტებიდან გამომდინარე ასეთი შეიძლება იყოს: დამნაშავის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობა, მძიმე შეურაცხყოფა ან სხვა მძიმე ამორალური ქმედება; აგრეთვე მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებული ფსიქიკური ტრავმა.

იმისთვის რომ მკვლელობა ჩაითვალოს უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების

მდგომარეობაში (აფექტი) ჩადენილ დანაშაულად, აუცილებელია დადგინდეს, რომ მკვლელობა წარმოადგენს დამნაშავის საპასუხო რეაქციას დაზარალებულის არამართლზომიერ ქცევაზე; როგორც წესი, აფექტური მდგომარეობა წარმოიშობა დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო ქცევის უმალვე, თუმცა შესაძლოა, რომ მკვლელობა ჩედენილი იქნეს გარკვეული დროის გასვლის შემდეგაც, თუ ფსიქიკური ტრავმა ძალიან მძიმე იყო და კონკრეტულ სიტუაციაში დამნაშავეს არ ჰქონდა შესაძლებლობა, რეაგირება მოეხდინა დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების წარმოქმნასა და ამ ნიადაგზე მკვლელობის განხორციელებას შორის დრო არ იყოს გასული.

3. **სხვაგვარი ძალადობა**, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ნიშნავს, რომ დამნაშავის ძალადობრივი ქმედების შედეგად პირმა განიცადა ფიზიკური ტკივილი, თუმცა ამგვარი ძალადობის შედეგად დაზარალებულს არ მიუღია თუნდაც მსუბუქი ხარისხის სხეულის დაზიანება. სხეულის დაზიანება განისაზღვრება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დაკვნით; აღნიშნული დანაშაული განზრახ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება, ანუ დამნაშავეს უნდა სურდეს ფიზიკური ტკივილის მიყენება პირისათვის ან გულგრილად ეკიდებოდეს ასეთი შედეგის დადგომას, ამასთან, ასეთი ძალადობა შეიძლება ჩადენილი იქნეს ნებისმიერი მკვრივი საგნით (მაგ.: ხელით, ფეხით და რაიმე საგნით) **(საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით).**

4. **ქურდობა გულისხმობს** სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებას, ქონების მესაკუთრისგან, ასევე სხვა პირებისაგან მალულად, როდესაც დამნაშავეს არ გააჩნია არავითარი უფლებამოსილება მოპარულ ქონებაზე;

   4.1. **ქურდობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ არის ჩადენილი**, თუ ორი ან მეტი პირი წინასწარ შეკავშირდნენ ქურდობის ერთობლივად ჩასადენად და ეთობლივად განახორციელეს კიდეც განზრახული დანაშაული;

   4.2. ქურდობა წარმოადგენს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, ამ კატეგორიის დანაშაულთათვის მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება **150 (ას ორმოცდაათი) ლარის ზევით**. ე.ი. თუ ქურდობის შედეგად დაზარალებულისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა აღემატება 150 (ას ორმოცდაათ) ლარს, უნდა მივიჩნიოთ, რომ ქურდობამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

5. **ყაჩაღობა** არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის დასაუფლებლად, რასაც თან ერთვის სიცოცხლის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან/და ასეთი ძალადობის მუქარა. თავდასხმაში იგულისხმება დაზარალებულისათვის დამნაშავის უეცარი, აგრესიული მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია ძალადობასთან;

   5.1. ბინაში უკანონო შეღწევა გულისხმობს, ბინაში იმ პირის შესვლას, რომელსაც ამის უფლება არ აქვს;

   5.2. დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისა და მისაკუთრების მიზანი გულისხმობს თავდამსხმელის განზრახვას დაეუფლოს ქონებას, რომლის ღირებულება აღემატება 10000 ლარს.

6. **თაღლითობა** გულისხმობს სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების დაუფლებას მოტყუებით. თაღლითობისას ქონების დაუფლების საშუალება მოტყუებაა, ანუ ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯება ქონების ან ქონებრივი უფლების დაუფლების მიზნით. თაღლითობა ხშირად დაკავშირებულია ყალბი დოკუმენტის წარდგენასთან, რაც თითქოსდა კანონიერ საფუძველს ქმნის დამნაშავისათვის ქონების გადასაცემად. თაღლითობისთვის დამახასიათებელია, რომ დამნაშავისათვის ქონების გადაცემა

ხდება ნებაყოფლობით, უფლებამოსილი პირის ან ორგანოს შეცდომაში შეყვანის გზით, რითაც ზიანი ადგება ქონების მესაკუთრეს;

6.1. **დოკუმენტი** ოფიციალური აქტია, რომელიც ადასტურებს სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე გარკვეულ ფაქტს ან გარემოებას; დოკუმენტი ოფიციალურ ხასიათს იღებს, თუ იგი სახელმწიფო უწყების გამგებლობაშია და იურიდიული ძალა გააჩნია; ყველა სახის ოფიციალური დოკუმენტი, რაიმე სახის იურიდიულ შედეგს იწვევს; **ყალბია დოკუმენტი**, თუ მასში შეგნებულად არის შეტანილი ყალბი მონაცემები (ინფორმაცია), რაც სიმართლეს არ შეესაბამება;

6.2. **თაღლითობა განზრახი დანაშაულია**, იმისთვის რომ პირის ქმედება დაკვალიფიცირდეს თაღლითობად, მნიშვნელოვანია დადგინდეს, რომ პირს მოტყუებით სხვისი ნივთის დაუფლების განზრახვა ქმედების ჩადენამდე ჰქონდა და სწორედ ამ მიზნით გამოიყენა მოტყუება, როგორც ქონების უშუალოდ დაუფლების საშუალება;

6.3. **მოტყუება არის** ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯება ქონების დაუფლების ან ქონებრივი უფლების მოპოვების მიზნით. თუ არ დადგინდება მოტყუების ანუ ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯების წინასწარი განზრახვა, პირის ქმედება თაღლითობად ვერ შეფასდება;

6.4. **თაღლითობა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით** გულისხმობს, რომ დამნაშავე თავის თანამდებობას, სამსახურებრივ მდგომარეობასა და გავლენას იყენებს კონკრეტული თაღლითური ქმედების ჩასადენად.

7. **გაფლანგვა** არის დამნაშავის მართლზომიერ ფლობელობაში ან გამგებლობაში არსებული ნივთის, ქონების დახარჯვა ან მართლსაწინააღმდეგო გასხვისება;

7.1. **გაფლანგვა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით** გულისხმობს, იმ პირის მიერ ქონების გაფლანგვას, რომელიც ქონების მართლზომიერ მფლობელობას ან გამგებლობას ახორციელებს სამსახურებრივი მოვალეობის, სახელშეკრულებო ურთიერთობის ან სპეციალური დავალების სახით;

7.2. **გაფლანგვა** წარმოადგენს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, ამ კატეგორიის დანაშაულთათთვის **მნიშვნელოვან ზიანად** ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარის ზევით.

8. **წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა გულისხმობს** რომ ქონება, რომლის შეძენა ან რომელზეც ხორციელდება უფლების მოპოვება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული და შემძენისათვის ცნობილია აღნიშნულის შესახებ, თუმცა, მიუხედავად ამისა, იგი შეგნებულად იძენს აღნიშნულ ნივთს ან მოიპოვებს მასზე ქონებრივ უფლებას;

8.1. **„წინასწარი შეცნობა" ნიშნავს**, დამნაშავის მიერ იმ ფაქტის შეგნებას, რომ ნივთი ან ქონებრივი უფლება მოპოვებული იყო დანაშაულის ჩადენის შედეგად.

9. **უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) ნიშნავს** უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემას (შეძენა, გამოყენება, გადაცემა ან სხვა მოქმედება), აგრეთვე მისი ნამდვილი წარმოშობის, მესაკუთრის, ან მფლობელის, ანდა ქონებრივი უფლებების დამალვას, ან შენიღბვას ანდა ასეთი ქმედების ჩადენის მცდელობას, ე.ი. არალეგალური, უკანონო გზებით მიღებული ფულადი სახსრების ან საკუთრების სხვა ფორმების ლეგალიზებას, მათთვის კანონიერი სახის მიცემას, იმისათვის, რომ ამ სახსრებით ღიად (სახალხოდ) სარგებლობა გახდეს შესაძლებელი;

9.1. **უკანონო შემოსავალი არის** პირის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონება;

9.2. **ქონება არის** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს;

9.3. **უკანონო ქონებად ითვლება** ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომელიც/რომლებიც პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს მოპოვებული აქვს კანონის მოთხოვნათა დარღვევით;

9.4. **დაუსაბუთებელ ქონებად ითვლება** ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის/რომელთა კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს არ გააჩნია ან იგი მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით;

9.5. **უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია წარმოადგენს** სამეწარმეო და სხვა ეკონომიური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, ამ კატეგორიის დანაშაულთათვის დიდ ოდენობად ითვლება შემოსავალი **ოცდაათი ათასი ლარიდან ორმოცდაათ ათას ლარამდე;**

9.6. **ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება** ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად;

9.7. **სამეწამეო საქმიანობა არის** მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად;

9.8. **დივიდენდი არის** მოწილის მიერ უფლებებიდან (წილებიდან) მიღებული ნებისმიერი შემოსავალი, რომელიც მიიღება მოგების განაწილების შედეგად და რომელსაც იურიდიული პირი უნაწილებს მოწილეებს, კაპიტალში მათი კუთვნილი აუფლებების პროპორციულად ან პროპორციის დაცვის გარეშე;

9.9. **რეინვესტიცია** არის პირველადი ინვესტიციიდან მიღებული სახსრების (შემოსავლის სახით) ხელმეორედ, დამატებით დაბანდება.

10. **ცეცხლსასროლი იარაღია** (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), რომელშიც ჭურვი ბიძგს იღებს დენთის აირის მოქმედების შედეგად და შექმნილია ცოცხალი არსების გასანადგურებლად (მაგალითისათვის: პისტოლეტი, რევოლვერი, ავტომატი და ა.შ.);

10.1. **საბრძოლო მასალაა** ისეთი მასალა ან მოწყობილობა, რომელიც შესაბამისი იარაღიდან გასროლისთვისაა განკუთვნილი (მაგალითად, ვაზნა);

10.2. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო **შეძენა** გულისხმობს კანონის დარღვევით, სახელმწიფოს სათანადო ოფიციალური ნებართვის გარეშე მის ყიდვას, სხვა ნივთში გადაცვლას, ვალში ჩათვლას, საჩუქრად მიღებას, პოვნით ან სხვაგვარად დაუფლებას;

10.3. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო **შენახვა** გულისხმობს დასახელებული ნივთებისათვის ადგილის მიჩენას (ბინაში, სადგომში, საცავში, მიწაში ან რაიმე სამალავში) იმ პირის მიერ, ვისაც მისი შენახვის კანონიერი უფლება არ აქვს;

10.4. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო **ტარება** გულისხმობს დასახელებულ ნივთებთან ერთად პირის გადაადგილებას, როდესაც მას ამის კანონიერი უფლება და შასაბამისი ნებართვა არ აქვს;

10.5. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვის და ტარების ბრალდებაში პირის დამნაშავედ ცნობისათვის სახელმწიფო **ვალდებულია დაამტკიცოს, რომ**:

— საგანი მიეკუთვნება ცეცხლსასროლი იარაღის ან საბრძოლო მასალის კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად;

— პირმა ცეცხლსასროლი იარაღი ან საბრძოლო მასალა შეიძინა, ინახავდა და ატარებდა უკანონოდ — ოფიციალური ნებართვის გარეშე.

11. **ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით,** ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ნიშნავს, რომ იარაღი ამოღებულ იქნა უკანონოდ, მფლობელის ნების გარეშე და მოხდა მისი დაუფლება დამნაშავის მიერ. ამასთან, დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ დანაშაულის ჩადენაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად; წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხს აგებს ჯგუფის ყველა წევრი, მიუხედავად იმისა, თუ უშუალოდ ვინ დაეუფლა ნივთს, თუ ამას მოიცავდა მათი განზრახვა.

12. **ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი** — "ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, წარმოადგენს ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდულ ნარკოტიკულ საშუალებას. მისი ოდენობა განისაზღვრება ამავე კანონით, რომლის თანახმად, ნარკოტიკული საშუალება ჰეროინის ოდენობა, რომელიც აღემატება 0,2 გრამს, მაგრამ არ აღემატება 1 გრამს — შეადგენს დიდ ოდენობას;

12.1. აღნიშნული ნივთიერების **უკანონო შეძენა, შენახვაში** იგულისხმება, რომ პირმა იგი შეიძინა და შეინახა ბრუნვის კანონით დადგენილი წესის დარღვევით და სათანადო ნებართვის გარეშე. **უკანონო შეძენა** ნიშნავს ნარკოტიკული საშუალების მოპოვებას უკანონოდ, სხვადასხვა გზით (მაგ: ყიდვა, სესხის სანაცვლოდ მიღება, საჩუქრად მიღება, პოვნა, მითვისება და ა.შ.); **უკანონო შენახვაში** იგულისხმება ნარკოტიკული საშუალებისათვის ადგილსამყოფელის მიჩენა, მაგალითად მისი შენახვა ბინაში, ავტოფარეხში, მანქანის საბარგულში, ტანისამოსის ჯიბეში და ა.შ.;

12.2. ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვაში **პირის ბრალდებისას** მნიშვნელოვანია დადგინდეს ამოღებული ნივთიერება მიეკუთვნება, თუ არა ნარკოტიკულ საშუალებას, ასევე მისი წონა, რაც აუცილებელია ოდენობის განსაზღვრისთვის; აღნიშნული უნდა დადგინდეს შესაბამისი ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის შედეგად; ასევე, უნდა დადგინდეს ნარკოტიკული ნივთიერების ფლობა იმ პირის მიერ, ვისაც ბრალად ედება აღნიშნული დანაშაული.

13. **ნარკოტიკული საშუალებები ტეტრაჰიდროკანაბინოლი (მარიხუანა) და მეტადონი**, „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, წარმოადგენს ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდულ ნარკოტიკულ საშუალებებს. მათი მოხმარება დასაშვებია მხოლოდ ექიმის დანიშნულების საფუძველზე. აღნიშნული ნივთიერებების უკანონოდ, ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება პირველ შემთხვევაში იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სახდელს, ხოლო ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში კვლავ ექიმის დანიშნულების გარეშე განმეორებით მოხმარება იწვევს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. პირის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადების ფაქტი დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი სასამართლოს განჩინებით, ხოლო ნარკოტიკული ნივთიერების განმეორებით მოხმარების ფაქტი

უნდა დადგინდეს ნარკოლოგიური გამოკვლევის დასკვნის საფუძველზე **(საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით).**

14. **სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება** არის მოხელის ქმედება, რომელიც მისი სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარეობს და დაკავებული თანამდებობის საფუძველზე მის უფლება-მოვალეობათა განხორციელებასთან არის დაკავშირებული; მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილება განსაზღვრულია ნორმატიული აქტებით, როგორიც შეიძლება იყოს დებულება, წესდება და ა.შ. იმისთვის, რომ განისაზღვროს მოხელის ქმედებაში დანაშაულის ნიშნები, საჭიროა განისაზღვროს მოხელის უფლებამოსილება;

    14.1. **სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შედეგად ზიანი ადგება საზოგადოებრივ ან სახელმწიფო ინტერესებს, მაგ.:** სახელმწიფო საკუთრების უსაფუძვლო გადაცემა ცალკეული მოქალაქისათვის ან ორგანიზაციისათვის, რა დროსაც სახელმწიფო ორგანიზაციები ვეღარ იღებენ ქონებრივ სარგებელს; რაც შეეხება იმის განსაზღვრას, თუ რამდენად არსებითია მიყენებული ზიანი, აღნიშნული შეფასებითი ცნებაა და დადგენილი უნდა იქნეს კონკრეტული საქმის ყველა გარემოებათა გათვალისწინებით;

    14.2. **სხვისთვის გამორჩენის და უპირატესობის მიღება** არის მოხელის მისწრაფება, მიიღოს რაიმე ქონებრივი გამორჩენა სხვა პირისათვის სახელმწიფო სახსრების ხარჯზე; მაგალითად, მოხელემ არასწორი აღრიცხვის მეშვეობით შეიძლება დაფაროს პირის ან ორგანიზაციის მიერ სახელმწიფოს მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულება;

15. **სამსახურებრივი სიყალბე** გულისხმობს მოხელის მიერ ყალბი ცნობის შეტანას ოფიციალურ დოკუმენტში, ე.ი. ისეთი ცნობის შეტანას, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება; ამასთან, დოკუმენტი ინარჩუნებს ნამდვილი დოკუმენტის ნიშნებსა და რეკვიზიტებს (დაბეჭდილია ოფიციალურ ბლანკზე, აქვს შტამპი, ბეჭედი და ა.შ.), მაგრამ ყალბია მასში შეტანილი მონაცემები (მაგ. ტექსტი, ციფრობრივი მონაცემები, ინფორმაცია რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება);

    15.1. **სამსახურებრივი სიყალბე** ფორმალურ დანაშაულს განეკუთვნება და დამთავრებულად ითვლება დოკუმენტში ყალბი მონაცემების შეტანის მომენტიდან;

    15.2. **სამსახურებრივი სიყალბე განზრახი დანაშაულია**. პირის განზრახვა, რომელიც ჩადის სამსახურებრივ სიყალბეს, უნდა შეიცავდეს იმის შეგნებას, რომ ცნობა და მონაცემები, რომელიც ოფიციალურ დოკუმენტში შეიტანა, ყალბია;

    15.3. **იმისთვის, რომ დანაშაული შეფასდეს სამსახურებრივ სიყალბედ**, გარდა დოკუმენტში ყალბი მონაცემების შეტანისა, მოხელეს უნდა ამოძრავებდეს ანგარება, ან სხვა პირადი მოტივი. ამასთან უნდა დადგინდეს თუ კონკრეტულად სხვა რა პირადი მოტივი ჰქონდა დამნაშავეს;

    15.4. **სამსახურებრივი სიყალბე „სხვა პირადი მოტივით" ნიშნავს**, რომ დანაშაული მოხელის მიერ ჩადენილია არა ანგარებით ანუ მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, არამედ სხვა მოტივით (მაგალითად, კარიერიზმი, შურისძიება და ა.შ.).

16. **სამსახურებრივი გულგრილობა არის** მოხელის ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც მისი სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარეობს და დაკავებული თანამდებობის საფუძველზე მის უფლება-მოვალეობათა განხორციელებასთან არის დაკავშირებული; მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილება განსაზღვრულია კანონით, კანონქვემდებარე აქტებით, როგორიც შეიძლება იყოს დებულება, წესდება, განკარგულება და ა. შ. იმისთვის, რომ განისაზღვროს მოხელის ქმედებაში დანაშაულის ნიშნები, საჭიროა განისაზღვროს მოხელის უფლებამოსილება; სამსახურებრივი

გულგრილობისას მოხელის ქმედება ან უმოქმედობა სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, მის არაჯეროვნად შესრულებაში შეიძლება გამოიხატოს;

16.1. **ქმედების სამსახურებრივი გულგრილობით კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია დადგინდეს, მოხელემ, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, რა არ შეასრულა ან რა შეასრულა არაჯეროვნად;**

16.2. **სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია** სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის სიკვდილი სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების შედეგია ანუ თუ არსებობს მიზეზობრივი კავშირი მოხელის ქმედებასა და დამდგარ შედეგს — ადამიანის გარდაცვალებას შორის. ასეთ შემთხვევაში, პირი, რომელსაც სამსახურებრივი გულგრილობა ედება ბრალად, მოქმედებს არა განზრახ, არამედ გაუფრთხილებლობით, მაგალითად, დაუდევრობით.

გადაწყვეტილებათა დასაბუთება[1]

1 ავტორი: კევინ ჰიუ – ევროკავშირის პროექტის "სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში" ექსპერტს, 2014.

კარგად დასაბუთებული გადაწყვეტილება აღწერს, თუ როგორ შეაფასა მოსამართლემ ფაქტისა და სამართლის საკითხები დასკვნის გამოტანამდე. ყველა მნიშვნელოვანი საკითხი უნდა იყოს განხილული. როდესაც გადაწყვეტილება ასახავს, თუ როგორ გაანალიზა მოსამართლემ სადავო საკითხები, მხარეებს, საზოგადოებასა და სააპელაციო სასამართლოს შეუძლიათ, გაიგონ, თუ როგორ იქნა მიღებული გადაწყვეტილება და შეაფასონ ის მსჯელობა, რომლის მიხედვითაც გამოიტანეს გადაწყვეტილება.

ტერმინოლოგიასა და ენას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ეფექტური დასაბუთებისათვის. ტერმინოლოგია მართებულად და შესაბამისად უნდა იქნეს გამოყენებული. ენობრივი თანმიმდევრულობა გადაწყვეტილების დადებითი მხარეა და არა უარყოფითი.

როგორც სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის კომპონენტი, მტკიცებულებები დეტალურად, ზუსტად უნდა შეფასდეს იურისპრუდენციისა და შეჯიბრებითობითი პროცესის პრინციპების შესაბამისად. არ არის საკმარისი მხოლოდ მტკიცებულებების ჩამოთვლა და შემდგომ დასკვნის გამოტანა. მტკიცებულების სარწმუნოობა, სანდოობა და რელევანტურობა უნდა იქნეს დასაბუთებული.

გადაწყვეტილების დასაბუთებისთვის საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს დანაშაულის ელემენტების ფორმულირება და მსჯელობა, თუ რატომ მიიჩნევა ან არ მიიჩნევა თითოეული ელემენტი დამტკიცებულად. თითოეული ელემენტის ფორმულირება და ამ ელემენტის შესაბამისი მტკიცებულების შეფასება ქმნის გადაწყვეტილების კარგ სტრუქტურას.

კომისიის მიერ შემუშავებული შაბლონი სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთების გაუმჯობესების საწყისია. შაბლონი შეიძლება, დაგვეხმაროს გადაწყვეტილების სტრუქტურის შემუშავებაში. ამ სტრუქტურით გადაწყვეტილების დასაბუთება შეიძლება, გაუმჯობესდეს მტკიცებულებათა შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიისა და სწორი ტერმინოლოგიის შერჩევის მეშვეობით. სხვა სიტყვებით, შაბლონი გვაძლევს მონახაზს, მაშინ, როცა მეთოდოლოგია და ტერმინოლოგია გვეხმარება მონახაზის შევსებაში.

იგივე მიდგომა და პრაქტიკა ვრცელდება როგორც მარტივ, ასევე რთულ საქმეებზე. იმ დროს, როცა მარტივი საქმეები ითხოვს უფრო მოკლე დასაბუთებას, განსახილველი და გადასაწყვეტი საკითხები იგივე რჩება.

თითოეულ საქმეზე მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს ცალკეული სადავო საკითხები. თითოეული ამ საკითხის მკაფიო იდენტიფიცირებით, ფაქტობრივ და სამართლებრივ ჭრილში განხილვით, მოსამართლეს შეუძლია, მიიღოს კარგად დასაბუთებული გადაწყვეტილება. არაფერი არ არის ცუდი იმაში, თუ მოსამართლე თავის გადაწყვეტილებაში შეკითხვებს დასვამს და პასუხებსაც გასცემს.

შესაძლებელია, სასარგებლო იყოს გადაწყვეტილების დასაწყისში ზოგადი საკითხების განხილვა, როგორიცაა ფაქტორები, რომლებიც იქნა მიღებული მხედველობაში მტკიცებულების სარწმუნოობისა და სანდოობის შეფასებისთვის და გამოყენებული მტკიცების სტანდარტი.

გამოყენებული სასჯელის დასაბუთება რთულია. აუცილებელია იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც მხედველობაში იქნა მიღებული ჯეროვანი სასჯელის შერჩევისას, ასევე, თუ როგორი წონა მიენიჭათ ამ ფაქტორებს. კარგად დასაბუთებულმა გადაწყვეტილებამ, როგორც მინიმუმ, უნდა განიხილოს შესაბამისი სამართლებრივი ნორმები, პრინციპები, ფაქტორები და ფაქტები, რომლებიც მხედველობაში იქნა მიღებული.

შესავალი

ექსპერტმა დისკუსია დაიწყო იმის აღნიშვნით, რომ ის განიხილავს გადაწყვეტილებათა დასაბუთების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და პრინციპებს. ცხადია, რომ ქართული სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სისტემას გააჩნია საკუთარი პროცედურები, მოთხოვნები და პრაქტიკა, მათ შორის გადაწყვეტილებათა დასაბუთების კუთხით. ევროპისა და საერთაშორისო პრაქტიკით შეიძლება, შევავსოთ და უფრო განვავითაროთ ქართული პრაქტიკა საერთო ევროპულ მოთხოვნებზე (როგორიცაა — ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი) და სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებისა და შედგენის სხვადასხვა მოდელებზე ყურადღების გამახვილებით.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ყველა საერთაშორისო თუ ეროვნული სისტემა მუდმივად უნდა მუშაობდეს სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთების გაუმჯობესებაზე. გადაწყვეტილების შედგენა არის მხოლოდ სამოსამართლო მსჯელობის ბოლო სტადია.

მონაწილეთა შორის მიღწეული შეთანხმების შედეგად ექსპერტმა განიხილა სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება სამი კომპონენტის მიხედვით 1) მტკიცებულების შეფასება და ფაქტების დადგენა 2) სამართლის საკითხები და ფაქტებზე სამართლის შეფარდება; 3) სასჯელის მისჯა.

დისკუსია №1. გადაწყვეტილების დასაბუთება მტკიცებულებათა შეფასებისა და ფაქტების დადგენის თვალსაზრისით.

იმისთვის, რათა მტკიცებულებათა შეფასება და ფაქტების დადგენა ერთიან კონტექსტში იქნეს განხილული, ექსპერტმა თავდაპირველად იმსჯელა მოსამართლის როლზე შეჯიბრებითობით პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებითობითი პროცესის მრავალი ვარიაცია არსებობს, უნდა გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი პრინციპი.

მოსამართლის პირველი ვალდებულებაა, შეჯიბრებითობით პროცესში უზრუნველყოს პროცესის სამართლიანობა და სამართლიან პროცესთან დაკავშირებული ბრალდებულის უფლებების დაცვა. ბრალდებულის უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია სამართლიან პროცესთან საკმაოდ ფართოა და დადგენილია, როგორც ეროვნული სამართლით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და კონსტიტუცია), ასევე, საერთაშორისო სამართლით (მაგ. ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია). თუ პროცესი არ არის სამართლიანი და ბრალდებულის უფლებები არ არის დაცული, ამ საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება ვერ იქნება მყარი და კანონიერი. პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფა მოსამართლის უმთავრესი ვალდებულებაა და მან ამისათვის უნდა მიიღოს ზომები.

ამ პირველი ვალდებულების შესაბამისად, მოსამართლის მეორე ვალდებულება შეჯიბრებით პროცესში არის უდანაშაულობის პრეზუმფციისა და მტკიცების ტვირთის სკრუპულოზური გამოყენება ვერდიქტის გამოტანისას. ეს გულისხმობს იმას, რომ მოსამართლემ უნდა დაადგინოს, თუ რამდენად დაამტკიცა პროკურატურამ ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარი ეჭვის გარეშე. შეჯიბრებით პროცესში ბრალდებული უდანაშაულოდ მიიჩნევა და პროკურატურას აკისრია მტკიცების ტვირთი, რომ დაამტკიცოს მისი ბრალეულობა. უფრო მეტიც, შეჯიბრებით პროცესში პროკურატურამ უნდა წარმოადგინოს სარწმუნო და სანდო მტკიცებულება ბრალდებულის ბრალის დამადასტურებლად გონივრულ ეჭვს მიღმა. ნებისმიერი გონივრული ეჭვი, რომელიც წარმოიქმნება ბრალდებულის დამნაშავეობასთან დაკავშირებით უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ და უნდა დასრულდეს გამამართლებელი ვერდიქტით.

ეს ორი მთავარი პრინციპი სისხლის სამართლის განაჩენის სამოტივაციო ნაწილში უნდა აისახოს. წერილობითმა გადაწყვეტილებამ უნდა აჩვენოს, რომ მოსამართლემ

უზრუნველყო პროცესის სამართლიანობა და ჯეროვნად გამოიყენა უდანაშაულობის პრეზუმფცია, მტკიცების სტანდარტი და მტკიცების ტვირთი.

წერილობითი გადაწყვეტილება არის ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც ასახავს მოსამართლის გადაწყვეტილების მოტივაციას. სააპელაციო სასამართლოს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსა და მხარეებს არ შეუძლიათ ესაუბრონ მოსამართლეს ან ჩაიხედონ მის გონებაში. მხოლოდ შეუძლიათ წაიკითხონ ის, რაც დაწერა მოსამართლემ და როგორ ახსნა ეს დასაბუთების მეშვეობით.

შეეხო რა კონკრეტულად მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა შეფასების და ფაქტების დადგენის დასაბუთებას, ექსპერტმა ხაზგასმით გამოყო ორი კრიტიკული საკითხი: პირველი ეს არის ტერმინოლოგია, ანუ გადაწყვეტილებაში გამოყენებული ენა; მეორე, მეთოდოლოგია, რაც გულისმხმობს მსჯელობის პროცესს, რომელსაც მოსამართლე იყენებს და რომელიც ასახულია მის გადაწყვეტილებაში.

შეჯიბრებით პროცესს, როგორც ზემოთ აღინიშნა, გააჩნია საკუთარი უნიკალური ტერმინოლოგია, რომელიც ასახავს მის ძირითად პრინციპებს. საკვანძო ტერმინებია „მტკიცების ტვირთი" და „მტკიცების სტანდარტი". კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ პროკურატურას ეკისრება მტკიცების ტვირთი — მან უნდა წარმოადგინოს ბრალდებულის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულება და ბრალდებულს არ ევალება საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცება, დაცვის საშუალებების ან მტკიცებულების წარმოდგენა, რომელიც აბათილებს მის წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებას. შესაბამისად, წერილობითმა გადაწყვეტილებამ მკაფიოდ უნდა გასცეს პასუხი და დაასაბუთოს, თუ რამდენად დააკმაყოფილა პროკურატურამ მტკიცების ტვირთი. ამის მსგავსად, დასკვნის გამოტანისას, მოსამართლემ უნდა განმარტოს „მტკიცების სტანდარტი" „გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების სახით" თუ იქნა დაკმაყოფილებული.

ექსპერტმა მიუთითა ა-ს მიმართ გადაწყვეტილებაზე, როგორც პრობლემატურზე. სავსებით შესაძლებელია, რომ მოსამართლემ ამ საქმეში ძალიან კარგად გაიაზრა მტკიცების ტვირთი, მტკიცების სტანდარტი და გამოიყენა ისინი ჯეროვნად, მაგრამ წერილობითი გადაწყვეტილება ამას არ ასახავს. უფრო სავარაუდოა, რომ, დასაბუთებაში გამოყენებული ტექსტის გამო განაჩენი გაუქმდება სააპელაციო წესით ან დადგინდება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა. ერთ-ერთი განაჩენი ამბობს, რომ გარკვეული მტკიცებულება „არ არის გამოსადეგი" ბრალდებულის უდანაშაულობის დასადასტურებლად. ამდაგვარ ჩანაწერს, რომელიც მიუთითებს, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდებულს, თითქმის ყოველთვის მივყავართ განაჩენის გაუქმებამდე. ამის მსგავსად, განაჩენი ორგან ამბობს, რომ დაცვის მტკიცებულება არ ადასტურებს დაცვის მიერ მოყვანილ ზოგიერთ ფაქტს. ბრალდებულს არ ევალება, დაამტკიცოს ფაქტები ან ესა თუ ის მსჯელობა თავისი დაცვის განხორციელებისას, ბრალდებული მხოლოდ ცდილობს, აჩვენოს გონივრული ეჭვი პროკურორის მიერ შემოთავაზებული ვერსიის ჭეშმარიტებაში. მაშინაც კი, როდესაც დაცვის მიერ შემოთავაზებული ფაქტები ვერ დასტურდება, მათ შეიძლება, ამის მიუხედავად, ეჭვი შეიტანონ ბრალდებულის ბრალეულობაში, ანუ იმ საკითხში, რომელიც საბოლოოდ უნდა დადგინდეს. ექსპერტმა კვლავ ხაზი გაუსვა გამოყენებული ტერმინოლოგიისა და ენის მნიშვნელობას. წერილობით განაჩენებში თითოეულ სიტყვასა და ძირითადი პრინციპების ამსახველ ტერმინებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ.

ძირითადი ტერმინოლოგია მოსამართლეს უკვლევს გზას მტკიცებულების შეფასებისასაც. როგორც აღნიშნულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლში, მტკიცებულება უნდა შეფასდეს მისი „სარწმუნოობის", „სანდოობის", რელევანტურობის" ან „მტკიცებითი ძალის" თვალსაზრისით. იმაზე მსჯელობისას, თუ პროკურატურამ რამდენად დააკმაყოფილა მტკიცების ტვირთი და მტკიცების სტანდარტი, მოსამართლე განიხილავს თითოეული მტკიცებულებისა და მტკიცებულებათა ერთობლიობის „სარწმუნოობას", „სანდოობას", „რელევანტურობას".

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს მნიშვნელოვანი ტერმინები, როგორიცაა: „სარწმუნოობა", „სანდოობა" და „რელევანტურობა", ნიმუშად აღებულ განაჩენების უმრავლესობაში არ გვხვდება. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ განაჩენები არ განმარტავენ, თუ რატომ იქნა მიჩნეული სარწმუნოდ და სანდოდ პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება, როგორც ინდივიდუალურად, ასევე, მტკიცებულებათა ერთობლიობის შუქზე. ბევრი გადაწყვეტილება უბრალოდ აღნიშნავს, რომ მტკიცებულება მისაღებია ან დუმს ამ საკითხზე. იმის განუმარტაობა, თუ რატომ იქნა მიჩნეული სანდოდ და სარწმუნოდ ესა თუ ის მტკიცებულება ხშირად გამოიწვევს განაჩენის გაუქმებას. ასეთ შემთხვევებში მხარეები ვერ გაიგებენ, თუ რატომ მიიღო მოსამართლემ ასეთი გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოც ვერ განახორციელებს ეფექტურ კონტროლს მოსამართლის განაჩენზე.

ტერმინოლოგიის მსგავსად მეთოდოლოგიასაც მტკიცებულების შესაფასებლად არსებითი მნიშვნელობა აქვს შეჯიბრებითი პროცესის ჭრილში. ჯეროვანი მეთოდოლოგია, რომელიც ასახულია წერილობით გადაწყვეტილებაში უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მოტივაციის პროცესის კანონიერებასა და სიმყარეს.

განსაკუთრებით საერთაშორისო სასამართლოებში წერილობითი დასაბუთება მტკიცებულებების შეფასებისას ხორციელდება სკრუპულოზური, ფრთხილი და კარგად მოფიქრებული მეთოდოლოგიით.

მტკიცების ტვირთის შესაბამისად, პროკურატურამ უნდა დაამტკიცოს დანაშაულის თითოეული ელემენტი გონივრულ ეჭვს მიღმა და, შესაბამისად, სწორ მეთოდოლოგიურ მიდგომას პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს პროკურატურის მიერ წარმოდგენილი, დანაშაულის თითოეული ელემენტის რელევანტური მტკიცებულების სარწმუნოობისა და სანდოობის შეფასებისთვის. ეს დაცვის მიერ ბრალდების მტკიცებულებების გაბათილების მცდელობის შეფასებასაც მოიცავს, როგორიცაა, დაცვის მიერ ჯვარედინი დაკითხვის დროს დასმული შეკითხვები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ ბრალდების მტკიცებულებათა სარწმუნოობასა და სანდოობას.

თუ პროკურატურის მტკიცებულება საკმარისად სარწმუნო და სანდოა მატერიალური ფაქტის დასადგენად, მაშინ დაცვის მტკიცებულებები, თუკი არსებობს, შეიძლება, შეფასდეს იმ კუთხით, თუ რამდენად წარმოქმნის გონივრულ ეჭვს მატერიალური ფაქტის დადგენის თვალსაზრისით.

საბოლოო ნაბიჯი არის ინკრიმინირებული ფაქტის დამადასტურებელი სარწმუნო, სანდო და რელევანტური მტკიცებულების შეფასება მტკიცების სტანდარტის შესაბამისად და მტკიცებულებათა ერთობლიობის შუქზე. ამის შემდეგ მოსამართლეს შეუძლია, ჩამოყალიბოს თავისი მოტივირებული დასკვნა იმის შესახებ, პროკურატურამ რამდენად დაამტკიცა მატერიალური ფაქტი გონივრულ ეჭვს მიღმა.

ეს მეთოდოლოგია შეიძლება იქნეს გამოყენებული თითოეული მატერიალური ფაქტის დასადგენად როგორც მარტივ, ასევე რთულ საქმეებზე.

ექსპერტმა მიუთითა შერჩეულ გადაწყვეტილებებში არსებულ ცალკეულ პრობლემებზე, რომელიც მტკიცებულებათა შეფასებისას გამოწვეულია მკაფიო მეთოდოლოგიური მიდგომის არარსებობით.

უ-სა და ზ-ს საქმეზე სასამართლო განაჩენებში პროკურატურის მტკიცებულება ძირითადად იყო გადმოტანილი ამ მტკიცებულების სარწმუნოობისა და სანდოობის შეფასების გარეშე. ორივე ამ გადაწყვეტილებაში სასამართლოს საბოლოო დასკვნა, როგორც ჩანს, იყო დასაბუთებული და გონივრულ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, მოსამართლის დასაბუთება არ არის ნათელი და ვერც საზოგადოებისა და ვერც მხარეებისთვის ვერ იქნება გასაგები, თუ მოსამართლე როგორ და რომელი მტკიცებულებების საფუძველზე გამოიტანა დასკვნა. ორივე გადაწყვეტილებაში მტკიცებულებათა შეფასების შესახებ მსჯელობა ძირითადად ეხება დაცვის მტკიცებულებებს.

საბოლოოდ ორივე გადაწყვეტილებაში მოყვანილია ექსპერტის დასკვნა ცალკეული ფაქტების დასადასტურებლად, მაგრამ ამ მტკიცებულების განხილვა არის მეტისმეტად ტექნიკური და გაუგებარი არაიურისტი მკითხველისთვის.

ა-ს საქმეზე სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მოწმეების ჩვენება და მიიჩნია ისინი არასარწმუნოდ მხოლოდ ბრალდებულთან ამ მოწმეების ურთიერთობიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, თუ ამ მოწმეებმა ჩვენება მისცეს ფიცის ქვეშ, მათი ჩვენება არ შეიძლება, თავისთავად იქნეს უარყოფილი ამდაგვარი გზით. მტკიცებულების სარწმუნოობა და სანდოობა უნდა შეფასდეს მიუკერძოებლად და წინასწარი უარყოფითი განწყობის გარეშე.

საბოლოოდ ექსპერტმა აღნიშნა, რომ ევროპული და საერთაშორისო სასამართლოების მიერ შემუშავებული საუკეთესო პრაქტიკა ითვალისწინებს გადაწყვეტილების დასაწყისში ძირითადი საკითხების ფორმულირებას, რომლითაც მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებისას. მაგალითად მოსამართლემ შეიძლება, შეაჯამოს ის ფაქტორები, რომლებიც იყო გათვალისწინებული მტკიცებულების სარწმუნოობისა და სანდოობის დადგენისას, ახსნას მტკიცების ტვირთისა და სტანდარტის გამოყენების პრინციპი და ის, თუ როგორ შეფასდა სხვადასხვა სახის მტკიცებულება, როგორიცაა მაგ. მოწმეები, არაპირდაპირი მტკიცებულება, სხვისი ნათქვამის გამეორება და საექსპერტო მტკიცებულება. ეს პრაქტიკა ეხმარება საზოგადოებას, მხარეებსა და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მიერ მტკიცებულების შეფასების გაგებასა და რევიზიაში.

დასკვნის სახით, ექსპერტმა ხაზი გაუსვა ტერმინოლოგიისა და მეთოდოლოგიის მნიშვნელობას, ასევე მიუთითა, რომ კითხვების დასმა და პასუხის გაცემა გადაწყვეტილების კარგი დასაბუთებისთვის იოლი პრაქტიკაა. საბოლოოდ ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ ეს პრაქტიკა უნდა იქნეს გამოყენებული მარტივ და რთულ საქმეებზე.

დისკუსია №2. იურიდიული დასაბუთება და სასჯელი

ექსპერტმა განიხილა ინკრიმინირებული დანაშაულის შემადგენელი ელემენტების და გამოყენებადი სამართლის პრინციპების, ისევე როგორც სასჯელის დასაბუთების საკითხი.

მტკიცებულების შეფასების მეთოდოლოგიასთან ერთად, რომელიც განხილულ იქნა პირველ სხდომაზე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს მეთოდოლოგია უნდა დაიწყოს დანაშაულის ელემენტებით: მატერიალური კანონმდებლობის შესაბამისად, რომელი მატერიალური ფაქტები უნდა დამტკიცდეს, რათა დადგინდეს პირის ბრალეულობა წარდგენილ ბრალდებაში. საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკით მატერიალური სამართალი ყოველთვის განხილულია დასაბუთების საწყის ეტაპზე, ხდება დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური ელემენტების გამოკვეთა და საბუთდება მტკიცებულების შეფასება ამ ელემენტების შუქზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ შემოთავაზებული შაბლონი არის სასარგებლო ამ მიმართებით, რამდენადაც ის მოითხოვს დანაშაულის თითოეული ლეგალური ელემენტის ზუსტად დადგენას და გადაწყვეტილების სტრუქტურას აგებს ამის საფუძველზე. შესაბამისი მტკიცებულების სარწმუნოობა, სანდოობა და მოსამართლის მიერ ამ მტკიცებულების წონის შეფასება თითოეული ამ პუნქტის ქვეშ განიხილება, რომლის შემდეგ მიიღება დასკვნა, იმის შესახებ, რომ არსებული მტკიცებულებები ადასტურებენ ან არ ადასტურებენ ამ ელემენტის არსებობას.

შეერთებული შტატებიდან მოყვანილი მაგალითი ხაზს უსვამს დასაბუთებულობის მნიშვნელობას დანაშაულის ელემენტების შუქზე. როგორც ამ გადაწყვეტილებაში მოსამართლემ განმარტა, სადავო იყო მხოლოდ დანაშაულის ერთი ელემენტი: იცოდა

თუ არა ბრალდებულმა, რომ ის არღვევდა კანონს. მოსამართლემ მტკიცებულებათა შეფასებისა და დასაბუთებისას ყურადღება გაამახვილა ამ კრიტიკულ საკითხზე, რაც ეხმარება საზოგადოებას, მხარეებსა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძვლების გაგებაში.

ა-ს საქმეზე გადაწყვეტილებას, ალბათ, წაადგებოდა უფრო სტრუქტურული მიდგომა, რომელიც განმარტავს დანაშაულის შემადგენელ ელემენტებს. რამდენადაც კანონით გათვალისწინებული დანაშაულის ელემენტები არ იყო მკაფიოდ ფორმულირებული და არც მტკიცებულება შეფასდა ამ ელემენტების შუქზე, საზოგადოებისთვის ბუნდოვანი დარჩა, სულ მცირე, კრიმინალურად რომელი მოქმედებები ჩაითვალა და რატომ.

სამართლის საკითხებს რაც შეეხება, ამდაგვარი საკითხები უნდა გაშუქდეს დეტალურად მაშინ, როცა ისინი წამოიჭრება. ევროპული და საერთაშორისო პრაქტიკით, ამ საკითხების გაშუქებისას ხდება რელევანტური სამართლის წყაროების მიმოხილვა, სამართლის პრინციპების იდენტიფიცირება, რომელიც მოცემულია ამ წყაროებში და შემდეგ ამ პრინციპების გამოყენება საქმეზე.

ნიმუშად მოტანილი გადაწყვეტილებები ძირითადად ასეთ საკითხებს არ შეიცავს, მაგრამ ექსპერტმა მაგალითად მოიყვანა ბარბაქაძის გადაწყვეტილება, რომელიც ეხება მტკიცებულების გამყარების საჭიროებას. ამ გადაწყვეტილებაში დადგინდა, რომ გამამტყუნებელ განაჩენს მოცემულ დანაშაულთან დაკავშირებით ვერ გამოიტანდნენ, ვინაიდან საქმეში არსებობდა მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენება, რომელიც არ დასტურდებოდა სხვა მტკიცებულებებით, თუმცა ეს საკითხი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სფეროს განეკუთვნება, გადაწყვეტილების მოტივაცია არ იყო ძლიერი, ვინაიდან განაჩენმა ვერ მიუთითა შესაბამის სამართლებრივ წყაროზე. საერთაშორისო სასამართლოებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ გამამტყუნებელ განაჩენის გამოტანა შეიძლება, დადგეს ერთი მოწმის ჩვენებით, რომელიც არ არის გამყარებული სხვა მტკიცებულებებით. განაჩენში რომ მითითებულიყო გამოყენებული სამართლის წყაროზე, ის იქნებოდა უკეთ დასაბუთებული და ვერ დაეყრდნობოდა შეცდომით საერთაშორისო სამართალს.

გამოყენებული სასჯელის ჯეროვანი დასაბუთება არაერთი იუსტიციის სისტემისთვის რთულ ამოცანას წარმოადგენს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ კუთხით სანიმუშო გადაწყვეტილებები ძალიან მწირედ იყო დასაბუთებული. საერთაშორისო სასამართლოებიც ცდილობენ, თავი გაართვან ამ რთულ საკითხს, მაგრამ მათ თანდათანობით განავითარეს პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება რიგი ფაქტორების შეფასებას. ამ გაგებით განსაკუთრებით საინტერესოა სიერა ლეონეს სპეციალური სასამართლოს პრაქტიკა, რომელსაც ცალკე გადაწყვეტილება გამოაქვს სასჯელის თაობაზე. ბოსნია-ჰერცოგოვინის სასამართლოებში შემუშავებულ იქნა შვიდპუნქტიანი სისტემა, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სასჯელის დასაბუთება. ის იწყება კანონით დადგენილი სასჯელის მიზნების განხილვით და შემდეგ იხილავს შვიდ ფაქტორს კონკრეტული საქმის შუქზე. ეს ფაქტორებია: ა) დანაშაულის სიმძიმე; ბ) მსჯავრდებულის პასუხისმგებლობა დანაშაულის ჩადენაში; გ) მსჯავრდებულის პერსონალური გარემოებები და მისი ქცევა დანაშაულის ჩადენამდე, ჩადენის დროს და მის შემდეგ; დ) მოტივი; ე) მსჯავრდებულის პერსონალობა; ვ) პრევენციის საჭიროება და მსჯავრდებულის გამოსწორების შესაძლებლობა; ზ) კანონით გათვალისწინებული სასჯელის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები.

სახელმწიფო ხელისუფლებათა განაწილების მიხედვით ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემები[1]

1 გურამ ნაჭყებია — ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ემერიტუსი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 2014

ქართულ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკაში ჯერ კიდევ სათანადოდ არაა გაცნობიერებული ის გარემოება, რომ, სახელმწიფო ხელისუფლებათა განაწილების მიხედვით, არსებობს ქმედების დანაშაულად სამი სახის ოფიციალური კვალიფიკაცია. პირველი ამ მხრივ არის ქმედების დანაშაულად **საკანონმდებლო კვალიფიკაცია,** რომელიც კრიმინალიზაციის ობიექტის აღმოჩენით იწყება, შემდეგ იგი ფასდება დანაშაულად და სისხლის სამართლის კანონის ფორმაში ცხადდება სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადად. ბოლოს, კანონმდებელი სისხლის სამართლის კანონის ფორმაშივე ქმნის ამა თუ იმ დანაშაულის საკანონმდებლო შემადგენლობას, რომელიც, თავის მხრივ, ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენის ხერხია.

კანონმდებელი, ამა თუ იმ ქმედების დანაშაულად და სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადად გამოცხადებით, **იდეალურად ქმნის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტსა (**ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას და ა.შ.) **და სუბიექტს**, როგორც სისხლის სამართლის ნორმის ადრესატს, რომელიც სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან ვალდებულია, მოქმედებდეს მართლზომიერად და, როგორც პიროვნება, მოწოდებულია, ამ ვალდებულებას მოეკიდოს პასუხისმგებლურად. მაშასადამე, კანონმდებელი, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო, ქმნის სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ისეთ ორ ელემენტს, როგორცაა: 1. სისხლისსამართლებრივი **დაცვის ობიექტი**, რომელიც საფუძვლად ედება სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სისტემას; 2. სისხლისსამართლებრივი **დაცვის სუბიექტი**, რომელიც თავისი მართლზომიერი ქმედებით ქმნის და იცავს მართლწესრიგს. მართლზომიერი ქმედების ვალდებულება სახელმწიფოსთან **სუბიექტის ობიექტური**, **ნორმატიული, კავშირის ნიშანია**, ხოლო, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი **სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება სახელმწიფოსთან სუბიექტის სუბიექტურ კავშირს გამოხატავს**. ეს სუბიექტური კავშირი იმდენად წამყვანია, რომ უამისოდ სახელმწიფოსთან არც მისი ობიექტური, ნორმატიული, **კავშირი იქნებოდა შესაძლებელი.** აქედან გამომდინარე, დანაშაულის ჩადენა იწყება სახელმწიფოსთან სუბიექტის არა ობიექტური კავშირის, ესე იგი, მართლზომიერი ქმედების ვალდებულების დარღვევით, არამედ**,** პირიქით, სახელმწიფოსთან სუბიექტის სუბიექტური კავშირის დარღვევით, როცა სისხლის სამართლის სუბიექტი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას უპასუხისმგებლოდ ეკიდება, ესე იგი, არა ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით, არამედ, პირიქით, უპასუხისმგებლოდ, **ესე იგი, ბრალეულად**. ესაა დანაშაულის **გენეზისური მოდელი, ანუ საიდანაც დანაშაულის ჩადენა იწყება.** დანაშაულის ამ გენეზისში, როგორც ჩანს, **პირველია ბრალი, როგორც მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამოხატულება**, **ანუ მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზი, ხოლო, ბრალი მისი გამოვლენის ფორმებში** (განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით) **ვლინდება.** განზრახვა ნიშნავს სუბიექტზე დაკისრებული პოზიტიური პასუხისმგებლობის **შეგნებულ უარყოფას** (პირდაპირი განზრახვა) ან **მიჩქმალვას,** როცა სუბიექტი მის მიერ შეგნებულად დაშვებულ მართლსაწინააღმდეგო შედეგს ეკიდება **გულგრილად** (ევენტუალური განზრახვა).

შესაბამისად**,** გაუფრთხილებლობა ნიშნავს სისხლის სამართლის ან წინდახედულობის ნორმის მოთხოვნებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას, როცა სუბიექტი ამ ვალდებულების აღსრულებას ეკიდება **ქარაფშუტულად**, რის გამოც იგი არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის გარდუვლობას, ან — **დაუდევრად,** რის გამოც იგი არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას.

ბუნებრივია, ბრალის ამ ფორმების შესაბამისად, **სუბიექტს ამოძრავებს გარკვეული მიზანი და მოტივიც, მაგალითად, სახელმწიფოს დასუსტების მიზანი (საბოტაჟი - საქ. სსკ-ის 318-ე მუხლი), ანგარების, ხულიგნური ქვენაგრძნობის, შურისძიების, სისხლის აღებისა და სხვა მოტივი.**

დანაშაულის ამ გენეზისში მეორეა ამ **ქმედების მართლწინააღმდეგობა, რაკი**

მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება არღვევს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას, რაც ქმედების მართლწინააღმდეგობის ნიშანია, ხოლო, **ბოლოს ხორციელდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა.**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში დანაშაულის ელემენტები (ქმედების შემადგენლობა, ამ ქმედების მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი), როგორც უკვე ჩანს, გადმოცემულია არა დანაშაულის გენეზისის მიხედვით, არამედ დანაშაულის ამ ელემენტების დადგენის ლოგიკური თანმიმდევრობის მიხედვით. მართლაც, **თავდაპირველად უნდა დადგინდეს, განხორციელდა თუ არა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა? ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გარეშე გამოძიება ვერ დაიწყება.**

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ **ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის მეორე სახეა საგამოძიებო-საპროკურორო კვალიფიკაცია, რომელიც, თავისი ლოგიკური ბუნებით, ინდუქციურ დასკვნებს ეყრდნობა და ამიტომ, სავარაუდოა, არასრულია**. ამაზე მეტყველებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულება, რომლის თანახმად, „**პირის ბრალდების საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა**" (ხაზგასმა ჩვენია – გ. ნ.).

გასაგებია, რომ ვარაუდი, როგორი დასაბუთებულიც უნდა იყოს ის, მაინც ვარაუდია, რის გამოც კატეგორული დასკვნის წესით ვერ ვიტყვით, რომ ბრალდებულმა დანაშაული ჩაიდინა. ამ ვარაუდის დასაბუთებაში აქ იგულისხმება ორი სავარაუდო დებულების დაშვება: 1. თუ განხორციელებულია ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა და ამავე დროს არ არსებობს ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება (მაგალითად, აუცილებელი მოგერიება), მაშინ ივარაუდება, რომ ჩადენილი ქმედება მართლსაწინააღმდეგოა; 2. თუ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა შერაცხადმა განახორციელა, მაშინ ივარაუდება, რომ ის მოქმედებდა ბრალეულად. მაშასადამე, კატეგორული დასკვნის წესით ჩვენ არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ პირი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში ბრალეულია. **აქედან გამომდინარე, ბრალდებული, თავისი ობიექტური პროცესუალური მდგომარეობის თანახმად, არაბრალეულია, ვიდრე მისი ბრალი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში არ იქნება დადგენილი კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით.**

ამრიგად, აშკარაა, რომ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა გამოძიების ეტაპზე ასე თუ ისე დადგენილია. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოძიების დაწყებას აზრი არ ექნებოდა. მეორე მხრივ, მართალია, ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში მოიძებნება შეფასებითი ნიშნებიც (მაგალითად, „**მნიშვნელოვანი** „თუ" **არსებითი**" ზიანი), მაგრამ ქმედების შემადგენლობა საბოლოოდ მაინც აღწერილობითი, ფაქტის მსჯელობაა. **ამის გამო იგი არ მოიცავს დანაშაულის ისეთ ორ შეფასებით ელემენტს, როგორებიც არიან ქმედების მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი.** აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ ქმედების შემადგენლობის განხორციელება ქმედების მართლწინააღმდეგობასა და სუბიექტის ბრალზე ჯერ კიდევ არაფერს ამბობს, რადგან ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა მართლწინააღდეგობის გამომრიცხველ გარემოებებშიც ხორციელდება, ხოლო, ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა შეიძლება, შეურაცხადმაც განახორციელოს.

ამრიგად, აშკარაა, რომ გამოძიების ეტაპზე ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა უკვე განხორციელებულია, ხოლო დასკვნა ქმედების მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის შესახებ ინდუქციურია, ე.ი., სავარაუდოა. ეს ვარაუდები გამოძიებას ხელს არ უშლის, წარმატებით შეასრულოს მის წინაშე მდგარი ამოცანა, სამწუხაროდ, პრობლემა გამოძიების ეტაპზე მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის სავარაუდო ხასიათში კი არაა, არამედ იმაში, რომ საქართველოს სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტში „ბრალდების ფორმულირება" გამოხატულია ქმედების შემადგენლობის მხოლოდ ობიექტური შემადგენლობის ნიშნებით – ესე იგი, აქ ნათქვამია: „ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე, ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით. „სამწუხაროდ, ქმედების შემადგენლობის ეს წმინდა ობიექტური ნიშნები, როგორც ეს აქ არის ჩამოთვლილი, „ბრალდების ფორმულირებად" თავისთავად ვერ ჩაითვლება, რადგან ტერმინი „ბრალდება" ბრალთან ან მის ფორმებთან მიმართების გარეშე წმინდა ობიექტური შერაცხვის მაუწყებელია. მაგრამ ბრალდების ამ ფორმულირებაში არც ბრალზეა მინიშნებული და არც ბრალის ფორმებზე. უფრო მეტიც, აქ ქმედების სუბიექტური შემადგენლობაც გამორჩენილია, ისე ჩანს, სუბიექტმა ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა ისე განხორციელა, — მას თითქოს არც რაიმე მიზანი ჰქონდა და არც რაიმე მოტივი. ეს წმინდა წყლის ობიექტივიზმი აშკარად ეწინააღმდეგება დანაშაულის ჩადენის ფსიქოლოგიური მექანიზმის პრობლემას, რომ არაფერი ვთქვათ ბრალის ფორმებზე. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელება განზრახვი ან გაუფრთხილებლობის გარეშე გახდეს გამოძიების ინტერესის საგანი. მით უფრო, რომ გამოძიების ეტაპზე სუბიექტის ბრალი დადგენილი ვერ იქნება – ბრალზე კატეგორიული დასკვნა მხოლოდ სასამართლოს გამოაქვს. თუ ბრალის ფორმა არ არსებობს, ესე იგი, განზრახვა და გაუფრთხილებლობა წმინდა ფსიქოლოგიური ცნებებია და არა ბრალის ფორმები, როგორც ამას „ფინალისტები" ფიქრობენ, მაშინ „ბრალდებულის" პროცესუალური ფიგურა შეუძლებელია.

ამრიგად, ქმედების სუბიექტური შემადგენლობისა და ბრალის ფორმების გარეშე „ბრალდებულის" პროცესუალური ფიგურა შეუძლებელია, ამიტომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მესამე ნაწილი ამ მხრივ არსებით შესწორებას მოითხოვს: აქ მითითებული უნდა იქნეს ბრალის ფორმებზე და სუბიექტის ქცევის მოტივსა და მიზანზე.

მით უფრო, რომ არსებობს ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაცია, როგორც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის მესამე სახე, რომელიც, ერთი მხრივ, ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაციიდან ამოდის, ხოლო, მეორე მხრივ, ეყრდნობა ქმედების დანაშაულად საგამოძიებო-საპროკურორო კვალიფიკაციის შედეგებს, რის გამოც სინთეზურად აერთიანებს ქმედების დანაშაულად ამ ორი სახის კვალიფიკაციას და კატეგორიული დასკვნის წესით ადგენს როგორც ქმედების მართლწინააღმდეგობას, ისე _ სუბიექტის ბრალს. შემთხვევით არაა ნათქვამი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მეორე ნაწილში, რომ **„არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი" (**ხაზგასმა ჩვენია – გ. ნ.).

ამრიგად, ერთია დანაშაულის გენეზისი, ესე იგი, საიდანაც დანაშაულის ჩადენა იწყება და მეორეა დანაშაულის ელემენტების დადგენის ლოგიკური თანმიმდევრობა, როგორც ეს გადმოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში. თუ დანაშაულის გენეზისი იწყება **ბრალით,** ესე იგი, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის **უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით**, დანაშაულის ელემენტების დადგენა, საქ. სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, **იწყება ქმედების შემადგენლობის დადგენით.** თუ დანაშაულის გენეზისში ბრალი **პირველია,** დადგენის მიხედვით, ის **მესამეა, ესე იგი, ქმედების შემადგენლობის და ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენის შემდეგ უნდა იქნეს დადგენილი.** აქედან გამომდინარე, სასამართლო ერთხელ კიდევ გადაამოწმებს, მართლაც განხორციელდა თუ არა ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა? **ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში სასამართლოს ქმედების ამ შემადგენლობის ფაქტიდან უკუდასკვნა გამოაქვს ანუ ახდენს რედუქციას წარსულზე, როცა გამოიკვეთა დანაშაულის გენეზისი. ესაა დასკვნა შედეგიდან (ქმედების შემადგენლობიდან) საფუძველზე, ესე იგი, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებაზე, რომელიც სისხლის სამართლის სუბიექტს სისხლის**

სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან ეკისრებოდა. კერძოდ, როცა სუბიექტი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოეკიდა უპასუხისმგებლოდ, რის შედეგადაც მან დაარღვია მართლზომიერი ქმედების ვალდებულება და, **მაშასადამე, მან ქმედების ეს შემდაგენლობა განხორციელა მართლსაწინააღმდეგოდ.** მეორე მხრივ, სასამართლო ამავე რედუქციული წესით, ანუ დანაშაულის გენეზისზე უკუდასკვნით, ადგენს, რომ სისხლის სამართლის სუბიექტი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოეკიდა უპასუხისმგებლოდ, ესე იგი, **ბრალეულად**, ნაცვლად იმისა, რომ ამ ვალდებულებას მოჰკიდებოდა პასუხისმგებლურად და, მაშასადამე, ემოქმედა მართლზომიერად. აქედან სასამართლო ასკვნის, რომ **ბრალდებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში ბრალეულად უნდა იქნეს ცნობილი, რაკი მას შეეძლო, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოჰკიდებოდა პასუხისმგებლურად და ემოქმედა მართლზომიერად.**

ის ფაქტი, რომ ბრალი და მისი ფორმები წინ უსწრებენ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელებას, დასტურდება ბრალის ფორმების საკანონმდებლო გამსაზღვრებებით (იხ. საქ. სსკ-ის მე-9 და მე-10 მუხლებით). მართლაც, ამ განსაზღვრებებში კანონმდებელი იყენებს წარსულისათვის დამახასიათებელ ტერმინებს: სუბიექტი **აცნობიერებდა, ითვალისწინებდა, გულგრილად ეკიდებოდა და ა.შ.** მეორენარად რომ ვთქვათ, ვიდრე სუბიექტი ქმედების შემადგენლობას პრაქტიკულად განახორციელებდა, იგი თავისი ცნობიერების სტრუქტურაში (ინტელექტუალურად, ემოციურად და ნებელობის მიხედვით) გამოხატავდა ქმედების შემადგებლობისა და მისი მართლწინააღმდეგობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას, რომელიც ბრალის ფორმების მიხედვით^ ბრალის ხასიათსა და ხარისხს გამოხატავს. მართლაც, პირდაპირი განზრახვა, როგორც წესი, ბრალის უფრო მაღალ ხარისხს გამოხატავს, ვიდრე არაპირდაპირი, ევენტუალური, განზრახვა, თუმცა, მაგალითად, ფიზიოლოგიური აფექტის ვითარებაში სუბიექტი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით, მაგრამ ამ ვითარებაში ბრალის ხარისხი უფრო დაბალია, ვიდრე პირდაპირი განზრახვის სხვა შემთხვევაში. თვითიმედოვნება ბრალის უფრო მაღალ ხარისხს გამოხატავს, ვიდრე დაუდევრობა.

სამწუხაროდ, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში იშვიათი არაა შემთხვევა, როცა ბრალს პერსონალურ კატეგორიად აცხადებენ და ამით ბრალს ნეგატიური პასუხისმგებლობის პერსონალურ ხასიათთან აიგივებენ. სინამდვილეში ბრალი ნეგატიური პასუხისმგებლობა კი არაა, არამედ მისი საფუძველია. მართლაც, ბრალი რომ პერსონალური კატეგორია იყოს, მაშინ დანაშაულში თანამონაწილეთა თანაბრალეულობა გამორიცხული იქნებოდა, ხოლო, დანაშაულში თანამონაწილეთა ბრალის განხვავებული ხარისხიც აღარ იარსებებდა და, მაშასადამე, დანაშაულში თანამონაწილეთა ნეგატიური პასუხისმგებლობის დიფერენციაცია ბრალის ხასიათისა და ხარისხის მიხედვით აღარ მოხდებოდა. ეს კი დანაშაულში თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციას ჩიხში შეიყვანდა. ბოლოს, თუ ბრალის ფორმა არ არსებობს, როგორც ამას ფიქრობენ „ფინალისტები", მაშინ ბრალი მართლაც პერსონალურ კატეგორიად უნდა გამოცხადდეს, ხოლო ამ ლოგიკით „ბრალი", როგორც პერსონალური შერაცხვის საფუძველი, „პერსონალურ შერაცხვად" უნდა მიგვეჩნია, რაც სრული გაუგებრობაა.

ამრიგად, აშკარაა, რომ: 1. სასამართლოს (მოსამართლეს) ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის ფაქტიდან **კატეგორიული უკუდასკვნა გამოაქვს (ხდება** რედუქცია, ესე იგი, დაყვანა**) დანაშაულის გენეზისზე, როცა ირკვევა, რომ ბრალდებულმა ქმედების ეს საკანონმდებლო შემადგენლობა მართლსაწინააღმდეგოდ განახორციელა; 2. სამასამართლო ბრალის ფორმებიდან ბრალზე გამოაქვს უკუდასკვნა, ესე იგი, ბრალის ფორმები ბრალზე დაჰყავს, რის გამოც სასამართლო ადგენს ბრალისა და მისი გამოვლენის ფორმების ერთიანობას, რომლის საფუძველზე სასამართლო ახდენს ბრალის ხასიათისა და ხარისხის შესაბამისად ნეგატიური პასუხისმგებლობისა და სასჯელის პერსონალიზაციასაც.**

რეკომენდაციები სასამართლოს მიერ სასჯელის შეფარდებისას გასათვალისწინებელ გარემოებათა შესახებ[1]

1 ავტორი: მზია ლეკვეიშვილი — ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-ემერიტუსი, 2014.

მოსამართლემ სასჯელის შეფარდების სახისა და ზომის განსასაზღვრად, პირველ რიგში, უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში მითითებული სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისებით. ამ მუხლში, მართალია, ზოგადად, მაგრამ მაინც განსაზღვრულია ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებსაც მოსამართლე უნდა დაეყრდნოს დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდების დროს.

საქართველოს სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ თანაბარი სოციალური საშიშროების ხასიათის დანაშაული და დამნაშავის პიროვნების ერთნაირი მახასიათებლებისა და საქმის გარემოებათა არსებობისას სასამართლოები არცთუ იშვიათად ადგენენ ერთმანეთისაგან განსხვავებული სახისა და ზომის სასჯელს. ზოგიერთი ამ პრობლემის ახსნას საკითხის სირთულისა და მოსამართლის მიხედულებით ხსნის. მოსამართლის მიხედულება სასჯელის დანიშვნისას უნდა წარმოადგენდეს სამართლიანი სასჯელის რეალიზაციის გარანტს. ამ პრობლემის არსებობა ბევრი ფაქტორით არის განპირობებული, რომელთა შორის ერთ-ერთია რამდენიმე შესაძლებელი და კანონიერი გადაწყვეტილების არჩევა.

მოსამართლის შეხედულების აქტუალობის პრობლემა სხვადასხვა მიზეზით აიხსნება, მათ შორის მოსამართლის პოზიცია შეიძლება, ეფუძნებოდეს იმ სამართლის ნორმას, რომელიც სასამართლო პრაქტიკის მიერ არჩეულია და გამოიყენება სადავო სიტუაციაში; მას შეუძლია, გააკეთოს არჩევანი სამართლებრივი პოზიციის სასარგებლოდ ან არსებული სასამართლო პრაქტიკის არგუმენტაციის გასამყარებლად. ყველა შემთხვევაში სასჯელის შეფარდების ფარგლები განსაზღვრულია კანონით, ამიტომაცაა, რომ მატერიალური სისხლის სამართალი და საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლეს ანიჭებს უფლებას, კანონზე დაყრდნობით განსაზღვროს სასჯელის სახე და ზომა თავისი შინაგანი რწმენისა და სამართლებრივი შეგნების ფარგლებში.

სასჯელის დანიშვნისას სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები ვერ წყვეტენ პრობლემას. სასამართლო მოქმედებს და ეყრდნობა არსებულ სასამართლო პრაქტიკასა და პირად გამოცდილებას. ამიტომაცაა, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტა ხშირად დაკავშირებულია მოსამართლის შემოქმედებით და პროფესიულ პოტენციალზე.

სასჯელის დასაბუთებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქმეზე არსებულ მტკიცებულებათა ანალიზს, ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის განხილვის შედეგად უტყუარად დადასტურებულ მტკიცებულებათა სანდოობასა და მათ ჯეროვან შეფასებას, ასევე, დანაშაულებრივი ქმედების ზუსტ კვალიფიკაციას.

სასჯელის ზომის განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავის პერსონალურ ბრალს, სამართლებრივი სიკეთის დაზიანების ხარისხს, პირის გამოსწორების შესაძლებლობას და, ამავე დროს, საზოგადოების სოციალური დაცვის აუცილებლობას.

სასჯელის დანიშვნის სისწორე, პირველ რიგში, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დანაშაულის კვალიფიკაციის სიზუსტით, თუმცა სამართლიანი განაჩენის დასადგენად დანაშაულებრივი ქმედების სწორი კვალიფიკაცია საკმარისი არ არის. აქ მოსამართლეს ევალება შედარებით განსაზღვრულ სანქციებსა და ალტერნატიულ სასჯელს შორის შეარჩიოს სწორედ კონკრეტული პირისათვის სანქციის ის სახე და ფარგლები, რაც მისი ღრმა რწმენითა და კანონზე დაყრდნობით უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას.

უნდა აღინიშნოს ის ხარვეზი, რაც სსკ-ში გვხვდება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციის არსებობას საქართველოს სსკ სავსებით სამართლიანად დაუშვებლად მიიჩნევს. მით უმეტეს, რომ მისი არსებობა რეალურად გულისხმობს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის უგულებელყოფას.

ამისდა მიუხედავად, დღესდღეობით სსკ-ში არსებობს რამდენიმე მუხლი, რომელიც, თუმცა სასჯელის ალტერნატიულ სახესაც ითვალისწინებს, მაგრამ თავისუფლების

აღკვეთის დადგენისას მას აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციის სახეს აძლევს, მაგალითად, არცთუ დიდი ხნის წინ სსკ-სს დაემატა 238[1]-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ცივი იარაღის ტარებისათვის. ამ მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ექვსი თვის ვადით.

უფრო შთამბეჭდავია მე-200[2] მუხლი, რომელიც აქციზური მარკების გამოყენებას ეხება: პირველი ნაწილით სასჯელის ზომად განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა 6 თვემდე, მაშინ, როდესაც თავისუფლების აღკვეთის ვადის ათვლა იწყება ექვსი თვიდან.

სამართალშემფარდებლის მართლშეგნება, როგორც სამართლებრივი იდეოლოგიისა და სამართლებრივი ფსიქოლოგიის ურთიერთგანმსაზღვრელი ერთიანობა, წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების სუბიექტურ საფუძველს. იგი მოსამართლისათვის მინიჭებული უფლების რეალიზების არსებითი ელემენტია, მაგრამ უნდა ეყრდნობოდეს სისხლის სამართლის ნორმების გამოყენების ობიექტურ საფუძველს.

სასჯელის დანიშვნის დისკრეცია არსებობს მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მიმღებს შეუძლია, არჩევანი გააკეთოს ორ ან მეტ სამართლებრივად დასაშვებ ვარიანტს შორის იმგვარად, რომ იგი გავლენას ახდენდეს სისხლისსამართლებრივ სანქციაზე, რაც დამნაშავეს მოსამართლის რწმენით შეიძლება დაენიშნოს.

ამიტომაც არის, რომ კონკრეტული დანაშაულისათვის სასჯელის ზომის განსაზღვრისას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსამართლის მართლშეგნებას, გამოიყენოს დიფერენცირებული სასჯელისა და მისი ზომიდან ყველაზე შესაფერისი.

სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ მოსამართლეთა გარკვეული ნაწილი ამა თუ იმ სასჯელის სახისა და ზომის შეფარდების დასასაბუთებლად შემოიფარგლება ხოლმე სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა ჩამონათვალით და სათანადოდ არ იხილავს ამ გარემოებებს. ცხადია, გვხვდება კარგად დასაბუთებული განაჩენებიც, სადაც დაწვრილებით და სიღრმისეულად არის აღწერილი დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

უპირველეს ყოვლისა, სასჯელის შეფარდებისას მოსამართლე უნდა ეფუძნებოდეს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარებას. ფაქტობრივად ეს პრინციპი უდევს საფუძვლად სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილში გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

კანონმდებელი სსკ-ის 53-ე მუხლის ჩამოყალიბებითჲხაზს უსვამს სამართლიანი სასჯელის შეფარდების სავალდებულო ხასიათს. მოსამართლეს უნდა ახსოვდეს, რომ უფრო მკაცრი სასჯელი მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, თუ ნაკლებად მკაცრი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამრიგად, ჩვენი კანონმდებელი გვთავაზობს ისეთ კონცეფციას, რომელიც აწესებს სასჯელის შეფარდების შეზღუდვას მინიმალური ინტერვენციის პრინციპის სასარგებლოდ. ამიტომ მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სასჯელთა უფრო ხშირად გამოყენება, რომლებიც არ არიან დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

მართალია, ეს ნორმა არ იძლევა ერთხელ და საბოლოოდ დადგენილ ყველა იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნისას კონკრეტული დანაშაულისა და მისი ჩამდენის ყველა პირობისა და გარემოების გათვალისწინებით, მაგრამ იძლევა სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის იმ ზოგად კრიტერიუმს ქმნის, რომელზე დაყრდნობით სასამართლოს შეუძლია სამართლიანი სასჯელის დანიშვნა.

სასჯელის ინდივიდუალიზაცია გულისხმობს სასამართლოს მიერ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლის სამართლის კანონის, საქმეზე არსებული ყველა გარემოების ზედმიწევნითი შესწავლისა და თავისი შინაგანი რწმენით განმტკიცებული კონკრეტული სასჯელის ღონისძიების განსაზღვრას.

მოსამართლემ სასჯელის შეფარდებისას უნდა გაითვალისწინოს პიროვნების სუბიექტური მახასიათებლები. სასამართლომ არ უნდა განიხილოს დამნაშავე, როგორც აბსტრაქტული დანაშაულის სუბიექტი, რომელიც ყველა ფორმალური პირობების გათვალისწინებით აგებს პასუხს სისხლის სამართლის წესით, არამედ — როგორც ცოცხალი ადამიანი თავისი ინდივიდუალური ნიშნებით; ადამიანი, რომელიც მოქმედებს განსაზღვრულ საზოგადოებრივ გარემოში, აქვს წარსული ცხოვრება და ა.შ. შესაძლოა, რომ სხვადასხვა პირს ერთსა და იმავე ხასიათის დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი, მაგრამ ეს განპირობებული იყოს კონკრეტული პიროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. ამიტომ საქმის გარემოებათა ღრმა ანალიზის საფუძველზე ჯეროვნად უნდა დასაბუთდეს, თუ რამ განაპირობა ამ დამნაშავისათვის პრიორიტეტის მინიჭება, მის მიმართ დასჯისადმი დიფერენცირებული მიდგომა, რეპრესიული ხასიათისა და ხარისხიდან გამომდინარე სასჯელის ზომის გაძლიერება თუ შემცირება.

სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას სავალდებულოა, დადგინდეს ჩადენილი დანაშაულის სოციალური საშიშროება, რაოდენ საფრთხის შემქმნელი იყო იგი საზოგადოებისათვის. ასევე, მნიშვნელოვანია დანაშაულით განხორციელებული ქმედების შედეგი.

მოსამართლემ სასჯელის შეფარდებისას უნდა გაითვალისწინოს დამნაშავის წარსული ცხოვრება. მასში უნდა ვიგულისხმოთ ყოველივე ის, რაც დამნაშავის პიროვნებისათვის იყო დამახასიათებელი, როგორც საჯარო ურთიერთობებში, ისე პირად ცხოვრებაში: მისი ზნეობრივი სახე, მიდრეკილება ამორალური ქცევის განხორციელებაზე, ურთიერთკავშირები საზოგადოების ნარმომადგენლებთან. ყურადღება უნდა მიექცეს პიროვნების ეკონომიკურ მდგომარეობას (განსაკუთრებით თუ ჩადენილია ეკონომიკური დანაშაული).

პიროვნების მახასიათებლის განსასაზღვრავად მნიშვნელობა ენიჭება ოჯახურ ურთიერთობებსაც. მის სურვილს საზოგადოებაში დაბრუნების თაობაზე.

დამნაშავის პიროვნების შესაფასებლად მნიშვნელოვანია, დადგინდეს მისი ქცევა დანაშაულის ჩადენისას (ნაგულისხმევია დანაშაულის ჩადენის ხერხი, საშუალება), ასევე, ქცევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ. აქ მოსამართლის განსასჯელია, რა მოიმოქმედა დამნაშავემ მას შემდეგ, რაც დანაშაული ჩაიდინა (ამჯერად მნიშვნელობა არა აქვს, დანაშაული განზრახ არის ჩადენილი, თუ გაუფრთხილებლობით). შესაძლოა, რომ დამნაშავის ქმედება დანაშაულის ჩადენის მცდელობისა თუ დანაშაულის დამთავრების შემდეგ იყოს არაადეკვატურიც (რაც განპირობებულია მძიმე შედეგით). მთავარია, სასამართლომ ნათლად დაინახოს, რომ დამნაშავე ცდილობდა, თავიდან აეცილებინა შედეგი, დახმარებოდა დაზარალებულს, გამოიძახა სასწრაფო დახმარების მანქანა, შველა სთხოვა სხვა პირებს და ა.შ. ყოველივე ეს მიუთითებს დამნაშავის პიროვნების დადებით მხარეებზე და გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასჯელის შეფარდების დროს.

სასჯელის დაკისრებისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო ხელყოფის ობიექტს, არამედ იმ ხერხსა და საშუალებასაც, რომელიც გამოიყენა დამნაშავემ დანაშაულის ჩადენისას. ქმედების შემადგენლობიდან მხოლოდ ობიექტი წარმოადგენს გამონაკლისს, ვინაიდან დანაშაულის ამ ნიშანს ყოველთვის კანონმდებელი განსაზღვრავს და მიაკუთვნებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარკვეულ ჯგუფს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია ხელყოფა. ქმედების განხორციელების ხერხის ზუსტ განსაზღვრას რიგ დანაშაულებში კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება (მაგ. სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტი, მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი და სხვა მრავალი), ამიტომ მოსამართლის ვალია, სასჯელის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღოს ეს გარემოება.

რაც შეეხება დანაშაულის მომზადებასა და მცდელობას, აქ, მართალია, პირი ქმნის რეალურ საფრთხეს კანონით დაცული ობიექტისათვის, მაგრამ დანაშაულებრივი შედეგი არ იკვეთება. ამიტომ, ჩვენი კანონმდებლობის საფუძველზე (მ. 56) დაუმთავრებელი

დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს, ცალკეული სტადიის განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე, სასამართლომ გულდასმით უნდა შეისწავლოს ის გარემოებები, რომელთა გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. თუ დადგინდება, რომ დამნაშავემ მხოლოდ პირობები მოამზადა დანაშაულის ჩასადენად და აღარ განაგრძო დანაშაულებრივი ქმედება, როცა ამის შესაძლებლობა ჰქონდა და ამით სამართლებრივ სიკეთეს ზიანი არ მიაყენა, სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას ინდივიდუალიზაციის ზოგადი კრიტერიუმებიდან გამომდინარე უნდა დაასაბუთოს სასჯელის გარკვეული სახისა თუ ზომის შეფარდების მიზანშეწონილება და შედარებით ლმობიერი სასჯელის განსაზღვრა.

მაგრამ, თუ ისეთი დანაშაული მზადდება, რომელიც თავისთავად უკვე დასჯადია, ვინაიდან ამგვარი ქმედება უკვე მომზადების სტადიაზე მომეტებული საფრთხის შემცველია, ცხადია, კანონმდებელი მას დამთავრებულ დანაშაულად აცხადებს. მოსამართლემ სასჯელის ზომის განსაზღვრისას კონკრეტული დანაშაულის არსიდან გამომდინარე, უნდა გაითვალისწინოს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის საშიშროება და დამნაშავეს მთელ რიგ სხვა არსებულ გარემოებათა საფუძველზე შეურჩიოს სასჯელის ზომა. შესაძლოა, სასჯელის ზომის შემცირება მიზანშეწონილიც არ იყოს.

სსკ-ის 53-ე მუხლში პირდაპირი მითითებაა იმაზე, რომ სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. ეს მოთხოვნა სავალდებულოა მოსამართლისათვის. ასეთი ზოგადი დებულების შემდეგ, კანონში კონკრეტულად ჩამოთვლილია გასათვალისწინებელი რიგი გარემოებები.

როდესაც კანონში პირდაპირ არის მითითებული ესა თუ ის დამამძიმებელი თუ შემამსუბუქებელი გარემოება, სასამართლოს უკვე აღარ აქვს უფლება, სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღოს იგივე გარემოება. ასეთ პირობებში სასჯელის ინდივიდუალიზაცია უკვე სხვა კრიტერიუმების მეშვეობით უნდა იყოს განსაზღვრული, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები დანაშაულის შემადგენლობის ელემენტებს წარმოადგენენ, მაგალითად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ხშირად ვხვდებით ისეთ დამამძიმებელ გარემოებებს, როგორიცაა, მაგალითად, ძარცვისა ან კიდევ მითვისება-გაფლანგვის დროს, „რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია", მის სავალდებულო ნიშნად შედეგის გამოცხადება. კანონმდებლობით ძარცვა მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევია მაშინაც კი, თუ ნაძარცვის ღირებულება 200 ლარი ან კიდევ ცხრა ათასი ლარია. ცხადია, რომ სასამართლო ვალდებულია, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, გაითვალისწინოს დამამძიმებელი გარემოების ფარგლებში სასჯელის კონკრეტული სახე და ზომა. სასამართლომ ასევე სხვა არსებულ გარემოებებთან ერთად (მაგალითად, დამნაშავის ინვალიდობა, ოჯახის მარჩენლობა და სხვა) დამნაშავეს ან თავისუფლების აღკვეთა შეუფარდოს, ან მის მიმართ გამოიყენოს სასჯელის სხვა, უფრო მსუბუქი სახე.

კანონმდებელს არ შეუძლია, წინასწარ განჭვრიტოს ყველა შესაძლო გარემოებანი და ნიშნები, რომელიც პრაქტიკამ შეიძლება წარმოშვას. სასამართლოს ფუნქციას წარმოადგენს სწორედ ის, რომ ამა თუ იმ დანაშაულისათვის მოსამართლე სასჯელის შეფარდებისას არ უნდა შემოიფარგლოს ზოგადი ფრაზით მიზანშეწონილების შესახებ, არამედ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაასაბუთოს მის მიერ არჩეული სასჯელის ზომის გამოყენების მოტივაცია და საფუძველი. დამახასიათებელი თავისებურება არსებულ კანონზე დაყრდნობით გამოიძიოს და კონკრეტულ დანაშაულთან მიმართებით შეაფასოს ისინი.

სასჯელის დანიშვნა შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას გათვალისწინებულია სსკ-ის 54-ე მუხლში. იგი არეგულირებს შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამი მეოთხედის დანიშვნის წესს.

ამ მუხლში ჩამოთვლილია ისეთი შემამსუბუქებელი გარემოებანი, რომლებიც სასამართლოს აძლევენ შესაძლებლობას, გამოიყენოს ის შეღავათი, რაც ამავე მუხლშია მითითებული. კონკრეტულად მასში ნათქვამია, რომ დამნაშავეს უმსუბუქებს პასუხისმგებლობას ის, თუ იგი გამოცხადდა ბრალის აღიარებით, აქტიურად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას. ამავე დროს ხაზგასმულია, რომ არ უნდა არსებობდეს დამამძიმებელი გარემოებები. სსკ-ის 54-ე მუხლიც საკმაოდ ზოგადია, მასში არ არის ასახული მრავალი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება, რომელიც შეიძლება ახლდეს დანაშაულის ჩადენას. აქ არ იგულისხმება ის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რომლებიც სპეციალურად არის მითითებული რიგ დანაშაულთა მოდელირებასას, ეს თავისთავად ცხადია, ასეთებია, მაგალითად, დამნაშავის ჯანმრთელობა, ორსულობა, მცირეწლოვან ბავშვთა ან ღრმად მოხუც მშობელთა არსებობა, სამხედრო ვალდებულების უმწიკვლოდ შესრულება, ნებაყოფლობითი დახმარება სათანადო ორგანოებისათვის დანაშაულის იარაღისა და შესაბამისი მტკიცებულების ამოღებაში და სხვა მრავალი. ამ პირველი ორი შემთხვევისათვის ვერ გამოგვადგება კოდექსის 74-ე მუხლი, რომელიც აწესრიგებს სასჯელისაგან გათავისუფლებას ავადმყოფობის ან ხანდაზმული ასაკის გამო, ან 75-ე მუხლი, რომელიც გულისხმობს ორსული ქალისათვის სასჯელის მოხდის გადავადებას. ამ შემთხვევებში ლაპარაკია უკვე დანიშნული სასჯელისაგან განთავისუფლებასა ან გადავადებაზე. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული გარემოებანი არ თავსდებიან სსკ-ის 54-ე მუხლის შინაარსში, ასევე სახელდებით არ არიან მინიშნებული 53-ე მუხლის მე-3 ნაწილში, მათ შესაძლოა, უშუალო გავლენა მოახდინონ სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელის (პროექტის მიხედვით) ან სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელის შეფარდებაზე. ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და არც ყველა მათგანის არსებობა არ არის აუცილებელი იმისათვის, რომ სასამართლომ იმსჯელოს დამნაშავისათვის შეღავათის მიცემის შესახებ.

მოსამართლემ შესაძლოა, რაიმე სხვა დამამძიმებელი გარემოების არსებობისასაც კი, მიაკვლიოს ისეთ გარემოებას, რომელიც ნაწილობრივ მაინც ანეიტრალებდეს დამამძიმებელ გარემოებას, მაგალითად, მიყენებული ქონებრივი ზიანის ნებაყოფლობით და უფრო მეტადაც ანაზღაურება; მიწოდებული ინფორმაციის ან ჩვენების უტყუარობა და სისრულე; დროული დახმარება, დახმარების მასშტაბი; ოჯახის წევრებისათვის შექმნილი საფრთხის რისკი და სხვა.

პირის ნასამართლობა, როგორც დამამძიმებელი გარემოება, სისხლის სამართლის კოდექსით რიგ დანაშაულებშია გათვალისწინებული. ეს გასაგებიც არის, როდესაც დამნაშავის მიერ ჩადენილი დანაშაული სერიოზულია, მაგრამ, თუ პირის მიერ ადრე ჩადენილი დანაშაული ნაკლებად მძიმეა ან საერთოდ, გაუფრთხილებლობით არის ჩადენილი, სასამართლოს, საქმის გარემოებიდან გამომდინარე, უნდა შეეძლოს შედარებით ნაკლები სიმძიმის სასჯელის დანიშვნა.

დანაშაულის ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენის შემთხვევაშიც კი, ამა თუ იმ დამნაშავის როლი უნდა გამოიკვეთოს. თუ დადგინდება, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის ესა თუ ის წევრი აღიარებს დანაშაულს, თანამშრომლობს გამოძიებასთან და დადგინდება თანამშრომლობის დადებითი შედეგი, სასამართლომ ეს უნდა გაითვალისწინოს და ასახოს მის მიერ გამოტანილ განაჩენში.

მოსამართლე შეზღუდულია დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში კანონმდებლის ნებით, ვინაიდან სსკ-ის 58-ე მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ამ დანაშაულისათვის დადგენილ მინიმალურ სასჯელს.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ მოსამართლემ გაიზიაროს ქართულ სისტემაში „მინიმალური ჩარევის" ინტეგრირების პრინციპი და მასზე დაყრდნობით არსებული კანონმდებლობის საფუძველზე დანაშაულის რეციდივისათვის სასჯელის შეფარდებისას გაითვალისწინოს პირის მიერ დანაშაულის ხელახლა ჩადენის

ყველა გარემოება და თუ ესა თუ ის ინდივიდუალური გარემოება შესაძლებლობას იძლევა, არ გადაუხვიოს კანონს, მაგრამ გამოიყენოს ნაკლებად სასტიკი და არა უფრო სასტიკი სასჯელის ზომა. ფორმალიზებული ზღვრის არსებობამ აუცილებლობის გარეშე მოსამართლე არ უნდა მიიყვანოს სასჯელის გამკაცრებამდე.

სპეციალურად არ ვჩერდები დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელის შეფარდების პრობლემაზე, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელის სრული შეკრების წესი შეიცვალა და ამჯერად პარლამენტში კვლავაც დგას საკითხი ამ ნორმის შეცვლის თაობაზე.

მოსამართლისათვის განსაკუთრებით ყურადსაღებია არასრულწლოვან დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდებისას მის ასაკთან დაკავშირებული სპეციფიკის გათვალისწინება.

არასრულწლოვნების მიმართ ოპტიმიზებულ უნდა იქნეს სამართალშეფარდებითი პრაქტიკა. ზოგიერთი სასამართლოს მიერ ამ შემთხვევაშიც სრულად არ გამოიყენება სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნა სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესახებ, რაც დაუშვებელია.

სპეციალურად არ ვჩერდები სსკ-ის 55-ე მუხლზე, სადაც საუბარია კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის თაობაზე. როგორც ირკვევა, ამ მუხლის მოქმედების სფერო გაფართოვდება. იგივე ეხება სსკ-ის 59-ე მუხლს.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას სასამართლო ორ კრიტერიუმს უნდა დაეყრდნოს. ერთი მხრივ, ცხადია, რომ სახელმწიფო კიცხავს დანაშაულის ჩადენის ყველა ფაქტს მისი ჩამდენი სუბიექტის მიუხედავად, მეორე მხრივ კი, სახელმწიფო ჰუმანურ დამოკიდებულებას ავლენს არასრულწლოვანთა მიმართ, ითვალისწინებს რა მათი სოციალიზაციის დონესა და პიროვნულ მახასიათებლებს.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმისა და დამნაშავე პიროვნების თანაფარდობა დიფერენცირებულ უნდა იქნეს ასაკობრივ კატეგორიასთან დაკავშირებით. მოზარდთა პიროვნული თავისებურებანი უფრო მეტად უნდა იყოს მიღებული მხედველობაში, ვიდრე ყმაწვილთა ასაკისა, ხოლო ამ უკანასკნელთა თავისებურებანი უფრო მეტად, ვიდრე ზრდასრული დამნაშავეებისა. არასრუწლოვანია როგორც 17, ისე 14 წლის ადამიანი, მაგრამ მათ ფსიქიკურ განვითარებასა და პიროვნებად ჩამოყალიბებაში დიდი ზღვარია. სწორედ ამიტომაც, სასამართლო უნდა შეეცადოს, ისევ და ისევ ყველა გარემოებათა გათვალისწინებით გამოიჩინოს ლიბერალიზმი და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიუსაჯოს მათ თავისუფლების აღკვეთა.

კანონმდებელი სსკ-ის 53-ე მუხლში მიუთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც საფუძველს იძლევიან მივიჩნიოთ ან შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებად, მაგალითად: დამნაშავე სჩადის ისეთ ქმედებას, რომელიც, თუმცა კანონსაწინააღმდეგოა, მაგრამ არსებითად ამცირებს დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს, მაგალითად, დამნაშავის მიერ დაზარალებულისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა უმალვე დანაშაულის ჩადენის შემდეგ; ან იგი მოქმედებს ისეთი პირადული მოტივით, რაც დაკავშირებულია მისი ახლობლის ჯანმრთელობის გადასარჩენად, სახელდობრ, მძიმე ცხოვრებისეულ გარემოებათა დამთხვევისას იძულებულია, ხელყოს სხვისი საკუთრების უფლება; სამსახურებრივი დამოკიდებულების გამო იძულების ზეგავლენით ჩაიდინოს დანაშაული; მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევის საპასუხოდ დაარღვიოს სისხლის სამართლის კანონი და სხვა.

საპირისპიროდ, ზოგჯერ დანაშაულის ჩადენის მოტივი ქვენაგრძნობაა. მაგალითად, ანგარება, შურისძიება და სხვა, ამიტომაც ხშირად, დანაშაულის ჩადენის მოტივის განსაზღვრას და მის დასაბუთებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ქმედების სწორი კვალიფიკაციის განსაზღვრისას, ისე სამართლიანი სასჯელის შეფარდებისას.

სასამართლომ ქმედების კვალიფიკაციისა და სასჯელის დადგენისას სათანადოთ უნდა დაასაბუთოს ჯგუფურ დანაშაულში ყველა მონაწილის როლი, სამწუხაროდ, სასამართლო

პრაქტიკაში ერთგვაროვნად არ არის გაგებული თანაამსრულებლის ცნება და შინაარსი, თუმცა მოსამართლეთა მიერ გამოტანილ განაჩენებში უმეტესწილად კვალიფიკაცია სწორეა. სსკ-ის 22-ე მუხლი განმარტავს, რომ ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ დანაშაულის ჩადენაში უშუალოდ მონაწილეობს არა მარტო ის, ვინც ფიზიკურად უშუალოდ მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში, ასევე ის პირი, რომელიც ქმედების ჩადენის უშუალო პროცესში ხელს უწყობს ამსრულებელს დანაშაულის ჩადენაში (მაგალითად, პირი, რომელიც კარს დარაჯობს, რათა არავინ შევიდეს სადარბაზოში, როდესაც იქ ადამიანს კლავენ, თანაამსრულებელია და არა დამხმარე).

საქართველოში სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის გასატარებლად მიზანშეწონილია, რომ მოსამართლემ სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთის არჩევისას გაითვალისწინოს დამნაშავის რესოციალიზაციის ეფექტურობა.

კაცობრიობას ჯერ არ ძალუძს, უარი თქვას თავისუფლების აღკვეთაზე როგორც სასჯელის ღონისძიებაზე, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში უნდა შესუსტდეს სასჯელის ნეგატიური მხარეები. განსაზღვრული ვადით თავისუფლების აღკვეთის ზოგადპრევენციული როლი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალასპექტიანი მოვლენაა. ჩვენს სინამდვილეში სასჯელის ინსტიტუტში რეალიზებულია ისეთი იდეები, რომლებიც საშუალებას იძლევიან, შევამციროთ მკაცრი სასჯელების გამოყენება. სასამართლომ უნდა გამოიყენოს გონივრული ალტერნატივა და შესაძლებლობის შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთა შეცვალოს სხვა არასაპატიმრო სასჯელით.

და ბოლოს, უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ განაჩენის ენას, მასში გამოყენებულ ტერმინოლოგიას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი უნდა იყოს დაწერილი მარტივი, გასაგები და კარგი ქართული ენით; არ უნდა იყოს გადატვირთული ისეთი უცხოური ტერმინებით, რომლებიც ქართული სამართლისათვის დამახასიათებელი არ არის.

სასჯელის დასაბუთება[1]

(სასჯელის დასაბუთებისას გასათვალისწინებელი გარემოებები)

1 ავტორი: ბადრი ნიპარიშვილი — საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსი, კომისიის მდივანი, სამართლის მაგისტრი, 2014

შინაარსი

შესავალი 187
1. დანაშაულის მოტივი 187
1.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში 187
1.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში 188
2. დანაშაულის მიზანი 189
2.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში 189
2.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში 189
3. ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება 190
3.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში 190
3.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში 190
4. მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა 190
4.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში 190
4.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში 191
5. ქმედების განხორციელების სახე 193
5.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში 193
5.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში 193
6. ქმედების განხორციელების ხერხი 194
6.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში 194
6.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში 194
7. მართლსაწინააღმდეგო შედეგი 196
7.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში 196
7.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში 196
8. დამნაშავის წარსული ცხოვრება 197
8.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში 197
8.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში 197
9. დამნაშავის პირადი პირობები 198
9.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში 198
9.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში 199
10. ბრალდებულის/მსჯავრდებულის ეკონომიკური პირობები 200
10.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში 200
10.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში 200
11. ბრალდებულის ყოფაქცევა ქმედების შემდეგ 200
11.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში: 200
11.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში 201
12. რა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებად 202
12.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში 202
12.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში 202
13. სასჯელის ცალკეული კომპონენტის დასაბუთების ზოგიერთი პრაქტიკული მაგალითი 202
14. სასჯელის დანიშვნის დროს გასათვალისწინებელი ცალკეული შემთხვევები 204
15. ცალკეული პირის მიმართ ან ცალკეული სასჯელის გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებები 207

შესავალი

საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

ბუნებრივია, მხოლოდ ამ ნორმის მშრალი მითითება განაჩენში არ ქმნის სასჯელის დასაბუთების კომპონენტს და სასურველია, მათი ცალ-ცალკე აღნიშვნა და შეფასება (რასაკვირველია, შესაბამისი გარემოების არსებობის შემთხვევაში).

უნდა აღინიშნოს, რომ ის ინდიკატორები, რომლებიც ზემოთ არის აღნიშნული, ერთ შემთხვევაში შესაძლებელია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი, ხოლო მეორე შემთხვევაში, დამამძიმებელი გარემოება აღმოჩნდეს[2], ხოლო ზოგ შემთხვევაში საკუთრივ დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში ნაკლებად ან მეტად შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი მათი შინაარსის გათვალისწინებით. მაგ.: მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა — ქმედების ჩადენა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ან სიმთვრალეში, და ხარისხობრივი მაჩვენებლის მიხედვით — ქმედების ჩადენა ცეცხლსასროლი იარაღით ან ქვის გამოყენებით.

ქვემოთ განხილულია თითოეული ინდიკატორი შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში.

ყურადღება! თუ ქვემოთ მოცემული რომელიმე შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება გათვალისწინებულია დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად (მას ითვალისწინებს მუხლი, მუხლის ნაწილი, ქვეპუნქტი), დაუშვებელია იმავე გარემოების მხედველობაში მიღება სასჯელის დანიშვნისას (სსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

იგივე წესი უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულთა ერთობლიობაა და გარემოება, რომელსაც მივიჩნევთ დამამძიმებლად, სხვა დანაშაულის შემადგენლობაშია (მას ითვალისწინებს მუხლი, მუხლის ნაწილი, ქვეპუნქტი).

1. დანაშაულის მოტივი

1.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში[3]

1.1.1. მძიმე ეკონომიკური პირობები — ბრალდებულის მძიმე ეკონომიკური პირობები ის ინდიკატორია, რომელიც მოსამართლემ შესაძლებელია მიუთითოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად, თუმცა ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ეკონომიკური სიდუხჭირის დონე, თუ რა უკიდურესმა პირობებმა გადააწყვეტინა ბრალდებულს დანაშაულის ჩადენა, რისთვის იყო განკუთვნილი დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონება, რა ხასიათი გამოავლინა მან დანაშაულის ჩადენისას, ხომ არ იყო ქმედება ჩადენილი უფრო აღმატებული სიკეთის უგულებელყოფით (მაგ: სიცოცხლე ან ჯანმრთელობა ხომ არ დადგა რისკის ქვეშ და ა.შ.);

1.1.2. დაზარალებულის ვიქტიმურობა — ვიქტიმურობა ის საკითხია, რომელიც ძირითად შემთხვევაში განსაზღვრავს დანაშაულის ჩადენას. რაც უნდა მძიმე იყოს ჩადენილი დანაშაული, ვიქტიმურობა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს

2 მაგ. დამნაშავის წარსული ცხოვრების შეფასებისას შესაძლებელია როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი, ასევე შემამსუბუქებელი გარემოების არსებობა.

3 ამ შემთხვევაში ქვემოჩამოთვლილი გარემოებები უნდა იყოს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის მთავარი მაპროვოცირებელი. ისინი, როგორც დანაშაულის ჩადენის მოტივი, იმგვარად უნდა დგინდებოდეს საქმის გარემოებებით.

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად (თუმცა გამოყენების ხარისხი დამოკიდებულია დაზარალებულის ქმედებაზე). მიუხედავად დამდგარი შედეგისა, ხშირ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოების შეფასებას, თუ რა როლი ჰქონდა დაზარალებულის ქცევას მომხდარი დანაშაულის პროვოცირებისას. დაზარალებულის მხრიდან ხომ არ განხორციელებულა არაერთჯერადი ან განგრძობადი შეურაცხყოფა, ან ძალადობა. ასევე მძიმე შეურაცხყოფა ან ძალადობა. უნდა შეფასდეს ის ფაქტორიც, რომ დაზარალებულის ქცევას ეთიკურ, მორალურ ან კანონიერ ჩარჩო პირობებში შეეძლო რეალურად გამხდარიყო დანაშაულის მაპროვოცირებელი, მისი ჩადენის მთავარი მოტივი, თუ არა. აგრეთვე მნიშვნელოვანია იმ გარემოების შეფასება, ხომ არ მოუხდენია დაზარალებულს აღმოფხვრილი კონფლიქტის ხელახლა გაღვივება, ხელახლა ინიცირება.

1.2. დამამძიმებელი გარემოების კოტექსტში

1.2.1. რასა — უკავშირდება კაცობრიობის დაყოფას ჯგუფებად, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან შთამომავლობით გადმოცემული ობიექტურად შესამჩნევი ნიშნებით;

1.2.2. კანის ფერი — აქ იგულისხმება დანაშაულის ჩადენა განსხვავებული კანის ფერის გამო. განაჩენში უნდა დგინდებოდეს, რომ დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი, თუ არა ერთადერთი მოტივი სწორედ დაზარალებულის განსხვავებული კანის ფერი გახდა, მაგ: თეთრკანიანი, შავკანიანი, ყვითელკანიანი, წითელკანიანი და ა.შ.;

1.2.3. ენა — აქ იგულისხმება დანაშაულის ჩადენა განსხვავებულ ენაზე მოსაუბრე პირის წინააღმდეგ, რადგან განსხვავებული ენობრივი კუთვნილება შესაძლოა ბრალდებულში იწვევდეს გარკვეულ აგრესიას, რაც საბოლოო ჯამში გახდა დანაშაულის ჩადენის მოტივი;

1.2.4. სქესი — ამ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის მოტივს უნდა წარმოადგენდეს სწორედ სქესობრივი განსხვავება და ეს ფაქტორი უნდა იყოს მაპროვოცირებელი;

1.2.5. სექსუალური ორიენტაცია;

1.2.6. გენდერული იდენტობა;

1.2.7. ასაკი — ამ შემთხვევაში საუბარია დაზარალებულის ასაკზე, მაგ. მხცოვანი ადამიანი გახდა აგრესიის მსხვერპლი;

1.2.8. რელიგია;

1.2.9. პოლიტიკური ან სხვა შეხედულება;

1.2.10. შეზღუდული შესაძლებლობა;

1.2.11. მოქალაქეობა;

1.2.12. ეროვნული კუთვნილება;

1.2.13. ეთნიკური კუთვნილება;

1.2.14. სოციალური კუთვნილება;

1.2.15. წარმოშობა;

1.2.16. ქონებრივი მდგომარეობა;

1.2.17. წოდებრივი მდგომარეობა;

1.2.18. საცხოვრებელი ადგილი;

1.2.19. დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით;

1.2.20. ანგარება — ანგარებით რაიმე დანაშაულის ჩადენა ყველა შემთხვევაში დასაძრახია, რადგან მატერიალური დაინტერესების გამო დანაშაულის ჩადენა არღვევს უსაფრთხოების განცდას, მატერიალური კეთილდღეობის არსს. განსაკუთრებით დასაძრახია, როდესაც ანგარებით ხდება სხვა სახის დანაშაულის ჩადენა — მაგ: ჯანმრთელობის წინააღმდეგ და ა.შ. მატერიალური დაინტერესების გამო არ შეიძლება არამატერიალური ღირებულებები — ზნეობა, მორალი, ეთიკა, კულტურა, — შეიბღალოს. ანგარებით დანაშაულს სჩადის პირი, რომელსაც შეუკვეთეს, წააქეზეს, დაჰპირდნენ და ა.შ.;

1.2.21. ხულიგნური ქვენა გრძნობა — ასევე ძალიან საშიშია, რა დროსაც დამნაშავე არაფრად აგდებს საზოგადოებაში დამკვიდრებულ წესებს და პრინციპებს და ჰგონია, რომ ყოველგვარი საფუძვლის გარეშე შეუძლია მოიმოქმედოს ,რაც კი მოესურვება;

1.2.22. მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით — ამ შემთხვევაში ეს გარემოება უნდა იყოს დანაშაულის ჩადენის მთავარი მაპროვოცირებელი, პირს უნდა, რომ გაუსწორდეს მაგ. პოლიციის თანამშრომელს, რადგან ზოგადად ამ ინსტიტუტის მიმართ აქვს აგრესია და შეუწყნარებლობა;

1.2.23. შურისძიება — ზოგადად შურისძიება უნდა დაიგმოს და უნდა მიეთითოს განაჩენში, რომ იგი არ არის ადეკვატური პასუხი და მოქმედება გარკვეული საპირისპირო ქმედების საწინააღმდეგოდ. სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში დაუშვებელია ცალკეულმა პირებმა თავის თავზე აიღონ მოწინააღმდეგის დასჯა და ანგარიშსწორება, ვინაიდან ამისათვის არსებობენ შესაბამისი სტრუქტურები, სამართალდამცავი ორგანოები, სასამართლო და ა.შ. შურისძიების მოტივით დანაშაულის ჩადენა გაუმართლებელია ყველა შემთხვევაში და მას სათანადო პასუხი უნდა გაეცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში უგულებელყოფილი იქნება კანონის უზენაესობა.

2. დანაშაულის მიზანი

2.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში

2.1.1. ზოგადად, ძალიან რთულია მაგალითის მოყვანა, თუ რა შეიძლება გამოიკვეთოს დანაშაულის მიზანში ისეთი, რომელიც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი იქნება, თუმცა ზოგადი შეფასება მაინც შესაძლებელია, მაგ.: ისეთი გარემოება, რომელიც, მართალია, არ ჯდება აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის ან მართლზომიერი რისკის კომპონენტში, მაგრამ ანალოგიური ხასიათის მატარებელია. მიუხედავად იმისა, რომ პირი დანაშაულს სჩადის, მას ამოძრავებს სხვა პირთა თუ ქონების დაცვის ინტერესი და მიზანი.

2.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში

2.2.1. მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით;

2.2.2. სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით — ეს გარემოება განსაკუთრებით სახიფათოა, რადგან ყოველთვის უკავშირდება სხვა დანაშაულს, კუმულაციურია, დანაშაულთა სიმრავლესთან გვაქვს საქმე და ეს მიზანი ემსახურება გარკვეული ფაქტების დამალვას, გაქრობას, გაყალბებას,

ასევე დანაშაულის ჩადენის გაადვილებას, როდესაც პირი სხვა დანაშაულს სჩადის იმისათვის, რომ გაიადვილოს ძირითადი დანაშაულის ჩადენა - ორმაგად საშიში და გასაკიცხია;

2.2.3. მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით — ეს გარემოებაც განსაკუთრებული საშიშროების მატარებელია, რადგან უპირველესად ადამიანია მთავარი ღირებულება. ყველა ადამიანი თანასწორია და ამდენად, ამგვარი ქმედებით მსხვერპლის წარმოჩენა ხდება არა ადამიანად, რაიმე ფასეულობად, არამედ ნივთად, საწარმოოო ინსტრუმენტად;

2.2.4. სხვისთვის მომსახურების გაწევის მიზნით — ეს გარემოება ასევე მნიშვნელოვანია, რადგან არც ერთი პირის სიამოვნება და სურვილების დაკმაყოფილება არ ღირს იმად, რომ თუნდაც სულ მცირე მნიშვნელობის დანაშაული ჩაიდინო;

2.2.5. ქმედება, ჩადენილი უკანონო ქმედების ჩასადენად — მაგალითად, ბრალდებულმა ჯერ გააყალბა გარკვეული დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც ჩაიდინა სხვა დანაშაული.

3. ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება

3.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში

3.1.1. ქმედების ჩადენა გაუფრთხილებლობით, თვითიმედოვნებით — თუ დანაშაული ჩადენილია გაუფრთხილებლობით, ამ გარემოებისადმი სათანადო შეფასების მიცემა აუცილებელია. როგორც წესი, ეს გარემოება გამოიყენება სასჯელის შემსუბუქების კონტექსტში;

3.1.2. ქმედების ჩადენა გაუფრთხილებლობით, დაუდევრობით — თუ დანაშაული ჩადენილია გაუფრთხილებლობით, ამ გარემოებისადმი სათანადო შეფასების მიცემა აუცილებელია. როგორც წესი, ეს გარემოება გამოიყენება სასჯელის შემსუბუქების კონტექსტში.

3.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში

3.2.1. ქმედების ჩადენა პირდაპირი განზრახვით — დანაშაულის ჩადენის ნებელობა ყველაზე მაღალია პირდაპირი განზრახვისას. ასე რომ, ამ გარემოებისათვის სათანადო შეფასების მიცემა აუცილებელია. განსაკუთრებით საშიშია, როდესაც პირს ამოძრავებს დანაშაულის ჩადენის პირდაპირი განზრახვა და მას სრულად აქვს გაცნობიერებული მისი უარყოფითი შედეგები, ზოგ შემთხვევაში — ძალიან მძიმეც;

3.2.2. ქმედების ჩადენა არაპირდაპირი განზრახვით — ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ის გარემოება, რომ პირმა დანაშაული არაპირდაპირი განზრახვით ჩაიდინა, თავისთავად დიდ შეღავათებს არ გულისხმობს ამ პირის სასარგებლოდ, თუმცა მცირედი მნიშვნელობა მაინც უნდა მიენიჭოს პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულთან მიმართებით.

4. მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა

4.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში

4.1.1. სახეზეა მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალება;

4.1.2. სახეზეა ნაკლებად საშიში ნარკოტიკული საშუალება;

4.1.3. სახეზეა ნაკლებად სახიფათო იარაღი ან საბრძოლო მასალა;

4.1.4. ბრალდებულს იარაღიდან არასოდეს გაუსვრია ან სხვა გზით უკანონოდ გამოუყენებია;

4.1.5. ასევე სხვა მსგავსი სიტუაციები.

4.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში:

4.2.1. დანაშაულის ჩადენა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;

4.2.2. დანაშაულის ჩადენა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ;

4.2.3. დანაშაულის ჩადენა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ;

4.2.4. დანაშაულის ჩადენა ორი ან მეტი პირის მიმართ/დაზარალებულთა რაოდენობა — ამ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის ფაქტორი, თუ რამდენი პირია დაზარალებული დანაშაულის შედეგად და რა სახის ზიანი მიადგათ, მაგ. დაზარალდა 100, 10 ან 2 პირი — სასჯელის დამძიმება უნდა განისაზღვროს დაზარალებულთა რაოდენობის მიხედვით. დანაშაულის ჩადენის მასშტაბი გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასჯელის დანიშვნისას;

4.2.5. დანაშაულის ჩადენა სიმთვრალეში;

4.2.6. დანაშაულის ჩადენა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების პირობებში;

4.2.7. დანაშაულის ჩადენა ფსიქოტროპული საშუალების ზემოქმედების პირობებში;

4.2.8. დანაშაულის ჩადენა წინასწარი შეცნობით მძიმე (მორალური, ფიზიკური, თუ მატერიალური მდგომარეობის გამო) მდგომარეობაში მყოფის მიმართ — ყველა ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულის ამგვარი ქცევა აღინიშნოს და სათანადოდ შეფასდეს, რომ ამგვარი მოქმედება მორალური და ზნეობრივი თვალსაზრისით მიზანშეუწონელია და ასეთ პირებს მეტი ზრუნვა, ყურადღება და თანადგომა სჭირდებათ და არა — საპირისპირო მოქმედება, ვინაიდან ისინი დაუცველნი არიან და ვერაფერს მოიმოქმედებენ დამნაშავის წინააღმდეგ, აგრეთვე იმიტომ, რომ ადვილად შეიძლება მათი ნდობის მოპოვება, ან შესაძლოა იმდენი ყურადღება არ გამოიჩინონ, როგორც სხვა შემთხვევაში მოიქცეოდნენ (მაგ.: ბრალდებული, რომელიც სამიზნედ ირჩევს კიბოთი დაავადებულ პაციენტებს კიბოს განკურნების თაღლითური პროგრამისათვის, რადგან ისინი მოწყვლადნი არიან ამგვარი დანაშაულის მიმართ);

4.2.9. წამქეზებელი — როგორც წესი, წამქეზებლის როლი ნეგატიურად უნდა შეფასდეს, თუმცა ამსრულებელთან შედარებით, მასთან მაინც შეიძლება პოზიტიური მიდგომა სასჯელის დანიშვნისას. ამსრულებლისა და წამქეზებლის მიმართ დანიშნული სასჯელები სხვა მსგავსი დონის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას უნდა იყოს განსხვავებული.

4.2.10. დამხმარე — როგორც წესი, დამხმარის როლი ბრალდებულის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში გამოიხატება მხოლოდ დახმარებით და იგი უშუალოდ არ ახორციელებს შესაბამის ქმედებას, თუმცა დამხმარეს აქვს პოზიტიური დანიშნულება დანაშაულის ჩადენაში. ხშირ შემთხვევაში დამხმარის როლი გადამწყვეტია დანაშაულში, რადგან ამსრულებლისათვის მხარდაჭერა, როგორც წესი, ბევრს ნიშნავს, რის გარეშეც შესაძლოა მას ვერ გაებედა დანაშაულის ჩადენა. ამსრულებელთან შედარებით, ერთი და იმავე გარემოებების არსებობისას სასჯელი უნდა იყოს განსხვავებული;

4.2.11. ორგანიზატორი — თუ ბრალდებული დანაშაულის ორგანიატორია, ეს ფაქტორი ხაზს უსვამს მის წამყვან როლს დანაშაულის განხორციელებაში, რის გამოც განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მისი მონაწილეობის ფარული და საშიში ხასიათი, კარს მიღმა პოზიციიდან დანაშაულის ჩადენა, დანაშაულის მართვა, მენეჯერის, ხელმძღვანელის, უფროსის რანგში თავის წარმოჩენა;

4.2.12. სპეციალური ცოდნის გამოყენება დანაშაულის ჩასადენად — როდესაც ბრალდებული აღჭურვილია სპეციალური ცოდნით, მას შეუძლია ისეთი ხასიათის და ხარისხის მოქმედებების განხორციელება, რაც, ზოგადად, ცალკეულ ადამიანებს არ შეუძლიათ, ან საწარმოო ღონისძიების შედეგადაა შესაძლებელი. ამგვარი ადამიანის მიერ თავისი სპეციალური ცოდნის გამოყენება განსაკუთრებით საშიშია დანაშაულის ჩასადენად, რის გამოც იგი პირს დამამძიმებელ გარემოებად უნდა შეერაცხოს;

4.2.13. ბრალდებულმა გაქცევის ან დევნისას ცეცხლსასროლი იარაღი ან ავტოსატრანსპორტო საშუალება გამოიყენა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების წინააღმდეგ — ბრალდებულის ამგვარი ქმედება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის დამოკიდებულებას კანონის უზენაესობისა და მის დამცველთა მიმართ. ამგვარი მოქმედებები დიდ საფრთხეს უქმნის იმ პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავენ მართლწესრიგს ქვეყანაში;

4.2.14. დანაშაულის ჩადენა წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების პერიოდში ან მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პირობებში — იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს სხვა დანაშაულის ჩადენაში აქვს ბრალი წაყენებული, რომლისთვისაც სასამართლომ იგი წინასწარი პატიმრობიდან ან დაკავებიდან გაათავისუფლა, ან სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება გამოიყენა და ამ პერიოდში მან ჩაიდინა სხვა დანაშაული — ეს გარემოება უნდა აისახოს სასჯელის სახის შერჩევისას;

4.2.15. დანაშაულის ჩადენა საგანგებო სიტუაციების, ბუნებრივი კატაკლიზმების, ფორს-მაჟორული სიტუაციების, არეულობის, საპროტესტო აქციების, მანიფესტაციების, და მსგავსი შემთხვევების დროს — ამ დროსაც, ზოგადად, გართულებულია სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან კონტროლის განხორციელება, რითაც დამნაშავე სარგებლობს და მისთვის ხელსაყრელ პირობებში სჩადის დანაშაულს, რის გამოც ეს ფაქტორი მსჯავრდებულს უნდა შეეფარდოს დამამძიმებელ გარემოებად;

4.2.16. დანაშაული ჩადენილია წინასწარი შეცნობით ტურისტის/უცხოელის წინააღმდეგ — ამგვარი ქმედებები საფრთხეს უქმნის ტურისტთა შემოსვლას ქვეყანაში, და ზოგადად, ქვეყნის იმიჯზე უარყოფითად აისახება, ვინაიდან ეს ინფორმაცია ვრცელდება არა მხოლოდ იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეც ეს ტურისტია, არამედ უფრო ფართო არეალში, რაც შესაძლოა, თავის მხრივ, აისახოს ტურისტული ნაკადების შემცირებაში. ამ დროს ბრალდებულს ჰგონია, რომ ტურისტს პოტენციურად ბევრი ფული აქვს და ეს არის დანაშაულის ჩადენის ძირითადი მაპროვოცირებელი. ამასთან, ბრალდებულის თვალში იგი უფრო მეტად დაუცველია, ვიდრე საქართველოს მოქალაქე, რაც ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს დანაშაულის ჩადენაში.

4.2.17. სახეზეა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება;

4.2.18. სახეზეა ფართოდ გავრცელებული, რთული შენაერთის ან საშიში ნარკოტიკული საშუალება;

4.2.19. სახეზეა დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი ან საბრძოლო მასალა (მაგ. ასეულობით ერთეული);

4.2.20. სახეზეა განსაკუთრებულად საშიში და დამღუპველი საბრძოლო მასალა.

4.2.21. დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ — განსაკუთრებით საყურადღებოა, როდესაც პირი დანაშაულს სჩადის იმ პირის მიმართ, რომელიც მასზე რაიმე ნიშნით არის დამოკიდებული და ამის გამო იგი დანაშაულის ჩადენაზეც კი მიდის, რადგან ჰგონია, რომ მასთან მსხვერპლი გარკვეულ ვალშია. დაუშვებელია, გარკვეული სახის ვალდებულებები საბოლოო ჯამში თანასწორუფლებიანობის დარღვევამდე მივიდეს;

4.2.22. დანაშაულის ჩადენა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ — მიუხედავად ყველაფრისა, სასამართლომ უნდა აღნიშნოს, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მხრიდან დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან სწორედ იგი უნდა იდგეს კანონის დაცვის სადარაჯოზე;

4.2.23. ქმედება, ჩადენილი მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის ან დამცველის მიერ — ამ პირთა მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებით დასაძრახია, ვინაიდან ისინი საზოგადოების თვალში კანონიერების განსახიერება და მისი უმაღლესი დამცველები უნდა იყვნენ;

4.2.24. საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრის, უცხოეთის ოფიციალური წარმომადგენლის ან საერთაშორისო სამართლებრივი დაცვისადმი დაქვემდებარებული პირის მიმართ;

4.2.25. გაუპატიურება ჩადენილია დაოჯახებული პირის მიმართ — გაუპატიურების ან სხვა სქესობრივი დანაშაულებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს აგრეთვე დაოჯახებულია თუ არა პირი; ზოგადად, იმ წრეში, იმ საზოგადოებაში, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს, ხომ არ არის განსაკუთრებული დამოკიდებულება ამგვარი ფაქტებისადმი და მენტალური განსხვავებები ხომ არ არსებობს. ბუნებრივია, თუ პირი არ არის დაოჯახებული, ეს არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს რაიმე სახით შემამსუბუქებელ გარემოებად, თუმცა დაოჯახების კომპონენტმა შესაძლოა კიდევ უფრო გაზარდოს სასჯელის ზომა.

5. ქმედების განხორციელების სახე

5.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში

5.1.1. პიროვნების ან ქონებისათვის ნაკლები საშიშროების შემქმნელი ადგილიდან;

5.1.2. დანაშაულის ჩადენა ყველაზე უვნებელი, ნაკლებად დამრღვევი, ნაკლებად საშიში ან სხვა მსგავსი სახით;

5.1.3. სხვა მსგავსი ტიპის შემთხვევები.

5.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში:

5.2.1. ჯგუფურად;

5.2.2. მოტყუებით — მაგალითად, მოტყუებით გაიყვანა სახლიდან და შემდეგ ჩაიდინა დანაშაული; მოტყუებით შევიდა ბინაში, თავი წარუდგინა პოლიციის თანამშრომლად ან ფოსტის თანამშრომლად და ა.შ.;

5.2.3. დანაშაულის ჩადენა წინასწარი შეცნობით მცირეწლოვნის თანდასწრებით — მცირეწლოვნის თანდასწრებით დანაშაულის ჩადენა ყოველთვის უკუშედეგის მომტანია ამ უკანასკნელისათვის, რადგან გარდა ამ დანაშაულის უარყოფითი

შედეგისა, იგი ცუდ გავლენას ახდენს მცირეწლოვნის ფსიქიკაზე, მის შეხედულებებზე, აზროვნებაზე, განვითარების ხაზსა და მასთან დაკავშირებულ სხვა ფაქტორებზე;

5.2.4. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას — ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტორზე, თუ რა რაოდენობის ხალხი ესწრება პირის მიერ დანაშაულის ჩადენას, რა ეფექტი შეიძლება მოახდინოს დანაშაულმა მათზე; ხომ არ იყო საშიშროება იმისა, რომ დანაშაულებრივი ფაქტი გარკვეულწილად სხვებსაც შეხებოდათ; რამდენად იყვნენ ისინი დაცულები, რა ეფექტი ჰქონდა საზოგადოებრივი სიმშვიდისა და უსაფრთხოების განცდის საწინააღმდეგოდ და ა.შ.;

5.2.5. არასრულწლოვნის თანდასწრებით — არასრულწლოვნის თანდასწრებით დანაშაულის ჩადენა მით უფრო საზიანო ამ უკანასკნელისათვის, რადგან იგი იმყოფება ე.წ. გარდატეხის ასაკში, ახდენს ყველაფრის გადაფასებას და საკუთარი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას ამა თუ იმ საკითხზე. შესაბამისად, ამგვარი ასაკობრივი ჯგუფისთვის დანაშაულის შესწრებას შესაძლოა მოჰყვეს აშკარა უარყოფითი შედეგები;

5.2.6. დანაშაულის ჩადენა არასრულწლოვანთან ერთად — ეს ის სიტუაციაა, როდესაც სრულწლოვანი პირი დანაშაულს სჩადის არასრულწლოვანთან ერთად. ამ შემთხვევაში იგი გვევლინება წამყვან ძალად, მენეჯერად და დასაყრდენ რგოლად დანაშაულებრივ ჯგუფში, რაც კიდევ დამატებითი სტიმულია არასრულწლოვანი პირისათვის, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რადგან მას გვერდით უფროსი ჰყავს.

5.2.7. დანაშაულის ჩადენა კომპიუტერის/ინტერნეტის გამოყენებით — ეს ხერხი მეტად გავრცელდა თანამედროვე ცხოვრებაში, რაც დამნაშავეს უქმნის მეტ კომფორტს და ანიჭებს ფართო შესაძლებლობებს დანაშაულის ჩასადენად, რის გამოც აღნიშნული სიკეთის ბოროტი მიზნებისათვის გამოყენება ადეკვატურად უნდა აისახოს სასჯელზე.

6. ქმედების განხორციელების ხერხი

6.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში:

6.1.1. ბრალდებული იარაღს ინახავდა გარკვეული საკოლექციო ან არა დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით.

6.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში

6.2.1. დანაშაულის ჩადენა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

6.2.2. დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებული სისასტიკით — სისასტიკე შესაძლოა გამოიხატოს როგორც ფიზიკური, ასევე მორალური თვალსაზრისით ტანჯვის მიყენებაში და ა.შ.;

6.2.3. დანაშაულის ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

6.2.4. დანაშაულის ჩადენა, რასაც თან ახლდა ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა — ბუნებრივია, თუ გამოყენებულია მხოლოდ ძალადობის გამოყენების მუქარა და დამნაშავეს ძალადობა არ გამოუყენებია დაზარალებულის მიმართ, სასჯელი უნდა შემცირდეს;

6.2.5. დანაშაულის ჩადენა იარაღის გამოყენებით;

6.2.6. დანაშაულის ჩადენა იარაღად სხვა საგნის გამოყენებით;

6.2.7. დანაშაულის ჩადენა სხვისი ქონებისადმი გაუფრთხილებელი (არაფრად აგდებს) მოპყრობით — მაგალითად, პირმა დანაშაულის ჩადენისას დააზიანა ქონება, რომლის მიმართ არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია, მაგრამ ეს საკუთარი სიძლიერისა და გავლენის, დომინანტური მდგომარეობის დასამტკიცებლად გააკეთა;

6.2.8. ქმედება, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა დასახლებულ უბანს;

6.2.9. დანაშაულის ჩადენა მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით;

6.2.10. დანაშაულის ჩადენა დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით;

6.2.11. დანაშაულის ჩადენა სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით;

6.2.12. დანაშაულის ჩადენა ბინაში უკანონო შეღწევით — ბინა შეიძლება იყოს აგრეთვე რაიმე ადგილი, რასაც პირი იყენებს საცხოვრებლად, აქ ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტორებზე, თუ რა გზით შეაღწია ბრალდებულმა ბინაში, რამდენად იყო იგი ხელმისაწვდომი, რა დაბრკოლებების გადალახვა მოუწია და ა.შ.;

6.2.13. დანაშაულის ჩადენა ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით;

6.2.14. დანაშაულის ჩადენა სახელმწიფო მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით — სახელმწიფო მოხელეების მიერ დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებით გასაკიცხია, რადგან ამ პირობებში მცირდება ხალხის ნდობა სახელმწიფო სტრუქტურებისა და მათი ნორმალური ფუნქციონირების მიმართ, რაც აზიანებს მთლიანად სახელმწიფოს ფუნქციონირებას, პრესტიჟს და იწვევს ფართო მასების ნიჰილისტურ დამოკიდებულებას სახელმწიფო მმართველობის მიმართ;

6.2.15. დანაშაულის ჩადენა სამსახურებრივი სარგებლობისათვის მინდობილი იარაღით — განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო სარგებლობისათვის მინდობილი იარღით პირმა არ ჩაიდინოს დანაშაული. ამ შემთხვევაში ბრალდებულისათვის იარაღი ხელმისაწვდომი ხდება ზედმეტი სირთულეებისა და დაბრკოლებების გარეშე, რაც, ზოგადად, ფართო ფენებისათვის რთული და შეუძლებელია. ბრალდებულს ეს იარაღი იმიტომ გააჩნდა, რომ თავად ყოფილიყო მართლწესრიგისა და საზოგადოების უსაფრთხოების სადარაჯოზე. იგი ამ პირობებში ბოროტად იყენებს ამ პრივილეგიას, რაც ორმაგად უფრო გასაკიცხი ქმედებაა;

6.2.16. დანაშაულის ჩადენისას გამოყენებულ იქნა დაზარალებულის ფიზიკური, თუ სხვაგვარი შეზღუდვის ან განეიტრალების საშუალებები;

6.2.17. დანაშაულის ჩადენა მცირეწლოვნის მეშვეობით — სისხლის სამართლის დანაშაულის ჩასადენად მცირეწლოვნის „გამოყენება~ გულისხმობს ამ უკანასკნელისათვის მიმართულების მიცემას, ბრძანების გაცემას, წაქეზებას, დაშინებას, რჩევების მიცემას, მომზადებას, დანაშაულის შერჩევას, ან შეთავაზებას მასში მონაწილეობისათვის. ამგვარი მოქმედების განხორციელება ორმხრივად საშიშია, რადგან იგი უარყოფით გავლენას ახდენს მცირეწლოვანის განვითარებაზე და, მეორე მხრივ, ბრალდებული ცდილობს ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან თავი დაიხსნას, რადგან მცირეწლოვნის პასუხისმგებლობა დანაშაულისათვის არ დადგება და ეს მას შერჩება.

6.3.18. დანაშაულის ჩადენისას გამოყენებულ იქნა პერსონალური მონაცემების გამჟღავნების ხერხი;

6.3.19. დანაშაულში ფიგურირებს დიდი რაოდენობით ცივი იარაღი, ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალები — როდესაც სახეზეა დანაშაულის ამგვარი მასშტაბი, ეს განსაკუთრებულ საფრთხეს შეიცავს, რაც ამ საგნების მრავალრიცხოვნობის პირდაპირპროპორციულია, რის გამოც ამგვარი დანაშაულის დაგმობა და სასჯელის გაზრდა პროპორციული და სწორი ნაბიჯია.

6.2.20. დანაშაული ჩადენილია მართლსაწინააღმდეგო გზით დაუფლებული საგნით, მაგ: იარაღით, ავტოსატრანსპორტო საშუალებით, ბინაში და ა.შ.

6.2.21. დანაშაული ჩადენილია გადაკეთებულ/წაშლილ ნომრიანი ცეცხლსასროლი იარაღით — აღნიშნული კიდევ უფრო ართულებს დანაშაულის გამოძიებასა და ჭეშმარიტების დადგენას. განსაკუთრებით სახიფათოა უკონტროლო ცეცხლსასროლი იარაღების გავრცელება მოსახლეობაში, რის გამოც სასჯელის დამძიმება მართებულია.

6.2.22. შეკვეთა — შეკვეთა, როგორც დანაშაულის განხორციელების ხერხი, მეტად საშიში და ამორალურია. პირი, რომელიც სხვას უკვეთს დანაშაულს ფაქტობრივად გვევლინება არა მარტო ამ დანაშაულის ორგანიზატორად, არამედ სხვასაც ითრევს დანაშაულის ჩადენაში და, რაც მთავარია, ხშირ შემთხვევაში იგი ფულს იხდის იმაში, რომ დანაშაული განხორციელდეს.

7. მართლსაწინააღმდეგო შედეგი

7.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში

7.1.1. დანაშაულმა გამოიწვია ან თითქმის არ გამოუწვევია რაიმე სახის მატერიალური ან არამატერიალური ზიანი — ამ ფაქტორს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს სასჯელის კომპონენტის დასაბუთებაში. ის ფაქტი, რომ დანაშაულმა მცირე, ან სულაც არავითარი ზიანი არ გამოიწვია, გათვალისწინებულ უნდა იქნეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად, პროპორციულად და ადეკვატურად;

7.1.2. ზიანი სრულად ან ნაწილობრივ აანაზღაურა ბრალდებულმა ან მასთან დაკავშირებულმა პირმა — მნიშვნელოვანია, რომ ზიანის ანაზღაურების კომპონენტი სასამართლომ აღიაროს, როგორც მართებული, მისაბაძი და საგულისხმო ქცევა. მიუხედავად იმისა, რომ ზიანი სწორედ ამ ბრალდებულის დანაშაულებრივმა ქმედებამ გამოიწვია, თავად ამ პირის მიერ დაზარალებულის რესტიტუციას დიდი მორალური და მატერიალური მნიშვნელობა ენიჭება;

7.1.3. არსებობს გარკვეული ნიშნები, რომ ბრალდებული მოწოდებულია აანაზღაუროს ზიანი — სასამართლომ შემამსუბუქებელ გარემოებად უნდა მიიჩნიოს, როდესაც ბრალდებულს ჰქონდა გარკვეული მცდელობა, რაიმე ფორმით აენაზღაურებინა ზიანი დაზარალებულისათვის, მიუხედავად იმისა, მიიღო თუ არა დაზარალებულმა იგი.

7.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში

7.2.1. დანაშაულმა გამოიწვია მძიმე შედეგი — აქ იგულისხმება როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ზიანი;

7.2.2. ზიანის ოდენობა — ამ შემთხვევაში ზიანი შესაძლებელია იყოს ნაკლებად დამამძიმებელი, საშუალოდ და მაღალი ხარისხით დამამძიმებელი, რაც დამოკიდებულია მატერიალური ზიანის მათემატიკურ გამოსახულებაზე. მაგ: იმ პირობებში, როდესაც მნიშვნელოვანი ზიანი 150-დან 10000 ლარამდე

მერყეობს, არ შეიძლება 200 და 9000 ლარის ზიანის მიყენებისას ეს გარემოება ერთნაირი ზომითა და პროპორციით იქნეს გამოყენებული მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის დანიშვნისას;

7.2.3. ზიანი მიადგა ისეთ ნივთს, ან ნაკეთობას ან განადგურდა იგი, რომელსაც განსაკუთრებული ფასეულობა და ინდივიდუალიზმი ახასიათებდა - ასევე შესაძლოა დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულ იქნეს ის, რომ პირმა დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ნივთს, თუ ნაკეთობას სახე შეუცვალა და იგი პირველადი ფორმით აღარ არსებობს, მაგ. დაჭეჭყა ძვირფასი ლარნაკი, გადაადნო ოქროს ნაკეთობა და ა.შ.

8. დამნაშავის წარსული ცხოვრება

8.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში:

8.1.1. სამხედრო, სამოქალაქო, საქველმოქმედო ან საჯარო სექტორში სამსახური, დასაქმებისას მის მიერ შეტანილი წვლილი, წარსულში კეთილი საქმეების კეთება — ამგვარი ფაქტორების არსებობისას შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სასჯელის შემცირება, ამგვარი ქმედებების შინაარსისა და მასშტაბის გათვალისწინებით;

8.1.2. განათლება — როგორც წესი, ბრალდებულის განათლების დონე რელევანტური ფაქტორი არ არის (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სპეციალური უნარ-ჩვევები გამოიყენება დანაშაულის ჩადენისას, როგორც ეს აღნიშნულია ზემოთ დამამძიმებელი გარემოებების ნაწილში), მაგრამ იგი შესაძლოა რელევანტური იყოს ბრალდებულის წარსული ცხოვრების შესაფასებლად. აგრეთვე, მაშინ, თუ იგი მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ან განაჩენის გამოტანის მომენტისათვის სწავლობდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პირიქით შემთხვევაშიც, ნაკლები განათლება შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს თითოეული ბრალდებულის უნიკალური თვისებების ანალიზისა და დანაშაულებრივი ქმედების დროს მისი როლის განსაზღვრისას შესაძლოა, ზოგჯერ მიჩნეულ იყოს, რომ პირები, რომლებსაც განათლების დაბალი დონე აქვთ, ნაკლებად არიან დამნაშავეები;

8.1.3. დასაქმების ისტორია — როგორც წესი, დასაქმების ისტორია არ არის რელევანტური ფაქტორი, მაგრამ იგი ზოგადი შემარბილებელი ფაქტორია იმ შემთხვევისათვის, როდესაც ბრალდებული კანონიერად მუშაობდა და მისი სამუშაო არ იყო დაკავშირებული სისხლის სამართლის მოცემულ დანაშაულთან. ზოგადად დასაქმების ისტორია ხაზს უსვამს ბრალდებულის წარსული ცხოვრების მართებულობას; მისი, როგორც კანონმორჩილი მოქალაქის, იმიჯის შეფასებას; მის მისწრაფებას, ეცხოვრა ყველასათვის მისაღები წესებით და ა.შ.;

8.1.4. საზოგადოებრივ აქციებში მონაწილეობა — ისეთ საზოგადოებრივ აქციებში აქტიური მონაწილეობა, რომელიც ნერგავს ცხოვრების ჯანსაღ წესს, კანონმორჩილებას, სამოქალაქო საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეების განხორციელებას და ა.შ.

8.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში

8.2.1. ნასამართლობა — წინა ნასამართლობა ის საკითხია, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბრალდებულის პიროვნების, მისი მისწრაფებების, ცხოვრების წესის შესაფასებლად და სათანადო დასკვნების გამოსატანად. რაც უფრო მეტად სერიოზულია ბრალდებულის ნასამართლობა, უფრო მკაცრი სასჯელი უნდა განისაზღვროს. გარკვეული ყურადღება უნდა დაეთმოს

„კარიერული დამნაშავეების~ კლასიფიცირებას. ესენი ის ბრალდებულები არიან, რომლებიც მონაწილეობდნენ დანაშაულებრივ საქმიანობაში, რაც მათთვის საარსებო წყაროს წარმოადგენს და რამდენჯერმე არიან მსჯავრდებულნი ერთი და იმავე კატეგორიის დანაშაულისათვის. ამგვარი ბრალდებულების მიმართ სასჯელის დონე მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს. თუმცა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სახეზეა არაერთგზისი დანაშაული ან დანაშაულის ჩადენა ორჯერ ან მეტჯერ ნასამართლევი პირის მიერ. ბუნებრივია, შესაძლოა უხერხული იყოს ასეთი მსჯელობა მაშინ, როდესაც ბრალდება წარდგენილია არაერთგზისობით, ან ორჯერ ან მეტჯერ ნასამართლევის მიმართ, თუმცა ამ შემთხვევაშიც მოსამართლე არ არის შეზღუდული შეაფასოს, თუ რამდენად მძიმე ნასამართლობები იყო წარსულში, ხომ არ იყო ისინი ძალადობრივი ხასიათისა. ასევე მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს დანაშაულთა რაოდენობა, თუ რამდენჯერ იყო ის ჩადენილი 2-ჯერ, თუ 5-ჯერ. პიროვნების რეპუტაციის შესაფასებლად მისი ცხოვრების ყველა მომენტი მნიშვნელოვანია;

8.2.2. ამგვარი დანაშაულისათვის ნასამართლობა — სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ პირმა ჩაიდინა ერთგვაროვანი დანაშაულები და მისთვის ლმობიერი სასჯელის დანიშვნა დასაფიქრებელია (თუ არ არსებობს სხვა მძლავრი შემამსუბუქებელი გარემოებები). ეს მომენტი მნიშვნელოვან ეჭვს აჩენს, რომ იგი კვლავ ჩაიდენს ამგვარ დანაშაულს, რაც კერძო პრევენციის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია;

8.2.3. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა — ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისეთი ხასიათის ადმინისტრაციული გადაცდომები, რომელთა განმეორებით ჩადენა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს, მაგ ძალადობრივი ხასიათის და ა.შ.

8.2.4. დანაშაულის ჩადენა იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული — ცალკე შეფასების საგანია ის შემთხვევა, როდესაც პირი სჩადის სსკ-ის გარკვეული თავით გათვალისწინებულ დანაშაულებს. ეს ასპექტი ასევე შეფასებას მოითხოვს და, რასაკვირველია, იგი დამძიმების კონტექსტში უნდა იქნეს განხილული;

8.2.5. მსჯავრდებული წინა სასჯელისგან განთავისუფლდა ამნიტიის, შეწყალების, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების, სასჯელის გადავადების, მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის ან სხვა საშეღავათო საშუალებით, ან მისთვის დანიშნული სასჯელი შემცირდა რომელიმე ზემოაღნიშნული მოქმედების შედეგად — ამ შემთხვევაში ეს გარემოებები უნდა შეფასდეს მიუხედავად იმისა, თუ რა სახის დანაშაული ჰქონდა ჩადენილი პირს - გაუფრთხილებელი, თუ განზრახი, აგრეთვე ნასამართლობა არ უნდა იყოს მოხსნილი ან გაქარწყლებული.

9. დამნაშავის პირადი პირობები

9.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში

9.1.1. ასაკი — როგორც წესი, სასჯელის განსაზღვრისას ასაკი რელევანტური ფაქტორი არ არის, შესაძლოა ეს გახდეს შემცირებული სასჯელის განსაზღვრის მიზეზი იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული ასაკოვანია, ფიზიკურად დაუძლურებულია და როდესაც ნაკლებად მკაცრი სასჯელი შესაძლოა თანაბრად ეფექტური იყოს და ნაკლებად ხარჯიანი იყოს, ვიდრე თავისუფლების აღკვეთა. გარდა ამისა, განსაკუთრებულ შემთხვევებში სრულწლოვანი პირის მიმართ შესაძლოა მისი ახალგაზრდობის გამო სასჯელი გარკვეულწილად შემცირდეს (დანაშაულის

ხასიათის, ხარისხისა და მისი მონაწილეობის გათვალისწინებით);

9.1.2. უფროსის მეთვალყურეობის ნაკლებობა ახალგაზრდის მიმართ — ამგვარი ფაქტორები შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს მაშინ, როდესაც ხდება დამნაშავეობის სხვადასვა ხარისხის შედარება და დადგენა იმ პირებთან მიმართებით, რომელთაც ანალოგიური დანაშაული ჩაიდინეს. ზოგადად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტორს, რომ ახალგაზრდა იზრდებოდა უფროსი ადამიანის, მშობლების, მეურვის, თუ სხვა ახლო ნათესავთა აქტიური ზედამხედველობის გარეშე;

9.1.3. ოჯახთან კავშირი და პასუხისმგებლობა — ბრალდებულის ოჯახთან კავშირისა და ოჯახზე მზრუნველობის, ანუ ფინანსური მხარდაჭერის ვალდებულების შემთხვევაში შესაძლოა განხილულ იქნეს სასჯელის შემცირება. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დანაშაულის სერიოზულობა, ასევე ის, მონაწილეობდა თუ არა ბრალდებულის ოჯახის რომელიმე წევრი ამ დანაშაულში და შეექმნა თუ არა მის ოჯახს საფრთხე ამ დანაშაულის ჩადენის შედეგად. გარდა ამისა, სასამართლომ უნდა გააანალიზოს ბრალდებულის მიერ ოჯახზე მზრუნველობის შეწყვეტა ან ფინანსური მხარდაჭერის პასუხისმგებლობის განუხორციელებლობა მნიშვნელოვან, პირდაპირ ზარალს მიაყენებს თუ არა ბრალდებულის ოჯახს. ამ ანალიზისას სასამართლომ უნდა განსაზღვროს, პრაქტიკულად არსებობენ თუ არა ბრალდებულის ფუნქციის ალტერნატიული შემსრულებლები მის ოჯახში და ამასთან, არ არის აუცილებელი, რომ ეს შენაცვლება განხორციელდეს 100%-ით;

9.1.4. შეზღუდული შერაცხადობა — სრულწლოვან და არასრულწლოვან პირებთან მიმართებით შეზღუდული შერაცხადობა შესაძლოა მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდეს სასჯელის მინიმალურ ზომასთან მიახლოებული ზომის გამოსაყენებლად, ასევე ნაკლებად მკაცრი სასჯელის სახის არჩევისას;

9.1.5. ავადმყოფობა — მსჯავრდებული პირის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობას შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული პოზიტიური ეფექტი სასჯელის შემცირებასა, თუ ნაკლებად მკაცრი სასჯელის სახის გამოყენებაზე. ყველა შემთხვევაში გასათვალისწინებელია ჩადენილი დანაშაულის ხასიათი;

9.1.6. ორსულობა — როგორც წესი, ორსულობა, აქტუალური ფეხმძიმობა ის გარემოებაა, რომელსაც სათანადო ყურადღება დაეთმობა სასჯელაღსრულების ფარგლებში, თუმცა მას გარკვეულ შემთხვევაში შესაძლოა ჰქონდეს პოზიტიური ეფექტი სასჯელის შემცირებასა, თუ ნაკლებად მკაცრი სასჯელის სახის გამოყენებაზე. ამ შემთხვევაში, სასურველია, თუ დაფიქსირდება გარკვეული სახის ჰუმანური დამოკიდებულება ამგვარ პირობებში მყოფი ქალის მიმართ, თუმცა მას შემდეგ, რაც გათვალისწინებული იქნება დანაშაულის ხასიათი და სიმძიმე.

9.1.7. მცირეწლოვანი შვილ(ებ)ის ყოლა — თუ დამნაშავეს ჰყავს მცირეწლოვანი შვილები, რომლებიც მის კმაყოფაზე არიან, სასურველია, რომ პირველ რიგში სწორედ მათი ინტერესების გათვალისწინებით შემცირდეს სასჯელი.

9.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში

9.2.1. ეკონომიკური დანაშაულის ჩადენა შეძლებული პირის მიერ.

10. ბრალდებულის/მსჯავრდებულის ეკონომიკური პირობები[4]

10.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში

10.1.1. როდესაც მსჯავრდებულის ეკონომიკური პირობები სუსტია, მას არ გააჩნია მუდმივი სამუშაო ადგილი, ასევე უძრავ-მოძრავი ქონება, სასამართლო უნდა მოერიდოს სასჯელად ჯარიმის გამოყენებას.

10.1.2. თუ მსჯავრდებული ან მისი ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, დაუშვებელია მის მიმართ სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენება (ძირითადად, საუბარია დამატებით სასჯელად ჯარიმის გამოყენებაზე), გარდა იმ შემთხვევისა, თუ სასჯელის ალტერნატივას მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს (ძირითადი სასჯელის დანიშვნის შემთხვევაში).

10.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში

10.2.1. სასამართლოს უნდა გააჩნდეს საკმარისი დამარწმუნებელი მტკიცებულებები მსჯავრდებულისათვის სასჯელად ჯარიმის დასანიშნად. ჯარიმის ოდენობა დამოკიდებული უნდა იყოს მსჯავრდებულის შესაძლებლობაზე. იგი არ უნდა იყოს იმდენად დიდი, რომ ამან გამოიწვიოს მსჯავრდებული პირის გაუსაძლის პირობებში ჩაყენება. გარდა ამისა, ჯარიმის ოდენობა ჩადენილი დანაშაულის პროპორციულიც უნდა იყოს. როდესაც ჯარიმა დამატებით სასჯელად ინიშნება, იგი არ უნდა იყოს ძირითადი სასჯელის პროპორციული და მას არ უნდა უწევდეს კონკურენციას სიმძიმის თვალსაზრისით. როდესაც მსჯავრდებულის ეკონომიკური პირობები ძლიერია, გააჩნია მუდმივი სამუშაო ადგილი, სასამართლოს შეუძლია მის მიმართ სასჯელად გამოიყენოს ჯარიმა. უძრავ-მოძრავი ქონების არსებობა ყოველთვის არ არის რელევანტური ფაქტორი იმის დასასაბუთებლად, რომ სასამართლომ პირს შეუფარდოს ჯარიმა, რადგან შესაძლებელია მივიდეთ საკუთრების უფლების შელახვამდე. ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს სასამართლო ამგვარ გარემოებას.

10.2.2. როდესაც სახეზეა ფინანსური დანაშაული, რომელსაც სჩადის მეწარმე ან მსგავსი სუბიექტი, მის მიმართ ფინანსური სასჯელის სახის დანიშვნას შესაძლოა უფრო მძლავრი ეფექტი ჰქონდეს, ვიდრე თავისუფლების აღკვეთას ან სხვა სასჯელს. ამგვარი კატეგორიის პირებს ფინანსურმა დარტყმამ, მათი ბიუჯეტის დაცარიელებამ ან შემცირებამ შესაძლოა უფრო მძლავრად გააცნობიერებინოს ჩადენილი ქმედება, ვიდრე — თავისუფლების აღკვეთამ.

11. ბრალდებულის ყოფაქცევა ქმედების შემდეგ

11.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში:

11.1.1. დანაშაულის ჩადენის შემდეგ მაქსიმალურად იმოქმედა, რათა შემცირებულიყო უარყოფითი შედეგები — მაგ. გამოუძახა სასწრაფოს, სახანძროს და ა.შ.

11.1.2. აღიარა დანაშაული ანუ პასუხისმგებლობა იკისრა დანაშაულისათვის — აღიარების შემთხვევაში, სასურველია, რომ სასჯელი შემცირდეს მხოლოდ იმის გამოც კი, რომ პირმა პასუხისმგებლობა იკისრა ჩადენილი დანაშაულისათვის. ეს გარკვეულწილად ამცირებს სისხლის სამართლის პროცესის ხარჯებსაც და, რაც მთავარია, ბრალის აღიარება ბრალდებულის ნების გამოვლენის პირველი

4 ამ შემთხვევაში ეკონომიკური პირობები უნდა შეფასდეს მხოლოდ იმ მიზნით, რათა შეირჩეს სასჯელის სახე. სხვა შემთხვევები ეკონომიკურ მდგომარეობასთან მიმართებით გათვალისწინებულია სხვა პარაგრაფებში.

მნიშვნელოვანი ნაბიჯია საკუთარი თავის რეაბილიტაციისათვის.

11.1.3. ნებაყოფლობით ჩაბარდა სამართალდამცავ ორგანოებს — აღნიშნული ფაქტიც გარკვეულწილად იმაზე მიუთითებს, რომ ბრალდებული/მსჯავრდებული ნანობს ჩადენილ დანაშაულს და მზადაა ამისათვის პასუხისმგებლობა იკისროს;

11.1.4. ნებაყოფლობით დაეხმარა სამართალდამცავ ორგანოებს დანაშაულის იარაღისა და შესაბამისი მტკიცებულებების ამოღებაში, შემთხვევის ადგილზე დეტალურად აღწერა მის მიერ განხორციელებული ქმედება — ეს გარემოება მნიშვნელოვანი ასპექტია მსჯავრდებულის სასჯელის შემცირების თვალსაზრისით, რაც მიმართულია სამართალდამცავ ორგანებთან თანამშრომლობისაკენ. ეს ქმედება ხელს უწყობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და საამისოდ არ გახდება საჭირო დიდი ფინანსური რესურსების გამოყენება;

11.1.5. დანაშაულის ჩადენის შემდეგ გაიარა ან გადის სარეაბილიტაციო კურსს — მაგალითად, ნარკოლოგიურს, ალკოჰოლურს და ა.შ.

11.1.6. ითანამშრომლა გამოძიებასთან, დაასახელა სხვა პირები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ დანაშაულთან, დაასახელა ფაქტები, რომლებიც მიუთითებს სხვა დანაშაულზე, რომელიც მზადდებოდა ან მზადდება; მისი უშუალო ხელშეწყობით გამოაშკარავდა სხვა დანაშაული და.ა.შ. ბუნებრივია, ეს ინფორმაცია უნდა იყოს რეალური და არსებითი, რათა მათზე მოხდეს შესაბამისი რეაგირება. ამასთან, მნიშვნელოვანია, რამდენად დროულად მიაწოდა მან ეს ინფორმაცია. რამდენად მასშტაბურ ხასიათს ატარებს დანაშაულის შესახებ შეტყობინება და ა.შ. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხებზე პოზიცია დააფიქსიროს ბრალდების მხარემ ანუ აღინიშნოს, მისი გადმოსახედიდან როგორ აღიქმება ბრალდებულის თანამშრომლობა, რასაკვირველია — შესაბამისი დასაბუთებით;

11.1.7. ბრალდებულის მისწრაფებას შეურიგდეს დაზარალებულს/დაზარალებული ითხოვს, რომ ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ იქნეს მსუბუქი სახის სასჯელი;

11.1.8. თუ ორგანიზატორმა, წამქეზებელმა და ფსიქიკურმა დამხმარემ თავიანთი მოქმედებით ვერ შეძლეს თავიდან აეცილებინათ ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრება, მაშინ მათ მიერ მიღებული ზომები სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას შეიძლება მიიჩნიოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად სსკ-ის მ. 21(4);

11.1.9. დამნაშავის ქცევა სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში და სასამართლო განხილვისას — გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ბრალდებულის ქცევას, დამოკიდებულებას, მიდგომას მართლმსაჯულების სისტემისადმი, მის ქცევას სასამართლო სხდომებზე, კონსტრუქციულ დამოკიდებულებას აღნიშნული პროცესისადმი, მისი მხრიდან სასამართლოსადმი გამოხატულ ნდობას და ა.შ.

11.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში

11.2.1. მსჯავრდებულმა დამალა გვამი, გზის პირიდან გადასწია მსხვერპლი, რომელსაც გადაადგილება არ შეეძლო და ა.შ.;

11.2.2. მართლმსაჯულების აღსრულებაში ხელის შეშლა — იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულმა განზრახ შეუშალა ხელი, დააბრკოლა ან შეეცადა დაებრკოლებინა, ან ხელი შეეშალა გამოძიებისათვის, სისხლისსამართლებრივი დევნისათვის, ან იმ დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის შეფარდებისათვის, რომელიც მსჯავრდების საფუძველზე ხორციელდება, კერძოდ: ბრალდებული

დაემუქრა, დააშინა ან სხვა მართლსაწინააღმდეგო გავლენა მოახდინა მოწმეზე, ან სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე სხვა ბრადებულზე, ან შეეცადა აღნიშნულის გაკეთებას, გააყალბა მტკიცებულება, შეურაცხოფა მიაყენა მოსამართლეს ან სასამართლოს და ა.შ. — ყველა ამგვარი ქმედება მოითხოვს ცალკე შეფასებას და მას სათანადო აღნიშვნა სჭირდება. მართლმსაჯულების სისტემისათვის ხელის შეშლა და უპატივცემულობის ყოველი შემთხვევა მკაცრად უნდა დაისაჯოს, რადგან ამგვარი დანაშაულები ძირს უთხრის საზოგადოების რწმენას სიმართლისა და სამართლიანობისადმი, ასევე ხალხის ნდობას მართლმსაჯულების ორგანოებისადმი და ა.შ.

12. რა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებად

12.1. შემამსუბუქებელი გარემოების კონტექსტში

12.1.1. არ არის ნასამართლევი;

12.1.2. არ არის ნარკოტიკების მომხმარებელი — თუ პირს მსჯავრი დაედო სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, არ არის მიზანშეწონილი ეს ფაქტი მიეთითოს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.

12.1.3. ამ კონტექსტში საერთოდ არ არის რელევანტური დამნაშავე პირის რასობრივი, სქესობრივი კუთვნილება, წარმომავლობა, რწმენა, რელიგია, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი და სხვა მსგავსი ნიშნები.

12.2. დამამძიმებელი გარემოების კონტექსტში[5]

12.2.1. არ ასახელებს დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებს;

12.2.2. არ აანაზღაურა ზიანი;

12.2.3. არ თანამშრომლობს გამოძიებასთან;

12.2.4. არ აღიარებს დანაშაულს;

12.2.5. მიიმალა.

12.2.6. ამ კონტექსტში საერთოდ არ არის რელევანტური დამნაშავე პირის რასობრივი, სქესობრივი კუთვნილება, წარმომავლობა, რწმენა, რელიგია, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი და სხვა მსგავსი ნიშნები.

13. სასჯელის ცალკეული კომპონენტის დასაბუთების ზოგიერთი პრაქტიკული მაგალითი[6]

13.1. ქრთამი — სასამართლო აღნიშნავს, რომ ქრთამის დანაშაული განსაკუთრებით საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ინტერესებს, დემოკრატიული სტრუქტურების ფუნქციონირებას, მომსყიდველობისა და მიკერძოებულობის გავრცელებას. ის განსაკუთრებით დესტრუქციულია მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისათვის ქრთამის მიცემასთან, რაც ხელს უწყობს დანაშაულის დაფარვას, მის წახალისებას და გავრცელებას, რაც საბოლოო ჯამში სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მავნებელი და დამაზიანებელია, რადგან საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობის იდეას, რის გამოც სასამართლოს მიზანშეუწონილად მიაჩნია სსკ-ის 339-ე მუხლთან მიმართებით ლმობიერი სასჯელის გამოყენება;

5 დაუშვებელია, მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის დამამძიმებლად მიეთითოს ისეთი გარემოება, რომლის შესრულებას ან დაკმაყოფილებას კანონი მას არ ავალდებულებს!

6 მსგავსი ხასიათის დასაბუთება შესაძლებელია გაკეთდეს ნებისმიერ დანაშაულზე.

13.2. სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული — სასამართლოს მიაჩნია, რომ როდესაც ჩადენილი დანაშაული ეხება ადამიანის სიცოცხლეს, მის შემდგომ არსებობას, სასჯელის საკმარისობის თვალსაზრისით ლმობიერი სასჯელის გამოყენება მიზანშეუწონელია. ასეთ დროს უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოებაში იმ განწყობის დანერგვას, რომ ადამიანებმა ერთმანეთი არ უნდა გაიმეტონ სასიკვდილოდ, რომ თითოეულ მათგანს აქვს სიცოცხლის უფლება და მას დაცვა სჭირდება. როგორც საქართველოს კონსტიტუციითა და შიდა კანონმდებლობით, ასევე მრავალი საერთაშორისო აქტით გარანტირებულია სიცოცხლის უფლება და მისი მშვიდობიან პირობებში შელახვის ყოველი მცდელობა მკაცრად უნდა იქნეს პასუხგაცემული როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოების მხრიდან, რასაკვირველია, ცივილიზებული ფორმებით;

13.3. გაქცევა — სასამართლოს მიაჩნია, რომ ა-ს მიმართ გაქცევის ეპიზოდში გამოყენებულ უნდა იქნეს მკაცრი სასჯელი, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის თავისუფლებისკენ სწრაფვა გასათვალისწინებელი ფაქტორია, მსუბუქი სასჯელის გამოყენებით არ უნდა წახალისდეს ეს დანაშაული და მისი ფონი, მით უმეტეს — მკაცრი რეჟიმის დაწესებულებებში. აღნიშნული საფრთხეს უქმნის არა მარტო სასჯელაღსრულების ადმინისტრაციის თანამშრომელთა უსაფრთხოებას, არამედ, ზოგადად, საზოგადოებისას. ერთი მხრივ, გვირაბის გათხრა ქმნის პატიმართა გარკვეული რაოდენობის გაქცევის გონივრულ საფრთხეს, ხოლო სხვა საშუალებებით გაქცევა საფრთხეს უქმნის როგორც თავად პატიმართა, ისე თანამშრომელთა სიცოცხლეს;

13.4. გაუპატიურება (სქესობრივი დანაშაული) — გაუპატიურება ხშირად გენდერთან დაკავშირებული დანაშაულია და ძირითადად ქალების წინააღმდეგ არის ჩადენილი. სექსუალური ძალადობა მასობრივ შიშს, ხანგრძლივ ემოციურ და ფიზიკურ ტკივილსა და რიგ შემთხვევებში საცხოვრებელი ადგილის სამუდამოდ შეცვლას იწვევს. გარდა ამისა, ამგვარი დანაშაულები განაპირობებს არა მხოლოდ მსხვერპლის, არამედ მისი ოჯახის ტანჯვას და უარყოფითი ეფექტის მომცველია, რომელიც შესაძლოა, მთლიანად საზოგადოებაზეც გადავიდეს. ამგვარი ძალადობა ადამიანის იმდენად ინტიმურ გარემოს ლახავს, რომ მისი დავიწყება ძალიან ძნელია და ხშირად ეს იარა დიდხანს არ ყუჩდება, გარკვეულწილად დამღად რჩება პირის ცხოვრებაში. ამგვარ მსხვერპლს ხშირად აღენიშნება ფიზიკური და ფსიქოლოგიური პრობლემები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსუბუქი სახის სასჯელის გამოყენება მიზანშეუწონელია;

13.5. სახელმწიფო წარმომადგენლის მიერ დანაშაულის ჩადენა — სასამართლოს მიაჩნია, რომ როდესაც სახელმწიფოს წარმომადგენელი (განსაკუთრებით კი თანამდებობის პირი/სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი — თუ ასეთი შემთხვევაა), რომელიც ვალდებულია დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ფუნდამენტური უფლება — ადამიანის ჯანმრთელობა და თავისუფლება — დანაშაულის ხასიათის შესაბამისად), ადამიანის უფლებები — სჩადის დანაშაულს, სასჯელის საკმარისობის თვალსაზრისით, ლმობიერი სასჯელის გამოყენება მიზანშეუწონელია. პირიქით, ასეთ პირებს უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, ვიდრე ჩვეულებრივ დამნაშავეებს, რადგან ამ შემთხვევაში სამსჯავროზეა არა მხოლოდ თითოეული დამნაშავის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, არამედ სახელმწიფოს ვალდებულებაც, აღმოფხვრას დაუსჯელობის სინდრომი, რომელიც დამნაშავეებს შეიძლება გააჩნდეთ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ გარკვეული თანამდებობა უკავიათ, აგრეთვე ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ქვეყნის მმართველობითი სისტემის მიმართ სათანადო ნდობისა და პატივისცემის შენარჩუნება-განმტკიცებას;

13.6. **სამართალდამცავის (პოლიციელის) მიერ დანაშაულის ჩადენა** — სასამართლოს მიაჩნია, რომ როდესაც სახელმწიფოს წარმომადგენელი, განსაკუთრებით კი

სამართალდამცავი/პოლიციის თანამშრომელი, რომელიც ვალდებულია დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, მართლწესრიგი, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ფუნდამენტური უფლება — ადამიანის ჯანმრთელობა და თავისუფლება — სჩადის დანაშაულს, სასჯელის საკმარისობის თვალსაზრისით, ლმობიერი სასჯელის გამოყენება მიზანშეუწონელია. პირიქით, ასეთ პირებს უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, ვიდრე ჩვეულებრივ დამნაშავეებს, რადგან ამ შემთხვევაში სამსჯავროზეა არა მხოლოდ თითოეული დამნაშავის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, არამედ სახელმწიფოს ვალდებულებაც, აღმოფხვრას დაუსჯელობის სინდრომი, რომელიც დამნაშავეებს შეიძლება გააჩნდეთ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ გარკვეული თანამდებობა უკავიათ, აგრეთვე ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ქვეყნის სამართალდამცავი სისტემის მიმართ სათანადო ნდობისა და პატივისცემის შენარჩუნება-განმტკიცებას.

14. სასჯელის დანიშვნის დროს გასათვალისწინებელი ცალკეული შემთხვევები

14.1. თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში (სსკ. მ.3(2)).

14.2. თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი (სსკ. მ. 3(3)).

14.3. სასჯელის დანიშვნისას შესაძლებელია გაკეთდეს აღნიშვნა დანაშაულთა კატეგორიებზე (ნაკლებად მძიმე, მძიმე, განსაკუთრებით მძიმე).

14.4. სასჯელის მიზნები — სასჯელის დასაბუთებისას მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს სასჯელის მიზნები და დასაბუთდეს ისინი კონკრეტული სასჯელის სახისა და ზომის გამოყენებასთან მიმართებით. სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

14.5. სასჯელის დასაბუთებისას დაუშვებელია ისეთი ფორმულირებების გამოყენება, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მიანიშნებს, რომ სასჯელი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ადამიანის ფიზიკური ტანჯვის ან ღირსების დამცირებისათვის.

14.6. სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

14.6.1. სამართლიანობის აღდგენას დიდი მნიშვნელობა აქვს, სწორედ ამიტომ ხორციელდება სისხლის სამართლის პროცედურა. ამ მიზნის მიღწევა პროპორციული სასჯელის გამოყენებით ხაზს უსვამს სახელმწიფოს ქმედით მუშაობას, რათა მიღწეულ იქნეს კანონის უზენაესობა;

14.6.2. **ახალი დანაშაულის თავიდან აცილება** — აუცილებელია, დასაბუთდეს სასჯელის გამოყენების პრევენციული ხასიათი. შესაძლოა, არსებობდეს როგორც კერძო, ასევე ზოგადი პრევენცია. ორივე მათგანი ემსახურება საზოგადოების სიმშვიდეს, ახალი დანაშაულების თავიდან აცილებას, კრიმინალის შემცირებას. კერძო პრევენციის მიზანი მიიღწევა მსჯავრდებულზე სასჯელის ისეთი ზემოქმედებით, რომ მომავალში აღარ ჩაიდინოს ახალი დანაშაული. კერძო პრევენციის გაანალიზება და შეფასება უნდა მოხდეს განსაკუთრებით იმ საფუძვლებით, როდესაც პირს არაერთ დანაშაულში ედება ბრალი (მაგ. არაერთგზისობა, განგრძობადობა და დენადობა, დროის მოკლე პერიოდში რამდენიმე დანაშაულის ჩადენა, ერთგვაროვანი ტიპის დანაშაულების ჩადენა).

ზოგადი პრევენცია, როგორც წესი, ემსახურება საზოგადოების ფართო მასების გაფრთხილებას, რომ თუ ასეთ დანაშაულს ჩაიდენენ, მათ მიმართაც მკაცრი მიდგომა იქნება გამოყენებული. ზოგადი პრევენციის შესაფასებლად ასევე მნიშვნელოვანია გარკვეული დანაშაულების მომრავლება ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონში.

14.6.3. დამნაშავის რესოციალიზაცია — ეს ფაქტორი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. სასჯელის გამოყენება უნდა იყოს პროპორციული, რათა მსჯავრდებულმა გააცნობიეროს ჩადენილი ქმედება და გამოიტანოს სათანადო დასკვნები, მოახდინოს საკუთარი თავის რეაბილიტაცია და ღირსეულ წევრად დაუბრუნდეს საზოგადოებას.

14.7. ყველა დანაშაულთან მიმართებით სასამართლომ კარგად უნდა აწონ-დაწონოს თუ რომელი დამატებითი სასჯელი (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ჯარიმა ან თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა) უნდა იქნეს გამოყენებული.

14.8. სისხლის სამართლის კოდექსის გარკვეული მუხლები ორი სასჯელის ერთდროულად გამოყენებას თავადვე ითვალისწინებს, რასაც ასევე შესაბამისი ყურადღება უნდა მიექცეს (მაგ. სსკ-ის 332(1), 276(1) და ა.შ.), თუმცა, ბუნებრივია, მოცემულ შემთხვევაში მეორე სასჯელი — თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა — გამოიყენება დამატებით სასჯელად და ორი ძირითადი სასჯელი ერთი დანაშაულისათვის არ დაინიშნება.

14.9. სასჯელის განსაზღვრისას აუცილებელია შემოწმდეს, კონკრეტულ პირთან მიმართებით შესაძლებელია თუ არა შესაბამისი სახის სასჯელის გამოყენება, კანონი ხომ არ კრძალავს ამ ჯგუფის მიმართ კონკრეტული სახის სასჯელის გამოყენებას.

14.10. თავისუფლების აღკვეთის გამოყენებისას (თუ მუხლი სხვა სახის სასჯელებსაც ითვალისწინებს) მოსამართლემ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ არის აუცილებელი ბრალდებულის საზოგადოებისაგან იზოლაცია; არის თუ არა სასჯელის ესა თუ ის ზომა საქმის გარემოებებისა და მსჯავრდებულის პიროვნების პროპორციული.

14.11. სასურველია, ასევე აქტიურად იქნეს გამოყენებული სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლას, მაგრამ თუ საქმე მაინც მიდგება თავისუფლების აღკვეთის დანიშვნაზე, ეს ნორმა უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ უნდა მოხდეს შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში.

14.12. უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენებისას მნიშვნელოვანია განსაკუთრებული წესით იქნეს ახსნილი, თუ რამ გადააწყვეტინა სასამართლოს ამგვარი უმკაცრესი ზომის შეფარდება.

14.13. ქონების ჩამორთმევა აუცილებელია დასაბუთდეს განაჩენის სამოტივაციო ნაწილში, რადგან საქმე ეხება საკუთრების უფლების შეზღუდვას და ამ საკითხისათვის გვერდის ავლა ყოველთვის შექმნის საკუთრების უფლების შელახვის სერიოზულ განწყობას.

14.14. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის მიღწევას. ამიტომ, სასურველია, დასაბუთდეს, თუ რამ განაპირობა ნაკლებად მკაცრი სასჯელის გამოუყენებლობა.

14.15. თუ სს კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ან მუხლის ნაწილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად ითვალისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებას, იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ

მიიღება — აღნიშნული წესი იმპერატიულია, თუმცა ამ წესიდან გადახვევა შესაძლებელია, რადგანაც სანქციას აქვს ქვედა და ზედა ზღვარი, ამიტომ ურიგო არ იქნება, თუ ასეთი შემადგენლობის ნიშნები შეფასდება.

14.16. თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავე გამოცხადდა ბრალის აღიარებით, აქტიურად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას და არ არსებობს დამამძიმებელი გარემოებანი, სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამ მეოთხედს — ეს ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და შესაბამისი გარემოებების არსებობისას იგი მოსამართლემ აუცილებლად უნდა გამოიყენოს (სსკ. მ. 54).

14.17. დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება გარემოებანი, რომელთა გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი — აქ იგულისხმება ის გარემოებები, თუ რამ შეუშალა ხელი დამნაშავეს დანაშაულის ჩადენაში: თავად გადაიფიქრა, სხვებმა შეუშალეს ხელი, ვითარება დახვდა მოულოდნელი და ა.შ.

14.18. დანაშაულში თანამონაწილეობისა და დანაშაულის ამსრულებლობისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება პირის ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, ამ მონაწილეობის მნიშვნელობა დანაშაულის მიზნის მიღწევაში, მისი გავლენა გამოწვეული ან შესაძლებელი ზიანის ხასიათსა და ხარისხზე.

14.19. დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. აღნიშნული მოთხოვნა იმპერატიულია და მასზე მითითება სავალდებულოა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ნასამართლობა არასრულწლოვანების პერიოდს უკავშირდება, ნასამართლობა გაქარწყლებული ან მოხსნილია, ან ნასამართლობა, რომელიც ქმნის რეციდივს, ახალი დანაშაულის შემადგენლობის ნიშანია.

14.20. სასჯელთა შეჯამებისას დამატებითი სასჯელები შეიკრიბება ცალკე და ძირითადი სასჯელი ვერ შთანთქავს მას.

14.21. სასჯელის ვადაში უნდა ჩაითვალოს დაკავების, პატიმრობისა და საექსტრადიციო პატიმრობის ვადები.

14.22. მნიშვნელოვანია, რომ ადეკვატურად იქნეს გამოყენებული სსკ-ის 62(5) მუხლი, რომლის თანახმად, „თუ პირს, რომელიც სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში იყო, ძირითად სასჯელად დაენიშნა ჯარიმა ანდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, სასამართლო პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით შეუმსუბუქებს მას დანიშნულ სასჯელს ან მთლიანად გაათავისუფლებს მისი მოხდისაგან~.

14.23. ჯარიმა შესაძლოა იყოს დასჯის სრულიად მართებული და ლეგიტიმური ფორმა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მას ეკონომიკური ზეგავლენა, ან შედეგი აქვს. ამიტომ მათი გამოყენება შესაძლოა, უფრო ადეკვატური იყოს ეკონომიკურ დანაშაულებზე.

14.24. დამამძიმებელი გარემოებების არარსებობისას, სასურველია, არ იქნეს გამოყენებული თავისუფლების აღკვეთა (ბუნებრივია, დანაშაულის გარემოებების გათვალისწინებით) და არჩევანი გაკეთდეს ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელზე ან მისი მოხდის რეჟიმზე.

14.25. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ შემთხვევებს, როდესაც, მართალია,

სრულწლოვნის მიმართ ხდება განაჩენის გამოტანა, მაგრამ მას დანაშაული არასრულწლოვანების დროს აქვს ჩადენილი. ამ შემთხვევაში მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სსკ-ის 88-ე მუხლით გათვალისწინებული შეღავათები.

14.26. თუ მოსამართლე მსჯავრდებულის მიმართ იყენებს სსკ-ის 88-ე მუხლს, ცალკე მის შემამსუბუქებელ გარემოებებში არასრულწლოვანებაზე მითითება არასწორია, რადგან ამ გარემოებას თავად კოდექსი მიიჩნევს შემამსუბუქებლად და აწესებს სასჯელის შემცირების ზომას. შესაბამისად, თუ ინიშნება თავისუფლების აღკვეთაზე მსუბუქი სახის სასჯელი, არასრულწლოვანება, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება, მიეთითება სასჯელის დასაბუთებისას.

14.27. **ამსრულებელთა და თანამონაწილეთა სიმრავლე** — თუ დანაშაული რამდენიმე ამსრულებელმა ერთობლივად ჩაიდინა, და თუ სახეზეა ერთგვაროვანი ან მიახლოვებული შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, თითოეულის მიმართ სასჯელი უნდა განისაზღვროს დანაშაულში მათი მონაწილეობის ხარისხისა და ზომის მიხედვით. სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღება პირის ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, ამ მონაწილეობის მნიშვნელობა დანაშაულის მიზნის მიღწევაში, მისი გავლენა გამოწვეული ან შესაძლებელი ზიანის ხასიათსა და ხარისხზე.

14.28. როგორც წესი, დამამძიმებელი გარემოებების არარსებობისას არ უნდა იქნეს გამოყენებული სასჯელის უმკაცრესი ან მასთან მიახლოებული ზომა, რადგან იგი ვერ იქნება სამართლიანი და ადეკვატური.

14.29. არ არის მიზანშეწონილი, იმ პირის მიმართ, ვისაც მსჯავრი დაედო სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, სასამართლომ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიუთითოს, რომ იგი ასევე არის მომხმარებელი.

14.30. რიგ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ პირმა ჩაიდინა ერთი მუხლის ფარგლებში გათვალისწინებული რამდენიმე ქმედება, მაგ.: შეძენა, შენახვა, დამზადება, გასაღება და ა.შ.

14.31. როგორც წესი, ბრალდებულის დახასიათება შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს როგორც შემამსუბუქებელ, ისე დამამძიმებელ გარემოებად, თუმცა სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს ამგვარი დახასიათების სისრულეს, მის გამცემ პირს, რამდენად ქმნის იგი ზუსტ სურათს ამ პირის შესაფასებლად, რამდენად რეალური შეიძლება იყოს იგი საქმის გარემოებებისა და თავად ამ დახასიათების შინაარსის გათვალისწინებით.

15. ცალკეული პირის მიმართ ან ცალკეული სასჯელის გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებები

15.1. **უვადო თავისუფლების აღკვეთა** (ინიშნება მხოლოდ ძირითად სასჯელად) — უვადო თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება დაინიშნოს დანაშაულის მომზადების ან მცდელობისათვის. უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაენიშნება იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა სამოცი წელი.

15.2. **თავისუფლების აღკვეთა** (ინიშნება მხოლოდ ძირითად სასჯელად) — ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციას, ამიტომ უნდა დასაბუთდეს, რატომ არსებობს მისი იზოლაციის აუცილებლობა.

15.3. **ჯარიმა** (ინიშნება როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად) — ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც

განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლით და სხვა გარემოებით. თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის განსაზღვრული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. ამ შემთხვევაში არასრულწლოვნის გადახდისუუნარობა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებებით.

15.4. **თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა** (ინიშნება როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად) — ამ დროს მსჯავრდებულს ეკრძალება ეკავოს დანიშვნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ანდა ეწეოდეს პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას. სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, თუ რა უარყოფით ზეგავლენას მოახდენს მსჯავრდებულის შესაბამისი საქმიანობა ან თანამდებობაზე დარჩენა, რამ გამოიწვია მისი ამ საქმიანობისაგან ჩამოშორების აუცილებლობა, რა მხრივ გამოიწვევს ზიანს მისი თანამდებობაზე დარჩენა ან საქმიანობა. ეს სასჯელი დამატებითად დაინიშნება, თუ დანაშაულის საშიშროების ხასიათის, ხარისხისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით, სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს შეუნარჩუნოს მას თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება.

15.5. **საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა** (ინიშნება როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად) — საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახეს განსაზღვრავს პრობაციის ბიურო.

15.6. **გამასწორებელი სამუშაო** (ინიშნება მხოლოდ ძირითად სასჯელად) — ამ სასჯელის გამოყენებისას აუცილებელია დასტურდებოდეს, რომ მსჯავრდებული მუშაობს და აქვს შესაბამისი შრომის ანაზღაურება. მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში თანხის დაქვითვისას (არანაკლებ ხუთისა და არაუმეტეს ოცი პროცენტისა) დაქვითული ხელფასის პროცენტული ოდენობა უნდა დადგინდეს ხელფასის ოდენობის, ვალდებულებების, კმაყოფაზე მყოფი მეუღლის, არასრულწლოვანი შვილებისა და ხანდაზმული მშობლების, ასევე საარსებო მინიმუმის გათვალისწინებით.

15.7. **სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა** (ინიშნება მხოლოდ ძირითად სასჯელად) — ენიშნება მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეს (იგივეა, რაც გამასწორებელი სამუშაო). მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში თანხის დაქვითვისას (არაუმეტეს ოცი პროცენტისა) დაქვითული ხელფასის პროცენტული ოდენობა უნდა დადგინდეს ხელფასის ოდენობის, ვალდებულებების, კმაყოფაზე მყოფი მეუღლის, არასრულწლოვანი შვილებისა და ხანდაზმული მშობლების, ასევე საარსებო მინიმუმის გათვალისწინებით.

15.8. **თავისუფლების შეზღუდვა** (ინიშნება მხოლოდ ძირითად სასჯელად) — ენიშნება ნასამართლობის არმქონე მსჯავრდებულს. თავისუფლების შეზღუდვა არ დაენიშნება პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს.

15.9. **ქონების ჩამორთმევა** (ინიშნება მხოლოდ ძირითად სასჯელად) — ინიშნება მხოლოდ განზრახი დანაშაულისათვის. ქონების ჩამორთმევა აუცილებლად უნდა დასაბუთდეს განაჩენის სამოტივაციო ნაწილში, ვინაიდან იგი საკუთრების უფლებას ლახავს. ამიტომ აუცილებელია აიხსნას ის მიზეზები და საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლებიც საფუძვლად დაედო ზემოაღნიშნული სასჯელის გამოყენებას.

15.10. **არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა** — არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნის დროს, ამ კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ

გარემოებებთან ერთად მხედველობაში მიიღება მისი ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, ფსიქიკური განვითარების დონე, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სხვა პიროვნული თავისებურებანი, მასზე ასაკით უფროსი პირის ზეგავლენა. სსკ-ის 88-ე მუხლი არასრულწლოვნის მიმართ გამოიყენება მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას და არა ასევე სხვა სასჯელთა გამოყენებისას, კერძოდ: თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე არასრულწლოვნისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდება ერთი მესამედით. ამასთანავე, საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს ათ წელს. თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდება ერთი მეოთხედით. ამასთანავე, საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს თხუთმეტ წელს.

15.11. **არასრულწლოვნის მიმართ** სასჯელის შეფარდების მიზანი უნდა იყოს რეინტეგრაცია, იგი უნდა იყოს კონსტრუქციული და არა სადამსჯელო ხასიათის — რეინტეგრაციისათვის საუკეთესო საშუალება არასაპატიმრო სასჯელთა გამოყენება და მათზე გარკვეული მოვალეობების დაკისრებაა.

სასჯელის დასაბუთება[1]

1 ავტორი: ალექსანდრე იაშვილი – საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე, თსუ-ს დოქტორანტი, 2014.

შინაარსი

1. საკითხის აქტუალობა 212

2. სასჯელის მიზნები და ძირითადი პრინციპები 212

3. სასჯელის დასაბუთების ძირითადი საკითხები სსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად 213

სასჯელის დასაბუთებისას გასათვალისწინებელი მატერიალურ-სამართლებრივი საკითხები: 214

1. დანაშაულის მოტივი და მიზანი; 215
2. ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება 216
3. მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა; 218
4. ქმედების განხორციელების სახე და ხერხი; 219
5. მართლსაწინააღმდეგო შედეგი. 220

მსჯავრდებულის პიროვნება: 220

1. დამნაშავის წარსული ცხოვრება; 220
2. დამნაშავის პირადი და ეკონომიკური პირობები; 222
3. დანაშაულის ჩადენის შემდგომი ყოფაქცევა (განსაკუთრებით დამნაშავის მისწრაფება, ზიანი აუნაზღაუროს დაზარალებულს ან შეურიგდეს მას). 223

4. სასჯელის დასაბუთების ძირითადი საკითხები სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად 225

5. სასჯელის დასაბუთების ძირითადი საკითხები სსკ-ის 56-ე მუხლის თანახმად 226

6. სასჯელის დასაბუთების ძირითადი საკითხები სსკ-ის 57-ე მუხლის თანახმად 226

1. საკითხის აქტუალობა

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი (სსსკ — მუხ. 259.1.). განაჩენის სამართლიანობა განისაზღვრება მსჯავრდებულისათვის ადეკვატური სასჯელის დანიშვნით — დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით. ამასთან, მოსამართლის მიერ კანონის ამ მოთხოვნის მხოლოდ გათვალისწინება და სასჯელის სწორად დანიშვნა არ არის საკმარისი, თუ განაჩენში — სასჯელის დასაბუთების ნაწილში არ არის არგუმენტირებული სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის გამოყენება, ვინაიდან მკითხველისთვის ეს საკითხი ბუნდოვანი, ხოლო უარეს შემთხვევაში შესაძლოა სრულიად გაურკვეველიც კი დარჩეს და მაღალი ალბათობით განაჩენის უარყოფითად შეფასების წინაპირობად იქცეს.

საკითხის აქტუალურობასა და პრობლემატურობას განაპირობებს ის გარემოებებიც, რომ ყველა კონკრეტული დანაშაული, ჩადენის ხერხების, გარემოებების გათვალისწინებითა და მისი ჩამდენი პირის ინდივიდუალურობიდან გამომდინარე, რადიკალურად განსხვავებულია, რის გამოც შეუძლებელია წინამდებარე სარეკომენდაციო წინადადებებში თუნდაც შესაძლო ვარიანტების უმრავლესობის მიმოხილვა. მიმოხილული და ჩამოყალიბებული იქნება მხოლოდ სასჯელის სწორად დასაბუთების ძირითადი მიმართულებები, ხოლო მოსამართლემ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს სასჯელის ამა თუ იმ სახის/ზომის გამოყენების საფუძვლიანობა და შესაბამისად უნდა ასახოს განაჩენში.

სასჯელის დასაბუთების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია იმ შემთხვევებში, როდესაც სსკ-ის ერთი და იმავე მუხლით მსჯავრდებულ პირს ენიშნება სხვადასხვა ზომის სასჯელი, ხოლო განაჩენში არ არის მითითებული, თუ რატომ შეუფარდა მსჯავრდებულს მოსამართლემ სასჯელის ესა თუ ის ზომა, მაგალითად: სასამართლო პრაქტიკაში საკასაციო საჩივრებში მსჯავრდებულს არაერთხელ დაუფიქსირებია პოზიცია, რომ დანაშაულში თანამონაწილე მეორე პირს შეეფარდა უფრო მსუბუქი სასჯელი, ხოლო მას — გაცილებით მძიმე, ან იმავე მუხლით მსჯავრდებულ მის თანამოსაკნეს შეფარდებული აქვს ასევე გაცილებით მსუბუქი სასჯელი. უმრავლეს შემთხვევაში განსხვავებულ სასჯელებს, თუნდაც ერთ სისხლის სამართლის საქმეზე მსჯავრდებული სხვადასხვა პირის მიმართ, აქვს მყარი სამართლებრივი საფუძველი, ემყარება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს, თუმცა ამ საფუძვლების სათანადო ასახვისა და სასჯელის დასაბუთების გარეშე, მკითხველისათვის, განსაკუთრებით არაიურისტისათვის, სრულებით გაურკვეველია, რატომ მიიღო მოსამართლემ ასეთი გადაწყვეტილება.

ამდენად, განაჩენის სამოტივაციო ნაწილში სასჯელის გამოყენების დაუსაბუთებლობა ეწინააღმდეგება განაჩენის საპროცესო სამართლებრივ - სამართლიანობის სტანდარტს (სსსკ — მუხ. 259. 1, 4.) და გაუგებელს ხდის მკითხველისათვის ფუნდამენტური — სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის პრაქტიკაში გამოყენებას, რაც თავის მხრივ განაჩენის მიმართ ამცირებს საზოგადოების ნდობას.

2. სასჯელის მიზნები და ძირითადი პრინციპები

მოსამართლის მიერ სასჯელის დანიშვნა უნდა ემყარებოდეს: *ა) კანონიერების, ბ) სამართლიანობისა* და *გ) სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპებს*, რაც შესაბამისად უნდა აისახოს სასამართლოს განაჩენში (სასჯელის დასაბუთების ნაწილი).

სასჯელი კანონიერია, თუ იგი დანიშნულია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და კერძო ნაწილის ნორმების შესაბამისად. სასჯელის კანონიერების პრინციპის გამოხატულებაა: არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე და სასჯელის დანიშვნის დროს ანალოგიის გამოყენება დაუშვებელია.

სასჯელი სამართლიანია, თუ იგი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი დაცულია, თუ მოსამართლე სასჯელს დანიშნავს სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქციის ფარგლებში, კონკრეტული საქმის გარემოებებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, ამავე კოდექსის 53-57-ე მუხლებით გათვალისწინებული თითოეული გარემოების მხედველობაში მიღებითა და განაჩენში სათანადოდ ასახვის გზით.

მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი უნდა *ემსახურებოდეს სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნებს.*

სასჯელის მიზნებისა და პრინციპების რეალიზაციის კონკრეტული შესაძლებლობები დეტალურად განხილული იქნება ქვემოთ.

3. სასჯელის დასაბუთების ძირითადი საკითხები სსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად

სამართლიანობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპების რეალიზაცია დამოკიდებულია სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის სწორად გაგება-გამოყენებასა და სასამართლოს შეფასებების განაჩენში სათანადოდ ასახვაზე. აღნიშნული ნორმის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით — მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის კოდექსით ამომწურავად არ არის განსაზღვრული შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს სასჯელის სახესა და ზომაზე, აღნიშნული მოსამართლემ თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად უნდა განსაზღვროს და შეაფასოს.

საქართველოს სსკ-ში პირდაპირ არის მითითებული, რომ სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას (სსკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ამდენად, კანონმდებლის მიერ ამ რეგულაციის დაწესებით უპირატესობა ენიჭება სასჯელის ნაკლებად მკაცრ სახეს და ზომას, თუმცა აღნიშნული რეგულაციის პრაქტიკაში რეალიზაცია დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე, მსჯავრდებულის პიროვნებაზე და უნდა შეფასდეს სასჯელის მიზნების უზრუნველყოფის ფარგლებში.

შენიშვნა: დაუშვებელია, მოსამართლე სასჯელის დასაბუთებისას შემოიფარგლოს მხოლოდ სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის ჩანაწერის განაჩენში გადმოტანით, როგორც ეს ხშირ შემთხვევაში ხდება. სასჯელის სათანადოდ დასაბუთება გულისხმობს სწორედ აღნიშნულ მუხლში მითითებულ თითოეულ სტანდარტთან საქმის გარემოებებისა და მსჯავრდებულის პიროვნების შედარებას და შესაბამისი დასკვნების განაჩენში სათანადოდ ასახვას.

სასჯელის დასაბუთება და მისი სასამართლოს განაჩენში სათანადოდ ასახვა, სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს ორი კომპონენტის მიხედვით, კერძოდ: 1. **სასჯელის დასაბუთების მატერიალურ-სამართლებრივი** თვალსაზრისით და 2. **მსჯავრდებულის პიროვნების** გათვალისწინებით. ამ კომპონენტებში შემავალი თითოეული გარემოება მოსამართლემ უნდა შეუსაბამოს კონკრეტული

საქმის მოცემულობას და საქმის ინდივიდუალურობიდან გამომდინარე დაასაბუთოს ბრალდებულისათვის კონკრეტული სასჯელის დანიშვნის მიზანშეწონილობა.

შენიშვნა: საქმის გარემოებებიდან გამომდინარე შესაძლოა ცალკეულ შემთხვევებში შეუძლებელი იყოს მსჯავრდებულის პიროვნების რომელიმე მახასიათებლის ან მატერიალურ-სამართლებრივი საკითხის დადგენა და მისი განაჩენში ასახვა. ასეთ შემთხვევაში მოსამართლემ სასჯელი უნდა დაასაბუთოს ყველა სხვა დადგენილი გარემოების მიხედვით. თუ სასამართლო განხილვისას დგინდება სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კონკრეტული ნიშანი, მაგრამ იგი სხვადასხვა მიზეზის გამო ასახული არ არის სასჯელის დასაბუთების ველში, ეს მიუთითებს სასჯელის დასაბუთების არასრულყოფილებაზე.

სასჯელის დასაბუთებისას გასათვალისწინებელი მატერიალურ-სამართლებრივი საკითხები

სასჯელის დასაბუთებისას გასათვალისწინებელი მატერიალურ-სამართლებრივ საკითხებში იგულისხმება დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი, მართლსაწინააღმდეგო შედეგი და, შესაბამისად, მათი გავლენა სასჯელის სახესა და ზომაზე (დამძიმების ან შემსუბუქების თვალსაზრისით).

ამ თვალსაზრისით აქტუალურია თითოეული ამ ინსტიტუტის სწორად, ამომწურავად გააზრება და მთავარი კითხვისათვის _ როგორ უნდა გავითვალისწინოთ და ავსახოთ განაჩენში სასჯელის დანიშვნა/დასაბუთების თვალსაზრისით დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი, ზომა და ა.შ.?

შენიშვნა №1: თუ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ან მუხლის ნაწილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად ითვალისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებას, იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღება[2]. ამდენად, თუ შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება გათვალისწინებული არ არის კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად, სასჯელის დანიშვნისა და დასაბუთებისას სავალდებულოდ უნდა იქნეს გამოყენებული.

შენიშვნა №2: სასჯელის დასაბუთებისას გასათვალისწინებელ მატარიალურ-სამართლებრივ საკითხებთან (მოტივი, მიზანი, შედეგი და სხვ.) მიმართებით ქვემოთ მოცემულ რეკომენდაციებში არ იქნება მითითებული მაგ: ყველა ის მოტივი და მიზანი, რომელიც დამამძიმებელ ან შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს თავად სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებში, ვინაიდან ისინი შინაარსობრივად მოცემულია სსკ-ის კერძო ნაწილის ყველა იმ მუხლში, რომელშიც ბუნებაში, ობიექტურად დამამძიმებელ ან შემამსუბუქებელ გარემოებას შეიძლება წარმოადგენდეს (გამონაკლისი შესაძლოა არსებობდეს, თუმცა ძალიან მცირე). შესაბამისად, მათი გათვალისწინება სასჯელის დანიშვნის დროს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებად უმრავლეს შემთხვევაში, სსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შეუძლებელია. კონკრეტულ მაგალითებში მითითებული იქნება მხოლოდ ის მოტივი და მიზანი, რომლებსაც სსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის რეგულაციის პირობებში აქვთ პრაქტიკულად არსებობის შესაძლებლობა. **მაგ:** დანაშაულის ჩადენა მძევლად ხელში ჩაგდების მიზნით წარმოადგენს სსკ-ის 109-ე, 117-ე, 118-ე, 144-ე და სხვა მუხლების მაკვალიფიცირებელ გარემოებას ან შემადგენლობის ნიშანს და ამ მიზნით, როგორც წესი, ვერ იქნება ჩადენილი ქურდობა, თაღლითობა და სხვა ამ კატეგორიის დანაშაულები (გამონაკლისია სხვისი ნივთის დაუფლება იმ მიზნით, რომ დაიქირაოს ამსრულებელი პირის მძევლად ხელში ჩაგდების მიზნით — პრაქტიკაში არ ფიქსირდება). ამდენად, ისეთი მოტივები და მიზნები, რომლებიც პრაქტიკული თვალსაზრისით შესაძლოა თითქმის არც არსებობდეს,

2 საქ. სსკ, 22 ივლისი, 1999 წ. მუხ. 53, ნაწ. 4.

ნაშრომში მინიმუმამდე იქნება შემცირებული.

შენიშვნა №3: დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების ხარისხობრივი შეფასება განსაკუთრებით რთული საკითხია. აღნიშნულს აქტუალურობას მატებს ის შემთხვევები, როდესაც ერთდროულად სახეზეა რამდენიმე დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოება, რომელთა ხარისხის დასადგენად რაიმე „ფორმულის~ წინასწარ შემუშავება შეუძლებელია. შემსუბუქების ან დამძიმების ხარისხი უერთიერთკავშირში უნდა შეაფასოს მოსამართლემ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ინდივიდუალურობიდან გამომდინარე, ხოლო რაც შეეხება თითოეული გარემოების შეფასების ზოგად კრიტერიუმებს, მათ ქვემოთ წარმოგიდგენთ.

1. **დანაშაულის მოტივი და მიზანი** — სამართლიანი სასჯელის დანიშვნისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის მოტივის/მიზნის სწორად დადგენასა და გააზრებას. სასჯელის დასაბუთებისას ყურადღება უნდა მიექცეს მოტივისა და მიზნის **შინაარსს, ხასიათს, არის ის კონკრეტული, მცირე, პირადული, თუ ფართო მასშტაბის, საზოგადოების ფართო ინტერესებიდან გამომდინარე ან მის წინააღმდეგ მიმართული.**

დანაშაულის მოტივი სასჯელის დამძიმების თვალსაზრისით

ა. დანაშაულის ჩადენა დისკრიმინაციული მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება[3];
ბ. ხულიგნური ქვენაგრძნობით;
გ. ანგარებით;
დ. სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით;
ე. პატივმოყვარეობით (განდიდების მოყვარეობით, „მაგარი ბიჭობით~, დაიმკვიდროს საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დომინირებული მდგომარეობა, მაგ: უბანში, ქურდული მენტალიტეტის მქონე ადამიანებში);
ვ. შურისძიებით;
ზ. ყველა სხვა მოტივით, რომელიც საზოგადოებრივ წესრიგს, კულტურისა და ზნეობის ნორმებს მაღალი ხარისხით ეწინააღმდეგება.

დანაშაულის მოტივი სასჯელის შემსუბუქების თვალსაზრისით

ა. მძიმე ოჯახური მდგომარეობა;
ბ. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა;
გ. ავადმყოფობა;
დ. ყველა სხვა მოტივი, რომელიც ადამიანური თვალსაზრისით, კულტურისა და ზნეობის ნორმების გათვალისწინებით, დანაშაულის ჩადენის მიუხედავად, არ მიუთითებს გასაკიცხაობის მაღალ მაჩვენებელზე სასჯელის სამართლიანობის კონტექსტში.

დანაშაულის მიზანი სასჯელის დამძიმების თვალსაზრისით

ა. სხვა დანაშაულის ჩადენის ან მისი გაადვილების მიზნით. მაგ: პირი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ეუფლება სხვის ნივთს, რათა შეიძინოს ნარკოტიკული საშუალება.
ბ. შურისძიება (როგორც წესი აღნიშნული არის მოტივი, თუმცა შესაძლოა შურისძიება იყოს მიზანიც. მაგ: დანაშაულს (ქურდობა, მკვლელობა) იდენს პირი იმ მიზნით, რომ გაამწაროს ადამიანი, მისი ახლო ნათესავები, შური იძიოს მათზე);
გ. დაშინება;

3 საქ. სსკ, 22 ივლისი, 1999 წ. მუხ. 53, ნან. 3[1], — დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.

დ. ყველა სხვა ბოროტი, ხულიგნური, არაზნეობრივი, არაეთიკური მიზნით, რომელიც ხარისხობრივად საზოგადოებაში დამკვიდრებული წესებს მაღალი ხარისხით ეწინააღმდეგება/ხელყოფს.

დანაშაულის მიზანი სასჯელის შემსუბუქების თვალსაზრისით

ა. ვინმეს ჯანმრთელობის ან სიცოცხლის გადარჩენის მიზნით (მაგ: 1. სასწრაფო დახმარების მძღოლი მოძრაობის წესებს არღვევს, რათა დროულად მივიდეს შემთხვევის ადგილზე, სადაც პიროვნება არის მძიმედ დაჭრილი. ამ დროს ეჯახება ფეხით მოსიარულეს და გაუფრთხილებლობით სიცოცხლეს უსპობს მას);

ბ. იმ მიზნით, რომელიც რაიმე მძიმე მდგომარეობის განმუხტვასა და მის აღმოფხვრას ემსახურება და სახეზე არ გვაქვს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი, რომელიმე გარემოება (**მაგ:** რესტორნის დაცვის თანამშრომელი მოჩხუბართა გაშველებისას გაუფრთხილებლობით სიცოცხლეს უსპობს ერთ-ერთ პირს);

გ. რაიმე სახით მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან თავის დაცვის მიზნით, როდესაც სახეზე არ გვაქვს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება.

დ. სხვა ყველა იმ მიზნით, რომელიც არ არის ბოროტების, არაეთიკურობისა და არაზნეობრიობის მაღალი ხარისხით გამოხატული;

შენიშვნა: ოჯახის შექმნის მიზნით — სსკ-ის 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში, ვინაიდან დანაშაულის ჩადენის მიზანი უფრო ნაკლებადაა საზოგადოებრივად საშიში, სასჯელი რეკომენდებულია იყოს უფრო ნაკლები (თუმცა არა მინიმუმი, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში იგი ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს), ვიდრე ყაჩაღობის დროს თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, როდესაც ტყეში თავისუფლებააღკვეთილი პირი იყინება და კვდება (უკანასკნელი გამოირჩევა მაღალი საზოგადოებრივი საშიშროებით და ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნებაც არის უფრო საშიში). **ამასთან,** თუ თავისუფლების აღკვეთას ოჯახის შექმნის მიზნით თან ახლავს გაუპატიურება (სსკ-ის 137-ე მუხლი), დანაშაულის მიზანი ვერ იქნება შემამსუბუქებლი ხასიათის.

2. **ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება** — აღნიშნული იურიდიული ცნების არსი თავისი შინაარსით ურთულესია და ქართულ იურიდიულ სინამდვილეში ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული არ არის. მიუხედავად ამისა, ერთი რამ ცხადია: სასჯელის დანიშვნის დროს აქტუალურია მართლსაწინააღმდეგო ნების ხარისხობრივი მაჩვენებლის განსაზღვრა, რამაც შემდგომ გავლენა უნდა მოახდინოს სასჯელის დამძიმების ან შემსუბუქების თვალსაზრისით. მართლწინააღმდეგობის ხარისხობრივ მაჩვენებელში უნდა მოვიაზროთ, რამდენად მწვავედ ეწინააღმდეგება იგი დადგენილ მართლწესრიგს, ზნეობისა და კულტურის ნორმებს. სწორედ ამ გარემოებებთან კავშირში უნდა განისაზღვროს პირის ნება — სურვილი, მისწრაფება, რამდენად საშიშია, მტკიცეა და იგი, როგორც პირის ფსიქოლოგიური გამოხატულება და დამოკიდებულება, უნდა შეფასდეს მართლწინააღმდეგობასთან მიმართებით. **მაგალითად**: 1. 70 წლის ქალბატონის გაუპატიურება 25 წლის ბიჭის მიერ ხარისხობრივად მიუთითებს სუბიექტის განსაკუთრებით ბოროტ, არაზნეობრივ, არაეთიკურ მართლსაწინააღმდეგო ნებაზე, რამაც უნდა გამოიწვიოს სასჯელის მკვეთრად დამძიმება. 2. მოსამართლის, პოლიციელის შვილის მიმართ რაიმე ძალადობრივი დანაშაულის ჩადენა სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით ასევე მიუთითებს საზოგადოებრივად საშიშ, ბოროტ მართლსაწინააღმდეგო ნებაზე.

დასაბუთების ნიმუში: სასამართლო ასევე ითვალისწინებს ბრალდებულ გ.ს-ს მიერ ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, კერძოდ, მის მიერ გამოხატულ დამოკიდებულებას აშკარად დაუპირისპირდეს საზოგადოებრივ წესრიგს, მის დამცველებს, მათ კანონიერ მითითებებსა და გადაწყვეტილებებს, რაც მისი მართლსაწინააღმდეგო ნების მეტ სიბოროტესა და მომეტებულ საშიშროებაზე მიუთითებს.

შენიშვნა №1: მოსამართლემ სასჯელის დასაბუთების ველში შესაძლოა იმსჯელოს გასათვალისწინებელ გარემოებებზე (ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოტივი, მიზანი და ა.შ.) და ტერმინოლოგიურად არ მიუთითოს, რომ კონკრეტული გარემოება სასჯელის დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებაა, მაგრამ აღნიშნოს, რომ იგი მიუთითებს მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებაზე, მეტ სიბოროტეზე, გამოიწვია მოვალეობათა დარღვევა მაღალი ხარისხით, განსაკუთრებულ წინააღმდეგობაშია ზნეობისა და მორალის ნორმებთან და სხვა.

შენიშვნა №2: ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება დგინდება განზრახ (პირდაპირი და არაპირდაპირი) დანაშაულებთან მიმართებით. რაც შეეხება გაუფრთხილებელ დანაშაულს, მართლსაწინააღდგენო ნება დგინდება მხოლოდ თვითიმედოვნებით ჩადენილი ქმედებების შემთხვევაში, ხოლო დაუდევრობით ჩადენილ ქმედებებში ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების დადგენა შეუძლებელია.

ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება სასჯელის დამძიმების თვალსაზრისით

ა. **ქმედება, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით** (როდესაც პირი მსხვერპლს აყენებს მრავლობით დაზიანებებს, ეს ხაზს უსვამს მის მტკიცე და ბოროტ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოკლას მსხვერპლი ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენოს მას. შესაძლოა ქმედება დაკვალიფიცირებული იყოს სსკ-ის 108-ე მუხლით, იმის გამო, რომ მსხვერპლი დანის პირველი დარტყმით გარდაიცვალა, ხოლო სხვა 15 ჭრილობა არ არის სიცოცხლისდროინდელი, თუმცა ბრალდებულის მიერ მსხვერპლისათვის დანის არაერთჯერადი დარტყმა ზრდის მართლწინააღმდეგობის ხარისხს, რომელშიც მისი ნება, მოკლას მსხვერპლი მტკიცე და ურყევია, შესაბამისად, გავლენა უნდა მოახდინოს სასჯელის ზომაზე დამძიმების თვალსაზრისით);

ბ. **დანაშაულის ჩადენა მარტოხელა დედის, ორსული ქალის, მოხუცის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, არასრულწლოვნის მიმართ** (ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება ასეთ ვითარებაში უფრო საშიში და ბოროტია. ამ შემთხვევაში სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გარემოებას, რომ დამნაშავეს წინასწარ შეცნობილი ჰქონდა მსხვერპლის ვინაობა (სტატუსი));

გ. ანგარებითა და შეკვეთით ჩადენილი ქმედებები;

დ. ყველა იმ მოტივით, მიზნით, გარემოებებში, პირის მიმართ ჩადენილი ქმედება, სადაც ნათლად იკვეთება მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება, მართლწესრიგის ნორმების განსაკუთრებული უპატივცემულობა და უგულებელყოფა, ნების სიმტკიცე, გამორჩეული სიბოროტე, ცინიზმი, სიძულვილი, ასევე ისეთი პირების მიმართ, რომლებიც საზოგადოებაში თავისი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო მომეტებულ პატივისცემას ან გაფრთხილებას საჭიროებენ (ორსული ქალის, მოხუცის, არასრულწლოვნის მიმართ და სხვა).

ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება სასჯელის შემსუბუქების თვალსაზრისით

ა. დაზარალებულის პროვოკაციული ქცევის შემდეგ ჩადენილი ქმედება;

ბ. შემთხვევით მომხდარი რაიმე ფაქტის პირობებში ჩადენილი ქმედება;

გ. დანაშაულის ჩადენა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების პირობებში, ასევე აუცილებელი მოგერიების ან დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომების გადაცილებით ჩადენილ მსგავს დანაშაულებში, თუმცა, როდესაც ფორმალურად სახეზე არ არის ყველა სამართლებრივი წინაპირობა (მაგ: ძლიერი სულიერი

აღელვების მდგომარეობაში ქმარი იცავს მეუღლეს, რომელთანაც არ იმყოფება სამოქალაქო ქორწინებაში და კლავს თავდამსხმელს. მეგობარი იცავს მეგობარს და კლავს თავდამსხმელს. შესაძლოა სახეზე იყოს უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების თითქმის ყველა ნიშანი, მაგრამ ვინაიდან ახლო ნათესავად არ ითვლება სამოქალაქო ქორწინებაში არ მყოფი მეუღლე, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება უფრო მძიმე მუხლით - სსკ-ის 108-ე ან 109-ე მუხლებით);

დ. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში, თუ ფაქტობრივად განხორციელებული ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს (აღნიშნული ნების მერყეობაზე მიუთითებს);

ე. შეზღუდული შერაცხადობის პირობებში;

ვ. სხვა **ყველა იმ მოტივით, მიზნით, გარემოებებში, პირის მიმართ ჩადენილი ქმედება, სადაც ნათლად იკვეთება დაბალი საზოგადოებრივი საშიშროება, მართლწესრიგის ნორმების მცირე უპატივცემულობა და უგულებელყოფა, ნების არადამაჯერებლობა, მერყეობა.**

3. მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა

მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომასთან მიმართებით რაიმე ერთმნიშვნელოვანი განმარტება სასამართლო პრაქტიკაში არ არსებობს. აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, ამ ცნებაში მოიაზრება მხოლოდ მაგ: მოხელის, სამხედრო მოსამსახურისა და სხვა პირთა მოვალეობების დარღვევა, რომელთაც ეს მოვალეობები დაკისრებული აქვთ რაიმე ნორმატიული ან სხვა აქტით, ასევე ხელშეკრულებით, თუ მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა უნდა განიმარტოს ფართო გაგებით და მასში მოვიაზროთ ყველა შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტის მიერ მართლწესრიგის ნორმების დარღვევა. ამ დათქმას სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილში არ აქვს კონკრეტული ხასიათი და შესაძლოა მასში უფრო მეტად ზოგადი გაგება მოიაზრებოდეს, თუმცა კომისიის მუშაობის პროცესში ამ საკითხის დამოუკიდებლად განხილვა აუცილებელია, რათა განისაზღვროს სწორი და ერთმნიშვნელოვანი მიდგომა.

მოვალეობათა დარღვევის ხასიათთან მიმართებით მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს, რომ რაც უფრო საშიში, მწვავე ხასიათი აქვს მოვალეობათა დარღვევასა და უგულებელყოფს მას, ხოლო მოვალეობათა დარღვევის ზომასთან მიმართებით, რაც უფრო მაღალია დარღვევის ზომა, ხარისხი, მით უფრო უნდა დამძიმდეს სასჯელის ზომა, რაც ამ კრიტერიუმების მითითებით ხაზგასმით უნდა აისახოს განაჩენში.

მოვალეობათა დარღვევის ხასიათთან დაკავშირებული მაგალითები:

ა) მოვალეობათა დარღვევის ხასიათს უფრო მწვავე და საშიში გამოხატულება აქვს, ასევე უფრო მეტი რისკის შემცველია, როდესაც **მაგ**: დანაშაულის სუბიექტი არის საწარმოს ხელმძღვანელი, თანამდებობის პირი, ვიდრე ეს საწარმოს დამლაგებლის ან რიგითი მოხელის შემთხვევაშია.

ბ) პირს, რომელსაც საზოგადოების, საწარმოს, ორგანიზაციის წინაშე მეტი პასუხისმგებლობა აკისრია, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი მისი მხრიდან უფრო მეტი საფრთხის შემცველია, ვიდრე იმ პირების მხრიდან, ვისი პასუხისმგებლობაც დაბალია და საზოგადოებას, იურიდიული ან ფიზიკური პირის ინტერესებს არ შეუძლია შეუქმნას ხარისხობრივად და ხასიათით დიდი საფრთხე. **მაგ**: რკინიგზის სამსახურის იმ თანამშრომელს, რომელიც აკონტროლებს მატარებლების მოძრაობის განრიგს და მასზეა დამოკიდებული, რომ ერთ ლიანდაგზე არ მოხვდეს ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავი ორი მატარებელი, მისი მოვალეობათა დარღვევის ხასიათი უფროს საშიში და რისკის შემცველია, ვიდრე რკინიგზის იმ თანამშრომლის, რომელიც ახორციელებს მგზავრთა გაცილებასა და მომსახურებას.

გ) საზოგადოებრივად და სახელმწიფოებრივად რაც უფრო მეტად მნიშვნელოვანი უფლებამოსილების განხორციელებას ეხება საკითხი, მით უფრო მაღალი და საშიშია მოვალეობათა დარღვევის ხასიათი, ვიდრე მცირე მნიშვნელობის საკითხებზე.

დ) მოვალეობათა დარღვევის ხასიათი გამომდინარეობს კონკრეტული საქმის გარემოებიდან, მისი ინდივიდუალურობიდან და ყველა შემთხვევაში შეუძლებელია წინასწარ განსაზღვრო, რომ ერთი პირის (ბავშვის მომვლელი) მიერ ყველა შეთხვევაში მოვალეობათა დარღვევის ხასიათი იდენტურია. აქაც მოსამართლეზეა დამოკიდებული, რამდენად წორად შეაფასებს მოვალეობათა დარღვევის ხასიათს. **მაგ:** ბავშვის მომვლელის (ძიძის) მიერ ბავშვის უყურადღებოდ დატოვება პატარა სკვერში უფრო საშიშია და მოვალეობათა დარღვევის ხასიათიც — უფრო მწვავე, ვინაიდან იქ საფრთხე მეტია — მაწანწალა ძაღლები დარბიან, ხოლო სკვერს მთავარი საავტომობილო გზა ესაზღვრება, ვიდრე ბავშვის ოთახში უყურადღებოდ დატოვება, სადაც შესაძლოა, მაქსიმუმ საწოლიდან გადმოვარდეს და ჯანმრთელობის დაზიანება მიიღოს.

მოვალეობათა დარღვევის ზომასთან დაკავშირებული მაგალითები:

რაც უფრო მეტად არღვევს რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით პირი მოვალეობას, მით უფრო მძიმე უნდა იყოს სასჯელი, მაგალითად:

ა) მოხელის მიერ ქრთამის აღება (338) — ერთ შემთხვევაში — 5000 ლარის, ხოლო მეორე შემთხვევაში — 100 ლარის. პირველ შემთხვევაში მოვალეობათა დარღვევის ზომა მაღალია, ხოლო მეორე შემთხვევში — დაბალი, შესაბამისად, უნდა აისახოს განაჩენში სასჯელის დამძიმების/შემსუბუქების თვალსაზრისით.

ბ) ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების დროს (117) — ამ ფარგლებში ერთ შემთხვევაში პირი მსხვერპლს აჭრის ყურის ბიბილოს, ხოლო მეორე შემთხვევაში — მთლიანად ყურს. პირველ შემთხვევაში მოვალეობათა დარღვევის ზომა დაბალია, ხოლო მეორეში მაღალი.

გ) მოვალეობათა დარღვების ზომა ასევე უკავშირდება დამდგარი ზიანის მოცულობას. სხვისი ნივთის გაუფრთხილებლობით დაზიანების დროს (188) მნიშვნელოვანი ზიანი ერთ შემთხვევაში სახლის ერთი ოთახის დაწვაა, ხოლო მეორე შემთხვევაში — მთლიანად სახლისა. ცხადია, მოვალეობათა დარღვევის ზომა მეორე შემთხვევაში უფრო მაღალია.

დ) ქურდობის დროს (177) ავტომანქანის წინააღმდეგ პირი მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება ა) ავტომანქანის სარკეებს და ბ) ავტომანქანის საბურავებს, სარკეებს, აკუმულატორს. აქაც მოვალეობათა დარღვევის ზომა მეორე შემთხვევაში უფრო მაღალია.

4. ქმედების განხორციელების სახე და ხერხი

რაც უფრო საშიშია ქმედების განხორციელების სახე და ხერხი, მით უფრო მაღალი უნდა იყოს სასჯელი, ხოლო როცა უფრო მარტივი და ნაკლებად საშიშია, სასჯელიც უნდა იყოს უფრო დაბალი, **მაგალითად**:

ა) მოკვლის მიზნით დანის ერთჯერადი დარტყმა მუცლის არეში უფრო ნაკლებად საშიშია, ვიდრე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან 15 ტყვიის სროლა, ან პირის — მყარად ხელ-ფეხგაკრულისა და სიმძიმემობმულის ტბაში, ზღვაში გადაგდება.

ბ) დანაშაულის ჩადენა (მკვლელობა, ყაჩაღობა) საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სკვერში, მეტროს სადგურში, ავტოსადგურში და სხვა მსგავს ადგილებში. ასეთი სახით განხორციელებული ქმედება უფრო საშიშია.

გ) ყაჩაღობის დროს უფრო მძიმეა სიცოცხლისათვის საშიში მუქარა, ვიდრე ჯანმრთელობისათვის საშიში მუქარა.

დ) მკვლელობა ბავშვის თანდასწრებით ხარისხობრივად უფრო საშიშია, ვიდრე სრულწლოვნის თვალწინ.

შენიშვნა: მოსამართლის სახელმძღვანელო პრინციპი სასჯელის დასაბუთების დროს ქმედების განხორციელების სახესა და ხერხთან მიმართებით უნდა მდგომარეობდეს შემდეგში: რაც უფრო საშიშია, რთულია და მეტად უპირისპირდება მართლწესრიგს ქმედების განხორციელების სახე და ხერხი, მით უფრო მკაცრი უნდა იყოს სასჯელი და პირიქით.

5. მართლსაწინააღმდეგო შედეგი

მართლსაწინააღმდეგო შედეგი მატერიალურ დანაშაულებში ყოველთვის დანაშაულის შემადგენლობის ან მაკვალიფიცირებელი გარემოებაა. ამდენად, მისი გამოყენება დამამძიმებელ ან შემამსუბუქებელ გარემოებად ვერ მოხდება, სსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე.

გარკვეულ უსამართლობას იწვევს ის ფაქტი, რომ მაგალითად, ქურდობის შემთხვევაში, ჩადენილი დიდი ოდენობით — 10 000 ლარს ზემოთ, პირი დაეუფლა 10 001 ლარს თუ 300 000, სასამართლო ვერ აფასებს სასჯელის დანიშვნის დროს და ვერ ასახავს განაჩენში სსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე. ამ მიმართებით თუნდაც რაიმე ირიბი მსჯელობა ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება ამ ნორმას.

რაც შეეხება დაუმთავდებელ დანაშაულებზე სასჯელის დანიშვნის წესს, იგი გათვალისწინებულია ასეთი შემთხვევებისათვის სასჯელის დანიშვნის სპეციალური ნორმით — სსკ-ის 56-ე მუხლით, რაც ცალკე იქნება განხილული.

რეკომენდაცია: *დასაშვებ შემთხვევებში (როდესაც იგი დანაშაულის შემადგენლობის ან მაკვალიფიცირებელი ნიშანი არ არის) მართლსაწინააღმდეგო შედეგი მოსამართლემ სასჯელის დანიშვნისას უნდა გაითვალისწინოს და განაჩენში ასახოს შემდეგი მიმართებით: დამძიმების თვალსაზრისით, რაც უფრო მძიმე, დიდი და მასშტაბურია მართლსაწინააღმდეგო შედეგი სასჯელის ზომა უფრო მაღალი უნდა იყოს, ხოლო რაც უფრო მცირე, უმნიშვნელო და არაარსებითი ზიანი სხვა გასათვალისწინებელ გარემოებებთან ურთიერთკავშირში უნდა შემცირდეს სასჯელის ზომა.*

მსჯავრდებულის პიროვნება

განაჩენში სასჯელის დასაბუთების ამ ნაწილში მოსამართლემ უნდა მიუთითოს და იმსჯელოს დამნაშავის წარსულ ცხოვრებაზე, პირად და ეკონომიკურ პირობებზე, ყოფაქცევაზე ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით მისი მისწრაფებაზე, აანაზღაუროს ზიანი და შეურიგდეს დაზარალებულს. ასევე ყველა იმ გარემოებაზე, რაც წარმოაჩენს მსჯავრდებულის პიროვნებას, მის ხასიათს და გავლენას მოახდენს სასჯელზე;

1. დამნაშავის წარსული ცხოვრება

ა) **წარსულში ნასამართლობა** — დამამძიმებელი გარემოებაა. ა) კვალიფიკაციისას იგულისხმება განსახილველ საქმეზე დანაშაულებრივი ქმედების ჩადენამდე არსებული ნასამართლობა და არა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე არსებული სხვა დანაშაული და მასზე არსებული ნასამართლობა, შესაბამისად, სასჯელის დანიშვნის დროსაც დამნაშავის წარსული ცხოვრების კონტექსტში გათვალისწინებული უნდა იქნეს განსახილველ საქმეზე არსებული დანაშაულის ჩადენამდე მყოფი ნასამართლობა (დადასტურებული კანონიერ ძალაში შესული განაჩენით). ბ) სასჯელის დანიშვნის დროს პიროვნების შეფასებისათვის ასევე შეიძლება გათვალისწინებული იქნეს განსახილველი დანაშაულის ჩადენის შემდგომ ჩადენილი ქმედებისათვის არსებული ნასამართლობა, რაც დასტურდება კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

შენიშვნა: წარსულში ნასამართლობის დამძიმების ან შემსუბუქების ხარისხი უნდა შეაფასოს მოსამართლემ. აღნიშნულის შეფასების ზოგადი კრიტერიუმები კი შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: ა) თუ პირი ნასამართლევია ძალადობრივი დანაშაულისათვის, ან ნასამართლევია რამდენჯერმე, უფრო მძიმე სასჯელი უნდა განესაზღვროს, ვიდრე არაძალადობრივი დანაშაულისათვის ნასამართლევ ან ერთხელ ნასამართლევ პირს. ბ) არსებითად უნდა იქნეს მიჩნეული პირი ნასამართლევია ნაკლებად მძიმე, მძიმე თუ განსაკუთრებით მძიმე, ასევე გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისათვის.

შენიშვნა: **სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას. აღნიშნული რეგულაციიდან გამომდინარე ,დაუშვებელია მოსამართლემ რაიმე ფორმით განაჩენში ასახოს მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა, თუნდაც მსჯავრდებულის პიროვნებისა და წარსული ცხოვრების ზოგადად შეფასების კონტექსტში, ვინაიდან აღნიშნულზე განაჩენში ხაზგასმა, თუნდაც ირიბად, სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილს ეწინააღმდეგება.** შესაძლოა, აღნიშნული მიდგომა, ერთი მხრივ, გარკვეული უსამართლობის გრძნობას წარმოშობს, მაგრამ მეორე მხრივ, კანონმდებლის მიდგომა გასაგებია, ვინაიდან ნასამართლობამოხსნილი ან გაქარწყლებული პირი უთანაბრდება ნასამართლობის არმქონე პირს, შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით, გაქარწყლებულ ნასამართლობას ვერ ვიყენებთ დანაშაულის რეციდივის ან არაერთგზისობის დასადგენად. აღნიშნული მოცემულობის პირობებში კი მსჯავრდებულის პიროვნებას ფაქტობრივად დაუკავშირო გაქარწყლებული ნასამართლობა სასჯელის დამძიმების კონტექსტში, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით აღარ არსებობს, ორმაგი სტანდარტის (ურთიერთსაწინააღმდეგო) დადგენის საფრთხეს ქმნის. ამასთან, ნასამართლობის მოხსნისათვის საჭიროა განსაკუთრებული გარემოებები, ხოლო გაქარწყლებისათვის - გარკვეული დრო, რომლის გასვლის შემდეგ კანონმდებელმა პირი, მისი ნასამართლობიდან გამომდინარე, საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიშად მიიჩნია და ამ დროის გასვლა ნასამართლობის გაქარწყლებას დაუკავშირა. აღნიშნულიც მიუთითებს იმაზე, რომ ნასამართლობის გაქარწყლების შემდეგ უკანა პლანზე გადადის ერთ დროს არსებული ნასამართლობა და პირს ფაქტობრივად ახალი ფურცლიდან ცხოვრების დაწყების შესაძლებლობა ეძლევა. შესაბამისად, ამ პირობებში გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობის მსჯავრდებულის პიროვნების შეფასების კონტექსტში გამოყენებას სამართლებრივი საფუძველი არ აქვს.

ბ) **ადმინისტრაციულ სახდელდადებულობა** — დამამძიმებელი გარემოებაა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ჩადენილი დანაშაული და ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ერთი ხასიათისაა, მაგ: 1. წვრილმანი ხულიგნობა და ხულიგნობა. აღნიშნული მოცემულობიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მსჯავრდებული არ არის კანონმორჩილი, მიდრეკილია ლანძღვა-გინებისა და საზოგადოების უპატივცემულობისაკენ. 2. პირი სიჩქარის გადაჭარბებისათვის ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაჯარიმებულია ათჯერ და მის მიერ სიჩქარის გადაჭარბებით გამოწვეულ ავტოსაგზაო შემთხვევაში დაიღუპა სამი ადამიანი. სიმძიმის ხარისხობრივი მაჩვენებელი შესაძლოა არ იყოს მაღალი, აღნიშნული კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს მოსამართლემ;

გ) **სერტიფიკატი, დიპლომი, ჯილდო, სხვადასხვა მიღწევებ**ი — შემამსუბუქებელ გარემოებად უნდა იქნეს განხილული, თუმცა აღნიშნული კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა შეაფასოს სხვა გარემოებებთან ურთიერთკავშირში და განსაზღვროს მისი ხარისხობრივი მაჩვენებელი.

დ) **საქართველოს მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა-** შემამსუბუქებელი გარემოებაა, თუმცა აღნიშნული კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა შეაფასოს სხვა გარემოებებთან ურთიერთკავშირში და განსაზღვროს მისი ხარისხობრივი მაჩვენებელი.

ე) **ნასამართლობის არმქონე** — იგი არ შეიძლება განაჩენში მიეთითოს შემამსუბუქებელ გარემოებად, თუმცა, ზოგადად, შესაძლოა მიეთითოს სასჯელის დასაბუთების ნაწილში, მაგ: სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ბრალდებული არის 70 წელს მიღწეული, იგი იყო საქართველოს მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებების აქტიური მონაწილე, სადაც მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. დღესაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, საბრძოლო მოქმედებებში მიღებული ჭრილობის გამო, არის მძიმე, ვეტერანთა დეპარტამენტის მიერ ხასიათდება დადებითად, არ გააჩნია რაიმე დამამძიმებელი გარემოება (მათ შორის, არ არის ნასამართლევი), რის გამოც მას სასჯელად უნდა განესაზღვროს სანქციის ქვედა ზღვართან მიახლოებული სასჯელი.

2. დამნაშავის პირადი და ეკონომიკური პირობები

ა) **სხვადასხვა ავადმყოფობა** — ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დარღვევები შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება. ხარისხობრივი მაჩვენებელი უნდა განსაზღვროს მოსამართლემ ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში.

ბ) **ლტოლვილის ან დევნილის სტატუსი** — შემამსუბუქებელი გარემოებაა, თუმცა აღნიშნული კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა შეაფასოს სხვა გარემოებებთან ურთიერთკავშირში და განსაზღვროს მისი ხარისხობრივი მაჩვენებელი.

გ) **ორსულობა, ასაკის ზედა ზღვარი (60 წელს გადაცილება)** — შესაძლოა განხილულ იქნეს შემამსუბუქებელ გარემოებად, თუმცა ხარისხობრივი მაჩვენებელი არ იქნება მაღალი, ვინაიდან ორსული ქალისათვის შეღავათი — სასჯელის გადავადება ისედაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით (75-ე მუხ.).

დ) **ოჯახური მდგომარეობა** — როდესაც პირს ჰყავს მოხუცი მშობლები, რომლებიც მის კმაყოფაზე იმყოფებიან, ან არასრულწლოვანი შვილები და მეუღლე, რომელიც არ მუშაობს, აღნიშნულიც ბრალდებულის განსაკუთრებულ მდგომარეობაზე მიუთითებს და გათვალისწინებული უნდა იქნეს სასჯელის შემსუბუქების თვალსაზრისით. შემსუბუქების ხარისხი, როგორც წესი, არ უნდა იყოს მაღალი, თუმცა საქმის ინდივიდუალურობიდან გამომდინარე უნდა შეაფასოს მოსამართლემ;

ე) **ბრალდებულის ნათესაური, საქმიანი,მეგობრული ურთიერთობები** — აღნიშნული მაღალი ალბათობით იძლევა ბრალდებულის ხასიათის თავისებურებების გაანალიზების შესაძლებლობას, თუმცა ამ ურთიერთობების დადგენა უმრავლეს შემთხვევაში მტკიცებულებათა არქონის გამო შეუძლებელია. სადაც ამის დადგენა შესაძლებელია, მოსამართლემ აუცილებლად უნდა ასახოს განაჩენში, შესაბამისად, შემსუბუქების ან დამძიმების კონტექსტში.

ვ) **დადებითი/უარყოფითი წერილობითი დახასიათება** — აღნიშნული პრობლემატური საკითხია, ვინაიდან ჯერ ერთი მხარეები უმრავლეს შემთხვევაში არ წარუდგენენ სასამართლოს ბრალდებულის დახასიათებას, ხოლო დადებით შემთხვევაში დაცვის მხარე არ წარუდგენს სასამართლოს უარყოფით დახასიათებას, შესაბამისად, მოსამართლე თვალდახუჭული არ უნდა ენდოს მას და უნდა შეაფასოს მისი სანდოობა. სანდოობის თვალსაზრისით უფრო სარწმუნოა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დახასიათება; სხვა ისეთი საზოგადოებრივი ან საერთაშორისო ორგანიზაციის დახასიათება, რომელსაც, ზოგადი შეხედულებების თანახმად, მეტი ნდობა აქვს; ისეთი პირის მიერ გაკეთებული დახასიათება, რომელსაც შეუძლია სუბიექტური და ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით გასცეს სწორი დახასიათება. **მეზობლების, მეგობრებისა და ნათესავების დახასიათებები** უფრო ნაკლებ ნდობას იმსახურებს, ვინაიდან ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ჩვეულებებიდან გამომდინარე ისე აწერს მეზობელი და ნათესავი ხელს დახასიათებას,

რომ არც კითხულობს მის შინაარსს ან ეუხერხულება ხელის მოწერაზე უარის თქმა.

ზ) **ეკონომიკური პირობები** — აქ შემსუბუქების თვალსაზრისით უნდა ვიგულისხმოთ ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობა. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკურ დანაშაულებში, ვინაიდან სიდუხჭირე შემამსუბუქებელ გარემოებად შესაძლოა ჩაითვალოს მაშინ, როდესაც პირი სხვის ნივთს ეუფლება იმ მიზნით, რომ საკვები მიუტანოს შვილს ან თავად გამოიკვებოს.

შენიშვნა: ბრალდებულს თუ **სოციალურად დაუცველის სტატუსი** აქვსმინიჭებული მისთვის ძირითად სასჯელთან — თავისუფლების აღკვეთასთან ერთად დამატებით სასჯელად ჯარიმის შეფარდება არაადეკვატური იქნება. თუ კერძო ნაწილის მუხლი სასჯელის სახით ითვალისწინებს მხოლოდ ჯარიმას, ამ შემთხვევაში სასურველია, თუ ჯარიმა შემსუბუქდება დასაშვები ქვედა ზღვარისა და სხვა გასათვალისწინებელი გარემოებების ადეკვატურად.

3. დანაშაულის ჩადენის შემდგომი ყოფაქცევა (განსაკუთრებით დამნაშავის მისწრაფება, ზიანი აუნაზღაუროს დაზარალებულს ან შეურიგდეს მას)

ა) **ზიანის ანაზღაურება** — ზიანის ანაზღაურება მნიშვნელოვანი შემამსუბუქებელი გარემოებაა, მისი ხარისხობრივი მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალია. კანონმდებლის მიერ შემამსუბუქებელ გარემოებად პირდაპირ არის მიჩნეული მსჯავრდებულის მისწრაფება დაზარალებულს აუნაზღაუროს ზიანი, თუმცა აქ მნიშვნელოვანია ის კრიტერიუმი, რომლითაც შესაძლოა შეფასდეს **მსჯავრდებულის მისწრაფება _ აანაზღაუროს ზიანი**. ასეთად უნდა ჩაითვალოს ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურება და მსჯავრდებულის მხრიდან ისეთი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რაც მის რეალურ მისწრაფებას დაადასტურებს და სასამართლოს ამის რწმენას შეუქმნის.

ბ) **დაზარალებუთან შერიგება** — აღნიშნული შემამსუბუქებელი გარემოებაა. იგი უნდა დასტურდებოდეს არა მხოლოდ ბრალდებულის ჩვენებით (განმარტებით), არამედ თავად დაზარალებულიც უნდა მიუთითებდეს ამის შესახებ ან სხვა მტკიცებულებით უნდა დასტურდებოდეს.

გ) **დაზარალებულისათვის დახმარების გაწევა** — აღნიშნული შემამსუბუქებელ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. მაგ: ჩხუბში ბრალდებულის მიერ მუშტის დარტყმის შედეგად დაზარალებული გადმოვარდა კიბიდან და უგონოდ დაეცა. ამ მდგომარეობაში ბრალდებულის მიერ სასწრაფო დახმარების გამოძახება ან საავადმყოფოში სხვაგვარად გადაყვანა უნდა შეფასდეს შემამსუბუქებელ გარემოებად.

დ) **გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების დარღვევა ან დაცვა, შეცვლა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით** — მართალია, აღნიშნული არის წმინდა საპროცესო სამართლებრივი საკითხი, თუმცა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების დარღვევა ან დაცვა ხაზს უსვამს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას მართლმსაჯულებისადმი, მის კანონმორჩილებას ან პირიქით. ეს გარემოება მსჯავრდებულის პიროვნების შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად შეიძლება იქცეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც იგი არღვევს შეფარდებულ აღკვეთის ღონისძიებას (ეს არ ეხება გირაოს შემთხვევაში მატერიალურ შესაძლებლობას, ან სხვა ობიექტურ მიზეზებს) — თავს არიდებს გამოძიებასა და სასამართლოს, მისი ქმედება აშკარად ეწინააღმდეგება შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების მიზნებს და იგი იცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. ასეთ შემთხვევებში აშკარაა, რომ მსჯავრდებული, პიროვნული მახასიათებლებიდან გამომდინარე, კონფლიქტში იმყოფება კანონთან და დიდი ალბათობით მსუბუქი სასჯელის შეფარდებით ვერ იქნება უზრუნველყოფილი სასჯელის მიზნები. აღნიშნული მიჩნეული უნდა იქნეს დამამძიმებელ გარემოებად,

თუმცა, ცხადია, რომ, მაგალითად: წარსულში განზრახ მკვლელობისათვის ნასამართლობა ხარისხობრივი თვალსაზრისით უფრო მაღალ საფეხურზეა და მძიმეა, ვიდრე ეს გარემოება (აღკვეთის ღონისძიების დარღვევა).

ე) **ბრალდებულის ქცევა სასამართლო სხდომებზე (წესრიგის არაერთჯერადი დარღვევა, აშკარა და უხეში უპატივცემულობა სასამართლოსა და პროცესის მონაწილეების მიმართ)** — მსჯავრდებულის პიროვნების ობიექტურად შეფასების ერთ-ერთი კარგი საშუალებაა მოსამართლის მიერ სასამართლო სხდომებზე ბრალდებულზე დაკვირვება, მისი ქცევა, დამოკიდებულება სასამართლოს, მხარეების, ზოგადად — ადამიანების მიმართ. მოსამართლემ განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიაქციოს ბრალდებულის ისეთ ქცევას, როგორიცაა: **წესრიგის არაერთჯერადი დარღვევა, სასამართლოსა და პროცესის მონაწილეების მიმართ აშკარა და უხეში უპატივცემულობა, მისი უკურექაციები მოსამართლის პროცედურულ მითითებებზე, რაც მსჯავრდებულის პიროვნების უარყოფითად შეფასების ალბათობას ზრდის. რაც შეეხება ბრალდებულის კანონშესაბამის და „ზრდილობიან~ ქცევას, იგი მისი პიროვნების დადებით მხარეზე მიუთითებს.**

ვ) **ჩადენილი დანაშაულის აღიარება, საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობა და მონანიება** — აქ მოსამართლემ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გარემოებას, რომ დანაშაულის აღიარება (სრული ან ნაწილობრივი) გამოიხატება და დგინდება ძირითადად ზეპირსიტყვიერი (ვერბალური) ფორმით ჩვენებებსა და განმარტებებში, ხოლო მონანიება, სიტყვიერი განმარტების გარდა, უნდა გამოიხატებოდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ქცევაში დაზარალებულის, სასამართლოს მიმართ. **მაგალითად**: თუ ბრალდებულმა განმარტა, რომ ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, მაგრამ ამავდროულად შეურაცხყოფას აყენებს დაზარალებულს, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს სრულფასოვან, გულწრფელ მონანიებად. ასეთი მონანიების ხარისხობრივი მაჩვენებელი უნდა შეაფასოს მოსამართლემ და შეუსაბამოს სასჯელის ზომა.

საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობა შემამსუბუქებელი გარემოებაა. ამ დროს უნდა შეფასდეს, რამდენად სრულყოფილია საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობა, ბრალდებული აწვდის სრულ ინფორმაციას მომხდარი დანაშაულის ფაქტის თაობაზე, თუ ნაწილობრივ თანამშრომლობს გამოძიებასთან. ამის შესაბამისად უნდა განისაზღვროს შემსუბუქების ხარისხი.

ზ) **დანაშაულის ჩადენის შემდეგ საგამოძიებო ორგანოში ნებაყოფლობით გამოცხადება** — ეს გარემოება ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანია, რომელიც კანონმდებლის მიერ პირდაპირ შემამსუბუქებელ გარემოებადაა მიჩნეული (სსკ. 54). იგი სხვა შემამსუბუქებელი გარემოებებისგან დამოუკიდებლადაც მაღალი ხარისხით გავლენას ახდენს სასჯელის ზომაზე (შემსუბუქების თვალსაზრისით), თუმცა აღნიშნულიც კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა შეაფასოს სხვა გარემოებებთან ურთიერთკავშირში.

თ) **გატაცებული ქონების უკან დაბრუნება (ნებაყოფლობით)** — იგი შემამსუბუქებელი გარემოებაა. არ აქვს მნიშვნელობა იმავე დღეს დააბრუნებს უკან, თუ ორი დღის შემდეგ. ამ შემთხვევაში განმსაზღვრელია **ნებაყოფლობითობის კრიტერიუმი**. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს ნივთის იმავე ოდენობითა და მდგომარეობაში დაბრუნებას. მაგ: თუ დაბრუნებული ნივთი დაზიანებულია, მცირდება შემსუბუქების ხარისხი.

ი) **დანაშაულის ჩადენის შემდგომ ბრალდებულის მიერ კვალის დაფარვა, მტკიცებულების განადგურება, მოწმეებზე ზემოქმედება** — ამ გარემოებებმა გავლენა უნდა მოახდინონ სასჯელის ზომაზე დამძიმების თვალსაზრისით. **მაგ**: ბრალდებულის მიერ დანაშაულის იარაღის მდინარეში გადაგდება, სხვაგვარად განადგურება, გვამის ზღვაში, მდინარეში ან ტბში გადაგდება, ასევე სხვა გზით გადამალვა, რათა შექმნას უბედური შემთხვევის იმიტაცია.

4. სასჯელის დასაბუთების ძირითადი საკითხები სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად

თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავე გამოცხადდა ბრალის აღიარებით, აქტიურად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას და არ არსებობს დამამძიმებელი გარემოებანი, სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამ მეოთხედს (სსკ 54-ე მუხ.).

აღნიშნულ მუხლთან მიმართებით მნიშვნელოვანია სამი საკითხი:

1. დანაშაულის **ჩადენის შემდგომ დამნაშავე გამოცხადდა ბრალის აღიარებით** — აღნიშნულ ცნებაში უნდა მოვიაზროთ ბრალდებულის მიერ სამართალდამცავ ორგანოებში ნებისმიერ დროს (კონკრეტული დროის ინტერვალი ნორმით განსაზღვრული არ არის) გამოცხადება ბრალის აღიარებით, თუმცა რაც უფრო გვიან ცხადდება, მით უფრო მცირდება დანაშაულის გახსნაში მისი აქტიურად ხელისშეწყობის შესაძლებლობა. დანაშაულის ჩადენიდან დროის მოკლე ინტერვალში გამოცხადება ზრდის მეორე კრიტერიუმის — დანაშაულის გახსნაში აქტიურად ხელის შეწყობის შესაძლებლობას.

2. **აქტიურად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას** — აღნიშნულში მოიაზრება ის ქმედითი ნაბიჯები და ბრალდებულის მიერ ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც ობიექტურად ამ დანაშაულის გახსნის უპირობო წინაპირობაა. ასევე ბრალდებულის მიერ შესაძლებლობის ფარგლებში სრულყოფილი, კონკრეტული ინფორმაციის მიწოდება.

მაგ. №1: აქტიურ ხელშეწყობაში არ შეიძლება მოიაზრებოდეს ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რაც დროის მოკლე ინტერვალში სხვა წყაროდან აუცილებლად გახდებოდა ცნობილი, რაც ბრალდებულისათვისაც ცნობილი იყო და შემამსუბუქებელი გარემოების ხელოვნურად შექმნის მიზნით თავად აწვდის გამოძიებას ამ ინფორმაციას. ასევე, როდესაც ბრალდებულმა დანამდვილებით იცის, რომ შემთხვევის ადგილზე დაინახა ორმა მოწმემ, დამონტაჟებული იყო ვიდეოკამერა და მისი ვინაობა ისედაც გახდებოდა ცნობილი უმოკლეს პერიოდში.

მაგ. №2: აქტიურ ხელშეწყობაში უნდა მოვიაზროთ დანაშაულის იარაღის შენახვის ადგილის მითითება (გადავაგდე მდინარეში, არ არის სარწმუნო), მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ნივთების ადგილსამყოფლის მითითება, ნარკოტიკული საშუალების შემთხვევაში იმ პირის მითითება, რომლისგანაც შეიძინა ნარკოტიკი. ნარკოტიკული საშუალება ქუჩაში ვიპოვე, თუმცა ვაღიარებ, რომ ნამდვილად მქონდა, არ შეიძლება განხილულ იქნეს აქტიურ ხელშეწყობად.

მაგ. №3: დანაშაულში თანამონაწილეობისა და თანაამსრულებლობის შემთხვევაში უნდა ასახელებდეს იმ პირებს, რომლებიც მასთან ერთად მონაწილეობდნენ დანაშაულის ჩადენაში.

მაგ. №4: იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული დანაშაულის ჩადენის შემდგომ ანადგურებს მნიშვნელოვან მტკიცებულებებს, შლის კვალს, ზეგავლენას ახდენს მოწმეებზე, ხოლო შემდგომ ბრალის აღიარებით ცხადდება პოლიციაში და აცხადებს, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, არ შეიძლება განხილულ იქნეს აქტიურ ხელშეწყობად დანაშაულის გახსნაში, ვინაიდან განადგურებული მტკიცებულებების გამო შესაძლოა მხოლოდ მისი აღიარება საკმარისი არც იყოს გამამტყუნებელი განაჩენისათვის და მისი ამგვარი ქმედება წინასწარ დაგეგმილი შემამსუბუქებელი გარემოებების ხელოვნურად შექმნას ემსახურებოდეს.

3. **არ არსებობს დამამძიმებელი გარემოებები** — აქ იგულისხმება ყველა დამამძიმებელი გარემოება, რაც სსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოქმედების პირობებში შეიძლება იქნეს გამოყენებული. აღნიშნული მოსამართლემ უნდა შეაფასოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

5. სასჯელის დასაბუთების ძირითადი საკითხები სსკ-ის 56-ე მუხლის თანახმად

დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება გარემოებანი, რომელთა გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი (სსკ-ის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

ამ მიმართებით პირველ რიგში უნდა გამოიყოს დაუმთავრებელი დანაშაულის სახეები — დანაშაულის მომზადება და მცდელობა. დანაშაულის მომზადება მცდელობასა და დამთავრებულ დანაშაულთან მიმართებით საზოგადოებრივად უფრო ნაკლებად საშიშია, შესაბამისად, ამ შემთხვევაში უნდა დაინიშნოს უფრო მსუბუქი სასჯელი, ვიდრე მცდელობის ან დამთავრებული დანაშაულის შემთხვევაში დაინიშნებოდა.

რაც შეეხება სსკ-ის 56-ე მუხლის 1-ლ ნაწილში აღნიშნულ გარემოებებს, რომელთა გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, შეიძლება მოვიაზროთ:

ა) ბრალდებულის მიერ დანაშაულის არასწორად დაგეგმვა, ინტელექტუალური ფაქტორისა და უმეცრების გათვალისწინებით;

ბ) პოლიციის გამოძახების, ან სიგნალიზაციის ჩართვის გამო;

გ) ჯგუფურ დანაშაულში როლების არასწორად განაწილებისა გამო;

დ) დანაშაულის ჩასადენად განკუთვნილი იარაღის ტექნიკური გაუმართაობის გამო (ერთი გასროლის შემდეგ იჭედება იარაღი).

ე) ყველა სხვა ისეთი გარემოება, რომელთა გათვალისწინება სხვადასხვა მიზეზით ვერ შეძლო ბრალდებულმა და ხელი შეუშალა დანაშაულის დამთავრებას, რომლის დამთავრების სურვილიც მის მიერ აშკარად და მყარად იყო გამოხატული.

ჩამოთვლილ შემთხვევებში რაიმე შემამსუბუქებელი სასჯელის დანიშვნის კუთხით არ იკვეთება. აღნიშნული უფრო სასჯელის დამძიმებისკენ იხრება.

შენიშვნა: მოცემულ შემთხვევაშიც, როდესაც სახეზეა დაუმთავრებელი დანაშაული სსკ-ის 56-ე მუხლის 1-ლ ნაწილთან ერთად სასჯელის დანიშვნა ასევე უნდა მოხდეს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

6. სასჯელის დასაბუთების ძირითადი საკითხები სსკ-ის 57-ე მუხლის თანახმად

დანაშაულის თანამონაწილეობისა და დანაშაულის ამსრულებლობისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება პირის ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, ამ მონაწილეობის მნიშვნელობა დანაშაულის მიზნის მისაღწევად, მისი გავლენა გამოწვეული ან შესაძლებელი ზიანის ხასიათსა და ხარისხზე.

დანაშაულის ჩადენაში პირის ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათსა და ხარისხში, ასევე პირის მონაწილეობის მნიშვნელობაში დანაშაულის მიზნის მისაღწევად, მის გავლენაში გამოწვეული ან შესაძლებელი ზიანის ხასიათსა და ხარისხზე უნდა ვიგულისხმოთ, რომ რაც უფრო ინტენსიურად, აგრესიულად მონაწილეობს პირი დანაშაულის ჩადენაში და რაც უფრო გადამწყვეტია მისი როლი დანაშაულის მიზნის მიღწევაში, მით უფრო მძიმე სასჯელი უნდა განესაზღვროს მას, ხოლო რაც უფრო მცირეა მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი და ნაკლებ როლს თამაშობს პირი დანაშაულის საბოლოო მიზნის მიღწევაში, უფრო მსუბუქი სასჯელი უნდა განესაზღვროს.

ხასიათითა და ხარისხობრივი მაჩვენებლის მიხედვით, ზოგადად, ამსრულებელი უფრო აქტიური ფიგურაა, ვიდრე თანამონაწილე, შესაბამისად, მისთვის დანიშნული სასჯელის ზომა უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე თანამონაწილის. რაც შეეხება თანამონაწილეების — ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის მონაწილეობას,

როგორც წესი ორგანიზატორის ფუნქცია, მისი მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, დამხმარესა და წამქეზებელთან შედარებით, უფრო ინტენსიური უნდა იყოს, თუმცა ამ საკითხის შეფასება უფრო მართებული იქნება ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, ვინაიდან ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია და დანაშაულში მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, ასევე პირის მონაწილეობის მნიშვნელობაც დანაშაულის მიზნის მისაღწევად ყველა შემთხვევაში დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს.

შენიშვნა №1: ორი და მეტი პირის მიმართ არსებულ განაჩენებში, განსაკუთრებით დანაშაულში თანამონაწილე და ამსრულებელი პირების მიმართ, მკაფიოდ უნდა იყოს გამიჯნული თითოეული მსჯავრდებულის სასჯელის სახე/ზომა და მისი დასაბუთება, თუ რატომ დაუნიშნა სასამართლომ მსჯავრდებულებს ერთი ან განსხვავებული სახისა და სიმძიმის სასჯელები.

შენიშვნა №2: მოცემულ შემთხვევაშიც, როდესაც სახეზეა დანაშაულში თანამონაწილეობა და ამსრულებლობა, სსკ-ის 57-ე მუხლის 1-ლ ნაწილთან ერთად სასჯელის დანიშვნა უნდა მოხდეს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის გამოყენებისას გასათვალისწინებელი ზოგიერთი საერთაშორისო სტანდარტის შესახებ[1]

1 ავტორი: მოსამართლე რენატე ვინტერი — ევროკავშირის პროექტის "სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში" ხელმძღვანელი, 2015.

პირველ რიგში, მოსამართლემ უნდა შეაფასოს არის თუ არა სასჯელის შეფარდების საჭიროება, თუ შესაძლებელია ალტერნატიული ზომების გამოყენება. ამგვარი გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებული ბავშვისათვის (18 წლამდე პირი) სასჯელის შეფარდებისას გამოსაყენებელი პრინციპებია:

1. უპირველეს ყოვლისა, ბავშვის ყველაზე საუკეთესო ინტერესების დაცვა (ბავშვის უფლებათა კონვენცია ითვალისწინებს, რომ ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. ეს პრინციპი იმდენადვე მოქმედებს ბავშვისათვის სასჯელის შეფარდების საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას, რამდენადაც ნებისმიერი სხვა საკითხის გადაწყვეტისას).

2. რეაგირება უნდა იყოს ბავშვის მდგომარეობისა და დანაშაულის პროპორციული (პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულზე რეაგირება ყოველთვის უნდა იყოს "არამარტო დანაშაულის ვითარებისა და სიმძიმის პროპორციული, არამედ ბავშვის ასაკის, ნაკლები ბრალეულობის, ბავშვის მდგომარეობისა და საჭიროებების, ასევე საზოგადოების სხვადასხვა გრძელვადიანი საჭიროების პროპორციულიც". რაც შეეხება საზოგადოების ზეგავლენას, სასამართლოზე არ უნდა იმოქმედოს მედიის მიერ საქმის გაშუქებამ ან საზოგადოებრივმა აზრმა. იმისათვის, რომ სასჯელი იყოს ბავშვის გარემოებების პროპორციული, სასჯელის შეფარდება ინდივიდუალურად უნდა მოხდეს). გადაწყვეტილება უნდა იყოს სრულად დასაბუთებული. მოსამართლემ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ შეარჩია კონკრეტული სასჯელი.

მაგ.: გაერთიანებულ სამეფოში არსებობს სახელმძღვანელო მითითებები არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის დანიშვნის თაობაზე, რომელიც ამგვარად გამოიყურება: სასჯელის განსაზღვრამდე სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დანაშაულის ან დანაშაულების სიმძიმე და ნებისმიერი შემამსუბუქებელი ფაქტორი, რომელიც ასოცირდება დანაშაულთან ან უშუალოდ ახალგაზრდასთან.

შემამსუბუქებელი ფაქტორებია:

- ☐ გარკვეული მიღწევები ან კარგი საქციელი, რომელიც არ უკავშირდება დანაშაულს;
- ☐ ბოლოდროინდელი პერსპექტიული გარემოებები;
- ☐ წინათ გამოვლენილი კარგი ხასიათი;
- ☐ დანაშაულის ადრეულ ეტაპზე აღიარება და პოლიციასთან თანამშრომლობა;
- ☐ მზადყოფნა გარკვეულ საკითხებზე დახმარების მოძიებისათვის - მაგალითად, ნარკოტიკებთან დაკავშირებით;
- ☐ სოციალური თუ განათლების მხრივ არსებული არასახარბიელო მდგომარეობა, ცუდი აღზრდის ჩათვლით.

დანაშაულის სიმძიმის შესაფასებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დანაშაულთან ან დანაშაულებთან დაკავშირებული ყველანაირი ხელმისაწვდომი ინფორმაცია. გათვალისწინებული უნდა იყოს ნებისმიერი დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი ფაქტორი, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენებას.

ქვემოთ ჩამოთვლილია ის სხვა ფაქტორები, რომელთაც, როგორც წესი, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ დანაშაულის სიმძიმის განსაზღვრაზე:

- ☐ დანაშაულის ხასიათი - გამოყენებული ძალადობის დონე, იარაღის გამოყენება, დაკარგული ქონების ღირებულება, დანაშაულის ჩადენა ჯგუფურად მოხდა თუ ინდივიდუალურად, აგრეთვე ის, თუ რამდენად შეესაბამება დანაშაულის ხელწერას, რაც აქტუალურს გახდის წინა ნასამართლობებს; - გავლენა მსხვერპლზე - მიზანმიმართული იყო თუ არა, მსხვერპლის დაუცველობის დონე, იყო თუ არა მსხვერპლი საჯარო მოსამსახურე, ჰქონდა თუ არა ადგილი ნდობით ბოროტად

სარგებლობას, ზარალის რაოდენობა და არსი, მოხდა თუ არა რაიმე ქონების დაბრუნება და მიაყენა თუ არა ფსიქოლოგიური ტრავმა;

- □ განზრახვა და მოტივაცია - დანაშაული წინასწარგანზრახული იყო თუ სპონტანური, იყო თუ არა დანაშაული პროვოცირებული ან ჩადენილი პროვოცირებით, რამდენად გაცნობიერებული ჰქონდა ახალგაზრდას თავისი ქცევის გავლენა მსხვერპლზე;
- □ როლი დანაშაულში - ახალგაზრდა ჯგუფის ლიდერი იყო თუ უმნიშვნელო როლი ითამაშა;
- □ დამოკიდებულება დანაშაულის მიმართ - განიცდის თუ არა ახალგაზრდა სინანულს ან მსხვერპლის მიმართ თანაგრძობას და მზად არის თუ არა, გარკვეული სახით მოახდინოს კომპენსირება.

3. სასჯელის შეფარდების მიზანი უნდა იყოს რეინტეგრაცია. სასჯელი უნდა იყოს კონსტრუქციული და არა სადამსჯელო ხასიათის და აღდგენითი დაზარალებულისათვის. რეინტეგრაციისათვის საუკეთესო საშუალება არასაპატიმრო სასჯელთა გამოყენება და მსჯავრდებულზე გარკვეული მოვალეობების დაკისრებაა. არასაპატიმრო სასჯელის გამოუყენებლობა უნდა დასაბუთდეს.

4. სათანადო შემთხვევებში უნდა მოხდეს არასაპატიმრო სასჯელთა შეფარდება.

5. საპატიმრო სასჯელი უნდა გამოიყენებოდეს უკიდურესი ზომის სახით და რაც შეიძლება შესაფერისი ხანმოკლე ვადით - ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (ბ) პუნქტის მიხედვით, ბავშვისათვის თავისუფლების აღკვეთა და მისი დაპატიმრება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონის თანახმად და მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით, რაც შეიძლება შესაფერისი, ნაკლები პერიოდის განმავლობაში. 18 წლამდე პირს არ უნდა წაერთვას თავისუფლება, თუ ის არ არის ცნობილი დამნაშავედ სერიოზული ქმედების ჩადენაში სხვა პირის მიმართ ძალადობის გამოყენებით ან სხვა სერიოზული სამართალდარღვევების არაერთხელ ჩადენაში და არ არსებობს სხვა შესაბამისი ზემოქმედების ზომა. ფრაზა "არ არსებობს სხვა შესაბამისი ზემოქმედების ზომა" არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ალტერნატიული ზომის არარსებობა. ამის ნაცვლად, იგი უნდა გავიგოთ როგორც ვითარება, რომელშიც სხვა ზომების გამოყენება არ იქნება შესაფერისი ან სასარგებლო ბავშვისათვის. ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (ბ) პუნქტი არ განსაზღვრავს, რა იგულისხმება "დროის რაც შეიძლება შესაბამის მოკლე პერიოდში". 18 წლამდე პირთა სასჯელის ვადა პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული იმ პერიოდის ხანგრძლივობასთან, რომელიც მიჩნეულია საკმარისად ბავშვის რეინტეგრაციისთვის და მის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო როლის შესრულებაში ხელშეწყობისათვის.

ძალიან რთულია, განახორციელო და დაიცვა ბავშვის ყველა უფლება მაშინ, როდესაც იგი თავისუფლებააღკვეთილია და მოთავსებულია დაკავების ცენტრში (იზოლატორში) ან ციხეში. გარდა ამისა, უკვე გარკვეული ხანია აღიარებულია, რომ ბავშვის დაკავების ცენტრში (იზოლატორში), ციხეში ან სხვა დახურულ დაწესებულებაში მოთავსებამ შეიძლება ისეთი უარყოფითი გავლენა იქონიოს ბავშვზე, რომელიც "ვერ დაბალანსდება შესაბამისი მოპყრობის მცდელობებით". ინსტიტუციონალიზაციის ეფექტი, რომელიც მოიცავს ოჯახსა და საზოგადოებასთან დაშორებას, ხშირად მძიმდება ცუდი პირობებითა და რეინტეგრაციის ღონისძიებებისა და პროგრამების შეზღუდული ხელმისაწვდომობით ან არარსებობით. ციხის ცხოვრებამ ასევე შესაძლებელია მგრძნობიარე ახალგაზრდა დამნაშავეები დატოვოს ძალადობის კულტურის პირისპირ. ამ ტიპის გამოცდილება ახალგაზრდებს უფრო დაუცველებს ხდის ოჯახის დანგრევის, უსახლკარობის, დასაქმების სირთულეების, ფსიქიკური პრობლემებისა და გათავისუფლების შემდეგ რეციდივის მიმართ.

როგორც პეკინის წესების კომენტარებშია აღნიშნული, პროგრესული კრიმინალისტიკა ინსტიტუციურ ზომებზე მეტად არაინსტიტუციური ზომების გამოყენების მომხრეა. მართლაც, როგორც თანამედროვე კვლევების შედეგები გარკვევით მიუთითებს, ბავშვების ინსტიტუციონალიზაციას, სავარაუდოდ, უფრო მეტად მოჰყვება მათ მიერ შემდგომში დანაშაულის ჩადენა, ვიდრე არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებას.

საპროცესო შეთანხმების დასაბუთებულობის პრობლემა (საერთაშორისო გამოცდილება და სტანდარტები)[1]

1 ავტორი: სოფიო წაქაძე — საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო სტატისტიკისა და ანალიზის განყოფილების უფროსის მოადგილე, 2014.

წინამდებარე ნაშრომი მომზადებულია „სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენის ფორმის, დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის შესახებ სასამართლო კომისიის" ფარგლებში და ეხება საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას სასამართლოს როლს, ამგვარი გადაწყვეტილების დასაბუთების კონტექსტში. ამ მიზნით, ნაშრომი მიმოიხილავს არსებულ კანონმდებლობას და დაგეგმილ ცვლილებებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, შემდეგში შეეხება საერთაშორისო პრაქტიკას და გამოცდილებას აშშ-ს, სისხლის სამართლის "ad hoc" ტრიბუნალებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების ანალიზის, საბოლოო ჯამში კი წარადგენს დასკვნას საპროცესო შეთანხმების დასაბუთებულობის სტანდარტთან დაკავშირებით.

შესავალი

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს არა ერთი სამართლებრივი სისტემა იცნობს და აქტიურად იყენებს. საპროცესო შეთანხმება, მისი ეფექტიანი გამოყენების შემთხვევაში, საშუალებას იძლევა, განხორციელდეს სწრაფი და დროული მართლმსაჯულება, გამოყენებულ იქნეს მსუბუქი სასჯელები და შემცირდეს პატიმართა რაოდენობა[2]. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი ითვალისწინებს რიგ საპროცესო უფლებებზე უარის თქმას, ეს "*per se*" სამართლიანი სასამართლოს უფლების შელახვად ვერ განიხილება[3]. თუმცა საკითხს მეორე მხარეც გააჩნია — საპროცესო უფლებებზე უარის თქმა, თავის მხრივ, „მოწყვლად" მდგომარეობაში ამყოფებს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს, საჭიროებს რა სასამართლოს სკურპულოზურ ჩართულობას დარჩენილ საპროცესო უფლებათა კანონიერი და სამართლიანი განხორციელებისთვის. ჩართულობა, თავის მხრივ, გამოიხატება საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნების მიდევნებით და მათი არსებობის დასაბუთებით საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას. დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს აძლევს განცდას, რომ მას მოუსმინეს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს გადაწყვეტილების აღსრულებას. თუმცა, ბუნებრივია, დასაბუთებულობის ხარისხი განსხვავდება გადაწყვეტილების ხასიათის მიხედვით[4].

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს არ ევალება ყველა სამართლებრივ პრობლემას შეეხოს[5], გადაწყვეტილებაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, რომ საქმისთვის მნიშვნელოვანი არც ერთი საკითხი განხილვის მიღმა არ დარჩენილა[6].

საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის საპოცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს ეკისრება ვალდებულება, ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე შეამოწმოს დასაბუთებულია თუ არა ბრალდება და არის თუ არა შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი კანონიერი და სამართლიანი, ასევე რამდენად ნებაყოფლობით მოხდა ბრალის აღიარება[7]. ამასთან, ა.წ. ივლისის თვეში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების შედეგად, დაწესდა სპეციალური მტკიცების სტანდარტი, რომელიც მხოლოდ საპროცესო შეთანხმების დადებისას იმოქმედებს. იგი აერთიანებს მტკიცებულებებს, რომლებიც დაარწმუნებდნენ ობიექტურ პირს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და უარს ამბობს სასამართლოს

2 ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, პარ. 90, 29 აპრილი, 2014.

3 სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, პარ. 135, 17 სექტემბერი, 2009.

4 რუიზ ტორიჯა ესპანეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, პარ. 29, 9 დეკემბერი, 1994.

5 ვან დერ ჰურკი ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, პარ. 61, 19 აპრილი, 1994.

6 ბოლდეა რუმინეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, პარ. 30, 17 ივნისი, 2013.

7 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 213.

მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე[8]. აღსანიშნავია ასევე ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც ბრალდებულსა და პროკურორს შორის შეთანხმება აღარ ხდება ბრალზე და ეს ეხება მხოლოდ სასჯელს. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობა უკვე სავალდებულოდ აწესებს საპროცესო შეთანხმების ამსახველი ოქმის შედგენას, რომელიც პროკურორსა და ბრალდებულს შორის მოლაპარაკების შინაარსს შეიცავს[9]. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საერთო სასამართლოებმა მოირგონ კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული შედარებით აქტიური როლი და დაასაბუთონ განაჩენი, რომლითაც ამტკიცებენ საპროცესო შეთანხმებას, თითოეული ამ კომპონენტის მიმოხილვით და პრობლემატურ ელემენტებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით.

საპროცესო კანონმდებლობა თითქმის იდენტურია მსოფლიო მასშტაბით იმ ქვეყნებში, რომელთა სამართლებრივი სისტემებიც იცნობენ ამ ინსტიტუტს. თუმცა განსხვავდება დასაბუთების ხარისხი. ქვემოთ მიმოვიხილავთ საერთაშორისო პრაქტიკას და ელემენტებს, რომელთა განხილვასაც სასამართლოები მიზანშეწონილად მიიჩნევენ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას.

საერთაშორისო გამოცდილება

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი ყველაზე კარგად ამერიკულ სამართლებრივ სისტემას არის მორგებული. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გადავხედოთ პრაქტიკას და დავადგინოთ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას სასამართლო ასაბუთებს თუ არა განაჩენს. ***ამერიკის შეერთებული შტატების*** შემთხვევაში, 1968 წლის *ბრეიდის* საქმე[10] ადგენს საპროცესო გარიგების კონსტიტუციურობას და აყენებს რამდენიმე მოთხოვნას. სასამართლო, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებს თანხმობის ელემენტზე, მიუთითებს რა, რომ ეს წარმოადგენს არა უბრალოდ ბრალის აღიარებას, არამედ განსასჯელის ნებას, უარი თქვას რიგ პროცედურულ გარანტიებზე. შესაბამისად, სასამართლომ განსაკუთრებული სიზუსტით უნდა დაადასტუროს ნების ნამდვილობა. სასამართლო ჩაუღრმავდა განსასჯელის ნების ნამდვილობას იმის ფონზე, რომ მას ბრალის დადასტურების შემთხვევაში, სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა. სასამართლომ განიხილა აღნიშნული ფაქტორი და მიუთითა, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ მკაცრ სასჯელს შესაძლოა ემოქმედა, ნების ნამდვილობაზე, ეს წარმოადგენდა ე.წ. „but for" ფაქტორს, შესაბამისად, გადამწყვეტ გავლენას ვერ მოახდენდა განსასჯელის ნებაზე, დაესრულებინა საქმე საპროცესო შეთანხმებით. ეს ფაქტორი მუქარის კონტექსტშიც განიხილა სასამართლომ, უარყო რა სიკვდილით დასჯის შიშის გადამწყვეტი ეფექტი განსასჯელის მიერ განცხადებულ გააზრებულ თანხმობაზე. როგორც ვხედავთ, სასამართლო არ შემოიფარგლება საპროცესო შეთანხმების ელემენტების „მშრალი" მიმოხილვით და უღრმავდება მათ, ასაბუთებს, გამორიცხავს თანმდევ ფაქტორებს და მიდის დასაბუთებულ, ლოგიკურ გადაწყვეტილებამდე.

ბრეიდის საქმეს ათეული წლის შემდეგ მოჰყვა *კუპერის*[11] და *ფრაიეს*[12] საქმეები, სადაც დადგინდა, რომ სასამართლო მხოლოდ ნებაყოფლობითობის ან/და წინასწარი შეთანხმების პირობების შესრულებას როდი ამოწმებს. პირის სამართლიანი სასამართლოს უფლება განიმარტა, როგორც ეფექტიანი დაცვის უფლება, რაც სასამართლოს ავალებს, შეამოწმოს, სათანადოდ განემარტა თუ არა პირს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები და მოსალოდნელი შედეგები, განსაკუთრებით დაცვის მხარის მიერ.

საპროცესო შეთანხმების დადებისას ნებაყოფლობითობის ელემენტის შემადგენელი

8 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 11[1].
9 იქვე, მუხლი 2010 (6).
10 რობერტ მ. ბრეიდი აშშ-ს წინააღმდეგ, 397 U.S. 742 4 მაისი, 1970.
11 ლაფტერი კუპერის წინააღმდეგ, 132 S.Ct. 1376 (2012).
12 მისური ფრაიეს წინააღმდეგ, 132 S. Ct. 1399, 2012.

მნიშვნელოვანი ნაწილია კვალიფიციური დაცვის უფლების განხორციელება. შესაბამისად, სასამართლო ამ კომპონენტსაც აკვირდება. მნიშვნელოვანია, დადგინდეს, რამდენად სრულყოფილად არის ბრალდებული ინფორმირებული მოსალოდნელ ნასამართლობაზე და სხვა „პირდაპირ" თანმდევ შედეგებზე. ამ კონტექსტში ამერიკული სასამართლოების მიდგომა შემდეგნაირია: პირდაპირ თანმდევ შედეგზე არაინფორმირებულობა (მაგ.: ნასამართლობა) არის ნების ნამდვილობის გაბათილების საფუძველი; ხოლო ისეთ არაპირდაპირ შედეგებზე ინფორმაციის არქონა, როგორიცაა, მაგალითად: მართვის მოწმობის მოქმედების შეჩერება, ამნისტია, პირობითი მსჯავრის არსებობა და ა.შ. შესაძლებელია, შემდგომშიც იქნეს დაბალანსებული ისე, რომ ნების ნამდვილობის ელემენტს ჩრდილი არ მიადგეს. თუმცა *პადილას* საქმეში[13] სასამართლო გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებული არ იყო ინფორმაციამოკლებული, არამედ შეცდომით ინფორმირებული. შესაბამისად, ადვოკატის მიერ განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდება იმის თაობაზე, რომ ბრალდებული საპროცესო შეთანხმების შემდგომ მართვის მოწმობას შეინარჩუნებდა, ანდა დეპორტაციის რისკი არ დადგებოდა, ბათილს ხდის თავად ბრალდებულის ნებას და თავად საპროცესო შეთანხმებას. როგორც წესი, ამერიკულ სასამართლოთა უმეტესობა, მხოლოდ ნებაყოფლობითობის ელემენტის დასადგენად, შემდეგი სიით ხელმძღვანელობს:

- ☐ განიხილეთ თუ არა ადვოკატთან ბრალის შინაარსი?
- ☐ მაქსიმალური სასჯელი ამ დანაშაულისთვის არის ..., აცნობიერებთ კანონის ამ ჩანაწერს?
- ☐ განიხილეთ თუ არა ადვოკატთან საპროცესო შეთანხმების შინაარსი და შედეგები?
- ☐ აცნობიერებთ თუ არა, რომ თქვენ გაქვთ უფლება, თავი არ ცნოთ დამნაშავედ?
- ☐ აცნობიერებთ თუ არა, რომ თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ საქმის განხილვა სასამართლოს მიერ, სადაც არ იქნებით ვალდებული, მისცეთ ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ?
- ☐ ნებაყოფლობით აღიარებთ დანაშაულს?
- ☐ ბრალის აღიარებისას თქვენზე რაიმე ფორმის ზეწოლა ხომ არ განხორციელდა?

ნებაყოფლობითობის მიღმა, ამერიკული სამართლებრივი სისტემა, ქართული საპროცესო კანონმდებლობის მსგავსად, აუცილებლად მიიჩნევს მოსალოდნელი ნასამართლობისა და ბრალის ხასიათის შესახებ ინფორმირებულობას, წამების, არაადამიანური/დამამცირებელი მოპყრობის გამორიცხვას და ბრალდებულის უფლებას, კვლავ მოითხოვოს საქმის არსებითი განხილვა, ან მისი გადაცემა ნაფიც მსაჯულთათვის.

გარდა შიდასამართლებრივი სისტემებისა, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი აქტიურად დანერგა საკუთარ პრაქტიკაში "ad hoc" ტრიბუნალებმა. ამ კვლევისთვის, საინტერესოა იუგოსლავიისა და რუანდას ტრიბუნალების პრაქტიკის გაცნობა, რომელსაც ქვემოთ შევეხებით.

ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის წესდების მე-20 მუხლი ითვალისწინებს ბრალის აღიარების შესაძლებლობას განსასჯელის მიერ. ამავე ტრიბუნალის წესების 62^{ბის}-ე მუხლის თანახმად კი, ტრიბუნალს ეკისრება ვალდებულება, დაადასტუროს, რომ ა) ნება ნამდვილია; ბ) გააზრებულია; გ) ბრალის აღიარება არ ხდება ყოყმანის პროცესში; დ) არსებობს საკმარისი ფაქტობრივი გარემოებები განსასჯელის დანაშაულში მონაწილეობის შესახებ. ამ შემთხვევაში, ტრიბუნალი ნიშნავს სხდომას სასჯელის განსასაზღვრავად.

საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას ტრიბუნალი აანალიზებს ყველა ზემოთმოცემულ ფაქტორს. *არდემოვიჩის* საქმეში[14] ტრიბუნალი ჯერ შეეხო განსასჯელის ნების

13 პადილა კენტუკის თანამეგობრობის წინააღმდეგ, 559 U.S. 356 (2010)

14 The Prosecutor v. Drazen Erdemovic, (sentencing judgment) International Criminal Tribunal for the former Yugoslavia (ICTY), IT-96-22-A 29 November, 1996.

ნამდვილობას, მოიყვანა რა ამის დამადასტურებელი ფაქტები, შემდგომში მოხდა ფსიქიატრის დასკვნის მოხმობა და დადასტურება, რომ განსასჯელი გააზრებულად აღიარებს ბრალს. ტრიბუნალი შემდეგ შეეხო იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ადასტურებდნენ წარდგენილ ბრალს, მათ შორის, ბრალის გამომრიცხავ ან შემამსუბუქებელ გარემოებებს (ამ შემთხვევაში — მეთაურის ბრძანების შესრულება). *ზელენოვიჩის საქმეში*[15] კი ტრიბუნალმა საპროცესო შეთანხმებისთვის აუცილებელი პირობა — ბრალის აღიარება, შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია, მნიშვნელობა მიანიჭა განსასჯელის თანამშრომლობას გამოძიებასთან და დაადასტურა საპროცესო შეთანხმება, შემსუბუქებული სასჯელით. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით დადგენილი ელემენტები თითქმის იდენტურია ქართული საპროცესო კანონმდებლობისა, ტრიბუნალი, საერთო სასამართლოებისგან განსხვავებით, საჭიროდ მიიჩნევს, ჩაუღრმავდეს თითოეულ ელემენტს და დაასაბუთოს მათი არსებობა-არარსებობა.

რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი, რომლის წესდებით გათვალისწინებული საპროცესო შეთანხმების ნამდვილობის კრიტერიუმები იდენტურია ყოფილი იუგოსლავიის წესდებისა, *კამბანდას* საქმეში[16] საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას, შემდეგ ელემენტებს შეეხო:

ა) ჩამოთვალა მუხლები, რომელთა დარღვევაშიც თავი დამნაშავედ ცნო პირმა;

ბ) სასჯელის ნაწილზე საუბრისას მიმოიხილა დანაშაულებისთვის გათვალისწინებული სასჯელი (სიკვდილით დასჯა);

ბ.ა.) პიროვნული მახასიათებლები;

ბ.ბ) დანაშაულის აღიარება, როგორც სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოება;

ბ.გ.) დანაშაულის სიმძიმე, რომლის ჩადენასაც აღიარებს;

ბ.დ.) პირის სამსახურებრივი მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის დროს.

რუტაგანირას საქმეში[17] კი სასჯელზე შეთანხმება წარმოადგენდა პრობლემატურ საკითხს. ამ კონტექსტში, ტრიბუნალმა განიხილა:

ა) ინდივიდუალური მდგომარეობა:

ა.ა.) ოჯახური მდგომარეობა;

ა.ბ.) პირადი თვისებები და ზოგადი ქცევა;

ა.გ.) ნასამართლობის არქონა და ციხეში მოქცევა;

ა.დ.) ასაკი და ავადმყოფობა;

ა.ე.) უშუალო ჩართულობის არქონა განხორციელებულ მკვლელობებთან;

ბ) დამამძიმებელი გარემოებები;

გ) შემამსუბუქებელი გარემოებები:

გ.ა.) ნებაყოფლობითი ჩაბარება;

გ.ბ) ბრალის აღიარება;

გ.გ.)რიგი მსხვერპლებისთვის გაწეული დახმარება;

15 Prosecutor v. Dragan Zelenovic (Sentencing Judgment), IT-96-23/2-S, International Criminal Tribunal for the former Yugoslavia (ICTY), 4 April 2007.
16 The Prosecutor v. Jean Kambanda (Judgement and Sentence), ICTR 97-23-S, International Criminal Tribunal for Rwanda (ICTR), 4 September 1998
17 The Prosecutor v. Vincent Rutaganira (Judgement and Sentence), ICTR-95-1C-T, International Criminal Tribunal for Rwanda (ICTR), 14 March 2005

გ.დ.)მონანიება;

გ.ე) თავისუფლების აღკვეთის მანამდე არსებული ხანგრძლივობა.

საინტერესოა ***ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს*** მიდგომა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ თავად სასამართლო არ ამტკიცებს საპროცესო შეთანხმებებს, რიგ საქმეებში იგი შეეხო ამ ინსტიტუტის ნამდვილობის ელემენტებს, რაც საინტერესოა აღნიშნული კვლევის მიზნებისთვის. ასე, მაგალითად, სასამართლომ *ნაცვლიშვილის* საქმეში[18] გაიხსენა, რომ ჯერ კიდევ 1987 წელს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის წარმომადგენლებმა მოუწოდეს წევრ სახელმწიფოებს, დაენერგათ გამარტივებული სამართალწარმოება. იმისათვის, რომ უფლებაზე უარის თქმა, კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, ეფექტიანი იყოს, აუცილებელია, აღნიშნული განხორციელდეს აშკარა ფორმით და ასევე უზრუნველყოფილი იყოს მინიმალური დაცვის გარანტიები. დამატებით, უფლებებზე უარის თქმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საჯარო ინტერესს[19].

ნაცვლიშვილის საქმეში სასამართლომ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებად საპროცესო შეთანხმების კონტექსტში, დაასახელა: (ა) განსასჯელის მიერ თანხმობის აშკარად ნებაყოფლობით გამოხატვამდე მისი (ბ) სრული ინფორმირებულობა საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, მათ იურიდიულ შედეგებზე; (გ) შეთანხმების პირობებსა და მათი მიღწევის გზების სამართლიანობის შემოწმებაზე სათანადო სასამართლო კონტროლის განხორციელება[20]. სამართლიანი სასამართლოს უფლებიდან გამომდინარეობს ასევე აღნიშნული ელემენტების სათანადოდ დასაბუთება, რათა მხარეთა დაცვის უფლება ეფექტიანად განხორციელდეს, ხოლო სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპი მხარეთათვის განჭვრეტადი იყოს.

დასკვნა

გამოკვლეული პრაქტიკა საპროცესო შეთანხმების დასაბუთებულობის კონტექსტში აჩვენებს შემდეგ ტენდენციას: საკანონმდებლო ბაზა საპროცესო შეთანხმების დადების დამტკიცების წინარე მოქმედებების თაობაზე პრინციპულად ახლოს დგას და აერთიანებს ნებაყოფლობის, ინფორმირებულ, ბრალის დასამტკიცებლად საჭირო მტკიცებულებათა ელემენტებს. თუმცა, განსხვავებით საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკისგან, ნებისმიერ ზემოთ მიმოხილულ სამართლებრივი სისტემის ქოლგის ქვეშ ხდება თითოეული ელემენტის განხილვა, გაბათილება, კონტრარგუმენტის მოხმობა და მათი დადასტურება ან უარყოფა. ამით იკვეთება სასამართლოს როლი, არ მიიღოს ავტომატურ მოცემულობად მხარეთა შეთანხმება და გამოიკვლიოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ელემენტი, მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ამ ელემენტების განხილვას არ ჰქონდეს ფორმალური ხასიათი და მიზნად ისახავდეს ჭეშმარიტების რეალურ დადგენას. ასე, მაგალითად, დასაბუთებულობის ხარისხს ვერ გაზრდის სასამართლოს მიერ მარტივად იმის მითითება, რომ მხარე გამოიკითხა იმის თაობაზე, საკუთარი ნებით განაცხადა თუ არა საპროცესო შეთანხმებაზე თანხმობა, რის შედეგადაც დადგინდა ნებაყოფლობის ელემენტი. საჭიროა, თითოეული ელემენტი განიხილებოდეს კომპლექსურად, კონტექსტის, სუბიექტური და ობიექტური გარემოებების, დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი ფაქტორების, ყოველი ეჭვის მიმოხილვითა და საბოლოოდ დასაბუთებული დასკვნის წარმოდგენით.

---

18 ნაცვლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ვეროპული სასამართლო, იხ: სქოლიო 2.

19 სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ვეროპული სასამართლო, §135-136, სქოლიო 3; პოიტრიმოლი საფრანგეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ვეროპული სასამართლო, პარ.31, 23 ნოემბერი, 1993. ჰერმი იტალიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ვეროპული სასამართლო, პარ.73, 18 ოქტომბერი, 2006.

20 ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, (იხ სქოლიო 1), პარ. 91.

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, საერთო სასამართლოების მოსამართლეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბრალდებულის ნების ნამდვილობის შემოწმებას და ეს არ შემოიფარგლებოდეს მხოლოს ზეპირი თანხმობის მოსმენით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მოსამართლეს ხელი მიუწვდება პროკურორსა და ბრალდებულს შორის წარმართული მოლაპარაკების ოქმზე, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ნებაყოფლობითობის განხილვა ერთიანობაში: მოლაპარაკების დაწყების ეტაპიდან სასამართლოს წინაშე წარდგენამდე;
- მნიშვნელოვანია, სასამართლომ ყურადღებით შეისწავლოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მოლაპარაკების ამსახველი საპროცესო შეთანხმების ოქმი, გაეცნოს იქ არსებულ შენიშვნებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში და დარწმუნდეს, ხომ არ ახდენენ ისინი გავლენას საპროცესო შეთანხმების ნამდვილობაზე; საჭიროების შემთხვევაში, ოქმის ირგვლივ არსებულ საკითხებს შეეხოს საბოლოო გადაწყვეტილებაშიც;
- ბრალდებულის ნების ნამდვილობაზე შესაძლოა, გავლენას ახდენდეს დაცვის არასათანადო განხორციელებაც. ეს აერთიანებს როგორც არაპროფესიონალურ, ისე განზრახ არასწორი ცნობების მიწოდებას, ასევე ბრალდებულისთვის მნიშვნელოვანი ცნობების დაფარვას საპროცესო შეთანხმების მოსალოდნელ შედეგებზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მოსამართლე დააკვირდეს, რამდენად სრულყოფილად არის ბრალდებულის დაცვის უფლება რეალიზებული, რამდენად სათანადოდ არის ბრალდებული ბრალის შინაარსზე, მოსალოდნელ სასჯელზე ინფორმირებული და რამდენად უზრუნველყოფილ იქნა ადვოკატის ჩართულობა საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკების ყველა ეტაპზე. რომელიმე ამ ელემენტის პრობლემატურად მიჩნევის შემთხვევაში, მოსამართლემ ისინი უნდა წამოწიოს და განიხილოს საბოლოო გადაწყვეტილებაში;
- მნიშვნელოვანია, სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ახალ მტკიცების სტანდარტს, რომელიც სსსკ-ის მე-11[1] მუხლით არის გაწერილი და, რომელიც უფრო მაღალ მოთხოვნებს აწესებს, ვიდრე ბრალდების მხარისთვის მანამდე არსებული დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი;
- მნიშვნელოვანია სასამართლოს როლის გააქტიურება სასჯელის ნაწილში. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლეს ავტონომიურად სასჯელის შემცირების, თუ შეცვლის უფლებამოსილებას არ უტოვებს, ეს ავტომატურად სულაც არ ამართლებს გადამეტებულად მსუბუქი ან მძიმე სასჯელის დამტკიცებას, მხოლოდ იმ მოტივით, რომ ბრალდების მხარემ ამგვარი შუამდგომლობა წარადგინა. სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ბრალის შესაბამისი სასჯელიც არის. შესაბამისად, სასამართლო ყურადღებით უნდა დააკვირდეს სასჯელის განსაზღვრის პროცესს და შეუსაბამო სასჯელის შემთხვევაში: 1) შესთავაზოს მხარეებს შეცვლილი პირობები და დაელოდოს მათი ხელახალი მოლაპარაკების შედეგებს; 2) უარი თქვას საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე. სასჯელის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის კოდექსის XI თავით გაწერილი პრინციპებით ხელმძღვანელობა.

რეკომენდაციები

სასამართლოს გადაწყვეტილების შედგენისას გასათვალისწინებელი ძირითადი წესების შესახებ

შესავალი

სასამართლოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სახე, როგორც წესი, წერილობითი ფორმით ურთიერთობაა. იშვიათი გამონაკლისის გარდა, სასამართლო მხარესთან, ადვოკატთან, პროკურორთან, ადმინისტრაციულ ორგანოსთან, მოსარჩელესთან, მოპასუხესთან, სხვა სასამართლოსა და, ზოგადად, საზოგადოებასთან ურთიერთობას ამყარებს თავისი გადაწყვეტილების მეშვეობით. ამასთან, როგორიც არ უნდა იყოს სასამართლოს კონსტიტუციური სტატუსი და მართლმსაჯულების განხორციელების საკანონმდებლო გარანტიები, საბოლოოდ მაინც სასამართლოს ძალაუფლების საზომს მისი გადაწყვეტილების წერილობითი ფორმულირება წარმოადგენს.

ამდენად, საკმარისი არ არის, რომ გადაწყვეტილება იყოს სწორი და კანონიერი. იგი ამავდროულად სამართლიანი, დასაბუთებული და ადვილად გასაგები ენით უნდა იყოს დაწერილი.

სასამართლოს გადაწყვეტილების დანიშნულებაა, განუმარტოს ობიექტურ პიროვნებას და დაარწმუნოს იგი, რომ გადაწყვეტილება გონივრული და დასაბუთებულია.

ის, თუ რას და როგორ ამბობს სასამართლო, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის, თუ რას გადაწყვეტს იგი.

ნიშანდობლივია, რომ საზოგადოების წევრები, როგორც წესი, გადაწყვეტილებებს იშვიათად კითხულობენ.

ჟურნალისტები კი ავრცელებენ იმას, რაც, მათი აზრით, გადაწყვეტილების არსს წარმოადგენს, ანუ — იმას, რაც, მათი მოსაზრებით, საზოგადოების ინტერესის საგანია.

როდესაც გადაწყვეტილება საზოგადოების ინტერესის საგანს შეეხება, ან, სავარაუდოდ, მედიის ინტერესს გამოიწვევს, ის ისე უნდა დაიწეროს, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი სწორად გაგება.

კარგად შედგენილი გადაწყვეტილების ნიშანი ნებისმიერ შემთხვევაში სწორედ ის არის, რომ იგი გასაგებია გონიერი, არაპროფესიონალი პირისათვის.

სასამართლოს წერილობითი გადაწყვეტილება მხარეებსა და საზოგადოებას აცნობს სასამართლოს დასკვნებსა და მათი მიღების დასაბუთებას. აუცილებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილება კანონს განმარტავს არა მარტო მხარეებისა და მოსამართლეებისათვის, არამედ სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებისა და დაინტერესებული საზოგადოებისათვის. ამასთან, წერილობითი გადაწყვეტილების მომზადება მოსამართლეს აკისრებს ინტელექტუალურ პასუხისმგებლობას და მისგან მოითხოვს, განმარტოს გადაწყვეტილების დასაბუთება და შეაფასოს არგუმენტების საფუძვლიანობა.

გადაწყვეტილებამ სამართლიანად, ნათლად და ზუსტად უნდა წარმოადგინოს მნიშვნელოვანი ფაქტები და კანონის შესაბამისი სამართლებრივი ნორმები, მათი ანალიზით დაასაბუთოს დასკვნების სამართლიანობა.

მნიშვნელოვანი ფაქტების არასწორად დადგენა ან უფლებამოსილების არასაკმარისად გამოყენება საფრთხეს უქმნის გადაწყვეტილების დამაჯერებლობას.

ბუნდოვანი და ორაზროვანი წერა კი ავტორის ნათელი აზროვნების ნაკლებობის შედეგია და გადაწყვეტილების მიზანს ვნებს.

თითოეული გადაწყვეტილების წერისას მოსამართლემ საკუთარ თავს უნდა ჰკითხოს:

— ასე იმიტომ ვწერ, რომ უფრო სწორია, თუ იმიტომ, რომ ასე ვარ მიჩვეული, ხომ არ არსებობს კიდევ უფრო უკეთესი გზა?
— არსებობს კი იმის მიზეზი, რომ ეს გადაწყვეტილება სწორედ ასე იყოს

ჩამოყალიბებული?
— დავწერო თუ არა ამ კონკრეტული ფაქტის შესახებ?
— განვიხილო თუ არა ეს საკითხი ვრცლად?
— ჩავრთო თუ არა გადაწყვეტილებაში ეს ციტატა?
— ეს წინადადება გასაგებია?
— მასში ყველა სიტყვა საჭიროა? და ა.შ.

წინამდებარე რეკომენდაციები გამიზნულია იმისათვის, რომ მოსამართლეებსა და სასამართლოს თანამშრომლებს მოუწოდოს, კრიტიკულად იაზროვნონ გადაწყვეტილების წერისას, ანუ იფიქრონ არა მხოლოდ იმაზე, თუ რა უნდა ჩართონ, ან რა უნდა გამორიცხონ გადაწყვეტილებაში, არამედ — იმაზეც, თუ როგორ უნდა წერონ კარგად.

ეს რეკომენდაციები ფუნქციურად ეხება გადაწყვეტილების წერას და იმ საკითხებს, რომლებიც წამოიჭრება გადაწყვეტილების წერისა და რედაქტირების პროცესში.

ვფიქრობთ, მოსამართლეებსა და მათ თანაშემწეებს არ უნდა გაუჭირდეთ ამ რეკომენდაციების გათვალისწინება, რადგან სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე გადაწყვეტილებათა ახალი ფორმები მათი ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბებისა და კარგად დასაბუთების უფრო მეტ საშუალებას იძლევა.

რეკომენდაციები განკუთვნილია როგორც სამოქალაქო და ადმინისტრაციული, ისე სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი მოსამართლეებისათვის. მათი მიზანია, მოსამართლეებს დაეხმაროს, მუდმივად იფიქრონ, თუ როგორ დაწერონ თავიანთი გადაწყვეტილებები უკეთ, ისევე როგორც ამას აკეთებენ საქმეებზე გადაწყვეტილებების მიღების დროს.

რეკომენდაციები შემუშავებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, ბ-ნი ზაზა მეიშვილის ხელმძღვანელობით. მათი მომზადებისას გამოყენებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სამოსამართლო ცენტრის მიერ შექმნილი სამოსამართლო წერის სახელმძღვანელო, თუმცა ეს რეკომენდაციები ქართულ სასამართლო პრაქტიკაზეა დაფუძნებული და მისი განზოგადებიდან მომდინარეობს.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ რეკომენდაციებს ვურთავთ საქართველოს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების სტილისტიკური გასწორების შედეგად გამოვლენილი ყველაზე ტიპობრივი ენობრივი ლაფსუსების მოკლე ანალიზს და აქვე მოყვანილია მართებული ფორმები.

ვფიქრობთ, წინამდებარე რეკომენდაციები დაეხმარება მოსამართლეებსა და ყველა პრაქტიკოს იურისტს თავიანთი ნააზრევის გამართულ ქართულ ენაზე ჩამოყალიბებაში.

წერისათვის მომზადება

სანამ წერას დაიწყებდეს, მოსამართლემ უნდა გააანალიზოს, თუ რა სურს გადაწყვეტილებაში აისახოს და როგორ უნდა გადმოსცეს იგი.

თავდაპირველად მან უნდა შეიმუშაოს გადაწყვეტილების მონახაზი და გაითვალისწინოს პოტენციური აუდიტორია.

მოსამართლემ უნდა მიუთითოს არსებითი ფაქტები, ჩამოაყალიბოს საკითხები, განსაზღვროს კანონის მოქმედი ნორმები, სასამართლოს გადაწყვეტილებები. მოკლედ, მან საქმე უნდა „დაყოს" სხვადასხვა კომპონენტად.

აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ წერის დაწყების შემდეგ მოსამართლემ არ შეიძლება შეიცვალოს თავისი აზრი. ზოგჯერ მოსამართლემ შეიძლება წინასწარ გადაწყვიტოს, თუ რა მიმართულებით უნდა წავიდეს, მაგრამ წერის პროცესში აღმოაჩინოს, რომ არ შეუძლია იმ მიმართულებით წასვლა.

სქემა

სქემა მოსამართლეს გააზრებაში ეხმარება.

სქემის მომზადება ყველაზე ხელსაყრელია საქმის განხილვის დამთავრებისთანავე, რადგან მოსამართლეს საკუთარი მოსაზრებები, სხვა მოსამართლის (საქმის კოლეგიურად განხილვის შემთხვევაში) მიდგომები და მხარეთა პოზიციები „გონებაში აქვს" და ამ დროს გაცილებით კომფორტული და ადვილია აზრების ჩამოყალიბება.

სქემამ შესაძლებელია მიიღოს სხვადასხვანაირი ფორმა, მაგ.:

— ფორმალური;
— მოსამართლის ან მისი თანაშემწის მიერ წერილობით შედგენილი;
— მნიშვნელოვანი ფაქტების მონახაზი;
— სადისკუსიო საკითხები, რომლებსაც მოსამართლე განავრცობს წერის პროცესში;
— საკითხების მოკლე ნუსხა;
— მხოლოდ მოსაზრებების ჩამონათვალი.

ფორმის მიუხედავად, არსებითი ის არის, რომ მოსამართლემ თავისი აზრები წერის დაწყებამდე უნდა ჩამოაყალიბოს.

მოსამართლის თანაშემწის გამოყენება

გადაწყვეტილების დამწერი მოსამართლისათვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლია თანაშემწეს და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაგროვილი საქმეების რაოდენობა დიდია, ასეთ დროს მისი დახმარება არსებითია.

მოსამართლის თანაშემწესთან დისკუსია სასარგებლოა გადაწყვეტილების დაგეგმვისას და სქემის შედგენის დროს. თანაშემწესთან აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ამ გზით მათი შემოწმების შესაძლებლობა ფასდაუდებელია.

ეს არის სასარგებლო პრაქტიკა წერის მთლიანი პროცესის განმავლობაში, როდესაც მოსამართლე და თანაშემწე განიხილავენ და აკრიტიკებენ გადაწყვეტილებას მისი ჩამოყალიბების პროცესში, გამოავლენენ შეცდომებს და ბუნდოვანებებს, ცდილობენ დაკონკრეტებას და აყალიბებენ საბოლოო პროდუქტს.

წერის პროცესში მოსამართლე თანაშემწეს იყენებს სხვადასხვა მიმართულებით. ზოგიერთი მოსამართლე ზღუდავს თანაშემწეს გადაწყვეტილების მომზადების ან უკვე მომზადებული პროექტის კომენტარის დროს. ზოგიერთი მოსამართლე თანაშემწეს გადაწყვეტილების თავდაპირველი პროექტის მომზადებას მხოლოდ „მარტივ" საქმეებზე ანდობს, სხვები თანაშემწეებს გადაწყვეტილების პროექტის მომზადებას უფრო რთულ საქმეებზეც ავალებენ. ზოგიერთი მოსამართლე თანაშემწეს ავალებს, გაასწოროს მის მიერ დაწერილი პირველადი პროექტი, სანამ მოსამართლე მას საბოლოო ვერსიის შესად-გენად დაუბრუნდება.

თავდაპირველი პროექტის დასაწერად თანაშემწემ უნდა გამოიყენოს მოსამართლის ან მათ მიერ ერთად შემუშავებული სქემა. მას უნდა ესმოდეს გადაწყვეტილების გამოყენების სფერო, წერის ორგანიზაცია და გადაწყვეტილების შესაძლო შედეგი.

თუ მოსამართლე დაასკვნის, რომ თანაშემწის მიერ შედგენილ პროექტზე დიდი სამუშაოა ჩასატარებელი, შესაძლებელია, მან თვითონ დაწეროს გადაწყვეტილების პროექტი.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ გადაწყვეტილების პროექტი არასრულყოფილია, იგი წერის პროცესს მაინც მნიშვნელოვნად ამარტივებს.

მოსამართლის მიერ თანაშემწის დახმარების გამოყენება დამოკიდებულია როგორც მოსამართლის პირად ჩვევებსა და მუშაობის სტილზე, ისე — კონკრეტული თანაშემწის შესაძლებლობებზე.

მოსამართლეს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ თანაშემწეს, როგორც წესი, იურიდიული ფაკულტეტი ახალი დამთავრებული აქვს და, შესაბამისად, მცირე პრაქტიკული გამოცდილების მქონეა. განსაკუთრებული აკადემიური მიღწევებიც კი თანაშემწეს საკმარის კვალიფიკაციას არ აძლევს მოსამართლის როლთან გასამკლავებლად, გამოსწორებად და გამოუსწორებად შეცდომებს შორის ვიწრო საზღვრის აღმოსაჩენად.

იშვიათია, როდესაც მოსამართლის თანაშემწეს წერის სრულყოფილი სტილი აქვს. თანაშემწის მიერ ფაქტების განსაზღვრა, მათი ანალიზი და შესაბამისი დასკვნები შესაძლოა, საჭიროებდეს მნიშვნელოვან შესწორებას.

ამასთან, მოსამართლე არ უნდა ასრულებდეს მხოლოდ რედაქტორის ფუნქციას.

თუმცა, მოსამართლეს უნდა ახსოვდეს, რომ თანაშემწის უნარის მიუხედავად, გადაწყვეტილება ყოველთვის მოსამართლემ უნდა შეადგინოს.

გადაწყვეტილების ორგანიზება და შედგენა

სასამართლოს გადაწყვეტილებამ უნდა მოახდინოს წარმოდგენილი საკითხების იდენტიფიკაცია, ჩამოაყალიბოს შესაბამისი ფაქტები და გამოიყენოს მოქმედი კანონმდებლობა, რომ შეიქმნას ადვილად გასაგები და კარგად დასაბუთებული გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც უნდა გადაიჭრას საქმის განხილვის შედეგად.

ეს რეკომენდაციები გამიზნულია მოსამართლეების დასახმარებლად, რათა მათ შეადგინონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ამ მიზნებს დააკმაყოფილებს.

სტრუქტურა

გადაწყვეტილების ნათელი და ლოგიკური სტრუქტურა მკითხველს მის გააზრებაში დაეხმარება.

ნუმერაციის ან მკითხველისათვის სტრუქტურის აგებულების ჩვენების სხვა ფორმის გამოყენება, როგორც წესი, სასარგებლოა და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება ვრცელია, ხოლო საკითხი — კომპლექსური. აღნიშნული წარმოადგენს არა მხოლოდ გზამკვლევს მკითხველისათვის, არამედ მოსამართლესაც ეხმარება, „მოაწესრიგოს" აზრები და შეამოწმოს გადაწყვეტილების ლოგიკურობა.

სამოტივაციო ნაწილი არის გადაწყვეტილების ქვაკუთხედი.

ის, თუ საკითხები როგორ არის ჩამოყალიბებული, განსაზღვრავს, თუ რა ფაქტებია არსებითი და რა პრინციპები მოქმედებს.

მოსამართლე არ უნდა გახდეს მხარის მიერ წარმოდგენილი ანალიზის ტყვე.

მოსამართლემ საკითხები ისე უნდა ჩამოაყალიბოს, როგორც მათ ხედავს; და ეს მაშინაც ისე უნდა შეასრულოს, როცა მისი ხედვა განსხვავებულია მხარის (მხარეების) ხედვისაგან (ხედვებისაგან).

ის, რომ მხარემ წამოჭრა გარკვეული საკითხი, არ ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებაში იგი აუცილებლად უნდა იქნეს განხილული, თუ ის შედეგისთვის მნიშვნელოვანი არ არის.

სამოტივაციო ნაწილი მხარეების კამათის გადმოცემასთან არ უნდა იქნეს აღრეული.

გადაწყვეტილებაში მხარეთა ისეთი კამათის ვრცლად გადმოცემა, რომელიც ანალიზსა და დასაბუთებას არ ცვლის, თავიდან უნდა იქნეს აცილებული.

როდესაც პრობლემა ერთ საკითხს შეეხება, ფაქტების გადმოცემა, როგორც წესი, დასაწყისში ერთ აბზაცშია შესაძლებელი.

ამასთან, მხოლოდ ის ფაქტები უნდა იქნეს წარმოდგენილი, რომლებიც აუცილებელია გადაწყვეტილების განმარტებისათვის. თუმცა ის, თუ რა არის აუცილებელი გადაწყვეტილების განსამარტავად, ყოველთვის ცალსახა არ არის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად თანამდევი ფაქტები შესაძლებელია, გადაწყვეტილების შინაარსის წარმოჩენისა და მისი ლოგიკის დასაბუთებისათვის სასარგებლო იყოს.

ზედმეტი ფაქტობრივი დეტალები შეიძლება დამაბნეველი იყოს. მაგალითად, თარიღები, როგორც წესი, აბნევს მკითხველს და ისინი ხშირად არ უნდა მიეთითოს, თუ არ არის გადაწყვეტილებისთვის — არსებითი ან გააზრების გასამარტივებლად — სასარგებლო.

სხვა მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ სიმარტივე და სისხარტე ყოველთვის სასურველია, ისინი სრული და სამართლიანი გადმოცემისათვის ნაკლებმნიშვნელოვანია. ამასთან, წაგებული მხარისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი.

ამდენად, მოსამართლეებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ. უპირველეს ყოვლისა, ფაქტების განსაზღვრა ზუსტი უნდა იყოს.

სამართლებრივი პრინციპების განხილვა გადაწყვეტილების არსს წარმოადგენს. მან სასამართლოს დასკვნა უნდა წარმოაჩინოს მსჯელობისა და ლოგიკის საფუძველზე, მკითხველი შედეგის სისწორეში უნდა დაარწმუნოს მსჯელობის ძალით და არა — კამათით.

მოსამართლე უნდა შეეხოს სადავო მოსაზრებებსა და საწინააღმდეგო არგუმენტებს, საკითხები ერთმანეთს უნდა დაუპირისპიროს და მათზე ღიად იმსჯელოს. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება ყველა საკითხსა და დავას არ უნდა შეეხოს, მსჯელობა საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ წაგებულ მხარეს აჩვენოს, რომ მისი პოზიციის არსებითი ასპექტები სრულად იქნა გათვალისწინებული.

სასამართლო, ერთი მხრივ, არ უნდა შეიბოჭოს მხარის მიერ წარმოდგენილი საკითხების ფორმულირებით, ხოლო, მეორე მხრივ, მან ასევე არ უნდა იგრძნოს თავი იძულებულად, განიხილოს საკითხები იმ თანამიმდევრობით, როგორითაც ისინი მხარემ წარმოადგინა.

საკითხების განხილვის თანამიმდევრობა გადაწყვეტილების სტრუქტურით უნდა იყოს ნაკარნახები.

როგორც წესი, გადაწყვეტილება წარმოდგენილ საკითხებს არ უნდა გასცდეს. იგი მხოლოდ იმ საკითხებს უნდა შეეხოს, რომელთა გადაჭრაც საქმის გადასაწყვეტად აუცილებელია.

გადაწყვეტილებისათვის არააუცილებელი ის საკითხები, რომლებიც დამარცხებული მხარის მიერ მნიშვნელოვნად არის წინ წამოწეული, განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ დონეზე, რათა გამოჩნდეს, რომ სასამართლომ მათზე იმსჯელა.

თუმცა, საზღვარი იმ საკითხებს შორის, რომლებიც გადაწყვეტილებისათვის აუცილებელია და რომლებიც არ არის აუცილებელი, ყოველთვის აშკარა არ არის. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში გადაწყვეტილების სრული დასაბუთება შესაძლებელია გაუმჯობესდეს ისეთი საკითხის განხილვით, რაც ცალსახად დასკვნის ნაწილს არ წარმოადგენს.

გადაწყვეტილების დასაბუთებისათვის ხშირად აუცილებელია განიმარტოს, თუ რატომ არ იქნა გათვალისწინებული საწინააღმდეგო არგუმენტები, თუმცა, წაგებული მხარის ძირითადი არგუმენტების განხილვისას გადაწყვეტილება არ უნდა იქცეს კამათის საგნად მოსამართლესა და მხარეს შორის, ან — სხვა მოსამართლესთან, ან — ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოსთან.

თუ წაგებულმა მხარემ არსებითი არგუმენტები წარმოადგინა, გადაწყვეტილებაში უნდა განიმარტოს, თუ რატომ არ იქნა ისინი გათვალისწინებული, თუმცა, მან არ უნდა გააქარწყლოს წაგებული მხარის არგუმენტები მხოლოდ ცალკეული საკითხების

მიხედვით, ანდა მიიღოს კამათის ან წინააღმდეგობის ელფერი.

გახსოვდეთ, რომ გადაწყვეტილებას შეუძლია და მან სათანადო დონეზე უნდა წარმოადგინოს კიდეც მტკიცება.

ამასთან, გვერდზე გადადეთ ემოციები, პირადი გრძნობები.

ციტირება

თუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვან საკითხზე წარსულში იმავე ან ზემდგომმა სასამართლომ რაიმე არსებითი განმარტა, კონკრეტულის ციტირება შესაძლებელია უფრო დამარწმუნებელი და ინფორმაციული იყოს, ვიდრე მისი უბრალო მითითება ან პერიფრაზა.

თუმცა, ციტირების გავლენა მისი სიდიდის უკუპროპორციულია. ამიტომ მოიყვანეთ მოკლე ციტატა და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია.

ციტირება შეძლებისდაგვარად მოკლე უნდა იყოს, ასევე — სამართლიანიც; იგი კონტექსტს უნდა შეესაბამებოდეს და ზუსტად ასახავდეს მისი წყაროს შინაარსს.

ურთიერთობა ქვემდგომი და ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეებს შორის

ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას შეუძლია და მან უნდა გამოასწოროს კიდეც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს შეცდომები, ეს უნდა შესრულდეს გარემოებების შელამაზებისა და ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს კრიტიკის გარეშე.

ამასთან, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაცული უნდა იყოს ზომიერება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის გონიერების, მსჯელობის ან კონკრეტული საკითხისადმი მისი მიდგომის მიმართ.

მეორე მხრივ, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლემ მტკივნეულად არ უნდა განიცადოს ის ცვლილებები, რაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს შეაქვს მის გადაწყვეტილებაში.

მრავალსიტყვაობა

მრავალსიტყვაობა ნიშნავს არა მხოლოდ ზედმეტი სიტყვების გამოყენებას, მაგ.: ორი სიტყვის გამოყენებას, როდესაც ერთიც საკმარისია, არამედ ასევე — ზედმეტი ინფორმაციის გადმოცემას, ზედმეტი საკითხების განხილვას და უბრალოდ, ზედმეტად ვრცლად წერას.

ავტორიტარულად წერის მცდელობისას ზოგიერთი მოსამართლე ცალსახად აშკარა საკითხებს არაწინააღმდეგობრივი შინაარსის წინადადებებისაგან შემდგარ ვრცელ დისკუსიად აქცევს.

ხშირად მრავალსიტყვაობა ასახავს ავტორის უმოქმედობას ან უუნარობას, განასხვაოს არსებითი პრობლემა ნაკლებად მნიშვნელოვნისაგან.

სიზუსტისა და სიცხადის ნაკლებობა

სიზუსტე კარგად წერის უპირველესი წინაპირობაა.

ზოგიერთი მოსამართლე მოკლებულია მარტივი, პირდაპირი წერის უნარს. ხშირად ეს არის იურისტების ტენდენციის შედეგი, ზედმეტი განზოგადებით გადაიფაროს გადაწყვეტილება, როდესაც ავტორი დარწმუნებული არ არის კონკრეტულ საკითხში, ან

— იმაში, თუ როგორ ჩამოაყალიბოს იგი ზუსტად.

მოსამართლემ ზუსტად უნდა იცოდეს, რისი თქმა სურს და უნდა თქვას სწორედ ის და სხვა არაფერი.

აზრი სიტყვის წყაროა და სიტყვა ვერ იქნება იმ აზრზე უკეთესი, რომლისგანაც ის წარმოიშვა.

გადაწყვეტილების წერისას სიზუსტე მნიშვნელოვანია არა მარტო სტილის თვალსაზრისით, არამედ იმიტომაც, რომ მოსამართლეები სამართლიანობისათვის წერენ.

როდესაც გადაწყვეტილება მხარეებს გადაეცემა, ისინი და სხვებიც მას წაიკითხავენ თავიანთი კონკრეტული მიზნისათვის გამოყენების თვალთახედვით, მიუხედავად იმისა, იზიარებენ თუ არა მოსამართლის მიერ ჩამოყალიბებულ აზრებს. ამდენად, მოსამართლისათვის მიზანშეწონილია, იფიქროს, თუ როგორ იქნება გამოყენებული მისი სიტყვები, რათა თავიდან აიცილოს, ნებსით თუ უნებლიეთ, მათი არასწორად გამოყენება.

მცდელობასა და გულდასმით რედაქტირებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ზუსტად წერისათვის. ეს ნიშნავს იმას, რომ მოსამართლემ კრიტიკულად უნდა გადაიკითხოს გადაწყვეტილების თითოეული წინადადება და დასვას შეკითხვა: აქ რისი თქმა მინდოდა? სწორედ ეს ვთქვი და მეტი არაფერი?

გაუგებარი ანალიზი

მიუხედავად იმისა, რომ სასურველია, გადაწყვეტილებას მარტივი და სხარტი ფორმა ჰქონდეს, მოსამართლემ მსჯელობა საკმარისად უნდა განავრცოს, რათა მკითხველმა სწორად აღიქვას გადაწყვეტილების არსი.

გადაწყვეტილება, რომელშიც გამოტოვებულია მსჯელობის რომელიმე საფეხური, რაც მისი აღქმისთვის მნიშვნელოვანია, ვერ მიაღწევს სასურველ მიზანს.

პომპეზურობა და იუმორი

სამართლებრივი წერა შეიძლება იყოს პომპეზური, თუმცა მოსამართლე უნდა უფრთხილდეს პომპეზურობის ნიშნებს, როგორიცაა: ორაზროვანი ან მაღალფარდოვანი გამონათქვამები; მედიდური სიტყვის „ჩვენ" გამოყენება; ექსკურსები შეუსაბამო ერუდიციის გამოსავლენად და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ იუმორი ხშირად მიზანშეწონილია, როგორც პომპეზურობის საწინააღმდეგო საშუალება, იგი უკეთ გამოიყენება პირად საუბარში, ვიდრე — სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში იუმორი მხარეს შესაძლებელია, მოსამართლის ქედმაღლობად და მგრძნობიარობის ნაკლებობად მოეჩვენოს, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, რომ სამართალწარმოებაში მხარემ რაიმე სასაცილოდ მიიჩნიოს.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა მოსამართლემ შეიძლება იუმორით გარკვეულ წარმატებას მიაღწიოს, ეს არის რისკი, რომ იგი არ იქნება აღქმული სწორად და სერიოზულად.

მოერიდეთ არასაჭირო სიტყვებს

კარგად წერა ნიშნავს ზუსტად წერასაც. წინადადება არ უნდა შეიცავდეს ზედმეტ სიტყვებს, აბზაცი — ზედმეტ წინადადებებს იმავე მიზეზით, რითაც, მაგალითად, ნახატზე არ უნდა იყოს ზედმეტი ხაზები.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ავტორმა შეამოკლოს ყველა წინადადება, ან საერთოდ არ შეეხოს დეტალებს და საკითხი მხოლოდ ზედაპირულად განიხილოს.

აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილებაში ყველა სიტყვას უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა და თავისი დანიშნულება.

წერეთ მოკლედ და პირდაპირ

მოკლედ წერა ხელს უწყობს სიაშკარავეს. მეტად სავარაუდოა, რომ ნაწერი, რომელიც საკითხებს მოკლედ განიხილავს, უკეთ გასაგები იქნება, ვიდრე ვრცელი ვერსია. მოკლედ წერა ავტორს აგრეთვე აიძულებს, ზუსტად გააანალიზოს და ყურადღება გაამახვილოს იმაზე, თუ რისი თქმა სურს.

სამართლებრივი წერა პირდაპირი უნდა იყოს. გამოიყენეთ მარტივი, დეკლარაციული ხასიათის წინადადებები და უმეტესად მოკლე აბზაცები, თუმცა, ცვალეთ წინადადებების სიგრძე და სტრუქტურა, როდესაც აუცილებელია ხაზგასმა, კონტრასტი და მკითხველის დაინტერესება.

უპირატესობა მიანიჭეთ აქტიურ გამოთქმებს და თავიდან აიცილეთ ისეთი ფორმულირებები, როგორიცაა: „ნათქვამია, რომ", „კარგად დასაბუთებულია" და ა.შ. არ გამოიყენოთ ზედსართავი სახელები და ზმნიზედები, როგორიცაა: „აშკარად", „სრულად", „უბრალოდ" და ა.შ.

გამოიყენეთ სასაუბრო ქართული

კომპლექსური მოსაზრებებიც კი შეიძლება გამოითქვას მარტივი ენით, რომელიც გასაგებია ჩვეულებრივი მკითხველისათვის. მარტივ ენაზე წერა მოითხოვს იმას, რომ მოსამართლემ სრულად გაიგოს აზრი, რაც მას შესაძლებლობას მისცემს, დაშალოს იგი ძირითად კომპონენტებად. მაგ.: მიუხედავად იმისა, რომ ელექტროენერგია კომპლექსური მეცნიერული ფენომენია, მისი განმარტება შესაძლებელია ისეთი ტერმინოლოგიით, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანისათვის გასაგებია.

თავიდან აიცილეთ „იურიდიული ენა", კლიშეები, გაცვეთილი ფრაზები (მაგ.: „როგორც ზემოთ აღინიშნა"), ლათინური გამონათქვამები, ჟარგონი.

სპეციალური იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებისას გაითვალისწინეთ, თუ რამდენად გასაგებია იგი სავარაუდო მკითხველისათვის.

ამასთან, წერისას შესაძლებელია დახვეწილი ენა გამოიყენოთ, თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ გადაწყვეტილების კითხვისას მკითხველს სხვადასხვა სახის ლექსიკონი არ უნდა სჭირდებოდეს.

ყურადღებით მოეკიდეთ რედაქტირებას

მოსამართლემ თავისი ნაწერი კრიტიკულად უნდა შეამოწმოს, გამოასწოროს ბუნდოვანებები, გააუქმოს ზედმეტი, გააშალაშინოს გადასვლები და შეამჭიდროოს სტრუქტურა.

ეს მარტივი ამოცანა არ არის, რადგან საკუთარი ნაწერის კითხვისას ავტორი ჩვეულებრივ მიდრეკილია, წაიკითხოს ის, რისი დაწერაც მას სურდა და არა ის, რაც რეალურად დაწერა.

გარდა ამისა, მოსამართლე უნდა ეცადოს, თავისი ნაწერის მიმართ ობიექტური იყოს; თითოეული აბზაცი ყურადღებით წაიკითხოს და ტექსტს თვალი უბრალოდ არ გადაავლოს, რადგან ის მისთვის ნაცნობია.

მოსამართლემ, რომელიც თავის ნაწერს ასწორებს, საკუთარ თავს მუდმივად უნდა ჰკითხოს:

— ზუსტად ის ვთქვი, რისი თქმაც მინდოდა?
— ხომ არ შეიძლება, ეს უკეთ გამომეხატა?
— აზრი გასაგებად და ლოგიკურად ვითარდება?
— გაიგებს მკითხველი? და ა.შ.

წაიკითხეთ ხელახლა და შეასწორეთ

რედაქტირება მოიცავს ზედმეტი სიტყვებისა და ფაქტების წაშლას, ბუნდოვანი და დაუდევარი წინადადებების ხელახლა დაწერას, ტავტოლოგიის აღკვეთას, რეორგანიზებას, გადაწყვეტილების გასუფთავებას, გაშალაშინებასა და შემჭიდროებას.

თანამედროვე პერიოდში კომპიუტერი ავტორისა და რედაქტორისათვის ნამდვილ წყალობად იქცა. ის წერას მნიშვნელოვნად აჩქარებს და რედაქტირებისა და შესწორების პროცესს ამარტივებს.

თუმცა, კომპიუტერის მეშვეობით რედაქტირება რთულია და ამობეჭდილი ასლის ყურადღებით და განმეორებით შემოწმების გარეშე შეცდომები ადვილად შეიძლება გაიპაროს.

რედაქტირება მხოლოდ ენაზე, გრამატიკასა და სტილზე არ უნდა იყოს ორიენტირებული. მოსამართლემ გადაწყვეტილების თანამიმდევრულობაც უნდა შეამოწმოს.

შეამოწმეთ, გადაწყვეტილებაში ყველა საკითხია განხილული თუ არა და ასევე გაცემულია თუ არა პასუხი თავიდან ჩამოყალიბებულ ყველა კითხვაზე.

ხელახლა წაიკითხეთ ფაქტების განსაზღვრა, რათა დარწმუნდეთ, რომ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ყველა ფაქტი გათვალისწინებულია.

გადახედეთ სამართლებრივ ნაწილს, რათა დარწმუნდეთ, რომ გადაწყვეტილება ლოგიკური თანამიმდევრობით შეეხება ყველა აუცილებელ საკითხს.

დაფიქრდით, გამომდინარეობს თუ არა დასკვნა მსჯელობიდან.

გადადეთ პროექტი და დაუბრუნდით მას დასვენებული გონებით

რედაქტირების ხარისხი გაუმჯობესდება, თუ მოსამართლე „პროექტს ცოტა ხნით გვერდზე გადადებს", თუმცა დროის სიმცირემ და განსახილველ საქმეთა მზარდმა რაოდენობამ შეიძლება აღნიშნული პროცესი გაართულოს.

„პროექტის ცოტა ხნით გვერდზე გადადებამ" შესაძლებელია, რედაქტირების პროცესს მეტი ობიექტურობა შემატოს. ეს მოსამართლეს დაეხმარება, დაინახოს ისეთი რამ, რასაც ადრე ვერ ამჩნევდა, ან სხვა თვალით შეხედოს გადაწყვეტილებას და ახალ იდეებზე იფიქროს.

პროექტის წაკითხვა სთხოვეთ სხვას

მოსამართლის თანაშემწემ, რომელსაც აქამდე მოცემულ პროექტზე არ უმუშავია, შესაძლებელია სასარგებლო ფუნქცია შეასრულოს, რაც გამოიხატება სხვა თვალის მიერ პროექტის წაკითხვაში, სარედაქციო ხასიათისა თუ არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების კრიტიკაში და ა.შ. თუმცა, ეს ფუნქცია შეიძლება იმ თანაშემწემაც შეასრულოს, რომელიც მოსამართლეს პროექტის შექმნასა თუ რედაქტირებაში ეხმარებოდა.

განსხვავებული აზრი

განსხვავებული აზრი სხვადასხვა მიზანს ემსახურება. განსხვავებულმა აზრმა, რომელიც მკვეთრ ან დამრიგებლურ ტონს ატარებს, შესაძლებელია, სასამართლოს შემადგენლობის წევრების გახლეჩა და მათ უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება გამოიწვიოს; შეარყიოს გადაწყვეტილებისა და, ზოგადად, სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს, ავტორიტეტი; გამოიწვიოს გაუგებრობა და ა.შ.

დაიწეროს თუ არა განსხვავებული აზრი, დამოკიდებულია საქმის ბუნებასა და განხილული საკითხის მნიშვნელობაზე.

სადავო საკითხი მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

განსხვავებული აზრის მოტივაცია უნდა იყოს სამართლის შემდგომი განვითარება და არა — პირადი გრძნობების გამომჟღავნება.

მოსამართლემ, რომელიც მსჯელობს, შეადგინოს თუ არა განსხვავებული აზრი, საკუთარ თავს უნდა ჰკითხოს, გადასნონის თუ არა სავარაუდო დადებითი შედეგი პოტენციურ დანახარჯებს.

თუ მოსამართლე გადაწყვეტს, რომ განსხვავებული აზრის შედგენა სასარგებლო მიზანს მოემსახურება, იგი უნდა შედგეს ფრთხილად და პასუხისმგებლობით.

მოსამართლემ განსხვავებული აზრი სასამართლოს გადაწყვეტილების გაცნობის გარეშე იშვიათად უნდა შეადგინოს. ამასთან, არგუმენტები ორიენტირებული უნდა იყოს ძირითად პრინციპებზე, რამაც განსხვავებული აზრის ავტორის მსჯელობა უნდა განასხვაოს უმრავლესობის მოსაზრებისაგან.

თუმცა, ერთია უთანხმოების გამომწვევი საკითხების ძლიერად და ეფექტურად ჩამოყალიბება, ხოლო მეორე — კამათში ჩართვა.

გახსოვდეთ, რომ განსხვავებული აზრის მიზანი მხოლოდ უმრავლესობის მოსაზრების ეჭვქვეშ დაყენება არ უნდა იყოს.

ამასთან, პირადი თავდასხმა, შეურაცხმყოფელი გამონათქვამები და დამრიგებლური ტონი არ უნდა იქნეს გამოყენებული.

დასკვნა

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ეს რეკომენდაციები მომზადდა სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების შედგენისას გარკვეული დახმარების გაწევის მიზნით. ისინი იმპერატიული არ არის, მაგრამ ყველა მოსამართლემ უნდა გააცნობიეროს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი გათვალისწინება, რათა სასამართლოს ყოველი გადაწყვეტილება იყოს კარგად დასაბუთებული, ყველასათვის გასაგები და სამართლიანი.

ვიმედოვნებთ, რომ მოსამართლეები და სასამართლოს თანამშრომლები ამ
რეკომენდაციებს სასარგებლოდ მიიჩნევენ და ეს გახდება მათი წარმატების ერთ-ერთი საფუძველი. სწორედ ამისთვის მომზადდა ეს კრებული.

სამართლებრივი დოკუმენტების ენობრივი თავისებურებები[1]

1 ავტორი: მანანა ტაბიძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის ლექტორი, 2014.

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ იურიდიული საქმიანობისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ენობრივ ასპექტს, რადგან მოყოლებული კანონის ინტერპრეტაციიდან სწორედ ენაზეა დამოკიდებული ისეთი სოციალურად და პოლიტიკურად მგრძნობიარე დარგის წარმატებული მუშაობა, როგირიცაა იურისპრუდენცია[2]. ამიტომაცაა, რომ ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც საზოგადოებაში კანონიერებისა და სამართლის მაღალი იდეალებია გაბატონებული (ან ამისკენაა მისწრაფება), დიდ ყურადღებას აქცევენ სამართლებრივი ენის თეორიისა და მართლწერასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების კვლევას, სწავლებასა და დანერგვას. ამ რიგისაა სასამართლო გადაწყვეტილების შედგენისას გასათვალისწინებელი ძირითადი წესები და ზოგადი სტილისტიკური შენიშვნები სასამართლო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით;

ენა სასამართლოს წარმომადგენლებისათვის, და განსაკუთრებით მოსამართლეთათვის არის არა მხოლოდ ურთიერთობის საშუალება, არამედ მათი მეტყველების კულტურის მახასიათებელი, ერთ-ერთი პროფესიული კატეგორია სამართალს ისეთი ენობრივი საშუალებები ესაჭიროება, რომლებიც ზუსტად ასახავენ სამართლებრივ ცნებებს და კანონმდებლის აზრს წიგნიერად გადმოსცემენ[3].

კანონი უნდა იყოს უნაკლო ფორმითაც და შინაარსითაც. კანონის ენა უკიდურესად ზუსტი უნდა იყოს. იურისპრუდენცია ოპერირებს ცალკეული ტერმინებით – სიტყვებითა და შესიტყვებებით, რომლითაც ხდება სპეციალური ცნებების აღნიშვნა. ამისათვის კი გამოიყენება სახვადასხვა სტილებრივი პლასტის ლექსიკა წიგნურიდან (გამოთხოვა, წინააღმდეგობის გაწევა, წინააღმდეგობაში მოდის, თანმხლები ღონისძიება, შერჩევითი, შეჯიბრებითობა და სხვ.), ოფიციალურ-საქმიანი (დაფარვა, მტკიცების ტვირთი...) და სასაუბრო (მათხოვრობა, მაწანწალობა, მოტყუება...); გვხვდება ემოციურად შეფერილი ლექსიკაც („არ მოუწონა", უღირსი საქციელი, უხამსი მოქმედება და სხვ.)

სასამართლო გადაწყვეტილებათა შედგენისას ენობრივი კუთხით გასათვალისწინებელია რამდენიმე ზოგადი გარემოება:

ა) სასამართლო გადაწყვეტილებას ადგენენ მაღალი დონის სპეციალისტები, მაგრამ ამ დოკუმენტის წაკითხვას ცდილობს ნებისმიერი ადამიანი, განათლებისა და კომპეტენტურობის მიუხედავად;

ბ) ნებისმიერ სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს სტანდარტული დოკუმენტი, რომლის ენობრივი მოცემულობის შეცვლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება; ეს დოკუმენტი არის კანონი;

გ) სასამართლოს გადაწყვეტილების ზოგადი ფორმა, სტრუქტურა და ტექსტობრივი შაბლონი ძირითადად სტანდარტიზებულია და ცვლილებებს თითქმის არ (ვერ) ექვემდებარება.

მეტ-ნაკლებად ცვალებადი და „შემოქმედებითი" ნაწილი სასამართლოს გადაწყვეტილების ტექსტში არის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების აღწერილობა და დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნაწილი. ამგვარ ტექსტში მოსამართლის (და მისი თანაშემწის) არჩევანზეა დამოკიდებული ტექსტის სტილისტიკა, თხრობის დრო, შემფასებლის პირველ ან მესამე პირში მოხსენიება, სასამართლოს პერსონიფიკაცია **მაგ.: სასამართლოს მიაჩნია, სასამართლომ მიიჩნია, სასამართლო მიიჩნევს, სასამართლო... აცხადებს,**

2 ამის დასტურია თუნდაც სამართლის საპატიო დოქტორის, ერლანგენ-ნიუნბერგის ემერიტუს-პროფესორის რაინჰოლდ ციპელიუსის ნაშრომი „იურიდიული მეთოდების მოძღვრება" (მეათე გადამუშავებული გამოცემა), ქართულად გამოიცა 2009 წელს, ბეკის გამომცემლობა, მიუნხენი, 2006. მასში არის ქვეთავები: „სიტყვები, როგორც წარმოდგენების გამომხატველი ნიშნები (გვ.23-26); ინტერპრეტაცია - "სუბიექტური თუ "ობიექ-ტური"? (გვ.26-30); აგრეთვე, ინტერპრეტაციის "კლასიკური" კრიტერიუმები (52-54); ნორმის სიტყვითი მნიშ-ვნელობა, როგორც კანონის ინტერპრეტაციის ამოსავალი წერტილი და მისი ფარგლები (გვ.55-58): რომელშიც შედის: 1. სიტყვითი ამოსავალი წერტილის „კონსტრუქცია"; 2. ენის კონვენციონალური მნიშვნელობა; აგრეთვე: პარაგრ.10: სიტყვის ზუსტი მნიშვნელობის არგუმენტაციის განსაზღვრა (59-70)(1. ინტერპრეტაცია, როგორც ლეგიტიმაციის პრობლემა და 2. კანონის მიზნიდან გამომდინარე არგუმენტები, 3. არგუმენტები კონტექსტიდან. ეს ჩამონათვალიც ადასტურებს, რომ იურიდიულ ტექსტებში ლინგვისტური საკითხებისათვის გვერდის ავლა შეუძლებელია.

3 Н. Ивакина. Русский язык российского права // «Российская юстиция». 2000. № 7.

დაადგინა, ადგენს, მიუთითებს, განსაზღვრავს (ან ვაცხადებთ, დავასკვნით, მოვითხოვთ და სხვ.) და ა.შ.;

დ) ქართული ენა თავისი აგლუტინაციური (აფიქსური წარმოების მქონე[4]) ბუნების გამო, ფორმაწარმოების დიდი მრავალფეროვნებითა და ინტენსიურობით გამოირჩევა, რაც ერთსა და იმავე ძირზე დაფუძნებული ნაირგვარი ფორმებისა და შესაბამისად, მნიშვნელობების (ან კონოტაციის[5]) სიმრავლის მიზეზი ხდება. ეს სიმრავლე ისეთი სიზუსტის მოყვარე დარგისათვის, როგორიც სამართლებრივი დარგებია, ზოგჯერ საკმაოდ დიდ სირთულეებს წარმოქმნის. ამ რიგისაა პარონიმული[6] სიტყვები ან შესიტყვებები: **მოვალე და მევალე, განკითხვა და გაკითხვა, აღწერა და აწერა, ყადაღის დადება და დაყადაღება, საქმის გადაცემა და საქმის გაცემა, შეკითხვის გაგზავნა და შეკითხვის გადაგზავნა, დასაბუთებულობის სტანდარტი და დასაბუთების სტანდარტი, სასჯელის აღსრულება და სასჯელაღსრულება, მოსარჩლე და მოსარჩელე, რეგულარული და რეგულირებული, ცივილური და ცივილიზაციური, ცივილიზებული, ჰუმანისტური, ჰუმანიტარული, განზრახ მკვლელობა, წინასწარგანზრახული მკვლელობა, გამიზნული (წინასწარგამიზნული) მკვლელობა (დანაშაული) უნებლიე და უნებური**... დასახელებული მაგალითებიდან ერთი ნანილი შედარებით მსგავს შინაარსს გადმოსცემს და ამდენად სამართლებრივი დოკუმენტის შინაარსის ამოცნობას მაინცა და მაინც ხელს არ უშლის (მაგალითად, **განზრახ მკვლელობა, წინასწარგანზრახული მკვლელობა, გამიზნული (წინასწარგამიზნული) მკვლელობა (დანაშაული) უნებლიე და უნებური და სხვ.**), მაგრამ მეორე ნაწილი პრინციპულად განსხვავებული მნიშვნელობების მქონე ფორმებს წარმოაჩენს, რაც, ცხადია, ამ სიტყვათა მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

დ) ქართული ენა, ისევე, როგორც თანამედროვე მსოფლიოს ენათა უმრავლესობა, დგას დღევანდელობის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევის წინაშე — ეს არის მასშტაბური გლობალიზაციური პროცესები, და ამ ნიადაგზე წარმოშობილი ინტენსიური და არსებითი ხასიათის ენობრივი კონტაქტები. ენობრივი კონტაქტები კი საერთაშორისო თანამშრომლობათა, გლობალური პოლიტიკურ-ეკონომიკური მოძრაობებისა და დარგობრივი დაახლოების (მეტადრე ჰუმანიტარული დარგების დაახლოების) ფონზე ლექსიკის სესხების ძალიან სწრაფ და ნორმატიული თვალსაზრისით ძნელად დასარეგულირებელ პროცესებს წარმოშობს. ეს პროცესები რამდენიმე კატეგორიად შეიძლება განვიხილოთ:

- ნასესხობათა ორთოგრაფიული გამართულობის საკითხები: **ა)** ტრანსკრიფცია/ტრანს-ლიტერაცია (მაგალითად: ექვივალენტი/ეკვივალენტი, კვორუმი-ქვორუმი, კონტრაქ-ტი-კონტრაკტი, ადვოკატი ქლუგი/კლუგი, შ**ტაინ**ფერჰოფერი/შ**ტეინ**ფერჰოფერი, მოსამართლე ვაბერი თუ ვებერი, კიოლნი თუ კელნი და სხვ.) და **ბ)** აფიქსაცია (მაგალითად: დიამეტრ**ული** და დიამეტრ**ალური**, სამედიაციო/მედიაციური, ტენე**სში**/ ტენე**სიში** (ტენესის შტატი), ლუიზიანადან თუ ლუიზიანიდან, ბოსნია-ჰერცოგოვინ**ას**/ ჰერცოგოვინ**ის** და სხვ.); **გ)** კომპოზიტთა მართლწერის საკითხები (ნოუ-ჰაუ/ ნოუ ჰაუ, ბიზნეს ფორუმი თუ ბიზნესფორუმი; **დ)** აბრევიაციის ჩაწერის ორთოგრაფიული ნორმები (მაგალითად: **ბჰსსკ** (ან რეპუბლიკა **სრპსკას** შეიარაღებული ძალები, დააპ-ატიმრეს ფოჩას KPD-ში / სასჯელაღსრულებით-გამასწორებელი დაწესებულება, „ის იყო ბოსნია-ჰერცეგოვინის სერბული რესპუბლიკის, შემდგომში რეპუბლიკა **სრპ-სკას** შეიარაღებული ძალების წევრი.”); დ) ნასესხები ტერმინების განმარტების (დეფინიციის) საკითხი (მაგალითად: იმიჯი ქართულში ავტორიტეტს ნიშნავს, ინგლი-

4 Linguistics The formation of words from morphemes that retain their original forms and meanings with little change during the combination process. (The American Heritage® Dictionary of the English Language, Fourth Edition copyright ©2000 by Houghton Mifflin Company. Updated in 2009. Published by Houghton Mifflin Company.) Агглютинация — в лингвистике: способ образования производных слов и грамматических форм путём последовательного присоединения к неизменяемым корню или основе грамматически однозначных аффиксов, не претерпевающих каких-либо существенных изменений (Лингвистический энциклопедический словарь, Москва, 1990).

5 ენობრივი ერთეულის დამატებითი, თანმდევი მნიშვნელობა; სემანტიკური ელფერი.

6 სიტყვები, რომლებიც გარეგნულად ნაწილობრივ ჰგავს ერთმანეთს და ეს მსგავსება შემთხვევითია. მაგ., „მაისი” და „დაისი”, „კბენა” და „რბენა”.

სურში კი მას მრავალი მნიშვნელობა აქვს გრამატიკული ფორმისა და კონტექსტის შესაბამისად; იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად ძნელია ნასესხობის გაიგივება გამსესხებელი ენის სამეტყველო გარემოსთან, ჩვენ თუნდაც ამ ერთი სიტყვის მაგალითს ვრცლად წარმოვადგენთ: **Definition of image in English:** image Line breaks: image Pronunciation: /ˈɪmɪdʒ /. noun 1A representation of the external form of a person or thing in art: 'her work juxtaposed images from serious and popular art' 1.1A visible impression obtained by a camera, telescope, microscope, or other device, or displayed on a computer or video screen: 'Voyager 2 sent back images of the planet Neptune' 1.2An optical appearance or counterpart produced by light from an object reflected in a mirror or

refracted through a lens. 1.3 Mathematics A point or set formed by mapping from another point or set. 1.4 Computing An exact copy of a computer's hard disk, made for backing up data or setting up new machines. 1.5A mental representation or idea: 'I had a sudden image of Sal bringing me breakfast in bed' 1.6 [in singular] A person or thing that closely resembles another: 'he's the image of his father' 1.7 [in singular] Semblance or likeness: 'made in the image of God' More example sentences 1.8(In biblical use) an idol. 2The general impression that a person, organization, or product presents to the public: 'she strives to project an image of youth' 3A simile or metaphor:'he uses the image of a hole to describe emotional emptiness'. verb 1Make a representation of the external form of:

'artworks which imaged women's bodies' . 1.1Make a visual representation of (something) by scanning it with a detector or electromagnetic . beam: (as noun imaging) 'medical imaging' 1.2 Computing Make an exact copy of (a computer's hard disk):

'the hard disk drive should be imaged using a specialized bitstream backup product'. 1.3Form a mental picture or idea of: 'it is possible for us to image a society in which no one committed crime'[7]

სესხების აუცილებლობის საკითხი; ლექსიკის სესხება, განსაკუთრებით დარგობრივი ლექსიკისა, დამახასიათებელია ნებისმიერი ენისათვის, თუმცა სხვადასხვა თავისებურებით. ლექსიკის სესხებასთან დაკავშირებით ორი ფაქტორი იპყრობს ყურადღებას: 1. ე.წ. გარდაუვალი სესხება, ანუ როდესაც სესხება აუცილებლობაა, რადგან მიმღებ ენას არა აქვს ამავე მნიშვნელობის სიტყვა, რამდენადაც თავად ცნებაც (აღსანიშნიც) სიახლეა კონკრეტულ სიტუაციაში. ასეთ შემთხვევაშიც, ცხადია, შეიძლება მოიძებნოს მიმღები ენის ლექსიკაში (ძველში ან ახალში) მეტ-ნაკლებად მსგავსი ისეთი სიტყვა, რომელსაც დაეკისრებოდა ამ ახალი შინაარსის გადმოცემა, თუმცა ასეთ შემთხვევებში ზომიერების ფარგლებში არც სესხებაა მაინცა და მაინც საზიანო (მაგალითად, ასეთ „გარდაუვალ" ნასესხობებს წარმოადგენს: კომპიუტერი, კონსტიტუცია, კონვენცია და სხვ. 2. ე.წ. ალტერნატიული სესხება, როდესაც ენაში არის სათანადო სიტყვა, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზით (უცხო ენოვანი მასალის სისტემატიური გამოყენების, მთარგმნელის დაუდევრობისა თუ არაკომპეტენტურობის, მოდის, გამსესხებელი ენის პრესტიჟულობის ან სხვა მიზეზის გამო) მისი უცხოური ეკვივალენტი იქნა გადმოტანილი. ამგვარი სესხებისას მოხვდა ქართულში ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა: ნაცია (ერი)/ნაციონალური (ეროვნული), მენეჯმენტი (მართვა), ... და სხვ.

ალტერნატიული სესხების შემთხვევაში გარკვეული დროით ენაში ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ ძველი და ახალი ლექსიკური ერთეულები, დროთა განმავლობაში კი ან ერთ-ერთი დაიკარგება, ან ეს ორი ეკვივალენტური ლექსემა ერთმანეთში გადაინაწილებს ძირითადი მნიშვნელობის სხვადასხვა ასპექტს და განაგრძობს არსებობას, როგორც დამოუკიდებელი, მაგრამ სინონიმური სიტყვა (ამ რიგისაა: შეტყობინება [გზავნილი] და მესიჯი და ა.შ.)

სწორედ „ალტერნატიული სესხებიდან მომდინარეობს ქართულში[8] იურიდიული ტერმინოლოგიური დუბლეტებიც, როგორიცაა: (პროკურორი/ბრალმდებელი. ადვოკატი/

7 http://www.oxforddictionaries.com/definition/english/image

8 ალტერნატიული სესხებისას სემანტიკის „გადანაწილების" მოვლენა ენობრივ უნივერსალიას წარმოადგენს და დამახასიათებელია ყველა ენისათის.

დამცველი (მაგ.: სახალხო დამცველი, მაგრამ არა სახალხო ადვოკატი), სასამართლო გადაწყვეტილებები (ქეისები), „ხელშეკრულება" — „შეთანხმება" — „კონვენცია" და სხვ.)

ხელშეკრულება	—	კონტრაქტი
მედიატორი	—	მომრიგებელი
მაკლერი	—	შუამავალი
ოფერტი	—	შეთავაზება
აქცეპტი	—	თანხმობა, მიღება, დადასტურება
ალიმენტი	—	სარჩო
ბენეფიციარი	—	მოსარგებლე
ლეგატი	—	საანდერძო დანაკისრი
რეკლამაცია	—	პრეტენზია
კომპენსაცია	—	ზიანის ანაზღაურება
ავთენტიკური /აუთენტიკური	—	ჭეშმარიტი
ასოციაცია	—	კავშირი
დევიაცია	—	გადახრა
ინტერნაციონალური	—	საერთაშორისო
იუვენალური	—	არასრულწლოვანთა
იდენტური	—	მსგავსი
კონტრაქტი	—	ხელშეკრულება
კუმულაცია	—	ერთობლიობა
ლეგალური	—	კანონიერი
ლეგალიზაცია	—	დაკანონება
რელევანტური	—	მნიშვნელოვანი
რესოციალიზაცია	—	გამოსწორება
პენიტენციალური	—	სასჯელაღსრულებითი
პრომულგირება	—	დადასტურება
პრევენცია	—	არიდება
რეალიზაცია	—	გასაღება
რეაბილიტაცია	—	გამოსწორება
ლეგალიზაცია	—	დაკანონება
დეტერმინირება	—	განზრახვა
კომპენსაცია	—	ანაზღაურება
ლეგალური	—	კანონიერი
ინვესტიცია	—	დაბანდება
დიფერენციაცია	—	განსხვავება
კაზუსი	—	შემთხვევა

სინონიმური ლექსიკის ერთმანეთისაგან გამიჯვნასა და ყოველი მათგანისათვის მოხმარების არეალის შემოსაზღვრას ხშირად პრინციპული მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი კვალიფიკაციის დროს. ეს ეხება არა მარტო ნასესხობათა და საკუთარ ფორმათა განმსგავსების პრობლემას, არამედ ოდენ ქართულ სინონიმურ წყვილებსაც (ზოგჯერ ორზე მეტსაც);

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტებმა საუკეთესოდ იციან დარგის ტერმინოლოგია, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ტერმინოლოგიური დუბლეტების მნიშვნელობათა გამიჯვნაზე შეთანხმება აუცილებელი ხდება, მაგალითად სასამართლოს გადაწყვეტილებებში მოცემული აღწერილობითი ინფორმაცია ზოგჯერ უფრო მძიმდება ან მსუბუქდება სიტყვათა შერჩევის შესაბამისად; ნიმუშისათვის:

- **დავა, კამათი, შელაპარაკება, ჩხუბი**
- **ემიგრანტი, მიგრანტი, გადაადგილებული, იძულებით გადაადგილებული, დევნილი, ლტოლვილი...**

- **ბოევიკი, მებრძოლი, პარტიზანი**
- **დისკრიმინაცია და დაჩაგვრა...**

თუმცა დასახელებული სიტყვები ერთმანეთის სინონიმურია, ცხადია, ისინი ყველა კონტექსტში ერთმანეთს ვერ დაფარავენ.

კიდევ ერთი უნივერსალური კანონი: სრულიად ეკვივალენტური სიტყვები ენაში ერთად ვერ იარსებებენ, ერთ-ერთი მათგანი ან დაიკარგება, ან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიცვლის მნიშვნელობას და გარკვეულ კონტექსტში (ან კონტექსტებში) განაგრძობს არსებობას (მაგალითად, სხვადასხვაა: გამხელა და გამჟღავნება, სიმართლის თქმა და აღიარება, მისჯა და დასჯა, დევნილობა და ლტოლვილობა, ეროვნული მოძრაობა და ნაციონალური მოძრაობა, ეროვნული ადამიანი და ნაციონალისტი და სხვ. და სხვ.).

გარდა უკვე დასახელებული ზოგადი მახასიათებლებისა, სასამართლო გადაწყვეტილებათა ტექსტებში თავს იჩენს რიგი შეცდომებისა, რომელთა ნაწილი თანამედროვე ქართულში გავრცელებული ენობრივი შეცდომების ტიპს განეკუთვნება, ხოლო მეორე ნაწილი საკუთრივ იურიდიული ენისათვისაა ნიშანდობლივი და ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, შეცდომაც არ იყოს, თუმცა მათი მოხმარებისთვისაც საჭიროა მნიშვნელობის დაზუსტება-შემოფარგვლა და ნორმატიული შეთანხმება სპეციალისტებს შორის.

ვფიქრობთ, ამ შეცდომათა განხილვა, და შეძლებისდაგვარად, მათი სწორად გამოყენებისათვის შესაძლო ტექსტობრივი ვარიაციების გათვალისწინება სასარგებლო უნდა იყოს სამართლებრივი სივრცის დოკუმენტაციის უნიფიცირებისა და მაღალხარისხოვანი სტანდარტებისაკენ მიმართული ღონისძიებების წარმატებით განხორციელებისათვის.

შეცდომები და სარეკომენდაციო თვალსაზრისები უნდა დავყოთ რამდენიმე ნაწილად:

1. ფონეტიკური ტიპის შეცდომები და რეკომენდაციები მათ გასასწორებლად;
2. მორფოლოგიური შეცდომები და რეკომენდაციები მათ გასასწორებლად;
3. სინტაქსური შეცდომები და რეკომენდაციები მათ გასასწორებლად;
4. სტილისტიკური შეცდომები და რეკომენდაციები მათ გასასწორებლად;
5. ლექსიკა-ფრაზეოლოგიური შეცდომები და რეკომენდაციები მათ გასასწორებლად;
6. პუნქტუაციური შეცდომები და რეკომენდაციები მათ გასასწორებლად.

წინამდებარე კვლევის მიზანია არა მხოლოდ ტიპობრივი შეცდომების შემჩნევა-დაფიქსირება, არამედ, შეძლებისდაგვარად, მათ გამოსასწორებლად გარკვეული წესებისა და რეკომენდაციების შემოთავაზება. სწორედ ამ მიზნით განვიხილავთ საყურადღებო მაგალითებს უკვე შემოთავაზებული თანამიმდევრობით:

ფონეტიკური ტიპის შეცდომები და რეკომენდაციები მათ გასასწორებლად

ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაში (იგულისხმება სასამართლოს გადაწყვეტილებები (ქართულად დაწერილი და ქართულად თარგმნილი)) სხვადასხვა ტიპის ნორმობრივი დარღვევა შეგვხვდა (მაგალითად: ექვივალენტი, ქვორუმი, კონტრაკტი, კიოლნი და სხვ.).

უცხო ენებიდან შემოსული სიტყვების ქართულში დამკვიდრება მნიშვნელოვან ფონეტიკურ გადაწყვეტილებებთანაა დაკავშირებული:

სიტყვების სესხება ხდება სხვადასხვა ენიდან, რომელთაც სპეციფიკური ბგერათა სისტემა აქვთ და ამ ბგერათა შესატყვისის მოძიება ქართულში, ქართული ბგერათა სისტემის ინდივიდუალურ თავისებურებათა გამო, ადვილი არ არის. ამიტომ ქართულში ლექსიკის

სესხებისას ფონეტიკური ამოცანის გადასაჭრელად ტრანსკრიბირება-ტრანსლიტერირების ხერხს მიმართავენ. ცხადია, ერთი ენის ბგერობრივი მონაცემების სრულად გადაფარვა მეორე ენის ბგერათა სისტემით (რაც თვით ერთმანეთთან ძალიან ახლო მდგომ ევროპულ ენებსაც კი ვერ უხერხდება) ვერ მოხდება, თუმცა გარკვეული კანონზომიერებები მაინცაა შემჩნეული და ნორმობრივი უნიფიკაციისათვის სარეკომენდაციო ცხრილებიც არის შედგენილი (იხ. დანართი1); პრინციპი, რომელიც გატარებულია ამ ცხრილებსა და ორთოგრაფიული ნორმის ძალის მქონე ლექსიკონებში ((იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 1989; უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 1989; ბერძნული, თურქული და სპარსული ანბანების ქართული შესატყვისები მომზადებულია ამ ენათა სპეციალისტების მიერ; თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, მეცნიერება, 1986), ცხადია, ვერ მოიცავს ყველა შესაძლებელ ვარიანტს, მაგრამ მნიშვნელოვნად ეხმარება ნასესხები ლექსიკის ორთოგრაფიულად გამართვის საქმეს. სასურველია, დავიმახსოვროთ რამდენიმე რეკომენდაცია:

1. უკვე დიდი ხნის ტრადიციით განმტკიცებულ ფორმას, რომელიც ქართულში შემოსვლისას ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის თანამედროვე წესის დარღვევით იქნა ჩაწერილი, დღესაც ვინარჩუნებთ არასასურველი დუბლეტურობის თავიდან აცილების მიზნით.

ქართული ფონემების უცხოურ ენათა ფონემებთან შესაბამისობაში მოსაყვანად და ნასესხები სიტყვების (ან უცხოურიდან გადმოტანილი საკუთარი სახელების) ნორმატიული უნიფიცირების მიზნით წარმოდგენილი ცხრილები ძირითადად გვეხმარება ნორმის დაცვაში (ეკვივალენტი და არა ექვივალენტი, კვორუმი და არა ქვორუმი, კონტრაქტი და არა კონტრაკტი, კელნი და არა კიოლნი);

2. გვხვდება **ვ ბგერის** გამოყენების თვალსაზრისით ორთოგრაფიული ნორმის **დარღვევის** შემთხვევები: დამხდური, შემოკდომა, სათაო ოფისი, უდაოდ, უსიტყოდ, შევიტყე, დაბოლოვება, მოშაო, სისხლძარღოვანი, მიჯაჭული, საზაო, სააღრიცხო, საზოგადოებრივობა, მიზეზობრივობა და სხვ.

ამგვარი ფორმების მართლწერისათვის საჭიროა რამდენიმე წესის გათვალისწინება:

ა) ფუძისეული **ვ უნდა დაცულ იქნეს**:

- მიმართვის ფორმებში: თავო, მმართავო, მომპარავო და სხვ.
- სხვათა სიტყვის „ო”-სთან: ავკრძალავო, (არ) დავმალავო, შევამჩნევო და სხვ.
- –ურ, –ულ სუფიქსიან წარმოებებში: დათვური სამსახური, ბავშვური მსჯელობა, ჯაჭვური რეაქცია, გადანასკვული და სხვ.
- –ობა სუფიქსის წინ: მორცხვობა, გულუხვობა, უთავობა და სხვ.
- უ– ო, სა – ო აფიქსებთან: უმზითვო, უთავო, უინიციატივო, საზავო, საბავშვო და სხვ.
- –ავ – ინ, –ევ – ინ სუფიქსიან ფორმებში: აბედვინებს, ახატვინებს, აზიდვინებს და სხვ.

ბ) **ვ იკარგვის:**

ნათესავი	–	ნათესაობა
სანახავი	–	სანახაობა
საცოდავი	–	საცოდაობა
ნაძალადევი	–	ნაძალადეობა
კაცობრივი	–	კაცობრიობა
მიზეზობრივი	–	მიზეზობრიობა
საზოგადოებრივი	–	საზოგადოებრიობა
კოლექტივი	–	კოლექტიური

კივის	–	კიოდა
ცივა	–	ციოდა

ალბათ და არა ალბად

გ) **ვ ჩაერთვის**:

ახლო	–	სიახლოვე
ფართო	–	სიფართოვე
ვიწრო	–	სივიწროვე
ჯილდო	–	დააჯილდოვა, დაჯილდოვდა მაგრამ: აჯილდოებს, დაჯილდოება[9].

3. ალბათ და არა ალბად, კარგად და არა კარგათ, მართლად და არა მართლათ და სხვ.

მორფოლოგიური შეცდომები და რეკომენდაციები მათ გასასწორებლად

შეცდომა	**გასწორება**
დედას**თან** და ძმებთან	დედასა და ძმებთან
არავინ **არ** გამოეხმაურა	არავინ გამოეხმაურა
დროზე (მიეხმარა)	დროულად (მიეხმარა)
ბოლოსდაბოლოს	ბოლოს და ბოლოს
ჩვენთაგანი	ჩვენგანი
იცოდა მისმა ძმამ და ადვოკატმა	იცოდნენ მისმა ძმამ და ადვოკატმა
იქნება დასჯილი	დაისჯება
გავამართლოდ	გავამართლოთ
სჩანს	ჩანს
კარგათ	კარგად
არაფერი არ იცოდა	არაფერი იცოდა
შეურაცხოფილი	შეურაცხყოფილი
ვერავის ვერ დავადანაშაულებთ	ვერავის დავადანაშაულებთ
ავღძრავთ	აღვძრავთ
მითუმეტეს	მით უმეტეს
ქონდა	ჰქონდა
ეხლა	ახლა
სამაგიეროთ	სამაგიეროდ
რამოდენიმე	რამდენიმე
მასიური მღელვარება	მასობრივი მღელვარება
ფაქტიურად	ფაქტობრივად
ჩემის აზრით	ჩემი აზრით
ერთერთი	ერთ-ერთი
შესძლო	შეძლო
თვლიდა დამნაშავედ	მიიჩნევდა დამნაშავედ
სწორედ მოიქცა	სწორად მოიქცა
ეპატიებია	ეპატიებინა
დაანახა	დაანახვა
წინად	წინათ
ყოველ დღე	ყოველდღე
ტრამვა	ტრავმა
ნერვოზი	ნევროზი

9 მსჯელობა აგებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ნორმების ოფიციალური კრებულის მასალათა საფუძველზე (იხ.თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, მეცნიერება, 1986)

ეკონომიკური წინსვლა	ეკონომიურად (სწორია, თუკი მომჭირნეობას ნიშნავს) ეკონომიკურად (სწორია თუკი დარგს უკავშირდება)
ორ სართულიანი	ორსართულიანი
როგორც მთავრობას, ისევე ხალხს	როგორც მთავრობას, ისე ხალხს
საშვალება	საშუალება
არ მქონე	არმქონე

ლექსიკა-ფრაზეოლოგიური შეცდომები და რეკომენდაციები მათ გასასწორებლად

ყველაზე მრავლად ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაში ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ხასიათის შეცდომები დაჩნდება. სიტყვათა შერჩევა, განსაკუთრებით სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღწერილობით ნაწილში მარტო იურისტებზე დამოკიდებულიც არ არის, ამ ნაწილში მნიშვნელოვანია მოწმეთა ჩვენებები, სადაც ამა თუ იმ მოქმედებისა თუ განწყობის კვალიფიკაცია ხშირად მოწმის სიტყვებითვეა გადმოცემული. ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევებს საგანგებო განხილვა მართებს:

1. ე.წ. პარონიმები ანუ მსგავსი ჟღერადობისა და განსხვავებული მნიშვნელობის (ან მხოლოდ ზოგ კონტექსტში განსხვავებული) სიტყვები[10]:

არაკანონიერი (უკანონო)	–	არაკანონზომიერი (ის, რაც არ არის კანონზომიერი)
არასისტემური (ანალიზი)	–	არასისტემატური (სამუშაო)
ასაკოვანი (ადამიანი)	–	ასაკობრივი (ზღვარი)
ასიგნაცია (მოძვ. ქაღალდის ფული)	–	ასიგნება (სპეც. გარკვეული თანხის გამოყოფა რაიმე მიზნით, მიზნობრივი დაფინანსება
ასოციაცია (მაგ.ადვოკატთა გაერთიანება)	–	ასოცირება
აუცილებელი (საჭირო)	–	უცილობელი (გარდაუვალი)
აღთქმა	–	აღქმა
გაკიცხვა (დატუქსვა)	–	განკიცხვა (გაკილვა)
გაკითხვა	–	განკითხვა (განსჯა, გასამართლება)
გასამართლებელი საბუთი (ის, რაც ამართლებს)	–	გასასამართლებელი საბუთი ის რაზეც სასამართლომ უნდა იმსჯელოს)
გამოდევნა	–	გამოდევნება
განრიგება (მოწესრიგება)	–	გარიგება
განსახლება	–	გასახლება
განურჩევლად	–	გაურჩევლად
გაპარული	–	გაპარებული
გარანტი	–	გარანტია
გასაზიარებელი	–	ზიარი, საზიარო
გატანა	–	გატანება
დაავალდებულებს, დაავალებს,	–	დაავალიანებს
დაგეგმვა	–	დაგეგმარება (დაპროექტება)

10 რეკომენდაციები ეფუძნება ნორმატიული ხასიათის გამოცემას: ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 2011.

დავალებული	–	დავალიანებული
დაზარალებული (ვინც მატერიალური ზარალი განიცადა)	–	დაზიანებული (მაგ. სახლი)
(ა)მხატვრული კითხვა; ბ)გადატ.პათეტიკური		დეკლამაცია
მეტყველება, ყალბი პათოსი)	–	დეკლარაცია (ოფიციალური განცხადება)
დეპორტი (გარიგება ბირჟაზე)	–	დეპორტაცია (გასახლება)
გასახლება (იძულებითი)	–	გადასახლება (არაიძულებითი)
დისკრეტული (ნაწყვეტ-ნაწყვეტი)	–	დისკრეციული (საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედი)
დოგმატური (უკრიტიკოდ გაზიარებული)	–	დოგმატიკური (საეკლესიო მწერლობის დარგი)
დოკუმენტური (დოკუმენტებზე დამყარებული, დოკუმენტისთვის	–	დოკუმენტირებული (ილუსტრაციებით დამოწმებული) დამახასიათებელი)
დუბლეტი (მეორე ცალი)	–	დუბლიკატი (დედნის ძალის მქონე მეორე ცალი)
ერთაშორისი (მეგობრობა)	–	საერთაშორისო (ხელშეკრულება)

სინტაქსური და სტილისტიკური შეცდომები და რეკომენდაციები მათ გასასწორებლად

სინტაქსურად გაუმართავი წინადადებების სიმრავლე დარგობრივ ენებში ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე ინფორმაციის ერთ წინადადებაში მოქცევის სურვილითაა განპირობებული. ევროპული ენები, რომელთაც მთელ რიგ დარგებში სანიმუშოდ მიმართავს ჩვენი დარგობრივი ენების მნიშვნელოვანი ნაწილი, სწორედ რომ „გრძელი" წინადადებებით ხასიათდება და ევროპულ ენათა სინტაქსური სისადავე (წინადადების წევრთა მყარი ადგილი, ტავტოლოგიების ნაკლები აქტუალურობა, ნაცვალსახელთა სიჭარბე და სხვ.) ამ „გრძელ" აბზაცებს შედარებით ადვილად გასაგებს ხდის. იმავეს ვერ ვიტყვით ქართულ სინტაქსზე, რადგან ქართულში, რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული ქვეწყობილწინადადებიანი ტექსტის გამართულობის უზრუნველყოფა ძალიან ძნელია (თუმცა, ცხადია, შესაძლებელი). სწორედ წინადადების სიგრძითა და ლექსიკური გადატვირთულობით უნდა იყოს გამოწვეული არაერთი უმართებულო სიტყვაშეხამება, რომელთათვის კვალიფიკაციის მიცემა (შეცდომათა კომპლექსური ხასიათის გამო) ჭირს, და ამიტომ მათი განხილვა უფრო საერთო სტილისტიკურ ცთომილებათა კატეგორიაშია უპრიანი. ქვემოთ წარმოდგენილი ყველა მაგალითი სასამართლო გადაწყვეტილებებიდანაა მოხმობილი:

- „ვერ შეძლო ბინაში გადასვლა ეკონომიკური მდგომარეობის გამო" (უნდა იყოს: „ეკონომიკური მდგომარეობის გამო ბინაში გადასვლა ვერ შეძლო")
- „დააპირა მისთვის დარტყმა" – (დაუპირა დარტყმა)
- „სხდომის სახე" (სხდომის ფორმა, ტიპი)
- „აღწერილობით სამოტივაციო" – (აღწერილობით-სამოტივაციო)
- „მხარეები არ აყენებენ პრეტენზიას" – (არ აცხადებენ პრეტენზიას)
- „...№-ის ქმედება დანაშაულს გვაძლევს/არ გვაძლევს" – (№-ის ქმედება დანაშაულია)
- „ნივთმტკიცების, ყადაღის ან სხვა საკითხის გადაწყვეტა" – (ნივთმტკიცების ბედის,

ყადაღის ან სხვა საკითხის გადაწყვეტა)

- „დანაშაულის ამსრულებლად" – (ამსრულებელი /შემსრულებელი/ აღმსრულებელი, აღმასრულებელი, დანაშაულის ჩამდენი)
- მონაწილეობდნენ: სამხარეო სასამართლოს მოსამართლეები ვაბერი და დოქტორ შტრაიფენჰორნი, როგორც თანამსხდომი მოსამართლეები;
- „გაგაცნოთ საერთაშორისო სასამართლოს პერსპექტივა" – (პერსპექტივა)[11]
- „წერილი მოიპოვა სანდრა ბ. უილიამსიდან" – (წერილი სანდრა ბ. უილიამსისაგან)
- „მხარეები თანხმდებიან ამ წერილის დასაშვებობაზე, რომელიც წარმოდგენილია ერთობლივი №1 დანართის სახით" – (მხარეთა შეთანხმება წერილის დასაშვებობაზე წარმოდგენილია ერთობლივი დანართის სახით)
- „ბრალდებულს გადაეცა „სექსუალური დანაშაულის ჩამდენი პირის კონტრაქტი" როდესაც მას მოსთხოვეს რეგისტრაციის გავლა და ბრალდებულმა ხელი მოაწერა ამ კონტრაქტს." – (როდის გადაეცა ეს კონტრაქტი, როდესაც მოსთხოვეს რეგისტრაციის გავლა, თუ როდესაც ხელი მოაწერა?)
- „მხარეები თანხმდებიან, რომ ამ კონტრაქტის სასამართლოში დასაშვებობაზე, რომელიც წარმოდგნილია ერთობლივი №2 ნივთმტკიცების სახით" – (უნდა ჩანდეს, რომელ სიტყვებს უკავშირდება „რომ" და „რომელიც"?)
- არასრულწლოვანი პირის მიმართ უხამსი საქციელისათვის – (ტერმინი "უხამსი" ბუნდოვანია, არ ჩანს, საქციელი რომელი ან როგორი საქციელია?)
- სავარაუდოდ 2012 წლის 1 ივნისს, ან ზუსტად ამ დღეს ბრალდებულმა იმოგზაურა ფედერალური საზღვრის ფარგლებში ლუიზიანადან ტენესის შტატში და ჩავიდა რეას ოლქში, ტენესიში, სადაც იგი ნახეს დაახლოებით 2012 წლის 21 ივლისს, ან ზუსტად ამ დღეს. იგი აღნიშნულ ოლქში იმყოფებოდა დაახლოებით 2012 წლის 13 ივლისიდან, ან ზუსტად ამ დღიდან. („იმოგზაურა", „ან ზუსტად ამ დღეს", „დაახლოებით 13 ივლისიდან) (ქართულში „იმოგზაურა" მხოლოდ მგზავრობას არ ნიშნავს.)
- „იგი ტაქსაობდა" – (ტაქსისტობდა)
- „ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან" – ჩამოვიდა უცხოეთიდან, მაგრამ „საზღვარგარეთ იყო" • (გარეთ – მაგრამ არა გარეთიდან)
- „სასამართლოს აჩვენა შემდეგი..." – (ჩვენება მისცა)
- „შეწყვიტა მათთან სახლში მისვლა – (შეწყვიტა მათთან სახლში სიარული)
- თვალი მოკრა – (თვალი მოჰკრა)
- „.. გადაწყვიტა ჩაერტყა თავში, **რა დროსაც** მ.იუსუპოვი გადავარდა" – (დარტყმამდე, თუ შემდეგ?)
- „წავიდა პოლიციის განყოფილებაში, რათა გაეცხადებინა, რომ იუსუპოვთან იჩხუბა და **მოკვლას უპირებდა**" — (ვინ ვის?)
- „იუსუპოვის **ჩვენებით დგინდება**, რომ მურაზ იუსუპოვი იყო **მისი ძმა**..." – (ვისი ძმა?

11 პერსპექტივა = 1. ხედი, პანორამა რისამე, რაც დამკვირვებლისაგან მნიშვნელოვნადაა დაშორებული.
2. საგნების სიდიდის, ფორმის, მდგომარეობის მოჩვენებითი ცვალებადობა, რაც გამოწვეულია დამკვირვებლისგან მათი მეტ-ნაკლები დაშორებით.
3. მოცულობითი საგნებისა და სივრცის გამოსახვა სიბრტყეზე სიდიდის, მოხაზულობის, მკაფიოობის მოჩვენებითი ცვალებადობის შესაბამისად, რაც გაპირობებულია დამკვირვებლისაგან მათი (საგნების) მეტ-ნაკლები დაშორებით; ამ წესით შესრულებული გამოსახულება რისამე.
4. მხაზველობითი გეომეტრიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ცენტრალური პროექტირების საშუალებით სიბრტყეზე სხეულების გამოსახვის წესებს.
5. მომავლის გეგმები; ვისიმე ან რისამე შესაძლებლობანი მომავალში.
უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=30755

ეს ჩვენება საკმარისია ვინაობის დასადგენად?)

- „რა დროსაც კარი გააღო ისე, რომ არ დაუკაკუნებია". – (კარი დაუკაკუნებლად გააღო/ შეაღო)
- „უთხრა, რომ დაეტოვებინა სახლი და წასულიყვნენ" — (ვინ და ვინ?)
- „ქმედება დანაშაულს გვაძლევს/არ გვაძლევს" – (წარმოშობს, წარმოქმნის, უტოლდება?)
- „ზემოაღნიშნული უდავო ფაქტების გარდა სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტები"
- აშშ-ის **მარშალების** ფედერალური სამსახურის უფროს გამომძიებელ დერიკ სვენსონთან **გასაუბრებისას** ბრალდებულმა აღიარა, რომ სექსუალური დანაშაულის ჩამდენ პირად რეგისტრაციის გარეშე ის ტენესის შტატში 2012 წლის 12 ივლისიდან იმყოფებოდა 2012 წლის 20 ივლისამდე, მის დაკავებამდე (ბრალდების მხარის ნივთმტკიცება №6). ოფიცერმა პატრიკ რელიფორდმა სამართლებრივად უზუსტო მითითება მისცა „ – (**მარშლები? მარშალთა** ფედერალური სამსახური? გასაუბრება? უზუსტო? თუ არაზუსტი?)
- **„ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საკასაციო საჩივრების განხილვისას დაშვებული დარღვევები (არ ჩანს, როგორ ან როდისაა "დაშვებული დარღვევები", "გარემოებათა გამო" თუ "სასამართლო განხილვისას?")**
- **სასამართლო პრაქტიკაში** დაშვებული დარღვევების **შესწავლა-ანალიზი (დაშვებული შეცდომა; დაშვებული დარღვევა; დაშვებული ნებადართულსაც ნიშნავს)**
- „ფაქტების დადგენის ნაწილში დაადგინა" – (სასურველია ტავტოლოგიური ერთეულები ერთმანეთს დავაშოროთ წინადადების სხვა წევრების მეშვეობით, მაგ.: ფაქტების დადგენის ნაწილში სასამართლომ შემდეგი გარემოებები დაადგინა);
- სააპელაციო სასამართლომ არასწორად აღადგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 6.09.2012 წლის განაჩენის გასაჩივრების გაცდენილი ვადა" – (არასწორად აღადგინა ნიშნავს, რომ უნდა აღედგინა, მაგრამ სწორად, და არა „საერთოდ არ უნდა აღედგინა")
- **„საკასაციო პალატის განმარტებით,** იმავე განაჩენით ამ მსჯავრდებულების მიმართ უნდა დადგენილიყო გამამართლებელი განაჩენი" – **(**იმავე განაჩენით ამ მსჯავრდებულების მიმართ უნდა დადგენილიყო გამამართლებელი განაჩენი
- „რადგან საქმეში არ მოიპოვება საკმარისი მტკიცებულებები, რაც ეჭვის გამომრიცხავად დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ..." – (რადგან საქმეში არ მოიპოვება საკმარისი მტკიცებულებები, რაც უეჭველად, ეჭვგარეშე, სარწმუნოდ... დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ...)
- „წინამდებარე ინფორმაციიდან გამომდინარე ირკვევა" – (წინამდებარე ინფორმაციიდან ირკვევა)
- „სახელმწიფოს კუთვნილი ფულადი თანხების მოტყუებით დაუფლება, რომელსაც სახელმწიფო ურიგებდა 2008 წლის ომის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ მოსახლეობას". – (სახელმწიფოს კუთვნილი ფულადი თანხების მოტყუებით დაუფლება, რომელსაც სახელმწიფო ურიგებდა 2008 წლის ომის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ მოსახლეობას) თანხები, რომელსაც სახელმწიფო ურიგებდა...
- შეადგინა და გასცა ყალბი ცნობა №763, იმის შესახებ, რომ თითქოს კახა გოჩაშვილი მუდმივად – („თითქოს" ზედმეტია)
- „ქ. თბილისში, დიდი დიღომი პეტრიწის ქუჩა № 12/52-ში მცხოვრებ, კახა გოჩაშვილის სახელზე შეადგინა და გასცა ყალბი ცნობა №763" – თუკი "თბილისში" შეიძლება,

რატომ არ შეიძლება "დიღომში"?

- „ზოგ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ უტყუარად დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად სწორად ვერ შეაფასა და კვალიფიკაციაც არასწორად განსაზღვრა"

— **(კვალიფიკაცია თავად არის განსაზღვრება, კვალიფიკაცია მისცა, არასწორი, მცდარი კვალიფიკაცია მისცა ან: არსაწორად განსაზღვრა)**;

- „რაც **კახა გოჩაშვილმა** თავის მხრივ წარადგინა სამოქალაქო რეესტრის ცხინვალის სამსახურში და რეგისტრირებული იქნა გორის რაიონის სოფელ ხეითში" – (დარეგისტრირდა ან: რომლის საფუძველზეც დაარეგისტრირეს)
- „ანუ მას ბრალი დაედო, რომ ჩაიდინა თაღლითობა ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით" – (ე.ი.; მისაკუთრება ძირითადად მართლაწინააღმდეგოს ნიშნავს;
- „თქვენ უნდა უგულვებელყოთ" – (უნდა იყოს უგულებელყოთ)
- „უნდა შეაფასოთ იმ კუთხით, თუ რამდენად შემხებლობაშია იგი განსახილველ სისხლის სამართლის საქმესთან... – (რამდენად ეხება, უკავშირდება, რამდენადაა დაკავშირებული, ეხება თუ არა...)
- „თქვენს წინაშე" – (თქვენ წინაშე)
- „არავინ არ არის ვალდებული"– (არავინაა ვალდებული)
- „თუ თქვენ ჩანაწერებს გააკეთებთ, გთხოვთ, არ გაუზიაროთ ისინი კოლეგა მსაჯულებს" — (თუ თქვენ ჩანაწერებს გააკეთებთ, გთხოვთ, არ გაუზიაროთ ისინი სხვა მსაჯულებს – თქვენს კოლეგებს)

სწორედ იმიტომ, რომ იურისტები ესწრაფვიან ყოველი სიტუაციისათვის მაქსიმალურად ზუსტი კვალიფიკაცია მოძებნონ, ისინი აქტიურად მიმართავენ სიტყვაწარმოებით პროცესს:

- განსჯა, დასჯა, აღსრულება, შეასრულა, ქმედება ჩაიდინა;
- ჩაწვდა, ჩაეძია, გამოიკვლია, დაადგინა, შეიტყო, მოისმინა, ცნო;

ერთ-ერთი თავისებურება სამართლის ენისა ისაა, რომ ძალიან ბევრი იურიდიული ტერმინი შესიტყვებას წარმოადგენს, მათ შორისაა შეფასებითი ცნებებიც: უგზო-უკვლოდ დაკარგული, წარმოებაში მიღება, სასჯელის შედარებით მსუბუქი ფორმა. ესაა ენობრივი სტანდარტები, ანუ კლიშეები, რომლებშიც ყველაფერი წინასწარაა განსაზღვრული: კლიშე აუცილებელია, რადგან სამართლის ენის სიზუსტეს უზრუნველყოფს. მაგრამ მათი მოხმარებისას თავს იჩენს საკმაოდ საინტერესო მომენტები:

1. ზოგ მრავალმნიშვნელობიან (პოლისემანტიკურ) სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობით იყენებენ: მაგ., დაკავება, წინასწარი დაკავება, იმის მდგომარეობა, ვინც არის დაპატიმრებული. თავისუფლების აღკვეთა; ექსპერტის დასკვნა, პროკურორის დასკვნა, რაღაციდან გამომდინარე დასკვნა.
2. იურიდიულ ენას ახასიათებს სალიტერატურო ენისათვის უჩვეულო სიტყვაშეხამებანი:

- მაგ., სიტყვა **„დამნაშავეს"** ჩვეულებრივ აქვს შემდეგი მნიშვნელობები: „დანაკარგი, ვინმესათვის მიყენებული", „ზარალის მიმყენებელი", „ზიანის მიმყენებელი", „შეცდომის დამშვები", „ზარალის მიზეზი", „დამნაშავე საზოგადოების წინაშე" „დამნაშავე კერძო პირის წინაშე", მძიმე დანაშაული, მსუბუქი დანაშაული, დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებები", წინაწარგანზრახული დანაშაული, ნებსითი და უნებლიე დანაშაული...
- **დამნაშავე** ასევე შეიძლება სხვადასხვა სიტყვათშეხამებაში შევიდეს. აქედან

ტერმინულია რამდენიმე: „უდავოდ დამნაშავედ იქნას ცნობილი", „გამოცხადდეს დამნაშავედ", მიჩნეულ იქნას დამნაშავედ, აღკვეთის ღონისძიებები, აღმკვეთი ღონისძიებები, ზომები, განმსაზღვრელი კატეგორიები, პრინციპები და სხვ.

- **ჩაიდინა** ქმედება. ჩაიდინა დანაშაული; ჩაიდინა – უკვე არის ნეგატიური მნიშვნელობის სიტყვა.
- **გამოყენება**, მისადაგება, განსაზღვრა, იხელმძღვანელოს... რამდენადაც ქართულისაგან გასხვავებით ინდოევროპულ ენებში ინფინიტივი აქტიურად გამოიყენება მეშველ ზმნასთან, ხოლო ქართულში კლასიკური გაგებით ინფინიტივი არც არსებობს, ხოლო საწყისი და მიმღეობა ისედაც უფრო დატვირთულია, ვიდრე ევროპული ენების ინფინიტივი, რის გამოც ქართული ტერმინოლოგია ჭარბად ინფორმაციული გამოდის; ამიტომაც არ ვარგა ისეთი შესიტყვებები, როგორიცაა: ჩადენილი მკვლელობა, შესრულებული ქმედება და სხვ. ამ სიტყვებს ქართული ამ ბოლო დროს ხელოვნურად ხმარობს, რათა უფრო დაუახლოვდეს ევროპულ მოდელებს. ჩადენილი შესრულებული, განხორციელებული ბოროტგანზრახული ქმედება, ბოროტგანმზრახველი შეთანხმება...
- **პასუხისმგებლობა დაეკისროს**, პასუხისგებაში მიეცეს, განსასჯელი, გამოცხადდეს დამნაშავედ, მიჩნეულ იქნას დამნაშავედ, გამოცხადდეს უდანაშაულოდ, გამართლდეს, განესაზღვროს სასჯელის ზომად..., მიესაჯოს სასჯელის შემდეგი ზომა...
- ხელოვნური და უმართებულოა შემდეგი ფორმები: "დასჯადი", საქმისწარმოებაში იქნა მიღებული, ნაკითხვადი, იქნა ჩაშვებული, მსვლელობაში მიიღო..
- **სიტყვათა რიგის საკითხი**: ჯანმრთელობას მიადგა ზიანი, ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებით განზრახ ზიანის მიყენება, წინასწაგანზრახული ზიანის მიყენება. აქ სიტყვათა რიგი წყვეტს, მიყენებაა წინასწარგანზრახული, თუ ზიანის სახეობა. საშუალო ხარისხის ზიანის მიყენება.
- **მიახლოებით**, საშუალო, შედარებით, დაახლოებით 21 ივლისს ან **ზუსტად** ამ დღეს...

ქართულში სიტყვათა რიგის გარკვეულ თავისუფლებას ვხედავთ, რაც გულისხმობს, რომ წინადადების წევრები არა მხოლოდ სემანტიკურად, არამედ სინტაქსურადაც მკაფიოდ განსაზღვრული გრამატიკული სისტემითაა შეკავშირებული, და ამ კავშირს ვერ არღვევს ამ სიტყვათა ერთმანეთისაგან დაშორება. შესაბამისად, ქართულში სიტყვათა რიგს მეტი მოდალური ძალა(და ნაკლები – სინტაქსური განპირობებულობა) აქვს, ვიდრე სხვა ენებში.

საკვლევი პროფესიული ენის კიდევ ერთი თავისებურება ისიცაა, რომ ერთსა და იმავე კითხვაზე მოპასუხე სიტყვები შეიძლება დაჯგუფდეს ფართო და ვიწრო შინაარსობრივი და კონოტაციური პრინციპით, რაც იურისტებსა და ლინგვისტებს, ერთობლივად მუშაობის შემთხვევაში, გაუადვილებს ყოველი ლექსიკური ერთეულის "სემანტიკური ფასის" განსაზღვრას, მაგალითისათვის პირობითად გამოვყოფთ რამდენიმე ჯგუფს:

- მოქმედებები, ჩადენილი არაერთხელ, არაერთგზის, განმეორებით, განმეორებებით, მრავალგზის, მრავალჯერ, იგივე მოქმედება ჩადენილი დიდი მასშტაბით: ადრე ნასამართლები (ნასამართლეობა ისედაც წინა ვითარებაზე მინიშნებაა), ნასამართლეობის მქონე/არმქონე, ადრე გასამართლებული, ან პირი, რომელიც ადრე უკვე იყო გასამართლებული (ჩვეულებრივ, სალიტერატურო ქართულში ნასამართლეობა მაინცა და მაინც სასჯელის დაკისრებასა და გამამტყუნებელ გადაწყვეტილებას არ გულისხმობს) და სხვ.
- ვადა. ვადაში, ვადებში, დროში, აღნიშნულ პერიოდში, ამავე დროს, დროის ფარგლებში,..
- საბუთი, საფუძველი. საფუძველზე დაყრდნობით, საბუთიდან გამომდინარე,

დადგენილი ფაქტების მიხედვით, საფუძველზე, შესახებ სასამართლო ადგენს...

სამართლის ენის სპეციფიკას განაპირობებს აუცილებლობა, რომ ზუსტად იქნას გადმოცემული იურიდიულ ცნებათა და კანონმდებლის აზროვნების ნიუანსებს შორის კავშირი. ეს ნიშნები მხოლოდ სამართლის სფეროს ახასიათებს.

- **ბრალი** არის უმართებულო მოქმედება, შეცდომა, გადაცდომა, უხერხულობა, უზრდელობა; ხოლო „სერიოზული გადაცდომა, დანაშაული". ამრიგად ხშირად ხდება პარონიმთა აღრევა პროცესუალურ აქტებში (დანაშაული აღიარა, მაგრამ ბრალი აღიარა?) დანაშაული დამტკიცებულია, ბრალი დასაბუთებულია, დადასტურებულია, დამტკიცებულია, წაყენებულია.

ჩვენ შევეცადეთ კვლევის მოცემულ ეტაპზე თავი მოგვეყარა იმ ენობრივი თავისებურებებისათვის, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებათა ტექსტებში იჩენს თავს. აშკარაა, რომ სამართლის სფეროს წარმომადგენლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან გადაწყვეტილებათა არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ ენობრივი გამართულობის საკითხებსაც. ამ მიმართულებით მუშაობა კვლავაც უნდა გაგრძელდეს. ჩვენ საშუალება გვაქვს დაინტერესებულ პირებს შევთავაზოთ სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონასა" და ძველი ქართული ენის ლექსიკონებში დადასტურებული, ე.წ. სამართლებრივი ლექსიკის ნაწილი, რაც შეიძლება საყურადღებო იყოს ახალი ლექსიკის ძიებისა და სიტყვაწარმოებითი შემოქმედებისათვის (იხ. დანართი 2)

დანართი1[12]

გერმანული

aa – აა (და არა: ა): Aachen – აახენ-ი.

a ან **ae** – ე: Grabner – გრებნერ-ი, Graebe – გრებე, Guldenstaedt – გიულდენშტედტ-ი.

ch – ხ (და არა: ჰ): Zurich – ციურიხ-ი, Buchenwald – ბუხენვალდ-ი, Bochum – ბოხუმ-ი.

ch - კ (და არა: ქ): Christoph - კრისტოფ-ი, Christian - კრისტიან-ი.

ck - კ: Dick - დიკ-ი, Becker - ბეკერ-ი.

dt - დტ: Schmidt - შმიდტ-ი, Brandt - ბრანდტ-ი.

ee - ეე (და არა: ე): Bodensee - ბოდენზეე.

ei და **ey** - აი: Einstein - აინშტაინ-ი, Braunschweig - ბრაუნშვაიგ-ი, Heinrich - ჰაინრიხ-ი, Beyer - ბაიერ-ი, Weydemeyer - ვაიდემაიერ-ი.

eu - ოი: Bleuler - ბლოილერ-ი, Feuerbach - ფოიერბახ-ი, Eugen - ოიგენ-ი; მაგრამ (ტრადიციის გამო): Euler - ეილერ-ი.

h - ჰ: Hamburg - ჰამბურგ-ი, Herman Hesse - ჰერმან ჰესე.

h (არ გამოითქმის) :

ა) სიტყვის ბოლოს: Neuloh - ნოილო.

ბ) r-ს შემდეგ: Rhowolt - როვოლტ-ი.

გ) ხმოვნის შემდეგ, როდესაც მას მოსდევს თანხმოვანი: Behling - ბელინგ-ი, Behrendt - ბერენდტ-ი.

დ) ხმოვნის შემდეგ, როდესაც მას მოსდევს e: Hohenzollern – ჰოენცოლერნ-ი.

ie - ი: Dietrich - დიტრიხ-ი, Griesbach - გრისბახ-ი.

o და **oe** - ე (და არა: იო ან ო): Koln - კელნ-ი (და არა: კიოლნ-ი ან კოლნ-ი), Schonberg - შენბერგ-ი, (და არა: შონბერგ-ი), Rontgen - რენტგენ-ი, WilamowitcMoellendorf - ვილამოვიც-მელენდორფ-ი, Otztaler Alpen- ეცტალისალპები.

ph- ფ: Philipp- ფილიპ-ი, Gryphius - გრიფიუს-ი.

q- კ (და არა: ქ): კვედენფელდტ-ი (და არა: ქვედენფელდტ-ი).

s (ხმოვნის წინ) – ზ: Sommerfeld - ზომერფელდ-ი, Salzburg - ზალცბურგ-ი, Saarbrucken - ზაარბრიუკენ-ი.

ss და **ß**- ს: ლესინგ-ი, Fluss ან Fluß - ფლუს-ი.

st–სტ (სიტყვის თავში - შტ): Stephan–შტეფან-ი,, Steiner – შტაინერ-ი.

---

12 დანართი1–ში წარმოდგენილი ცხრილები მოხმობილია სადღეისოდ ნორმატიული ძალის მქონედ რეკომენდებული მონაცემებიდან (მათში, შეძლებისდაგვარად, გათვალისწინებულია ქართული ენის (როგორც უცხოენოვანი ლექსიკის მიმღების) ბგერობრივი სისტემის თავისებურებები (იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 1989; უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 1989; ბერძნული, თურქული და სპარსული ანბანების ქართული შესატყვისები მომზადებულია ამ ენათა სპეციალისტების მიერ.

th– თ: Lothar - ლოთარ-ი, Abendroth - აბენდრით-ი, Thuringen – თიურინგია; მაგრამ(ტრადიციის გამო) ტ: Thalmann – ტელმან-ი.

tz – ც: Fritz- ფრიც-ი, Moritz - მორიც-ი, Leisewitz – ლაიზევიც-ი.

u– უ: Ludwig – ლუდვიგ-ი, Gluck – გლუკ-ი.

u – იუ: Buchner - ბიუხნერ-ი, Lubeck - ლიუბეკ-ი.

v(გერმანულ სახელებში) - ფ: Bremenhaven – ბრემენჰაფენ-ი, Vogt – ფოგტ-ი, Vogel-ფოგელ-ი.

v(უცხოწარმოშობის სახელებში)- ვ: Crivitz – კრივიც-ი.

x– ქს:Axel- აქსელ-ი, Alex- ალექს-ი.

y– ი: Ryck-რიკ-ი.

z– ც: Salzburg – ზალცბურგ-ი, Zimmerwald – ციმერვალდ-ი.

დანიური

ch -კ: Christopher - კრისტოფერ-ი, Christian - კრისტიან-ი (და არა: ქრისტოფერ-ი, ქრისტიან-ი).

d (ზოგჯერ არ იკითხება): Richard – რიჩარ-ი, Nordskov – ნორსკოვ-ი, Gunhild – გუნჰილი.

eg – აი: Hegn – ჰაინ-ი.

hj- ი: Hjalf –იალფ-ი.

nd- ი: Hjortlund – იორტლუნ-ი, Linderstrom-Lang – ლინერსტრემ-ლანგ-ი.

s–ს: Agesen - ოგესენ-ი.

sj– შ: Sjaellander – შელანერ-ი.

o ან **o** –ე: Brondal – ბრეენდალ-ი, Orsted – ერსტედ-ი, Bergstrom – ბერგსტრემ-ი.

aან **aa** – ო: Alborg – ოლბორგ-ი

ესპანური

c (e, I, y-ს წინ) - ს: Cesar - სესარ-ი, Andaluc - ანდალუსია, Algesiras - ალხესირას-ი, Asuncion - ასუნსიონ-ი.

c (a, o, u-ს წინ, თანხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოში) – კ; Jalisco - ხალისკო, Costa Rica – კოსტა-რიკა, Cuba - კუბა.

ch – ჩ: Echeverria - ეჩევერია, Chinchilla - ჩინჩილია.

g (a, o, u-ს და თანხმოვნების წინ) – გ: Ygnacio - იგნასიო, Guernica - gernika.

g (e, i-ს წინ) –ხ: Angel – ანხელ-ი, Algeciras – ალხესირას-ი, San Jorge – სან-ხორხე, Lago Argentino – ლაგო-არხენტინო.

gu (e, i-ს წინ) – გ: Guernica - gernika, Miguel – მიგელ-ი, Guillen – გილიენ-ი.

gu – გვ: Guadalajara - გვადალახარა, Guatemala - გვატემალა, Paraguay - პარაგვაი.

h (არ გამიითქმის): Hector - ექტორ-ი, Huelva - უელვა, Halen - ალენ-ი.

j - ხ: Juan – ხუან-ი, Jorge - ხორხე, Jose - ხოზე, Guadalajara - გვადალახარა, Jimenes – ხიმენეს-ი.

lla - ლია: Antilla - ანტილია, Sevilla - სევილია, Valladolid - ვალიადოლიდ-ი.A

lle - ლიე: Rio Gallegos – რიო-გალიეგოს-ი, Alle - ალიე, Valle del Cauca – ვალიე-დელკაუკა.

llo- ლიო: Hermosillo - ერმოსილიო, Trujillo - ტრუხილიო.

llu- ლიუ: Caballuco - კაბალიუკო.

na-ნია: Cataluna - კატალონია.

no- ნიო: Maranon – მარინიონ-ი.

que-კე: Enrique - ენრიკე, Siqueiros – სიკეიროს-ი.

qui - კი: Quintana - კინტანა, Quito - კიტო.

s - ს: Santa Rosa – სანტა-როსა, Formosa - ფორმოსა, Rosario - როსარიო.

x - ს: Extremadura - ესტრემადურა.

z - ს: Juan Fernandez - ხუან-ფერნანდეს-ი, Fortaleza - ფორტალესა, Saragosa - სარაგოსა, Cadiz - კადის-ი, Gusman - გუსმან-

ინგლისური

a - ა: Aberystwyth - აბერისტუით-ი, **Adams** - ადამს-ი, Franklin - ფრანკლინ-ი, Cardiff - კარდიფ-ი.

a - ეი: David – დეივიდ-ი, Davis – დეივის-ი, Graves – გრეივზ-ი.

a - ო: Galsworthy – გოლზუორთ-ი.

a - ე: Birmingham – ბირმინგემ-ი, Jackson – ჯექსონ-ი, Mary –მერ-ი .

ae - ი: Aegis – იჯის-ი, Caesar – სიზარ-ი.

ai და **ay** - ეი: Clay - კლეი, Medway -მედუეი , Gray - გრეი.

ai - ე: Cairns – კერნზ-ი.

au და **aw** - : Austin – ოსტინ-ი, Pauling – პოლინგ-ი, Shaw - შო.

c (e, i, y-ს წინ) - ს: Cecil – სესილ-ი, Cinderfoerd - სინდერფორდი.

c (სხვა შემთხვევებში) – კ (და არა ქ): Catherine - კათრინ-ი (და არა: ქეთრინ-ი), Caistor - კეისტორ-ი, Corwen - კორუენ-ი, Atlantic City - ატლანტიკ-სიტი.

ch - ჩ: Chichester – ჩიჩესტერ-ი, Churchill – ჩერჩილ-ი.

ch (ბერძნულ და, აგრეთვე, გერმანული წარმოშობის სახელებში) - კ: Christina - კრისტინა, Christopher – კრისტოფერ-ი, Ulrich – ულრიკ-ი.

ck – კ (და არა ქ): Pocklington – პოკლინგტონ-ი, Cockermouth – კოკერმუთ-ი.

dg - ჯ: Bridgetown – ბრიჯტაუნ-ი.

e - ი: Beresford – ბერისფორდ-ი, Eden - იდენ-ი, Exeter – ექსიტერ-ი.

e - ე: Reston – რესტონ-ი, Manchester – მანჩესტერ-ი.

ea - ი: Beadnell – ბიდნელ-ი, Deanston – დინსტონ-ი, Seaborg – სიბორგ-ი, Dearborn – დირბორნ-ი.

ea - ეი: Breakspear – ბრეიქსპირ-ი.

ee - ი: Green – გრინ-ი, Lee - ლი, Peekskill – პიქსკილ-ი, Seebom – სიბომ-ი.

ei - ი: O'Neill – ო'ნილ-ი, Keith – კით-ი.

ei - აი: Steinbeck – სტეინბეკ-ი.

eu და **ew** - იუ: Matthews – მათიუზ-ი, Dewsbury - დიუზბერი.

ew - უ: Andrew – ენდრუ (და არა: ენდრიუ).

ew - უი: Lewis – ლუის-ი.

ey - ი: Sidney – სიდნ-ი.

g (a, o, u –ს წინ და სიტყვის ბოლოში) - **g**: Donegal – დონეგოლ-ი, Dolgarog – დოლგაროგ-ი.

g (e, i, y-ს წინ) - ჯ: George – ჯორჯ-ი, Gerald – ჯერალ-ი, Rogers – როჯერზ-ი.

ზოგჯერ ამ პოზიციაში გამოითქმის როგორც გ: Gertrude - გერტრუდ-ი, Gilbert - გილბერტ-ი.

gh - გ: Birmingham – ბირმინგემ-ი.

h - ჰ: Hilary – ჰილარ-ი, Hubert – ჰიუბერტ-ი, Harrison – harison-i.

i - აი: Caroline – კაროლაინ-ი, Whitehead – უაიტ-ჰედ-ი, Dwight – დუაიტ-ი, Brierly Hill – ბრაიერლი-ჰილ-ი.

i - ე: Firth – ფერთ-ი.

k - კ: Katherine – კათრინ-ი (და არა: ქეთრინ-ი), Keats – კიტს-ი, Kevin – კევინ-ი.

o და **oa** - ოუ: Cope – კოუპ-ი, Sevenoaks – სევენოუქს-ი.

o - ო: Gordon – გორდონ-ი, Rogers – როჯერზ-ი, Coventry – კოვენტრ-ი.

oe - ოუ: Sillitoe - სილიტოუ.

oo - უ: Moor – მურ-ი, Goodman –გუდმენ-ი , Blackpool – ბლეკპულ-ი.

ou და **ow** - აუ: Grout – გრაუტ-ი, Brownville – ბრაუნვილ-ი, Bower – ბაუერ-ი.

ou - უ: Coupar Angus – კუპარ-ანგუს-ი, Bournemouth – ბორნმუთ-ი.

ou -ა : Douglas – დაგლას-ი.

ow - ოუ: Lowell – ლოუელ-ი.

p – პ (და არა: ფ): Portia - პორშია, Parker – პარკერ-ი.

ph - ფ: Josephine – ჯოზეფინ-ი, Phillip – ფილიპ-ი.

qu – კუ (და არა: ქუ): Quine – კუაინ-ი, Quincy - კუინსი.

s - ს: Burns – ბერნს-ი, Bakersfield – ბეიკერსფილდ-ი.

s - ზ: James – ჯეიმზ-ი, Charles – ჩარლზ-ი, Brisbane – ბრიზბენ-ი, Graves – გრეივზ-ი.

s (ზოგჯერ არ გამოითქმის): Long Island – ლონგ-აილენდ-ი.

sh - შ: Shakespeare – შექსპირ-ი.

ss - ს: Furness – ფერნეს-ი.

t – ტ (და არა: თ): Coventry - კოვენტრი, Hubert – ჰიუბერტ-ი.

t (ზოგჯერ არ გამოითქმის): Christmas – კრისმას-ი, Whistler – uisler-i.

tch – ჩ (t არ გამოითქმის): Fletcher – ფლეჩერ-ი, Dutch-Harbour – დაჩ-ჰარბორ-ი.

th - თ: Arthur – ართურ-ი, Elizabeth – ელიზაბეთ-ი, Jonathan – ჯონათან-ი.

th - დ: Sutherland – სადერლენდ-ი.

th - ზ: Rutherford – რეზერფორდ-ი.

th – (რამდენიმე სახელში) - ტ: Anthony – ანტონ-ი, Thomas – ტომას-ი, Thames – ტემზა, Theresa - ტერეზა.

tz - ც: Fitzgerald – ფირცჯერალდ-ი.

u - უ: Arthur – ართურ-ი, Julian – ჟულიან-ი.

u - იუ: Canute – კანიუტ-ი, Hubert – ჰიუბერტ-ი, Dunkerque - დიუნკერკ-ი, Butte - ბიუტ-ი.

u - ა: Butler – ბატლერ-ი, Russel – რასელ-ი, Sullivan – სალივან-ი, Sumner – სამნერ-ი.

u - ე: Churchil – ჩერჩილ-ი, Ogburn – ოგბერნ-ი, Burbank – ბერბანკ-ი.

w - ვ: Washington – ვაშინგტონ-ი, Darwin – დარვინ-ი.

x - ქს: Oxford – ოქსფორდ-ი.

x - გზ: Alexander – ალეგზანდერ-ი.

y - აი: Dyson – დაისონ-ი, Argyll – არგაილ-ი, Bryce Canyon – ბრაის-კანიონ-ი.

y - ე: Byrd – ბერდ-ი, Byrne – ბერნ-ი.

z - ზ: Elizabeth – ელიზაბეთ-ი.

იტალიური

c (a, o, u-ს და თანხმოვნების წინ) - კ: Cadore - კადორე, Cursolo - კურსოლო, Macch - მაკი.

c - ჩ: Cesare - ჩეზარე, Cimarosa – ჩიმაროზა

cc - კ: Dallapiccola - დალაპიკოლა.

cc – ჩ: Boccaccio - ბოკაჩო, Vespucci - ვესპუჩი, Contucci - კონტუჩი.

ch - კ: Cherubini - კერუბინი, Michele - მიკელე, Schipa - სკიპა, Chiuro – კიურო; მაგრამ: Michelangelo - მიქელანჯელო, Archangelo - არქანჯელო.

cch - კ: Zecchi - ცეკი, Verocchio - ვეროკიო, Saccheti - საკეტი.

g (a, o, u-ს და თანხმოვნების წინ) - გ: Gutuso - გუტუზო, Grana -გრანა.

g (e, i-ს წინ) - ჯ: Agira - აჯირა, Germanetto - ჯერმანეტო.

gh - გ: Alighieri - ალიგიერი, Quarenghi - კვარენგი.

gia - ჯა, **gio** - ჯო: Giacomo - ჯაკომო, Giorgone - ჯორჯონე.

gna - ნია: Agnana - ანიანა.

gno - ნიო: Vignola - ვინიოლა.

gu - გუ: Guasila - გუაზილა, Guerrazi - გუერაცი.

i (უმახვილო) - c-ს შემდეგ არ გამოითქმის : Maggio -მაჯო , Riccioli - რიჩოლი.

qu - კვ: Quasimodo - კვაზიმოდო, Quercia - გუერაცი.

s - ს: Secci - სეკი, Chiusdino - კიუსდინო, De Amicis – დე ამიჩის-ი.

s - ზ: Ysola - იზოლა, Cimarosa - ჩიმაროზა, Smeraldi - ზმერალდი, Della Casa – დელა კაზა.

sc (a, o, u-ს წინ) - სკ: Bosco - ბოსკო.

sc (e, i-ს წინ) - შ: Scicolone - შიკოლონე, Sciscaro - შიშარო.

z და **zz** - ც: Zacconi - ცაკონი, Zappa - ცაპა, Bozzole - ბოცოლე.

z და **zz** - ძ: Mazzini - მაძინი, Lazzari - ლაძარი, Verzone – ვერძონე.

ნორვეგიული

aa - ო: Vesaas – ვესოს-ი.

au - ეუ: Aursand – ეურსან-ი, Haugesund – ჰეუგესუნ-ი.

g - გ: Sigurd –სიგურდ-ი.

g - ი: Egner – ეინერ-ი.

g (ზოგჯერ არ იკითხება): Gjaerder – იერდერ-ი.

ie - ი: Grieg – გრიგ-ი.

k - კ: Kommandantvold – კომანდანტვულ-ი.

ki და **kj** - ხი: Kielland – ხიელან-ი, Kiestadli - ხიელსტადლი.

ld - ლ: Kommandantvold – კომანდანტვულ-ი.

nd - ნ: Overland – ევერლან-ი.

o - ო: Oslo - ოსლო.

o - უ: Kommandantvold – კომანდანტვულ -ი, Evensmo - ევენსმუ.

sch - სკ: Schou - სკოუ.

sj - შ: Sjoberg – შებერგ -ი.

sk - სკ: Skouen- სკოუენ-ი, Skre - სკრე.

ski, skj - შ: Skien – შიენ-ი, Skjerper – შერპერ-ი, Werenskoild – ვერენშიოლ-ი.

tj - ხ: Tjolling – ხელინგ-ი.

a - ო: Istgard –ისტგორდ-ი.

O - ე: Bodo - ბუდე, Bomlo - ბემლო, Grenlond - გრენლანდია.

პოლონური

a - ომ: Dabrovska - დომბროვსკა.

a - ონ: Katski – კონტსკი.

c – (ყველა შენთხვევაში) - ც: Cetner – ცეტნერ-ი, Stobiecki – სტობიეცკი, Solec – სოლეც-ი.

ch - ხ: Chamiec – ხამიეც -ი.

sz - ჩ: Czerniatowicz – ჩერნიატოვიჩ-ი, Leszczynski - ლეშჩინსკი.

drz - ჯ: Andrzey - ანჯეი.

o - უ: Jelenia Gora – ელენია-გურა.

rz - შ: Przybyszewski - fSibiSevski.

rz - ჟ: Brzeg – ბრჟეგ-ი, Kazimierz – კაზიმიეჟ-ი, Bzytka – ჟიტკა, Bobrzynski – ბობჟინსკი.

sz - შ: Leszczynski - ლეშჩინსკი, Szymon – შიმონ-ი, Lukasz – ლუკაშ-ი, Szymanowski – შიმანოვსკი, Warszawa - ვარშავა.

z - ზ: Zbignev – ზბიგნევ-ი, Zielona Gora – ზიელონა-გურა.

z - ჟ: Zulawski - ჟულავსკი.

პორტუგალიური

a - ან: Mea – მეან-ი.

ao - ან: Tristao – ტრისტან-ი, Garcao – გარსან-ი, Sao Paulo – სან-პაულუ.

c (a, o, u-ს და თანხმოვნების წინ , b, d, p, t-ს გარდა) - კ: Cabral – კაბრალი, Curral – კურალ-ი.

c (e,i-სწინ) - ს: Celso - სელსუ, Cidadela - სიდადელა.

c (b,d, p, t-სწინ)არ გამოითქმის: Octavio - ოტავიუ,Victoria- ვიტორია.

e-ე: Hernani - ერნანი, Peneda - პენედა.

e-ი: Belo Horizonte – ბელუ-ორიზონტი, Flores – ფლორიშ-ი, Jorge - ჟორჟი.

g (a, o, u-ს წინ) - გ:Gastao– გაშტან-ი,Gustavo - გუშტავუ.

g (e,i-ს წინ) - ჟ:Gilberto - ჟილბერტუ, Lagedo - ლაჟედუ.

h–(არიკითხება): Belo Horizonte – ბელუ-ორიზონტი, Hernani - ერნანი.

j - ჟ: Baixo Alentejo – ბაიშუ-ალენტეჟუ, Jorge - ჟორჯი.

lhe - ლიე: Guilherme - გილიერმი.

lho - ლიუ: Fialho - ფიალიუ.

m - მ: Menton – მენტონ-ი, Humberto - უმბერტო.

m - ნ: Bomfin – ბონფინ-ი, Joaquim – ჟუაკინ-ი, Belem – ბელენ-ი.

nha - ნია: Saldanha - სალდანია.

nhu - ნიუ: Garanhuns – გარანიუნშ-ი, Curralinho - კურალინიუ.

o - ო: Orlando - ორლანდუ.

o - უ: Joaquim – ჟუაკინ-ი, Soares – სუარეშ-ი, Ricardo - რიკარდუ, Amado - ამადუ.

oe - ოინ: Simoes – სიმოინშ-ი.

qu - კ: Queluz – კელუშ-ი, Joaquim – ჟუაკინ-ი.

s - ს: Sales – სალიშ-ი, Monserrate - მინსერატი.

s (ორ ხმოვანს შორის) - ზ: Aloisio - ალოიზიუ, Trancoso - ტრანკოზუ, Isabel – იზაბელ-ი.

s – შ (ბრაზილიურ სახელებში - ს): Cristini – კრიშტინუ (ბრაზ.: კრისტინუ), Vasco – ვაშკუ (ბრაზილ.: ვასკუ).

s – ჟ (ბრაზილიურ სახელებში - ს): Caldas Novas – კალდაჟ-ნოვას-ი, (ბრაზილ.: კალდას-ნოვას-ი), Tres Lagoas – თრეჟ-ლაგოაშ- (ბრაზილ.: ტრეს-ლაგოას-ი).

th - თ: Theo - თეუ, Ruth – რუთ-ი, Catharina - კათარინა.

x - ზ: Exalte - ეზალტი.

x - შ: Xavier – შავიერ-ი, Maximiano - მაშიმიანუ, Porto Alexandre – პორტუალეშანდრი.

z - ზ:Ezalte - ეზალტი,

Belo Horizonte – ბელუ-ორიზონტი.

z – შ (ბრაზილიურ სახელებში - ს): Luizburgo – ლუიშბურგუ (ბრაზ.: ლუისბურგუ), Queluz – კელუშ-ი (ბრაზილ.: კელუს-ი).

რუმინული

a - ე: Bistrita-Nasaud – ბისტრიცა-ნესეუდ-ი, Vlahuta - ვლაჰუცე, Bacau - ბაკეუ.

c (a, o, u-ს წინ, თანხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოს) - კ: Camil – კამილ-ი, Nicoleta - ნიკოლეტა.

c (e, i-ს წინ) - ჩ: Cezar – ჩეზარ-ი, Donici – დონიჩ-ი.

ch - კ: Mikchaeia - mikaela, Chira - კირა, Costache - კოსტაკე, Nichite - ნიკიტა.

cea cia - ჩა: Suceava - სუჩავა, Marcian - .

ciu - ჩუ: Viniciu - ვინიჩუ.

g (a, o, u-ს წინ, თანხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოს) **-** გ: Grigore - გრიგორე.

g (e, i-ს წინ) - ჯ: Arges – არჯეშ-ი, Virginia - ვირჯინია.

gh (e, i- ს წინ) - გ: Gheorghe - გეორგე, Harghita - ჰარგიტა.

h - ჰ: Mihai -მიჰაი.

h (ზოგჯერ არ გამოითქმის): Baile Herculane – ბეილე-ერკულანე.

ii (სიტყვის ბოლოში) – ი: Cocorestii-Colt – კოკორესტი-კოლც-ი, Ploestii - პლოეშტი.

j - ჟ: Cujmir – კუჟმირ-ი, Lugoj – ლუგოჟ-ი, Dolj – დოლჟ-ი.

s - ს: Sanda - სანდა, Constantin – კონსტანტინ-ი.

8

s - **შ:** Arges – არჯეშ-ი, Brasov – ბრაშოვ-ი, Ploestii - პლოეშტი.

t - ტ: Timisoara - ტიმიშოარა.

t - ც: Bistrita - ბისტრიცა, Constanta - კონსტანცა, Ialomita - იალომიცა.

th - **თ:** Theodor – თეოდორ-ი.

z - **ზ:** Zoe - ზოე, Suzana - სუზანა.

უნგრული

c (e, i, y-ს წინ) - ს: Francis – ფრანსის-ი, Marcel – მარსელ-ი.

ch - შ: Charles – შარლ-ი, Richard – რიშარ-ი.

ch - კ: Christiane –კრისტიანი (და არა: ქრისტიან-ი) .

d – დ (ფრანგული სახელების ბოლოში ჩვეულებრივ არ გამოითქმის): Fernand – ფერნან-ი, Gounod - გუნო, Roland – როლან-ი, Gerard – ჟერარ-ი; მაგრამ: David – დავიდ-ი, Alfred – ალფრედ-ი, Sand – სანდ-ი.

e – ე (სიტყვის ბოლოში, ზოგჯერ კი სიტყვის შუაშიც არ გამოიტქმის, თუ არა აქვს რაიმე დიაკრიტული ნიშანი): Emile – ემილ-ი, Gustave – გუსტავ-ი, Diderot - დიდრო, Baudelaire – ბოდლერ-ი, Rabelais – რაბლე; მაგრამ: Litre - ლიტრე.

c - ც: Cuca - ცუცა, Vonock – ვენეცკ-ი.

cs - ჩ: Gyurkovics – დიურკოვიჩ-ი, Bekescsaba - ბეკეშჩაბა, Lukacs – ლუკაჩ-ი.

eo - ე: Eotvos - ეტვეში.

gy - დი: Gyula - დიულა, Gyurkovics – დიურკოვიჩ-ი, Megyer – მედიერ-ი, Nagykoros – ნადიკერეში.

ly - **ი:** Karoly - კაროი, Mihaly - მიჰაი.

o - ე: Petofi - პეტეფი, Ottomos – ეტემეშ-ი, Mezofold – მეზეფელდ-ი.

s და **ss** - შ: Bekes – ბეკეშ-ი, Sopron – შოპრონ-ი, Lajos – ლაიოშ-ი, Kossuth – კოშუტ-ი.

sz - ს: Szeged – სეგედ-ი, Tisza - ტისა, Laszlo - ლასლო, Szabo - საბო.

th - ტ: Horthy – ჰორტ-ი, Horvath – ჰორვატ-ი, Kossuth – კოშუტ-ი.

ts - ჩ: Derkovits – დერკოვიჩ-ი.

u - იუ: Balatonfured – ბალატონფიურედ-ი.

z - ზ: Lazar – ლაზარ-ი, Zoltan – ზოლტან-ი.

zs - ჟ: Jozsef – იოჟეფ-ი, Zsuzsa - ჟუჟა, Nagykanizsa – ნადიკანიჟა

ფრანგული

ai და **ay** - ე: Romaine – რომენ-ი, Du Bellay - დიუბელე, La Fontaine – ლაფონტენ-ი.

au - ო: Paul – პოლ-ი, Gaulle – გოლ-ი, Daudet - დოდე, Perrault - პერო.

auld და **ault** - ო: La Rochefoucaud - ლაროშფუკო, Bousingault - ბუსენგო, Perrault - პერო.

ay - აი: Raymond – რაიმონ-ი.

ay - ეი: Raynal – რეინალ-ი.

c (a, o, u-ს წინ, თანხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოში) -კ : Claude – კლოდ-ი, Pascal – პასკალ-ი, Jeanne d'Arc – ჟანა დ'არკ-ი.

eau - ო: Bordeau - ბორდო, Rousseau - რუსო, Chateaubriand – შატობრიან-ი, Beaumarches - ბომარშე.

ei ey - ე: Beine – ბენ-ი, Montmirey - მონმირე.

ei ey - ეი: Reinaud - რეინო.

em - ამ: Montalembert – მონტალამბერ-ი, Sembat - სამბა.

en - ან, ენ: Henri – ანრი, Noulens – ნულანს-ი, Senderans – სანდერან-ი, d'Entrecasteau – დ'ანტრკასტო.

eu - ე: Eugene – ეჟენ-ი, Babeuf – ბაბეფ-ი, Pasteur – პასტერ-ი, Montesquieu – მონტესკიე, Richelieu - რიშელიე.

g (a, o, u-ს და თანხმოვნების წინ) - გ: Auguste – ოგიუსტ-ი, Gaston – გასტონ-ი.

g (e, I, y-ს წინ) - ჟ: Germain – ჟერმენ-ი, Georges – ჟორჟ-ი.

g - (სიტყვის ბო;ოს ჩვეულებრივ არ გამოითქმის): Cherbourg – შერბურ-ი.

geo - ჟო: Geoffroy - Jofrua.

gn (ჩვეულებრივ სიტყვის შუაში ხმოვნის წინ) - ნი: Avignon – ავინიონ-ი, Cognac – კონიაკ-ი, Du Vigneaud – დიუ ვინი.

gne (სიტყვის ბოლოში) - ნ: Bretagne – ბრეტან-ი, Boulogne – ბულონ-ი, Bourgogne – ბურგონ-ი, Charlemagne – შარლემან-ი.

gh - გ: Le Burghet – ლე-ბიურგე.

gu (ხმოვნების წინ) - გ: Guy - გი, Pegue –პეგ-ი .

gu (თანხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოს) - გიუ: Gustave – გიუსტავ-ი, Auguste – ოგიუსტ-ი.

h (ფრანგულში ჩვეულებრივ არ გამოითქმის): Heelene – ელენ-ი, Henri – ანრ-ი, Cahen – კაენ-ი, Hector – ექტორ-ი; მაგრამ: Hugo - ჰიუგო, Havre – ჰავრ-ი.

il და **ill** (ხმოვნის შემდეგ) - ი: Excideuil - ექსიდეი, Aureille -ორეი, Rambouillet - რამბუიე.

ill (თანხმოვნის შემდეგ) - იი: Guillaume – გიიომ-ი; მაგრამ: Grandville – გრანვილ-ი.

in - ენ: Dullin – დიულენ-ი, Vincent – ვენსან-ი, Rodin – როდენ-ი, Chardin – შარდენ-ი,

Cachin – კაშენ-ი.

j - ჟ: Jules – ჟიულ-ი, Anjou - ანჟუ.

la - ლა: Abelard – აბელარ-ი, Labourbe – ლაბურბ-ი.

lu - ლუ: Lully - ლული, Eluard – ელუარ-ი, Blume – ბლუმ-ი.

m - მ: Ampere – ამპერ-ი, d'Alambert – დ'ალამბერ-ი.

m - ნ: Comte – კონტ-ი, Amfreville – ანფრევილ-ი.

mb - ნ: Coulomb – კულონ-ი.

oe (œ) და **oeu (œu)** (სიტყვის თავში და ხმოვნის შემდეგ) - ე: Œrlicon – ერლიკონ-ი, Œutrange – ეტრანჩ-ი, Sacre-Cœur – საკრე-კერ-ი.

oi - უა: Antoine – ანტუან-ი, Dubois - დიუბუა, Gregoire – გრეგუარ-ი, Loire - ლუარა, Lavoisier - ლავუაზიე.

ou - უ: Decour – დეკურ0ი, Pompadour – პომპადურ-ი.

ph - ფ: Philippe – ფილიპ-ი, Joseph – ჟოზეფ-ი.

que - კ: Loire-Atlantique – ლუარ-ატლანტიკ-ი.

r – რ (სიტყვის ბოლოში ხან გამოითქმის, ხან-არა): Renoir – რენუარ-ი, Victor – ვიქტორ-ი; Berger - ბერჟე, Roger -როჟე, Beranger - ბერანჟე, Granger - გრანჟე.

s (სიტყვის თავში და თანხმოვნის წინ) - ს: Serge – სერჟ-ი, Justine – ჟიუსტინ-ი.

s (ორ ხმოვანს შორის) - ზ: Josephine – ჟოზეფინ-ი.

s (ფრანგულ სახელებში ჩვეულებრივ არ გამოითქმის): Dumas - დიუმა, Louis - ლუი, Charles –შარლ-ი , Arles – არლ-ი, Artois - არტუა; მაგრამ: Jaures – ჟორეს-ი, Saint-Saens – სენ-სანსი.

s – ს (l, m, n-ის წინ, სიტყვის შუაში, ხშირად არ გამოითქმის): Isle-jourdain – ილჟურდენი, Rouget de Lisle – რუჟე

დე ლილ-ი,

Lebesgue – ლებეგ-ი.

t-ტ:Tristan – ტრისტან-ი,

Gautier -გოტიე

t (სიტყვის ბოლოში ჩვეულებრივ არ გამოითქმის): Belfort – ბელფორ-ი, Goncourt – გონკურ-ი , Daudet -დოდე , Bleriot - ბლერიო, Duguit – დიუგ-ი; მაგრამ: Brest – ბრესტ-ი, Marat –მარატ-ი .

th - ტ: Arthur – არტურ-ი, Barthou - ბარტუ, Thores –ტორეზ-ი, Thibaud - ტიბო; მაგრამ: Bertholet - ბერთოლე, Theophile – თეოფილ-ი, Theodor – თეოდორ-ი.

tz (სიტყვის ბოლოში ზოგჯერ არ გამოითქმის): Beaumetz - ბომე.

tz (სიტყვის ბოლოში ხშირად) – ს: Retz – რეს-ი, Jametz – ჟამეს-ი.

u - იუ: Dumas - დიუმა, Camus - კამიუ, Duvalier - დიუვალიე, Dubois - დიუბუა.

un - ენ: Lebrun – lebren-i.

x - ქს: Xavier - ქსავიე, Luxembourg – ლუქსემბურგ-ი.

x - გზ: Saint-Exupery – სენტ-ეგზიუპერი.

x - ს: Xertigny – სერტინი, Auxerre – ოსერ-ი.

x (სიტყვის ბოლოში არ გამოითქმის): Delacroix - დელაკრუა.

z - ზ: Zola - ზოლა.

z (ფრანგული სიტყვების ბოლოში ზოგჯერ არ გამოითქმის): Valdonnez - ვალდონე, Odomez - ოდომე.

შვედური

ah –ა: Siegbahn – სიგბან-ი, Svahnstrom — სვანსტრემი

ch — კ: Erich — ერიკი

dj (სიტყვის თავში) — თ: Djurberg — იურბერგ-ი

gi — იი: Gidlung — იიდლუნგ-ი.

ga — ე: Gallivare _ ელივარე, ერდსტამ-ი

go — იე: იეთერსტრემ-ი

gy — იუ: იულენსტენ-ი

h — ჰ: ჰიულანდერ-ი

hj — ი: იელმარენ-ი; იორთ-ი

ie — ი: Siegbahn — სიგბან-ი

k — კ: Kaling — კალინგ-ი

k — ჩ: Kjellberg — ჩელბერგ—ი

o — (ზოგჯერ) უ: Boras — ბუროს-ი,Orebro — ერებრუ, Lo-Johansson — ლუ-იუჰანსონ-ი

s — ს: Siegbahn — სიგბან-ი

sk — შ: Skjold — შელდ-ი

y — ი: Ylander — ილანდერ-ი

y (თანხმოვნის შემდეგ) — იუ: Hylander — ჰიულანდერ-ი, Almeby — ელმებიუ, Byskealv — ბიუსკეელვ-ი

a — ო: Boras — ბუროს-ი, Vasteras — ვესტეროს-ი, Skelleftea — შელეფტეო.

a — ე: Almeby — ელმებიუ, Borlange — ბურლენგე, Vasteras — ვესტეროს-ი.

o — ე (და არა იო): Goteborg — გეტებორგ-ი, Malmo — მალმე, Angstrom — ონგსტრემ-ი

ჩეხური

C — ც: Ciprova — ციპროვა, Treblicki — ტრშებლიცკი

c — ჩ: Kabicek — კაბიჩეკ-ი, Polacek — პოლაჩეკ-ი.

ch — ხ: Mudroch — მუდროხ-ი, Pichlik — პიხლიკ-ი

h — ჰ: Kohout —კოჰოუტ-ი, Hasek— ჰაშეკ-ი, Mahackova — მაჰაჩკოვა.

r _ r: Ciprova — ციპროვა, Zaruba — ზარუბა

r _rJ : Rada — რჟადა, Rezac — რეჟაჩ-ი

r_ rS: Treblicki — ტრშებლიცკი.

s _ s: Kozusky — კოზუსკი

s_ S: Ales — ალეშ-ი, Ambrus— ამბრუშ-ი

z _ z: Zaruba —ზარუბა, Zazvorka — ზაზვორკა

z _ J: Zizka — ჟიჟკა, Domazlice — დომაჟლიცე

ჰოლანდიური

aa — ა: Breebaart — ბრებარტ-ი

ae — ა: Aerstens — არსტენს-ი, Bogaerts — ბოგარტს-ი

c (e,i,y-ს წინ) — ს: Arcen — არსენ-ი

c (ყველა შემთხვევაში) — კ: Coolen — კოლენ-ი.

ch — ხ: Schidpad — სხილდპად-ი, Schidam — სხიდამ-ი.

ck — კ: Ionckheere — იონკჰერე, Iackijst — იაკვისტ-ი.

ckx — ქს: Amelinckx — ამელინქს-ი, Blockx — ბლოქს-ი

ee — ე: Breebaart — ბრებარტ-ი. Eeden — ედენ-ი

eu — ე: Beunke — ბენკე, Beuzemaker — ბეზემაკერ-ი.

eu — ეი: Euwe — ეივე

h — ჰ: Haasse — ჰასე.

ie — ი: Rogier van der Weyden — როგირ ვან დერ ვეიდენ-ი

ij — ეი: Burkij-Bartelink — ბიურკეი-ბარტელინკ-ი. Bevervijk — ბევერვეიკ-ი.

oe — უ: Goes — გუს-ი.

oo — ო : Coolen — კოლენ-ი, Amersfoort — ამერსფორტ-ი

th — თ: Beth — ბეთ-ი

tius — ციუს: Grotius — გროციუს-ი

u — იუ: Buntinx — ბიუნტინქს-ი, Hilversum — ჰილვერსიუმ—ი.

ui — ეი: Buiskool — ბეისკოლ-ი, Kruissink — კრეისინკ-ი.

z — ზ: Dozy — დოზ-ი.

ბერძნული ანბანის ქართული ტრანსკრიფცია

Α α — **ა**
Β β — **ვ**
Γ γ — **ґ**
Δ δ — **დ**
Ε ε — **ე**
Ζ ζ — **ზ**
Η η — **ი**
Θ θ — **თ**
Ι ι — **ი**
Κ κ — **კ**
Λ λ — **ლ**
Μ μ — **მ**
Ν ν — **ნ**
Ξ ξ — **ქს**
Ο ο — **ო**
Π π — **პ**
Ρ ρ — **რ**
Σ σ — **ს**
Τ τ — **ტ**
Υ υ — **ი**
Φ φ — **ფ**
Χ χ — **ხ**
Ψ φ — **ფს**
Ω ω — **ო**

ხმოვანი დიგრაფები

ο ι — **ი** (**ასე მაგ.:** ο ί κ ο ς — **იკოს)**
ε ι — **ი** (ε ι ρ ή ν η — **ირინი)**
α ι — **ე** (α ί μ α — **ემა)**
ο υ — **უ** (ο υ ρ α ν ός — **ურანოს)**
α υ — **ავ**
ε υ — **ევ**

თანხმოვანთა კომპლექსები

μ π — სიტყვის დასაწყისში ბ, სიტყვის შუაში — მბ
ν τ — სიტყვის დასაწყისში **დ**, სიტყვის შუაში — ნდ
γ γ — ნგ
γ κ — ნკ
γ χ — ნხ
τ σ — ცს
τ ζ — ძ
μ μ — (მ) ყოველთვის გადმოდის ერთით **M** — **მ**
λ λ — (ლლ) ყოველთვის გადმოდის ერთით — **Lლ**
σ σ — (სს) — ყოველთვის გადმოდის ერთით — **ს**

სიტყვის თავში	სიტყვის შუაში	სიტყვის ბოლოში	თავისუფალი	სახელწოდება (არაბულად)	სახელწოდება (ქართულად)	ქართული მნიშვნელობა
ا	ـا	ـا	ا	أَلِف	ʾალიფ	ʾ
ب	ـب	ـب	ب	باء	ბა	ბ
ت	ـت	ـت	ت	تاء	თა	თ
ث	ـث	ـث	ث	ثاء	სა	ს
ج	ـج	ـج	ج	جيم	ჯიმ	ჯ, გ
ح	ـح	ـح	ح	حاء	ჰა	ჰ
خ	ـخ	ـخ	خ	خاء	ხა	ხ
د	ـد	ـد	د	دال	დალ	დ
ذ	ـذ	ـذ	د	ذال	ზალ	ზ
ر	ـر	ـر	ر	راء	რა	რ
ز	ـز	ـز	ز	زاي	ზაი	ზ
س	ـس	ـس	س	سين	სინ	ს
ش	ـش	ـش	ش	شين	შინ	შ
ص	ـص	ـص	ص	صاد	სად	ს
ض	ـض	ـض	ض	ضاد	დად	დ
ط	ـط	ـط	ط	طاء	ტა	ტ
ظ	ـظ	ـظ	ظ	ظاء	ზა	ზ
ع	ـع	ـع	ع	عَيْن	ʿაინ	ʿ, ◻
غ	ـغ	ـغ	غ	غَيْن	ღაინ	ღ
ف	ـف	ـف	ف	فاء	ფა	ფ
ق	ـق	ـق	ق	قاف	კაფ	მაგარი კ (ახლოსაა ყ-თან)
ك	ـك	ـك	ك	كاف	ქაფ	ქ
ل	ـل	ـل	ل	لام	ლამ	ლ
م	ـم	ـم	م	ميم	მიმ	მ
ن	ـن	ـن	ن	نون	ნუნ	ნ
ﻫ	ﻫ	ﻫ	ه	هاء	ჰა	ჰ
و	ـو	ـو	و	واو	ვავ	ვ
ي	ـي	ـي	ي	ياء	იაჰ	ი

დიაკრიტიკული ნიშნები

ნიშანი	სახელწოდება
	ფათჰა (فَتْحَة)
	თანუინ ფათჰა
	ქასრა (كَسْرَة)
	თანუინ ქასრა
	დამმა (ضَمَّة)
	თანუინ დამმა
	სუქუუნ (سُكُون)
	ჰამზა (همزة)
	თაშდიდ (تشديد) ან შადდა (شَدَّة)
	უასლა (وصلة)
	მადდა (مدة)

წელს ათათურქის მიერ დაწყებული თურქული ენის რეფორმის ფარგლებში

თურქულ ანბანში 29 ასოა	**საერთაშორისო ტრანსკრიპცია**		**ქართული შესატყვისი**	
A a	[a]		ა	
B b	[b]		ბ	
C c	[dʒ]		ჯ	
Ç ç	[tʃ]		ჩ	
D d	[d]		დ	
E e	[e]		ე	
F f	[f]		ფ	
G g	[g]		გ	
Ğ ğ	*იხ. შენიშვნა*		ღ	
H h	[h]		ჰ	
I ı	[dʒ]		ი	
İ i	[i]		ი	
J j	[dʒ]		ჟ	
K k	[k], [kʲ]		ქ	
L l	[l], [lʲ]		ლ	
M m	[m]		მ	
N n	[n]		ნ	
O o	[o]		ო	
Ö ö	[ø]		ო	

P p	[p]	ფ
R r	[r]	რ
S s	[s]	ს
Ş ş	[dʒ]	შ
T t	[t]	თ
U u	[u]	უ
Ь ь	[y]	იუ
V v	[v]	ვ
Y y	[j]	ი
Z z	[z]	ზ

შენიშვნა: ასო Ğ (yumuşak ge) წინამავალი ხმოვნების შემდეგ და ორ ხმოვანს შორის პოზიციაში ზოგჯერ იკითხება, როგორც [j], უკანა რიგის თანხმოვნებში აღნიშნავს წინა ხმოვნის დაგრძელებას. სიტყვის თავკიდურ პოზიციაში არ გვხვდება.

დანართი 2

აეშაგი — მსტოვარი, ნ. მსტოვარი, ჯაშუში

ამუდა — საგვემელია; რკინებიან სხმული,ჯაჭვებიანი (ჯაჭოსანი) „...ამა გვემა ამუდაებითა ვიდრემდი მოჰყარნეს ორცნი მისნი”

ანდერძი — მოკვდავთაგან დარიგება ნ. იანდერძა, მაანდერძა, მიანდერძა, ნაანდერძევი, საანდერძო, უანდერძა.

ანდერზნამაგი — ანდერძნამაგი

ანდერძნამაგი — ანდერძის წიგნი. ნ. წერილი

აჟამნა — ჟამ-კანონი ათქმევინა.

არა ნებსითი და უნებლიეთი განიყოფ(ებ)იან: არა ნებსითი არს, არა ნებსით მტერი მოკლა და უხაროდეს, ხოლო უნებლიეთი არს; არა ნებსით მტერი მოკლას და ინანოდეს და ესევითარ

არკადიმია — სახლი საფილასოფოსო

ასმანაკი — შესაპყრობელი, გინა გარემოსადგმელი.

აღვიარება — მართლის სარწმუნოების თქმა.

აღსარება — არს ყოველთა სიტყვათა, რომელთა წარმოიტყოდეს კაცი საქმეთა თვისთა ცხოვრებისათა კეთილთა, გინა ბოროტთა.

აღსასრული — ბოლოს მოღება აღსრულება — ბოლოს გათავება

აღძვრა — შეთქმით შეყრა

აღჭრა — დაჭრა

აყოლა თან(ა) დევნა აყრა — მოსახლეობით სხვაგან წასლვა თვისით ნებითა და მუნ დასახლდეს; წდოლა და ჟრუნვა განშიშვლებულთ განსხმა და წარქცევა; ხოლო წარტყვენვა იავარყოფა და ტყვედ წარყვანება. მოსახლეობით სხვაგან წასვლა.

აწამა — ამოწმა

აწამა — მარტვილად შექმნა

აწამებდა — ამოწმებდა
აწამებდა — მოწმედ გაჴდიდა
ჴ ახალწლისა — სეკდემბერი
აჴირება — საჩივარში მოდავეს ასეთი რამ უთხრას, თვისი საჩივარი გაუცუდოს. ესე არს საჩივართა შინა მოდავეს ასეთი რამ უთხრას, თვისი საჩივარი დაავიწყოს, აჴირება(დ) ითქმის სიტყვა, რომელსა მოჩივა(რ)ნი იტყვიან მოდავისა თვისისა წინააღმდეგად.
აჴირებული — მოდავისაგან გასაცრუებელი
აჯა — ვედრებასავით ნ. ეაჯა, იაჯა, იაჯდა, მააჯა, ნააჯევი, საააჯო.
ბადრაგა — ჭაბუკი მოგზაურთა წინამავალი, რათა მეკობრეთაგან უვნებელად გაატაროს. ნ.მაბადრაგა
ბარათი — სხვათა ენაა, მცირე ნაწერსა ჰქვიან, ქართულად ავთრათი ეწოდების.
ბაღანა — მცირე ტყვე. ნ. ქაშაგი
ბაღვივაში — (+ზველს საწინასწარმეტყველოში) სახლი გამამწარებელთა. ნ.სახლი სულმწარისა.
ბაყი — გარ(დ)მოვლით სამდურავი
ბაძი — მისის საქმის მოქმედი
ბეზღება — შესმენა, გინა გამოტყუ(ვ)ება. გამოტყუება გინა შესმენა. ტყუებასავით ნ. იბეზღა, იბეზღება, ნაბეზღები.
ბიწიანი — შერყვნილი
ბოძებული — მონიჭებული
ბოძი — საბოძ(ვ)არი მონაცემი. ნ.ბოძ, ჩუქება
ბოროტი ავის მოქმედი და ავი. ავის მოქმედი, გინა უკეთილო, ბნელ არს გონიერი. ჰავი. ესე იგი არს, რა-იგი არა გენებოს, იგი გიყოს კაცმან. ბოროტი არს, რა კეთილი მოაკლოს...
ბოროტად მადიდებელი ბოროტის სარწმუნოებისა — რომელი არა მართლმადიდებელ და კეთილმორწმუნე იყოს, იგი არს.
ბრალი — მცირე რამ(ე) დანაშაული. დანაშაულივით. ნ. ააუბრალოებ, დააბრალა, დაბრალება, იბრალა, მაბრალა, სიბრალული, უბრალო, შებრალება.
გააბა — შეიპყრა, გინა გაბმა უყო.
გააბედვინა — საქმე შეამართვინა; საქმე აქნევინა
გააბრჭო — გაასამართლა
გაამრუდა — მრუდ ქმნა
გააპარა — მალვით გაგზავნა
გააფრთხილა — სიფრთხილედ სწუართა; ფრთხილად ამყოფა
გააყრევინა — მოაშორვებინა, გინა დააგდებინა
გააჩინა — საბრჭო დაწერა
გააცხადა — საჯარო შექნა
გააწბილა — შეარცხვინა
გაგება — გარიგება, გინა გამოცნობა
გავეშება — ქალთ განძვინება; კაცის განძვინება. მეტად გაჯავრება. გათხოვნა (გათხოვა) კაცმა რა კაცი საჴ(რ)ლმოდ ანუ სასჯელად მიიზიდოს;

კაცმა რა კაცი სასჯელად გაითხოოს.

გამოგება — სიტყვის გარჩევით თქმა(ჲ), გინა დახვანჯულის ძაფის გამოჴსნა (გამორჩევა), (გამორკვევა)

განაყოფი — მოძმენი გაყრილნი

ბრალი — მცირე რამ(ე) დანაშაული. დანაშაულივით. ნ. ააუბრალოებ, დააბრალა, დაბრალება, იბრალა, მაბრალა, სიბრალული, უბრალო, შებრალება განკითხვა — ძვირის-მეტყველება ყოვლისავეთვის ითქმის, ხოლო განკითხვა

ცხადთა ოდენ ზედა საქმეთა. რომელი არა ძალედვას პირისპირ თქმა მოყვასისა(ჲ), იგი ძვირის-მეტყველება არს, ხოლო განკითხვა ოდენ ნაქმარსა ვისასმე განვიკითხვიდეთ: ესე ვაჭარი ვეცხლის მოყვარე არს და ესე კაცი ამა ცოდვისა მოქმედი, და ესევითარ(ნ)ი.

განკიცხვა — სასაცილოდ აგდება.

განმკარგველი — ქვეყნის მარიგებელი

განმკაცრება — განკრძალვა თუ სიფრთხილე

განმკერველი — გამოსაცდელი

განმსტრობა — დაჯაშუშვა

განმსჯელი — უგანმსჯელობითესად

განსახლვა — აყრა დედა-წულითა

განშჯა — განმსჯელობითი არს შეყვანებითთა ვიდრემდე შორის თავით თვისით ჭეშმარიტი ზედ ცნობა(ჲ). ხოლო საშუალთა შორის უცთომელად კეთილისა ბუნებისაგან წინააღ(მ)დგომისა უცოდველად განმრჩეველი გონიერისა გრძნობისა(ჲ). ხოლო სრულთა შორის საღმრთოს(ა)გან გამობრწყინვებულისა შინაგან მყოფისა თვინიერ მიერ სანთლის(ა) განათლებად შემძლებელი, დაღათუ საყოველთაოდ და არ(ს)ცა იცნობების განმსჯელობითი ესე საღმრთო(ჲ)ს ნებისა უცთომელი მიწთომილება ყოველთა შინა ჟამსა, ადგილსა და საქმესა, რომელთა შინა განყოფად უტევებიეს მხოლოთა განწმენდილთა შორის გულთა და სხეულთა და პირთა განმსჯელობითი არს სვინიდისისა შემწიკვლებულისა და განწმენდილისა გრძნობა.

განჩინება — სამართლის დასკვნა

გარდა დევინება — დანაშაულის ზღვევინება

გასამრჯელო — შრომის ფასი

გაქირდვა — გაკიცხვა

გგონია — საგონებელ გიჩნსა

გზირი — სხვათა ენაა, ქართულად შულტა ჰქვიან. გზირი არს ქალაქთა და დაბათა გამგეთა უდარესი და სახლითი-სახლად მავალი,რომელსა ეწოდების შულტა.

გინება — ბილწად სენება, გინა წაბილწვა.

გისსოი — (მ)სოფლიოთა ენითა ზღუდე მცირესა ეწოდება სიმაღლე სამ წყრთეულსა, ესე იგი არს გზისა დამაყენებელი, რომელსა ელლენებრ თრინგოლ(ი) ეწოდება. ნ.ზღუდე.

გისსონი — ზღუდე
გმობა — სიტყვა ღმრთის უარის-ყოფისა და შჯულის დამ სნელი. ნ.განგმო, ეგმო, ვგმობდი, მგმობარი, საგმობარი.
გუშაგი — ციხის დარაჯა ნ. დარაჯა, იგუშაგა, საგუშაგო.
გუჯარი — დიდი სიგელი
გქურდავ — გპარავ გცოდავ — შეცოდებას ვიქმ
დააბრალა — ბრალი მას დასდვა
დააპატიმრა — პატიმარ ყო
დააუფლა — დააპატრონა
დავა — სადავო
დავი — რა კაცი კაცს(ა) ესაჯოდეს და სიტყვით წინააღუდგებოდეს, გინა ვალისა და სისხლის მოლაპარაკე გამოუჩნდეს.
დაზდებელი — დასდებელი ესე არს სიტყვა შეწყობილი საქმისა მისთვის თქმული.
დარაჯა — ესე დარაჯა განიყოფების ხუთად: გუშაგად, ებგურად, ტალად, უმილად და დეტად. გუშაგი არს დარაჯა ციხეთა; ხოლო ებგური მაღლით ადგილით მოდარაჯე; ტალა არს მგზავრთა ღამით მოდარაჯე; უმილი არს მეპატრონისა კართა ღამესა რა ათევდეს, ანუ ხვასტაგთა უდარაჯებდეს; დეტი არს, რომელი დღისით შორიდამ უმზერდეს და დარაჯობდეს. ვიეთთა გარჩევით არ აღუწერიათ.
დაშჯა — გარდა დევინება
დაცვა — მავნე არავინ მიუშვას
დევნა — უკან გაკიდება
დიასპანი — დესპანი. დესპანი. ესე დესპანი არს მეფის მოციქული სხვას მეფესთან. დესპანი არს მოციქულნი მეფისანი წინაშე მეფეთასა. დიასპანი ელჩია თუ რაღაც გასაგზავნელი კაცი. ქართლის ცხორება: “ხოლო ხვალისა დღე მოვიდენ რეცა დიასპანი და უქადაგეს მეფესა;” “კომსმა წარგზავნა დიასპანი და მიწერა წიგნი”.
დიკატორი — მჭევრად მეტყველი
დიკტატორი — (დიკტატორი, დიკტორი და დიკტორი ორთა სამთავროთა მთავარი)
დილეგი — საპყრობილე. ნ.საპყრობილე
დომესტიკოსი — მჴნედრობის მნეობა რამე. მ ნედრობის მნე
დოღმატიკოსი (დოლმატიკოსი)წიგნია ერთი. სჯულის სიმტკიცე, რჯულის დამამტკიცებელი
ადლი საზომი, ნ. ეჯი
ადგილის-მთავარი — ესე არს სოფლებისა და თემთა მეპატრონე. სოფლების ბატონი;
ნ. ღომენარხი აზნაური — თავისუფალი ნ. უაზნო
ათარი წვრიმალთ მსყიდველი
ამბოკარი — კაცი უმამულო და უქონელი
ამბორი, მბორება— კოცნა სულიერი
ანაბარი — მიბარებულსავით; ნ. იანაბარა, მაანაბრა
ანემდური — ბზეთ სავაჭროთ ადგილი (ანდრია სალოსი:

“წარვედ უბანთა ანემდურთა, სადა ბზესა [ჰყიდიან]
ბადება — ქონება
ბადებულობა — ქონებიანობა
ბაზარი — სავაჭრო ადგილი
ბაჟი ტვირთის ხარკი. ბაჟი არს მოგზაურთა ტვირთსა ზედან ვეცხლს
გამოართმევენ, ვიეთგან თვით კაცთა ზედაცა, გინა სხვათა
საქონელთა ზედა. ნ.საბაჟო, საქონელი.
ბარ — ნ. ანაბარი, ბარება, ბარებული, დააბარა, დაბარება, ებარა, მიაბარა,
მივაბარე, მიიბარა, ნაბარები, საბარებულობა
ბეგარი (ბეგარა) გლეხთ გამოსაღები. ნ.მბეგრევდა, მებეგრე, საბეგრო.
ბევრის-ბევრი — ნ. მილიონი, უშტი
ბევრი — ათიათასი ნ.დუმანი, უშტი.
ბემონი — მაღალი ხარისხი
ბენძღი — უმუშევარი ილეკრო ნ. დაბენძღა, დაბენძღილი.
განმსყიდველი — სყიდვის მოქმედი
განნამრავლები — ვახში
განრაცხილ — დათვლილი
გაპირება — საქმის დაწყების ნება
გარდა და — ვალის მორჩენა
დააძ რა — ძნელი ფასი დასდვა.
დაეკანი — სომხურია დრაჰკანი. ნ.ლიტრა, ტალანტი
დავალება — ვალის დადება
დავა — სადავო
დაზღუება (დაზღუევება, დაზღუავება) ზღვეთ დასხმა. ზღვე ქმნა.
დანგი — სამი(ს) კერატის წონა. ნ. ლიტრა; შდრ.ასარი
დასტურად — განმართლებით
დასტური — დაჯერებული
დასტურის წიგნი — ნ.ფარმანი
დრაჰკანი — ფლური, ესე არს ოთხი გრამას წონა ოქრო
დუქანი — უკუსაჯდომელი, გინა სასაქმო. უკუსაჯდომელი, გინა სახლი სასაქმო,
გინა ადგილი სამარხავი, უკუსაჯდომელი
დუშალიკი — მეძღვნის ნიჭი, მეძღვნის საბოძვარი.
ებარა — სამარხავად აქვნდა
დრამა — ექვსის დანგის წონა [დრამი ნ.ლიტრა]
დოქი — ოცდახუთი თუხტი წონა ღვინო ჩაეტევა. ნ. კოკა, საწყაული.

განაჩენის წერის მეთოდი (TREAC)

ავტორი: ალექსანდრე წულაძე — საქართველოს უზენაეს სასამართლოს სასამართლო სტატისტიკისა
დაანალიზის განყოფილების უფროსი, 2014.

შესავალი

სამართლებრივი სახელმწიფოს მართლწესრიგი კრძალავს მოსამართლეთა მიერ თვითნებური გადაწყვეტილების მიღებას. საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. მოსამართლეს უფლება არ აქვს გადაწყვეტილება მიიღოს თვითნებურად[1], არამედ მისი გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული, ლოგიკური და ემყარებოდეს კანონსა და სასამართლო პრაქტიკას[2]. შესაბამისად, დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება მოსამართლის კონსტიტუციური ვალდებულებაა, რომელიც სიჩქარის გამო არ უნდა იყოს უგულებელყოფილი[3].

ტერმინში „დასაბუთება", როგორც წესი, გულისხმობენ არსებითი და დამაჯერებელი არგუმენტების წარმოდგენას კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილებისათვის[4]. თუ გადაწყვეტილებას არ ექნება კარგად დასაბუთებული სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილი, სამართლის მიზანი (სამართლებრივი მშვიდობის დამყარება) ვერ იქნება მიღწეული და არც ერთ მხარეს არ ეცოდინება, თუ რატომ მიიღო სასამართლომ ესა თუ ის გადაწყვეტილება[5].

მართალია, გადაწყვეტილება მით უფრო მისაღებია მკითხველისთვის, რაც უფრო გამართულია გრამატიკული და სტილისტიკური თვალსაზრისით, მაგრამ კარგი ნაწერის ღირსება მხოლოდ ეს არ არის[6]. წერისას კარგად უნდა დავრწმუნდეთ, რომ სათქმელი ზუსტად და მკაფიოდ ვთქვით, ჩვენი აზრი თუ პოზიცია ლოგიკურად ჩამოვაყალიბეთ. რაც მთავარია, არგუმენტები თანმიმდევრულად, ნათლად და არაორაზროვნად უნდა ჩამოვაყალიბოთ, რათა მკითხველმა შეძლოს იმ დასაბუთების ჯაჭვის მიყოლა, რამაც ასეთი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა[7].

რამდენადაც არ არსებობს მზა რეცეპტი ყველა ზემოაღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად — გადაწყვეტილებების ნათელი დასაბუთებულობა და ლოგიკური ანალიზი მთელი მსოფლიოს მასშტაბით მართლმსაჯულების წინაშე არსებულ გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით გერმანიასა და აშშ-ში სამეცნიერო წრეებში შემუშავდა სამართლებრივი წერის სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც იურისტებს ინფორმაციის განსაზღვრული სტრუქტურის საფუძველზე ორგანიზებაში ეხმარება.

კერძოდ, სამართლებრივი წერისას გამოიყენება ანალიტიკური პარადიგმის გარკვეული ფორმები, რომლებიც გვეხმარება აზრის ჩამოყალიბებასა და სამართლებრივი დოკუმენტის სტუქტურირებაში. აღნიშნული პარადიგმები/მეთოდები ხშირად განსხვავებული აკრონომებით იწოდება: TREAC, CREAC, CREXAC (არსებობს კიდევ ბევრი სხვა ალტერნატივაც[8]), მაგრამ ყველა მათგანი ერთ იდეას ემსახურება — დაეხმაროს ავტორს საკუთარი აზრებისა და წერითი სამუშაოს ეფექტურ ორგანიზებაში.

აღნიშნული მეთოდები დაკავშირებულია კაზუსის ამოხსნის გავრცელებულ ამერიკულ მეთოდთან (IRAC-თან), შეიძლება ითქვას, რომ TREAC-ი IRAC-ის უფრო დახვეწილი და განვითარებული ვერსიაა[9], რომელიც ყოვლისმომცველიდა სიღრმისეული ანალიზის გზით საშუალებას გვაძლევს ნათლად და ეფექტიანად წარმოვაჩინოთ ურთიერთდამოკიდებულება სამართლებრივი პრობლემის მარეგულირებელ ნორმებსა და

1 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო, დასკვნა №11, 2008, პარა., 35.
2 სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, „სიესტა", 2009, 23.
3 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო,დასკვნა №11, 2008, პარა., 34.
4 ბესარიონ ლოლაძე; სასამართლო გადაწყვტილებების დასაბუთება, 1.
5 სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, „სიესტა", თბილისი, 2009, 25.
6 ლია კაჭარავა, ხათუნა მარწყვიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი; აკადემიური წერა დამწყებთათვის, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი 2007, 5.
7 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო,დასკვნა №11, 2008, პარა., 36.
8 *Thornton,B., John;* U.S Legal Reasoning, Writing, and Practice for International Lawyers, "LexisNexis", 2014, 17.
9 *Narko, Kathleen;* Treac –the New Irac or Why Organization Matters, Chicago Bar Association, 2014, 1.

მოცემულ ფაქტებს შორის.

აკადემიურ წერაში, დასაბუთებული ნაშრომის შექმნის მიზნით, ინფორმაციის ორგანიზების სხვადასხვა ტიპი გამოიყენება. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ და უფრო დეტალურად განვიხილავთ მეთოდს, რომელსაც სამართლებრივიწერისას დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის იურისტების საკმაოდ დიდი ნაწილი იყენებს, კერძოდ, TREAC-ის მეთოდს[10]. მისი გავრცელების მასშტაბიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, კარგი იქნება თუ ქართველ მოსამართლებს მისი გაცნობის შესაძლებლობა ექნებათ. TREAC-ის მეთოდი შედგება შემდეგი 5 ძირითადი ნაწილისაგან: თეზისი (Thesis), წესი (Rule), წესის ახსნა (Rule Explanation), წესის გამოყენება (Rule Application) და დასკვნა (Conclusion).

ეს ნაწილები სტრუქტურული თვალსაზრისით შემდეგნაირად იშლება:

I. თეზისი (Thesis)
— წინასწარვე დასკვნის გაკეთებით, ძირითადი დებულების გადმოცემა;
II. წესი (Rule)
— მთავარი სამართლებრივი ნორმა;
III. წესის ახსნა (Rule Explanation)
— სამართლებრივი ნორმის ახსნა-განმარტება;
— მაგალითების მოყვანა;
IV. წესის (სამართლის ნორმის) გამოყენება (Rule Application)
— საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე სამართლის ნორმის ელემენტების გავრცელება;
V. დასკვნა (Conclusion)
— ლოგიკური შედეგი
— წინასწარი თეზისის დასაბუთება/დამტკიცება
განვიხილოთ TREAC-ის მეთოდის შემადგენელი ელემენტები ცალ-ცალკე.

თეზისი (Thesis)

განსახილველი მეთოდის თანახმად, გადაწყვეტილების შესავალ ნაწილშივე პირველი წინადადება უნდა მოიცავდეს ძირითად დებულებას ანუ თეზისს. ის იმდენად საინტერესო უნდა იყოს, რომ მკითხველს კითხვის გაგრძელებისრაც შეიძლება დიდი სურვილი გაუჩნდეს. პირველი წინადადება შთამბეჭდავი, რიტორიკული ხერხით უნდა მიეწოდოს მკითხველს. აღნიშნული შესაძლებელია, ასევე, კითხვის დასმითაც იქნეს მიღწეული[11].

შესავალ ნაწილში ავტორი ძირითადად მოკლედ წარმოადგენს იმ საკითხს, რომელსაც შემდეგ განიხილავს. მისი მიზანია განსახილველი საკითხისადმი მკითხველის ყურადღების მიპყრობა და ნაშრომის ორიენტაციის განსაზღვრა[12]. შესავალ ნაწილს ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივყავდეთ ზოგადი სურათიდან კონკრეტულისაკენ. (მაგალითად, თუ განვიხილავთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის საკითხებს, უმჯობესია, წერა დავიწყოთ ზოგადად ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებით, შემდეგ მკითხველის ყურადღება მივაპყროთ საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვას და ბოლოს კონკრეტულად საქართველოში კონვენციის მე-6 მუხლის დაცვის საკითხზე გადავიდეთ).

აკადემიური წერის ამ მეთოდის გამოყენებისას სასურველია, რომ მკითხველს დასაწყისშივე აუწყოს ავტორმა თავისი პოზიცია. შესაბამისად, შესავალი ნაწილი განსახილველ

10 ტრენინგის მასალები, სემინარი მოსამართლეებისათვის — სამართლებრივი არგუმენტაცია და სამართლის ინტერპრეტაცია; მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი (JILAP), 2013, 4.

11 ლია კაჭარავა, ხათუნა მარწყვიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი; აკადემიური წერა დამწყებთათვის, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2007, 57.

12 ლია კაჭარავა, ხათუნა მარწყვიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი; აკადემიური წერა დამწყებთათვის, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2007, 56.

საკითხთან დაკავშირებით საკუთარი დასკვნით დაასრულოს. ამგვარად, TREAC-ის მეთოდის მიხედვით, ჯერ მოკლედ ვაცნობთ მკითხველს ჩვენს მიერ მიღებული დასკვნის (გადაწყვეტილების) შესახებ და შემდეგ ვხსნით მას.

დასკვნით დაწყება თითქმის ყველა ზემოაღნიშნული მეთოდის (TREAC; CREAC; CREXAC; CRAC.) ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. პარადიგმის მიხედვით ავტორმა დასაწყისშივე უნდა წარმოადგინოს მისი თეზისი ანუ ძირითადი პოზიცია. აღნიშნული ემსახურება ორ მიზანს: ერთი, ნაშრომში ლოგიკური თანმიმდევრობის შენარჩუნებას. რამდენადაც ავტორი თავიდანვე ნათლად აყალიბებს საკუთარ პოზიციას, ეს მასვე ეხმარება ამ მიმართულებით ყველა არგუმენტის თუ ქვეარგუმენტის მოძრაობაში — შესაბამისად, საკუთარი მსჯელობის გამყარებაში. მეორე, მკითხველისათვის თავიდანვე ცხადია ავტორის პოზიცია, შესაბამისად, მისთვის ადვილია როგორც ავტორის არგუმენტების შესაბამისობის შეფასება, ასევე მის მოსაზრებებში ლოგიკური ხარვეზების აღმოჩენა[13]. დასკვნის შესავალში გაკეთების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი, ასევე, იურიდული პროფესიის მოღვაწეთა (ზემდგომი ინსტანციის მოსამართლეების, ადვოკატების) დაკავებული სამუშაო გრაფიკია. ამრიგად, მათ აქვთ მოლოდინი, უფრო მეტად კი სურვილი, რომ დასკვნა ანალიზის დასაწყისშივე იყოს გადმოცემული.

წესი (RULE)

კონკრეტული საქმის თეზისის ჩამოყალიბების შემდეგ, საჭირო მკაფიოდ მივუთითოთ ის სამართლებრივი ნორმა ან ნორმები, რომელზე დაყრდნობითაც ვაპირებთ ანალიზის განვითარებას[14], რაც შეგვიძლია სამართლის ნორმის პირდაპირი, მკაფიო მითითებითაც განვახორციელოთ. თუ ნორმა, რომელსაც ვეყრდნობით, მარტივი და ადვილად გამოსაყენებელია, შესაძლებელია პირდაპირი ციტირების გზითაც, ხოლო, თუ მოიცავს რამდენიმე პარაგრაფს ან ქვე-პარაგრაფს, მაშინ უმჯობესია მოვახდინოთ სინთეზი, რათა თავი მოვუყაროთ ყველა მნიშვნელოვან წესს[15] (ვინაიდან, როგორც წესი, აღნიშნული მეთოდი სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების ჩამოყალიბებისას გამოიყენება და არა სამართლებრივი ამოხსნისას, ამ ეტაპზე იგულისხმება, რომ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ნორმების მოძიების ეტაპი უკვე განვლილია, შესაბამისად, ამ შემთხვევაში მასზე ყურადღებას არ ვამახვილებთ).

უმჯობესია, დავიწყოთ წესის სამართლებრივი ნორმიდან ციტირებით. სამართლის ნორმის ნაცვლად სასამართლო პრეცედენტის გამოყენების შემთხვევაში ამ ეტაპზე უნდა წარმოვაჩინოთ, თუ როგორ ვრცელდება კონკრეტული სამართლებრივი პრინციპი კონკრეტული საქმის ფაქტებზე. წესი თავის თავში მოიცავს, ასევე, მის გამონაკლისებს, განსაკუთრებულ შემთხვევებსა და ნორმის სხვაგვარ ინტერპრეტაციას.

მნიშვნელოვანია, ასევე, სამართლებრივი ნორმების თანმიმდევრულად დალაგება. თავდაპირველად წარმოდგენილი უნდა იყოს უფრო ზოგადი ნორმები და შემდეგ სპეციალური ან კონკრეტული ნორმები. კერძოდ, პირველ რიგში, საჭიროა მივუთითოთ შედეგის განმსაზღვრელი ნორმები, ხოლო შემდეგ — ქმედების (შემადგენლობის) გამომრიცხავი ნორმები. ანალიტიკური მეთოდის გამოყენების ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ გვახსოვდეს, წესების (სამართლებრივი ნორმის) ნაწილი არის ადგილი, სადაც ჩვენ თავს ვუყრით საქმისათვის მნიშვნელოვან სამართლებრივ ნორმებს, შესაბამისი წყაროების მითითებით დავალაგებთ მათ მიზანშეწონილობის პრინციპის მიხედვით, რათა დაცული იყოს თანმიმდევრობა[16].

13 ლია წულაძე; აკადემიური წერა, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006, 7.

14 ტრენინგის მასალები, სემინარი მოსამართლეებისათვის — სამართლებრივი არგუმენტაცია და სამართლის ინტეპრეტაცია; მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი (JILAP),2013,5.

15 ტრენინგის მასალები, სემინარი მოსამართლეებისათვის- სამართლებრივი არგუმენტაცია და სამართლის ინტეპრეტაცია; მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი (JILAP),2013,4.

16 სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, „სიესტა", თბილისი, 2009, 138.

წესის ახსნა (Rule Explanation)

მას შემდეგ, რაც მივუთითებთ წესს- სამართლის ნორმები უნდა მოერგოს კონკრეტულ შემთხვევას. ამ ეტაპს წესის ახსნა ეწოდება. ძირითადი პრინციპები სამართლებრივი ნორმის (წესის) ახსნისა შემდეგია:

- ახსენით, როგორ მოქმედებს სამართლებრივი ნორმა;
- ახსენით ნორმის მიღების მიზანი;
- წარმოადგინეთ საწინააღმდეგო ანალიზი, რათა აჩვენოთ ალტერნატიული მსჯელობა არ არის რეალური (რომ მომხდარიყო), ან არ არის დამარწმუნებელი (რომ მოხდებოდა);
- წარმოადგინეთ დამხმარე ნორმები;
- ეპატზე ნუ განიხილავთ კონკრეტულ საქმის ფაქტებს.

პარადიგმის ამ ნაწილში მკითხველი სწავლობს სამართლებრივი ნორმების - წესების ფუნქციონირების პრინციპს და იმას, თუ რა კუთხით უნდა შევხედოთ მათ ანალოგიურ ან განსხვავებულ სიტუაციაში. სწორედ ამ ეტაპზე გვიწევს ყველაზე დიდი ანალიტიკური შრომა, რათა გამოვავლინოთ სამართლებრივ ცნებათა სირთულე და მათი ძირითადი მახასიათებლები[17]. ამისათვის საჭიროა განვიხილოთ ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც წინა ეტაპზე გვაქვს მითითებული და მიმოვიხილოთ, თუ რატომ მოქმედებს ეს წესები ამ ფორმით კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების კონტექსტში.

დამატებით, აქვე უმჯობესია, სასამართლო პრეცედენტზე მითითება. კერძოდ, მოვიხმოთ სასამართლოს მიერ სხვა რელევანტურ საქმეებში განვითარებული მოსაზრებები და შეხედულებები. შესაბამისად, მოვიყვანოთ მაგალითები სხვა მსგავს საქმეებში წესის ახსნისა. საბოლოო ჯამში, ამ ეტაპზე, მოსამართლის მიზანია ახსნას მარეგულირებელი ნორმის არსი, მათ უკან არსებული ლოგიკა და სამართლებრივი პოლიტიკა.

ვინაიდან დასაბუთებული წერა ავტორისაგან საწინააღმდეგო შეხედულებების ცოდნასაც მოითხოვს, სასურველია, რომ საკუთარი შეხედულების წარმოდგენის შემდეგ, მოვახდინოთ საწინააღმდეგო შეხედულებების კრიტიკული განხილვა. ერთი შეხედვით, საწინააღმდეგო მხარის არგუმენტის ჩვენება შეიძლება წამგებიანად მოგვეჩვენოს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ შესაძლოა მკითხველის პატივისცემა დავკარგოთ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საწინააღმდეგო აზრს ან განზრახ დავმალავთ მას[18]. ამასთან, ჩვენი არგუმენტები უფრო დამაჯერებელი გახდება თუ წარმოვაჩენთ, რომ ვფლობთ ინფორმაციას საწინააღმდეგო აზრის შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვევენმა მსჯელობამ სხვა დასკვნამდე მიგვიყვანა. საწინააღმდეგო აზრის წარმოდგენით ძლიერდება ჩვენივე აზრი, რამდენადაც იგი სრულყოფილს ხდის კრიტიკულ აზროვნებას. მით უფრო, თუ მივუთითებთ საწინააღმდეგო დასაბუთების სუსტ მხარეებსა და პრობლემებზე[19]. შესაბამისად, ამ ეტაპზე ჩვენ ასევე ვხსნით, თუ რატომ არ ვიყენებთ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით საწინააღმდეგო სამართლებრივ ნორმას.

წესის განმარტებას „ჩონჩხზე ხორცის შესხმას" ადარებენ[20]. ამ ეტაპზე საჭიროა განვიხილოთ, თუ როგორ მოქმედებს წესი, ხომ არ არის რაიმე გამონაკლისი ამ წესიდან, რომელიც აქ მიესადაგება? რა ისტორია არსებობს ამ წესთან დაკავშირებით? და რა

17 ტრენინგის მასალები, სემინარი მოსამართლეებისათვის — სამართლებრივი არგუმენტაცია და სამართლის ინტერპრეტაცია; მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი (JILAP),2013,5.

18 ტრენინგის მასალები, სემინარი მოსამართლეებისათვის — სამართლებრივი არგუმენტაცია და სამართლის ინტერპრეტაცია; მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი (JILAP),2013,7.

19 ლია კაჭარავა, ხათუნა მარწყვიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი; აკადემიური წერა დამწყებთათვის, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი 2007, 57.

20 *Thornton,B., John;* U.S Legal Reasoning, Writing, and Practice for International Lawyers, "LexisNexis", 2014, 119.

არის სამართლებრივი პოლიტიკის ინტერესი, რომელსაც ეს წესი ემსახურება? წერის ეს ნაწილი ყველაზე უფრო რთულ და ღრმა ანალიზს მოითხოვს და არ უნდა ავურიოთ იგი კონკრეტულ სამართლებრივ დავაში მოცემულ ფაქტებთან სამართლის ნორმის მისადაგებაში.

წესის გამოყენება (Rule Application)

მას შედეგ, რაც განვავითარებთ და ძირეულად განვიხილავთ წესებს- ავხსნით მათი მოქმედების პრინციპებს, უნდა შევუდგეთ იმ კონკრეტული სამართლებრივი პრობლემის განხილვას, რომელზეც ვმუშაობთ. ამ ეტაპზე ხდება სწორედ პრობლემასთან დაკავშირებული ფაქტების მიმოხილვა და ანალიზი იდენტიფიცირებული სამართლებრივი ნორმების ჭრილში[21].

პირველ რიგში, წარმოვადგენთ თანხვედრას კონკრეტული სამართლებრივი ნორმის შემადგენლობასა და კონკრეტულ შემთხვევაში მოცემულ ფაქტებს შორის, თუმცა, მნიშვნელოვანია, იყოს მითითება კონკრეტულ შემთხვევაში მოცემული ფაქტების სხვა ასევე მსგავსი შემადგენლობის მქონე სამართლებრივი ნორმის შემადგენლობასთან თანხვედრაში არ ყოფნის შესახებ.

წესის გამოყენებისას, მნიშვნელოვანია, რომ ყველა პარაგრაფი დაიწყოს მთავარი წინადადებით, რომელიც აჩვენებს თუ სამართლის ნორმის რომელი ელემენტი ვრცელდება კონკრეტულ ფაქტებზე. რაც მთავარია, ამ ეტაპზე უნდა ავხსნათ, თუ როგორ მიესადაგება კანონი საქმეში მოცემულ ფაქტებს; განვიხილოთ სამართლებრივი ნორმის ელემენტები და ავხსნათ, რამდენად არიან ან არ არიან ისინი ამ საქმეში დაკმაყოფილებული. როგორ აკმაყოფილებს ან ვერ აკმაყოფილებს ეს ფაქტები შესაბამისი კანონის მოთხოვნებს; კარგი იქნება, ასევე, თუ შევადარებთ წინამდებარე კონკრეტულ საქმეს იმ წინა საქმეებს, რომლებშიც იმავე კანონის ნორმა მოქმედებდა ანუ მსგავს პრეცედენტებზე მივუთითებთ.

პრეცედენტის გამოყენების შემთხვევაში უნდა შევადაროთ „ჩვენი შემთხვევის მსგავსი სხვა პრეცედენტი" და კონკრეტულ (არსებულ) შემთხვევაში მოცემული სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტები ერთმანეთს, რითიც ვაჩვენებთ, რომ მსგავსი მსჯელობა ამ შემთხვევაშიც მართებულია (მაგ.: საქმეში ა. ბ.-ს წინააღმდეგ იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე ვინაიდან..)

ჩვენი შემთხვევის საწინააღმდეგო პრეცედენტის მოყვანის შემთხვევაში ხაზი უნდა გავუსვათ კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებსადა მოყვანილ პრეცედენტს შორის არსებულ ფაქტებს შორის განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებს. შესაბამისად, დავასაბუთოთ თუ რატომ ვერ გავრცელდება იგივე მსჯელობა (დასაბუთება) აღნიშნულ შემთხვევაზე. (მაგ: საქმეში ა. ბ.-ს წინააღმდეგ განსხვავებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან..)

დასკვნა (conclusion)

ყველა ზემოაღნიშნული ეტაპის გავლის შემდეგ, საჭიროა, კიდევ ერთხელ მოვახდინოთ ჩვენი დასკვნის გამეორება. აღნიშნული ქმედება ხელს უწყობს ნაშრომის ერთ მთლიანობად შეკვრას. დასკვნის მიზანია საკვანძო დებულებისა (თეზისის) და მოყვანილი არგუმენტების შეჯამება. ამ ეტაპზე არ არის რეკომენდირებული ახალი აზრების წამოწევა, რომლებიც არ განხილულა ძირითად ნაწილში[22]. ასევე, არამომგებიანია ბუნდოვანი და ორაზროვანი

21 ტრენინგის მასალები, სემინარი მოსამართლეებისათვის- სამართლებრივი არგუმენტაცია და სამართლის ინტერპრეტაცია; მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი (JILAP),2013,5.

22 ლია კაჭარავა, ხათუნა მარწყვიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი; აკადემიური წერა დამწყებთათვის, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი 2007, 57.

წინადადების გამოყენება, რამაც შეიძლება მკითხველს აფიქრებინოს, რომ არც ერთი პოზიცია არ არის დამაჯერებელი.

მართალია, რთულია დავწეროთ რაიმე ახალი დასკვნაში, როდესაც საკუთარი აზრი უკვე გამოთქმული გვაქვს შესავალში, თუმცა ამის გაკეთება აუცილებელია. დასკვნის ძირითადი მახასიათებელი არგუმენტების სინთეზია; უმჯობესია დასკვნაში კიდევ ერთხელ გავიმეოროთ ყოველი არგუმენტის საკვანძო საკითხები და მოკლედ შევაჯამოთ ისინი. შეგვიძლია, ასევე, მოვახდინოთ თავდაპირველი დებულების პერიფრაზირებადა ხაზი გავუსვათ მის მნიშვნელობას. მნიშნელოვანია, რომ მოსამართლის ყველა არგუმენტი მისი ძირითადი პოზიციის გამყარებას უნდა ემსახურებოდეს, რაც ნიშნავს, რომ ყველა იდეა ლოგიკურ კავშირში უნდა იყოს და მოსამართლის პოზიცია არ უნდა მერყეობდეს სხვადასხვა მოსაზრებებს შორის[23]. თუ მკითხველს, აზრის გასაგებად, უკან დაბრუნება და გადაწყვეტილების ხელახლა წაკითხვა ან მოყვანილი არგუმენტების მოსამართლის ძირითად პოზიციასთან დაკავშირება უწევს, ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებას პრობლემები აქვს.

რეზიუმე

რასაკვირველია, არ არსებობს წერის ერთადერთი სწორი გზა. ყველა ჩვენთაგანი საკუთარი შეხედულებისა და გემოვნების გათვალისწინებით წარვმართავთ წერის პროცესს[24]. მეტიც, წერისას ადამიანები თანდათანობით გამოიმუშავებენ ნაშრომის აგების საკუთარ სტილს. თუმცა, ზემოაღნიშნული მოდელი სამართლებრივი წერის უკვე კარგად ნაცადი და პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდია, რომელიც გვაძლევს გადაწყვეტილების სტრუქტურულად ჩამოყალიბების საშუალებას. ამასთან, იგი ხელს გვიწყობს და ქმნის წინაპირობას იმისთვის, რომ ჩვენი ცოდნა გამოყენებული და წარმოჩინებული იყოს სწორად. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული მეთოდით მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილება მისი ზემდგომი ინსტანციის მიერ გადამოწმების თვალსაზრისითაც ეფექტურია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ TREAC-ის სტრუქტურა დამახასიათებელია არამხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებებისათვის, არამედ ადვოკატის წერილობითი შუამდგომლობებისათვის, პროკურორის ნებისმიერი სხვა სამართლებრივი კორესპოდენციისათვის.

უპირველეს ყოვლისა, TREAC-ის მეთოდი გვეხმარება არგუმენტების სტრუქტურულდა თანმიმდევრულ ჩამოყალიბებაში, რამდენადაც ის მკაფიოდ წარმოაჩენს ლოგიკურ კავშირს ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ასევე, ტექსტის სხვადახვა ნაწილების სისტემური დაკავშირება განაჩენს დამაჯერებლობასა და სანდოობას მატებს, ხოლო საკუთარი დასაბუთების ცხადად ფორმულირება აზრის ზუსტ გადმოცემას უწყობს ხელს, რაც, თავის მხრივ, გადაწყვეტილების ერთგვაროვან აღქმას განაპირობებს.

დაბოლოს, არჩევანი რა თქმა უნდა მოსამართლეებზეა, თქვენ შეგიძლიათ ჩამოაყალიბოთ გადაწყვეტილების საკუთარი სტილი და სტრუქტურა, ან გამოიყენოთ არსებული აპრობირებული მეთოდები; მთავარი გადაწყვეტილების ლოგიკური, თანმიმდევრული და ზუსტი ჩამოყალიბებაა და არა დოგმატური გზით სიარული.

პრაქტიკული რჩევები:

1. მართალია, გადაწყვეტილება მით უფრო მისაღებია მკითხველისთვის, რაც უფრო გამართულია გრამატიკული და სტილისტიკური თვალსაზრისით, მაგრამ კარგი ნაწერის ღირსება მხოლოდ ეს არ არის. წერისას კარგად უნდა დავრწმუნდეთ, რომ სათქმელი ზუსტად და მკაფიოდ ვთქვით, ჩვენი აზრი თუ პოზიცია ლოგიკურად ჩამოვაყალიბეთ. რაც მთავარია, არგუმენტები თანმიმდევრულად, ნათლად და

23 ლია წულაძე; აკადემიური წერა, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006, 7.
24 ლია წულაძე; აკადემიური წერა, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006, 7.

არაორაზროვნად უნდა ჩამოვაყალიბოთ, რათა მკითხველმა შეძლოს იმ დასაბუთების ჯაჭვის მიყოლა, რამაც განაპირობა ასეთი გადაწყვეტილების მიღება.

2. ტექსტის სხვადახვა ნაწილების სისტემურ დაკავშირება განაჩენს დამაჯერებლობასა და სანდოობას მატებს, ხოლო საკუთარი დასაბუთების ცხადად ფორმულირება აზრის ზუსტ გადმოცემას უწყობს ხელს, რაც გადაწყვეტილების ერთგვაროვან აღქმას განაპირობებს.

მითითებისა და აღნიშვნის სტანდარტი სამართალში[1]

1 შეადგინეს დიმიტრი გეგენავამ და გიორგი ბურჯანაძემ (დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი), 2013.

ზოგადი წესი

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის „მითითებისა და აღნიშვნის სტანდარტი" ითვალისწინებს აკადემიური ციტირების გერმანულ მოდელს (აღნიშვნა ყოველი გვერდის ბოლოს).

თითოეულ აღნიშვნაში ყოველი მონაცემი ერთმანეთისგან მძიმის საშუალებით გამოიყოფა (საგამონაკლისო შემთხვევების გარდა) და შენიშვნის ბოლოს აუცილებლად იწერება წერტილი. წლისა და გვერდის მითითებისას არ გამოიყენება შემოკლებები, გამოიყენება მხოლოდ შესაბამისი რიცხვები.

უცხოენოვანი ორიგინალური წყაროების გამოყენებისას თითოეული სიტყვა იწყება დიდი ასოთი, კავშირების, წინდებულებისა და არტიკლების გარდა. აბრევიატურებისა და შემოკლებების ხმარებისას აუცილებლად უნდა მიეთითოს მისი სრული დასახელება და გაკეთდეს შესაბამისი აღნიშვნა მომავალში მისი მითითების სტილთან დაკავშირებით. მაგალითად, გაეროს ლტოლვითა უმაღლესი კომისარიატი (შემდგომში — „გლუკი"). საყოველთაოდ აღიარებული შემოკლებებისა და აბრევიატურის განმარტება არაა საჭირო. მაგალითად, „იხ." (იხილე), „შეად." (შეადარე", „გაერო", „ნატო" და ა.შ.)

ქართულენოვან ტექსტში გამოიყენება „ქვედა" და „ზედა" ბრჭყალები — „ " (იწერება Tab-ის ზედა ღილაკის საშუალებით), ხოლო უცხოენოვან ტექსტში „ზედა" — „ " ბრჭყალები (იწერება Enter-ის გვერდითა ღილაკის საშუალებით)

პირდაპირი ციტირების შემთხვევაში წერტილი (ან სხვა შესაბამისი სასვენი ნიშანი) ბრჭყალის შიგნით იწერება, თუ ტექსტი მთლიანადაა მოყვანილი, ხოლო ბრჭყალის გარეთ — თუ ციტირებულია კონკრეტული სიტყვა ან წინადადების ნაწილი რთულ წინადადებაში. ამ წესის შესაბამისად ხდება აღნიშვნის სიმბოლოს მითითებაც. პირველ შემთხვევაში სიმბოლოთა განლაგება უნდა იყოს შემდეგი: წერტილი (ან სხვა შესაბამისი ნიშანი), ბრჭყალი, აღნიშვნა; მეორე შემთხვევაში - ბრჭყალი, აღნიშვნა, სასვენი ნიშანი.

ერთხელ მითითებული წყაროს ხელახლა გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია გაკეთდეს აღნიშვნა შესაბამის შენიშვნაზე მითითებით (მაგალითად, „იხ., შენიშვნა 15, გვერდი ნაშრომში." ან ავტორი, „დასახ. ნაშრომი", გვერდი ნაშრომში). თუ იგივე წყარო ზედიზედ მოსდევს წინა შენიშვნას, სრული მითითების ნაცვლად იწერება „იქვე" და შესაბამისი გვერდის ნომერი (თუკი იგივე გვერდია, მაშინ გვერდის მითითება საჭირო არაა).

ელექტრონული წყაროს გამოყენებისას შესაძლებელია როგორც ზუსტი ელექტრონული მისამართის, ისე ელექტრონული ვებ-გვერდისა და მისი ოფიციალური სახელწოდების მითითება და ამ ელექტრონული რესურსის უკანასკნელად ნახვის თარიღი კვადრატულ ფრჩხილებში. ორივე შემთხვევაში ელექტრონული მისამართის დასაწყისში იწერება „<", ხოლო ბოლოში - „>".

ორიგინალური წყაროები

წიგნის გამოყენებისას უნდა მიეთითოს: ავტორის ვინაობა — გვარი და სახელის ინიციალი; წიგნის სახელწოდება; გამოცემის ადგილი; წელი და შესაბამისი გვერდი.

მაგალითი	ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 56.
	Miller A., The Supreme Court and American Capitalism, New York, 1968, 73.
	Витрук Н. В., Конституционное Правосудие, Судебное Конституционное Право и Процесс, Москва, 1998, 37.
	Zippelius R., Juristische Methodenlerhe, München, 2006, 89.
	Pasquino P., Sieyes et l'invention de la Constituion en France, Paris, 1998, 196.

ორი ან რამდენიმე ავტორის არსებობის შემთხვევაში, მიეთითება ყველა ავტორის მონაცემი (გვარი და სახელის ინიციალი); წიგნის სახელწოდება; გამოცემის ადგილი; წელი და შესაბამისი გვერდი.

მაგალითი	კვერენჩხილაძე გ., მელქაძე ო., საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, 1997, 84.
	კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, 159.
	გიორგაძე გ., კოპალეიშვილი მ., ლორია ა., ლორია ვ., ხორია ხ., სალხინაშვილი მ., წკეპლაძე ნ., ჩქარეული ც, ხარშილაძე ი., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2007, 362.
	Walsh A., Hemmens C., Law, Justice, and Society: a Sociolegal Introduction, New York, 2010, 144.
	Арутюнян Г.Г., Баглай М.В., Конституционное Право - Энциклопедический Словарь, Москва, 2006, 71.

ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს, ნაშრომის შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული თავები, ქვეთავები ან პარაგრაფები განაწილებულია ავტორებს შორის და გამოტანილი არაა ნაშრომის ავტორთა ვინაობა ყდაზე, ციტირება ხდება შემდეგი წესით: ნაშრომის სახელწოდება; ნაშრომის რედაქტორი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი და წელი; შესაბამისი გვერდი.

მაგალითი	საქართველოს კონსტიტუცია და 2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა, თბილისი, 2010, 42.
	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გ. ტყეშელიაძის რედაქტორობით, თბილისი, 2008, 351.
	Handbook of Polish Law, Edited by Dajczak W., Szwarc A.J., Wilinski P., Poznan, 2011, 211.
	Конституционное Право Зарубежных Стран, Под. ред. Баглая М. В., Лейбо Ю. И., Энтина Л. М., Москва, 2004, 279.

სტატიათა კრებულის ციტირებისას უნდა მიეთითოს მონაცემები შემდეგი თანმიმდევრობით: სტატიის ავტორის გვარი და სახელის ინიციალი; სტატიის სახელწოდება; კრებულის სახელწოდება; კრებულის რედაქტორი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი და წელი; შესაბამისი გვერდი.

მაგალითი	ტუღუში გ., რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებული გამოხატვის კრიმინალიზაცია, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2011, 243.
	გეგენავა დ., საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება და მისი ადგილი ხელისუფლების დანაწილების კონცეფციაში, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I, გ. კვერენჩხილაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2012, 82.

სამეცნიერო ჟურნალიდან სტატიის გამოყენებისას შენიშვნაში მიეთითება: სტატიის ავტორის მონაცემები (გვარი და სახელის ინიციალი); სტატიის სახელწოდება, ჟურნალის სახელწოდება; ნომერი; გამოცემის წელი, შესაბამისი გვერდი. ჟურნალიდან ციტირების შემთხვევაში არ ეთითება გამოცემის ადგილი.

მაგალითი	ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი „სარჩევი", №1(2), 2011, 14.
	ბოხაშვილი ი., ბენიძე მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები, სამართლის ჟურნალი, №2, 2009, 37.
	Faber R., The Austrian Constitutional Court - An Overview, Vienna Journal on International Constitutional Law, Vol. 1, 2008, 50.
	Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia, Tulane European and Civil Law Forum, Vol. 12, 1997, 26.
	Крумм Р., Конституционный Патриотизм в Германии, Конституционное Правосудие, №3(37), 2007, 58.

ანგარიშის, მოხსენების ან დასკვნის ციტირებისას შენიშვნაში მიეთითება: მოხსენების ავტორის მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - კონკრეტული პირის შემთხვევაში ავტორის გვარის და სახელის ინიციალი, ხოლო რაიმე ორგანოს, პირთა ჯგუფის, ორგანიზაციისას - მისი ოფიციალური სახელწოდება; მოხსენების სახელწოდება; იმ ფორუმის, კონფერენციის, სემინარის სახელწოდება, რომელზედაც მოხსენება გაეცნო საზოგადოებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში); მოხსენების გაცხადების (გამოქვეყნების, წარმოთქმის) ადგილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); მოხსენების გაცხადების ან გამოქვეყნების თარიღი, შესაბამისი გვერდი.	
მაგალითი	საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, თბილისი, 2011, 151.
	საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის ანგარიში 2010, თბილისი, 2011, 25.
	ბაბეკი ვ., საქართველოს კონსტიტუციური რეფორმის შესახებ ბერლინის კონფერენციის შემაჯამებელი ანგარიში, ბერლინი, 14-16 ივლისი, 2010, 12.
	Papuashvili G., Problematic Aspects of Interrelationship between the Constitutional and Ordinary Courts, 1st Congress of the World Conference on Constitutional Justice, Cape Town, 23–24 January 2009, 3.
	Report on the Rule of Law, Adopted by the Venice Commission at its 86th Plenary Session, Venice, 25-26 March, 2011, 14.

ანგარიშის, მოხსენების, დასკვნის, მოსაზრებების ციტირებისას, რომელიც ელექტრონული ფორმით არსებობს და არ მომხდარა მისი ბეჭდური სახით გამოცემა, დამატებით უნდა მიეთითოს შესაბამისი ელექტრონული რესურსი.

მაგალითი	კახიანი გ., მოსაზრებები კონსტიტუციური კანონის პროექტთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე, 4; იხ. <http://www.parliament.ge/publicdebates/article_7.pdf> [01.08.2012].
	კახიანი გ., მოსაზრებები კონსტიტუციური კანონის პროექტთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე, 4; ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <www.parliament.ge> [01.08.2012].
	Universal Jurisdiction: Scope and Limitations under International Law, 12 Nov. 2010; იხ., <http://www.lawyersnjurists.com/articles-and-assignment/universal-jurisdiction-scope-and-limitations-under-international-law/> [05.07.2011].
	Universal Jurisdiction: Scope and Limitations under International Law, 12 Nov. 2010; ხელმისაწვდომია The Lawyers and Jurists-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <www.lawyersnjurists.com> [05.07.2011].

ნათარგმნი წყაროები

ნათარგმნი წიგნის გამოყენებისას უნდა მიეთითოს: ავტორის ვინაობა — გვარი და სახელის ინიციალი; წიგნის სახელწოდება; წიგნის მთარგმნელის სახელის ინიციალი და გვარი; თარგმანის რედაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელის ინიციალი და გვარი; გამოცემის ადგილი, წელი და შესაბამისი გვერდი.

მაგალითი	დავიდი რ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თ. ნინიძისა და ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 239.
	შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 78.
	Kelsen H., Pure Theory of Law, Translated by M. Knight, Los Angeles, London, 1970, 140.
	Barak A., Purposive Interpretation in Law, Translated by Sari Bashi, Princeton, New Jersey, 2005, 169.
	Барак А., Судейское Усмотрение, Перевод с английского, Под редакцией В. А. Кикотя и Б. А. Страшуна, Москва, 1999, 257.
	Бержелъ Ж. Л., Обшая Теория Права, Перевод Г. В. Чуршукова, Под общей редакцией В. И. Даниленко, Москва, 2000, 405.

სამეცნიერო ჟურნალიდან ნათარგმნი სტატიის გამოყენებისას შენიშვნაში მიეთითება: სტატიის ავტორის მონაცემები (გვარი და სახელის ინიციალი); სტატიის სახელწოდება, მთარგმნელის სახელის ინიციალი და გვარი, ჟურნალის სახელწოდება; ნომერი; გამოცემის წელი; შესაბამისი გვერდი.

მაგალითი	კელზენი ჰ., რა არის სამართლის წმინდა თეორია?, ლ. ბრეგვაძის თარგმანი, სამართლის ჟურნალი, №2, 2011, 300.
	ჰოპტი კ., კორპორაციული მართვა ევროპაში: რეგულირების ახალი მოდელი და „რბილი სამართალი", ი. ბურდულის თარგმანი, სამართლის ჟურნალი, №1, 2009, 228.
	Radbruch G., Five Minutes of Legal Philosophy, Translated by Bonnie Litschewski Paulson and Stanley L. Paulson, Oxford Journal of Legal Studies, Vol. 26, Issue 1 (Spring 2006), 15.

მეორეული წყაროები

ნაშრომიდან ციტირებისას, თუკი თავად ტექსტი დამოწმებულია სხვა ავტორის ციტატით, პერიფრაზით, მიეთითება: 1. პირველადი წყარო, რომელიც ავტორს აქვს გამოყენებული, რის შემდეგადაც კეთდება აღნიშვნა — „ნაშრომიდან:", „წიგნიდან:" და მსგ. შესაბამისი აღნიშვნის შემდეგ კი მიეთითება ის ნაშრომი, სადაც მოხმობილია ციტატა. 2. წყარო, რომელშიც მოხმობილია შესაბამისი პერიფრაზი ან ციტატა, რის შემდეგაც კეთდება აღნიშვნა — „იხ. ციტირება:" და მიეთითება შესაბამისი ავტორის მიერ ციტირებული ლიტერატურა. თუკი შეუძლებელია ავტორის მიერ მითითებული ლიტერატურის თქვენს მიერ გამოყენებად სტილზე მორგება, მაშინ ციტირებული ლიტერატურის შენიშვნაში მოხმობილი მონაცემების მითითება უცვლელად ხდება.

მაგალითი	ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 61; იხ. ციტირება: შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 2003, 285.
	შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 2003, 285, წიგნიდან: ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 61.
	Sadurski W., Constitutional Review in Europe and in the United States: Influences, Paradoxes, and Convergence, Legal Studies Research Paper, No. 11/15, 2011, 15; იხ. ციტირება: Fletcher G., Basic Concepts of Legal Thought, New York, 1995, 25.
	Fletcher G., Basic Concepts of Legal Thought, New York, 1995, 25, ნაშრომში: Sadurski W., Constitutional Review in Europe and in the United States: Influences, Paradoxes, and Convergence, Legal Studies Research Paper, No. 11/15, 2011, 15.
	Tetzlaff Th., Kelsen's Concept of Constitutional Review Accord in Europe and Asia: The Grand Justices in Taiwan, National Taiwan University Law Review, Vol. 1, No. 2, 2006, 77. იხ. ციტირება: Paulson S. l., Constitutional Review in the United Stated and in Austria: Notes on the Beginning, 16; Machacek R., Verfahren Von Dem VFGH 22, 3d ed., Vienna, 1997.

საქართველოს ნორმატიული აქტები
გავრცობილი მითითება

საქართველოს ნორმატიული აქტების გამოყენებისას, შენიშვნაში მიეთითება სამართლებრივი აქტის ოფიციალური სახელწოდება, ნომერი, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის" შესაბამისი ნომერი, რომელშიც გამოქვეყნდა აქტი (2011 წლის პირველი იანვრის შემდეგ მიღებულ აქტებს მიეთითება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის" ოფიციალური ვებ-გვერდი), გამოქვეყნების თარიღი, შესაბამისი მუხლი, პუნქტი, ნაწილი ან ქვეპუნქტი (საჭიროების შემთხვევაში).

	2011 წლის 1 იანვრამდე მიღებულ ნორმატიულ აქტთა მითითებისას
მაგალითი	საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №31-33, 1995.
	„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის დამტკიცების შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი, №305-რს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №16, 04.07.2004.

2011 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებულ ნორმატიულ აქტთა მითითებისას	
მაგალითი	საქართველოს საარჩევნო კოდექსის 176-ე მუხლის პირველი პუნქტი, №5636-რს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 10.01.2012.

გამარტივებული წესი

ნორმატიული აქტის მითითებისას, შენიშვნაში აღინიშნება მისი ოფიციალური სახელწოდება და შესაბამისი მუხლი, პუნქტი (ნაწილი) თუ ქვეპუნქტი.

მაგალითი	საქართველოს შრომის კოდექსის მე-10 მუხლი.
	„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი.

ძალადაკარგული ნორმატიული აქტის გამოყენების შემთხვევაში მითითებას ემატება მისი გაუქმების შესახებ აღნიშვნა და შესაბამისი თარიღი - „(ძალადაკარგულია --.--.--)".

მაგალითი	საქართველოს საარჩევნო კოდექსის 126^{10}-ე მუხლის მე-2 პუნქტი, №1047-რს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №25, 22.08.2001 (ძალადაკარგულია, 10.01.2012).

საერთაშორისო შეთანხმებები

საერთაშორისო შეთანხმებების დასახელების მითითება შესაძლებელია როგორც ქართულ ენაზე, ისე ორიგინალში. ამ ტიპის ციტირებისას აღნიშვნაში უნდა წარმოჩინდეს შემდეგი ინფორმაცია შესაბამისი თანმიმდევრობით: საერთაშორისო შეთანხმების დასახელება და მისი ტიპი (მაგ., პაქტი და ა.შ.); საერთაშორისო შეთანხმების მხარეები, თუ ისინი სამი ან უფრო ნაკლები წევრი მხარისგან შედგებიან; საერთაშორისო შეთანხმების რეგისტრაციის მონაცემები, ასეთის არსებობის შემთხვევაში; საერთაშორისო შეთანხმების მიღების ან ხელმოსაწერად გახსნის თარიღი (იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე მიეთითება მხოლოდ ხელმოწერის თარიღი); საერთაშორისო შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღი. ყველა ეს მონაცემი ერთმანეთისგან გამოიყოფა მძიმით (მხარეებისა და შეთანხმების მიღების ან ხელმოწერის თარიღის გარდა, რომლებიც ფრჩხილებით გამოიყოფა) და ბოლოს შეიძლება მიეთითოს კონკრეტული მუხლი.

მაგალითი	Convention Relating to the Status of Refugees, 189 UNTS 137, (მიღებულია 1951 წლის 28 ივნისს, ძალაში შევიდა 1954 წლის 22 აპრილს) მუხლი 33.
	რეაბილიტაციის და განვითარების თანამშრომლობის შეთანხმება (ავსტრალია, ნაურუ) ATS 1994 15, (ძალაში შევიდა 1994 წლის 5 მაისს).

სასამართლოთა გადაწყვეტილებები
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების, განჩინების, საოქმო ჩანაწერის ციტირებისას მიეთითება სასამართლოს ოფიციალური სახელწოდება, გადაწყვეტილების/განჩინების/საოქმო ჩანაწერის მიღების თარიღი, ნომერი, საქმის სახელწოდება (დასახელება უნდა ჩაისვას ბრჭყალებში).

	გადაწყვეტილება
მაგალითი	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 30 მარტის №6/134-139-140 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა სამი ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".
	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".
	განჩინება
მაგალითი	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 ნოემბრის №2/6/518 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ვიტალი ნიშნიანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".
	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/461 განჩინება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".
	საოქმო ჩანაწერი
მაგალითი	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 დეკემბრის №2/4/530 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - ვლადიმერ სანიკიძე და მაია ხუციშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".
	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 10 ივლისის №1/3/428 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - ვლადიმერ სანიკიძე და მაია ხუციშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".
	პლენუმის დადგენილება
მაგალითი	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2010 წლის 20 თებერვლის №76/2 დადგენილება.

საქართველოს საერთო სასამართლოების აქტები

საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილების, განჩინების, დადგენილების, ბრძანების ციტირებისას უნდა მიეთითოს სასამართლოს ოფიციალური დასახელება, სასამართლოს პალატის/კოლეგიის დასახელება, გადაწყვეტილების/განაჩენის/განჩინების/ბრძანების მიღების თარიღი, ნომერი და სახელწოდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). საქართველოს უზენაესი სასამართლოს აქტების მითითების შემთხვევაში სასამართლოს სახელწოდების შემდეგ მიეთითება შესაბამისი პალატის დასახელება.

მაგალითი	საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 10 იანვრის განჩინება №ბს-1168-1136(კ-10).
	საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2001 წლის 27 სექტემბრის №3კ/458-01 განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე.
	თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება №----
	თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 სექტემბრის განაჩენი №----
	ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება №----

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და კომისიის გადაწყვეტილებები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ციტირებისას მიეთითება სასამართლოს ან კომისიის ოფიციალური სახელწოდება ქართულად; სასამართლოს აქტის თარიღი და საქმის დასახელება ***იტალიკით*** ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე და ბოლოს აღინიშნება პუნქტის (პარაგრაფის) ნომერი. მითითება უნდა მოხდეს ქართულ ენაზე, გარდა საქმის დასახელებისა. როცა კონკრეტული მოსამართლის (ან მოსამართლეების) განსხვავებული აზრი ან დეკლარაცია დაერთვის საქმეს და მასზე ხდება მითითება, პარაგრაფის ნომრის მითითებამდე აღინიშნება ეს უკანასკნელი ფრჩხილებში, სასვენი ნიშნებით გამოყოფის გარეშე.

მაგალითი	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 28 ნოემბრის განჩინება საქმეზე, *The Former King of Greece and others v. Greece* (მოსამართლე კუმანტოსის განსხვავებული აზრი) პარ 1.
	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის განჩინება საქმეზე, *Apostili v. Georgia,* პარ 23.
	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 22 თებერვლის განჩინება საქმეზე, *Raimondo v. Italy*, პარ 24.
	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1986 წლის 26 ივნისის განჩინება საქმეზე, *Van Marle and others v. The Netherlands*, პარ 24.

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს და სხვადასხვა საერთაშორისო ან ჰიბრიდული ტიპის ტრიბუნალის გადაწყვეტილებები

	საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს და სხვადასხვა საერთაშორისო ან ჰიბრიდული ტიპის ტრიბუნალის გადაწყვეტილებების ციტირება ხდება შემდეგი წესით: უპირველეს ყოვლისა იტალიკით აღინიშნება საქმის დასახელება კონკრეტულ ბრალდებულსა (მსჯავრდებულის) და პროკურორზე მითითებით ორიგინალ ენაზე (მაგ., ***Prosecutor v. ბრალდებულის სახელი***). შემდეგ დაისმის მძიმე და მიეთითება გადაწყვეტილების სახეობა, რასაც მოჰყვება საქმის ნომერი ფრჩხილებში და სასვენი ნიშნის გარეშე ემატება კონკრეტული სასამართლო ორგანოს ზუსტი დასახელება. ეს ყველაფერი გამოიყოფა მძიმით და მიეთითება გადაწყვეტილების თარიღი, რის შემდეგაც (მძიმით გამოყოფით) აღინიშნება პარაგრაფის კონკრეტული ნომერი, თუკი არ ხდება ზოგადად გადაწყვეტილების ციტირება. როცა კონკრეტული მოსამართლის (ან მოსამართლეების) განსხვავებული აზრი ან დეკლარაცია დაერთვის საქმეს და მასზე ხდება მითითება, პარაგრაფის ნომრის მითითებამდე აღინიშნება ეს უკანასკნელი ფრჩხილებში, სასვენი ნიშნებით გამოყოფის გარეშე.
მაგალითი	*Prosecutor v. Aleksovski*, განაჩენი (IT-95-14/1-A), ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის სააპელაციო პალატა, 2000 წლის 24 მარტი (მოსამართლე ჰანტის დეკლარაცია) პარ 2.
	Prosecutor v. Thomas Lubanga Dyilo, განაჩენი (ICC-01/04-01/06), საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სასამართლო პალატა, 2012 წლის 14 მარტი, პარ 583.
	Prosecutor v. Charles Taylor, გადაწყვეტილება (SCSL-03-1-T) სიერა ლეონეს სპეციალური სასამართლოს სასამართლო პალატა, 2011 წლის 3 თებერვალი.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს (ICJ) და მუდმივი საერთაშორისო სასამართლოს (PCIJ) გადაწყვეტილებები

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს (**ICJ**) და მუდმივი საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს (**PICJ**) გადაწყვეტილებების ციტირება ხდება შემდეგი წესით: პირველად აღინიშნება საქმის დასახელება ორიგინალ ენაზე, რასაც მოჰყვება სასვენი ნიშნის გარეშე მონაწილე მხარეების მითითება ფრჩხილებში ქართულ ენაზე (გარდა იმ შემთხვევისა, თუ სახეზეა საკონსულტაციო მოსაზრება (**Advisory Opinion**); ამ შემთხვევაში ფრჩხილებში მიეთითება „საკონსულტაციო მოსაზრება" ქართულ ენაზე). შემდეგ მიეთითება ქართულ ენაზე სასამართლოს დასახელება, რაც ორივე მხრიდან მძიმეებით გამოიყოფა. აღნიშნულს მოჰყვება გადაწყვეტილების გამოქვეყნების ოფიციალური ორგანოს რეკვიზიტები, რის შემდეგაც აღინიშნება გადაწყვეტილების თარიღი ფრჩხილებში და ბოლოს პარაგრაფი. თუ კონკრეტული მოსამართლის (ან მოსამართლეების) განსხვავებული აზრი ან დეკლარაცია დაერთვის საქმეს და მასზე ხდება მითითება, პარაგრაფის ნომრის მითითებამდე ხდება აღნიშნულის წარმოდგენა ფრჩხილებში, სასვენი ნიშნებით გამოყოფის გარეშე.

მაგალითი	*Interpretation of Peace Treaties with Bulgaria, Hungary and Romania* (საკონსულტაციო მოსაზრება), მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, 1950 I.C.J. 65 (30 მარტი, 1950), პარ 23.
	Military and Paramilitary Activities (ნიკარაგუა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ), მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, 1986 I.C.J. 4 (27 ივნისი, 1986) (მოსამართლე აგოს განსხვავებული აზრი) პარ 10.
	Diversion of Water From the Meuse (ნიდერლანდების სამეფო ბელგიის წინააღმდეგ), მუდმივი საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლო, 1937 P.C.I.J. # 70 (1937 წლის 28 ივნისი), პარ 10.

ევროპის კავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებები

1989 წლიდან მოყოლებული ევროპის კავშირის სასამართლოს საქმეების რეგისტრაცია ხდება შემდეგი წესის მიხედვით: ევროპული სასამართლოს (**ECJ**) საქმეებისთვის გამოიყენება პრეფიქსი **C** და საერთო სასამართლოს (**GC**) მიმართ - **T**. საერთო სასამართლო 2009 წლამდე არსებობდა, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო (**CFI**). 2005 წელს დაარსებული საჯარო სამსახურის ტრიბუნალის გადაწყვეტილებების ნუმერაცია აღირიცხება **F**-ით. 1989 წლამდე გამოტანილ გადაწყვეტილებებს არ უნდა დაემატოს წინ **C**.

საქმეთა ციტირებისას უნდა იქნეს წარმოდგენილი შესაბამისი ინდექსი და საქმის ნომერი ერთად (გარდა 1989 წლამდე გამოტანილი საქმეებისა, რომელთა ინდექსაცია არ ხდებოდა). შემდეგ სასვენი ნიშნის გარეშე ხდება საქმის დასახელების წარმოდგენა ***იტალიკით*** ორიგინალ ენაზე. ორივე მხრიდან სასვენი ნიშნების გარეშე, კვადრატული ფრჩხილებით მიეთითება გადაწყვეტილების გამოტანის წელი. ამას მოჰყვება ოფიციალური ბეჭდითი ორგანო, სადაც გამოქვეყნდა გადაწყვეტილება და მასში ამ უკანასკნელის პირველი გვერდის ნომერი. ბოლოში დაისმის წერტილი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხდება პარაგრაფზე მითითება და ეს უკანასკნელი გამოიყოფა მძიმით.

მაგა-ლითი	საქმე C–176/03 *Commission v Council* [2005] ECR I–7879, პარ 47–48.
	საქმე 240/83 *Procureur de la République v ADBHU* [1985] ECR 531, პარ 3.

ევროკავშირის **Advocate General**-ის მოსაზრებები მიეთითება სასამართლოს საქმეების მსგავსად, იმ განსხვავებით, რომ პარაგრაფის ნომრის წარმოდგენამდე **Advocate General**-ის მოსაზრებაზე კეთდება აღნიშვნა ფრჩხილებში ჩასმული ნიშნით - (**AG**).

მაგალითი	საქმე C–411/05 *Palacios de la Villa v Cortefiel Servicios SA* [2007] ECR I–8531 მაზაკის (AG) მოსაზრება, პარ 79–100.

ევროპული კომისიის ის გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხება მერჯერს ან სამეწარმეო სამართალს, უნდა იქნან განხილულნი, როგორც სასამართლო საქმეები და მათი წარმოდგენა ხდება სპეციალური წესის შესაბამისად. ამ დროს ***იტალიკით*** მიეთითება საქმის მხარეების სახელი (ან საქმის კონკრეტული შემოკლებული სახელწოდება), რასაც სასვენი ნიშნის გარეშე მოსდევს ფრჩხილებში საქმის ნომერი. შემდეგ მიეთითება კომისიის გადაწყვეტილება ქართულ ენაზე და აღნიშნულს ემატება კომისიის გადაწყვეტილების ნომერი და შემდეგ კვადრატულ ფრჩხილებში მისი გადაწყვეტის წელი. ამ ყოველივეს სასვენი ნიშნის გარეშე ემატება ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების პირველი გვერდი.

მაგალითი	*Alcatel/Telettra* (საქმე IV/M.042) ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება 91/251/EEC [1991] OJ L122/48.
	Georg Verkehrsorgani v. Ferrovie dello Stato (საქმე COMP/37.685) ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება 2004/33/EC [2004] OJ L11/17.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ციტირება ხორციელდება შემდეგი წესით:

პირველად აღინიშნება გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება და მძიმის შემდეგ ხდება ოფიციალურ გამოცემაზე მითითება შემდეგი აბრევეატურით **BVerfGE**, რომლის წინაც აღინიშნება შესაბამისი ოფიციალური გამოცემის ნომერი, ხოლო მის შემდეგ გადაწყვეტილების საწყისი გვერდი ამ გამოცემაში. სასვენი ნიშნის გარეშე აღნიშნულს ემატება ფრჩხილებში ჩასმული გადაწყვეტილების გამოტანის წელი და შემდეგ შესაბამისი პარაგრაფი, ან ოფიციალური გამოცემის კონკრეტული გვერდი.

მაგალითი	გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, 21 BverfGE 150 (1976).
	გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, 7 BverfGE 183 (1957).

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ციტირებისას პირველად აღინიშნება გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს დასახელება, შემდეგ ხდება გერმანიის ფედერალურ უმაღლეს სასამართლოს ოფიციალურ გამოცემაზე მითითება შემდეგი აბრევიატურებით - **BGHZ (**სამოქალაქო საქმეები**), BGHSt (**სისხლის სამართლის საქმეები**), BverwGE (**ადმინისტრაციული საქმეები**)**, რომლის წინაც მიეთითება შესაბამისი ოფიციალური გამოცემის ნომერი, ხოლო მის შემდეგ გადაწყვეტილების საწყისი გვერდი ამ გამოცემაში. სასვენი ნიშნის გარეშე აღნიშნულს ემატება ფრჩხილებში ჩასმული გადაწყვეტილების გამოტანის წელი და შესაბამისი პარაგრაფი, ან ოფიციალური გამოცემის კონკრეტული გვერდი, რომელზეც ხდება მითითება.

მაგა-ლითი	გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო, 59 BGHZ 30 (1972).
	გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო, 32 BGHSt 367 (1972).

საფრანგეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილებები

საფრანგეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილებების ციტირებისას პირველად ქართულ ენაზე მიეთითება გადაწყვეტილების გამომტანი ორგანოს სახელწოდება სრულად, რაც გამოიყოფა მძიმით და შემდეგ აღინიშნება გადაწყვეტილების ტიპი (ქართულ ენაზე) და მისი ნომერი. აღნიშნულის შემდეგ დაისმის მძიმე და მიეთითება ქართულ ენაზე გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი და შესაბამისი პუნქტი ამ გადაწყვეტილებაში.

მაგალითი	საფრანგეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო საბჭო, გადაწყვეტილება №2001-445 DC, 2001 წლის 19 ივნისი, პარ 56.
	საფრანგეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო საბჭო, გადაწყვეტილება № 2004-492 DC, 2004 წლის 2 მარტი, პარ 13.

საფრანგეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებები

საფრანგეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს (**Conseil d'État**) გადაწყვეტილებების ციტირებისას პირველად ქართულ ენაზე მიეთითება გადაწყვეტილების გამომტანი ორგანო სრულად, რაც გამოიყოფა მძიმით და შემდეგ აღინიშნება გადაწყვეტილების ტიპი (ქართულ ენაზე) და მისი ნომერი. აღნიშნულის შემდეგ დაისმის მძიმე და მიეთითება ქართულ ენაზე გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი და შესაბამისი პუნქტი.

მაგალითი	საფრანგეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება № 360307, 2013 წლის 20 თებერვალი, პარ 4.
	საფრანგეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება № 348816, 2013 წლის 28 იანვარი, პარ 5.

საფრანგეთის რესპუბლიკის სასამართლოების გადაწყვეტილებები

საფრანგეთის რესპუბლიკის სასამართლოების გადაწყვეტილებების ციტირებისას პირველად მიეთითება შესაბამისი სასამართლოს დასახელება ქართულ ენაზე და თუ აუცილებელია ფრჩხილებში უნდა მიეთითოს, რომ ეს ფრანგული სასამართლოა (მაშინ, როცა სპეციალური ცოდნის გარეშე, კონკრეტული სასამართლოს დასახელებიდან ძნელია ადგილმდებარეობის დადგენა; აბრევიატურა „საფრანგეთი" უნდა იქნას გამოყენებული). შემდეგ მიეთითება გადაწყვეტილების თარიღი და შესაბამისი ბეჭდვითი ორგანოს დასახელება, სადაც გადაწყვეტილება იქნა ნანახი ან გადაწყვეტილების ნომერი.

მაგალითი	პარიზის სააპელაციო სასამართლო, 1994 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება, J.C.P. 1994, II, 22250.
	საფრანგეთის რესპუბლიკის საკასაციო სასამართლო, 2009 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება, № 1095.

ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ციტირებისას პირველად მიეთითება საქმის დასახელება ორიგინალ ენაზე, რაც გამოიყოფა მძიმით და აღინიშნება გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო. თუ გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია, მიეთითება შესაბამისი გამოცემის დასახელებაც. თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის გამოქვეყნებული, მიეთითება თარიღი, შემდეგ შესაბამისი პარაგრაფი (თუ არ ხდება ზოგადი მითითება). ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ოფიციალურად ქვეყნდება „ამერიკის შეერთებული შტატების გამოცემაში" (**United States Reports**). ეს უკანასკნელი მიეთითება ოფიციალური გამოქვეყნების შემდეგ, მანამდე კი შესაძლებელია მის გარეშე ციტირება გადაწყვეტილების თარიღის მითითებით. ამერიკის შეერთებული შტატების გამოცემა შემოკლებულად აღინიშნება "**U.S.**" აბრევიატურით. მის წინ დაისმის შესაბამისი ტომის ნომერი, ხოლო მის შემდეგ, მასში მოთავსებული კონკრეტული გადაწყვეტილების პირველი გვერდი და ამ უკანასკნელის გამოტანის წელი. თუ მიეთითება უზენაესი სასამართლოს ოფიციალური გამოცემა, აღარ ხდება ამ სასამართლოს დასახელების ცალკე მითითება, რადგან გამოცემა აღნიშნულზე პირდაპირ მიუთითებს. „ამერიკის შეერთებული შტატების გამოცემაში" არ იბეჭდება სხვა სასამართლოთა გადაწყვეტილებები.

მაგალითი	**Roe v. Wade, 410 U.S. 113 (1973),** პარ 7.
	Clapper v. Amnesty International USA, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება, პარ 15.
	American Civil Liberties Union v. NSA, ამერიკის შეერთებული შტატების მეექვსე ფედერალური ოლქის სააპელაციო სასამართლო, 493 F. 3d 644, 648.

იმ შემთხვევაში, თუ ხდება მოსამართლის განსხვავებული აზრის ციტირება, გადაწყვეტილების სახელწოდების შემდეგ მიეთითება კონკრეტული მოსამართლის განსხვავებული ან თანმხვედრი აზრის შესახებ და აღნიშნული ორმხრივად მძიმით გამოიყოფა.

მაგალითი	Korematsu v. United States, მოსამართლე ჯექსონის განსხვავებული აზრი, 323 U.S. 214 (1944).
	United States v. Carolene Products Company, მოსამართლე ბატლერის თანმხვედრი აზრი, 304 U.S. 144 (1938).

გაერთიანებული სამეფოს სასამართლოების აქტები

გაერთიანებული სამეფოს გადაწყვეტილებების ციტირებისას პირველად აღინიშნება კონკრეტული გადაწყვეტილების დასახელება, შესაბამისი სასამართლოს დასახელება და ბოლოს ის გამოცემა, სადაც ხდება გადაწყვეტილების გამოქვეყნება. დამატებით შეიძლება მიეთითოს პარაგრაფიც. თუ გადაწყვეტილებაში წარმოდგენილია ან იგი შედგება რამდენიმე მოსამართლის განხვავებული აზრისაგან, ციტირების ბოლოს აღინიშნება კონკრეტული მოსამართლის სახელი ფრჩხილებში.

მაგალითი	Corr v IBC Vehicles Ltd, გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატა, [2008] 1 AC 884.
	Farraj v Kings NHS Healthcare Trust, გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი სასამართლო, (2010) 11 BMLR 131
	Arscott v The Coal Authority, გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი სასამართლო, [2005] Env LR 6 [27] (ლორდი ლოსი).

ევროკავშირის ხელშეკრულებების ან ოქმების ციტირებისას უნდა მიეთითოს წარმოდგენილი კანონმდებლობის სათაური (შეიძლება როგორც ქართულ, ისე ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე), მათ შორის ცვლილებები (თუ ეს საჭიროა), რასაც მოსდევს მიღების წელი კვადრატულ ფრჩხილებში და გრძელდება სასვენი ნიშნის გარეშე ოფიციალური ჟურნალის და მისი შესაბამისი ნომრით ან პირველი გვერდის მითითებით.

მაგალითი	Protocol to the Agreement on the Member States that do not fully apply the Schengen acquis - Joint Declarations [2007] OJ L129/35.
	ევროკავშირის ხელშეკრულების კონსოლიდირებული ვერსია [2008] OJ C115/13.

რეგულაციების, დირექტივების, გადაწყვეტილებების, რეკომენდაციების და მოსაზრებების ციტირებისას პირველად აღინიშნება აქტის სახელწოდება ქართულ ენაზე ზუსტი თარიღის და ნომრის მითითებით, რომელიც შემდეგ გამოიყოფა მძიმით და მიეთითება აქტის სრული სათაური; მას მძიმის დასმის გარეშე მოსდევს კვადრატულ ფჩხილებში გამოქვეყნების წელი. ბოლოს სასვენი ნიშნის გარეშე აღინიშნება ოფიციალური ჟურნალი და მისი შესაბამისი ნომერი ან პირველი გვერდი.

მაგალითი	საბჭოს 2002 წლის 27 ივნისის დირექტივა 2002/60/EC, აფრიკული ქათმის გრიპის კონტროლის შესახებ სპეციალური დებულებების დადგენის და 92/119/EEC დირექტივის შეცვლის შესახებ, რომელიც ეხება ტეშენის დაავადებას და აფრიკულ ქათმის გრიპს [2002] OJ L192/27.

სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ასპექტები

(ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების შესაბამისად)

შინაარსი

1. სასამართლო გადაწყვეტილებების კანონიერება, სამართლიანობა
   და დასაბუთებულობა (ზოგადი მიდგომები) 313
2. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა 318
3. მტკიცებულებები 321
4. ზეპირი მტკიცებულების შეფასება და გამოყენება 324
5. წერილობითი მტკიცებულების შეფასება 327
6. ნივთიერი მტკიცებულების შეფასება 328
7. აღიარება როგორც მტკიცებულება 331
8. აღიარებითი ჩვენების გამოყენების წესი 331
9. დუმილის უფლება 333
10. პირდაპირი მტკიცებულება 334
11. ირიბი მტკიცებულება 339
12. იმავე ინფორმაციის შემცველი ორი ან მეტი მტკიცებულების გამოყენების წესი 342
13. მტკიცებულებების შეფასების პრინციპები 344
14. მტკიცებულების რელევანტურობა 346
15. მტკიცებულების ნამდვილობა 349
16. მტკიცებულების დასაშვებობა, მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა 350
17. მტკიცებულების ძალა (წონა) 353
18. საპირისპირო მტკიცებულებები 354
19. მტკიცებულებების ერთობლიობა 358
20. ბრალდებულის მიმართ წაყენებული ბრალდების ფარგლები 359
21. ფაქტის დადგენის წესი 363
22. დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა 364
23. მტკიცებულებების სანდოობა და უტყუარობა 366
24. დანაშაულის კვალიფიკაციის შეფასება 367
25. სტანდარტი "გონივრულ ეჭვს მიღმა" (გამამტყუნებელი და გამამართლებელი
    განაჩენის შემთხვევაში) 368
26. მიზეზები, რომელთა გამო სასამართლო გარკვეულ მტკიცებულებებს
    დასაშვებად ან დაუშვებლად მიიჩნევს 369
27. ბრალის წაყენების ფორმა 371
28. დანაშაულის ჩადენის ხერხის მითითება 371
29. დანაშაულის ჩადენის დროის მითითება 371
30. დანაშაულის ჩადენის მიზნის მითითება 371
31. დანაშაულის ჩადენის მოტივის მითითება 371
32. დანაშაულის შედეგის მითითება 371
33. ალიბის დამადასტურებელ მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხები 372
34. საპროცესო შეთანხმება 374
35. ისეთი მტკიცებულების გამოყენების წესი, რომელსაც მხარეები არ ხდიან სადავოდ 375
36. მტკიცების ტვირთი 375
37. სასჯელის დასაბუთება 377
38. სხვა საკითხები, რომლებიც განაჩენში უნდა იყო ასახული 379
39. საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩენების მიცემა 379
    გამოყენებული წყაროები 384
    სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ჩამონათვალი 385

ანგარიში:

სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ასპექტები

2014 წლის დეკემბერი

ადამიანის უფლებათა ევროპული ასოციაცია[1]

1a Place des Orphelins — MDAS

67000 Strasbourg, FRANCE

www.ehra.fr

*აღნიშნავს, რომ ციტირებული სასამართლო გადაწყვეტილებები ნათარგმნია ქართულ ენაზე. დეტალური ინფორმაცია სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების თაობაზე იხილეთ ვებ- გვერდზე: **http://catalog.supremecourt.ge/**

! აღნიშნავს, რომ ციტირებული სასამართლო გადაწყვეტილებები მხოლოდ ფრანგულ ენაზე მოიპოვება.

ციტატებში ტექსტი გამუქებულია ავტორის მიერ.

Art.: მუხლი

ECHR: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

1 წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ევროპული ასოციაციის (EHRA) წევრების სტეფანი ბურჟას და ანა-მარია ტელბის მიერ ნატაშა რანზეტის, ლაურა ტროიანოს და სხვათა დახმარებით.

1. სასამართლო გადაწყვეტილებების კანონიერება, სამართლიანობა და დასაბუთებულობა (ზოგადი მიდგომები)

მოკლე მიმოხილვა [2]

დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღების უფლება იმ ზოგადი პრინციპის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ადამიანს თვითნებური გადაწყვეტილებებისგან იცავს. ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საკმარის დასაბუთებას უნდა შეიცავდნენ, რათა მხარეების ფაქტობრივ და სამართლებლივ არგუმენტებს (პროცედურულს თუ არსებითს) პასუხი გაეცეს. (*Ruiz Torija v. Spain,* §§ 29-30).

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ "დასაბუთებული გადაწყვეტილების კიდევ ერთი დანიშნულება იმის დემონსტრირებაა, რომ მხარეების არგუმენტები მოსმენილ იქნა. დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს საშუალებას აძლევს გაასაჩივროს გადაწყვეტილება და გასაჩივრებული გადაწყვეტილება განიხილოს სააპელაციო ორგანომ. მხოლოდ დასაბუთებული გადაწყვეტილებების გამოტანის გზით არის შესაძლებელი მართლმსაჯულების განხორციელებაზე საზოგადოებრივი კონტროლის დაწესება" (*Suominen v. Finland*, § 37).

"სასამართლოში საქმის წარმოებისას,სწორედ სასამართლო გადაწყვეტილებაში მოყვანილი დასაბუთება აძლევს საშუალებას ბრალდებულს,გაიგოს მისი მსჯავრდების განმაპირობებელი მიზეზები.... დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიზანია იმის დემონსტრირება, რომ მხარეების არგუმენტები მოსმენილი და გათვალისწინებულ იქნა და შესაბამისად, მხარეებისთვის სასამართლო გადაწყვეტილება უფრო მისაღები ხდება. გარდა ამისა, მოცემული პრინციპი ავალდებულებს მოსამართლეებს თავიანთი მსჯელობა ობიექტურ არგუმენტებზე დაამყარონ და დაცვის უფლებები გაითვალისწინონ .... გადაწყვეტილება ნათელი დემონსტრირება უნდა იყოს იმისა, რომ საქმის არსებითი გარემოებები განხილულ და გათვალისწინებულ იქნა (*Boldea v. Romania*, no. 19997/02, § 30, 15; 2007 წლის თებერვალი)." (*Taxquet v. Belgium*, [GC]*,§ 89)

ძირითადი პრინციპები

ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში დასახელებული უნდა იყოს ის არგუმენტები, რომლებსაც ეს გადაწყვეტილებები ეყრდნობა (*Grădinar v Moldova,* § 107). განაჩენში იმის მკაფიოდ მითითება, თუ რას ეფუძნება გადაწყვეტილება, საშუალებას მისცემს ბრალდებულს ეფექტურად ისარგებლოს განაჩენის გასაჩივრების უფლებით (*Hadjianastassiou v. Greece*, § 33).

სამართლიანი სასამართლოს უფლება არ მოიცავს საქმის „სწორი" შედეგით დასრულების გარანტიას. ამდენად, გადაწყვეტილების დასაბუთებულობა მხოლოდ მაშინ დადგება ეჭვქვეშ, როდესაც ნათლად იკვეთება მისი მიკერძოებულობა, სერიოზული შეუსაბამობები ან გონივრული ინტერპრეტაციის ფარგლების აშკარა გადაცდომა.

დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება

სისხლის სამართალწარმოების პროცესში სასამართლოს მიერ დანაშაულის შემადგენელი ელემენტების, ისევე როგორც განმცხადებლის ბრალეულობის დამამტკიცებელი გარემოებების არასრულად წარმოჩენა, ან განმცხადებლის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში გადაწყვეტილებების არასათანადო დასაბუთება შესაძლოა მიჩნეულ იქნეს სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნის დარღვევად

---

2 დასაბუთებული გადაწყვეტილებების მნიშვნელობაზე რამდენჯერმე გამახვილდა ყურადღება საქართველოს სასამართლო ხელისუფლების მიერ საკასაციო საჩივრების დასაშვებობის განხილვის კონტექსტში - **CDL-AD(2014)030-e ვენეციის კომისიისა და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის დირექტორატის (DGI) ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DHR) ერთობლივი დასკვნა ცვლილებების კანონპროექტებზე საქართველოს ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსებში, რომელიც მიღებული იქნა ვენეციის კომისიის მიერ მე–100 პლენარულ სესიაზე (რომი, 2014 წლის 10–11 ოქტომბერი)** (http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2014)030-e)
OSCE/ODIHR-ის საქართველოში სასამართლო პროცესების მონიტორინგის უკანასკნელ ანგარიშში ასევე ასახულია გადაწყვეტილებების დასაბუთებასთან დაკავშირებული ხარვეზები და მათ გამოსწორებაზე მიმართული რეკომენდაციები (იხილეთ 2014 წლის 9 დეკემბერს გამოქვეყნებული ანგარიშის გვ. 85-89: http://www.osce.org/odihr/130676?download=true)

(*Boldea v. Romania*[1]).

ნაფიცი მსაჯულების მიერ გამოტანილი განაჩენი მის განმაპირობებელ მიზეზებს შეიძლება არ ასახელებდეს, თუ ეს მიზეზები საქმის შემადგენელი სხვა ელემენტებდან ხდება ნათელი (მაგ. საბრალდებო დასკვნიდან, მსაჯულების შეკითხვებიდან და სხვა) (*Taxquet v. Belgium**, *Agnelet v. France*).

ზემდგომი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების არასაკმარისი დასაბუთება უფრო ნაკლებ პრობლემას წამოჭრის მე-6 მუხლთან მიმართებით, განსაკუთრებით, როდესაც ნათელი ხდება, რომ გასაჩივრებული საკითხი შესაძლოა კანონიერად იქნეს განხილული მოკლე ვადაში და საქმის გარემოებები და საფუძვლები გულდასმითაა შესწავლილი.(*G.L. v. Italy* (dec.)).

ზემოდგომი ინსტანციის სასამართლოს შეუძლია გამოასწოროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა (*Hirvisaari v. Finland*). საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის მოკლე დასაბუთება ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებაზე მითითებით არ ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს უფლებას (*Gorou (no.2),*§§ 38-42). მიუხედავად ამისა, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არ არის უფლებამოსილი უბრალოდ დაეთანხმოს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, თუკი იგი არ არის საკმარისად დასაბუთებული (*Boldea v. Romania,*§§ 32-33).

დაუსაბუთებელი ან არასაკმარისი დასაბუთება

არ არის სავალდებულო, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეების მიერ წამოჭრილ ყველა არგუმენტს სცემდეს დეტალურ პასუხს(*Suominen v. Finland,* § 34; *Van de Hurk v. the Netherlands,* § 61) და ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოყვანილი მიზეზები შეიძლება გაზიარებულ იქნეს ამ დასაბუთების განმეორებით მოყვანის გარეშე (*Hirvisaari v. Finland,* § 32).

"დასაბუთების ვალდებულების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის გადაწყვეტილებაზეა საუბარი.გარდა ამისა, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს, მათ შორის, მომჩივანის მიერ წარდგენილი არგუმენტების მრავალფეროვნება და ხელშემკვრელ სახელმწიფოებში საკანონმდებლო დებულებების, ჩვეულებითი სამართლის ნორმების, სამართლებრივი დასკვნებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების მომზადებისა და წარდგენის თვალსაზრისით არსებული განსხვავებები."(*Ruiz Torija v. Spain*§ 29).

გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება სხვადასხვაგვარია იმის მიხედვით, თუ რა სახის გადაწყვეტილებაზეა საუბარი. *"დასაბუთების ვალდებულების მოცულობა/ფარგლები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის გადაწყვეტილებაზეა საუბარი. გარდა ამისა, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს, მათ შორის, მომჩივანის მიერ წარდგენილი განცხადებების/საჩივრების მრავალფეროვნება და ხელშემკვრელ სახელმწიფოებში არსებული განსხვავებები საკანონმდებლო დებულებების, ჩვეულებითი სამართლის ნორმების, სამართლებრივი დასკვნების და სასამართლო გადაწყვეტილებების მომზადებისა და წარდგენის თვალსაზრისით."(Hiro Balani v. Spain,* § 28).

მოცემული პრინციპი ასევე ვრცელდება სისხლისსამართალწარმოებაზეც (*Salov v. Ukraine*,* § 89).

დასაბუთებული გადაწყვეტილების შემადგენელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია ის, თუ რამდენად ადეკვატურად იქნა გათვალისწინებული წარდგენილი მტკიცებულებები. სამართლიანი სასამართლოს უფლება დაირღვევა, თუკი მხედველობაში არ იქნება მიღებული მნიშვნელოვანი მტკიცებულებები და არც იმის ახსნა მოხდება, თუ რატომ არ იქნა ეს მტკიცებულებები გათვალისწინებული (*Kuznetsov and Others v. Russia*, § 84).

ეროვნულმა სასამართლოებმა ნათლად უნდა დაასახელონ თავისი მსჯელობის განმაპირობებელი ასპექტები, განსაკუთრებით კი ისეთები, რომლებიც გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში(*Georgiadis v. Greece*, § 43).

გარდა ამისა,არგუმენტები, რომლებიც სამართლებრივი თვალსაზრისით არ არის ძალის მქონე ან მცდარ სამართლებლივ დასაბუთებს ეყრდნობა იმ კანონმდებლობის გათვალისწინებით, რომელიც საქმეზე ვრცელდება, არღვევს სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნას (*De Moor v. Belgium*, § 5; *Dulaurans*

v. France, § 38). გადაწყვეტილებები, რომლებიც არ არის ნათლად დასაბუთებული ან დასაბუთებაში შეუსაბამობებია, ან გადაწყვეტილებები, რომლებიც ურთიერთგამომრიცხველ არგუმენტებს ეყრდნობა, მიჩნეულ იქნება აშკარა თვითნებობად (*Tatishvili v. Russia**, §§ 59-63).

არ არის სავალდებულო, რომ მიზეზები წერილობით ან გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ იყოს წარდგენილი, თუკი დაცულია განმცხადებლის უფლება ეფექტურად წარადგინოს თავისი საჩივარი (*Hadjianastassiou v. Greece*).

გადაწყვეტილებების არასათანადო დასაბუთება შეიძლება მიჩნეულ იქნეს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად არა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით.*"გასაჩივრების უფლება ვერ იქნება ეფექტური, თუ გადაწყვეტილებაში არ არის ნათლად მითითებული ის საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული"*(*Hadjianastassiou v. Greece*, § 33)

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

De Moor v. Belgium, no. 16997/90, 23 June 1994
Dulaurans v. France, no. 34553/97, 21 March 2000 – Legal summary[3]
Grădinar v. Moldova, no. 7170/02, 8 April 2008 – Legal summary
Hiro Balani v. Spain, no. 18064/91, 09 December 1994
Ruiz Torija v Spain,no. 18390/91, 09 December 1994
Van de Hurk v. the Netherlands, no. 16034/90, 19 April 1994

სხვა წყაროები:

არასაკმარისი დასაბუთება ან დაუსაბუთებლობა:

სარჩელის მიღებაზე უარი მისი არსის განხილვის გარეშე : სასამართლომ დაადგინა დარღვევა .
Platakou v. Greece, no. 38460/97, 2001 წლის 11 იანვარი - Legal summary
სამოქალაქო სარჩელზე უარი მისი არსებითად შესწავლის გარეშე საჯარო პოლიტიკის ინტერესების საფუძველზე: დაუშვებელად იქნა ცნობილი
Clunis v. UK (dec.), no. 45049/98, 2001 წლის 11 სექტემბერი – Legal summary[4]
პენსიის შემცირების თაობაზე გადაწყვეტილება არ იყო სათანადოდ დასაბუთებული: სასამართლომ დაადგინა დარღვევა
Hirvisaari v. Finland, no. 49684/99,2001 წლის 27 სექტემბერი – Legal summary
საქმის განხილვის პროცესში სასამართლომ არ დაასაბუთა, თუ რატომ ცნო დაუშვებლად მტკიცებულებები: სასამართლომ დაადგინა დარღვევა
Suominen v. Finland, no. 37801/97, 2003 წლის 1 ივლისი – Legal summary
რაიონულმა სასამართლომ არ დასაბუთა, თუ რატომ მიიჩნია თავდაპირველად, რომ არ არსებობდა განმცხადებლის დანაშაულის ჩადენაში მამხილებელი მტკიცებულებები, თუმცა შემდგომ იგი დამნაშავედ ცნო ამომრჩეველთა უფლებების დარღვევაში: სასამართლომ დაადგინა დარღვევა
Salov v. Ukraine, no. 65518/01, 2005 წლის 6 სექტემბერი – Legal summary*
ეროვნულმა სასამართლომ არ შეისწავლა სახელმწიფოს მიერ კონვენციის სავარაუდო დარღვევის საქმე: სასამართლომ დაადგინა დარღვევა
Kuznetsov and others v. Russia,no. 184/02, 2007 წლის 11 იანვარი - Legal summary
სასამართლომ არ განიხილა ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების პროცესში მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არგუმენტები: სასამართლომ დაადგინა დარღვევა
Boldea v. Romania, no. 19997/02, 2007 წლის 15 თებერვალი – Legal summary
ეროვნულმა სასამართლოებმა არ დაასაბუთეს თავიანთი გადაწყვეტილებები: სასამრთლომ დაადგინა დარღვევა
Tatishvili v. Russia, no. 1509/02, 2007 წლის 22 თებერვალი – Legal summary*

3 საინფორმაციო ბარათი No. 16, 2000 წლის მარტი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო განხილვა, გვერდი 20
4 საინფორმაციო ბარათი No. 34, 2001 წლის სექტემბერი, მუხლი 6, სასამართლოს ხელმისაწვდომობა, გვერდი 6

განმცხადებელს დასაბუთების გარეშე ეთქვა უარი მისი საქმის არსებითად განხილვაზე: დარღვევა
Blumberga v. Latvia, no. 70930/01, 2008 წლის 14 ოქტომბერი - Legal summary
მიყენებული ზიანისთვის გაზეთის ფოტოგრაფისა და გამომცემლობისათვის სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრება არ იქნა დასაბუთებული: სასამართლომ დაადგინა დარღვევა Antică and "R" Company v. Romania, no. 26732/03, 2010 წლის 2 მარტი – Legal summary
არასაკმარისი დასაბუთების გამო, როდესაც მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებულ იქნა 40 წლიანი თავისუფლების აღკვეთა (ნაკლოვან მტკიცებულებაზე არაფერი იყო ნათქვამი): სასამართლომ დაადგინა დარღვევა
Ajdarić v. Croatia, no. 20883/09, 2011 წლის 13 დეკემბერი – Legal summary

თვითნებური დასაბუთება:

სარჩელი ზიანის ანაზღაურებაზე არ იქნა დაკმაყოფილებული იმის გამო, რომ თითქოსდა განმცხადებლის მხრიდან უხეშ დაუდევრობას ჰქონდა ადგილი, რაც გაკვრით იყო ნახსენები - ფაქტების საფუძვლიანად შეფასების მოთხოვნის დაუცველობა და განმცხადებლის უფლების რეალიზაციაზე უარის თქმის უფრო დამაჯერებელი დასაბუთების აუცილებლობა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა
Georgiadis v. Greece, no. 21552/93, 1997 წლის 29 მაისი – Legal summary
სასამართლომ გააკეთა განცხადებები პირის ბრალეულობის თაობაზე მიუხედავად იმისა, რომ ამ პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენი იქნა გამოტანილი: დარღვევა
Del Latte v. the Netherlands, no. 44760/98, 2004 წლის 9 ნოემბერი – Legal summary
სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებშიც სასამართლო კიცხავდა განმცხადებელს ისეთი დარღვევების ჩადენის გამო, რომლისთვისაც იგი ჯერ არ ყოფილა დამნაშავედ მიჩნეული ან გამართლებული: სასამართლომ დაადგინა დარღვევა
Diamantides v. Greece (no. 2), no.71563/01, 2005 წლის 19 მაისი – Legal summary
ადმინისტრაციულმა სასამართლომ განმარტა სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც განმცხადებელი გამართლებული იქნა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის შედეგად: სასამართლომ დაადგინა დარღვევა Vassilios Stavropoulos v. Greece, no. 35522/04, 2007 წლის 27 სექტემბერი – Legal summary
ეროვნული სასამართლოს მიერ გაკეთებული თვითნებური დასკვნები: სასამართლომ დაადგინა დარღვევა
Khamidov v. Russia, no.72118/01, 2007წლის 15 ნოემბერი – Legal summary
ერთი და იმავე მტკიცებულების დასაშვებობის თაობაზე ორი სხვადასხვა სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა განსხვავებული გადაწყვეტილებები, რომლებიც სათანადოდ არ იქნა დასაბუთებული: დარღვევა
S.C. IMH Suceava s.r.l. v. Romania, no.24935/04,2013 წლის 29 ოქტომბერი – Legal summary
სასამართლომ გამოსცა განჩინება ხანგრძლივი ვადით წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე მოპასუხის ბრალეულობის შესახებ წინასწარ შექმნილ აზრზე დაყრდნობით: დარღვევა
Chesne v. France, no. 29808/06, 2010 წლის 22 აპრილი – Legal summary

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება:

სისხლის სამართლის საქმეზე ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ იყო დასაბუთებული: დაუშვებელად იქნა ცნობილი

Papon v. France (dec.), no. 54210/00, 2001 წლის 15 ნოემბერი – Legal summary (გვ.19)

ბრალდებული ვერ უზრუნველყვეს საკმარისი საპროცესო გარანტიებით,რაც მას საშუალებას მისცემდა გაეგო მის მიმართ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის მიზეზები: სასამართლომ დაადგინა დარღვევა Taxquet v. Belgium[GC], no. 926/05, 2010 წლის 16 ნოემბერი – Legal summary*

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენში ასახულ იქნა ის საფუძვლები, რომელთა გამო ნაფიცმა მსაჯულებმა გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოიტანეს: სასამართლომ დაადგინა დარღვევა Agnelet v. France, no. 61198/08,2013 წლის 10 იანვარი – Legal summary

გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება საქმის სააპელაციო და საკასაციო წესით განხილვისას:

ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ არ იქნა დასაბუთებული საკითხები, რომლებიც საფუძვლიანად იყო შესწავლილი: დაუშვებლად იქნა ცნობილი

G.L. v. Italy (dec.), no. 15384/89, 1994 წლის 9 მაისი

საკასაციო საჩივარი ვერ იქნა დასაბუთებული იმის გამო, რომ სამხედრო სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში არ იყო მითითებული დასაბუთება და გასაჩივრებისთვის დადგენილი იყო მოკლე ვადა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა Hadjianastassiou v. Greece, no. 12945/87, 1992 წლსი 16 დეკემბერი – Legal summary

სააპელაციო სასამართლომ არგუმენტებს პასუხიარ გასცა: დარღვევას ადგილი არ ჰქონია Garcia Ruiz v. Spain, no. 30544/96,1999 წლის 21 იანვარი – Legal summary

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში განმცხადებლის მიერ წარდგენილ არგუმენტაციაზე არ გაკეთებულა მითითება: დაუშვებლად იქნა ცნობილი

Driemond Bouw BV v. the Netherlands (dec.), no. 31908/96, 1999 წლის 2 თებერვალი – Legal summary

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა განმცხადებლის მიერ წარდგენილი მოსაზრებების და არგუმენტაციის განხილვის გარეშე: სასამართლომ დაადგინა დარღვევა Quadrelli v. Italy[1], no. 28168/95, 2000 წლის 11 იანვარი – Legal summary[5]

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა აშკარა შეცდომის შედეგად: სასამართლომ დაადგინა დარღვევა Dulaurans v. France, no. 34553/94, 2000 წლის 21 მარტი

სასამართლოების მიერ საპროცესო კანონის მოთხოვნების იმგვარი ინტერპრეტაცია, რაც აფერხებს სარჩელებისა და საჩივრების არსებითად შესწავლას: სასამართლომ დაადგინა დარღვევა Běleš and others v. Czech Republic, no. 47273/99, 2002 წლის 12 ნოემბერი – Legal summary

სახელმწიფო საბჭოს (Conseil d'Etat) გადაწყვეტილება, რომლითაც წარმოებაში არ იქნა მიღებული საკასაციო საჩივარი, არ იყო დასაბუთებული: დაუშვებელად იქნა ცნობილი Bufferne v. France (dec.), no.54367/00, 2002 წლის 26 თებერვალი - Legal summary[6]*

საკასაციო საჩივარი არ იქნა წარმოებაში მიღებული იმ მიზეზით, რომ მითითებული საფუძვლები არ იძლეოდა საჩივრის დასაშვებად ცნობის საშუალებას: დაუშვებელად იქნა ცნობილი Burg and others v. France (dec.), no. 34763/02, 2003 წლის 28 იანვარი – Legal summary[7]

საკასაციო სასამართლოს მიერ გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილება შემდგომი გასაჩივრების უფლების გარეშე: დაუშვებლად იქნა ცნობილი Riha v. France (dec.), no. 71443/01,2004 წლის 24 ივნისი – Legal summary[8]

ეროვნული სასამართლოების მიერ არ მომხდარა განმცხადებლის მიერ წარდგენილი საჩივრის მნიშვნელოვანი საფუძვლების გამოკვლევა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა Pronina v. Ukraine, no. 63566/00, 2006 წლის 18 ივლისი – Legal summary

ნათელი პროცედურების არარსებობა და სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის თაობაზე გადაწყვეტილების მიუღებლობა: სასმართლომ დაადგინა დარღვევა Hajiyev v. Azerbaijan, no. 5548/03, 2006 წლის 16 ნოემბერი – Legal summary

სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით არგუმენტებისა და მოსაზრებების წარდგენაზე უარის თქმა

5 საინფორმაციო ბარათი No. 14, 2000 წლის იანვარი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, გვ. 8
6 საინფორმაციო ბარათი No. 39, 2002 წლის თებერვალი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, გვ. 17
7 საინფორმაციო ბარათი No. 49, 2003 წლის იანვარი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, გვ. 12
8 საინფორმაციო ბარათი No. 65, 2004 წლის ივნისი, მუხლი 6, შეჯიბრებითი სასამართლო პროცესი, გვ. 17

საფუძვლიანი განმარტებების გარეშე: სასამართლომ დაადგინა დარღვევა Dunayev v. Russia, no. 70142/01, 2007წლის 24 მაისი – Legal summary

საბოლოო გადაწყვეტილების მიუღებლობა განმცხადებლის საკონსტიტუციო სარჩელზე ხმების თანაბრად განაწილების გამო: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Marini v. Albania, no. 3738/02, 2007 წლის 18 დეკემბერი – Legal summary

სასამართლოს მიერ განმცხადებლის მიერ წარდგენილი საჩივრის ერთ-ერთი ძირითადი საფუძვლის, ასევე კონვენციის სავარაუდო დარღვევის განუხილველად დატოვება: სასამართლომ დაადგინა დარღვევა Wagner and j.m.w.l. v. Luxembourg, no. 76240/01, 2007 წლის 28 ივნისი – Legal summary

საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი,ვინაიდან იგი მითითებას აკეთებდა გაუქმებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემობებზე: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

L'erablière A.S.B.L. v. Belgium, no. 49230/07, 2009 წლის 24 თებერვალი – Legal summary**

საკასაციო სასამართლოში გასაჩივრებაზე შუამდგომლობის უარყოფა: დარღვევა არ დადგინდა

Gorou v. Greece (No. 2), no. 12686/03, 2009 წლის 20 მარტი – Legal summary

საჩივრის საფუძვლების შესწავლის თაობაზე განჩინება: დაუშვებელად იქნა ცნობილი

Cortina de Alcocer and de Alcocer Torra v. Spain (dec.),no. 33912/08, 2010 წლის 25 მაისი – Legal summary

ნაფიცი მსაჯულების მიერ დამნაშავედ ცნობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მისი დასაბუთების მოთხოვნის არარსებობა: დაუშვებელად იქნა ცნობილი

Judge v. The United Kingdom (dec.), no. 35863/10, 2011 წლის 8 თებერვალი – Legal summary

საჩივრების დასაშვებობის შესწავლაზე პასუხისმგებელი ინსტანციის მიერ განმარტებების მიუწოდებლობა საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Hansen v. Norway,[9]no. 15319/09, 2014 წლის 2 ოქტომბერი – Legal summary

დაკავშირებული თემები

37. **სასჯელის დასაბუთება**

2. მხარეთა თანასწორობა და პროცესის შეჯიბრებითობა

მოკლე შეჯამება

საქმის სამართლიანი განხილვის უფლების ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტი იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართალწარმოება მისი ისეთი ელემენტების ჩათვლით, რომლებიც პროცესუალურ მხარეს უკავშირდება,უნდა იყოს შეჯიბრებითი და დაცვისა და ბრალდების მხარეთა თანასწორობას უნდა უზრუნველყოფდეს.

დაცვის მხარისთვის მტკიცებულებების გაუმჟღავნებლობა შეიძლება გაანალიზებულ იქნეს, როგორც სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის მოთხოვნის (მტკიცებულებების გაცნობის და მოსამართლის წინაშე გამოკვლევის შესაძლებლობის), ასევე მხარეთა თანასწორობის პრინციპის (მტკიცებულებების გაცნობისა და მოსამართლის წინაშე თანასწორ პირობებში გამოკვლევის შესაძლებლობის) ჭრილში.

9 არ იყო დასრულებული წინამდებარე ანგარიშის მომზადების მომენტისთვის (20/12/2014)

ზოგადი პრინციპები

მხარეთა თანასწორობა

მხარეთა თანასწორობის პრინციპი საქმის სამართლიანი განხილვის განუყოფელი მახასიათებელია. ამ პრინციპის შესაბამისად,თითოეულ მხარეს უნდა ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა წარმოადგინოს თავისი საქმე იმ პირობებში, რაც მას არ აყენებს მნიშვნელოვნად არასახარბიელო მდგომარეობაში ოპონენტის წინაშე (*Foucher v. France**, § 34; *Bulut v. Austria*, §47; *Bobek v. Poland*, § 56; *Klimentyev v. Russia*, § 95). მხარეთა თანასწორობა მოითხოვს, რომ მხარეებს შორის სამართლიანი ბალანსი იყოს დაცული და ეს მოთხოვნა თანაბრად ვრცელდება როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართალწარმოებაზე.

მხარეთა თანასწორობის პრინციპი შესაძლებელია დაირღვეს, თუკი სისხლის სამართლის საპროცესო წესები კანონმდებლობით არ იქნება დარეგულირებული, რადგანაც ამგვარი წესების მიზანია, დაიცვას განსასჯელი თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებისგან და, შესაბამისად, თუ ასეთი წესები არ არის ნათლად გაწერილი, სწორედ დაცვის მხარე დაზარალდება უფრო მეტად აღნიშნულის შედეგად (*Coëme and Others v. Belgium*, § 102).

ბრალდებისა და დაცვის მოწმეები თანასწორ მდგომარეობაში უნდა იყვნენ. მიუხედავად ამისა, დარღვევად მიჩნევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება რომელიმე მხარის მოწმე (*Bönisch v. Austria*, § 32; *Brandstetter v. Austria*, § 45). დაცვისთვის მტკიცებულებების გაუმჟღავნებლობა შეიძლება მხარეთა თანასწორობის პრინციპის (და პროცესის შეჯიბრებითობის) დარღვევად იყოს მიჩნეული (*Kuopila v. Finland*, § 38). მხარეთა თანასწორობის პრინციპი შეიძლება ასევე დარღვეულად იყოს მიჩნეული, თუ ბრალდებულის წვდომა საქმის მასალებზე ან სხვა დოკუმენტებზე შეიზღუდება სახელმწიფო ინტერესების მოტივით (*Matyjek v. Poland*, § 65).

შეჯიბრებითი პრინციპი

შეჯიბრებითი განხილვის უფლება მხარეებს საშუალებას აძლევს გაეცნონ და საკუთარი მოსაზრება გამოთქვან წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით ან წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის მიზნით. მუხლი 6 § 1 ასევე მოითხოვს, რომ ბრალდების მხარემ დაცვის მხარეს გაუმჟღავნოს მის ხელთ არსებული ბრალდებულის მამხილებელი თუ გამამართლებელი ნებისმიერი მტკიცებულება (*Rowe and Davis v. the United Kingdom* [GC], § 60).

მტკიცებულებების გამჟღავნების ვალდებულება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. სისხლის სამართალწარმოების პროცესში შეიძლება არსებობდეს კონკურენტული ინტერესები (მაგ. ეროვნული უსაფრთხოება, ისეთი მოწმის დაცვის საჭიროება, რომელიც შეიძლება შურისძიების მსხვერპლი გახდეს, პოლიციის მიერ დანაშაულის გამოძიების მიზნით გამოყენებული მეთოდების თაობაზე საიდუმლოების დაცვა, სხვა პირის ფუნდამენტური უფლებები, მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესების დაცვა და სხვა) და ბრალდებულის უფლებების რელიზაცია ამ ინტერესების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. (*Khan v. the United Kingdom*, §§ 34-40, *Edwards v. the United Kingdom*, §§ 33-39).

სისხლის სამართალწარმოება არასრულწლოვნის, თუნდაც 11 წლის ასაკის პირის **მიმართ,** როგორც ასეთი, არ წარმოადგენს მუხლი 6 § 1-ით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვნის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართალწარმოების პროცესში **გათვალისწინებული იყოს მისი ასაკი, მისი სიმწიფის, ინტელექტუალური და ემოციური განვითარების დონე და შესაძლებლობები**. ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ არასრულწლოვანს ესმოდეს და მონაწილეობას იღებდეს სისხლის სამართალწარმოების პროცესში (*T. v the United Kingdom*, § 84).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Bönisch v. Austria,8658/79, 1985 წლის 6 მაისი

Khan v. the United Kingdom, 35394/97, 2000 წლის 12 მაისი – Legal summary

Kuopila v. Finland, 27752/95,2000 წლის 27 აპრილი – Legal summary[10]

T. v the United Kingdom, 24724/94, 1999 წლის 16 დეკემბერი– Legal summary

სხვა წყაროები:

სისხლის სამართლის საქმის მასალებისადმი წვდომასა და ასლების გადაცემაზე უარის თქმა ბრალდებულისათვის, რომლის საქმეც განსახილველად სასამართლოს გადეგზავნა სასამართლოში გამოძახების პირდაპირი პროცედურით და იგი თავად იცავდა საკუთარ თავს: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Foucher v. France, no.22209/93, 1997წლის 18 მარტი – Legal summary

გენერალურმა პროკურორმა მესამე მხარის წერილობითი შეპასუხების წარდგენა მოითხოვა, რამაც საშუალება მისცა განმცხადებლის საჩივართან დაკავშირებით პოზიციის ადაპტირება მოეხდინა. წერილობითი შეპასუხება არ გადაეცა დაცვის მხარეს, რის გამოც მან თავისი პასუხი ვერ მოამზადა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Bulut v. Austria, no. 17358/90, 1996 წლის 22 თებერვალი – Legal summary

სასამართლო განხილვის პროცესში შეუძლებელი იყო ჩანაწერების წარმოება და სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება მხარეს არ ჩაბარდა და არც მისი გასაჯაროება მომხდარა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Bobek v. Poland, no. 68761/01, 2007 წლის 17 ივლისი – Legal summary

იმ მოწმეების დაკითხვის შეუძლებლობა, რომელთა ჩვენებები სასამართლოში იქნა წაკითხული; ასევე ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნაში მონაწილეობის მიღების და საქმის მასალების ნაწილისადმი წვდომის შეუძლებლობა; საქმეში გარკვეული დოკუმენტების თარგმანების არარსებობა; საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ცვლილებების ასლის მიუწოდებლობა; ადვოკატის შეცვლაზე უარი, რომელიც სასამართლო პროცესის მსვლელობისას შეუძლოდ შეიქმნა: სასამრთლომ დარღვევა არ დაადგინა

Klimentyev v. Russia, no. 46503/99, 2006 წლის 16 ნოემბერი – Legal summary

ნათელი საპროცესო ნორმების არარსებობა, რის გამოც დაცვა არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Coëme and Others v. Belgium, 2000 წლის 22 ივნისი – Legal summary

სხვა ექსპერტის დანიშვნაზე უარი და მოწმეების გამოუძახებლობა, როდესაც სასამართლო ექსპერტის დასკვნა ბრალდების მხარის ვერსიას ამყარებს: სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა

Brandstetter v. Austria, no. 13468/87, 1991 წლის 28 აგვისტო – Legal summary

ლუსტრაციის საქმეზე საქმის მასალებისადმი წვდომის შეზღუდვა, რის შედეგადაც პირს დროებით აეკრძალა საჯარო თანამდებობაზე ყოფნა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Matyjek v. Poland, no. 38184/03, 2007 წლის 24 აპრილი – Legal summary

ბრალდების მხარის მიერ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა სახელმწიფო ინტერესებზე აპელირებით: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Rowe and Davis v. the United Kingdom [GC], no. 28901/95, 2000 წლის 16 თებერვალი – Legal summary

სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობა, როდესაც პოლიციამ არ გაუმჟღავნა დაცვას გარკვეული ფაქტები - ხარვეზი, რომელიც სააპელაციო სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში, რათა მსჯავრდება

10 საინფორმაციო ბარათი No. 17, 2000 წლის აპრილი, მუხლი 6, მხარეთა თანასწორუფლებიანობა , გვ 22, 39.

დაუსაბუთებლად ან მიუღებლად მიეჩნია: სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა

Edwards v. the United Kingdom, no. 13071/87, 1992 წლის 16 დეკემბერი– Legal summary

დაცვის მხარეს უარი ეთქვა იმ მოწმის გამოძახებაზე, რომელსაც განმარტებები უნდა მიეწოდებინა იმ ბუნდოვანი ვითარების თაობაზე, რომელიც პირისთვის ბრალის წაყენების საფუძველს წარმოადგენდა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Kasparov and others v. Russia, 21613/07, 2013 წლის 3 ოქტომბერი – Legal summary

სასამართლომ უარი თქვა იმ მოწმის მოსმენაზე, ვინც განმცხადებლის სასარგებლოდ იძლეოდა ჩვენებას მაშინ, როდესაც მეორე მხარის არგუმენტებთან დაკავშირებით კვლავ გაურკვევლობები არსებობდა: სასამართლომ დაუშვებლად ცნო

Mercümek v. Turkey (dec.), 36591/97, 2000 წლის 5 დეკემბერი – Legal summary[11]

სამოქალაქო საქმეზე მხარეს უარი ეთქვა მის მიერ მოწვეული მოწმის მოსმენაზე ისეთი მიზეზით, რომელიც ეწინააღმდეგებოდა სასამართლოს მიერ მეორე მხარის მოწმის მოსმენაზე თანხმობას: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Perić v. Croatia, no. 34499/06, 27 March 2008 – Legal summary

დაკავშირებული თემები

3. მტკიცებულებები

3. მტკიცებულებები

მოკლე შეჯამება

სასამართლო ეროვნული სასამართლოს მიერ მტკიცებულების დაშვებაზე და გამოყენებაზე შეზღუდულ ზედამხედველობას ახორციელებს „მეოთხე ინსტანციის“ დოქტრინის შესაბამისად და იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ ეროვნული სასამართლოები უკეთეს მდგომარეობაში არიან, რომ გადაწყვიტონ ეს საკითხი, რადგანაც საქმის მასალები მათთვის ხელმისაწვდომია და შესაბამისი გამოცდილება გააჩნიათ.

სასამართლო შეისწავლის, მთლიანობაში რამდენად იყო დაცული სამართლიანი სასამართლოს პრინციპი, მათ შორის, თუ როგორ იყო მტკიცებულებები წარდგენილი.შეფასებულ იქნება მტკიცებულებებთან დაკავშირებული დისბალანსი ან სამართალწარმოების სამართლიანობა მთლიანობაში, ასევე განმცხადებლის მიერ სასამართლო პროცესში ეფექტურად მონაწილეობის შესაძლებლობა და დაცვის უფლების შესაძლო დარღვევები.

მტკიცებულებების მოძიება და წარდგენა მე-6 მუხლის §§ 2 და 3-ის მოთხოვნებთან შესაბამისობაში უნდა იყოს.

ძირითადი პრინციპები

სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცებულებების გამოყენება უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე უნდა ხორციელდებოდეს, მტკიცების ტვირთის ბრალდების მხარეზე დაკისრებით, რომელმაც საკმარისი მტკიცებულებები უნდა მოიძიოს იმისთვის, რომ მოხდეს პირის მსჯავრდება, ხოლო რაიმე სადავო მტკიცებულების შემთხვევაში საკითხი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაიჭრას. (*Barberà, Messegué and Jabardo v. Spain*, §§ 76, 77).

მტკიცებულებები საჯაროდ უნდა იყოს წარდგენილი, პროცესის შეჯიბრებითობის მოთხოვნის დაცვით. აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებების განადგურება ან დაკარგვა არ ახდენს ზეგავლენას სასამართლო

11 საინფორმაციო ბარათი No. 25, 2000 წლის დეკემბერი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო, გვ 13

პროცესის სამართლიანობაზე, თუ შედეგად დაცვის ინტერესები არ დაზარალდება (*Sofri and Others v. Italy* (dec.)).

სასამართლოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ, რომ მტკიცებულებები სათანადოდ და სამართლიანად იქნეს წარდგენილი(*Barberà, Messegué and Jabardo v. Spain*).

მტკიცებულებების წარდგენა ასევე სასამართლოს შესწავლის საგანს წარმოადგენს. როდესაც მოწმეების მიერ მანამდე მიცემული ჩვენებების წაკითხვა ხდება სასამართლოს წინაშე და სასამართლო შეკითხვას სვამს, ადასტურებს თუ არა მოწმე მანამდე მიცემულ ჩვენებას, სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა მე-6 მუხლთან შესაბამისობის საკითხი წარმოიშვას, რადგანაც მოწმის ჩვენების მნიშვნელობა შეიძლება დაკნინდეს, რადგანაც მოწმეს ახსენებენ მის მიერ მანამდე მიცემულ ჩვენებას. მიუხედავად ამისა, თუ მხარეებს ამასთან დაკავშირებით დამატებითი შეკითხვების დასმის შესაძლებლობა აქვთ მტკიცებულებების სისწორის გადამოწმების მიზნით, ასეთ შემთხვევაში სასამართლო პროცესი არ იქნება მიჩნეული უსამართლოდ. (*Hauschildt v. Denmark* (dec.)).

თანამზრახველის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოყენება, რომელიც განთავისუფლებულია პასუხისმგებლობისგან, შეიძლება მე-6 მუხლთან მიმართებით პრობლემას ქმნიდეს, თუ ეს გარემოება არ არის ცნობილი დაცვისთვის ან სასამართლოსთვის და პირის სანდოობა სათანადოდ არ არის გადამოწმებული და დადასტურებული (*Cornelis v. the Netherlands* (dec.)).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Hauschildt v. Denmark, no. 10486/83, 1986 წლის 9 ოქტომბერი

სხვა წყაროები

სააპელაციო სასამართლომ უარი თქვა დაცვის მხარის მოწმეთა მოსმენაზე, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე დაიკითხნენ: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Destrehem v. France, no.*56651/00, 2004 წლის 18 მაისი – Legal summary*[12]

ცილისწამების საქმეზე ბრალდებულის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დაშვებაზე უარი: სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

Perna v. Italy[GC], no. 48898/99, 2003 წლის 6 მაისი – *Legal summary*

ბრალდებულის მიერ მოთხოვნილი მტკიცებულებების დაშვებაზე უარი: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Georgios Papageorgiou v. Greece, no.59506/99, 2003 წლის 9 მაისი – *Legal summary*

ნივთიერი მტკიცებულებები (იარაღი), რომელთა არსებობასაც ამტკიცებდა ბრალდების მხარე, სასამართლოში არ ყოფილა წარმოდგენილი: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Barberà, Messegué and Jabardo v. Spain, no.10590/83, 1988 წლის 6 დეკემბერი

ნივთმტკიცებების დაუდევრობით განადგურება, რის შედეგადაც დაცვის მხარის ინტერესები არ დაზარალებულა: სასამრთლომ დაუშვებელად ცნო

Sofri and Others v. Italy (dec.), no.37235/97, 2003 წლის 27 მაისი - *Legal summary*[13]

მსჯავრდება გაუპატიურების სამ ეპიზოდში, რაც მნიშვნელოვანწილად დაზარალებულების მიერ პოლიციისთვის მიცემულ ჩვენებებს ეფუძნებო და დაცვის მხარეს არ მიეცა მოწმეების დაკითხვის შესაძებლობა: სასამართლომ დაუშვებელად ცნო

C.R.R Scheper v. The Netherlands (dec.), no. 39209/02, 2005 წლის 5 აპრილი – *Legal Summary*

12 საინფორმაციო ბარათი No. 64, 2004 წლის მაისი, მუხლი 6, მოწმის უსაფრთხო დასწრება, გვ. 19
13 საინფორმაციო ბარათი No. 53, 2003 წლის მაისი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო, გვ 14.

მსჯავრდება, რომელსაც საფუძვლად დაედო უმეტესწილად პოლიციის ოფიცრების ჩვენებები, რომელთა გამოკითხვის შესაძლებლობა ბრალდებულს არ მიეცა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Hulki Guneş v. Turkey, no. 28490/95, 2003 წლის 19 ივნისი – *Legal summary*

მსჯავრდება ნაწილობრივ დაეფუძნა იმავე დანაშაულში იმ ბრალდებულის ჩვენებებს, რომელიც ბრალდებას გაურიგდა: სასამართლომ დაუშვებლად ცნო

Cornelis v. the Netherlands (dec.), no.994/03, 2004 წლის 25 მაისი – *Legal summary*[14]

ბრალდების მხარის მიერ შეტანილი საჩივრის განხილვის შედეგად პირს მსჯავრი დაედო უზენაესი სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ბრალდებულის პირადად მოსმენის გარეშე: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Sigurthor Arnarsson v. Iceland, no.44671/98, 2003 წლსი 15 ივლისი – *Legal summary*

სააპელაციო სასამრთლომ გაუპატიურებაში ბრალდებული პირის მიერ მოპოვებული ახალი მტკიცებულებები არ მიიღო: სასამართლომ დაუშვებლად ცნო

Oyston v. the United Kingdom (dec.), no. 42011/98, 2002 წლის 22 იანვარი – *Legal summary*[15]

ექსპერტის თავდაპირველი პოზიციის შეცვლის შემდეგ განმცხადებელმა მოითხოვა დამატებითი ექსპერტიზის ჩატარება, რაზეც მას უარი ეთქვა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

G.B. v. France, no. 44069/98, 2001 წლის 2 ოქტომბერი – *Legal summary*[16]

სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა მოპასუხის კომპანიაში დასაქმებულების საექსპერტო მოსაზრებებს: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Sara Lind Eggertsdóttir v. Iceland, no. 31930/04, 2007 წლის 5 ივლისი – *Legal summary*

ბრალდების მხარის მოთხოვნით ბრალდებულის გამამართლებელი განაჩენის გაუქმება ახალი მტკიცებულებების წარდგენის გარეშე: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

*Bujniţa v. Moldova,*no. 36492/02, 2007 წლის 16 იანვარი – *Legal summary*

სხეულზე დამაგრებული მოსასმენი მოწყობილობით ჩაწერილი საუბრისა და სატელეფონო ზარების სიის გამოყენება მტკიცებულების სახით: სასამართლომ დაღვევა არ დაადგინა

Heglas v. the Czech Republic, no. 5935/02, 2007 წლის 1 მარტი – *Legal summary*

სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების ნაწილობრივი გამჟღავნება, რომელთან დაკავშირებითაც სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე იმუნიტეტის მოწმობა გაიცა: სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

Botmeh and Alami v. the United kingdom, no. 15187/03, 2007 წლის 7 ივნისი –*Legal summary*

სასამართლომ უარი თქვა ექსპერტის ჩვენების მოსმენაზე სქესის ცვლილებასთან დაკავშირებული ოპერაციის სამედიცინო ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქმეზე: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Schlumpf v. Switzerland, no. 29002/06, 8 2009 წლის 8 იანვარი – *Legal summary*

ბრალდებულის მიერ გაუპატიურების მსხვერპლის გამოკითხვის შეუძლებლობა, რომელმაც თავი მოიკლა პოლიციისთვის ჩვენების მიცემის შემდეგ: სასამართლომ დაუშვებელად ცნო

Mika v. Sweden (dec.), no. 31243/06, 2009 წლის 27 იანვარი –*Legal summary*

---

14 საინფორმაციო ბარათი No. 64, 2004 წლის მაისი, მუხლი 6. სამართლიანი სასამართლო, გვ 18
15 საინფორმაციო ბარათი No. 38, 2002 წლის იანვარი, მუხლი 6. სამართლიანი სასამართლო, გვ 12
16 საინფორმაციო ბარათი No. 35, 2001 წლის ოქტომბერი, მუხლი 6. სამართლიანი სასამართლო, გვ 21

საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ დაცვის მხარეს არ გადაეცა ოპერატიული ქმედებების ამსახველი მასალები და უარი ეთქვა დაცვის მიერ გამოკითხულ მოწმეთა ჩვენებების დაშვებაზე: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Mirilashvili v. Russia, no. 6293/04, 2008 წლის 11 დეკემბერი – *Legal summary*

უკანონო ორგანიზაციის წევრობაში ბრალდებული პირის საქმეზე პოლიციის მიერ მისი მამხილებელი მტკიცებულებების დაშვება, როდესაც ინფორმაციის წყარო არ იყო გამჟღავნებული: სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

Donohoe v. Ireland, no. 19165/08, 2013 წლის 12 დეკემბერი – *Legal summary*

ანონიმური მოწმის მიერ გაკეთებული ჩვენების გამოყენება ბრალდებულის მსჯავრდებისთვის: სასამართლომ დაუშვებლად ცნო

Kok v. the Netherlands (dec.), no. 43149/98, 2000 წლის 4 ივლისი – *Legal summary*[17]

ანონიმური მოწმის მიერ გაკეთებული განცხადებების გამოყენება სასამართლო პროცესის დროს: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Visser v. Netherlands,* no. 26668/95, 2002 წლის 14 თებერვალი – *Legal summary*

დაკავშირებული თემები

4. ზეპირი მტკიცებულებების შეფასება და გამოყენება

5. წერილობითი მტკიცებულებების გამოყენება

6. ნივთიერი მტკიცებულებების შეფასება

10. პირდაპირი მტკიცებულებები

16. მტკიცებულებების დასაშვებობა

4. ზეპირი მტკიცებულებების შეფასება და გამოყენება

მოკლე შეჯამება

სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ზეპირ მტკიცებულებებს. სასამართლო მოითხოვს განმცხადებლისა და შესაბამისი მოწმეების მოსმენის ვალდებულების პატივისცემას, რათა დადგინდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, საქმის სამართლიანი განხილვისა და დაცვის უფლებების შესაბამისად.

რაც შეეხება მოწმეებს, სასამართლო წაახალისებს მოწმეების, მათ შორის ანონიმური მოწმეების ჩვენებების შესწვალას და მოითხოვს ეროვნული სასამართლოებისგან ამ ჩვენებების ნამდვილობისა და სანდოობის დადგენას. სასამართლო ასევე ხაზს უსვამს ექსპერტების დასკვნების მნიშვნელობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი მოსაზრებების მიღება ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით. მოწმეებთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები ვრცელდება ექსპერტებზეც .

ზოგადი პრინციპები

საქმის საჯარო სასამართლო სხდომაზე ზეპირი განხილვამე-6 (§1) მუხლითგათვალისწინებული ფუნდამენტური პრინციპია. მოცემული პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისხლის სამართალწარმოების კონტექსტში, რამდენადაც ამ შემთხვევაში,ზოგადი წესის თანახმად, პირველი ინსტანციით საქმის განმხილველი ტრიბუნალი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს მე-6 მუხლის მოთხოვნებს და განმცხადებელს უნდა ჰქონდეს მისი საქმის განხილვის უფლება, ასევე შესაძლებლობა, მათ შორის,

17 საინფორმაციო ბარათი No. 20, 2000 წლის ივლისი, მუხლი 6, მოწმეების გამოკითხვა, გვ 31

წარადგინოს მტკიცებულება საკუთარი თავის დაცვის მიზნით, გამოკითხოს და ჯვარედინი დაკითვხის სახით კითხვები დაუსვას მოწმეებს (*Jussila v. Finland*,§ 40).

მოწმის გამოძახების შეუძლებლობა თავისთავად არ ნიშნავს განმცხადებლის უფლების დარღვევას გამოკითხოს ან დააკითხინოს მოწმე, რომელიც მის წინააღმდეგ ჩვენებას იძლევა, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც განმცხადებელმა ვერ დაასაბუთა ამ მოწმის გამოძახების აუცილებლობა იმისთვის, რომ სიმართლე დადგენილიყო, ან არ დაამტკიცა, რომ მოწმის გამოკითხვაზე უარის თქმა მისი დაცვის უფლებას არღვევდა. სასამართლომ არაერთგზის მიუთითა, რომ არ არის სავალდებულო დადგინდეს, რომ მოწმე ნამდვილად ვერ იქნა მოძებნილი. (*Craxi v. Italy*, § 83).

როდესაც ადგილი აქვს განმცხადებლის მსჯავრდებას მის წინააღმდეგ არსებულ ურთიერთგამომრიცხველ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ მოწმის მოსმენაზე უარის თქმა,მათი ჩვენებების რელევანტურობის მიუხედავად,ზღუდავს დაცვის უფლებას, რაც შეუსაბამოა მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლებასთან (*Popov v. Russia*, § 188).

"მტკიცებულებებს, რომლებიც მიღებულია მოწმისგან დაპირების სანაცვლოდ, რა დროსაც დაცვის მხარის უფლებები ვერ იქნება იმ მოცულობით გარანტირებული, როგორც ამას ჩვეულებრივ კონვენცია მოითხოვს, უაღრესი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. სასამართლო დარწმუნდა, რომ სისხლის სამართალწარმოების პროცესში, რის შედეგადაც განმცხადებელს მსჯავრი დაედო, ეს ასპექტი სათანადოდ იყო გათვალისწინებული, რასაც სააპელაციო სასამართლოს განცხადებაც ადასტურებს, რომლის შესაბამისადაც ,, სააპელაციო სასამართლომ საჭირო სიფრთხილითა და გულდასმით შეისწავლა ჩვენებები". ... სასამართლო აბსტრაქტულად ვერ დაადგენს, რომ ღია სასამართლო სხდომაზე და ფიცის ქვეშ მოწმის მიერ მიცემული ჩვენებები ყოველთვის სანდოა და მათ უპირატესი ძალა უნდა მიენიჭოთ იმავე მოწმის მიერ მიცემულ სხვა ჩვენებებთან მიმართებით, რომლებიც მან სისხლის სამართალწარმოების პროცესში მისცა, მაშინაც კი, თუ ეს ჩვენებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. შესაბამისად, სასამართლოს არ მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ნ-ის მტკიცებულებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება დამოუკიდებლად ან სხვა ასპექტებთან ერთობლიობაში არღვევს განმცხადებლის უფლებას საქმის სამართლიან განხილვაზე" (*Doorson v. The Netherlands*, §§ 76- 78).

მაშინაც, როდესაც შესაბამისი ზომებია მიღებული იმის საკომპენსაციოდ, რა პირობებშიც დაცვას მოუწია მუშაობა, მსჯავრდება სრულად ან მნიშვნელოვანწილად არ უნდა ეფუძნებოდეს ანონიმური მოწმის ჩვენებებს (*Doorson v. The Netherlands*, § 76).

ეროვნული სასამართლოს მიერ ანონიმური მოწმეების არ დაკითხვა და მათ მიერ მიცემული ჩვენებების, მათ შორის იმ გარემოებების, რომლებშიც ეს ჩვენებები იქნა მიცემული, დეტალურად არ შესწავლა, შეიძლება მიჩნეული იქნეს კონვენციის მე-6 მუხლის 1 და 3 (დ) პარაგრაფებით გათვალისწინებული განმცხადებლის დაცვისა და საქმის სამართლიანი განხილვის უფლებების დარღვევად (*Birutis and Others v. Lithuania*, § 34).

"*მოწმეები, რომლებიც საქმის განმხილველი ან გამოძიების მოსამართლის წინაშე იძლევიან ჩვენებას, ვალდებულნი არიან სიმართლე ილაპარაკონ. მოცემულ საქმესთან მიმართებით ნათელი ხდება, რომ მოწმეების ჩვენებები არ შეესაბამება სიმართლეს [...] მდგომარეობა განსხვავებული იქნებოდა, თუკი ბრალდება, ყოველგვარი გამამართლებელი მიზეზების გარეშე, ისეთ ზომას მიმართავდა, რომელიც ზეწოლას მოახდენდა მოწმეებზე. მიუხედავად ამისა, როდესაც შესაძლო ზეწოლა იმის თანმდევი შედეგია, რომ ჩვენებები აშკარად არ შეესაბამებოდა სიმართლეს, აღნიშნული სისხლის სამართალწარმოების დაცვის ელემენტად უნდა იქნეს მიჩნეული. კომისიამ უნდა გაითვალისწინოს მოცემული კონტექსტი და ის, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დანიშნულებაა საზოგადოების დაცვა და მოწმის მიერ სიმართლის თქმის ვალდებულების ზედმიწევნით შესრულების უზრუნველყოფა"* (*X and Y v. the Federal Republic of Germany*, § 141).

ის გარემოება, რომ ექსპერტი იმავე დაწესებულების ან ლაბორატორიის თანამშრომელია, სადაც მუშაობს ექსპერტი, რომლის დასკვნასაც ეფუძნება საბრალდებო დასკვნა, თავისთავად არ მიანიშნებს იმაზე, რომ ეს

პირი ვერ იქნება მიუკერძოებელი. თუ საწინააღდეგოს მივიჩნევთ, ეს ხშირ შემთხვევებში გაუმართლებლად შეზღუდავს სასამართლოებს, რომ მოიპოვონ საექსპერტო დასკვნა (*Brandstetter v. Austria*, § 44).

თვისთავად ის გარემოება, რომ ექსპერტმა სასამართლოს წინაშე იმ მოსაზრებისგან განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა, რომელიც მან წერილობით დასკვნაში წარადგინა, თავისთავად არ წარმოადგენს საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპის დარღვევას. აღნიშნულის მსგავსად, საქმის სამართლიანი განხილვის უფლება არ მოითხოვს, რომ ეროვნულმა სასამართლომ დაცვის მხარის მოთხოვნის შესაბამისად სხვა ექსპერტი უნდა მოიწვიოს მაშინაც კი, როდესაც დაცვის მიერ მოწვეული ექსპერტი ბრალდების პოზიციას უჭერს მხარს.(*Brandstetter v. Austria*,§ 46). შესაბამისად, მეორე ექსპერტის დასკვნის მიღებაზე უარის თქმა თავისთავად ვერ ჩაითვლება სამართლიანობის დარღვევად. მიუხედავად ამისა, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით ექსპერტმა არა მხოლოდ იმ მოსაზრებისგან განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა სასამართლოს წინაშე, რომელიც წერილობით დასკვნაში იყო ასახული, არამედ მან სრულიად შეცვალა თავისი პოზიცია იმავე სხდომის მსვლელობისას[...] სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ დაცვის მხარემ სხვა ექსპერტის მოწვევის შუამდგომლობა მას შემდეგ წარადგინა, რაც ექსპერტმა სრულიად შეცვალა თავისი პოზიცია, რაც განმცხადებლის მდგომარეობას სერიოზულად ამძიმებდა. მიუხედავად იმისა, რომრთულია იმის მტკიცება, თუ რა ზეგავლენა მოახდინა ექსპერტის აზრმა ნაფიცი მსაჯულების შეფასებაზე, სასამართლო ვარაუდობს, რომ მაღალი ალბათობაა იმისა, რომ პოზიციის ასეთი რადიკალური ცვლილება ექსპერტის აზრს განსაკუთრებულ წონას მატებს“ (*G.B. v. France*, §§ 68- 70).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Birutis and Others v. Lithuania, nos. 47698/99 და 48115/99, 2002 წლის 28 მარტი – Legal summary

Brandstetter v. Austria, no. 11170/84; 12876/87; 13468/87, 1991 წლის 28 აგვისტო – Legal summary

Craxi v. Italy[1]*, no 34896/97,2002 წლის 5 დეკემბერი – Legal summary*

Doorson v. The Netherlands, no. 20524/92,1996 წლის 26 მარტი – Legal Summary

G.B. v. France, no. 44069/98, 2001 წლის 2 ოქტომბერი – Legal summary[18]

Jussila v. Finland, no 73053/01,2006 წლის 23 ნოემბერი – Legal summary

Popov v. Russia, no. 26853/04, 2006 წლის 13 ივლისი – Legal Summary

X and Y v. the Federal Republic of Germany, no. 8744/79, 1983წლის 2 მარტი

სხვა წყაროები:

დაზარალებულის მიერ პოლიციაში მიცემული ჩვენება სასამართლო პროცესზე მტკიცებულებად იყო გამოყენებული: სასამართლომ დაუშვებლად ცნო

Verdam v. The Netherlands (dec.), no. 35253/97, 1999 წლის 31 აგვისტო – Legal summary[19]

მსჯავრდება უმეტეს წილად დაეყრდნო მოწმის ჩვენებას, რომელიც შემდგომ უარყოფილ იქნა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Orhan Çaçan v. Turkey, no. 26437/04, 2010 წლის 23 მარტი – Legal summary

მსჯავრდება დაეყრდნო წინასასამართლო ეტაპზე ძირითადი მოწმის ჩვენებას, რომელიც მან სასამართლოზე უარყო: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Erkapić v. Croatia, no. 51198/08, 2013 წლის 25 აპრილი – Legal summary

18 საინფორმაციო ბარათი No. 35, 2001 წლის ოქტომბერი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო, გვ 21.
19 საინფორმაციო ბარათი No. 9, 1999 წლის აგვისტო, მუხლი 6, მოწმეების გამოძახება და დაკითხვა, მუხლი 6

დაკავშირებული თემები

3. მტკიცებულება

7. აღიარება, როგორც მტკიცებულება

11. ირიბი ჩვენება

5. წერილობითი მტკიცებულების შეფასება

მოკლე შეჯამება

წერილობითი და დოკუმენტური მტკიცებულების შეფასება ზოგადი პრინციპებისა და სასამართლოს მიერ ზეპირ მტკიცებულებისა და ჩვენების მიმართ დადგენილი მოთხოვნების დაცვით უნდა განხორციელდეს.

ირიბი ან დოკუმენტური მტკიცებულების გამოყენება არ იკრძალება კონვენციის საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპის შესაბამისად, თუმცა ამან შეიძლება პრობლემები წამოჭრას, როცა ის საქმეში არსებული ერთადერთი მტკიცებულებაა. როდესაც სავარაუდო მოწმეთა წერილობითი ჩვენებები წარმოადგენს პირის მსჯავრდების საფუძველს და მას სამართალწარმოების მსვლელობისას ამ ჩვენებების ნამდვილობის ეჭვქვეშ დაყენების საშუალება არ ეძლევა, მე-6 მუხლთან მიმართებით პრობლემა წარმოიშობა.

ძირითადი პრინციპები

სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ დამატებითი დოკუმენტური მტკიცებულებების მოძიება, როგორც ასეთი, არ ეწინააღმდეგება საქმის სამართლიანი განხილვის მოთხოვნას. პრობლემა შეიძლება წარმოიქმნას, როდესაც მხარეს ეს მტკიცებულებები არ მიეწოდება. მაშინაც კი, თუ დოკუმენტური მტკიცებულება წარდგენილი და წაკითხული იქნა სასამართლო პროცესზე, დაცვის მხარის უფლება შეჯიბრებით პროცესზე ვერ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, ამ მტკიცებულებების ხასიათიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე. პროცესის მხარეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს ამ მტკიცებულებებს სასამართლო სხდომამდე და მას ასევე საშუალება უნდა მიეცეს, მტკიცებულების არსებობასთან, მის შინაარსთან და ნამდვილობასთან დაკავშირებით წარადგინოს მოსაზრებები შესაბამისი ფორმით და შესაბამის დროს, თუკი ამის საჭიროება არსებობს, წერილობით და წინასწარ (*Krcmar and Others v. Czech Republic*, §§ 38- 42).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის წინააღმდეგ სისხლის სამართლებლივი დევნა მის წინააღმდეგ წარმოებული მიკერძოებული ადმინისტრაციული მოკვლევის ანგარიშზე დაყრდნობით: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Poncelet v. Belgium, no. 44418/07, 2010 წლის 30 მარტი – Legal summary

სავარაუდო მოწმის მიერ მიცემული წერილობითი ჩვენების გამოყენება და მსჯავრდების დაფუძნება ძირითადად ბრალდებულის საკუთარ განცხადებებზე, რომელიც მან პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე გააკეთა: სასამართლომ დაუშვებლად ცნო

S. v. Germany (dec.), no. 8945/80, 1983 წლის 13 დეკემბერი

მხარეებს არ ეცნობათ სასამართლოს ხელთ არსებული მტკიცებულებების შესახებ: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Krcmar and Others v. Czech Republic, no. 35376/97, 2000 წლის 3 მარტი – Legal summary[20]

დაკავშირებული თემები

3. მტკიცებულება

20 საინფორმაციო ბარათი No. 16, 2000 წლის მარტი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო განხილვა, გვ 19.

10. პირდაპირი მტკიცებულება
16. მტკიცებულების დასაშვებობა

6. ნივთიერი მტკიცებულებების შეფასება

მოკლეშე ჯამება

სასამართლო მიიჩნევს, რომ ნივთიერი მტკიცებულებები მხედველობაშია მისაღები, განსაკუთრებით სისხლის სამართალწარმოების პროცესში. ნივთიერ მტკიცებულებებს მიეკუთვნება სამედიცინო და ფსიქიატრიული შემოწმების შედეგები, საუბრების მოსმენის ჩანაწერები და აუდიო და ვიდეო ჩანაწერები.

ეროვნულ ხელისუფლებას უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერიოს ადამიანის პირად ცხოვრებაში მტკიცებულებების მიღების მიზნით, როდესაც ამის გაკეთება აუცილებელია საზოგადოებისა და მართლწესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად, წინააღმდეგ შემთხვევაში ECHR-ის ძირითადი პრინციპების დარღვევას შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

ძირითადი პრინციპები

36. საქმის სამართლიანი განხილვის უფლების ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტი იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართალწარმოება, მისი ისეთი ელემენტების ჩათვლით, რომლებიც პროცესუალურ მხარეს უკავშირდება, უნდა იყოს შეჯიბრებითი და დაცვისა და ბრალდების მხარეთა თანასწორობას უნდა უზრუნველყოფდეს. შეჯიბრებითი სასამართლო განხილვის უფლება სისხლის სამართლის საქმეებზე გულისხმობს, რომ დაცვისა და ბრალდების მხარეებს მეორე მხარის მიერ წარდგენილი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების გაცნობისა და მათზე საკუთარი შეხედულებების გამოთქმის შესაძლებლობა უნდა მიეცეთ. გარდა ამისა, მუხლი 6 § 1 მოითხოვს, რომ ბრალდების მხარემ დაცვის მხარეს ბრალდებულის მამხილებელი ან გამამართლებლი მის ხელთ არსებული ყველა არსებითი მტკიცებულებები უნდა წარუდგინოს (იხილეთ Fitt v. the United Kingdom [GC]).

37. სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული საქმისგან (ფიტის საქმე) განსხვავებით, მოცემული საქმე არ შეეხება მტკიცებულებების დამალვას, არამედ სასამართლოს მიერ იმ დოკუმენტების ორიგინალების წარმოდგენის განკარგულების გაუცემლობას,რომლებიც ბრალდების მტკიცებულებებს წარმოადგენდნენ. სასამართლო განხილვის არც ერთ ეტაპზე არ იყო ... შესაძლებელი ბანკის კომპიუტერის "ლოგ" ფაილიდან ამონარიდების ან ჩეკების ორიგინალების შემოწმება, ან იმის გადამოწმება, რომ წარმოდგენილი ასლები ორიგინალს შეესაბამებოდნენ. გარდა ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლომ სავარაუდოდ ყალბი ჩეკების განადგურება მოითხოვა, რომლებიც განმცხადებლის სასამართლო პროცესზე მნიშვნელოვან მტკიცებულებებს წარმოადგენდნენ. განმცხადებლისთვის მხოლოდ ზემოხსენებული ჩეკების ასლები იყო ხელმისაწვდომი. ... ასეთ პირობებში, სასამართლოს მიაჩნია, რომ ჩეკების ორიგინალების წარდგენა გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო განმცხადებლის დაცვისთვის, რადგანაც როგორც განმცხადებელი თავად აღნიშნავს, ეს საშუალებას მისცემდა მას დამეტკიცებინა,რომ ანგარიშსწორების მითითება მის მიერ კი არ იყო გაცემული, არამედ ბანკის თანამშრომლების მიერ, რაც აიძულებდა მოსამართლეებს დაესკვნათ, რომ გაყალბების ბრალდება საფუძველს იყო მოკლებული."(*Georgios Papageorgiou v. Greece,*§§ 36-37).

ნივთიერი მტკიცებულებების განადგურება ბრალდებულის მსჯავრდებიდან მოკლე ვადაში შეიძლება მიჩნეული იქნეს მე-6 მუხლის დარღვევად, თუ დადგინდა, რომ აღნიშნულის შედეგად განმცხადებელი ბრალდების მხარესთან შედარებით არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა(იხილეთ *Nideröst-Huber v. Switzerland*, 1997 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ანგარიში 1997-I, გვ. 107-108, § 23; და *Fretté v. France*, no. 36515/97, § 47, ECHR 2002-I).(*Sofri and Others v. Italy (dec.)).*

სასამართლო მიუთითებს სხვადასხვა სახის ნივთიერ მტკიცებულებებზე, კერძოდ:

სისხლის ანალიზი წარმოადგენს მტკიცებულებას, რომელიც შეიძლება ბრალდებულის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მეტყველებდეს. კომისიას გონივრულად მიაჩნია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს თავიანთი ამოცანების შესასრულებლად, უფლება ჰქონდეთ გაატარონ გარკვეული ღონისძიებები იმ პირის მიმართ, ვის მიმართაც არსებობს, რომ მან დანაშაული ჩაიდინა. იგი მიუთითებს, რომ კონვენციის მე-5 მუხლი წინასწარ პატიმრობასაც კი უშვებს ასეთ შემთხვევებში. შესაბამისად, მით უფრო დაშვებულია ისეთი უმნიშვნელო ჩარევა, როგორიცაა სისხლის ანალიზის აღება. აღსანიშნავია, რომ მე-8 მუხლის პარაგრაფი 1-ის მნიშვნელობით სისხლის იძულებითი ანალიზი შეიძლება ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევად მოიაზრებოდეს, იმავდროულად იმავე მუხლის მე-2 პარაგრაფით ეს შეიძლება, აუცილებელ ზომად იყოს მიჩნეული სხვა პირების უფლებების დასაცავად (*X v. the Netherlands*, გვ. 188, 189).

სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის შედგენის თაობაზე განკარგულების გაცემა ბრალდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად წარმოადგენს აუცილებელ ზომას, რომელიც, იმავდროულად,იცავს იმ პირის უფლებებს, ვინც დანაშაულს სჩადის ისეთ გარემოებებში, როდესაც სრულად ვერ აკონტროლებს თავის ქმედებებს მისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამ ზომებმა არ დაარღვიოს სამართლიანი ბალანსი პირის უფლებებს, კერძოდ კი, პირადი ცხოვრების უფლებასა და მართლმსაჯულების სათანადო განხორციელების აუცილებლობას შორის (*Worwa v. Poland*, § 82).

სატელეფონო საუბრების მოსმენა განმცხადებლის პირად ცხოვრებაში და კორესპოდენციაში ჩარევას წარმოადგენს. ასეთი ჩარევა არ წარმოადგენს კონვენციის დარღვევას, თუ იგი შეესაბამება მე-8 მუხლის მე-2 პარაგრაფით დადგენილ მოთხოვნებს და მისი მიზანია „დანაშაულის პრევენცია“ და სასამართლო არ აყენებს ეჭვქვეშ ამ ზომის აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში (*Lüdi v. Switzerland*, § 39).

მოცემულ საქმეზე განმცხადებელს პრაქტიკულად არ გააჩნდა არანაირი დაცვის მექანიზმი ვ-სთან მისი სატელეფონო საუბრების მოსმენის ბრძანების გაცემის და ამ ბრძანების აღსრულების პროცესში.კერძოდ, ხელისუფლების ორგანოების დისკრეციული უფლებამოსილება - ბრძანება გაეცათ სატელეფონო საუბრების მოსმენის თაობაზე - არ ექვემდებარებოდა არანაირ პირობებსა და შეზღუდვებს და მოსმენის მეთოდები და მასშტაბი არ იყო სამართლებრივად დარეგულირებული. სხვა სპეციალური რეგულაციებისა და დამცავი მექანიზმების არარსებობის პირობებში სასამართლომ არ მიიჩნია, რომგანმცხადებლის წინაშე არსებული შესაძლებლობა მიემართა სასამართლოსთვის „ოპერატიული ექსპერიმენტის“ უკანონოდ გამოცხადების მოთხოვნით და მოეთხოვა ოპერატიული ზომების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად მიჩნევა, აკმაყოფილებდა ზემოთხსენებულ მოთხოვნებს, როგორც ამას მთავრობა ამტკიცებდა (*Bykov v. Russia*, § 80).

საჯარო ადგილებში პირის ქცევის მონიტორინგი ფოტო მოწყობილობების გამოყენებით, რომელიც არ ახდენს ვიზუალური ინფორმაციის ჩაწერას, თავისთავად არ წარმოადგენს პირის პირად ცხოვრებაში ჩარევას. მეორე მხრივ, ვიდეო-ჩანაწერების სისტემატური ან მუდმივი წარმოება შეიძლება მიჩნეული იქნეს ამ უფლების დარღვევად. „...რაც შეეხება მოცემულ საქმეს, სასამართლო თავიდანვე მიუთითებს, რომ განმცხადებლის მიმართ ბრალი არ ყოფილა წაყენებული და იგი არ ყოფილა მსჯავრდებული რაიმე დანაშაულის გამო. შესაბამისად, მოცემული საქმე არ შეეხება დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ვიდეოჩანაწერების გამჟღავნებას. ერთი მხრივ, სასამართლო ხაზს უსვამს განმცხადებლის პირად ცხოვრებაში ჩარევის ხასიათსა და სერიოზულობას, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლო მიესალმება, რომ სახელმწიფო დაინტერესებულია დანაშაულის გამოვლენითა და პრევენციით. სასამართლო არ დაობს, რომ CCTV სისტემას ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება და შესაბამისად, ეს როლი კიდევ უფრო ეფექტური ხდება მოცემული სისტემის და მისი სარგებელის თაობაზე ინფორმაციის გავრცელების შედეგად (*Peck v. The United Kingdom*, §§ 59 and 79).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Bykov v. Russia, no. 4378/02, 2009 წლის 10 მარტი – Legal summary

Lüdi v. Switzerland, no. 12433/86, 1992წლის 15 ივნისი - Legal summary

Peck v. The United Kingdom, no. 44647/98, 2003 წლის28 იანვარი– Legal summary

Worwa v. Poland, no. 26624/95, 2003 წლის 27 ნოემბერი – Legal summary

X v. the Netherlands, no. 8239/78, 1978წლის 4 დეკემბერი

სხვა წყაროები:

ბრალდებდა ეფუძნა ნივთიერ მტკიცებულებას (იარაღზე), რომელიც არ იქნა წარმოდგენილი სასამართლოში: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Barberà, Messegué and Jabardo v. Spain, no. 10590/93, 1988 წლის 6 დეკემბერი

პირს მსჯავრი დაედო მკვლელობისთვის უკანონოდ ჩატარებულ გვამის გაკვეთაზე დაყრდნობით: სასამართლომ დაუშვებელად ცნო

Parris v. Cyprus (dec.), no. 56354/00, 2002 წლის 4 ივლისი – *Legal summary*[21]

სასამართლო პროცესზე პირადი აუდიო ჩანაწერების გამოყენება, რომელთა თაობაზე ბრალდებული არ იყო ინფორმირებული: სასამართლომ დაუშვებელად ცნო

Turquin v. France (dec.),* no. 43467/98, 2002 წლის 24 იანვარი – *Legal summary*[22]

სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებად ვიდეოფირის დაშვება, რომელიც ბრალდებულისგან მალულად და მისი თანხმობის გარეშე იყო გადაღებული: სასამართლომ დაუშვებლად ცნო

Perry v. the United Kingdom (dec.),* no. 63737/00, 2002 წლის 26 სექტემბერი – *Legal summary*

სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებად ეჭვმიტანილის სახლში უკანონოდ დაყენებული მოსასმენი მოწყობილობით გაკეთებული აუდიოჩანაწერის გამოყენება: სასმართლომ დაუშვებლად ცნო

Chalkley v. the United Kingdom (dec.), no. 63831/00, 2002 წლის 26 სექტემბერი –*Legal summary*[23]

უარი იმ დოკუმენტების ორიგინალების წარდგენაზე, რომლებიც სისხლის სამართლის დანაშაულში მსჯავრდების საფუძველს წარმოადგენდნენ: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Georgios Papageorgiou v. Greece, no. 59506/99, 2003 წლის 9 მაისი – *Legal summary*

პირს მსჯავრი დაედო სქესობრივი დანაშაულისთვის ბავშვების ჩვენებების ჩანაწერზე დაყრდნობა: სასამართლომ დაუშვებლად ცნო

Magnusson v. Sweden (dec.), no. 53972/00, 2003წლის 16 დეკემბერი – *Legal summary*[24]

ნივთიერი მტკიცებილებების განადგურება შეცდომით, როდესაც შედეგად დაცვის ინტერესები არ დაზარალებულა: დაუშვებელია

Sofri and Others v. Italy (dec.), no. 37235/97, 2003 წლის 27 მაისი - *Legal summary*[25]

პოლიციის ოფიცერს, რომელიც ვიდეო ტექნიკის მუშაობაზე და გამოყენებაზე იყო პასუხისმგებელი, ნება მიეცა მარტო დარჩენილიყო ნაფიც მსაჯულებთან, როდესაც ისინი მნიშვნელოვანი მტკიცებულების სახით არსებულ ვიდეოჩანაწერს უყურებდნენ: სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

Szypusz v. The United Kingdom, no. 8400/07, 2010 წლის 21 სექტემბერი – *Legal summary*

მტკიცებულების სახით ცელოფნის პაკეტში შეფუთული ნარკოტიკების გამოყენება, რომელიც გულის არევის მიზნით მედიკამენტების იძულებით გამოყენებით იყო ამოღებული: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

---

21 საინფორმაციო ბარათი No 44, 2002 წლის ივლისი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო განხილვა, გვ 16
22 საინფორმაციო ბარათი No. 38, 2002 წლის იანვარი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო განხილვა, გვ 14
23 საინფორმაციო ბარათი No. 45, 2002 წლის აგვისტო-სექტემბერი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო განხილვა, გვ 15
24 საინფორმაციო ბარათი No. 59, 2003 წლის დეკემბერი, მუხლი 6, მხარეთა თანასწორობა გვ 8
25 საინფორმაციო ბარათი No. 53, 2003 წლის მაისი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო განხილვა, გვ 14

Jalloh v. Germany [GC], no. 54810/00, 2006 წლის 11 ივლისი – *Legal summary*

დაკავშირებული თემები

3. მტკიცებულებები

7. აღიარება, როგორც მტკიცებულება

8. ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენების გამოყენების წესი

მოკლე შეჯამება

აღიარება არ უნდა იყოს მიღებული იძულების გზით, ან პირისგან, რომელსაც არ ჰყავს მისი ინტერესების დამცველი ან ფიცის იძულებით დადების შედეგად.

სასამართლომ არაერთგზის გამოიტანა გადაწყვეტილება აღიარების იძულების საქმეებზე. მამხილებელი მტკიცებულებები, იქნება ეს აღიარება,თუ სხვა მტკიცებულებები, რომლებიც იძულებით ან ისეთი სისასტიკის შედეგად არის მოპოვებული, რომ წამებას უტოლდება, არასოდეს არ უნდა იყოს გამოყენებული როგორც მსხვერპლის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულება, მიუხედავად ამ მტკიცებულების მამხილებელი ღირებულებისა.

ძირითადი პრინციპები

აღიარება, რომელიც მიღებულია დაპატიმრების შემდეგ დაუყოვნებლივ დაშინების შედეგად, ან ადვოკატის დასწრების გარეშე (*John Murray v. the United Kingdom*) არ შეესაბამება მე-6 მუხლით გათვალისწინებულ სტანდარტს გარდა იმ შემთხვევისა,როდესაც თავად განმცხადებელმა არ მიმართა გონივრული ძალისხმევა საკუთარი პროცესუალური უფლებების დასაცავად აღიარების მიცემის პროცესში (*Zhelezov v. Russia* (dec.), *Latimer v. the United Kingdom* (dec.)).

როდესაც არ არის ნათელი, პირი მოწმის სტატუსით იკითხება (და მაშინ მას არა აქვს დუმილის უფლება) თუ ეჭვმიტანილის (რომელსაც დუმილის უფლება გააჩნია), სასამართლო ითვალისწინებს პირის ოფიციალურ სტატუსს და ფაქტობრივ გარემოებებს (*Brusco v. France*, §§ 44-55).

იმ პირებზე ზეწოლა აღიარების მოპოვების მიზნით, რომელთა ინტერესებს ადვოკატი არ იცავს, დაუშვებელია მაშინაც კი, როდესაც პირის დაკითხვა ეჭვმიტანილის სტატუსით არ ხდება (*Shabelnik v. Ukraine,* §§ 51-60).

ეჭვმიტანილი პირების მიმართ ფიცის დადების იძულება შეიძლება მე-6 მუხლის მოთხოვნების დარღვევად იყოს მიჩნეული. პოლიციის მიერ დაკავებული პირისთვის ფიცის დადების დავალდებულება, რომელსაც შეიძლება შედეგად ცრუ ჩვენება მოჰყვეს, ზეწოლის ერთ-ერთ ფორმას და, შესაბამისად, ამ პირის იმ უფლებების დარღვევას წარმოადგენს, რომლებიც კონვენციის მე-6 მუხლითაა დაცული. გარდა ამისა, ის გარემოება, რომ განმცხადებელი არ იყო ინფორმირებული დუმილის უფლების, შეკითხვებზე პასუხის გაცემისგან თავის შეკავების ან გარკვეულ შეკითხვებზე პასუხის გაცემაზე უარის თქმის უფლების თაობაზე, მხოლოდ ამყარებს იმ ვარაუდს, რომ განმცხადებელზე ზეწოლას ჰქონდა ადგილი იმ გარემოების გამო, რომ მან ფიცის დადების შემდეგ მისცა აღიარებითი ჩვენება (*Brusco v. France*, § 52).

აღიარების მოპოვება კერძო ინფორმატორების გამოყენების გზით კონვენციის მე-6 მუხლით არ არის აკრძალული, მაშინაც კი, როდესაც ეს მტკიცებულება გადამწყვეტი მნიშვნელობის მტკიცებულებას წარმოადგენს, თუკი ასეთი აღიარება საჯარო საქმიანობის კონტექსტთანაა დაკავშირებული (*Bykov v. Russia,* §§ 94-105, *Heglas v. the Czech Republic,* §§ 89-93) და არ არის მიღებული საპყრობილის ფარგლებს გარეთ (*Allan v. the United Kingdom,* §§ 42-47). ასეთი ტექნიკის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ წარსულში დანაშაულის თაობაზე მტკიცებულებების მოსაპოვებლად და არა ახალი დანაშაულის გამოსავლენად.

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Allan v. the United Kingdom, no. 48539/99, 2002 წლის 5 ნოემბერი – Legal summary

Bykov v. Russia [GC], no. 4378/02, 2009 წლის 10 მარტი – Legal summary

Heglas v. the Czech Republic, no. 5935/02, 2007 წლის 1 მარტი – Legal summary

John Murray v. the United Kingdom[GC],no. 18731/91, 1996 წლის 8 თებერვალი – Legal summary

Latimer v. the United Kingdom(dec.), no. 12141/04, 2005 წლის 31 მაისი – Legal summary

Shabelnik v. Ukraine,no.16404/03, 2009 წლის 19 თებერვალი – Legal summary

Zhelezov v. Russia (dec.), no. 48040/99, 2002 წლის 23 აპრილი

სხვა წყაროები:

პირს მსჯავრი დაედო პოლიციისთვის მიცემული აღიარებითი ჩვენების საფუძველზე ისე, რომ იგი წინასწარ არ იყო გაფრთხილებული მისი უფლებების თაობაზე: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Aleksandr Zaichenko v. Russia, no. 39660/02, 2010 წლის 18 თებერვალი – Legal summary[1]

განსასჯელს მსჯავრი დაედო პოლიციისთვის მიცემულ ჩვენებაზე დაყრდნობით ფიცის დადების შემდეგ, რომელიც, როგორც წესი, მოწმეების შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Brusco v. France,no.1466/07, 2010 წლის 14 ოქტომბერი – Legal summary

პოლიციისთვის მიცემული აღიარებითი ჩვენება გამოყენებულ იქნა მტკიცებულებად არასრულწლოვნის საქმეზე, რომელსაც არ მიეცა ადვოკატით სარგებლობის უფლება: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Adamkiewicz v. Poland[1]*, no. 54729/00,2010 წლის 2 მარტი – Legal summary*

ზეწოლის შედეგად მიღებული აღიარების გამოყენება: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Yusuf Gezer v. Turkey[1]*, no. 21790/04, 2009 წლის 1 დეკემბერი – Legal summary*[1]

პოლიციის განყოფილებაში დაკავებული პირის მიერ მიცემული აღიარებითი ჩვენების გამოყენება მტკიცებულებად: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Pishchalnikov v. Russia, no. 7025/04, 24 September 2009 – Legal summary

პირს მსჯავრი დაედო ადვოკატის დასწრების გარეშე მიცემულ აღიარებით ჩვენებაზე დაყრდნობით, რომელიც მაშინვე იყო უარყოფილი, როგორც კი ადვოკატი გახდა ხელმისაწვდომი: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Yaremenko v. Ukraine, no. 32092/02, 2008 წლის 12 ივნისი – Legal summary

არასრულწლოვნის აღიარებითი ჩვენების გამოყენება მტკიცებულებად, რომელსაც უარი ეთქვა ადვოკატის დასწრებაზე: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Salduz v. Turkey[1]*[GC], no. 36391/02, 2008 წლის 27 ნოემბერი – Legal summary*

მტკიცებულების სახით პოლიციის წინაშე, ადვოკატის დაუსწრებლად, მიცემული აღიარებითი ჩვენების გამოყენება: სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა

Brennan v. the United Kingdom, no.39846/98, 2001 წლის 16 ოქტომბერი – Legal summary

დაკავშირებული თემები

36. მტკიცების ტვირთი
39. თვითმხილება

9. დუმილის უფლება

მოკლე შეჯამება

დუმილის უფლება მე-6 მუხლით გათვალისწინებული **სამართლიანი სამართალწარმოების ცნების ცენტრალური ელემენტია.** მიუხედავად ამისა, აღნიშნული უფლება **არ არის აბსოლუტური უფლება** და სასამართლო, როგორც წესი, მოითხოვს, რომ შესწავლილი იქნეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დაირღვა თუ არა ამ უფლების არსი.

მიუხედავად იმისა, რომ, ერთი მხრივ, პირის მსჯავრდება არ უნდა უყოს მთლიანად ან უმეტესწილად განპირობებული ბრალდებულის დუმილით ან მის მიერ შეკითხვებზე პასუხის გაცემაზე უარით, მეორე მხრივ, არ შეიძლება ითქვას, რომ საქმის განხილვაზე არავითარ გავლენას არ მოახდენს ბრალდებულის გადაწყვეტილება შეინარჩუნოს დუმილი სისხლის სამართალწარმოების მთელი პროცესის განმავლობაში.

ზოგადი პრინციპები

დუმილის უფლება, ისევე, როგორც უფლება არ მისცე თვითმამხილებელი ჩვენება, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტს წარმოადგენს, **რომელიც მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სამართალწარმოების ცნების ცენტრალური ელემენტია.** აღნიშნული უფლება უზრუნველყოფს ბრალდებულის დაცვას ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან არასათანადო ზეწოლისგან და ხელს უწყობს მართლმსაჯულების ხარვეზების თავიდან აცილებას და მე-6 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობას (*Saunders v. the United Kingdom* [GC], § 68; *Heaney and McGuinness v. Ireland*, § 40; *Jalloh v. Germany* [GC]*, § 100 და*Gäfgen v. Germany* [GC]*, § 168).

რაც შეეხება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, მოწმეს შეიძლება დაეკისროს მოქალაქეობრივი ვალდებულება ჩვენება მისცეს სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით (*Serves v. France*, §§ 43-47), თუმცა, **როგორც წესი, ხელისუფლების ორგანოებს არ უნდა ჰქონდეთ ბრალდებულის მხრიდან თანამშრომლობის მოლოდინი** (*Funke v. France,* §44; *Shannon v. the United Kingdom*, §§ 32-41), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე მსუბუქ დანაშაულს შეეხება *(O'Halloran and Francis v. the United Kingdom*[GC]). მეორეს მხრივ, დუმილის უფლება ისეთ გარემოებებში, როდესაც ბრალდებულისგან განმარტების მიღებაა აუცილებელი, გათვალისწინებულ იქნება ბრალდების მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დამაჯერებლობის შეფასების პროცესში.

დუმილის უფლება წარმოიშობა პოლიციის მიერ ეჭვმიტანილის დაკითხვის მომენტიდან (*John Murray v. the United Kingdom*[GC], § 45). აღსანიშნავია, რომ მოცემული უფლება არ ვრცელდება მხოლოდ **დანაშაულის აღიარებასთან დაკავშირებულ ან თვითმამხილებელ განცხადებებზე;** მოცემული უფლება ვრცელდება ნებისმიერ განცხადებაზე, რომელიც შესაძლებელია შემდგომში სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში ბრალდების პოზიციის გასამყარებლად იყოს გამოყენებული (*Saunders v. the United Kingdom* [GC], § 71).

პოლიციის მიერ დაკავებულ პირს უფლება აქვს, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, შეინარჩუნოს დუმილი და მოითხოვოს ადვოკატის დასწრება დაკითხვისას. ეს უფლებები იმით ხასიათდება, რომ რომელიმე მათგანზე უარის თქმა არ გულისხმობს სხვა დანარჩენი უფლების გაუქმებასაც. მიუხედავად ამისა, ეს უფლებები ერთმანეთს ავსებს, რადგან პოლიციის მიერ დაკავებული პირებისთვის ***a fortiori*** ადვოკატის დახმარება უნდა იყოს უზრუნველყოფილი, თუ ისინი მანამდე არ იყვნენ ინფორმირებულნი დუმილის უფლების თაობაზე (*Navone and Others v. Monaco*, § 74; *Brusco v. France*, § 54).

დუმილის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება (*John Murray v. the United Kingdom*[GC], § 47). სამი ძირითადი კრიტერიუმი გამოიყენება იმის დასადგენად, დასაშვებია თუ არა მე-6 მუხლით ბრალდებულის იძულება ან მის ნებაზე ზემოქმედება: ა) მტკიცებულებების მისაღებად გამოყენებული იძულების ხასიათი და ხარისხი; ბ) საზოგადოებრივი ინტერესის დონე მოცემული დანაშაულის გამოძიებისა და დასჯისადმი; გ) შესაბამისი დამცავი მექანიზმების (გარანტიების) არსებობა პროცედურასთან მიმართებით და ის, თუ რა მიზნებით იქნება გამოყენებული ასეთი გზით მოპოვებული ჩვენებები (*Jalloh v. Germany* [GC]*, § 117).

გადაწყვეტილება იმის თაობაზე, არღვევს თუ არა მე-6 მუხლის მოთხოვნებს ის უარყოფითი დასკვნები, რომლებიც აღნიშნულის შედეგად გაკეთდეს, საქმის ყველა გარემოებების გათვალისწინებით იქნება მიღებული. განსაკუთრებით გათვალისწინებულ იქნება ის ვითარება, რომელშიც დასკვნები გაკეთდა, ეროვნული სასამართლოს მიერ ამ მტკიცებულებებისადმი მინიჭებული წონა და იძულების ხარისხი, რომელიც მოცემულ ვითარებაში იყო გამოყენებული (*John Murray v. the United Kingdom*[GC]).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Brusco v. France, no. 1466/07, 2010 წლის 14 ოქტომბერი – Legal summary

Funke v. France, no. 10828/84, 25 1993 წლის 25 თებერვალი – Legal summary

Gäfgen v. Germany[GC], no. 22978/05, 2010 წლის 1 ივნისი – Legal summary*

Heaney and McGuinness v. Ireland, no. 34720/97,2000 წლის 21 დეკემბერი – Legal summary[26]

Jalloh v. Germany [GC], no. 54810/00, 2006 წლის 11 ივლისი – Legal summary*

Navone and Others v. Monaco[1], no. 62880/11, 2013 წლის 24 ოქტომბერი – Legal summary

O'Halloran and Francis v. the United Kingdom[GC],no. 15809/02, 2007 წლის 29 ივნისი - Legal summary

Saunders v. the United Kingdom [GC], no. 19187/91, 1996 წლის 17 დეკემბერი. – Legal summary

Serves v. France, no. 20225/92, 1997 წლის 20 ოქტომბერი – Legal summary

Shannon v. the United Kingdom, no. 6563/03,2005 წლის 4 ოქტომბერი – Legal summary

სხვა წყაროები:

დასკვნების გაკეთება განმცხადებლის მიერ დუმილის უფლების გამოყენებაზე დაყრდნობით, როდესაც მის წინააღმდეგ არსებულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით შეკითხვაზე პასუხის გაცემა არ იყო აუცილებელი: სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

John Murray v. the United Kingdom [GC], no. 18731/91,1996 წლის 8 თებერვალი – Legal summary

მოწმის მიერ დუმილის უფლების გამოყენება: სასამართლომ დაუშვებლად ცნო

Sofri and Others v. Italy (dec.), no.37235/97, 2003 წლის 27 მაისი - Legal summary[27]

საერთაშორისო სამართლებრივი თხოვნის საფუძველზე,ადვოკატის გარეშე, მოწმის დაკითხვა, რომელსაც იურიდიული დახმარებით უნდა ესარგებლა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Stojkovic v. France and Belgium[1], no. 25303/08, 2011 წლის 27 ოექტომბერი – Legal summary

დაკავშირებული თემები

39. საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა

10. პირდაპირი მტკიცებულება

მოკლე შეჯამება

სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტია გულისხმობს, რომ მსჯავრდება შესაბამისი უფლებამოსილი სასამართლოს მიერ განხილულ და შესწავლილ პირდაპირ მტკიცებულებებს ეფუძნებოდეს. აღსანიშნავია, რომ თუკი სასამართლო, რომელიც უფლებამოსილია გააუქმოს პირის გამამართლებელი განაჩენი, უშუალოდ არ გამოიკვლევს მტკიცებულებებს, ეს მე-6 მუხლის დარღვევად იქნება მიჩნეული.

26 საინფორმაციო ბარათი No. 25, 2000 დეკემბერი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო განხილვა, გვ 15
27 საინფორმაციო ბარათი No. 53, 2003 წლის მაისი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო განხილვა, გვ 14

ძირითადი პრინციპები

საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა, განსაკუთრებით ისეთ საქმეებთან დაკავშირებით, როდესაც შესაბამისი სასამართლო პირის მსჯავრდების თაობაზე გადაწყვეტილებას პირველი ინსტანციით იღებს, მოითხოვს მტკიცებულებების უშუალოდ და გულდასმით გამოკვლევას (*Hanu v. Romania*, § 35).

"32. სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც სააპელაციო სასამართლო შეისწავლოს საქმის ფაქტობრივ და სამართლებლივ ასპექტებს, რათა განმცხადებლის ბრალეულობა თუ უდანაშაულობა დაადგინოს, იგი სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნებიდან გამომდინარე სათანადოდ ვერ გადაწყვეტს ამ საკითხს პირადად ბრალდებულის მიერ მოწოდებული მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე, რომელიც ამტკიცებს, რომ მას არ ჩაუდენია ის ქმედება, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს (Ekbatani v. Sweden, § 32,*Constantinescu v. Romania,* § 55,*Lacadena Calero v. Spain', § 36).*

...ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასამართლოს პრეროგატივაა გადაწყვეტილება მიიღოს მოწმის დაბარების აუცილებლობის ან მიზანშეწონილობის თაობაზე, განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, სასამართლომ შეიძლება დაადგინოს, რომ მოწმის სტატუსით პირის მოსმენაზე უარის თქმა შეიძლება მიჩნეული იყოს მე-6 მუხლის დარღვევად (Bricmont v. Belgium, § 89*)."*(*Hanu v. Romania*, § 33).

განმცხადებლის მიერ მისი მოსმენის ან მტკიცებულებების გამოკვლევის თაობაზე მოთხოვნის წარუდგენლობა არ ათავისუფლებს სასამართლოს ამ თვალსაზრისით პოზიტიური ღონისძიებების გატარების ვალდებულებისგან (*Dănilă v. Romania'*, § 41).

აღსანიშნავია, რომ ტერმინს „მოწმე" კონვენციის სისტემის ფარგლებში ავტონომიური მნიშვნელობა გააჩნია, დამოუკიდებლად ეროვნული კანონმდებლობებით გათვალისწინებული მნიშვნელობისა (*Damir Sibgatullin v. Russia,* § 45*; S.N. v. Sweden**, § 45).

თუკი ჩვენება მსჯავრდების საფუძვლად შეიძლება გამოდგეს, მაშინ იგი ბრალდების პოზიციის გამამყარებელი მტკიცებულებაა და შესაბამისად, მასზე ვრცელდება კონვენციის მუხლი 6 §§ 1 და 3(დ) გათვალისწინებული გარანტიები. (*Kaste and Mathisen v. Norway*, § 53; *Lucà v. Italy*, § 41).

აღნიშნული ასევე თანაბრალდებულზე (*Trofimov v. Russia*, § 37), დაზარალებულზე (*Vladimir Romanov v. Russia*, § 97), და ექსპერტ მოწმეზე ვრცელდება (*Doorson v. the Netherlands*,§§ 81-82), და მუხლი 6 § 3(დ) შეიძლება ასევე დოკუმენტურ მტკიცებულებებზეც გავრცელდეს (*Mirilashvili v. Russia*, §§ 158-159).

ვიდრე ბრალდებულს მსჯავრი დაედება, როგორც წესი, მის წინააღმდეგ არსებული ყველა მტკიცებულება წარმოდგენილი უნდა იყოს მისი თანდასწრებით, საჯარო სასამართლო განხილვაზე, შეჯიბრებითი პაექრობის პრინციპის დაცვით. დაშვებულია გამონაკლისები, თუ ეს დაცვის მხარის უფლებებს არ არღვევს. როგორც წესი, ბრალდებულს იმ მოწმის გამოკითხვის და მისი ჩვენების გაქარწყლების შესაძლებლობა უნდა მიეცეს, რომელიც მის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას. ეს საშუალება მას მოწმის მიერ ჩვენების მიცემის ან სამართალწარმოების შემდგომ ეტაპზე შეიძლება მიეცეს (*Hümmer v. Germany*, § 38; *Lucà v. Italy*, § 39; *Solakov v. the Former Yugoslav Republic of Macedonia*, § 57).

მოწმე მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში შიძლება არ გამოცხადდეს. გარდა ამისა, როდესაც პირის მსჯავრდება მთლიანად ან უმეტესწილად იმ პირის მიერ მიცემულ ჩვენებას ეყრდნობა, რომლის დაკითხვის საშუალება დაცვის მხარეს გამოძიების ან სასამართლო პროცესის მსვლელობისას არ მიეცა, მე-6 მუხლით უზრუნველყოფილი გარანტიები შეიძლება სრულად არ იყოს დაცული ("ერთადერთი ან გადამწყვეტი ჩვენების წესი") (*Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom**[GC], § 119).

მოსამართლის წინაშე ძირითად მოწმესთან ბრალდებულის დაპირისპირება და მისი ჩვენებების გაქარწყლების შესაძლებლობის მიცემა სამართლიანი სასამართლოს უმნიშვნელოვანესი ელემენტია (*Tarău v. Romania'*, § 74; *Graviano v. Italy*, § 38).

როდესაც მოწმე არ გამოცხადდება სასამართლოში ჩვენების პირადად მიცემის მიზნით, არსებობს მისი

საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დადგენის ვალდებულება (*Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom**[GC], § 120; *Gabrielyan v. Armenia*, §§ 78, 81-84).

მუხლი 6 § 1 ერთობლიობაში § 3-თან ხელისუფლების ორგანოებს ვალდებულებას აკისრებს პოზიტიური ზომები გაატარონ, რათა ბრალდებულს იმ მოწმის გამოკითხვის საშუალება მიეცეს, რომელიც მის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას (*Trofimov v. Russia*, § 33; *Sadak and Others v. Turkey* (no. 1), § 67).

მოწმის გამოუცხადებლობის შემთხვევაში ხელისუფლების ორგანოებმა გონივრულ ზომებს უნდა მიმართონ, რათა მისი სასამართლო პროცესზე დასწრება იყოს უზრუნველყოფილი (*Karpenko v. Russia*, § 62; *Damir Sibgatullin v. Russia*, § 51; *Pello v. Estonia*, § 35).

თუკი, ხელისუფლების ორგანოების ძალისხმევის მიუხედავად მოწმის დასწრების უზრუნველყოფა ვერ ხერხდება, ეს არ ნიშნავს, რომ სამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს (*Gossa v. Poland*, § 55; *Haas v. Germany* (dec.); *Calabrò v. Italy and Germany* (dec.); *Ubach Mortes v. Andorra* (dec.)).

სქესობრივი დანაშაულის საქმეებზე სისხლის სამართლაწარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით, მუხლი 6 § 3(დ) არ შეიძლება განმარტებულ იქნეს ისე, თითქოს იგი ყველა შემთხვევაში მოითხოვს შეკითხვების დასმას პირადად ბრალდებულის ან მისი დამცველის მიერ ჯვარედინი დაკითხვის ან სხვა გზით (*S.N. v. Sweden**, § 52; *W.S. v. Poland*, § 55).

ბრალდებულს საშუალება უნდა ჰქონდეს დააკვირდეს მოწმის ქცევას, რომელიც იკითხება და გაასაჩივროს მიწმის მიერ მიცემული ჩვენება და მისი სანდოობა(*Bocos-Cuesta v. the Netherlands*, § 71; *P.S. v. Germany*, § 26; *Accardi and Others v. Italy*(dec.); *S.N. v. Sweden*, § 52).

მოწმის ჩვენების ვიდეოჩანაწერის ჩვენება ვერ ჩაითვლება საკმარის დამცავ ზომად დაცვის მხარის ინტერესების გათვალისწინებით, თუკი ხელისუფლების ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს დაცვის მხარე მოწმისთვის შეკითხვების პირადად დასმის შესაძლებლობით (*D. v. Finland*, § 50; *A.L. v. Finland*, § 41).

მოწმის წერილობითი ჩვენების დაშვება მტკიცებულებად ნაცვლად მისი პირადად სასამართლო პროცესზე გამოცხადებისა და ჩვენების მიცემისა, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში უნდა ხდებოდეს (*Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*[GC]*, § 125).

ზოგადად, ეროვნული სასამართლოების პრეროგატივაა მათ ხელთ არსებული მტკიცებულებების გამოკვლევა და განსასჯელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების რელევანტურობის დადგენა. მე-6 მუხლი არ მოითხოვს ბრალდებულის მიერ დასახელებული ყველა მოწმის გამოძახებასა და გამოკითხვას; არამედ მისი მიზანი, როგორც ამაზე სიტყვები - „ერთნაირ პირობებში“ მიუთითებს, „მხარეთა თანასწორობის“ უზრუნველყოფაა (*Perna v. Italy*[GC], § 29; *Solakov v. the Former Yugoslav Republic of Macedonia*, § 57).

ანონიმური მოწმის ჩვენებებზე დაყრდნობით პირისთვის მსჯავრის დადება, ყოველთვის ვერ ჩაითვლება კონვენციის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ (*Doorson v. the Netherlands*, § 69; *Van Mechelen and Others v. The Netherlands*, § 52; *Krasniki v. the Czech Republic**, § 76). სამართლიანი სასამართლო განხილვის პრინციპი მოითხოვს, რომ შესაბამის შემთხვევებში დაცვის ინტერესები დაბალანსებული იყოს მოწმის ან დაზარალებულის ინტერესებთან, რომლებიც ჩვენების მიცემის მიზნით იკითხებიან (*Doorson v. the Netherlands*, § 70; *Van Mechelen and Others v. The Netherlands*, § 53). ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა შესაბამისი და საკმარისი მიზეზები უნდა დაასახელონ იმისთვის, რომ გარკვეული მოწმეების ვინაობა არ გაამჟღავნდეს (*Doorson v. the Netherlands*, § 71; *Visser v. the Netherlands**, § 47; and *Dzelili v. Germany*(dec.)).

თუ ბრალდების მოწმის ანონიმურობა იქნება დაცული, დაცვის მხარე სისხლის სამართალწარმოების პროცესში ისეთი სირთულეების წინაშე აღმოჩნდება, რის წინაშეც, ჩვეულებრივ, არ დგას. ასეთ შემთხვევებში, სასამართლო ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები, რათა შესაბამისი ხარისხით მოახდინოს იმის კომპენსირება, რა პირობებშიც დაცვას მოუწია მუშაობა (*Doorson v. the Netherlands*, § 72; *Van Mechelen and Others v. The Netherlands*, § 54; *Haas v. Germany*(dec.)).

კერძოდ, ბრალდებულს ანონიმური მოწმის სანდოობის შემოწმების საშუალება უნდა მიეცეს (*Birutis and*

others v. Lithuania, § 29; *Van Mechelen and Others v. The Netherlands*, §§ 59-62; *Kostovski v. the Netherlands*, § 42). აგრეთვე, როდესაც იმის შეფასება ხდება, ანონიმური მოწმის დაკითხვის დროს მიღებული იყო თუ არა ზომები იმ სიძნელეების საკომპენსაციოდ, რა პირობებშიც დაცვას მოუწია მუშაობა, სათანადო წონა უნდა მიენიჭოს, თუ რამდენად გადამწყვეტი იყო ანონიმური მოწმის მიერ მიცემული ჩვენება პირის მსჯავრდებისთვის. თუ ასეთი მტკიცებულებები არ იყო გადამწყვეტი მნიშვნელობის, დაცვის ინტერესები ბევრად ნაკლებად დაზარალებულად იქნება მიჩნეული (*Kok v. the Netherlands*(dec.); *Krasniki v. the Czech Republic**, § 79).

შესაბამისად, მოპასუხის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მას არ მიეცა გარკვეული მოწმეების გამოკითხვის შესაძლებლობა, ვერ იქნება საკმარისი. მან დამატებითი განმარტებები უნდა დაურთოს თავის განაცხადს იმის თაობაზე, თუ რატომ იყო მნიშვნელოვანი გარკვეული მოწმის მოსმენა და რომ მათ მიერ უზრუნველყოფილი მტკიცებულებები მნიშვნელოვანი იყო სიმართლის დადგენისა და დაცვის უფლებების რეალიზაციისთვის (*Perna v. Italy* [GC], § 29; *Bacanu and SC R S.A. v. Romania*[1], § 75).

როდესაც მოპასუხის შუამდგომლობა მოწმის დაკითხვის თაობაზე საკმარისად დასაბუთებულია, რელევანტურია ბრალდების არსის გათვალისწინებით და ჩვენებას შეუძლია დაცვის პოზიციის გამყარება, ან ბრალდებულის გამართლებაც კი, ეროვნულმა სასამართლომ საფუძვლიანი მიზეზები უნდა დაასახელოს იმის დასასაბუთებლად, თუ რატომ არ დააკმაყოფილა განსასჯელის შუამდგომლობა (*Topic v. Croatia*, § 42; *Polyakov v. Russia*, §§ 34-35).

შეიძლება არსებობდეს გამონაკლისი შემთხვევები, როცა სასამართლოს შეუძლია დაასკვნას, რომ მოწმის არ დაკითხვა მე-6 მუხლის დარღვევას წარმოადგენს (*Dorokhov v. Russia*, § 65; *Popov v. Russia*, § 188; *Bricmont v. Belgium*, § 89).

დაცვის ინტერესებსა და მოწმის ანონიმურობის დაცვის მიზანშეწონილობის ერთმანეთან შეპირწონებისას, განსაკუთრებით პრობლემური შეიძლება აღმოჩნდეს, თუკი მოწმე სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელია. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მოწმის მდგომარეობა განსხვავდება მიუკერძოებელი მოწმის ან დაზარალებულის მდგომარეობისგან. ასეთი მოწმე აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებულია და ბრალდების მხარესთან დაკავშირებული მხარეა. შესაბამისად, მხოლოდ ამ მიზეზების გამო არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული პირისთვის ანონიმური მოწმის სტატუსის მინიჭება და ეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში უნდა იყოს დასაშვები. გარდა ამისა, ბევრი მათგანის ვალდებულებაა, ჩვენება მისცენ ღია სასამართლო სხდომაზე. ეს განსაკუთრებით იმ პოლიციელებს შეეხება, რომლებმაც პირი დააკავეს (*Van Mechelen and Others v. The Netherlands*, § 56).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

A.L. v. Finland, no.23220/04, 2009 წლის 27 იანვარი

Accardi and Others v. Italy(dec.), no.30598/02, 2005 წლის 20 იანვარი – Legal summary[28]

Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom[GC], no.26766/05, 2011 წლის 15 დეკემბერი – Legal summary*

Bacanu and SC R S.A. v. Romania[1], *no.4411/04, 2009 წლის 3 მარტი*

Birutis and others v. Lithuania, no.47698/99, 2002 წლის 28 მარტი – Legal summary

Bocos-Cuesta v. the Netherlands, no.54789/00, 2005 წლის 10 ნოემბერი – Legal summary

Bricmont v. Belgium, no.10857/84, 1989 წლის 7 ივლისი

Calabrò v. Italy and Germany (dec.), no.59895/00, 2002 წლის 21 მარტი

Constantinescu v. Romania, no.28871/95, 2000 წლის 27 ივნისი – Legal summary[29]

28 საინფორმაციო ბარათი No. 71, 2005 წლის იანვარი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო - მოწმის დაკითხვა, გვ 17.
29 საინფორმაციო ბარათი No. 19, 2000 წლის ივნისი, ზეპირი მოსმენა, გვ 50

D. v. Finland, no.30542/04, 2009 წლის 7 ივლისი – Legal summary

Damir Sibgatullin v. Russia,no.1413/05, 2014 წლის 28 მაისი – Legal summary

Dănilă v. Romania', no.53897/00, 2007 წლის 8 მარტი – Legal summary

Doorson v. the Netherlands, no.20524/92, 1996 წლის 26 მარტი – Legal summary

Dorokhov v. Russia, no.66802/01, 2008წლის 14 თებერვალი – Legal summary

Dzelili v. Germany, no.15065/05, 2009 წლის 29 სექტემბერი

Ekbatani v. Sweden, no.10563/83, 1988წლის 26 მაისი

Gabrielyan v. Armenia, no.8088/05, 2012 წლის 10 აპრილი – Legal summary

Gossa v. Poland, no.47986/99, 2007 წლის 9 იანვარი – Legal summary

Graviano v. Italy,no.10075/02, 2005 წლის 10 თებერვალი - Legal summary

Haas v. Germany(dec.), no.73047/01, 2005 წლის 17 ნოემბერი – Legal summary

Hanu v. Romania, no.10890/04, 2013 წლის 4 ივნისი – Legal summary

Hümmer v. Germany, no.26171/07, 2012 წლის 19 ივლისი

Karpenko v. Russia, no.5605/04, 2012 წლის 13 მარტი – Legal summary

Kaste and Mathisen v. Norway, nos.18885/04 და 21166/04, 2006 წლის 9 ნოემბერი – Legal summary

Kok v. the Netherlands (dec.), no.43149/98, 2000წლის 4 ივლისი – Legal summary[30]

Kostovski v. the Netherlands, no.11454/85, 1989 წლის 20 ნოემბერი

Krasniki v. the Czech Republic, no.51277/99, 2006 წლის 28 თებერვალი – Legal summary*

Lacadena Calero v. Spain', no.23002/07, 2011წლის 22 ნოემბერი – Legal summary

Luca v. Italy, no.33354/96, 2001 წლის 27 თებერვალი – Legal summary[31]

Mirilashvili v. Russia, no. 6293/04, 2008 წლის 11 დეკემბერი– Legal summary

P.S. v. Germany, no.33900/96, 2001წლის 20 თებერვალი – Legal summary

Pello v. Estonia, no.11423/03, 2007 წლის12 აპრილი – Legal summary

Perna v. Italy [GC], no. 48898/99, 2003 წლის 6 მაისი – Legal summary

Polyakov v. Russia, no.77018/01, 2014 წლის 29 იანვარი – Legal summary

Popov v. Russia, no. 26853/04, 2006წლის 13 ივლისი. – Legal summary

S.N. v. Sweden,no.77018/01, 2009 წლის 29 იანვარი – Legal summary*

Sadak and Others v. Turkey(no. 1), nos.29900/96, 29901/96, 29902/96 და 29903/96,2001 წლის 17 ივლისი – Legal summary

Solakov v. the Former Yugoslav Republic of Macedonia, no.47023/99, 2001 წლის 31 ოქტომბერი - Legal summary

Tarău v. Romania', no.3584/02, 24 February 2009 - Legal summary

Topic v. Croatia, no.51355/10, 2013წლის 10 ოქტომბერი

30 საინფორმაციო ბარათი No. 20, 2000 წლის ივლისი, მუხლი 6, მოწმის დაკითხვა გვ 31.
31 საინფორმაციო ბარათი No. 27, 2001 წლის თებერვალი, მოწმის დაკითხვა, გვ 18

Trofimov v. Russia, no.1111/02, 2008 წლის 4 დეკემბერი – Legal summary

Ubach Mortes v. Andorra (dec.), no.46253/99, 2000 წლის 4 მაისი – Legal summary[32]

Van Mechelen and Others v. The Netherlands, nos. 21363/93, 21364/93, 21427/93 და 2056/93, 1997 წლის 23 აპრილი – Legal summary

Visser v. the Netherlands, no.26668/95, 2002 წლის 14 თებერვალი – Legal summary*

Vladimir Romanov v. Russia, no.41461/02, 2008წლის 24 ივლისი – Legal summary

W.S. v. Poland, no.21508/02, 2007 წლის 19 ივნისი – Legal summary

სხვა წყაროები:

სასამართლომ უშუალოდ არ გამოიკვლია მტკიცებულება, როდესაც ერთი და იმავე მტკიცებულებაზე დაყრდნობით სრულიად განსხვავებული დასკვნები გაკეთდა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Hanu v. Romania, no. 10890/04, 2013წლის 4 ივნისი - Legal summary

პირდაპირი მტკიცებულების უქონლობა იმის თაობაზე, თუ ვინ მართავდა მანქანას: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Telfner v. Austria, no. 33501/96, 2001წლის 20 მარტი - Legal summary

იმ ექსპერტების დაკითხვის შეუძლებლობა, რომელთა დასკვნაზე სასამართლომ მსჯავრდება დააფუძნა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Balsyte-Lideikiene v. Lithuania,no. 72596/01, 2008წლის 4 ნოემბერი – Legal summary

დაკავშირებული თემები

3. მტკიცებულებები

5.წერილობით მტკიცებულების გამოკვლევა

13. მტკიცებულების გამოკვლევის პრინციპები

22. დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა

11. ირიბი ჩვენება

მოკლე შეჯამება

კონვენციის მუხლი 6 §§ 1 და 3(დ) შეიცავს პრეზუმფციას სისხლის სამართალწარმოებაში განსასჯელის მიმართ ირიბი მტკიცებულების გამოყენების აკრძალვის თაობაზე. ასეთ მტკიცებულების ამორიცხვა დაშვებულია მაშინაც კი, როდესაც ეს მტკიცებულება შეიძლება დაცვას დაეხმაროს.

აღსანიშნავია, რომ ამ პრინციპიდან გამონაკლისები არსებობს იმ პირობით,რომ ეს დაცვის მხარის უფლებებს არ უნდა არღვევდეს. კერძოდ, როდესაც ირიბი ჩვენება არ წარმოადგენს ერთადერთ ან გადამწყვეტ მტკიცებულებას მოპასუხის წინააღმდეგ, ამ მტკიცებულების დაშვება ავტომატურად არ განიხილება როგორც მუხლი 6 § 1-ის დარღვევა. იმავდროულად, როდესაც მსჯავრდება მხოლოდ ამ ან მნიშვნელოვანწილად იმ მოწმის ჩვენებაზე დაყრდნობით ხდება, რომელიც პროცესზე არ გამოცხადებულა, სასამართლომ სამართალწარმოება განსაკუთრებულ კონტროლს უნდა დაუქვემდებაროს.

ზოგადი პრინციპები

მუხლი 6 § 3 (დ) ამკვიდრებს პრინციპს, რომლის შესაბამისადაც, ვიდრე ბრალდებულს მსჯავრი დაედება, როგორც წესი, მის წინააღმდეგ არსებული ყველა მტკიცებულება წარმოდგენილი უნდა იყოს

32 საინფორმაციო ბარათი No. 18, 2000 წლის მაისი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო, გვ 18

მისი თანდასწრებით, საჯარო სასამართლო განხილვაზე, შეჯიბრებითი პაექრობის პრინციპის დაცვით. დაშვებულია გამონაკლისები, თუ ეს დაცვის მხარის უფლებებს არ არღვევს. როგორც წესი, ბრალდებულს იმ მოწმის გამოკითხვისა და მისი ჩვენების გაქარწყლების შესაძლებლობა უნდა მიეცეს, რომელიც მის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას. ეს საშუალება მას მოწმის მიერ ჩვენების მიცემის ან სამართალწარმოების შემდგომ ეტაპზე შეიძლება მიეცეს (*Luca v. Italy*, § 39; *Solakov v. "the former Yugoslav Republic of Macedonia"*, § 57).

ზემოხსენებული ზოგადი პრინციპიდან ორი მოთხოვნა გამომდინარეობს. პირველი, **მოწმის დაუსწრებლობა საპატიო მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული.** მეორე, როდესაც **პირის მსჯავრდება ძირითადად იმ პირის მიერ მიცემულ ჩვენებაზე დაყრდნობით ხდება, რომლის გამოკითხვის საშუალება ბრალდებულს არ ჰქონდა გამოძიების ან სასამართლო პროცესის მსვლელობისას,** დაცვის უფლებები შეიძლება ისეთ დონემდე შეიზღუდოს, რაც არ შეესაბამება მე-6 მუხლით გათვალისწინებულ გარანტიებს (ეგრეთ წოდებული „ერთადერთი ან გადამწყვეტი მტკიცებულების წესი") (*Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom* [GC]*, § 119).

როდესაც მსჯავრდება მხოლოდ ან უმეტესწილად იმ მოწმის ჩვენებას ეყრდნობა, რომელიც სასამართლოზე არ გამოცხადებულა, მთავარი შეკითხვა მდგომარეობს იმაში, **არსებობდა თუ არა საკმარისი დამაბალანსებელი ფაქტორები,** მათ შორის, ამ მტკიცებულების სანდოობის სამართლიანად და ეფექტურად შეფასების მექანიზმები. დაშვებულია პირის მსჯავრდება ასეთ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, თუ დადგინდა, რომ იგი საკმარისად სანდოა და მნიშვნელოვანია მოცემული საქმისთვის (*Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom* [GC]*, § 147).

კონვენციის მუხლი 6 §§ 1 და 3(დ) შეიცავს პრეზუმფციას სისხლის სამართალწარმოებაში ირიბი მტკიცებულების გამოყენების აკრძალვის თაობაზე. გარდა ამისა, ირიბი მტკიცებულების ამორიცხვა გამართლებულია მაშინაც, თუ იგი ეხმარება დაცვას თავისი პოზიციის გამყარებაში (*Thomas v. United Kingdom* (dec.)).

გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება საჭირო გახდეს გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენებების გამოყენება (*Luca v. Italy*, § 40). მაგალითად, როდესაც მოწმე გარდაიცვალა (*Mika v. Sweden*(dec.), § 37; *Ferrantelli and Santangelo v. Italy*, § 52) ან იყენებს დუმილის უფლებას (*Vidgen v. the Netherlands*, § 47; *Sofri and Others v. Italy*(dec.); *Craxi v. Italy*[1](no. 1), § 86) ან კიდევ, როდესაც ხელისუფლების გონივრული ძალისხმევა, უზრუნველყოს მოწმის პროცესზე დასწრება, წარუმატებელი აღმოჩნდება (*Mirilashvili v. Russia*, § 217).

თუ მოწმე არ ყოფილა დაკითხული სამართალწარმოების რომელიმე სხვა ეტაპზე, ასეთი მოწმის წერილობითი ჩვენების დაშვება მტკიცებულებად ნაცვლად იმისა, რომ მან პირადად მისცეს ჩვენება სასამართლოზე, უკიდურეს ზომას უნდა წარმოადგენდა იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოწმის გამოუცხადებლობა დაცვის უფლებებზე *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom* [GC]*, § 125).

განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იყოს შესწავლილი და გამოყენებული მტკიცებულება, რომელიც მოწმისგან გარკვეული პირობების სანაცვლოდ იქნა მიღებული, რა დროსაც დაცვის მხარის უფლებები სათანადოდ ვერ იქნებოდა დაცული იმ მოცულობით, როგორც ამას, ჩვეულებრივ, კონვენცია მოითხოვს, (*S.N. v. Sweden**, § 53; *Doorson v. the Netherlands*, § 76).

იმ მოწმეების მიერ წინასასამართლო ეტაპზე გაკეთებული განცხადებები, რომელთა გამოცხადებაც ვერ ხდება შეჯიბრებით პროცესზე, შეიძლება გათვალისწინებულ იყოს, თუ ეს განცხადებები სხვა მტკიცებულებებით არის გამყარებული (*Mirilashvili v. Russia*, § 217; *C.R.R Scheper v.The Netherlands*(dec.); *Calabrm v. Italy and Germany* (dec.); *Ferrantelli and Santangelo v. Italy*, § 52).

მუხლი 6 § 3(დ) მოითხოვს მხოლოდ იმ მოწმის ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობას, რომლის ჩვენება არ იქნა წარდგენილი პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის, როდესაც ასეთ მტკიცებულებას გადამწყვეტი ან მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა პირის მსჯავრდების დროს (*Kok v. the Netherlands*(dec.); *Krasniki v. the Czech Republic**, § 79).

მაშინაც კი, როდესაც ირიბი ჩვენება ერთადერთი ან გადამწყვეტი მტკიცებულებაა მოპასუხის წინააღმდეგ, მისი დაშვება ავტომატურად არ გამოიწვევს მუხლი 6 § 1-ის დარღვევას. მიუხედავად ამისა, ის გარემოება, რომ მსჯავრდება მხოლოდ ან უმეტესწილად იმ მოწმის ჩვენებას ეფუძნება, რომელიც პროცესზე არ გამოცხადდა, მნიშვნელოვანი გასათვალისწინებლი ფაქტორია და მას სათანადო დაბალანსება, მათ შორის, ძლიერი პროცედურული დამცავი მექანიზმების არსებობა ესაჭიროება. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შესწავლილი უნდა იყოს ასეთი დამაბალანსებელი ფაქტორების არსებობა, მათ შორის მტკიცებულებების სანდოობის, სამართლიანი და ეფექტური გამოკვლევის მექანიზმის არსებობა. ასეთ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მსჯავრდება დასაშვებია, თუ მტკიცებულება საკმარისად სანდოდ არის მიჩნეული მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით (*Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom* [GC]*, § 147).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

C.R.R Scheper v. The Netherlands (dec.), no. 39209/02, 2005 წლის 5 აპრილი – Legal summary

Doorson v. the Netherlands, no. 20524/92, 1996წლის 26 მარტი – Legal summary

Ferrantelli and Santangelo v. Italy, no. 19874/92, 1996 წლის 7 აგვისტო – Legal summary

Kok v. the Netherlands (dec.), no. 43149/98, 2000 წლის 4 ივლისი – Legal summary[33]

Krasniki v. the Czech Republic, no. 51277/99, 2006წლის 28 თებერვალი – Legal summary*

Luca v. Italy, no. 33354/96, 2001 წლის 27 თებერვალი – Legal summary[34]

Mika v. Sweden (dec.), no. 31243/06, 2009 წლის 27 იანვარი – Legal summary

Mirilashvili v. Russia, no. 6293/04, 2008 წლის 11 დეკემბერი – Legal summary

S.N. v. Sweden, no. 77018/01, 2009 წლის 29 იანვარი – Legal summary*

Sofri and Others v. Italy (dec.), no. 37235/97, 2003წლის 27 მაისი - Legal summary[35]

Solakov v. "the former Yugoslav Republic of Macedonia", no. 47023/99,2001 წლის 31 ოქტომბერი - Legal summary

Thomas v. United Kingdom (dec.), no. 9354/02, 2005 წლის 10 მაისი - Legal summary

Vidgen v. the Netherlands, no. 29353/06, 2012 წლის 10 ივლისი

სხვა წყაროები:

მსჯავრდება ნაწილობრივ ირიბ ჩვენებებსა და ნაწილობრივ სხვა მტკიცებულებებზე დაყრდნობით: სასამართლომ დაუშვებლად ცნო

Haas v. Germany (dec.), no. 73047/01, 2005წლის 17 ნოემბერი – Legal summary

მსჯავრდება იმ მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით, რომლებიც სასამართლო განხილვაზე არ გამოცხადებულან: სასამართლომ დაადგინა დარღვევა/სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა

Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom [GC], no. 26766/05, 2011 წლის 15 დეკემბერი – Legal summary*

პირს მსჯავრი დაედო არასრულწოვნების ჩვენებებზე დაყრდნობით, რომლებიც სექსუალურ ძალადობას დაექვემდებარნენ და რომლებთანაც დაპირისპირებისა და გამოკითხვის საშუალება ბრალდებულს არ მიეცა: სასამართლომ დაუშვებლად ცნო

33 საინფორმაციო ბარათი No. 20, 2000 წლის ივლისი, მუხლი 6, მოწმის დაკითხვა, გვ 18
34 საინფორმაციო ბარათი No. 27, 2001 წლის თებერვალი, მუხლი 6, მოწმის დაკითხვა, გვ 18
35 საინფორმაციო ბარათი No. 53,2003 წლის მაისი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო, გვ 14

Accardi and Others v. Italy (dec.), no. 30598/02, 2005 წლის 20 იანვარი – Legal summary[36]

ხელისუფლების ორგანოებმა არ დაასაბუთეს უარი, უზრუნველეყოთ იმ მოწმის სასამართლო სხდომაზე დასწრება, რომლის ჩვენებასაც მსჯავრდება დაეფუძნა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Rudnichenko v. Ukraine, no. 2775/07, 2013 წლის 11 ივლისი - Legal summary

იმ მოწმის მოსმენაზე უარი, რომელმაც მანამდე სასამართლოს გამოძახებით ჩვენება მისცა: სასამართლომ დაუშვებლად ცნო

A.E.D.L.G. v. Spain (dec.), no. 40180/98, 1998წლის 15 დეკემბერი - Legal summary[1]

ბრალდების მოწმის გამოკითხვის შეუძლებლობა მისი გარდაცვალების ან დუმილის უფლების გამოყენების მიზეზით: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Craxi v. Italy[1]*,no.34896/97,2002 წლის 5 დეკემბერი – Legal summary*

სისხლის სამართალწარმოების პროცესში დაზარალებულის გამოკითხვის შეუძლებლობა: სასამართლომ დაუშვებლად ცნო

S.E. v. Italy (dec.), no.36686/97, 1999წლის 12 იანვარი – Legal summary[1]

ბრალდების მოწმის გამოკითხვის შეუძლებლობა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Sadak and Others v. Turkey (No. 1), nos .29900/96, 29901/96, 29902/96 და 29903/96, 2001 წლის 17 ივლისი – Legal summary

ბრალდებულს არ მიეცა შესაძლებლობა კითხვები დაესვა სავარაუდო სექსუალური ძალადობის მსხვერპლითვის: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

P.S. v. Germany, no. 33900/96, 2001 წლის 20 თებერვალი – Legal summary

ირიბი მტკიცებულებების გამოყენება (გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებს და ECHR-ს შორის სამართლებლივ ასპექტებზე კომუნიკაციის დასკვნა): სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

Horncastle and Others v. United Kingdom,[37] *no. 4184/10, 2014წლის 16 დეკემბერი – Legal summary*

დაკავშირებული თემები

3. მტკიცებულებები

10. პირდაპირი მტკიცებულეა

19. მტკიცებულებების ერთობლიობა

12. იმავე ინფორმაციის შემცველი ორი ან მეტი მტკიცებულების გამოყენების წესი

მოკლე შეჯამება

მე-6 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, სამართალწარმოების პროცესი მთლიანობაში, მტკიცებულებების მოპოვების მეთოდების ჩათვლით, სამართლიანი უნდა იყოს. როდესაც სასამართლო განიხილავს,თუ რამდენად დაცული იყო დაცვის მხარის უფლებები, იგი მხედველობაში იღებს მტკიცებულებების ხარისხს, მათ შორის, ხომ არ აყენებს ეჭვქვეშ მტკიცებულებების სანდოობას ან სიზუსტეს ის გარემოებები, რომელთა პირობებშიც მოხდა მტკიცებულების მოპოვება. თუ არსებობს იმის რისკი, რომ მტკიცებულება არ იყოს სანდო, უფრო მეტი საჭიროება იქნება იმისა, რომ იგი სხვა მტკიცებულებით იყოს გამყარებული იმისთვის, რომ სამართლიანი სასამართლოს პრინციპი იყოს დაცული.

36 საინფორმაციო ბარათი No. 71, 2005 წლის იანვარი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო - მოწმის დაკითხვა, გვ 17

37 გადაწყვეტილება არ იყო გამოტანილი ანგარიშის მომზადების პერიოდისთვის (20/12/2014)

მხარდამჭერი მტკიცებულების, როგორც დამცავი მექანიზმის, ღირებულება აშკარაა ისეთ საქმეებზე, როდესაც მაგალითად, მსჯავრდების საფუძვლად გამოყენებული მტკიცებულების ნამდვილობა, ხარისხი, ან ის, თუ რა გზით იქნა იგი მოპოვებული, ეჭვს ბადებს. სასამართლო აღიარებს დაცვის მხარის საჭიროებას, ჰქონდეს მტკიცებულების ხარისხის, უტყუარობის და მათი წყაროს შემოწმების შესაძლებლობა.

ძირითადი პრინციპები

მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი, პირველ რიგში, ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების და, როგორც წესი, ეროვნული სასამართლოების შეფასების საგანია. სასამართლოს ამოცანაა იმის დადგენა, თუ რამდენად სამართლიანი იყო მთლიანობაში სამართალწარმოების პროცესი, მათ შორის მტკიცებულების მოპოვების მეთოდი (*Ramanauskas v. Lithuania* [GC],§ 52, *Laska and Lika v. Albania*, § 57).

ზემოხსენებულ კონტექსტში შეფასებულ უნდა იქნეს, თუ რამდენად იყო დაცული დაცვის უფლებები და მტკიცებულებების ხარისხი, ასევე უნდა შეფასდეს, ხომ არ აყენებს ეჭვქვეშ მტკიცებულებების უტყუარობასა და სიზუსტეს ის გარემოებები, რომლებშიც მტკიცებულებები იქნა მოპოვებული (*Khan v. the United Kingdom*, § 37). აღსანიშნავია, რომ სამართლიანობის პრობლემა, სავალდებულოდ, არ წარმოიშობა ისეთი მტკიცებულებასთან მიმართებით, რომელიც გამყარებელი არ არის სხვა მტკიცებულებით - როცა მტკიცებულება მყარია და არ არსებობს რისკი მის სანდოობასთან დაკავშირებით, მისი სხვა მტკიცებულებით გამყარების საჭიროება შედარებით ნაკლებია (*Bykov v. Russia* [GC], § 90 ;*Jalloh v. Germany* [GC], § 96). ამ თვალსაზრისით, სასამართლო ასევე ანიჭებს მნიშვნელობას, მტკიცებულებამ გადამწყვეტი ზეგავლენა იქონია თუ არა სისხლის სამართლის საქმის შედეგზე (*Gäfgen v. Germany[GC]**).

იმისთვის, რომ ბრალდებულის საქმე სამართლიანად იყოს განხილული, **დაცვის უფლებების შეზღუდვით განპირობებული სირთულეები სათანადოდ უნდა იყოს კომპენსირებული სასამართლოს მიერ განხორციელებული პროცედურებით** (*Dončev and Burgov v. "The Former Yugoslav Republic of Macedonia" § 49).*

თუ მოწმე საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა მხარეთა პაექრობაზე, ეროვნული სასამართლოს პრეროგატივაა გადაწყვიტოს, გაითვალისწინოს თუ არა წინასასამართლო ეტაპზე მოწმის მიერ მიცემული ჩვენებები, თუკი ეს ჩვენებები ასევე სხვა მტკიცებულებით არის გამყარებული (*Mirilashvili v. Russia*, § 217;*Calabrm v. Italy and Germany* (dec.); *Ferrantelli and Santangelo v. Italy*, § 52).

როდესაც **მსჯავრდება მხოლოდ ან უმეტესწილად ისეთი მოწმის მტკიცებულებებს ეფუძნება, რომელიც პროცესზე არ გამოცხადდა,** სასამართლო სამართალწარმოებას განსაკუთრებულ კონტროლს დაუქვემდებარებს. ვინაიდან ასეთი მტკიცებულების დასაშვებად ცნობასთან სერიოზული რისკებია დაკავშირებული, უაღრესად მნიშვნელოვანია **სათანადო დამაბალანსებელი ფაქტორების, მათ შორის ძლიერი პროცესუალური დამცავი მექანიზმების არსებობა.** ასეთ შემთხვევებში შესწავლილი უნდა იყოს, არსებობდა თუ არა საკმარისი დამაბალანსებელი ფაქტორები, მათ შორის მტკიცებულებების სანდოობის შეფასების ეფექტური და სათანადო მექანიზმები. პირის მსჯავრდება ასეთ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ისინი საკმარისად სანდოა მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით (*Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom[GC]*,* § 147).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom[GC], 26766/05, 2011 წლის 15 დეკემბერი – Legal summary*

Bykov v. Russia[GC], no. 4378/02, 2009წლის 10 მარტი

Calabrò v. Italy and Germany (dec.), 59895/00, 2002წლის 21 მარტი

Dončev and Burgov v. "The Former Yugoslav Republic of Macedonia"

Ferrantelli and Santangelo v. Italy, no. 19874/92, 1996 წლის 7 აგვისტო

Gäfgen v. Germany[GC]*, *no. 22978/05, 2010 წლის 1 ივნისი*

Jalloh v. Germany [GC], no. 54810/00, 2006 წლის 11 ივლისი – Legal summary*

Khan v. the United Kingdom,no. 35394/97, 2000 წლის 12 მაისი

Laska and Lika v. Albania, no.12315/04, 2010 წლის 20 აპრილი

Mirilashvili v. Russia, no. 6293/04, 2008 წლის 11 დეკემბერი

Ramanauskas v. Lithuania [GC], no. 74420/01, 2008 წლის 5 თებერვალი

დაკავშირებული თემები

3. მტკიცებულებები

16. მტკიცებულებების დასაშვებობა: მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა

17. მტკიცებულების ძალა (წონა)

13. მტკიცებულების შეფასების პრინციპები

მოკლე შეჯამება

მტკიცებულების შეფასებისას სასამართლო მოითხოვს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დაცვას, კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად და ეროვნულ სასამართლოებს მტკიცებულებათა სათანადოდ შესწავლის ვალდებულებას აკისრებს. სასამართლო უპირატესობას ზეპირ ჩვენებასა და ღია სასამართლო სხდომას ანიჭებს; იგი ასევე შეჯიბრებითი პროცესით გათვალისწინებული უფლებების დაცვას ითხოვს. სასამართლო ასევე ხაზს უსვამს მტკიცებულებების კონვენციით დაცული ფუნდამენტური უფლებების დაცვით მოძიების აუცილებლობას.

ძირითადი პრინციპები

კონვენციის მე-6 მუხლი სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიებს განსაზღვრავს, მაგრამ არ ადგენს მტკიცებულების დასაშვებად ცნობასთან დაკავშირებულ წესებს, რაც ნიშნავს იმას, რომ მოცემული საკითხი ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საგანია. შესაბამისად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გამორიცხოს, რომ უკანონო გზით მოპოვებული მტკიცებულებები, იყოს დასაშვები. მისი ამოცანაა, მხოლოდ იმის დადგენა სამართალწარმოების პროცესი მთლიანობაში იყო თუ არა სამართლიანი (*Schenk v. Switzerland*, §§ 45-46).

როდესაც სასამართლო ადგენს, მართლმსაჯულების პროცესი მთლიანობაში სამართლიანი იყო თუ არა, გათვალისიწნებული უნდა იყოს, თუ რამდენად დაცული იყო დაცვის უფლებები. კერძოდ, შესწავლილი უნდა იქნეს, მიეცა თუ არა მომჩივანს მტკიცებულებების ნამდვილობის შემოწმებისა და მისი გამოყენების გაპროტესტების შესაძლებლობა. ასევე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მტკიცებულებების ხარისხი და ხომ არ აყენებს ეჭვქვეშ მტკიცებულებების სანდოობას და უტყუარობას ის გარემოებები, რომელთა პირობებშიც მტკიცებულებები იქნა მოპოვებული. აღსანიშნავია, რომ სამართლიანობის პრობლემა, სავალდებულოდ, არ წარმოიშობა ისეთი მტკიცებულებასთან მიმართებით, რომელიც გამყარებელი არ არის სხვა მტკიცებულებთ - როცა მტკიცებულება მყარია და არ არსებობს რისკი მის სანდოობასთან დაკავშირებით, მისი სხვა მტკიცებულებით გამყარების საჭიროება შედარებით ნაკლებია.

მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის ზოგადი პრინციპი სისხლის სამართალწარმოების ყველა შემთხვევაზე ვრცელდება ჩადენილი დანაშაულის ხასიათის მიუხედავად. თუმცა, როდესაც სასამართლო ადგენს, თუ რამდენად სამართლიანი იყო სამართალწარმოების პროცესი, მხედველობაში მიიღება კონკრეტული სახის დანაშაულის გამოძიებისა და დასჯისადმი საზოგადოებრივი

ინტერესი და მისი შეპირწონება ხდება პირის ინდივიდუალურ ინტერესთან, რომ მის წინააღმდეგ მტკიცებულებები კანონიერი გზით იყოს მოპოვებული. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი ინტერესის არსებობა არ ამართლებს ისეთ ზომებს, რომლებიც განმცხადებლის დაცვის უფლებების ძირითად არსს, მათ შორის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის პროვილეგიას არღვევს (*Jalloh v. Germany* (GC)*, §§ 96 - 97).

მე-6 მუხლის ერთ-ერთი მიზანია სასამართლოს დავალდებულება სათანადოდ გამოიკვლიოს მხარეების მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არგუმენტები და მიუკერძოებლად შეაფასოს მათი მნიშვნელობა (*Van de Hurk v. the Netherlands*, § 59).

როგორც წესი,ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული ყველა მტკიცებულება მისი თანდასწრებით უნდა იყოს წარდგენილი, საჯარო სასამართლო განხილვაზე, შეჯიბრებითი პაექრობის პრინციპის დაცვით. დაშვებულია გამონაკლისები, თუ ეს დაცვის უფლებებს არ არღვევს. როგორც წესი, ბრალდებულს იმ მოწმის გამოკითხვისა და მისი ჩვენების გაქარწყლების შესაძლებლობა უნდა მიეცეს, რომელიც მის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას. ეს საშუალება მას მოწმის მიერ ჩვენების მიცემის ეტაპზე ან სასამართლო პროცესის შემდგომ შეიძლება მიეცეს (*Van Mechelen and Others v. The Netherlands*, § 51; *Lüdi v. Switzerland*, § 49).

მიუხედავად ამისა, კონვენციის მე-6 მუხლი არ გამორიცხავს ირიბი ან დამატებითი მტკიცებულების გამოყენებას (*Haxhia v. Albania,* § 142).

წინასასამართლო ეტაპზე მოპოვებული ჩვენების გამოყენება თავისთავად არ არის წინააღმდეგობაში მე-6 მუხლის 1 და 3 (დ) პარაგრაფის მოთხოვნებთან (მუხლი 6-3-დ, მუხლი 6-1), თუკი დაცვის უფლებები სათანადოდ იყო დაცული (*Isgró v. Italy*, § 34).

მტკიცებულებების შეფასების პროცესში სასამართლო „გონივრულ ეჭვის მიღმა“ სტანდარტით ხელმძღვანელობს (*Ireland v. the United Kingdom*, § 161). მიუხედავად ამისა, ამგვარი მტკიცება შეიძლება საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნებით ან ფაქტის თაობაზე გაუქარწყლებელი ვარაუდით იყოს გამყარებული (*Salman v. Turkey*, §100).

ფარული აგენტების გამოყენება შეზღუდული უნდა იყოს და ნარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებული საქმეების შემთხვევაშიც კი სათანადო დამცავი მექანიზმები უნდა მოქმედებდეს. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზებული დანაშაულის შემთხვევების ზრდასთან ერთად უდავოდ საჭიროა შესაბამისი ზომების გატარება, მართლმსაჯულების სამართლიანი განხორციელების უფლება იმდენად მნიშვნელოვანი უფლებაა, რომ არ შეიძლება იგი გარკვეული ზომების გატარების მიზანშეწონილობას შეეწიროს. მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანობის ზოგადი მოთხოვნა ყველა სახის დანაშაულთან მიმართებით მიმდინარე სამართალწარმოებაზე ვრცელდება, დაწყებული ყველაზე მარტივი საქმეებიდან და დამთავრებული რთული და მძიმე საქმეებით. საზოგადოებრივი ინტერესი ვერ გაამართლებს ისეთი მტკიცებულების გამოყენებას, რომელიც პოლიციის წამქეზებლობითაა მოპოვებული (*Teixeira de Castro v. Portugal*, §36)

რაც შეეხება კონვენციის დარღვევის ხასიათის განსაზღვრას, უნდა დადგინდეს, მოახდინა თუ არა მე-8 მუხლის დარღვევით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებამ გავლენა სასამართლო პროცესის სამართლიანობაზე და ჰქონდა თუ არა ადგილი მე-6 მუხლის დარღვევას, რაც საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. კერძოდ, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს განმცხადებლის დაცვის უფლებები და შესწავლილი უნდა იყოს კონკრეტული მტკიცებულებების მნიშვნელობა და ხარისხი (*Gäfgen v. Germany* [GC]*, § 165).

მიუხედავად ამისა, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო სისხლის სამართალწარმოების პროცესში მე-3 მუხლის მოთხოვნების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებისას. კონვენციით გარანტირებული ერთ-ერთი ფუნდამენტური და აბსოლუტური უფლების დარღვევით მოპოვებული ასეთი მტკიცებულება ყოველთვის სერიოზულ ეჭვებს ბადებს მართლმსაჯულების პროცესის სამართლიანობასთან დაკავშირებით, მაშინაც კი, როდესაც ეს მტკიცებულება არ არის პირის მსჯავრდების ძირითადი საფუძველი (*Jalloh v. Germany*(GC)*, §§ 99-105; *Harutyunyan v. Armenia**, § 63).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Gäfgen v. Germany [GC]*, *no. 22978/05, 2010წლის 1 ივნისი – Legal summary*

Harutyunyan v. Armenia, no. 36549/03, 2007წლის 28 ივნისი– Legal summary*

Isgró v. Italy, no. 11339/85, 1991 წლის 10 თებერვალი – Legal summary

Jalloh v. Germany, (GC), no. 54810/00, 2006წლის 11 ივლისი – Legal summary*

Lüdi v. Switzerland, no. 12433/86, 1992წლის 15 ივნისი – Legal summary

Salman v. Turkey, no. 21986/93, 2000 წლის 27 ივნისი

Schenk v. Switzerland, no. 10862/84, 1988 წლის 12 ივლისი

Teixeira de Castro v. Portugal, no. 25829/94, 1998წლის 9 ივნისი – Legal summary

Van de Hurk v. the Netherlands, no. 16034/90, 19 April 1994 წლის

Van Mechelen and Others v. The Netherlands, nos. 21363/93, 21364/93, 21427/93 და 2056/93, 1997წლის 23 აპრილი – Legal summary

დაკავშირებული თემები

3. მტკიცებულებები

10. პირდაპირი მტკიცებულება

16. მტკიცებულების დასაშვებობა

14. მტკიცებულების რელევანტურობა

მოკლე შეჯამება

ეროვნული სასამართლოები უკეთეს პოზიციაში არიან შეაფასონ მოწმეების სანდოობა და მტკიცებულების რელევანტურობა. კერძოდ, როგორც წესი, ეროვნული სასამართლოს პრეროგატივაა გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, თუ რამდენად საჭიროა ან მიზანშეწონილი მოწმის გამოკითხვა ან ექსპერტის დანიშვნა. მიუხედავად ამისა, სასამართლო დაადგენს, თუ რამდენად სამართლიანი იყო სამართალწარმოების პროცესი მთლიანობაში.

ბრალდებამ მის ხელთ არსებული ყველა მამხილებელი ან გამამართლებელი მტკიცებულება უნდა წარუდგინოს დაცვის მხარეს. მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებების გამჟღავნების ვალდებულება არ არის აბსოლუტური ხასიათის, ყოველ ცალკეულ საქმესთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღების პროცედურა მხარეთა თანასწორობისა და პროცესის შეჯიბრებითობის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

ძირითადი პრინციპები

ეროვნული სასამართლოებისთვის წარდგენილი მტკიცებულებების რელევანტურობა

ეროვნული სასამართლო უკეთეს პოზიციაშია შეაფასოს მოწმეების სანდოობა და მტკიცებულებების რელევანტურობა. ასევე, ეროვნული სასამართლოს პრეროგატივაში შედის საქმესთან კავშირში არ მყოფი მტკიცებულების ამორიცხვა (*Vidal v. Belgium*, § 32; *Edwards v. the United Kingdom,* § 34; *Karpenko v. Russia*, § 80 და *Patsuria v. Georgia**, § 86). მაგრამ სასამართლოს უფლებამოსილებაში შედის დაადგინოს, თუ რამდენად სამართლიანი იყო მთლიანობაში სამართალწარმოების პროცესი, მტკიცებულების მოპოვების მეთოდების ჩათვლით (*Asch v. Austria*, § 26).

"72. რაც შეეხება ეროვნული სასამართლოების მიერ დაზარალებულის მოსმენის თაობაზე განმცხადებლის

შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის მიზეზებს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ განმცხადებლის ინტერესი დაეკითხა დაზარალებული გადაწონილი იქნა ოთხი მცირეწლოვანი ბავშვის ინტერესით კვლავ არ განეცადათ მატრავმირებელი მოვლენები პროცესზე ჩვენების მიცემის დროს, სასამართლომ საქმის მასალებში ვერ მოიძია რაიმე კონკრეტული მტკიცებულება, მაგალითად, ექსპერტის დასკვნა, რომელიც ამ დასაბუთებას გაამყარებდა. სასამართლო პოზიტიურად აფასებს სქესობრივ დანაშაულთან დაკავშირებული სისხლის სამართალწარმოების ისეთი გზით წარმართვას, რომ არასრულწლოვანი მოწმეების ინტერესები იყოს დაცული, რაც მნიშვნელოვანია მე-6 მუხლის მიზნების გათვალისწინებით. მაგრამ განმცხადებლისთვის უარის თქმის ამ არგუმენტით ახსნა არ არის დამაკმაყოფილებელი და გარკვეულწილად, სპეკულაციას წარმოადგენს“ (*Bocos-Cuesta v. the Netherlands,* § 72)

ექსპერტის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, იქნება ეს მხარეების თანხმობით, თუ მის გარეშე, მტკიცებულების დასაშვებობისა და რელევანტურობის შეფასების მიზნით, 6 § 1 მუხლის შესაბამისად, როგორც წესი, ეროვნული სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებაში შედის (*Vilho Eskelinen and Others v. Finland[GC]**, § 31; *Schenk v. Switzerland*, § 46 და*Sara Lind Eggertsdóttir v. Iceland*, § 44).

მოწმის გამოძახებაზე ან დაკითხვაზე უარის თქმის დაუსაბუთებლობა დაცვის უფლებების შეზღუდვას შეიძლება გაუტოლდეს, რაც წინააღმდეგონაშია სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიებთან (*Bocos-Cuesta v. the Netherlands*, § 72; *Wierzbicki v. Poland*, § 45; and *Vidal v. Belgium*, § 34). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ საქმეებთან მიმართებით, როდესაც ურთიერთგამომრიცხველი მტკიცებულებები არსებობს და მხარეებს ერთსა და იმავე ფაქტებზე განსხვავებული ვერსიები გააჩნიათ (*Popov v. Russia*, § 188).

მოპასუხის საჩივარი იმის თაობაზე, რომ მას არ მიეცა გარკვეული მოწმეების გამოკითხვის შესაძლებლობა, იმ მიზეზების ზუსტი მითითებით უნდა იყოს დასაბუთებული, თუ რატომ იყო მნიშვნელოვანი ამ კონკრეტული მოწმის მოსმენა, ამასთან, ამ მოწმის ჩვენება აუცილებელი უნდა იყოს სიმართლის დასადგენად და დაცვის უფლებების რეალიზაციისთვის (*Perna v. Italy*[GC], §29*; Bacanu and SC R S.A.v. Romania*, § 75).

ნებისმიერ შემთხვევაში მე-6 მუხლი არ ანიჭებს ბრალდებულს შეუზღუდავ უფლებას მოითხოვოს მოწმის სასამართლოში გამოძახება. ზოგადად, ეროვნული სასამართლოს პრეროგატივაა, გადაწყვეტილება მიიღოს მოწმის დაბარებისა და მოსმენის საჭიროებისა და მიზანშეწონილობის თაობაზე (see, *S.N. v. Sweden**, § 44; *Accardi and Others v. Italy* (dec.)).

დაცვისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების გამჟღავნება

მუხლი 6 § 1 მოთხოვნების შესაბამისად, ბრალდებამ დაცვას ბრალდებულის წინააღმდეგ ან მის სასარგებლოდ არსებული ყველა მნიშვნელოვანი მტკიცებულება უნდა წარუდგინოს (*Rowe and Davis v. the United Kingdom* [GC], § 60).

მიხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი მტკიცებულების გამჟღავნების ვალდებულება არ არის აბსოლუტური უფლება. სისხლის სამართლის ნებისმიერ საქმეში შეიძლება კონკურენტული ინტერესები არსებობდეს, მაგალითად ეროვნული უსაფრთხოება, მოწმის შურისძიებისგან დაცვის აუცილებლობა, ან პოლიციის მიერ დანაშაულის გამოძიების მეთოდის შესახებ საიდუმლოების დაცვა. შესაბამისად, ეს ინტერესები აწონილი უნდა იქნეს ბრალდებულის უფლებებთან მიმართებით(*Doorson v. The Netherlands*, § 70). ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს, რომ გარკვეული მტკიცებულება არ გამჟღავნდეს სხვა პირის ფუნდამენტური უფლებების ან მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესების დასაცავად.

მუხლი 6 § 1-ით დაცვის უფლებების მხოლოდ ისეთი შეზღუდვაა დაშვებული, რაც აბსოლუტური აუცილებლობით არის განპირობებული (*Van Mechelen and Others v. The Netherlands*, § 58). გარდა ამისა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბრალდებულის უფლება საქმის სამართლიან განხილვაზე არ დაირღვეს, ყველა სირთულე, რის წინაშეც დაცვა აღმოჩნდება მისი უფლებების შეზღუდვის გამო სათანადოდ უნდა იყოს კომპენსირებული სასამართლო ხელისუფლების მიერ გატარებული ზომებით (*Doorson v. The Netherlands*, § 72, and *Van Mechelen and Others v.The Netherlands*, § 54).

იმ შემთხვევებში, როდესაც მტკიცებულებები არ იქნა წარდგენილი დაცვისთვის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლოს უფლებამოსილებაში არ შედის იმის დადგენა, იყო თუ არა მტკიცებულებების გაუმჟღავნებლობა აბსოლიტური აუცილებლობით განპირობებული (*Edwards v. United Kingdom*, § 34). სასამართლოს ფუნქციაა დაადგინოს, რომ ყოველ ცალკეულ საქმესთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღების პროცედურა შეესაბამებოდა შეჯიბრებითი პროცესისა და მხარეთა თანასწორობის დაცვის მოთხოვნას, და რომ არსებული დამცავი მექანიზმები ადეკვატური იყო იმისთვის, რომ ბრალდებულის ინტერესები დაცული ყოფილიყო (*Rowe and Davis v. the United Kingdom* [GC], § 62 and *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom[GC]*,* § 147).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom[GC], no.26766/05, 2011 წლის 15 დეკემბერი – Legal summary*

Asch v. Austria, no. 12398/86, 1991 წლის 26 აპრილი

Bacanu and SC R S.A. v. Romania, no. 4411/04, 2009 წლის 3 მარტი

*Davydov and Others v. Ukraine *,no. 17674/02 2010 წლის 1 ივლისი*

Doorson v. The Netherlands, no. 20524/92, 1996 წლის 26 მარტი

Edwards v. the United Kingdom, no. 13071/87, 1992 წლის 16 დეკემბერი

Vilho Eskelinen and Others v. Finland[GC], 63235/00, 2007 წლის 19 აპრილი*

Karpenko v. Russia,

Patsuria v. Georgia, no. 30779/04, 2007 წლის 6 ნოემბერი*

Rowe and Davis v. the United Kingdom [GC],

S.N. v. Sweden, no. 77018/01, 2009 წლის 29 იანვარი*

Sara Lind Eggertsdóttir v. Iceland – no. 1930/04, 2007 წლის 5 ივლისი - Legal Summary

Schenk v. Switzerland, no. 10862/84, 1988 წლის 12 ივლისი

Van Mechelen and Others v. The Netherlands, nos. 21363/93, 21364/93, 21427/93 და 2056/93, 1997 წლის 23 აპრილი

Wierzbicki v. Poland, no. 24541/94, 2002 წლის 8 ივნისი – Legal summary

სხვა წყაროები

ცილისწამების საქმეზე სასამართლომ ბრალდებულს უარი უთხრა მოწმის გამოძახებასა და მტკიცებულებების დაშვებაზე: სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

Perna v. Italy [GC], no. 48898/99, 2003 წლის 6 მაისი – Legal summary

არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალურ ძალადობაში ბრალდების საქმეზე სასამრთლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა დაზარალებულების შეფასებასა და დაცვის მხარის მიერ მოწვეული ექსპერტის დაკითხვაზე: სასამართლომ დაუშვებლად ცნო

Accardi and Others v. Italy(dec.), no. 30598/02, 2005 წლის 20 იანვარი – Legal summary[38]

წინააღმდეგობრივ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მსჯავრდების შემთხვევაში სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მოწმის გამოკითხვის შუამდგომლობა, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე მან იმავე საკითხზე დაცვის მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

38 საინფორმაციო ბარათი No. 71, 2005 წლის იანვარი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო, მოწმეთა დაკითხვა, გვ 17

Popov v. Russia, no. 26853/04, 2006 წლის 13 ივლისი – Legal summary

საქმის განმხილველი სასამართლოების მიერ არასაკმარისად დასაბუთებული და, გარკვეულწილად, სპეკულაციური, მიზეზების დასახელება, იმ მოწმეთა ჩვენებების მოსმენაზე უარისთვის, რომლებიც გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო პირის მსჯავრდებისთვის: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Bocos-Cuesta v. the Netherlands, no. 54789/00, 2005 წლის 10 ნოემბერი – Legal summary

სააპელაციო სასამართლოს მიერ საკასაციო სასამართლოდან ხელახლა განსახილველად დაბრუნებულ საქმეზე დაცვის მოწმის გამოძახებაზე უარის თქმა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Vidal v. Belgium, no.12351/86 , 1992 წლის 22 აპრილი – Legal summary

დაკავშირებული თემები

2. მხარეთა თანასწორობა და პროცესის შეჯიბრებითობა

3. მტკიცებულებები

13. მტკიცებულების შეფასების პრინციპები

18. მტკიცებულებების ერთობლიობა

26. მიზეზები, თუ რატომ მიიჩნია სასამართლომ გარკვეული მტკიცებულებები დასაშვებლად და უარყო სხვა მტკიცებულებები

15. მტკიცებულების ნამდვილობა (ავთენტურობა)

მოკლე შეჯამება

მუხლი 6-ის მოითხოვს, რომ საქმის ყველა გარემოებასთან, მათ შორის მტკიცებულების მოპოვების მეთოდთან მიმართებით, სამართალწარმოება მთლიანობაში იყოს სამართლიანი.

სასამართლოს მოცემული მიდგომა რამოდენიმე ასპექტითაა განპირობებული. კერძოდ, სასამართლო გამოიკვლევს:

მტკიცებულებების ხარისხს, მათ შორის დაადგენს, ეჭვქვეშ ხომ არ აყენებს მტკიცებულებების სანდოობასა და უტყუარობას გარემოებები, რომელთა პირობებშიც იყო მოპოვებული მტკიცებულება; და

მიეცა თუ არა განმცხადებელს ეფექტური შესაძლებლობა ეჭვქვეშ დაეყენებინა **მტკიცებულებების ნამდვილობა და** გაეპროტესტებინა მათი გამოყენება ეროვნული სასამართალწარმოების ფარგლებში.

ზოგადი პრინციპები

მტკიცებულების დასაშვებად ცნობა უპირველეს ყოვლისა ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საგანია, და როგორც წესი ეროვნული სასამართლოს უფლებამოსილებაში შედის მის ხელთ არსებული მტკიცებულების შეფასება. სასამართლო ადგენს მხოლოდ იმას, რამდენად სამართლიანი იყო მთლიანობაში სამართალწარმოება, მტკიცებულების მოპოვების მეთოდების ჩათვლით (*Schenk v. Switzerland*, §§ 45-46, *Ramanauskas v. Lithuania* [GC], § 52, *Laska and Lika v. Albania*, § 57).

სამართალწარმოების სამართლიანობის შეფასებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მტკიცებულებების ხარისხი და ის გარემოებები, რომლებშიც მტკიცებულებები იქნა მოპოვებული, აგრეთვე ის, თუ რამდენად ეჭვქვეშ აყენებს ეს გარემოებები მტკიცებულებების სანდოობასა და უტყუარობას. ასევე, შესწავლილი უნდა იყოს, თუ რამდენად დაცული იყო დაცვის უფლებები და განმცხადებელს მიეცა თუ არა ეფექტური შესაძლებლობა შეემოწმებინა მტკიცებულებების ნამდვილობა და გაეპროტესტებინა მტკიცებულებების გამოყენება ეროვნული სასამართალწარმოების გარგლებში *(Bykov v. Russia* [GC], § 90, *Lisica v.*

Croatia, §§ 51-54, *Jannatov v. Azerbaijan*, § 74).

კონვენციის მიზნების გათვალისწინებით, რაც ეფექტური და პრაქტიკული უფლებების დაცვას გულისხმობს (*Lisica v. Croatia*, § 60), **მტკიცებულებების ნამდვილობის თაობაზე დავის უფლება ეფექტური უნდა იყოს,** რაც თავის მხრივ ეროვნული სასამართლოს მიერ განმცხადებლის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და მოსაზრებების სათანადო შესწავლას მოითხოვს (*Jannatov v. Azerbaijan*, § 82).

აღსანიშნავია, აღსანიშნავია, რომ სამართლიანობის პრობლემა, სავალდებულოდ, არ წარმოიშობა ისეთი მტკიცებულებასთან მიმართებით, რომელიც გამყარებელი არ არის სხვა მტკიცებულებით - როცა მტკიცებულება მყარია და არ არსებობს რისკი მის სანდოობასთან დაკავშირებით, მისი სხვა მტკიცებულებით გამყარების საჭიროება შედარებით ნაკლებია *(Bykov v. Russia [GC], § 90 ;Jalloh v. Germany [GC], § 96)*. ამ თვალსაზრისით, სასამართლო ასევე ანიჭებს მნიშვნელობას, მტკიცებულებამ გადამწყვეტი ზეგავლენა იქონია თუ არა სისხლის სამართლის საქმის შედეგზე (*Gäfgen v. Germany[GC]**).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Bykov v. Russia [GC], no. 4378/02, 2009 წლის 10 მარტი – Legal summary

Gäfgen v. Germany[GC], no. 22978/05, 2010 წლის 1 ივნისი – Legal summary*

Jalloh v. Germany [GC], no. 54810/00, 2006 წლის 11 ივლისი – Legal summary*

Jannatov v. Azerbaijan, no. 32132/07, 2014 წლის 31 ივლისი

Laska and Lika v. Albania, no.12315/04, 2010 წლის 20 აპრილი – Legal summary

Lisica v. Croatia, no. 20100/06, 2010წლის 25 თებერვალი – Legal summary

Ramanauskas v. Lithuania [GC], no. 74420/01, 2008 წლის 5 თებერვალი - Legal summary

Schenk v. Switzerland, no. 10862/84, 1988 წლის 12 ივლისი

დაკავშირებული თემები

3. მტკიცებულებები

16. მტკიცებულების დასაშვებობა, მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა

16. მტკიცებულების დასაშვებობა, მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა

მოკლე შეჯამება

უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებები, თავისთავად, არ წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას. მე-6 მუხლი მოითხოვს, რომ საქმის ყველა გარემოებასთან, მათ შორის მტკიცებულებების მოპოვების მეთოდებთან მიმართებით, სისხლის სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი იყოს.

როდესაც მსჯავრის დადება ძირითადად ან უმეტესწილად უსამართლო გზით მიღებულ მტკიცებულებაზე დაფუძნებით ხდება, მე-6 მუხლის ავტონომიური პრინციპების თვალსაზრისით, სასამართლო პროცესი უსამართლოდ იქნება მიჩნეული. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილების დაფუძნება კონვენციის სხვა მუხლის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებზე (მაგ. მე-8 მუხლი) ავტომატურად არ ნიშნავს მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას. იმავდროულად, მე-3 მუხლის დარღვევით (მაგ. წამებით) მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება უმეტეს შემთხვევებში მე-6 მუხლის მოთხოვნების დარღვევას წარმოადგენს.

ზოგადი პრინციპები

მტკიცებულების დასაშვებად ცნობა უპირველეს ყოვლისა ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საგანია (*Schenk v. Switzerland*, §§ 45-46; *Heglas v. the Czech Republic*, § 84). სასამართლოს უფლებამოსილებაში არ შედის დაადგინოს, რომელიმე კონკრეტული მტკიცებულება, მაგალითად, ეროვნული კანონმდებლობის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, შეიძლება იყოს თუ არა დასაშვებად ცნობილი.

ცენტრალური საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ დადგინდეს იყო თუ არა სამართალწარმოების პროცესი, მათ შორის მტკიცებულებათა მოპოვების მეთოდები სამართლიანი. ეს გულისხმობს სავარაუდო კანონდარღვევის შესწავლას და იმის დადგენას, ჰქონდა თუ არა ადგილი კონვენციით გათვალისწინებული სხვა უფლების დარღვევას და რა ხასიათის დარღვევაა ეს (*Khan v. the United Kingdom*, § 34; *P.G. and J.H. v. the United Kingdom*, § 76; *Allan v. the United Kingdom*, § 42). შეფასების ჩატარების დროს შემდეგი უნდა იყოს გათვალისწინებული: 1) დაცული იყო თუ არა მოპასუხის დაცვის უფლებები (კერძოდ, მიეცა თუ არა განმცხადებელს მტკიცებულებების ნამდვილობის შემოწმებისა და მისი გამოყენების გაპროტესტების შესაძლებლობა; და 2) მტკიცებულებების ხარისხი და გარემოებები, რომლებშიც მტკიცებულებები იქნა მოპოვებული,აგრეთვე ის, თუ რამდენად ეჭვქვეშ აყენებს ეს გარემოებები მტკიცებულებების სანდოობასა და უტყუარობას.

აღსანიშნავია, რომ სამართლიანობის პრობლემა, სავალდებულოდ, არ წარმოიშობა ისეთი მტკიცებულებასთან მიმართებით, რომელიც გამყარებელი არ არის სხვა მტკიცებულებით - როცა მტკიცებულება მყარია და არ არსებობს რისკი მის სანდოობასთან დაკავშირებით, მისი სხვა მტკიცებულებით გამყარების საჭიროება შედარებით ნაკლებია (*Bykov v. Russia* [GC], § 89; *Jalloh v. Germany*[GC]*, § 96).

მე-6 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება: სამართალწარმოების სამართლიანობის შეფასების დროს გასათვალისწინებელია მტკიცებულებების ხარისხი. კერძოდ, მტკიცებულებების სანდოობა ეჭვის ქვეშ დადგება, თუ ისინი დუმილისა და საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის პრივილეგიის დარღვევით იქნა მოპოვებული (*Lutsenko v. Ukraine*, §§ 48-49).

მე-8 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება: გათვალისწინებული უნდა იყოს საქმის ყველა გარემოება, განმცხადებლის დაცვის უფლებების პატივისცემა და კონკრეტული მტკიცებულებების ხარისხი და მნიშვნელობა (*Gäfgen v. Germany* [GC]*, § 165).

მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება: სისხლის სამართალწარმოებაში ისეთი მტკიცებულების გამოყენება ყოველთვის სერიოზულ ეჭვს ბადებს სამართალწარმოების სამართლიანობასთან დაკავშირებით, მაშინაც კი, თუ ამ მტკიცებულებების დასაშვებად მიჩნევა არ იყო გადამწყვეტი მნიშვნელობის პირის მსჯავრდებისთვის (*Jalloh v. Germany*[GC] §§ 99 და 105; *Harutyunyan v. Armenia**, § 63).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Allan v. the United Kingdom, no. 48539/99, 2002 წლის 5 მოემბერი – Legal summary

Bykov v. Russia [GC], no. 4378/02, 2009 წლის 10 მარტი – Legal summary

Gäfgen v. Germany[GC], no. 22978/05, 2010 წლის 1 ივნისი – Legal summary*

Heglas v. the Czech Republic, no. 5935/02, 2007 წლის 1 მარტი – Legal summary

Jalloh v. Germany [GC], no. 54810/00, 2006 წლის 11 ივლისი – Legal summary*

Lutsenko v. Ukraine, no. 30663/04, 2008 წლის 18 დეკემბერი – Legal summary

Schenk v. Switzerland, no. 10862/84, 1988 წლის 12 ივლისი

სხვა წყაროები:

სასამართლო განხილვისას ბრალდებულის ან მოწმისგან წამების გზით მოპოვებული ჩვენებების გამოყენება:

სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Harutyunyan v. Armenia, no. 36549/03, 2007 წლის 28 ივნისი – Legal summary*

უკანონო ფარული თვალთვალის ოპერაციის დროს წაქეზების გზით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Sepil v. Turkey, no. 17711/07, 12 November 2013 წლის 12 ნოემბერი – Legal Summary

მესამე მხარეების წამების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების განმცხადებლის საქმის განმეორებითი განხილვის პროცესზე დაშვების რეალური რისკი: დეპორტაცია დარღვევად განიხილებოდა

Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom, 8139/09, 2012 წლის 17 იანვარი – Legal summary*

უცხო ქვეყნიდან მიღებული მტკიცებულებების გამოყენების რისკი, როდესაც საფუძვლიანი ეჭვი არსებობდა, რომ ეს მტკიცებულებები წამების გზით იქნა მოპოვებული: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

El Haski v. Belgium, no. 649/08, 2012 წლის 25 სექტემბერი – Legal summary

იძულების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება: სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

Gäfgen v. Germany[GC], no. 22978/05, 2010 წლის 1 ივნისი – Legal summary*

მსჯავრდება ეფუძნებოდა დამნაშავის ამოცნობას, რომელიც დარღვევებით იქნა ჩატარებული: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Laska and Lika v. Albania, no.12315/04, 2010 წლის 20 აპრილი – Legal summary

პოლიციის მიერ აგენტების გამოყენებით ჩატარებული ფარული ოპერაცია, რასაც შედეგად ნარკორეალიზაციის დანაშაულში მსჯავრდება მოჰყვა: სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

Bannikova v. Russia, no. 18757/06, 2010 წლის 4 ნოემბერი – Legal summary

ფარული თვალთვალის შედეგად მოძიებული მტკიცებულებების გამოყენება: სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

Bykov v. Russia[GC], no. 4378/02, 2009 წლის 10 მარტი – Legal summary

მსჯავრდების დაფუძნება პოლიციის უკანონო ოპერაციის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებზე: სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

Lee Davies v. Belgium[!], no. 18704/05, 2009 წლის 28 ივლისი – Legal summary

სისხლის სამართალწარმოების პროცესში კონვენციის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება: სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

Khan v. the United Kingdom, no. 35394/97, 2000 წლის 12 მაისი - Legal summary

სისხლის სამართალწარმოების პროცესში კონვენციის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება: სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

P.G. and J.H. v. the United Kingdom, no. 44787/98, 2001 წლის 25 სექტემბერი – Legal summary

ჟურნალისტის მიერ მახის დაგების გზით მოპოვებული აღიარების მტკიცებულებად დაშვება: სასამართლომ დაუშვებლად ცნო

Shannon v. the United Kingdom, no. 6563/03, 2005 წლის 4 ოქტომბერი – Legal summary

პოლიციის მიერ პროვოცირებული ქრთამის აღებისთვის მსჯავრდება: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Ramanauskas v. Lithuania[GC], no. 74420/01, 2008 წლის 5 თებერვალი – Legal summary

კერძო პირის საჩივრის და მასთან თანამშრომლობის გზით გამოძიებული ქრთამის აღებისთვის მსჯავრდება: სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

Miliniene v. Lithuania, no. 74355/01, 2008 წლის 24 ივნისი – Legal summary

მე-3 მუხლის დარღვევითა და ადვოკატის დაუსწრებლად მიღებული ჩვენებების გამოყენება: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Göçmen v. Turkey[!], no. 72000/01, 2006 წლის 17 ოქტომბერი – Legal summary*

დაკავშირებულითემები

3. მტკიცებულებები

15. მტკიცებულების ნამდვილობა

17. მტკიცებულების ძალა (წონა)

მოკლე შეჯამება

მე-6 მუხლი მოითხოვს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა სრულად, დამოუკიდებელად და სრულფასოვანად შეისწავლონ და შეაფასონ იმ მტკიცებულების დასაშვებობა და სანდოობა, რომელიც განსაზღვრავს ბრალდებულის ბრალეულობის საკითხს. ეს ვალდებულება ასევე გულისხმობს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა დაასაბუთონ წარმოდგენილი მტკიცებულებების მიმართ დაყენებულ შუამდგომლობებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები.

ამ თვალსაზრისით მტკიცებულების წონა უნდა მიენიჭოს მოწმის მიერ სასამართლოში მიცემულ ჩვენებას და მომეტებული სიფრთხილეა საჭირო იმ მტკიცებულებასთან მიმართებით, რომელიც მოპოვებულია მოწმისგან რაიმე პირობით.

ზოგადი პრინციპები

რთულია საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ სხდომის დაწყებამდე იმის განსაზღვრა, თუ რამდენად წონადი იქნება მტკიცებულება, მისი სხდომაზე გამოკვლევისა და სასამართლოზე განხილულ მტკიცებულებათა ერთობლიობის გათვალისწინების გარეშე. თუმცა,**მას შემდეგ რაც ბრალდების მხარე დაასრულებს საქმის წარმოდგენას, საქმის განმხილველ მოსამართლეს შეუძლია შეაფასოს გამოუკვლევი მტკიცებულების მნიშვნელობა და წონა** ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული სხვა მტკიცებულებების ფონზე (*Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*[GC]*,§§ 133-134).

უდანაშაულობის პრეზუმფციის და ბრალდებულის უფლების გათვალისწინებით რომ ჰქონდეს საშუალება გამოიკვლიოს მისი მამხილებელი ნებისმიერი მტკიცებულება, სისხლის სამართლის სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს სრულად, დამოუკიდებელად და დეტალურად და მოახდინოს იმ მტკიცებულების დასაშვებობისა და სანდოობის შეფასება, რომელიც განსაზღვრავს ბრალდებულის ბრალეულობის საკითხს, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ იქნა შეფასებული იგივე მტკიცებულება სხვა ბრალდებულთა მიმართ საქმის განხილვის პროცესში (*Huseyn and Others v. Azerbaijan*, § 212).

სასამართლო მიიჩნევს, რომ სამართლიანი და შეჯიბრებითი სასამართლოს პრინციპი გულისხმობს, **რომ სასამართლომ მეტი წონა უნდა მიანიჭოს მოწმის მიერ სასამართლო განხილვის დროს მიცემულ ჩვენებას, ვიდრე ბრალდების მხარის მიერ წარმოდენილი მოწმის დაკითხვის ოქმს, რომელიც წინასასამართლო გამოძიების დროს იქნა მოპოვებული, თუ სხვა სანდო მიზეზი არ არსებობს საპირისპიროს დასადგენად.** მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო არ არის მოწოდებული დაადგინოს ეროვნული სასამართლოების მიერ მოხდა თუ არა მტკიცებულებათა შეფასებისას არსებითი დარღვევა, სასამართლო მაინც ვალდებულია განიხილოს შეიცავს თუ არა გადაწყვეტილება დასაბუთებას განხილული მტკიცებულების მიმართ დაყენებულ საჩივრებზე (*Huseyn and Others* , § 211).

იმის შეფასება, თუ რომელი მოწმე არის მთავარი მოწმე, შესაძლოა გაკეთდეს იმ ანალიზის საფუძველზე თუ რა მნიშვნელობა გააჩნია კონკრეტულ მტკიცებულებას წარდგენილი ბრალდების ფარგლებში, ან შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენისათვის. (*Birutis and others v. Lithuania*, §§28-35). იმის შეფასებისას, თუ რომელი მოწმე არის მთავარი მოწმე, სასამართლოს შეუძლია ზოგჯერ გამოიკვლიოს ბრალდებულის მიმართ წარმოდგენილი სხვა მტკიცებულების ხარისხი და სანდოობა.

ზოგადი წესის მიხედვით, მტკიცებულებას, რომელიც მოპოვებულია იძულების შედეგად, არ შეიძლება მიენიჭოს გადამწყვეტი ან წონადი მნიშვნელობა, გამამტყუნებელი განაჩენის დასაბუთების კონტექსტში (*Saunders v. the United Kingdom* [GC], §§ 71-76). სასამართლოს მიერ წამების ფაქტის დადგენის

შემთხვევაში, წამების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება დასაშვები, მაშინაც კი, თუ მას არ გააჩნია ბრალის გადაწყვეტაში გადამწყვეტი ან წონადი მნიშვნელობა (*Yusuf Gezer v. Turkey*, §§ 40-45). თუმცა, ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მოპოვებული მტკიცებულების ამორიცხვა არ არის 6-ე მუხლის სავალდებულო მოთხოვნა, თუკი იძულება მხოლოდ მცირედი დოზით უკავშირდება იმ მამხილებელ მტკიცებულებას, რომელსაც ეფუძნება გამამტყუნებელი განაჩენი.

მტკიცებულება, რომელიც მიღებულია მოწმეებზე დაპირების სანაცვლოდ „განსაკუთრებული სიფრთხილით" უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში, რადგან კონვენციით გარანტირებული უფლებების გამოყენება ამ დროს ვერ განხორციელდება იმ მოცულობით, რაც ჩვეულებრივ არის გათვალისწინებული (*Doorson v. the Netherlands*, § 76). მხოლოდ და მხოლოდ რამოდენიმე გამონაკლის შემთხვევებში აღმოჩნდა სასამართლო მზად იმისათვის, რომ, ეროვნული სასამართლოების მიერ გაკეთებული შეფასების საპირისპიროდ, დაედგინა, რომ მტკიცებულება აბსოლუტურად ვერ აკმაყოფილებდა სანდოობის მოთხოვნას, იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლის ფარგლებშიც მოხდა მისი მოპოვება (*Lisica v. Croatia*, §§47-62).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom [GC], 26766/05, 2011 წლის 15 დეკემბერი – Legal summary*

Birutis and others v. Lithuania, no. 47698/99, 2002 წლის 28 მარტი – Legal summary

Doorson v. the Netherlands, no. 20524/92, 1996 წლის 26 მარტი – Legal summary

Huseyn and Others v. Azerbaijan, no.35485/05, 2011 წლის 26 ივლისი

Lisica v. Croatia, no. 20100/06, 2010 წლის 25 თებერვალი – Legal summary

Saunders v. the United Kingdom [GC], no. 19187/91, 1996 წლის 17 დეკემბერი - Legal summary

Yusuf Gezer v. Turkey, no. 21790/04, 2009 წლის 1 დეკემბერი - Legal summary

სხვა წყაროები:

გამამტყუნებელი განაჩენის ერთ-ერთ საფუძვლად გამოყენებული ანონიმური მოწმის ჩვენების გაზიარების საკითხზე განხილვისა და მსჯელობის არარსებობა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Krasniki v. the Czech Republic, no. 51277/99, 2006 წლის 28 თებერვალი – Legal summary*

საქმის განხილვაზე დაშვებულ იქნა მტკიცებულებად ის მამხილებელი განცხადება, რომელიც მოწმემ სასამართლო განხილვამდე უარყო: სასამართლომ განაცხადი დაუშვებლად ცნო

Camilleri v. Malta (dec.), no. 51760/99, 2000 წლის 16 მარტი – Legal summary[39]

დაკავშირებული თემები

13. მტკიცებულების შეფასების პრინციპები
14. მტკიცებულების რელევანტურობა

18. საპირისპირო მტკიცებულებები

მოკლე შეჯამება

მტკიცებულების რელევანტურობის საკითხის დადგენა წარმოადგენს ეროვნული სასამართლოების პრეროგატივას; მიუხედავად ამისა, როცა სახეზეა ურთიერთსაპირისპირო მტკიცებულებები, სასამართლო ვალდებულია ნათელი მოჰფინოს აღნიშნულ საკითხს და მტკიცების ტვირთი გამოიყენოს იმ მხარის მიმართ,

39 საინფორმაციო ბარათი No. 16, 2000 წლის მარტი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო, გვ 27

რომელსაც სურვილი აქვს დაასაბუთოს მისი პოზიცია. აღნიშნულის უგლვებელყოფა არღვევს დაცვის უფლებას.

სასამართლო პროცესზე ყველა მტკიცებულება ბრალდებულის თანდასწრებით უნდა იყოს წარდგენილი, მხარეთა შორის შეჯიბრებითი კამათის ხელშეწყობის მიზნით.

გარკვეული შეზღუდვები დასაშვებია მოწმეების გამოძახებისა და გამოკითხვის მიმართ, თუკი ძლიერი საპროცესო გარანტიებით უზრუნველყოფილია არსებითი მტკიცებულების რელევანტურობის საკითხის ეფექტური გამოკვლევის შესაძლებლობა.

ძირითადი პრინციპები

სასამართლო აღნიშნულ საკითხს ძირითადად განიხილავდა მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვის შეუძლებლობის კონტექსტში, რაც ხელს უშლიდა ფაქტების დადგენას.

"188. ნათელია, რომ სასამართლოს ფუნქცია არ არის აზრის გამოხატვა მტკიცებულების რელევანტურობის შესახებ, ან ზოგადად ბრალდებულის ბრალეულობის საკითხზე ან მის უდანაშაულობაზე, თუმცა, სასამართლოს ფუნქციაა დაადგინოს, სასამართლო განხილვა მთლიანობაში, მტკიცებულებათა გამოკვლევის შესაძლებლობის საკითხის გათვალისწინებით, იყო თუ არა სამართლიანი (Asch v. Austria § 26). იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელს მსჯავრი დაედო მის მიმართ ურთიერთსაპირისპირო მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ დაცვის მხარის მოწმეთა დაკითხვაზე უარი, მათი ჩვენებების რელევანტურობის საკითხის განხილვის გარეშე, არღვევდა დაცვის უფლებას. სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა, მუხ. 6 (იხ. Vidal v. Belgium, § 34)."(*Popov v. Russia,* § 188).

მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვის უფლება წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს მნიშვნელოვან კომპონენტს და მოითხოვს, რომ ბრალდებულს ჰქონდეს შესაძლებლობა, გამოიკვლიოს მოწმის ჩვენების ან დაკითხვის ნებისმიერი ასპექტი დაპირისპირების ან გამოკვლევის დროს (*Bricmont v. Belgium, N. 10857/84, 7 ივლისი 1989* , § 81.)

ვიდრე მოხდება პირის მსჯავრდება, მისი მამხილებელი ყველა მტკიცებულება, როგორც წესი, უნდა განხილულ იქნეს მისი თანდასწრებით საჯარო სასამართლო სხდომაზე, მხარეთა შეჯიბრებითი დაპირისპირების უზრუნველყოფით; ამ პრინციპიდან გამონაკლისი დასაშვებია, თუმცა, ამით არ უნდაშეილახოს დაცვის უფლება, რომელიც, როგორც წესი, გულისხმობს რომბრალდებულს მიეცეს გონივრული შესაძლებლობა დაუპირისპირდეს და დაკითხოს მისიმამხილებელი მოწმეები, იმ ეტაპზე როდესაც მოწმე ამხელს ბრალდებულს ან მოგვიანებით, პროცესის შემდგომ ეტაპზე (*Hümmer v. Germany*, § 38; *Lucà v. Italy,*, § 39; *Solakov v. "the former Yugoslav Republic of Macedonia"*, § 57).

მსჯავრდება, რომელიც მნიშნელოვნად ეყრდნობა ისეთი მთავარი მოწმის ჩვენებას, რომელიც არ დაკითხულა სასამართლო პროცესზე, ავტომატურად არ გამოიწვევს მე-6 მუხლის §1-ის დარღვევას, თუკი მნიშვნელოვანი საპროცესო გარანტიები იქნება უზრუნველყოფილი. ასეთები მოიცავს ეროვნულ კანონმდებლობაში ნათელი წესების არსებობას, რომლებიც ზღუდავს მოსამართლის დისკრეციას დასაშვებად ცნოს დაუსწრებელი მოწმის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება, სხვა მტკიცებულების არსებობა, რომელიც სარწმუნოს ხდის ჩვენებას, სხვა მოწმეთა ჩვენებებთან შეუთავსებლობის არარსებობა, და მოსამართლის მიერ მსაჯულებისათვის ნათლად განმარტებული მითითებები ამორიცხული წერილობითი ჩვენების შესახებ. (*Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*[GC]*). რა კონკრეტული საპროცესო გარანტიებიც არ უნდა არსებობდეს, ისინი უნდა ქმნიდეს მნიშვნელოვანი მტკიცებულების სანდოობის გამოსაკვლევად ეფექტურ და გონივრულ შესაძლებლობას (*Papadakis v The Former Yugoslav Republic of Macedonia*).

მოწმის წარმოდგენისა და გამოკვლევის უფლება არ გულისხმობს შეუზღუდავ უფლებას, რომელიც ნებისმიერი მოწმის დასწრებას უზრუნველყოფს ნებისმიერ დროსა და ნებისმიერი ფორმით.

შეზღუდვები გამოიყენება მაშინ, როდესაც დაზარალებულები და მოწმეები სარგებლობენ ჩვენების ანონიმური წესით წარმოდგენის უფლებით, რითაც ხდება ბრალდებულის უფლების შეზღუდვა - ჯვარედინად

დაკითხოს მოწმე. ზოგადად, მსგავსი მტკიცებულების დაშვება, არღვევს სამართლიანი სასამართლოს პრინციპს, ვინაიდან იგი ბრალდებულს აყენებს არათანაბარ პოზიციაში. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, სამართლიანი სასამართლო ასევე მოითხოვს, რომ დაცვის უზრუნველყოფის ინტერესი შეფასდეს ჩვენების მიღების მიზნით გამოძახებული მოწმეებისა და დაზარალებულის ინტერესთან შეპირწონებით (*Doorson v. The Netherlands*, § 70). ამ შემთხვევაში, სასამართლო ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები, რათა შესაბამისი ხარისხით მოახდინოს იმის კომპენსირება, რა პირობებშიც დაცვას მოუწია მუშაობა და მსჯავრდება არასოდეს არ უნდა (სრულად ან მნიშვნელოვანწილად) ეყრდნობოდეს მსგავს გარემოებებში მიღებულ ჩვენებას (*Van Mechelen and Others v. The Netherlands*, §§ 54-63; *Doorson v. The Netherlands*, §§ 72-76; *Kostovski v. the Netherlands*, § 43).

მაშინაც კი, როდესაც ანონიმური მოწმეები არ არიან მთავარი მოწმეები, დაცვის მხარეს მაინც უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გამოიკვლიოს მათი სანდოობა: ა) წერილობითი სახით კითხვების წარდგენის გზით(*Kostovski v. the Netherlands*); ბ) ადვოკატის დასწრების უზრუნველყოფით დაკითხვაზე ბრალდებულისათვის მოწმის ვინაობის გამჟღავნებაზე აკრძალვის დაწესების პირობით (*Doorson v. The Netherlands*); ან გ) ბრალდებულის უფლების უზრუნველყოფით, რომ კითხვებით მიემართა მოწმეებისათვის დისტანციური დაკითხვის დროს, მოწმის ხმისა და სახის დაფარვის პირობებში (*Birutis and Others v. Lithuania*). როდესაც ბრალდებულს აქვს შესაძლებლობა დაუპირისპირდეს არაძირითად მოწმეს წინასწარი გამოძიების ეტაპზე, ადვოკატის დასწრება ასეთ შემთხვევაში არ წარმოადგენს დაცვის უფლების სავალდებულო ნაწილს (*Isgró v. Italy*).

როგორც დაცვის უფლების განხორციელებისთვისაა მნიშვნელოვანი ბრალდების ძირითადი მოწმის დაკითხვის შესაძლებლობა, ასევე მნიშვნელოვანია დაცვას ჰქონდეს წვდომა ნებისმიერ სხვა მნიშვნელოვან ან წონად მტკიცებულებაზე, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების ჩათვლით (*Mirilashvili v. Russia*, §§200-209).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom[GC], no.26766/05,2011 წლის 15 დეკემბერი – Legal summary*

Birutis and Others v. Lithuania, nos. 47698/99 and 48115/99, 2002 წლის 28 მარტი

Bricmont v. Belgium, no. 10857/84, 1989 წლის 7 ივლისი

Doorson v. The Netherlands, no. 20524/92, 1996 წლის 26 მარტი

Hümmer v. Germany, no.26171/07, 2012 წლის 19 ივლისი

Isgró v. Italy, no. 11339/85, 1991 წლის 19 თებერვალი

Kostovski v. the Netherlands, no.11454/85, 1989წლის 20 ნოემბერი

Luca v. Italy, no.33354/96, 2001 წლის 27 თებერვალი

Mirilashvili v. Russia, no. 6293/04, 2008 წლის 11 დეკემბერი

Papadakis v The Former Yugoslav Republic of Macedonia, no. 50254/07, 2013 წლის 26 თებერვალი

Solakov v. "the former Yugoslav Republic of Macedonia", no. 47023/99, 2001 წლის 31 ოქტომბერი

Van Mechelen and Others v. The Netherlands, nos. 21363/93, 21364/93, 21427/93 და 2056/93, 1997 წლის 23 აპრილი

სხვა წყაროები:

სარჩელის თავდაპირველი დაკმაყოფილების მიუხედავად, მოსამართლემ არ მისცა დაცვის მხარეს მოწმეთა წარმოდგენის შესაძლებლობა და მსჯავრდება ეფუძნებოდა ურთიერთსაპირისპირო მტკიცებულებებს: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Popov v. Russia, no. 13 2006 წლის ივლისი – Legal summary

დასაშვებად იქნა ცნობილი ბრალდების ერთადერთი მოწმის ჩვენება, რომლის ჯვარედინი დაკითხვაც შეუძლებელი იყო პოსტტრავმული სტრესული აშლილობის გამო: სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა

Gani v. Spain, no. 61800/08, 2013 წლის 19 თებერვალი – Legal summary

დაცვას არ მიეცა შესაძლებლობა მოეხდინა ბრალდების მხარის ექსპერტი მოწმეების ჯვარედინი დაკითხვა ან წარმოედგინა საკუთარი ექსპერტი მოწმეები: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, nos. 11082/06 და 13772/05, 2013წლის 25 ივლისი – Legal summary

ბრალდებულს არ მიეცა შესაძლებლობა მოეხდინა ბრალდების ძირითადი მოწმის ჯვარედინი დაკითხვა ან გამოეკვლია მტკიცებულება: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

V.D. v. Romania', no. 7078/02, 2010 წლის 16 თებერვალი – Legal summary

ბრალდებულს არ მიეცა შესაძლებლობა მოეხდინა ბრალდების ძირითადი მოწმის ჯვარედინი დაკითხვა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

A.M. v. Italy, no. 37019/97, 1999 წლის 14 დეკემბერი – Legal summary[40]

შეზღუდვა იქნა გამოყენებული გაუპატიურების შედეგად შესაძლო დაზარალებულის ჯვარედინი წესით დაკითხვის უფლებაზე: სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა:

Oyston v. the United kingdom (dec.), no. 42011/98, 2002 წლის 22 იანვარი – Legal summary[41]

პროცესის არც ერთ ეტაპზე, ბრალდებულს არ მიეცა შესაძლებლობა მოეხდინა მოწმეთა გამოკვლევა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Vaturi v. France', no. 75699/01, 2006 წლის 13 აპრილი – Legal summary

ბრალდებულს არ მიეცა შესაძლებლობა მოეხდინა სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლი არასრულწლოვნის დაკითხვა: სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა

S.N. v. Sweden, no. 77018/01, 2009 წლის 29 იანვარი – Legal summary

ბრალდების მოწმის გამოკითხვის შეუძლებლობა, რომლის მიკვლევა საზღვარგარეთ შეუძლებელი იყო: დაუშვებელია

Calabrò v. Italy and Germany (dec.), no. 59895/00, 2002 წლის 21 მარტი

ბრალდებულს არ მიეცა შესაძლებლობა მოეხდინა ბრალდების მოწმის დაკითხვა, რომელიც საზღვარგარეთ იმყოფებოდა და ვერ მოხერხდა მისი მოძიებ: სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა

Sapunarescu v. Germany (dec.), no. 22007/03, 2006 წლის 1 სექტემბერი – Legal summary

ბრალდებულს არ მიეცა შესაძლებლობა პირადად მოეხდინა ბრალდების ძირითადი მოწმის ჩვენების გამოკვლევა, ვინაიდან სახელმწიფო მოხელეებმა აუკრძალეს მას ჩვენების მიცემა სასამართლოზე: სასამართლომ დაუშვებლად ცნო განაცხადი:

Sapunarescu v. Germany (dec.), N. 22007/03, 1 სექტემბერი 2006 – Legal summary

არასაკმარისი დასაბუთების გამო, როდესაც მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებულ იქნა 40 წლიანი თავისუფლების აღკვეთა (ნაკლოვან მტკიცებულებაზე არაფერი იყო ნათქვამი) : სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Ajdarić v. Croatia, no. 20883/09, 2011 წლის 13 დეკემბერი – Legal summary

დაკავშირებული თემები

2. მხარეთა თანასწორობა და პროცესის შეჯიბრებითობა

3. მტკიცებულება

4. ზეპირი მტკიცებულების შეფასება

40 საინფორმაციო ბარათი No. 13,1999 წლის დეკემბერი, მოწმეების დაკითხვა, გვ 18

41 საინფორმაციო ბარათი No. 38, 2002 წლის იანვარი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო, გვ 12

19. მტკიცებულებათა ერთობლიობა

მოკლე შეჯამება

დამატებითი მტკიცებულების წარდგენის ვალდებულება დამოკიდებულია მასალების ხარისხსა და სანდოობაზე. შესაბამისად, ისეთი მტკიცებულების გამოყენება, რომელიც არ არის გამყარებული სხვა მტკიცებულებით, მაგრამ თავისთავად სანდო და ძლიერი მტკიცებულებაა, არ წარმოადგენს მე-6 მუხლის დარღვევას.

ძირითადი პრინციპები

129. იმის შეფასებისას, იყო თუ არა სამართალწარმოების პროცესი მთლიანობაში სამართლიანი, ყურადღება უნდა მიექცეს დაცული იყო თუ არა დაცვის უფლებები. კერძოდ, შესწავლილი უნდა იყოს მიეცა თუ არა განმცხადებელს მეორე მხარის მტკიცებულებების ნამდვილობის გასაჩივრებისა და მისი დაუშვებლად ცნობის მოთხოვნის უფლება (იხილეთ, Gäfgen v. Germany, § 164). გარდა ამისა, გათვალისწინებულ უნდა იყოს მტკიცებულებების ხარისხი, ასევე შესწავლილ უნდა იქნეს ხომ არ აყენებს ეჭვქვეშ მტკიცებულებების უტყუარობასა და სანდოობას ის გარემოებები, რომელთა პირობებშიც მტკიცებულებები იქნა მოპოვებული. აღსანიშნავია, რომ ისეთი მტკიცებულებების სამართლიანობასა და უტყუარობასთან დაკავშირებით, რომელთა მხარდამჭერი სხვა მტკიცებულებები ან მასალები არ არსებობს, ეჭვი არ იბადება - თუ ეს მტკიცებულებები სანდოა და არ არსებობს ეჭვი მის უტყოარობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ასეთი მტკიცებულების სხვა მტკიცებულებით გამყარების საჭიროება შედარებით ნაკლებია (იხილეთ Khan v. the United Kingdom,* §§ 35-37*, Allan v. the United Kingdom,* § 43*, and Bykov v. Russia* [GC]*,* § 90)."(*Haxhia v. Albania*).

იმ მოწმეების მიერ წინასასამართლო ეტაპზე მიცემული ჩვენებები, რომლებიც საქმის შეჯიბრებითი განხილვისას არ გამოცხადებულან და, შესაბამისად, არ გამოკითხულან, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, თუ ეს ჩვენებები სხვა მტკიცებულებებითაა გამყარებული (*Mirilashvili v. Russia*, § 217; *C.R.R Scheper v.The Netherlands*(dec.); *Calabrm v. Italy and Germany* (dec.); *Ferrantelli and Santangelo v. Italy*, § 52).

"*რაც შეეხება „ერთადერთი ან გადამწყვეტი მტკიცებულების" წესს, როგორც დიდმა პალატამ მიუთითა თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე Al-Khawaja and Tahery, "გადამწყვეტი" მოცემულ კონტექსტში გულისხმობს უფრო მეტს ვიდრე „დამადასტურებელ" მტკიცებულებას, ან ისეთ მტკიცებულებას, რომლის გარეშეც პირის დამნაშავედ ცნობის შანსი მცირდება, ხოლო მისი გამართლების შანსი იზრდება. ეს ტერმინი ვიწრო მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული, როგორც ისეთი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, რომელიც საქმის შედეგზე გადამწყვეტ გავლენას იქონიებს. როდესაც მოწმის ჩვენება სხვა ჩვენებითაა გამყარებული, იმის დადგენა, რომ ეს მტკიცებულება გადამწყვეტი ხასიათისაა, დამოკიდებული იქნება დამატებითი მტკიცებულების სიძლიერეზე. რაც უფრო ძლიერი და სარწმუნოა დამატებითი მტკიცებულებები, მით უფრო ნაკლებად სავარაუდოა, რომ იმ მოწმის ჩვენება, რომელიც პროცესზე არ გამოცხადდა „გადამწყვეტი" მნიშვნელობის იყოს (იხილეთ: Al-Khawaja and Tahery, cited above, § 131).*" (*Horncastle and Others v. United Kingdom,* § 134).[42]

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Calabrò v. Italy and Germany (dec.), no. 59895/00, 2002 წლის 21 მარტი

Ferrantelli and Santangelo v. Italy, no. 19874/92, 1996 წლის 7 აგვისტო – Legal summary

Horncastle and Others v. United Kingdom, no. 4184/10, 2014 წლის 16 დეკემბერი – Legal summary

სხვა წყაროები:

მსჯავრდება გაუპატიურების სამ ეპიზოდში, რაც თითქოსდა მეტწილად ეფუძნებოდა დაზარალებულის მიერ პოლიციისთვის მიცემულ ჩვენებებს და დაცვას არ ჰქონდა მათი დაკითხვის შესაძლებლობა: სასამართლომ

42 საქმე არ იყო დასრულებული წინამდებარე ანგარიშის მომზადების მომენტისთვის (20/12/2014)

დაუშვებლად ცნო

C.R.R Scheper v. The Netherlands (dec.), no. 39209/02, 2005 წლის 5 აპრილი – Legal Summary

მკვლელობის საქმეზე მტკიცებულებების შეფასება: სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა

Haxhia v. Albania, no. 29861/03, 2013 წლის 8 ოქტომბერი – Legal summary

სასამართლომ უარი უთხრა დაცვის მხარეს ოპერატიული ქმედებების ამსახველი მასალის გადაცემაზე და დაცვის მხარის მიერ გამოკითხული მოწმეების ჩვენების დაშვებაზე: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Mirilashvili v. Russia, no. 6293/04, 2008 წლის 11 დეკემბერი – Legal summary

დაკავშირებული თემები

3. მტკიცებულებები

11. ირიბი ჩვენება

20. ბრალდებულის მიმართ წაყენებული ბრალდების ფარგლები

მოკლე შეჯამება

სისხლის სამართლის პროცესის სამართლიანობის გარანტირების მიზნით ეროვნულმა კანონმდებლობამ და სასამართლომ უნდა უზრუნველყონ მოპასუხის მიმართ წაყენებული ბრალდების ფარგლების დადგენა. ასეთი ფარგლები შეიძლება დადგინდეს სისხლის სამართლის თეორიის ზოგადი პრინციპების, რომლებიც სახელმწიფოების მიერ არის აღიარებული და რომლებიც რელევანტურია მე-6 და მე-7 მუხლებისთვის (მაგალითად, ***nullum crimen, nulla poena sine lege*** და სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის უკუძალის მინიჭების აკრძალვა, ხანდაზმულობის ვადა) და იმუნიტეტის მეშვეობით.

ძირითადი პრინციპები

სისხლისსამართლებრივი ბრალდების ცნებას ავტონომიური მნიშვნელობა გააჩნია წევრი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი მნიშვნელობის მიუხედავად (*Adolf v. Austria*, § 30).

ბრალდების ცნება კონვენციის მნიშვნელობით უნდა იყოს გაგებული. მოცემული ცნება განიმარტება, როგორც „*პირისთვის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ ოფიციალური შეტყობინების მიწოდება იმის თაობაზე, რომ მას ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა*“. მოცემული დეფინიცია ეხმიანება ტესტს„შეიცვალა თუ არა *ეჭვმიტანილის მდგომარეობა არსებითად*“ (იხილეთ: *Deweer v. Belgium*, §§ 42 and 46, and *Eckle v. Germany*, § 73).

კონვენციის მე-6 მუხლის სისხლისამართლებრივი ასპექტების გამოყენების შეფასების კრიტერიუმები განხილულია საქმეზე *Engel and Others v. the Netherlands*, §§ 82-83 (კლასიფიკაცია ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით; დანაშაულის ხასიათი; სასჯელის სიმძიმე, რომელიც დანაშაულის ჩამდენ პირს შეიძლება შეეფარდოს; ასევე იხილეთ: *Bendenoun v. France*, § 47, კუმულაციური მიდგომის თაობაზე, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს როდესაც ცალკეული კრიტერიუმების ანალიზი არ იძლევა ნათელი დასკვნის გაკეთების საშუალებას სისხლის სამართლის ბრალდების არსებობის თაობაზე.

ბრალდების ფარგლები შეიძლება შეიზღუდოს:

იმუნიტეტით, რომლის ძალითაც პარლამენტის წევრებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა და ხელშეუხებელნი არიან მათ მიერ პოლიტკური ფუნქციების შესრულების პროცესში ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით, რაც მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. უდავოა, რომ ხელშეუხებლობა ეხმარება პარლამენტს სრული დამოუკიდებლობის მიღწევაში პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართალწარმოების თავიდან აცილებისა და, შესაბამისად, ოპოზიციის უმრავლესობის მიერ ზეწოლისგან ან

უფლებების ხელყოფისგან დაცვის გზით (*Kart v. Turkey* [GC], § 90, ამონარიდი სამოქალაქო საქმეებიდან). გარდა ამისა, პარლამენტის წევრის წინააღმდეგ საქმის აღძვრამ შეიძლება უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს იმ ორგანოზე, რომელსაც პირი წარმოადგენს და პარლამენტის მუშაობა შეაფერხოს. იმუნიტეტის სისტემა, რომელიც ჩვეულებრივი კანონმდებლობიდან გამონაკლისს წარმოადგენს, ამდენად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ლეგიტიმურ მიზანს ისახავს (*იქვე.*, § 91).

საპარლამენტო იმუნიტეტის თავსებადობა კონვენციის მოთხოვნებთან ყოველთვის არ არის აბსოლუტური. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საქმის კონკრეტული გარემოებები, სამართლიანი ბალანსი პარლამენტის ხელშეუხებლობის დაცვის აუცილებლობასა და განმცხადებლის ინდივიდუალურ ინტერესს შორის, გაუქმდეს იმუნიტეტი, რათა მან სასამართლოს წინაშე პასუხი გასცეს მის მიმართ წაყენებულ სისხლის სამართლის ბრალდებაზე (*ibid.*, §§ 92-93). რაც უფრო ნაკლებად ემსახურება დამცავი ზომა პარლამენტის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას, მით უფრო დამაჯერებელი უნდა იყოს მისი დასაბუთება (*იქვე.*, § 95). ამგვარად, სასამართლომ დაადგინა, რომ პარლამენტის წევრის მიერ მის იმუნიტეტზე უარის თქმის შეუძლებლობა არ არღვევს მის უფლებას მისი საქმე განხილულ იქნეს სასამართლოს მიერ, რადგანაც იმუნიტეტი უბრალოდ დროებითი პროცედურული ბარიერი იყო სისხლის სამართალწარმოების პროცესში, რომლის ხანგრძლივობა პირის პარლამენტის წევრად ყოფნის ვადით შემოიფარგლებოდა (*იქვე.*, §§ 111-113).

სისხლის სამართლის კანონმდებლობის უკუძალით გამოყენების აკრძალვის პრინციპი

"*სისხლის სამართლის კანონმდებლობის უკუძალით გამოყენების აკრძალვისა და სისხლის სამართლის უფრო მსუბუქი კანონისთვის უკუძალის მინიჭების დასაშვებობის საკითხი მართლმსაჯულების სფეროში არსებული მარადიული შეკითხვაა. ბოსნია-ჰერცოგოვინას მართლმსაჯულებისა და სისხლისსამართლებლივი დევნის სისტემის ორგანიზების ხასიათის, განსაკუთრებით კი ბოსნია-ჰერცოგოვინას სასამართლოს ომის დანაშაულის შემსწავლელი პალატის არსებობის გათვალისწინებით, სქმე* Maktouf and Damjanovic *უფრო ფართო განხილვას იმსახურებს ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლის ჭრილში, საერთაშორისო სისხლის სამართლისა და ჰუმანიტარული სამართლის სფეროში თანამედროვე ტენდენციები და წევრ სახელმწიფოებში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღება*" (მოსამართლე პინტო დე ალბუკერკის მოსაზრება, რომელსაც მოსამართლე ვიკნიკი იზიარებს – *Maktouf and Damjanović v. Bosnia and Herzegovina*)

საქმეზე *Maktouf and Damjanović v. Bosnia and Herzegovina* სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევას, და დაადასტურა, რომ კონვენციის *travaux préparatoires* შესაბამისად, შეიძლება მიჩნეულ იყოს, რომ მუხლი 7 § 1 კანონის უკუძალით გამოყენების აკრძალვის ზოგად პრინციპს შეიცავს, ხოლო მუხლი 7 § 2-ი პასუხისმგებლობის დამდგენი დანაწესის კონტექსტუალურ განმარტებას შეიცავს. შესაბამისად, ნათელი ხდება, რომ კონვენციის შემქმნელებს არ ჰქონდათ განზრახვა, დაეშვათ გამონაკლისი კანონის უკუძალით გამოყენების აკრძალვის პრინციპიდან. სასამართლოს განხილული აქვს რამოდენიმე საქმე, რომლებთან მიმართებით მე-7 მუხლის ორივე პუნქტი ურთიერთდაკავშირებულია და განმარტებულ უნდა იყოს ერთობლიობაში (*იქვე* §72; ასევე იხილეთ *Tess v. Latvia*(dec.), no. 34854/02,2002 წლის 12 დეკემბერი, და *Kononov v. Latvia*, § 186).

დანაშაულსა და სასჯელზე უკუძალის გავრცელების აკრძალვის წესი ასევე ჟენევის კონვენციებში და მათ დამატებით პროტოკოლებშია ასახული.

პრინციპის *nullum crimen, nulla poena sine lege* *გამოყენება:*

პრინციპი, რომ სისხლის სამართლის კანონი არ უნდა იყოს განმარტებული უმეტესწილად მხოლოდ ბრალდებულის ინტერესების საზიანოდ, ასე მაგალითად კანონის ანალოგიით გამოყენების გზით, უმნიშვნელოვანესია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სასამართლო განხილვა სამართლიანი იყოს.

"*...მე-7 მუხლში ასახულ გარანტიას, რაც კანონის უზენაესობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, კონვენციით გათვალისწინებული დაცვითი მექანიზმების სისტემაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, რაც იმ ფაქტითაა ხაზგასმული, რომ კონვენციის მე-15 მუხლის შესაბამისად, ამ გარანტიიდან გამონაკლისების დაშვება ომის ან საგანგებო მდგომარეობის დროს დაუშვებელია [...] შესაბამისად, მუხლში ასახულია ზოგადი პრინციპი,*

რომლის შესაბამისადაც მხოლოდ კანონით შეიძლება განისაზღვროს დანაშაული და დადგინდეს სასჯელი (nullum crimen, nulla poena sine lege - თუ არ არსებობს დანაშაული, არ არსებობს სასჯელი) (იხილეთ Kokkinakis v. Greece, 1993 წლის 25 მაისი, § 52, სერია A no. 260-A). მაშინ, როცა მუხლი კრძალავს იმ ქმედების დანაშაულად დაკვალიფიცირებას, რომელიც მისი ჩადენის მომენტისთვის არ ითვლებოდა დანაშაულად, მუხლი ასევე ადგენს პრინციპს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული მხოლოდ ბრალდებულის ინტერესების საზიანოდ, მაგალითად ანალოგიით (იხილეთ Coëme and Others v. Belgium, nos. 32492/96, 32547/96, 32548/96, 33209/96 და 33210/96, § 145, ECHR 2000-VII; Achour v. France [GC], no. 67335/01, § 41, ECHR 2006-IV; ასევე Kononov v. Latvia [GC], no. 36376/04, § 185, ECHR 2010). 63. *„კანონზე" საუბრისას, მუხლი 7 გულისხმობს იმავე ცნებას, რაც კონვენციის ტექსტის სხვა ნაწილებშია მოცემული, სადაც ეს ტერმინია ნახმარი, ანუ ტერმინს, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო აქტებსა და პრეცენდენტულ სამართალს (იხილეთ Kruslin v. France, 24 April 1990, § 29, სერია A no. 176 -A; და Casado Coca v. Spain, 1994 წლის 24 თებერვალი, § 43, სერია A no. 285-A). მოცემულთანდაკავშირებით სასამართლო ყოველთვის ახდენს ტერმინი „კანონის" ინტერპრეტაციას მისი „არსებითი" და არა „ფორმალური" ხასიათის გათვალისწინებით. კანონში იგულისხმება როგორც უფრო დაბალი რანგის მქონე საკანონმდებლო აქტები ვიდრე საპარლამენტო საკანონმდებლო აქტები, ასევე დაუწერელი კანონი (იხილეთ: De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium, 18 June 1971, § 93, Series A no. 12). რომ შევაჯამოთ, „კანონი" წარმოადგენს ძალაში მყოფ ნორმას, რომლის ინტერპრეტაციასაც სასამართლო ახდენს (იხილეთ: Leyla Şahin v. Turkey [GC], no. 44774/98, § 88, ECHR 2005-XI)"* (*Vyerentsov v. Ukraine*, §§ 62 – 63).

ხანდაზმულობის ვადა

ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ბრალდებულს შეიძლება ბრალი წაეყენოს. როდესაც ხანდაზმულობის ვადა ამოიწურება, გარკვეული სახის ბრალდება პირს ვეღარ წაეყენება, ან თუ მას ასეთი ბრალდება მანამდე ჰქონდა წაყენებული, მას მსჯავრი ვერ დაედება.

ხანდაზმულობის ვადის დადგენა „წახალისებულია სისხლისსამართლის იმ სისტემაში, რომელიც სპეციალურ პოზიტიური პრევენციაზე არის დაფუძნებული (მაგ. დამნაშავის რესოციალიზაცია), და რომელიც მიზნად ისახავს დამნაშავის მომზადებას იმისთვის, რომ მან კანონმორჩილი ცხოვრებით იცხოვროს საზოგადოებაში, როდესაც სასჯელს მოიხდის და ციხიდან განთავისუფლდება. დამნაშავის სისხლის სამართლებრივი წესით დევნა და დასჯა იმ დანაშაულისთვის, რომელიც მან დიდი ხნის წინ ჩაიდინა, როდესაც სავარაუდო დამნაშავის პირადი გარემოებები შეიცვალა, კონტრპროდუქტიულია დამნაშავის მიერ კანონმორჩილი წესით ცხოვრების ხელშეწყობის თვალსაზრისით" (*Mocanu and Others v. Romania* - მოსამართლეპინტო დე ალბუკერკის მოსაზრება, რომელსაც იზიარებს მოსამართლე ვიკნიკი).

მიუხედავად ამისა, კონვენციის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაშია ის, რომ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილდანაშაულებზე ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება. საქმეზე, რომელიც შეეხებოდა მოქალაქეების წინააღმდეგ ლეტალური ძალის ფართოდ გამოყენებას მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ დემონსტრაციებზე, რომლებიც წინ უძღოდა ტოტალიტარული რეჟიმიდან დემოკრატიულ რეჟიმზე გადასვლას, სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოძიება ეფექტურად არ ჩატარებულა, როდესაც ხელისუფლების უმოქმედობის გამო დამნაშავე პირების მსჯავრდება შეუძლებელი გახდა ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის შედეგად; შესაბამისად, ეროვნულმა ხელისუფლებამ მოცემულ შემთხვევაში არ იმოქმედა კონვენციის მე-2 მუხლით მოთხოვნილი საჭირო გულმოდგინებით (*Association 21 December 1989 and Others v. Romania*).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Adolf v. Austria, no. 8269/78, 1982 წლის 26 მარტი

Deweer v. Belgium, no. 6903/75, 1980 წლის 27 თებერვალი

Eckle v. Germany, no. 8130/78, 1982 წლის 15 ივლისი

Engel and Others v. the Netherlands, nos. 5100/71, 5101/71, 5102/71, 5354/72, 5370/72, 1976 წლის 8 ივნისი

Bendenoun v. France, no. 12547/86, 1994 წლის 24 თებერვალი

Tess v. Latvia(dec.), no. 34854/02, 2002 წლის 12 დეკემბერი

Kokkinakis v. Greece, no. 14307/88, 1993 წლის 25 მაისი - Legal Summary

სხვა წყაროები:

პარლამენტის წევრის მიერ იმუნიტეტის მოხსნის შეუძლებლობა,რათა მას სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით თავისი უდანაშაულობა დაემტკიცებინა: ვრცელდება მუხლი 6 § 1; სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

Kart v. Turkey, no. 8917/05, 2009 წლის 3 დეკემბერი - Legal Summary

სისხლის სამართლის კანონის, უკუძალით გამოყენება რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს ომის დანაშაულისთვის, ვიდრე მანამდე არსებული კანონი ითვალისწინებდა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Maktouf and Damjanović v. Bosnia and Herzegovina, nos. 2312/08 და 34179/08,2013 წლის 18 ივლისი - Legal Summary

მეორე მსოფლიო ომის დროს ჩადენილი ომის დანაშაულისთვის 1993 წელს მიღებული კანონით მსჯავრდება: სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

Kononov v. Latvia, no. 36376/04, 2010 წლის 17 მაისი - Legal Summary

ადმინისტრაციული დაკავება დემონსტრაციის ჩატარებასთან დაკავშირებული პროცედურების დარღვევისთვის, როდესაც ეროვნული კანონმდებლობით ასეთი პროცედურები არ იყო დადგენილი: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Vyerentsov v. Ukraine, no. 20372/11, 2013 წლის 11 აპრილი - Legal Summary

ახალი კანონი, რომელიც ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის უფრო ხანგრძლივ ხანდაზმულობის ვადას ითვალისწინებდა, გავრცელდა საქმეებზე, რომელთა წარმოება ამ კანონის ძალაში შესვლამდე დაიწყო: სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

Coëme and Others v. Belgium, nos. 32492/96, 32547/96, 32548/96, 33209/96 და 33210/96, 2000 წლის 22 ივნისი - Legal Summary

ახალი კანონის მიღების შედეგად რეციდივიზმისთვის სასჯელის განისაზღვრა: სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

Achour v. France, no. 67335/01, 2006 წლის 29 მარტი - Legal Summary

1990 წელს რუმინეთის რეჟიმის წინააღმდეგ ორგანიზებულ დემონსტრაციაში მონაწილეთა გარდაცვალების, დაკავებისა და არასათანადო მოპყრობის არაეფექტური გამოძიება: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Mocanu and Others v. Romania, nos.45886/07, 32431/08 და 10865/09, 2012 წლის 13 ნოემბერი - Legal Summary

1989 წელს რუმინეთში სახელმწიფო მეთაურის ჩამოგდებასთან დაკავშირებული მოვლენებისას ახალგაზრდა მამაკაცის გარდაცვალების არაეფექტური გამოძიება: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Association 21 December 1989 and Others v. Romania, 2011 წლის 24 მაისი – Legal summary

დაკავშირებული თემები

22. დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა

29. დანაშაულის ჩადენის დროის მითითება

21. ფაქტის დადგენის წესი

მოკლე შეჯამება

სასამართლოს დანიშნულება არაა იმოქმედოს, როგორც მეოთხე ინსტანციის სასამართლომ, ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან, კერძოდ კი ფაქტების დადგენასთან მიმართებით.

არსებობს **ძლიერი პრეზუმფცია იმ ფაქტების მიმართ, რომლებიც ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა.**

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ **იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებსაც მოვლენების ურთიერთსაწინააღმდეგო აღწერა ახასიათებთ,** სასამართლომ შესაძლოა თავად გამოიკვლიოს გარკვეული ფაქტები **„გონივრული ეჭვს მიღმა“ სტანდარტის გამოყენებით.**

ზოგადი პრინციპები

სუბსიდიურობის პრინციპის შესაბამისად მე-6 მუხლი არ აძლევს სასამართლოს უფლებას, იმოქმედოს მეოთხე ინსტანციის სახით, კერძოდ კი თავიდან დაადგინოს საქმის გარემოებები ან ხელახლა გამოიკვლიოს ეროვნული კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევიები (*Bernard v. France*, §§37-41). მე-6 მუხლისშესაბამისად, სასამართლოს ფუნქციებში არ შედის ეროვნული სასამართლოების სხვადასხვა გადაწყვეტილებების შედარება, მაშინაც კი, როდესაც საქმეები მსგავსია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა აშკარა თვითნებობა (*Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey* [GC], §§59-96).

მე-6 მუხლი ეროვნული სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტების მიმართ ძლიერ პრეზუმფციას შეიცავს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეროვნული სამართალწარმოება მე-6 მუხლის მოთხოვნების გვერდის ავლით ხორციელდება, მაგალითად, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის პროვოცირებასთან დაკავშირებული საქმეები (*Ramanauskas v. Lithuania* [GC], §§48-74), თუმცა მოცემული კატეგორიის საქმეები უფრო გამონაკლისს წარმოადგენს, ვიდრე წესს.

სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში, რომელიც კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ეფექტურ გამოძიებას შეეხებოდა, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მიუხედავად იმისა, რომ იგი ითვალისწინებს თავისი როლის სუბსიდიურ ხასიათს და სიფრთხილით ეკიდება იმას, რომ არ შეასრულოს პირველი ინსტანციის სასამართლოს ფუნქციები ფაქტების დადგენასთან მიმართებით (*McKerr v. the United Kingdom* (dec.)), ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო გვერდს ვერ უვლის გარკვეული დასკვნების გაკეთებას ფაქტებთან მიმართებით მის ხელთ არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით. **იმ საქმეებთან დაკავშირებით, სადაც მოვლენების აღწერა წინააღმდეგობრივია,** სასამართლო ფაქტების დადგენის დროს მსგავს სიძნელეებს აწყდება. როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო. მტკიცებულებების შეფასების პროცესში სასამართლო **„გონივრულ ეჭვს მიღმა**“ სტანდარტს იყენებს.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიზანი არასოდეს არ ყოფილა ეროვნული სამართლებრივი სისტემის, რომელიც ამ სტანდარტს ცნობს, მიდგომის გადმოღება. **სასამართლო აკეთებს დასკვნებს, რომლიც მისი აზრით, გამყარებულია არსებული მტკიცებულებების თავისუფალი შეფასებით,** ისეთი დასკვნების ჩათვლით, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან და მხარეების მიერ წარდგენილი მოსაზრებებიდან. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე მსგავსი გაუქარწყლებელი ვარაუდების ერთობლიობის გათვალისწინებით (*El Masri v. "the former Yugoslav Republic of Macedonia*" [GC]*, §151, *Hassan v. The United Kingdom*[GC],§§ 47-48).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Bernard v. France, no. 22885/93, 1998 წლის 23 აპრილი – Legal summary

El Masri v. "the former Yugoslav Republic of Macedonia" [GC], no. 39630/09, 2012 წლის 13 დეკემბერი - Legal summary*

Hassan v. The United Kingdom[GC], no. 29750/09, 2014 წლის 16 სექტემბერი – Legal summary

McKerr v. the United Kingdom (dec.), no. 28883/95, 2000 წლის 4 აპრილი

Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey [GC], no. 13279/05, 2011 წლის 20 ოქტომბერი – Legal summary

Ramanauskas v. Lithuania [GC], no. 74420/01, 2008 წლის 5 თებერვალი- Legal summary

დაკავშირებული თემები

25. „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტი

36. მტკიცების ტვირთი

22. დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა

მოკლე შეჯამება

მოპასუხისთვის წარდგენილი ბრალის გადაკვალიფიცირება უნდა განხორციელდეს ისე, რომ მას მიეცეს საკმარისი დრო და საშუალებები იმისთვის, რომ რეაგირება მოახდინოს ამაზე და საკუთარი თავი დაიცვას ახალი ინფორმაციის ან ბრალდების გათვალისწინებით. ეს ვალდებულება ვრცელდება ფორმალურ ცვლილებაზე და ასევე ბრალის ნაგულისხმევ დამძიმებაზე.

ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დარღვევა შეიძლება უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოს მიერ იყოს გამოსწორებული.

ძირითადი პრინციპები

ბრალდებული დროულად და სრულად უნდა იყოს ინფორმირებული მის მიმართ წაყენებულ ბრალდებაში ნებისმიერი ცვლილების და მისი განმაპირობებელი მიზეზების თაობაზე და მას საკმარისი დრო და შესაძლებლობა უნდა მიეცეს იმისთვის, რომ საკუთარი დაცვა მოამზადოს ახალი ინფორმაციის ან ბრალდების გათვალისწინებით (*Mattoccia v. Italy*, § 61; *Bäckström and Andersson v. Sweden*(dec.)).

ინფორმაცია წაყენებული ბრალის თაობაზე, მათ შორის, იმ სამართლებლივი კვალიფიკაციის თაობაზე, რაც შეიძლება სასამართლომ გაიზიაროს აღნიშნულ საქმეში, ბრალდებულს ან სასამართლო განხილვის დაწყებამდე უნდა მიეწოდოს საბრალდებო დასკვნის სახით, ან ყველაზე გვიან, სასამართლო განხილვის მსვლელობისას უნდა მიეწოდოს ბრალის ფორმალური ან თანმდევი დამძიმების თაობაზე შეტყობინების სახით. უბრალოდ მითითება აბსტრაქტულ შესაძლებლობაზე, რომ სასამართლომ შეიძლება ბრალდებისგან განსხვავებული დასკვნა გამოიტანოს დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, აშკარად არ არის საკმარისი (*I.H. and Others v. Austria*, § 34).

სამართალწარმოების პროცესში ფაქტების გადაკვალიფიცირების შემთხვევაში, ბრალდებულს საკუთარი დაცვის უფლების ეფექტური და პრატქიკული რეალიზაციის საშუალება და საკმარისი ვადა უნდა მიეცეს (*Pelissier and Sassi v. France*[GC], § 62; *Block v. Hungary*, § 24).

“*137. მთლიანობაში სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობის შეფასებისას, სასამართლო ეთანხმება, რომ დანაშაულის გადაკვალიფიცირება არ არღვევს დაცვის მხარის უფლებებს, თუკი საქმის ზემდგომ ინსტანციაში გადასინჯვის პროცესში ბრალდებულს საკმარისი საშუალება მიეცა დაეცვა თავი (იხილეთ: Dallos v. Hungary,;Sipavičius v. Lithuania, § 30).”* (*Haxhia v. Albania § 137*)

იგულისხმება, რომ ბრალდებულისთვის დანაშაულის გადაკვალიფიცირება წინასწარ განჭვრეტადი იყო, თუ გადაკვალიფიცირება შეეხება ელემენტს, რომელიც კონკრეტული ბრალდებისთვის დამახასიათებელი განუყოფელი ელემენტი იყო (*De Salvador Torres v. Spain*, § 33; *Sadak and Others v. Turkey* (no. 1), §§ 52 და 56; *Juha Nuuttinen v. Finland*, § 32).

ბრალის თაობაზე შეტყობინების თვალსაზრისით არსებული ხარვეზები შეიძლება გამოსწორდეს, თუკი ბრალდებულს აქვს საშუალება დაიცვას თავი ახლადფორმულირებული ბრალდების საწინააღმდეგოდ და ამ

საფუძველზე მისი მსჯავრდების ნებისმიერი სამართლებლივი და ფაქტობრივი ასპექტი გაასაჩივროს (*Dallos v. Hungary*, §§ 49-52; *Sipavičius v. Lithuania*, §§ 30-33; *Zhupnik v. Ukraine*, §§ 39-43; *I.H. and Others v. Austria*, §§ 36-38; *Juha Nuuttinen v. Finland*, § 33).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Block v. Hungary, no. 56282/09, 2011 წლის 25 იანვარი - Legal summary

De Salvador Torres v. Spain, no. 21525/93, 1996 წლის 24 ოქტომბერი – Legal summary

Haxhia v. Albania, no. 29861/03, 2003 წლის 8 ოქტომბერი – Legal summary

I.H. and Others v. Austria, no. 42780/98, 2006წლის 20 აპრილი – Legal summary

Juha Nuuttinen v. Finland, no. 45830/99, 2007 წლის 24 აპრილი – Legal summary

Mattoccia v. Italy, no. 23969/94, 2000 წლის 25 ივლისი – Legal summary

Sipavičius v. Lithuania, no. 49093/99, 2002წლის 21 თებერვალი – Legal summary

Zhupnik v. Ukraine, no. 20792/05, 2010 წლის 9 დეკემბერი – Legal summary

სხვა წყაროები:

სააპელაციო სასამართლომ გადააკვალიფიცირაბრალი ისე, რომ დაცვის მხარეს არ მიეცა საკმარისი შესაძლებლობა თავისი არგუმენტების წარდგენისთვის: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Pelissier and Sassi v. France, no. 25444/94, 1999 წლის 25 მარტი – Legal summary

ბრალის გადაკვალიფიცირება ისე, რომ დაცვის მხარეს არ მიეცა საკმარისი შესაძლებლობა თავისი არგუმენტების წარდგენისთვის: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Sadak and Others v. Turkey(no. 1), nos. 29900/96, 29901/96, 29902/96 და 29903/96, 2001 წლის 17 ივლისი – Legal summary

სააპელაციო სასამართლოს მიერ დანაშაულის გადაკვალიფიცირება: სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

Dallos v. Hungary, no. 29082/95, 2001წლის 1 მარტი – Legal summary

სააპელაციო სასამართლოს მიერ ბრალდების დანაშაულში თანამონაწილეობად გადაკვალიფიცირება განაჩენის გამოტანის ეტაპზე: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Mattei v. France', no. 34043/02, 2006 წლის 19 დეკემბერი – Legal summary

მოპასუხის მსჯავრდება გაუპატიურებისთვის მაშინ, როდესაც საქმე სასამართლოს განსახილველად გადაეცა გაუპატიურების მცდელობის ბრალდებით: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Miraux v. France', no. 73529/01, 2006 წლის 26 სექტემბერი – Legal summary

ბრალის გადაკვალიფიცირება, როდესაც მხარეები დასკვნითი სიტყვით გამოდიოდნენ სააპელაციო სასამართლოს წინაშე: სასამართლომ დაუშვებლად ცნო

Bäckström and Andersson v. Sweden (dec.), no. 67930/01, 2006წლის 5 სექტემბერი – Legal summary

განმცხადებლისთვის მისჯილი ვადის გაზრდა სააპელაციო სასამართლოს მიერ მისი ან მისი ადვოკატის დასწრების გარეშე: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Csikós v. Hungary, no. 37251/04, 2006 წლის 5 დეკემბერი – Legal summary

განმცხადებლის მსჯავრდება ისე, რომ იგი არ იყო ინფორმრიებული ფაქტების გადაკვალიფიცირების თაობაზე და მას არ მიეცა დაცვის უფლება: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Varela Geis v. Spain',no.61005/09, 2013 წლის 5 მარტი – Legal summary

დაკავშირებული თემები

10. პირდაპირი მტკიცებულება

23. მტკიცებულებების სანდოობა და უტყუარობა

მოკლე შეჯამება

მსჯავრდება, რომელიც ძირითადად ან უმეტესწილად მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს ეყრდნობა, სამართალწარმოების პროცესის უსამართლოდ მიჩნევის საფუძველს იძლევა.

კონვენციის სხვა მუხლების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება ავტომატურად არ ნიშნავს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას (*Khan* §§ 34-40, *Bykov* §§ 94-105), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ წამებას ჰქონდა ადგილი მტკიცებულებების მოპოვების დროს (*Jalloh*(GC)*,§§ 103-123).

მტკიცებულებების სანდოობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი, მოწმის ჩვენებებთან დაკავშირებით, სასამართლო მტკიცებულების უშუალოდ გამოკვლევის პრინციპს აწესებს (*Bocos – Cuesta v. The Netherlands*).

ძირითადი პრინციპები

ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები პრინციპში არ ეწინააღმდეგება სამართლიანობის მოთხოვნას. როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონო მტკიცებულებებს ეყრდნობა, სასამართლომ უნდა დაადგინოს უკანონობა (ეროვნული კანონმდებლობის კონტექსტში) ხომ არ ქმნის უსამართლობის საფუძველს (კონვენციის ავტონომიური მნიშვნელობით) და ჰქონდა თუ არა განმცხადებელს ამ საკითხის ეროვნულ დონეზე გასაჩივრების უფლება (*Schenk v. Switzerland*, §§ 47-51, *Heglas v. the Czech Republic,* §§ 89-93).

სასამართლო არ ამოწმებს ფაქტებრივი გარემოებების შეფასებას მაშინაც კი, თუ ეს ფაქტი არასანდო მტკიცებულებაზე დაყრდნობით დადგინდა, და იგი ამ საკითხს ეროვნული სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებაში ტოვებს „მეოთხე ინსტანციის“ დოქტრინის შესაბამისად. თუ სერიოზული ეჭვები არსებობს მტკიცებულებების ხარისხთან დაკავშირებით, სასამართლომ შესაძლოა მტკიცებულებების მოპოვებასა და შესწავლასთან დაკავშირებით არსებული პროცედურული გარანტიები შეისწავლოს, რაც არ გულისხმობს მტკიცებულებების გადაფასების ვალდებულებას (*Cornelis v. the Netherlands*).

სასამართლო მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეაფასებს თავად მტკიცებულებებს, როდესაც ნათელი ხდება, რომ იგი არ არის სანდო იმ საეჭვო გარემოებების გამო, რომლებშიც მტკიცებულებები იქნა მოპოვებული (*Laska and Lika v. Albania*, §§63-72).

კიდევ ერთი კატეგორია საქმეების, როდესაც სასამართლომ შესაძლოა უფრო დეტალურად შეისწავლოს მტკიცებულებები, ეს არის სისხლის სამართლის დანაშაულის პროვოცირება „მახის დაგების“ გზით, რასთან დაკავშირებითაც სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი გზით მოპოვებული მტკიცებულებები გამორიცხული უნდა იყოს (*Khudobin v. Russia*,* §§ 133-135) იმ მტკიცებულებებიდან, რომლებიც გათვალისწინებული იქნება საქმის შედეგის დასადგენად.

“71. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს არ მიეცა იმაზე დაკვირვების საშუალება, თუ როგორ გამოკითხა პოლიციამ ბავშვები, მაგალითად, გამოკითხვაზე სხვა ოთახიდან თვალყურის დევნების საშუალება. მას ასევე არ ჰქონდა მათთვის კითხვების დასმის საშუალება. გარდა ამისა, რადგანაც ბავშვების მიერ პოლიციის წინაშე გაკეთებული განცხადებების ჩანაწერი არ იწარმოებოდა, არც განმცხადებელს და არც პირველი ინსტანციის სასამართლოს არ ჰქონდა მათ ქცევაზე დაკვირვების საშუალება და საკუთარი დასკვნების გაკეთება ამ ჩვენებების სანდოობასთან დაკავშირებით (იხილეთ **Accardi and**

Others v. Italy (dec.), no. 30598/02, ECHR 2005-...). მართალია პირველი ინსტანციის სასამართლომ ფრთხილად შეისწავლა ბავშვების ჩვენებები და განმცხადებელს შეკამათების საკმარისი შესაძლებლობა მისცა, მაგრამ ეს ვერ ჩაითვლება მოწმის მიერ ზეპირი ჩვენებების მიცემის პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობის სრულფასოვან ჩანაცვლებად" (*Bocos Cuesta v. The Netherlands,* § 71).

შსაბამისი პრეცედენტული სამართალი

Cornelis v. the Netherlands (dec.), no. 994/03, 25 მაისი 2004 – Legal summary[43]

Heglas v. the Czech Republic, no. 5935/02, 1 მაისი 2007 – Legal summary

Schenk v. Switzerland, no. 10862/84, 12 ივლისი 1988

სხვა წყაროები:

მსჯავრდება დამნაშავის ამოცნობის უსამართლოდ ჩატარებულ პროცედურაზე დაყრდნობით: სასამართლომ დაადგინა დარღვევა (მოპასუხე სახელმწიფომ მოითხოვა საქმის ეროვნულ დონეზე ხელახალი განხილვისთვის დაბრუნება ან გადასინჯვა)

Laska and Lika v. Albania, no.12315/04, 2010 წლის 20 აპრილი – Legal summary

ფარული აგენტი, რომელმაც არ მოახდინა დანაშაულის პროვოცირება, მაგრამ მისი ჩარევის გარეშე იგი არ მოხდებოდა: სასამართლომ დაუშვებლად ცნო

Calabrò v. Italy and Germany (dec.), 59895/00, 2002 წლის 21 მარტი

პოლიციის ხელშეწყობით ჩადენილი დანაშაულისთვის მსჯავრდება: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Khudobin v. Russia, 59696/00, 2006 წლის 26 ოქტომბერი – Legal summary*

პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განმცხადებლის შუამდგომლობაზე გამოეკითხათ დაზარალებული უარის თქმის მიზეზების არასაკმარისად დასაბუთება, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულის ჩვენებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პირის მსჯავრდებისთვის: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Bocos-Cuesta v. the Netherlands, 2005 წლის 10 ნოემბერი – Legal summary

დაკავშირებული თემები

3. მტკიცებულებები

7. აღიარება როგორც მტკიცებულება / 8. ნაწილობრივი აღიარებითი ჩვენების მტკიცებულებად გამოყენების წესი

10. პირდაპირი მტკიცებულება

16. მტკიცებულების დასაშვებობა

24. დანაშაულის კვალიფიკაციის შეფასება

მოკლე შეჯამება და ძირითადი პრინციპები

დანაშაულის კვალიფიკაციის შეფასება სამართალწარმოების მიმდინარეობის პროცესში თანამდებობის პირის მიერ ისე, რომ სასამართლოს ჯერ არ დაუდგენია პირის ბრალეულობა, უდანაშაულობის პრეზუმფციაზე და შესაბამისად, მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვისგარანტიაზე პირდაპირ ახდენს გავლენას და სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასების თაობაზე წინასწარდასკვნას წარმოადგენს.

დანაშაულის კვალიფიკაციაში რაიმე ცვლილებები (დანაშაულის სამართლებლივ, არსებით ან მორალურ ასპექტებთან დაკავშირებული ფაქტების დახასიათების ცვლილება) ბრალდებულისთვის საკუთარი დაცვის

43 საინფორმაციო ბარათი No. 64, 2004 წლის მაისი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო, გვ 18

ხაზის ცვლილების შესაძლებლობის მიცემის გარეშე, სამართლიანი სასამართლოს გარანტიის დარღვევას წარმოადგენს (*Adrian Constantin v. Romania*).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

ბოლო ინსტანციის სასამართლოს მიერ დანაშაულის გადაკვალიფიცირება (დანაშაულის მორალური კომპონენტის ნაწილში) ისე, რომ განმცხადებელს არ მიეცა მისი დაცვის ხაზის შესაბამისად შეცვლის საშუალება: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Adrian Constantin v. Romania, no. 21175/03, 2011 წლის 12 აპრილი – Legal summary

გენერალური პროკურორის მიერ პირისთვის ფორმალური ბრალდების წაყენებამდე განცხადების გაკეთება, რომლის შესაბამისადაც, სავარაუდო დანაშაულის არსებითი ელემენტი დადგენილია: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Fatullayev v. Azerbaijan, no. 40984/07, 2010 წლის 22 აპრილი – Legal summary

დაკავშირებული თემები

22. დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა

25. სტანდარტი "გონივრულ ეჭვს მიღმა"

(გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენის შემთხვევაში)

მოკლე შეჯამება

პირის ბრალეულობის დასამტკიცებლად, ბრალდების მხარე, როგორც წესი, „გონივრულ ეჭვს მიღმა" სტანდარტს იყენებს.

მტკიცების განხვავებული სტანდარტი გამოიყენება პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისა და პირის დამნაშვაედ ცნობისათვის.

ბრალდებულის უდანაშაულობაში ეჭვის შეტანა მას შემდეგ, რაც მის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი ძალაში შევა (ყოველგვარი ეჭვი მის სასარგებლოდ გადაწყდება), კონვენციის 6 § 2 მუხლის შესაბამისად დაუშვებლადაა მიჩნეული.

ზოგადი პრინციპები

ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ძირითად მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს, **კერძოდ, ბრალდებამ „გონივრულ ეჭვს მიღმა" სტანდარტით უნდა დაასაბუთოს ბრალეულობა დ**ა ასევე უნდა აკმაყოფილებდეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითად პრინციპს - ***in dubio pro reo*** (პირი არ შეიძლება დამნაშავედ იყოს ცნობილი სასამართლოს მიერ, თუ მის ბრალეულობაში ეჭვის შეტანაა შესაძლებელი)(*Barberà, Messegué and Jabardo v. Spain*, § 77, *Lavents v. Latvia*, § 125 and *Melich and Beck v. the Czech Republic*, § 49).

ბრალდებამ უნდა დაამტკიცოს დანაშაული „გონივრულ ეჭვს მიღმა" სტანდარტით, მათ შორის უნდა უზრუნველყოს არასანდო და უკანონო გზით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებისგან დაცვის სტანდარტის შესრულება, ხოლო მოპასუხე უფლებამოსილია წარმოადგინოს მტკიცებულებები და გამოიძახოს მოწმეები, თუ იგი ამას მოისურვებს (*O'Halloran and Francis v. the United Kingdom[GC],*§ 60). ეროვნული სასამართლო ვერ დაასკვნის, რომ პირი დამნაშავეა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი დუმილის უფლებას გამოიყენებს (*John Murray v. the United Kingdom** [GC],§ 51).

ის ფაქტი, რომ განმცხადებელი გამართლებული იქნა, არ ნიშნავს, რომ მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა უკანონო იყო. **მტკიცებულებების სხვადასხვა სტანდარტი ვრცელდება** იმ პირთან მიმართებით, რომელსაც მსჯავრი უნდა დაედოს და რომლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნაა დასაწყები (გონივრული ეჭვი, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა). შესაბამისად, შეიძლება არსებობდეს საქმეები, როცა გონივრული ეჭვს, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, სასამართლო განხილვისას არ მოჰყვება შედეგად გონივრულ ეჭვს მიღმა მსჯავრდება (*Lavrechov v. the Czech Republic*,*§50).

გამამართლებელი განაჩენის ძალაში შესვლის შემდეგ - თუნდაც გამართლება განპირობებული იყოს ეჭვის ბრალდებულის სასრგებლოდ გადაწყვეტით, მუხლი 6 § 2 ის შესაბამისად, ბრალდებულის უდანაშაულობაში ეჭვის შეტანა, მათ შორის განაჩენის დასაბუთებაში გამოთქმული ეჭვის გახმოვანება, აღარ არის დასაშვები (*Sekanina v. Austria*, § 30 *Rushiti v. Austria*, § 31). იგივე ვრცელდება კონფისკაციის ორდერის გაცემაზე ისეთ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელშიც პირი გამართლებული იყო (*Geerings v. the Netherlands*, § 47).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Asan Rushiti v. Austria, no. 28389/95, 2000 წლის 21 მარტი – Legal summary

Barberà, Messegué and Jabardo v. Spain, no. 10590/83, 1988 წლის 6 დეკემბერი

*John Murray v. the United Kingdom** [GC], *no. 18731/91, 1996 წლის 8 თებერვალი – Legal summary*

Lavents v. Latvia, no. 58442/00, 2002 წლის 28 ნოემბერი – Legal summary

Lavrechov v. the Czech Republic, no. 57404/08, 2013 წლის 20 ივნისი– Legal summary*

Melich and Beck v. the Czech Republic, no. 35450/04, 2008 წლის 24 ივლისი– Legal summary

O'Halloran and Francis v. the United Kingdom[GC], nos. 15809/02 და 25624/02, 2007 *წლის 29 ივნისი* – Legal summary

სხვა წყაროები:

კონფისკაციის ორდერის გაცემა ისეთ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელშიც ბრალდებული გამართლებული იყო: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Geerings v. the Netherlands,no.30810/03, 2007 წლის 1 მარტი – Legal summary

განმცხადებელს, რომელიც გამართლებულ იქნა, სასამართლოს გადაწყვეტილებით უარი ეთქვა კომპენსაციაზე წინასწარი პატიმრობისთვის: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Sekanina v. Austria, no. 13126/87, 1993 წლის 25 აგვისტო – Legal summary

დაკავშირებული თემები

36. მტკიცების ტვირთი

26. მიზეზები, რომელთა გამო სასამართლო გარკვეულ მტკიცებულებებს დასაშვებად ან დაუშვებლად მიიჩნევს

მოკლე შეჯამება

მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი ძირითადად ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საგანია. კერძოდ, მუხლი 6 § 3(დ) ეროვნული სასამართლოების უფლებამოსილებაში ტოვებს იმის შეფასებას, არის თუ არა მიზანშეწონილი მოწმის დაბარება.

მიუხედავად ამისა, ეროვნულ სასამართლოებს მოწმის დაბარებასა და გამოკითხვაზე უარის თქმის

დასაბუთების ვალდებულება ეკისრებათ. ასეთი ვალდებულების მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ დაცვის უფლებები არ შეიზღუდოს ისეთი მოცულობით, რომ განმცხადებლის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება დაირღვეს.

ძირითადი პრინციპები

მტკიცებულებების დასაშვებობა ძირითადად ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საგანია. ზოგადად, ეროვნული სასამართლოს ფუნქციებში შედის მის წინაშე არსებული მტკიცებულებების გამოკვლევა და იმ მტკიცებულებების რელევანტურობის შეფასება, რომლის წარდგენაც დაცვას უნდა (*Barbera, Messeguй and Jabardo v. Spain*, § 68). მაგრამ, სასამართლოს ფუნქციებში შედის იმის დადგენა, სამართალწარმოების პროცესი მთლიანობაში სამართლიანი იყო კონვენციის 6 § 1 მუხლის მნიშვნელობით თუ არა (*Delta v. France*, § 35 and *Vidal v. Belgium*, § 33).

მტკიცებულებების მოპოვების კონტექსტში სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვას, რომელიც გულისხმობს, რომ განმცხადებელს „გონივრული შესაძლებლობა უნდა მიეცეს წარადგინოს თავისი მოსაზრებები ისეთ პირობებში, რომლებიც არ აყენებენ მას არაუპირატეს მდგომარეობაში მის ოპონენტთან შედარებით“ (*Bulut v. Austria*, § 47). შესაბამისად, შეიძლება არსებობდეს გამონაკლისი გარემოებები, რომელთა გამო სასამართლომ შეიძლება დაასკვნას, რომ მოწმის დაბარებაზე უარის თქმა მე-6 მუხლის დარღვევას წარმოადგენს. (*Bricmont v. Belgium*, § 89 and *Destrehem v. France*, § 41).

როდესაც მოპასუხის თხოვნა მოწმის გამოკითხვის თაობაზე საკმარისად დასაბუთებულია, საქმე შეეხება ბრალდების არსებით ასპექტებს და ჩვენებას შეუძლია დაცვის პოზიციის გამყარება, ან ჩვენების საფუძველზე ბრალდებულის გამართლებაც კი არის შესაძლებელი. ეროვნულმა სასამართლომ საფუძვლიანი მიზეზები უნდა დაასახელოს იმის დასასაბუთებლად, თუ რატომ არ დააკმაყოფილა მოპასუხის თხოვნა (*Polyakov v. Russia*, §§ 34-35 and *Gregačević c. Croatia*, § 68).

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს ფუნქციებში არ შედის თავისი აზრის გამოხატვა მტკიცებულებების რელევანტურობასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ მოწმის დაკითხვაზე უარის თქმის დაუსაბუთებლობა შეიძლება განიხილებოდეს როგორც დაცვის უფლებების შეზღუდვა, რაც არ შეესაბამება სამართლიანი სასამართლოს გარანტიას (*Popov v. Russia*, § 188; *Bocos-Cuesta v. the Netherlands*, § 72; *Wierzbicki v. Poland*, § 45 და*Vidal v. Belgium*, § 34). მსგავსად ზემოხსენებულისა, ანონიმური მოწმის ჩვენების დასაშვებად ცნობის მიზეზების შეუფასებლობა, როდესაც ამგვარი ჩვენება მსჯავრდების საფუძველს წარმოადგენს, (*Krasniki v. the Czech Republic**) ან დაცვის მოწმის გამოძახებაზე უარის თქმა, როდესაც ამ უკანასკნელს ნათელი უნდა მოეფინა იმ ბუნდოვანი გარემოებებისთვის, რაც მსჯავრდების საფუძველს წარმოადგენდა (*Kasparov and others v. Russia*), სასამართლოს მიერ შეიძლება მიჩნეული იყოს როგორც სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევა.

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Barberà, Messegué and Jabardo v. Spain, no. 10590/83, 1988 წლის 6 დეკემბერი

Bocos-Cuesta v. the Netherlands, no.54789/00, 2005 წლის 10 ნოემბერი

Breukhoven v. the Czech Republic, no. 44438/06, 2011 *წლის 21 ივლისი*

Bricmont v. Belgium, no. 10857/84, 1989 წლის 7 ივლისი

Bulut v. Austria, no. 17358/90, 1996 წლის 22 თებერვალი

Delta v. France, *no. 44760/98, 2004 წლის 9 ნოემბერი*

Destrehem v. France, no. *56651/00, 2004 წლის 18 მაისი*

Gregačević c. Croatia, no. 58331/09, 2012 წლის 19 ივლისი

Kasparov and others v. Russia, no. 21613/07, 2013 წლის 3 ოქტომბერი

Polyakov v. Russia, no.77018/01, 2014 წლის 29 იანვარი

Popov v. Russia, no. 26853/04, 2006 წლის 13 ივლისი
Vidal v. Belgium, no. 12351/86, 1992 *წლის 22 აპრილი*
Wierzbicki v. Poland, no. 24541/94, 2002 *წლის 18 ივნისი*

სხვა წყაროები

ანონიმური მოწმის ჩვენებების დასაშვებად მიჩნევის მიზეზების განუმარტაობა, როდესაც ამ ჩვენებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა პირისთვის მსჯავრის დადებაში: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Krasniki v. the Czech Republic, no. 51277/99, 2006 წლის 28 თებერვალი – Legal summary*

დაკავშირებული თემები

3. მტკიცებულებები
14. მტკიცებულების რელევანტურობა

27. ბრალის წაყენების ფორმა

28. დანაშაულის ჩადენის ხერხის მითითება

29. დანაშაულის ჩადენის დროის მითითება

30. დანაშაულის ჩადენის მიზნის მითითება

31. დანაშაულის ჩადენის მოტივის მითითება

32. დანაშაულის შედეგის მითითება

მოკლე შეჯამება

დანაშაულის არსებითი გარემოებების მითითება მჭიდროდაა დაკავშირებული მოპასუხისთვის სავარაუდო დანაშაულის ასპექტების თაობაზე სრული ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებასთან. სისხლის სამართალწარმოების ეტაპზე მომხდარი ნებისმიერი ცვლილების თაობაზე მოპასუხეს დროულად უნდა ეცნობოს, რათა მან თავისი დაცვა შესაბამისად ააგოს.

ეროვნული სასამართლოს მიერ დანაშაულის ყველა შემადგენელი ელემენტის ინტერპრეტაციის გარეშე დატოვება მუხლი 6 § 1-ის დარღვევას წარმოადგენს (*Boldea v. Romania*, § 32).

ძირითადი პრინციპები

ბრალდებულს დროულად უნდა მიეწოდოს დეტალური ინფორმაცია წაყენებული ბრალდების მიზეზებისა (ფაქტობრივი გრემოებები, რომელთა არსებობაც ივარაუდება ბრალდებულის მიმართ და რომლებიც ბრალდების საფუძველს წარმოადგენენ) და მისი ხასიათის თაობაზე (ამ არსებითი გარემოებების იურიდიული კვალიფიკაცია).

მიუხედავად იმის, რომ მოცემული დებულებით გათვალისწინებული დეტალური ინფორმაციის მოცულობა კონკრეტული საქმის გარემოებებზეა დამოკიდებული, ბრალდებულს ნებისმიერ შემთხვევაში საკმარისი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს იმისთვის, რომ მან სრულად გააცნობიეროს მის მიმართ წაყენებული ბრალდება და საკუთარი თავის ეფექტური დაცვისთვის მომზადება შეძლოს.

შესაბამისად, წაყენებული ბრალის ბუნდოვანი ხასიათი და მასში მრავალრიცხოვანი ცვლილებები მე-6 მუხლის შესაბამისად პრობლემას წარმოადგენს.

გარდა ამისა, სასამართლოს მიერ დანაშაულის ჩადენის გარემოებების თაობაზე (დრო, ადგილი და სხვა) ზუსტი ინფორმაციის მიუწოდებლობა და ბრალდებულისთვის მის წინააღმდეგ არსებული ბრალდების უკუგდების შესაძლებლობის შეზღუდვა იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ბრალდება ადეკვატურია,

შეიძლება, მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევასა და სასამართლო პროცესის ხარვეზებზე მიუთითებდეს.

"63. სასამართლომ მანამდე დაადგინა, რომ მხარეთა თანასწორობისა და სამართლიანი სასამართლო განხილვის პრინციპი ისეთ გარემოებებში, როდესაც განმცხადებლის მსჯავრდება ძირითადად იმ ვარაუდს ეყრდნობა, რომ იგი კონკრეტულ დროს კონკრეტულ ადგილას იმყოფებოდა, გულისხმობს, რომ განმცხადებელს გონივრული შესაძლებლობა უნდა მიეცეს ეფექტურად გაასაჩივროს მის წინააღმდეგ დაშვებული ვარაუდები (იხილეთ Popov v. Russia, no. 26853/04, § 183, 2006 წლის 13 ივლისი, და Polyakov v. Russia, no. 77018/01, §§ 34-37,2009 წლის 29 იანვარი)." (*Kasparov and Others v. Russia, § 63)*.

მსჯავრის დეტალური განმარტება ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ***non bis in idem*** პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც მე-7 პროტოკოლის მე-4 მუხლითაა გარანტირებული, და რომლის შესაბამისადაც იკრძალება პირის ხელმეორედ ბრალდება ან გასამართლება დანაშაულში, რომელიც იმავე ფაქტებიდან გამომდინარეობდა ან „არსებითად" იგივე იყო (*Sergey Zolotukhin v. Russia* (GC)*, §§ 70-122).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Sergey Zolotukhin v. Russia[GC], no. 14939/03, 2009წლის 10 თებერვალი – Legal summary*

სხვა წყაროები:

გაუპატიურებაში წარდგენილი ბრალის ბუნდოვანება (სამართალწარმოების პროცესში დანაშაულის ჩადენის დროის, დანაშაულის ადგილის ან მიზეზის ცვლილება ისე, რომ განმცხადებელს არ მიეცა საკუთარი დაცვის შესაბამისად რეორგანიზების შესაძლებლობა): სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Mattoccia v. Italy, no. 23969/94, 2000 წლის 25 ივლისი – Legal summary (p.46)

დაცვის მოწმის გამოძახებაზე უარის თქმა, რომელსაც ბუნდოვან გარემოებებთან დაკავშირებით (დანაშაულის დროსა და ადგილთან დაკავშირებით) განმარტებები უნდა მიეცა, რაც გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო პირის მსჯავრდებისთვის: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Kasparov and Others v. Russia, no. 21613/07, 2013 წლის 3 ოქტომბერი– Legal summary

სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების პროცესში დანაშაულის არსებითი ელემენტების განმარტების გარეშე დატოვება და მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და არგუმენტების გაუთვალისწინებლობა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Boldea v. Romania, no. 19997/02, 2007 წლის 15 თებერვალი – Legal summary

ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მისთვის საოლქო სასამართლოს მიერ კანონის მთელი რიგი სერიოზული დარღვევების თაობაზე, მათ შორის, იმ გარემოების თაობაზე არგუმენტების რეაგირების გარეშე დატოვება, რომ ბრალდებულს ალიბი გააჩნდა დანაშაულის ჩადენის სავარაუდო დროსთან დაკავშირებით: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Gradinar v. Moldova, no. 7170/02, 2008 წლის 8 აპრილი – Legal summary

დაკავშირებული თემები

1. განაჩენების კანონიერება, დასაბუთება და სამართლიანობა (ზოგადი მიდგომები)

33. ალიბის დამადასტურებელ მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხები

მოკლე შეჯამება

დაცვის მხარის უფლება, გამოიძახოს მოწმე ზოგჯერ უფრო ფართოდ არის განმარტებული, როგორც

დაცვის უფლება, მოიპოვოს და წარადგინოს სხვა გამამართლებელი მტკიცებულებები, ისეთი, როგორიცაა :დოკუმენტები, ექსპერტის დასკვნები და სხვა. ასეთ მტკიცებულებებს ასევე მიეკუთვნება ალიბის დამადასტურებელი მტკიცებულება.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს ფუნქციებში არ შედის თავისი მოსაზრების გამოხატვა მტკიცებულებების რელევანტურობაზე, მტკიცებულების დაშვებაზე ან მოწმის გამოძახებაზე უარის დაუსაბუთებლობა შეიძლება განიხილებოდეს როგორც დაცვის უფლების შეზღუდვა, რაც წინააღმდეგობაშია სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიებთან.

ალიბის დამადასტურებელი მტკიცებულებების განხილვაზე უარის თქმა შეიძლება მუხლი 6 § 1-ის დარღვევად იყოს მიჩნეული (*Gradinar v. Moldova,* § 112).

ზოგადი პრინციპები

ეროვნული სასამართლოების პრეროგატივაა მტკიცებულებების გამოკვლევა და იმ მტკიცებულებების მნიშვნელობის შეფასება, რომლის წარმოდგენაც მოპასუხეს სურს. კერძოდ, მუხლი 6 § 3(დ) ეროვნული სასამართლოების უფლებამოსილებაში ტოვებს იმის შეფასებას, არის თუ არა მიზანშეწონილი მოწმის დაბარება. იგი არ მოითხოვს ბრალდებულის მიერ დასახელებული ყველა მოწმის დაკითხვას; მისი ძირითადი მიზანია მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფა (*Perna v. Italy [GC],* § 29; *Solakov v. the Former Yugoslav Republic of Macedonia*, § 57).

შესაბამისად, მოპასუხის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მას არ მიეცა გარკვეული მოწმეების გამოკითხვის შესაძლებლობა, ვერ იქნება საკმარისი. მან დამატებითი განმარტებები უნდა დაურთოს თავის განაცხადს იმის თაობაზე, თუ რატომ იყო მნიშვნელოვანი გარკვეული მოწმის მოსმენა და რომ მათ მიერ უზრუნველყოფილი მტკიცებულებები მნიშვნელოვანი იყო სიმართლის დადგენისა და დაცვის უფლებების დაცვისთვის (*Perna*, § 29; *Bacanu and SC R S.A. v. Romania*[1], § 75).

როდესაც მოპასუხის თხოვნა მოწმის გამოკითხვის თაობაზე საკმარისად დასაბუთებულია, საქმე შეეხება ბრალდების არსებით ასპექტებს და ჩვენებას შეუძლია დაცვის პოზიციის გამყარება ან ჩვენების საფუძველზე ბრალდებულის გამართლებაც კი არის შესაძლებელი, ეროვნულმა სასამართლომ საფუძვლიანი მიზეზები უნდა დაასახელოს იმის დასასაბუთებლად, თუ რატომ არ დააკმაყოფილა მოპასუხის თხოვნა. (*Topic v. Croatia*, § 42; *Polyakov v. Russia*, §§ 34-35).

მე-6 მუხლი არ ანიჭებს ბრალდებულს შეუზღუდავ უფლებას მოითხოვოს მოწმის სასამართლოში გამოძახება. ზოგადად, ეროვნული სასამართლოს პრეროგატივაშია გადაწყვეტილება მიიღოს მოწმის დაბარებისა და მოსმენის საჭიროებისა და მიზანშეწონილობის თაობაზე (*S.N. v. Sweden*, § 44; *Accardi and Others v. Italy* (dec.)).

შეიძლება არსებობდეს გამონაკლისი ვითარება, რის გამოც სასამართლომ შეიძლება დაასკვნას, რომ მოწმის დაუკითხაობა მე-6 მუხლის დარღვევას წარმოადგენს (*Dorokhov v. Russia*, § 65; *Popov v. Russia*, § 188; *Bricmont v. Belgium*, § 89 და*Destrehem v. France*, § 41). კერძოდ, სასამართლო შეიძლება არ დაეთანხმოს ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებას მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის თაობაზე, როდესაც: ა) ეს გადაწყვეტილება არ არის საკმარისად მოტივირებული; ბ) უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულება შეიძლება სერიოზულად ეწინააღმდეგებოდეს ბრალდების საქმის ვერსიას; და გ) ბრალდების საქმის მტკიცებულებების საფუძველი სუსტია (*V.D. v. Romania*, §§107-116).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Accardi and Others v. Italy(dec.), no. 30598/02, 2005 წლის 20 იანვარი

Bacanu and SC R S.A. v. Romania[1]*, no.4411/04, 2009 წლის 3 მარტი*

Bricmont v. Belgium, no. 10857/84, 1989 წლის 7 ივლისი

Destrehem v. France, no. 56651/00, 2004 წლის 18 მაისი

Dorokhov v. Russia, no.66802/01, 2008 წლის 14 თებერვალი – Legal summary

Perna v. Italy [GC], no. 48898/99, 2003 წლის 6 მაისი – Legal summary

Polyakov v. Russia, no.77018/01, 2014 წლის 29 იანვარი – Legal summary

Popov v. Russia, no. 26853/04, 2006 წლის 13 ივლისი – Legal summary

S.N. v. Sweden, no.77018/01, 2009 წლის 29 იანვარი – Legal summary

Solakov v. the Former Yugoslav Republic of Macedonia, no. 47023/99, 2001 წლის 31 ოქტომბერი - Legal summary

Topic v. Croatia, no. 51355/10, 2013 წლის 10 ოქტომბერი

V.D. v. Romania, no. 7078/02, 2010 წლის 16 თებერვალი – Legal summary

სხვა წყაროები:

ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მისთვის საოლქო სასამართლოს მიერ კანონის მთელი რიგი სერიოზული დარღვევების თაობაზე, მათ შორის იმ გარემოების თაობაზე არგუმენტების რეაგირების გარეშე დატოვება, რომ ბრალდებულს ალიბი გააჩნდა დანაშაულის ჩადენის სავარაუდო დროსთან დაკავშირებით: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Gradinar v. Moldova, no. 2008 წლის 8 აპრილი – Legal summary

სასამართლოს მიერ დაცვის მოწმის მოსმენაზე უარის თქმა მიუხედავად იმისა, რომ მანამდე დაცვის შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იყო: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Popov v. Russia, no. 26853/04, 2006 წლის 13 ივლისი – Legal Summary

დაკავშირებული თემები

3. მტკიცებულებები

10. პირდაპირი მტკიცებულება

34. საპროცესო შეთანხმება

მოკლე შეჯამება და ძირითადი პრინციპები

საპროცესო გარიგების შესაძლებლობა ევროპული სისხლის სამართლის სისტემების საერთო მახასიათებელია, რაც ბრალდებულს მის მიმართ წაყენებული ბრალის შემსუბუქების და სასჯელის შემცირების საშუალებას აძლევს, თუ იგი აღიარებს თავის დანაშაულს, ***nolo contendere*** შუამდგომლობას წარადგენს სასამართლო პროცესამდე, ან იგი გამოძიებასთან ითანამშრომლებს.

საპროცესო შეთანხმება თავისთავად არ ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს გარანტიას, მაგრამ თუ ამ პროცესის შედეგად საქმის სასამართლოს მიერ შესწავლა გამარტივებული წესით ხდება და შესაბამისად, ბრალდებული თავის გარკვეულ პროცედურულ უფლებებზე უარს ამბობს, უნდა არსებობდეს მინიმალური გარანტიები იმისთვის, რომ ამ უფლებებზე უარის თქმა სათანადოდ იყოს დაბალანსებული.

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Babar Ahmad and Others v United Kingdom (dec.), no. 24027/07, 2010 წლის 6 ივლისი – Legal summary

Dimitrova and Others v. Bulgaria, no. 44862/04, 2011 წლის 27 იანვარი – Legal summary

სხვა წყაროები:

საპროცესო შეთანხმების შემდეგ პირის მსჯავრდება საქმის არსებითი განხილვის გრეშე: სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

დაკავშირებული თემები

7. აღიარება როგორც მტკიცებულება / 8.ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენების მტკიცებულების სახით გამოყენება

35. ისეთი მტკიცებულების გამოყენების წესი, რომელსაც მხარეები არ ხდიან სადავოდ

მოკლე შეჯამება და ძირითადი პრინციპები

მხარეებს შორის შეთანხმება სასამართლო სხდომაზე დოკუმენტური მტკიცებულებების ზეპირი გამოკვლევის გამოტოვებაზე არ ათავისუფლებს მოსამართლეს მუხლი 6 § 1-ით დაკისრებული ვალდებულებისგან.

"*სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, კონვენციით გარანტირებულ უფლებაზე უარის თქმა, თუ ეს კანონმდებლობითაა დაშვებული, სრულიად ნათლად და არაორაზროვნად უნდა იყოს დადგენილი (იხილეთ გოლოზას საქმეზე გადაწყვეტილება, სერია A no. 89, გვ 14, პარაგ. 28). მიუხედავად იმისა, რომ "por reproducida" პროცედურის გამოყენება ადასტურებს, რომ დაცვის მხარე დაეთანხმა, რომ ფაილის შინაარსის საჯაროდ წაკითხვის საჭიროება არ არსებობდა, ეს არ იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ დაცვა უარს ამბობდა ამ ფაილის შინაარსის გასაჩივრებაზე მაშინაც კი, როცა ბრალდება ამ მასალებს ეყრდნობოდა, განსაკუთრებით კი გარკვეული მოწმეების ჩვენებებს; ის საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც დაცვამ გაასაჩივრა საქმე უზენაეს სასამართლოში და საკონსტიტუციო სასამართლოში, ამას ადასტურებს (იხილეთ ზემოთმოყვანილი პარაგრაფები 30 და 32 above)."* (*Barberà, Messegué and Jabardo v. Spain, § 82)*.

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Barberà, Messegué and Jabardo v. Spain, 1988 წლის 6 დეკემბერი

დაკავშირებული თემები

3. მტკიცებულებები

36. მტკიცების ტვირთი

მოკლე შეჯამება

სასამართლო პროცესის მსვლელობისას უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი გულისხმობს, რომ სისხლის სამართლის ნებისმიერ ბრალდებასთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ბრალდებას ეკისრება, და რომ ყოველგვარი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

მიუხედავად ამისა, კანონის პრეზუმფცია ან ბრალდებულის წინააღმდეგ მეტყველი ფაქტები, ასევე მტკიცებულებათა ტვირთის მეორე მხარეზე დაკისრების წესები შეიძლება არ წარმოადგენდეს მუხლი 6 §2-ის დარღვევას, თუ ეს გონივრულ ფარგლებში ხდება.

გარდა ამისა, მტკიცების ტვირთის ადმინისტრირება სწორად უნდა მოხდეს, მაგალითად ბრალდებულის დუმილის უფლების მსჯავრდების ძირითად საფუძვლად გამოყენება უდანაშაულობის პრეზუმფციასთან შეუსაბამოა.

ზოგადი პრინციპები

მხარეთა თანასწორობის პრინციპი გულისხმობს, რომ კერძო ინტერესებთან დაკავშირებული დავების დროს ორივე მხარეს უნდა მიეცეს საქმის თაობაზე თავისი მოსაზრებების და მტკიცებულებების წარდგენის გონივრული შესაძლებლობა, იმ პირობით, რომ მხარე ოპონენტთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში არ უნდა იყოს ჩაყენებული (*Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, § 33).

სისხლის სამართლის საქმეების შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ბრალდებას ეკისრება და რაიმე ეჭვის არსებობის შემთხვევაში, საქმე ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს (*Barbera, Messeguй and Jabardo v. Spain*, § 77; *Lavents v. Latvia*, § 125 და *Melich and Beck v. the Czech Republic*, § 49). ამგვარად, უდანაშაულობის პრეზუმფცია დარღვეულად იქნება მიჩნეული, როდესაც მტკიცების ტვირთი ბრალდების ნაცვლად განსასჯელს დაეკისრება (*John Murray v. the United Kingdom** [GC],§ 54;*Telfner v. Austria*, § 15).

მუხლი 6 § 2 არ კრძალავს ფაქტის ან კანონის პრეზუმფციას, არამედ იგი სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ მათ გონივრული ფარგლები დააწესონ ამასთან დაკავშირებით, რათა სათანადოდ იყოს გათვალისწინებული ის, თუ რა დევს სასწორზე და სათანადოდ იყოს გარანტირებული დაცვის უფლებები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოყენებული საშუალებები თანაბარზომიერი უნდა იყოს იმ ლეგიტიმური მიზნისა, რომლის მიღწევაცაა დასახული (*Salabiaku v. France*, § 28; *Janosevic v. Sweden*, § 101).

მტკიცების ტვირთი არ შეიძლება შებრუნებული იყოს კომპენსაციასთან დაკავშირებული სამართალწარმოების შემთხვევაში, სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდგომ (*Capeau v. Belgium*, § 25). სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება არ გულისხმობს, რომ პირი განთავისუფლებულია იმავე ფაქტებთან დაკავშირებით კომპენსაციის გადახდის სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან და ასეთ შემთხვევაში მტკიცებულებების ტვირთთან დაკავშირებული მოთხოვნები ნაკლებად მკაცრი იქნება (*Ringvold v. Norway*, §38; *Lundkvist v. Sweden* (dec.)).

ეროვნული სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაასკვნას, რომ ბრალდებული დამნაშავეა მხოლოდ იმაზე დაყრდნობით, რომ **მან დუმილის უფლებით ისარგებლა.** მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებების განმარტებაა საჭირო და ბრალდებული, რომელსაც შეუძლია ამის გაკეთება, უარს აცხადებს ახსნა-განმარტების მიცემაზე, „საღი აზრი გვკარნახობს, რომ შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ არ არსებობს ახსნა და, შესაბამისად, ბრალდებული დამნაშავეა“ (*John Murray* *,§ 51).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Barberà, Messegué and Jabardo v. Spain, no. 10590/83, 1988 წლის 6 დეკემბერი

Capeau v. Belgium, no. 42914/98, 2005 წლის 13 იანვარი

Janosevic v. Sweden, no. 34619/97, 2002 წლის 23 ივლისი – Legal summary

Lavents v. Latvia, no. 58442/00, 2002 წლის 28 ნოემბერი – Legal summary

Lundkvist v. Sweden (dec.), no. 48518/99, 2003 წლის 13 ნოემბერი

Melich and Beck v. the Czech Republic, no. 35450/04, 2008 წლის 24 ივლისი – Legal summary

Ringvold v. Norway, no. 34964/97, 2003 წლის 11 თებერვალი

Salabiaku v. France, no. 10519/83, 7 October 1988 წლის 7 ოქტომბერი

Telfner v. Austria, no. 33501/96, 2001 წლის 20 მარტი – Legal summary

სხვა წყაროები:

სამოქალაქო სამართალწარმოებაში იმ წესის გავრცელება, რომლის შესაბამისადაც მხარე არ შეიძლება დაკითხულ იქნეს მოწმის სახით საკუთარ საქმესთან დაკავშირებით: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Dombo Beheer B.V. v. the Netherlands, no. 14448/88, 1993 წლის 27 ოქტომბერი – Legal summary

დასკვნების გაკეთება განმცხადებლის დუმილზე დაყრდნობით, როდესაც მის წინააღმდეგ არსებულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით განმარტება არ იყო საჭირო: სასამართლო დარღვევა არ დაადგინა

John Murray v. the United Kingdom[GC],no. 18731/91, 1996 წლის 8 თებერვალი – Legal summary

განსასჯელზე მტკიცების ტვირთის ნაწილის დაკისრება ნარკოტრეფიკის დანაშაულის საქმეზე კონფისკაციის ორდერის მოცულობის გაანგარიშების მიზნით: სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

Grayson and Barnham v. the United Kingdom, nos. 19955/05 and 15085/06, 2008 წლის 23 სექტემბერი– Legal summary

ავტომობილის დარეგისტრირებული მფლობელის ვალდებულება მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც მძღოლის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა ავტოსაგზაო დანაშაულთან დაკავშირებულ საქმეზე: სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა

O'Halloran and Francis v. the United Kingdom [GC], nos. 15809/02 და 25624/02, 2007 წლის 29 ივნისი – Legal summary*

დაკავშირებული თემები

9. დუმილის უფლება

25. „გონივრულ ეჭვის მიღმა" სტანდარტი

37. სასჯელის დასაბუთება

მოკლე შეჯამება

დასაბუთებული და საჯარო გადაწყვეტილება საქმის ორივე მხარეს საშუალებას აძლევს დააკვირდეს მართლმსაჯულების პროცესს და თვითნებური გადაწყვეტილების მიღების პრევენცია მოახდინოს, რაც ასევე ხელს უწყობს მართლმსაჯულების გამჭვირვალე ადმინისტრირებას.

მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის განსაზღვრა მე-6 მუხლის ფარგლებს სცდება, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ეს ეროვნული სასამართლოების სრული პრეროგატივაა, სამართლიანი სასამართლოს გარანტია მოითხოვს, რომ სასჯელთან, განსაკუთრებით გარკვეული კატეგორიის სასჯელები ისეთივე სტანდარტით იყოს დასაბუთებული, რაც სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებების შემთხვევაში არის მოთხოვნილი.

ძირითადი პრინციპები

სასჯელის დასაბუთებისას იგივე სტანდარტი გამოიყენება. სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებული პროცედურებზე ვრცელდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები (*Findlay v. United Kingdom,* § 69).

სასჯელის შეფარდების (სასჯელის სახის და ზომის შერჩევა) შემოწმება არ წარმოადგენს სასამართლოს ფუნქციას, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, მაგალითად, როგორიცაა არასრულწლოვნისთვის სამუდამო პატიმრობის მისჯა (*Singh v. United Kingdom*).

განუსაზღვრელი ვადის სასჯელი არ წარმოადგენს კონვენციის დარღვევას, თუ საკმარისი კავშირი არსებობს თავდაპირველ მსჯავრსა და პირის პატიმრობაში ყოფნის გაგრძელებას შორის და არსებობს ამ პირის გარკვეული ვადის შემდეგ განთავისუფლების შესაძლებლობა (*Vinter and others v. United Kingdom**).

თვითნებობა შეიძლება წარმოადგენდეს კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევას, თუ სასჯელის განსაზღვრასთან დაკავშირებული ნორმები არ იძლევიან დამნაშავის ან დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინების საშუალებას. ამ პრობლემის განეიტრალება შესაძლებელია, როდესაც სასამართლოები

ისეთი გზით ახორციელებენ შესაბამისი კანონმდებლობის განმარტებას, რომ ეს მხოლოდ გამონაკლის გარემოებებში იყოს შესაძლებელი (*Partington v. United Kingdom*(dec.)).

დისკრიმინაციული სასჯელი ასევე პრობლემას წარმოადგენს ერთობლიობაში კონვენციის მე-14 და მე-5 მუხლებთან მიმართებით (*Nelson v. United Kingdom (*dec.)) იგივე ვრცელდება განთავისუფლებასთან დაკავშირებით მიღებულ დისკრიმინაციულ გადაწყვეტილებებზე (*Grice v. United Kingdom*(dec.)). მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ზემოხსენებულ საქმეებზე არ დაადგინა დარღვევა საქმის კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით, მან ამ პრინციპზე მაინც გაამახვილა ყურადღება.

აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევა სასჯელის განსაზღვრაში (მაგ. ტარიფის მოცულობის განსაზღვრაში) შეიძლება წარმოადგენდეს მე-6 მუხლის დარღვევას (*Stafford v. United Kingdom*[GC], § 87).

საკანონმდებლო ნორმების არასწორად მისადაგება გარკვეულ დანაშაულთან დაკავშირებული სასჯელის განსაზღვრის დროს შეიძლება მე-7 მუხლის დარღვევას წარმოადგენდეს (*E.K. v. Turkey,* §§ 54-56)

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

E.K. v. Turkey, 2002 წლის 7 თებერვალი – Legal summary

სხვა წყაროები:

სამართლიანი სასამართლო განხილვის სტანდარტის გავრცელება სამართალწარმოებაზე, რომელიც დანაშაულის აღიარების შემდეგ სასჯელის ზომის დადგენას შეეხებოდა

Findlay v. United Kingdom, no. 22107/93, 1997წლის 25 თებერვალი – Legal summary

დაკავებული ახალგაზრდა პირისთვის სასამართლოს წინაშე მისი დაკავების ან ხელახალი დაკავების კანონიერებაზე დავის შესაძლებლობის მიუცემლობა: სასამართლომ დაადგინა მუხლი 5 § 4-ის დარღვევა

Singh v. United Kingdom, no. 23389/94, 1996 წლის 21 თებერვალი – Legal summary

სამუდამო პატიმრობა სასიკვდილო დაავადების ან მძიმე ინვალიდობის შემთხვევაში განთავისუფლების პირობით: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Vinter and others v. United Kingdom [GC], nos. 66069/09, 130/10 და 3896/10, 2013 წლის 9 ივლისი – Legal summary*

გარკვეული სახის დანაშაულისთვის კანონმდებლობით სამუდამო პატიმრობის დადგენა სასამართლოს მიერ სასჯელის დასაბუთებით: სასამრთლომ დაუშვებელად ცნო

Partington v.United Kingdom (dec.), no. 58853/00, 2003 წლის 26 ივნისი

შოტლანდიაში არასრულწლოვანი დამნაშავის მიერ სასჯელის შემსუბუქებით სარგებლობის შეუძლებლობა: სასამართლომ დაუშვებელად ცნო

Nelson v. United Kingdom (dec.), no. 11077/84, 1986 წლის 13 ოქტომბერი

შიდსი არ იქნა გათვალისწინებული როგორც პირის განთავისუფლების საფუძველი: სასამართლომ დაუშვებელად ცნო

Grice v. United Kingdom (dec.), no. 22564/93, 1994 წლის 14 აპრილი

განმცხადებლის პატიმრობაში დატოვების კანონიერება არ იქნა განხილული განთავისუფლების უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ ან პროცედურით, რომელიც შესაბამის სამართლებლივ გარანტიებს ითვალისწინებს: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Stafford v. United Kingdom [GC], no. 46295/99, 2002 წლის 28 მაისი – Legal summary

სასჯელთა შეკრებითობის პრინციპი: სასამართლომ დაუშვებელად ცნო

Aydin v. Turkey (dec.), no. 41954/98, 2000 წლის 14 სექტემბერი– Legal summary[44]

Weeks v. United Kingdom, no. 9787/82, 1987 წლის 2 მარტი

სამუდამო პატიმრობა ხანდაზმული და დაავადებეული პატიმრისთვის: სასამართლომ დაუშვებლად ცნო

Sawoniuk v. United Kingdom (dec.), no. 63716/00, 2001წლის 29 მაისი– Legal summary[45]

დაკავშირებული თემები

1. განაჩენის კანონიერება, დასაბუთებულობა და სამართლიანობა (ზოგადი მიდგომები)

38. სხვა საკითხები, რომლებიც განაჩენში უნდა იყოს ასახული

მოკლე შეჯამება და ძირითადი პრინციპები

განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში იმის მითითებამ ექვემდებარება თუ არა იგი ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებას და რა ფორმით, შეიძლება ზეგავლენა იქონიოს კანონის მიერ დადგენილი სასამართლოს იურისდიქციის პატივისცემაზე, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ შემდგომი რეკლასიფიკაციის შედეგად მოსამართლეთა შემადგენლობა არ შეიცვალა

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში იმის მითითება, რომ იგი გასაჩივრებას ექვემდებარება და საკასაციო საჩივრის განხილვის მიზნით მოსამართლეთა შემადგენლობა არ შეიცვალა: სასამრთლომ დაადგინა დარღვევა

Jenita Mocanu v. Romania, no. 11770/08, 2013 წლის 17 დეკემბერი – Legal summary

დაკავშირებული თემები

1. განაჩენის კანონიერება, დასაბუთებულობა და სამართლიანობა (ზოგადი მიდგომები)

39. საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა

მოკლე შეჯამება

საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის პრივილეგია განსასჯელის დაცვის უაღრესად მნიშვნელოვანი გარანტიაა, რათა ბრალდებული არ აღმოჩნდეს იძულებული საკუთარი თავის მამხილებელი ჩვენება მისცეს. მოცემული პრინციპი უდანაშაულობის პრეზუმფციას ამყარებს, რომლითაც დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცების ტვირთი ბრალდებას ეკისრება *John Murray v. UK* [GC], § 49) და მოითხოვს, რომ ნებისმიერი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყდეს. "ბრალდებამ თავისი პოზიცია ისე უნდა დაასაბუთოს, რომ არ გამოიყენოს ბრალდებულისგან იძულების გზით მოპოვებული მტკიცებულებები" (*Saunders v United Kingdom*, 17 Dec. 1996, § 68). შესაბამისად, მოცემული პრინციპი ზღუდავს ბრალდების მიერ ბრალდებულის ნების წინააღმდეგ იძულებით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენების შესაძლებლობას.

საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩენების მიცემაზე უარის თქმის პრივილეგია გულისხმობს, რომ მოპასუხე არ უნდა იყოს იძულებული თვითმამხილებელი ჩვენება მისცეს (ანუ უნდა ჰქონდეს დუმილის უფლება) და

44 საინფორმაციო ბარათი No. 22, 2000 წლის სექტემბერი, მუხლი 6, გავრცელების სფერო, გვ 20
45 საინფორმაციო ბარათი No. 30, 2001 წლის მაისი, მუხლი 6, სამართლიანი სასამართლო, გვ 11

დანაშაული აღიაროს.[46]

ზოგადი პრინციპები

"თუმცა ეს ცალსახად არ არის მითითებული კონვენციის მე-6 მუხლში, დუმილის უფლება, ისევე როგორც უფლება, არ მისცე ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტს წარმოადგენს, ***რომელიც მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი პროცედურების უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს,*** *რომელიც უზრუნველყოფს ბრალდებულის დაცვას ხელისუფლების მიერ არასათანადო ზეწოლისგან, მართლმსაჯულების ხარვეზებისგან და მე-6 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობას."* (*John Murray v. UK*[GC], § 45).

აღსანიშნავია, რომ მოცემული უფლება არ ვრცელდება მხოლოდ დანაშაულის აღიარებასთან დაკავშირებულ ან თვითმამხილებელ განცხადებებზე. მოცემული უფლება ვრცელდება ნებისმიერ განცხადებაზე, რომელიც შესაძლებელია შემდგომში სისხლის სამართალწარმოების პროცესში ბრალდების პოზიციის გასამყარებლად იყოს გამოყენებული (*Aleksandr Zaichenko v. Russia*, §§ 52-60).

არსებობს სამი კატეგორიის სიტუაცია, რომლებიც ბრალდებულის ნების წინააღმდეგ მის მიერ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიეცმაზე უარის თქმის პრივილეგიის დარღვევას წარმოადგენს:

კანონით დაწესებული ჩვენების მიცემის ვალდებულება, რისი დარღვევისთვისაც სანქციებია დაწესებული (Saunders), მათ შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების ვალდებულება

ფიზიკური (*Jalloh v. Germany*(GC)*,§§ 103-123) ან ფსიქოლოგიური (*Gäfgen v. Germany* [GC]*, §§169-188) იძულება

იძულება მოტყუების გზით, ფარული საგამოძიებო მეთოდების გამოყენებით (*Allan v. United Kingdom*, §§ 45-53)

სამი ძირითადი კრიტერიუმი გამოიყენება იმის დასადგენად, დასაშვებია თუ არა მე-6 მუხლით ბრალდებულის იძულება ან მის ნებაზე ზემოქმედება: (*Jalloh v. Germany* (GC)*, § 117):

- მტკიცებულებების მისაღებად გამოყენებული იძულების ხასიათი და ხარისხი;

- საზოგადოებრივი ინტერესის დონე მოცემული დანაშაულის გამოძიებისა და დასჯისადმი;

- შესაბამისი დამცავი მექანიზმების (გარანტიების) არსებობა პროცედურასთან მიმართებით და ის, თუ რა მიზნებით იქნება გამოყენებული ასეთი გზით მოპოვებული ჩვენებები.

ზოგადად, იძულების წესით მიღებულ ჩვენებებს არ უნდა მიენიჭოს გადამწყვეტი წონა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის დროს (*Saunders v. the United Kingdom* [GC], §§ 71-76). დამატებითი არა არსებითი მტკიცებულებების დაშვება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მტკიცებულებები არასათანადო მოპყრობის შედეგადაა მიღებული, ყოველთვის არ მიიჩნევა მე-6 მუხლის დარღვევად მაშინაც კი, თუ ეს მტკიცებულებები უკანონო გზით იყო მიღებული (*Khan v. the United Kingdom,* §§ 35-37).

წამების შედეგად მიღებული მტკიცებულებები არ იქნება დასაშვები არანაირ გარემოებებში, მიუხედავად იმისა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თუ არა სასამართლო პროცესის შედეგზე გავლენის თვალსაზრისით (*Yusuf Gezer v. Turkey*, §§ 40-45).

აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის ნების წინააღმდეგ მიღებული მტკიცებულებების უარყოფის ვალდებულება ყოველთვის არ წარმოიშობა და იმ შემთხვევებში, როდესაც იძულებას და იმ მტკიცებულებას შორის, რომელზე დაყრდნობითაც პირის მსჯავრდება მოხდა, კავშირი სუსტია (*Gäfgen v. Germany* [GC]*).

თუ მსჯავრდება თანაგანსასჯელის ჩვენებაზე დაყრდნობით ხდება, რომელიც დუმილის უფლების დარღვევით იქნა მოპოვებული, ამ სხვა მოპასუხის მიმართ სამართალწარმოების პროცესი შეიძლება არ იყოს მიჩნეული

46 საერთაშორისო კონვენცია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების თაობაზე, 1966, მუხლი 14(3)(ზ); OSCE საკანონმდებლო ჟურნალი საერთაშორისო სამართლიანი სასამართლოს უფლებებზე, გვ 90 (http://www.osce.org/odihr/94214?download=true#page=90)

მე-6 მუხლის სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნასთან შესაბამისობაში.

მოწმეს შეიძლება დაეკისროს სამოქალაქო-სამართლებლივი ვალდებულება ჩვენება მისცეს მართლმსაჯულების ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით (*Serves v. France*, §§ 43-47), თუმცა, **როგორც წესი, ხელისუფლება არ უნდა მოელოდოს ბრალდებულის მხრიდან თანამშრომლობას** (*Funke v. France,* §44; *Shannon v. the United Kingdom*, §§ 32-41), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსუბუქ დანაშაულზეა საუბარი *(O'Halloran and Francis v. the United Kingdom*[GC]).

გარკვეული სახის მსუბუქი დანაშაულის შემთხვევაში საჯარო ინტერესმა შეიძლება გადაწონოს მტკიცების ტვირთის პრინციპი და შესაძლოა, ამ ტვირთის გადანაწილება სრულიად შეიცვალოს (*O'Halloran and Francis v. United Kingdom*); აღსანიშნავია, რომ ყველა შემთხვევაში ეს ასე ვერ მიიჩნევა და გარკვეულ შემთხვევებში გაუმართლებლად იქნება ჩათვლილი (*Telfner v. Austria,* §§ 15-20).

ჩვენების მიცემის იძულება (მსუბუქ დანაშაულთან დაკავშირებით) შეიძლება დაშვებული იყოს, თუ იმ სამართლებლივი ნორმის განჭვრეტადობის მოთხოვნა, რომელიც ჩვენებების მიცემას ავალდებულებს, დაცულია (*O'Halloran and Francis v. United Kingdom*).

როდესაც განსასჯელის მიერ ჩადენილი ქმედებები დაკვალიფიცირებული როგორც რამდენიმე დანაშაული, დასაშვებია მტკიცების ტვირთის შებრუნება დამატებით (მეორეხარისხოვან) დანაშაულთან მიმართებით (მაგრამ პრეზუმფცია ვერ იქნება უცილობელი), მას შემდეგ, როცა ძირითადი დანაშაულის ჩადენა დადგენილი იქნება ბრალდების მიერ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით (*Salabiaku v. France*).

არ არის არსებითი განსხვავება დაცვის დონეს შორის იმ შემთხვევებში, როდესაც იძულება კანონიდან გამომდინარეობს თუ პრაქტიკიდან, როდესაც გამოძიების იძულებითი მეთოდების გამოყენება ხდება (*O'Halloran and Francis v. United Kingdom,* § 54).

როდესაც ხელისუფლების ქმედებები ვერ იქნება კვალიფიცირებული როგორც წამება, ზეწოლა შეიძლება არ განიხილებოდეს როგორც საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის პრივილეგიის დარღვევა, თუ სამართალდამცავ სტრუქტურებს გამამართლებელი მიზეზები აქვთ და არ არის სახეზე კანონის განზრახ დარღვევა (*Jalloh v. Germany*(GC)*,§§ 103-123, *Bogumil v. Portuga,l* §§43-50).

ფიზიკური იძულება მასალების ან „რეალური" მტკიცებულებების მიღების მიზნით (თუ იგი არსებობს დამოუკიდებლად ბრალდებულის ნებისა - მაგ. სუნთქვა, შარდი, თმა და სხვა) დასაშვებია, მაგრამ ასეთი იძულება დაუშვებელია აღიარების ან დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, ასევე ნივთიერი მტკიცებულებების მიღების მიზნით ბრალდებულის ფიზიკურ ანატომიაში იძულებითი ჩარევის გზით (*Jalloh v. Germany*(GC)*,§§ 103-123).

ნივთიერი მტკიცებულებების (მაგ. ნარკოტიკების) ამოღება ეჭვმიტანილის ნების წინააღმდეგ უფრო სამედიცინო მიზნებშია დასაშვები, ვიდრე სამართალდამცავ მიზნებში (*Bogumil v. Portugal*).

მოწმის წამებით (წამების მუქარით) მიღებულ მტკიცებულებაზე მსჯავრდების დაფუძნება შეიძლება განხილულ იქნეს ბრალდებული მიმართ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევად (*Osmanagaoglu v. Turkey*, *Lutsenko v. Ukraine* §§ 44-53).

ფარული თვალთვალის ან ვიდეოჩანაწერების გზით მტკიცებულებების მიღება არ წარმოადგენს მე-6 მუხლის დარღვევას, თუ იგი მნიშვნელოვან/გადამწყვეტ როლს არ ასრულებს პირის მსჯავრდებაში (*Khan v. the United Kingdom,* §§ 35-37).

ნაწილობრივ არასწორად ჩატარებული ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები შეიძლება დასაშვები იყოს მე-6 მუხლით, თუნდაც ის გადამწყვეტ როლს ასრულებდეს პირის მსჯავრდებაში. მნიშვნელოვანი ელემენტია ამ მტკიცებულების შინაარსის ან გამოყენების გაპროტესტების უფლება (*Lee Davies v. Belgium*[1], §§ 40-54).

სახელმწიფოს წარმომადგენლების ნაცვლად, „კერძო" პირის მიერ მოტყუების გზით მოპოვებული მტკიცებულება შეიძლება გარკვეულ გარემოებებში იწვევდეს მე-6 მუხლით დადგენილი სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დარღვევას სამართალწარმოების პროცესის საერთო მიმდინარეობის გათვალისწინებით (*Shannon v. United Kingdom*, (dec)).

შესაბამისი პრეცედენტული სამართალი

Bogumil v. Portugal, no.35228/03, 2008 წლის 7 ოქტომბერი – Legal summary

Funke v. France,no.10828/84, 1993 წლის 25 თებერვალი – Legal summary

John Murray v. the United Kingdom [GC], no. 18731/91, 1996 წლის 8 თებერვალი – Legal summary

Khan v. the United Kingdom,no. 35394/97, 2000წლის 12 მაისი -Legal summary

Lee Davies v. Belgium[1]*, no. 18704/05, 2009 წლის 28 ივლისი – Legal summary*

Lutsenko v. Ukraine, no.30663/04, 2008 წლის 18 დეკემბერი – Legal summary

O'Halloran and Francis v. the United Kingdom[GC],no. 15809/02, 2007 წლის 29 ივნისი - Legal summary

Salabiaku v. France, no.10519/83, 1988წლის 7 ოქტომბერი

Saunders v. the United Kingdom, no. 19187/97, 1996 წლის 17 დეკემბერი – Legal summary

Telfner v. Austria, no.33501/96, 2001 წლის 20 მარტი – Legal summary

Yusuf Gezer v. Turkey, no. 21790/04, 2009 წლის 1 დეკემბერი – Legal summary

სხვა წყაროები:

პოლიციისთვის მიცემულ აღიარებით ჩვენებაზე დაყრდნობით მსჯავრდება, რომელიც მანამდე გაკეთდა, სანამ პირი გაფრთხილებული იყო მისი უფლებების თაობაზე; აღიარება ეჭვმიტანილის მიერ ავტოსაგზაო რეიდის დროს გაკეთდა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Aleksandr Zaichenko v. Russia, no. 39660/02, 2010 წლის 18 თებერვალი– Legal summary[1]

სასამართლო პროცესზე ზეწოლის ქვეშ მიღებული მტკიცებულებების გამოყენება (არაადამიანური მოპყრობის შედეგად გაკეთებული ჩვენება, რომელსაც არ ჰქონდა გავლენა განმცხადებლის მსჯავრდებაზე და სამართალწარმოების პროცესის სამართლიანობაზე): სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა

Gäfgen v. Germany [GC]*, no. 22978/05, 2010 წლის 1 ივნისი – Legal summary*

მტკიცებულების სახით ცელოფნის პაკეტში შეფუთული ნარკოტიკების გამოყენება, რომელიც გულის არევის მიზნით იძულებით ადმინისტრირებული მედიკამენტების გამოყენებით იყო ამოღებული: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Jalloh v. Germany(GC)*,no. 54810/00, 2006 წლის 11 ივლისი – Legal summary*

საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა - ნაფიცი მსაჯულების მიერ უარყოფითი დასკვნების გაკეთება: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Condron v. the United Kingdom, no. 35718/97, 2000 წლის 2 მაისი – Legal summary[47]

საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა - დისციპლინური წარმოების პროცესში მომზადებული დასკვნა, რომელიც იმავე ფაქტებზე სისხლის სამართალწარმოების პროცესში იყო გამოყენებული: სასამართლომ დაუშვებლად ცნო

Serves v. France, no. 20225/92, 1997 წლის 20 ოქტომბერი – Legal summary

საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა - უარყოფითი დასკვნების გაკეთება ბრალდებულის დუმილის საფუძველზე: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Averill v. the United Kingdom, no. 36408/97, 2000 წლის 6 ივნისი – Legal summary[48]

საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა – სასამართლო პროცესზე სანქციების შიშით კომპანიის

47 საინფორმაციო ბარათი No. 18, 2000 წლის მაისი, მუხლი 6. სამართლიანი სასამართლო განხილვა, გვ 14
48 საინფორმაციო ბარათი No. 19, 2000 წლის ივნისი, მუხლი 6. სამართლიანი სასამართლო განხილვა, გვ 15

შერწყმასთან დაკავშირებული საქმის გამომძიებლების წინაშე გაკეთებული განცხადების გამოყენება: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

I.J.L., G.M.R. and A.K.P. v. the United Kingdom, nos. 29522/95, 30056/96 and 30574/96, 2000 წლის 19 სექტემბერი – Legal summary

საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა – მსჯავრდება პოლიციის მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემაზე უარის გამო: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Heaney and McGuinness v. Ireland, no. 34720/97, 2000 წლის 21 დეკემბერი – Legal summary

Quinn v. Ireland, no. 36887/97, 2000 წლის 21 დეკემბერი – Legal summary[49]

საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა – ეჭვმიტანილის საკანში ჩანერგილი პოლიციის ინფორმატორის მიერ პირისგან აღიარების გამოძალვა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Allan v. the United Kingdom, no. 48539/99, 2002 წლის 5 ნოემბერი –Legal summary

თვითმამხილებელი განცხადებები, რომლებიც სავარაუდოდ ისეთ პირობებში დაკავების დროს იყო გაკეთებული, რომლებიც ფსიქოლოგიური ზეწოლის და იძულების ტოლფასია: სასამართლომ დაუშვებლად ცნო

Latimer v. the United Kingdom(dec.), no. 12141/04, 2005 წლის 31 მაისი – Legal summary

საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა: ფინანსური დანაშაულის გამომძიებლების შეკითხვებზე პასუხის გაცემის მოთხოვნა, რაც შეიძლება სისხლის სამართალწარმოების დაწყების მიზნით ყოფილიყო გამოყენებული: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Shannon v. the United Kingdom, no. 6563/03, 2005 წლის 4 ოქტომბერი – Legal summary

საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა: საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის წინაშე ჩვენების მიცემის ვალდებულება: სასამართლომ დაუშვებლად ცნო

Van Vondel v. The Netherlands (dec.), no. 38258/03, 2006 წლის 23 მარტი – Legal summary

მოწმის ჩვენებაზე დაყრდნობით მსჯავრდება, რომელიც თვითმამხილებელი ჩვენების მიცემისგან დაცვის გარანტიას ეყრდნობოდა: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Luca v. Italy, no. 33354/96, 2001 წლის 27 თებერვალი – Legal summary[50]

ნაფიცი მსაჯულების მიერ უარყოფითი დასკვნების გაკეთება ბრალდებულის მიერ პოლიციის შეკითხვებზე პასუხის გაუცემლობის საფუძველზე: სასამართლომ დაადგინა დარღვევა

Beckles v. the United Kingdom, no. 44652/98, 2002 წლის 8 ოქტომბერი – Legal summary

დაკავშირებული თემები

7. აღიარება როგორც მტკიცებულება / 8.ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენების გამოყენების წესი

9. დუმილის უფლება

16. მტკიცებულების დასაშვებობა

36. მტკიცების ტვირთი

---

49 საინფორმაციო ბარათი No. 25, 2000 წლის დეკემბერი, მუხლი 6. სამართლიანი სასამართლო განხილვა, გვ 15

50 საინფორმაციო ბარათი No. 27, 2001 წლის თებერვალი, მოწმის დაკითხვა, გვ 18

გამოყენებული წყაროები

ადამიანის უფლებები და სისხლის სამართალწარმოება - ჯერემი მაკბრაიდი, ევროსაბჭოს გამომცემლობა, 2009

http://www.coe.int/t/dghl/cooperation/capacitybuilding/Source/documentation/Echr_and_crim_procedure.pdf

სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით – სახელმძღვანელოები ადამიანის უფლებათა საკითხებზე, დოვიდას ვიტკაუსკასი, გრეგორი დიკოვი, ევროსაბჭო, 2012

https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168007ff57

მე-6 მუხლის განმარტებები - სამართლიანი სასამართლოს უფლება (სისხლის სამართალწარმოება) – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო/ევროსაბჭო, 2014

http://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_6_criminal_ENG.pdf

საკანონმდებლო მაცნე საერთაშორისო სამართლიანი სასამართლოს უფლებების თაობაზე, OSCE/ODIHR, 2012

http://www.osce.org/odihr/94214?download=true

პრეცედენტული სამართლის საინფორმაციო ბარათები, ECHR

(http://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=echrpublications/other&c=#n1347528850996_pointer)

პრეცედენტების მონაცემთა ბაზა, ECHR

http://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=home&c=

ვენეციის კომისიის ვებ-გვერდი

http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2014)030-e

OSCE/ODIHR საქართველოში სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიში (12/2014)

http://www.osce.org/odihr/130676?download=true

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია - ბერნადეტ რაინი, ელიზაბეთ ვიქსი, რობინ ს.ა. უაითი, Oxford University Press, 2014

სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისთვის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თაობაზე - კარენ რეიდი, მე-4 გამოცემა, Sweet and Maxwell, 2012

სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ჩამონათვალი

სასამართლო თავის გადაწყვეტილებებსა და განაჩენებს ორ ოფიციალურ ენაზე - ინგლისურ და/ან ფრანგულ ენებზე ამზადებს. ანგარიშში ასახული საქმეების ბმულები დაკავშირებულია გადაწყვეტილების ან განაჩენის ტექსტთან, რომელიც გამოქვეყნებულია HUDOC-ის მონაცემთა ბაზაზე და სასამართლოს ვებ-გვერდზე (www.echr.coe.int).

მუქ ფონზე მოცემული გადაწყვეტილებები და განჩინებები ქართულ ენაზეა ნათარგმნი.

A

A.E.D.L.G. v. Spain (dec.), no. 40180/98, 1998 წლის 15 დეკემბერი

A.L. v. Finland, no. 23220/04, 2009 წლის 27 იანვარი

A.M. v. Italy, no. 37019/97, 1999 წლის 14 დეკემბერი

Accardi and Others v. Italy(dec.), no. 30598/02, 2005 წლის 20 იანვარი

Adamkiewicz v. Poland, no. 54729/00, 2010 წლის 2 მარტი

Agnelet v. France, no. 61198/08, 2013 წლის 10 იანვარი

Ajdarić v. Croatia, no. 20883/09, 2011 წლის 13 დეკემბერი

Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom[GC], no. 26766/05, 2011 წლის 15 დეკემბერი - ნათარგმნია ქართულად

Allan v. the United Kingdom, no. 48539/99,2002 წლის 5 ნოემბერი

Antică and "R" Company v. Romania, no. 26732/03, 2010 წლის 2 მარტი

Sigurthor Arnarsson v. Iceland, no. 44671/98, 2003 წლის 15 ივლისი

Asch v. Austria, no. 12398/86, 1991 წლის 26 აპრილი

Association 21 December 1989 and Others v. Romania, 33810/07, 2011 წლის 24 მაისი

Averill v. the United Kingdom, no. 36408/97, 2000 წლის 6 ივნისი

Aydin v. Turkey (dec.), no. 41954/98, 2000 წლის 14 სექტემბერი

B

Babar Ahmad and Others v United Kingdom (dec.), nos. 24027/07, 11949/08 და 36742/08, 2010 წლის 6 ივლისი

Bacanu and SC R S.A. v. Romania, no. 4411/04, 2009 წლის 3 მარტი

Bäckström and Andersson v. Sweden (dec.), no. 67930/01, 2006 წლის 5 სექტემბერი

Balsyte-Lideikiene v. Lithuania, no. 72596/01, 2008 წლის 4 ნოემბერი

Bannikova v. Russia, no. 18757/06, 2010 წლის 4 ნოემბერი

Barberà, Messegué and Jabardo v. Spain, no. 10590/83, 1988 წლის 6 დეკემბერი

Beckles v. the United Kingdom, no. 44652/98, 2002 წლის 8 ოქტომბერი

*Běleš and others v. Czech Republic, no. 47273/99, 2002*წლის *12* ნოემბერი

Bernard v. France, no. 22885/93, 1998 წლის *23* აპრილი

Birutis and Others v. Lithuania, nos. 47698/99 და *48115/99, 2002* წლის *28* მარტი

Block v. Hungary, no. 56282/09, 2011 წლის *25* იანვარი

Blumberga v. Latvia, no. 70930/01, 2008 წლის *14* ოქტომბერი

*Bobek v. Poland, no. 68761/01, 2007*წლის *17* ივლისი

Bocos-Cuesta v. the Netherlands, no.54789/00, 2005 წლის *10* ნოემბერი

Bogumil v. Portugal, no.35228/03, 2008 წლის *7* ოქტომბერი

Boldea v. Romania, no. 19997/02, 2007 წლის *15* თებერვალი

*Bönisch v. Austria,8658/79, 1985*წლის *6* მაისი

Botmeh and Alami v. the United kingdom, no. 15187/03, 2007 წლის *7* ივნისი

Brandstetter v. Austria, no. 13468/87, 1991 წლის *28* აგვისტო

Brennan v. the United Kingdom, no. 39846/98, 2001 წლის *16* ოქტომბერი

Breukhoven v. the Czech Republic, no. 44438/06, 2011 წლის *21* ივლისი

Bricmont v. Belgium, no. 10857/84, 1989 წლის *7* ივლისი

Brusco v. France,no. 1466/07, 2010 წლის *14* ოქტომბერი

Bufferne v. France(dec.), no.54367/00, 2002 წლის *26* თებერვალი, ქართული თარგმანი

Bujniţa v. Moldova, no. 36492/02, 2007 წლის *16* იანვარი

Bulut v. Austria, no. 17358/90, 1996 წლის *22* თებერვალი

Burg and others v. France (dec.), no. 34763/02, 2003 წლის *28* იანვარი

Bykov v. Russia[GC], no. 4378/02, 2009 წლის *10* მარტი

C

Orhan Çaçan v. Turkey, no. 26437/04, 2010 წლის *23* მარტი

C.R.R Scheper v. The Netherlands (dec.), no. 39209/02, 2005 წლის *5* აპრილი

Calabrò v. Italy and Germany (dec.), 59895/00, 2002 წლის *21* მარტი

Camilleri v. Malta (dec.), no. 51760/99, 2000 წლის *16* მარტი

Capeau v. Belgium, no. 42914/98, 2005 წლის *13* იანვარი

Chalkley v. the United Kingdom (dec.), no. 63831/00, 2002 წლის *26* სექტემბერი

Chesne v. France, no. 29808/06, 2010 წლის *22* აპრილი

Clunis v. UK (dec.), no. 45049/98, 2001 წლის *11* სექტემბერი

Coëme and Others v. Belgium, no. 32492/96, 2000 წლის *22* ივნისი

Condron v. the United Kingdom, no. 35718/97, 2000 წლის *2* მაისი

Adrian Constantin v. Romania, no. 21175/03, 2011 წლის *12* აპრილი

Constantinescu v. Romania, no.28871/95, 2000 წლის 27 ივნისი

Cornelis v. the Netherlands (dec.),no. 994/03, 2004 წლის 25 მაისი

Cortina de Alcocer and de Alcocer Torra v. Spain (dec.), no. 33912/08, 2010 წლის 25 მაისი

Craxi v. Italy, no 34896/97, 2002 წლის 5 დეკემბერი

Csikós v. Hungary, no. 37251/04, 2006 წლის 5 დეკემბერი

D

D. v. Finland, no.30542/04, 2009 წლის 7 ივლისი

Dallos v. Hungary, no. 29082/95, 2001 წლის 1 მარტი

Dănilă v. Romania, *no.53897/00, 2007 წლის 8 მარტი*

Davydov and Others v. Ukraine, no. 17674/02, 2010 წლის 1 ივლისი, ქართული თარგმანი

De Moor v. Belgium, no. 16997/90, 1994 წლის 23 ივნისი

De Salvador Torres v. Spain, no. 21525/93, 1996 წლის 24 ოქტომბერი

Del Latte v. the Netherlands, no. 44760/98, 2004 წლის 9 ნოემბერი

Delta v. France, *no. 44760/98, 2004 წლის 9 ნოემბერი*

Destrehem v. France, no. *56651/00, 2004 წლის 18 მაისი*

Diamantides v. Greece (no. 2), no.71563/01, 2005 წლის 19 მაისი

Dimitrova and Others v. Bulgaria, no.44862/04, 2011 წლის 27 იანვარი

Dombo Beheer B.V. v. the Netherlands, no. 14448/88, 1993 წლის 27 ოქტომბერი

Dončev and Burgov v. "The Former Yugoslav Republic of Macedonia",30265/09, 2014 წლის 12 ივნისი

Donohoe v. Ireland, no. 19165/08, 2013 წლის 12 დეკემბერი

Doorson v. The Netherlands, no. 20524/92, 1996 წლის 26 მარტი

Dorokhov v. Russia, no.66802/01, 2008 წლის 14 თებერვალი

Driemond Bouw BV v. the Netherlands (dec.), no. 31908/96, 1999წლის 2 თებერვალი

Dulaurans v. France, no. 34553/97, 2000 წლის 21 მარტი

Dunayev v. Russia, no. 70142/01, 2007 წლის 24 მაისი

Dzelili v. Germany, no.15065/05, 2009 წლის 29 სექტემბერი

E

E.K. v. Turkey, no. 28496/95, 2002 წლის 7 თებერვალი

Edwards v. the United Kingdom, no. 13071/87, 1992 წლის 16 დეკემბერი

Sara Lind Eggertsdóttir v. Iceland, no. 1930/04, 2007წლის 5 ივლისი

Ekbatani v. Sweden, no.10563/83, 1988 წლის 26 მაისი

El Haski v. Belgium, no. 649/08, 2012 წლის 25 სექტემბერი

El Masri v. "the former Yugoslav Republic of Macedonia" [GC], no. 39630/09, 2012 წლის 13 დეკემბერი, ქართული თარგმანი

Erkapić v. Croatia, no. 51198/08, 2013წლის 25 აპრილი

Vilho Eskelinen and Others v. Finland[GC], 63235/00, 2007 წლის 19 აპრილი, ქართული თარგმანი

F

Fatullayev v. Azerbaijan, no. 40984/07, 2010 წლის 22 აპრილი

Ferrantelli and Santangelo v. Italy, no. 19874/92, 1996 წლის 7 აგვისტო

Findlay v. United Kingdom, no. 22107/93, 1997 წლის 25 თებერვალი

Fitt v. the United Kingdom [GC] no.29777/96, 2000 წლის 16 თებერვალი

Foucher v. France, no.22209/93, 1997 წლის 18 მარტი

Funke v. France, no. 10828/84, 1993 წლის 25 თებრვალი

G

G.B. v. France, no. 44069/98, 2001წლის 2 ოქტომბერი

G.L. v. Italy (dec.), no. 15384/89, 1994 წლის 9 მაისი

Gabrielyan v. Armenia, no.8088/05, 2012 წლის 10 აპრილი

Gäfgen v. Germany [GC], *no. 22978/05, 2010 წლის 1 ივნისი, ქართული თარგმანი*

Gani v. Spain, no. 61800/08, 2013 წლის 19 თებერვალი

Garcia Ruiz v. Spain, no. 30544/96, 1999 წლის 21 იანვარი

Geerings v. the Netherlands,no.30810/03, 2007 წლის 1 მარტი

Georgiadis v. Greece, no. 21552/93, 1997 წლის 29 მაისი

Yusuf Gezer v. Turkey, no. 21790/04, 2009 წლის 1 დეკემბერი

Göçmen v. Turkey, no. 72000/01, 2006 წლის 17 ოქტომბერი, ქართული თარგმანი

Gorou v. Greece (No. 2), no. 12686/03, 2009 წლის 20 მარტი

Gossa v. Poland, no. 47986/99, 2007 წლის 9 იანვარი

Grădinar v. Moldova, no. 7170/02, 2008 წლის 8 აპრილი

Graviano v. Italy,no. 10075/02, 2005 წლის 10 თებერვალი

Grayson and Barnham v. the United Kingdom, 19955/05 and 15085/06, 2008 წლის 23 სექტემბერი

Gregačević c. Croatia, no. 58331/09, 2012 წლის 10 ივლისი

Grice v. United Kingdom (dec.), no. 22564/93, 1994 წლის 14 აპრილი

Hulki Guneş v. Turkey, no. 28490/95, 2003 წლის 19 ივნისი

H

Haas v. Germany(dec.), no. 73047/01, 2005 წლის 17 ნოემბერი

Hadjianastassiou v. Greece, no. 12945/87, 1992 წლის 16 დეკემბერი

Hajiyev v. Azerbaijan, no. 5548/03, 2006 წლის 16 ნოემბერი

Hammern v. Norway, no. 30287/96, 2003 წლის 11 თებერვალი

Hansen v. Norway, no. 15319/09, 2014 წლის 2 ოქტომბერი

Hanu v. Romania, no.10890/04, 2013 წლის 4 ივნისი

Harutyunyan v. Armenia, no. 36549/03, 2007 წლის 28 ივნისი, ქართული თარგმანი

Hassan v. The United Kingdom[GC], no. 29750/09, 2014 წლის 16 სექტემბერი

Hauschildt v. Denmark, no. 10486/83, 1986 წლის 9 ოქტომბერი

Haxhia v. Albania, no. 29861/03, 2013 წლის 8 ოქტომბერი

Heaney and McGuinness v. Ireland, no. 34720/97, 2000 წლის 21 დეკემბერი

Heglas v. the Czech Republic, no. 5935/02, 2007 წლის 1 მარტი

Hiro Balani v. Spain, no. 18064/91, 1994 წლის 9 დეკემბერი

Horncastle and Others v. United Kingdom, no. 4184/10, 2014 წლის 16 დეკემბერი

Hirvisaari v. Finland, no. 49684/99, 2001 წლის 27 სექტემბერი

Hümmer v. Germany, no.26171/07, 2012 წლის 19 ივლისი

Huseyn and Others v. Azerbaijan, no.35485/05, 2011 წლის 26 ივლისი

I

I.H. and Others v. Austria, no. 42780/98, 2006 წლის 20 აპრილი

I.J.L., G.M.R. and A.K.P. v. the United Kingdom, nos. 29522/95, 30056/96 and 30574/96, 2000 წლის 19 სექტემბერი

Isgró v. Italy, no. 11339/85, 1991 წლის 19 თებერვალი

J

Jalloh v. Germany [GC], no. 54810/00, 2006 წლის 11 ივლისი, ქართული თარგმანი

Jannatov v. Azerbaijan, no. 32132/07, 2014 წლის 31 ივლისი

Janosevic v. Sweden, no. 34619/97, 2002 წლის 23 ივლისი

Juha Nuuttinen v. Finland, no. 45830/99, 2007 წლის 24 აპრილი

Jussila v. Finland, no 73053/01, 2006 წლის 23 ნოემბერი

K

Karpenko v. Russia, no.5605/04, 2012 წლის 13 მარტი

Kasparov and others v. Russia, no. 21613/07, 2013 წლის 3 ოქტომბერი

Kaste and Mathisen v. Norway, nos.18885/04 და 21166/04, 2006 წლის 9 ნოემბერი

Khamidov v. Russia, no.72118/01, 2007წლის 15 ნოემბერი

Khan v. the United Kingdom,no. 35394/97, 2000 წლის 12 მაისი

Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, nos. 11082/06 and 13772/05, 2013 წლის 25 ივლისი

Khudobin v. Russia, 59696/00, 2006 წლის 26 ოქტომბერი, ქართული თარგმანი

Klimentyev v. Russia, no. 46503/99, 2006 წლის 16 ნოემბერი

Klouvi v. France, no. 30754/03, 2011 წლის 30 ივნისი

Kok v. the Netherlands (dec.), no.43149/98, 2000 წლის 4 ივლისი

Kostovski v. the Netherlands, no.11454/85, 1989 წლის 20 ნოემბერი

Krasniki v. the Czech Republic, no.51277/99, 2006 წლის 28 თებერვალი, ქართული თარგმანი

Krcmar and Others v. Czech Republic, no. 35376/97, 2000 წლის 3 მარტი

Kuopila v. Finland, 27752/95, 2000 წლის 27 აპრილი

Kuznetsov and others v. Russia, no. 184/02, 2007 წლის 11 იანვარი

L

L'v A.S.B.L. v. Belgium, no. 49230/07, 2009 წლის 24 თებერვალი, ქართული თარგმანი

Lacadena Calero v. Spain, no.23002/07, 2011 წლის 22 ნოემბერი

Laska and Lika v. Albania, no.12315/04, 2010 წლის 20 აპრილი

Latimer v. the United Kingdom(dec.), no. 12141/04, 2005 წლის 31 მაისი

Lavents v. Latvia, no. 58442/00, 2002 წლის 28 ნოემბერი

Lavrechov v. the Czech Republic, no. 57404/08, 2013 წლის 29 ივნისი, ქართული თარგმანი

Lee Davies v. Belgium, no. 18704/05 2009 წლის 28 ივლისი

Lisica v. Croatia, no. 20100/06, 2010 წლის 25 თებერვალი

Luca v. Italy, no.33354/96, 2001 წლის 27 თებერვალი

Lüdi v. Switzerland, no. 12433/86, 1992 წლის 15 ივნისი

Lundkvist v. Sweden (dec.), no. 48518/99, 2003 წლის 13 ნოემბერი

Lutsenko v. Ukraine, no.30663/04, 2008 წლის 18 დეკემბერი

M

Magnusson v. Sweden (dec.), no. 53972/00, 2003 წლის 16 დეკემბერი

Marini v. Albania, no. 3738/02, 2007 წლის 18 დეკემბერი

Mattei v. France, no. 34043/02, 2006 წლის 19 დეკემბერი

Mattoccia v. Italy, no. 23969/94, 2000 წლის 25 ივლისი

Matyjek v. Poland, no. 38184/03, 2007 წლის 24 აპრილი

McKerr v. the United Kingdom (dec.), no. 28883/95, 2000 წლის 4 აპრილი

Melich and Beck v. the Czech Republic, no. 35450/04, 2008 წლის 24 ივლისი

Mercümek v. Turkey (dec.), no. 36591/97, 2000 წლის 5 დეკემბერი

Mika v. Sweden (dec.), no. 31243/06, 2009 წლის 27 იანვარი

Miliniene v. Lithuania, no. 74355/01, 2008 წლის 24 ივნისი

Miraux v. France, no. 73529/01, 2006 წლის 26 სექტემბერი

Mirilashvili v. Russia, no. 6293/04, 2008 წლის 11 დეკემბერი

Jenita Mocanu v. Romania, no. 11770/08, 2013 წლის 17 დეკემბერი

John Murray v. the United Kingdom[GC], no. 18731/91, 1996 წლის 8 თებერვალი

N

Natsvlishvili and Togonidze v. Georgia, no. 9043/05, 2014 წლის 29 აპრილი

Navone and Others v. Monaco, no. 62880/11, 2013 წლის 24 ოქტომბერი

Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey [GC], no. 13279/05, 20 ოქტომბერი

Nelson v. United Kingdom (dec.), no. 11077/84, 1986 წლის 13 ოქტომბერი

O

O. v. Norway, no. 29327/98, 2003 წლის 11 თებერვალი

O'Halloran and Francis v. the United Kingdom [GC], 15809/02 და 25624/02, 2007 წლის 29 ივნისი*

Osmanagaoglu v. Turkey,no. 12769/02, 2009 წლის 21 ივლისი

Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom, no. 8139/09, 2012 წლის 17 იანვარი, ქართული თარგმანი

Oyston v. the United Kingdom (dec.), no. 42011/98, 2002 წლის 22 იანვარი

P

P.G. and J.H. v. the United Kingdom, no. 44787/98, 2001 წლის 25 სექტემბერი

P.S. v. Germany, no. 33900/96, 2001 წლის 20 თებერვალი

Papadakis v The Former Yugoslav Republic of Macedonia, no. 50254/07, 2013 წლის 26 თებერვალი

Georgios Papageorgiou v. Greece, no. 59506/99, 2003 წლის 9 მაისი

Papon v. France (dec.), no. 54210/00, 2001 წლის 15 ნოემბერი

Parris v. Cyprus (dec.), no. 56354/00, 2002 წლის 4 ივლისი

Partington v.United Kingdom (dec.), no. 58853/00, 2003 წლის 26 ივნისი

Patsuria v. Georgia, no. 30779/04, 2007 წლის 6 ნოემბერი, ქართული თარგმანი

Peck v. The United Kingdom, no. 44647/98, 2003 წლის 28 იანვარი

Pelissier and Sassi v. France, no. 25444/94, 1999 წლის 25 მარტი

Pello v. Estonia, no.11423/03, წლის 12 აპრილი

Perić v. Croatia, no. 34499/06, 2008 წლის 27 მარტი

Perna v. Italy [GC], no. 48898/99, 2003 წლის 6 მაისი

Perry v. the United Kingdom (dec.), no. 63737/00, 2002 წლის 26 სექტემბერი, ქართული თარგმანი

Pishchalnikov v. Russia, no. 7025/04, 2009 წლის 24 სექტემბერი

Platakou v. Greece, no. 38460/97, 2001 წლის 11 იანვარი

Polyakov v. Russia, no.77018/01, 2014 წლის 29 იანვარი

Poncelet v. Belgium, no. 44418/07, 2010 წლის 30 მარტი

Popov v. Russia, no. 26853/04, 2006 წლის 13 ივლისი

Pronina v. Ukraine, no. 63566/00, 2006 წლის 18 ივლისი

Puig Panella v. Spain, no. 1483/02, 2006 წლის 25 აპრილი

Q

Quadrelli v. Italy, no. 28168/95, 2000 წლის 11 იანვარი

Quinn v. Ireland, no. 36887/97, 2000 წლის 21 დეკემბერი

R

Ramanauskas v. Lithuania [GC], no. 74420/01, 2008 წლის 5 თებერვალი

Riha v. France (dec.), no. 71443/01, 2004 წლის 24 ივნისი

Ringvold v. Norway, no. 34964/97, 2003 წლის 11 თებერვალი

Vladimir Romanov v. Russia, no.41461/02, 2008 წლის 24 ივლისი

Rowe and Davis v. the United Kingdom [GC], no. 28901/95, 2000 წლის 16 თებერვალი

Rudnichenko v. Ukraine, no. 2775/07, 2013 წლის 11 ივლისი

Ruiz Torija v Spain,no. 18390/91, 1994 წლის 9 დეკემბერი

Rushiti v. Austria, no. 28389/95, 2000 წლის 21 მარტი

S

S. v. Germany (dec.), no. 8945/80, 1983 წლის 13 დეკემბერი

S.C. IMH Suceava s.r.l. v. Romania, no.24935/04, 2013 წლის 29 ოქტომბერი

S.E. v. Italy (dec.), no.36686/97, 1999 წლის 12 იანვარი

S.N. v. Sweden, no.77018/01, 2009 წლის 29 იანვარი, ქართული თარგმანი

Sadak and Others v. Turkey(No. 1), 29900/96, 29901/96, 29902/96 და 29903/96, 2001 წლის 17 ივლისი

Salabiaku v. France, no.10519/83, 1988 წლის 7 ოქტომბერი

Salduz v. Turkey[GC], no. 36391/02, 2008 წლის 27 ნოემბერი, ქართული თარგმანი

Salman v. Turkey, no. 21986/93, 2000 წლის 27 ივნისი

Salov v. Ukraine, no. 65518/01, 2005 წლის 6 სექტემბერი, ქართული თარგმანი

Sapunarescu v. Germany (dec.), no. 22007/03, 2006 წლის 1 სექტემბერი

Saunders v. the United Kingdom [GC], no. 19187/91, 1996 წლის 17 დეკემბერი

Sawoniuk v. United Kingdom (dec.), no. 63716/00, 2001 წლის 29 მაისი

Schenk v. Switzerland, no. 10862/84, 1988 წლის 12 ივლისი

Schlumpf v. Switzerland, no. 29002/06, 2009 წლის 8 იანვარი

Sekanina v. Austria, no. 13126/87, 1993 წლის 25 აგვისტო

Sepil v. Turkey, no. 17711/07, 2013 წლის 12 ნოემბერი

Serves v. France, no. 20225/92, 1997 წლის 20 ოქტომბერი

Shabelnik v. Ukraine,no.16404/03, 2009 წლის 19 თებერვალი

Shannon v. the United Kingdom, no. 6563/03, 2005 წლის 4 ოქტომბერი

Damir Sibgatullin v. Russia,no.1413/05, 2014 წლის 28 მაისი

Singh v. United Kingdom, no. 23389/94, 1996 წლის 21 თებერვალი

Sipavičius v. Lithuania, no. 49093/99, 2002წლის 21 თებერვალი

Sofri and Others v. Italy (dec.), no. 37235/97, 2003 წლის 27 მაისი

Solakov v. "the former Yugoslav Republic of Macedonia", no. 47023/99, 2001 წლის 31 ოქტომბერი

Stafford v. United Kingdom [GC], no. 46295/99, 2002 წლის 28 მაისი

Stojkovic v. France and Belgium, no. 25303/08, 2011 წლის 27 ოქტომბერი

Suominen v. Finland, no. 37801/97, 2003 წლის 1 ივლისი

Szypusz v. The United Kingdom, no. 8400/07, 2010 წლის 21 სექტემბერი

T

T. v the United Kingdom, 24724/94, 1999 წლის 16 დეკემბერი

Tarău v. Romania, no.3584/02, 2009 წლის 24 თებერვალი

Tatishvili v. Russia, no. 1509/02, 2007 წლის 22 თებერვალი, ქართული თარგმანი

Taxquet v. Belgium [GC], no. 926/05, 2010 წლის 16 ნოემბერი, ქართული თარგმანი

Teixeira de Castro v. Portugal, no. 25829/94, 1998წლის 9 ივნისი

Telfner v. Austria, no.33501/96, 2001 წლის 20 მარტი

Thomas v. United Kingdom (dec.), no. 9354/02, 2005 წლის 10 მაისი

Topic v. Croatia, no. 51355/10, 2013 წლის 10 ოქტომბერი

Trofimov v. Russia, no.1111/02, 2008 წლის 4 დეკემბერი

Turquin v. France (dec.), no. 43467/98, 2002 წლის 24 იანვარი, ქართული თარგმანი

U

Ubach Mortes v. Andorra (dec.), no.46253/99, 2000 წლის 4 მაისი

V

V.D. v. Romania, no. 7078/02, 2010 წლის 16 თებერვალი

Van de Hurk v. the Netherlands, no. 16034/90, 1994 წლის 19 აპრილი

Van Mechelen and Others v. The Netherlands, nos. 21363/93, 21364/93, 21427/93 და 2056/93, 1997 წლის 23 აპრილი

Van Vondel v. The Netherlands (dec.), no. 38258/03, 2006 წლის 23 მარტი

Varela Geis v. Spain,no.61005/09, 2013 წლის 5 მარტი

Vassilios Stavropoulos v. Greece, no. 35522/04, 2007 წლის 27 სექტემბერი

Vaturi v. France, no. 75699/01, 2006 წლის 13 აპრილი

Verdam v. The Netherlands (dec.), no. 35253/97, 1999წლის 31 ავგისტო

Vidal v. Belgium, no.12351/86 , 1992 წლის 22 აპრილი

Vidgen v. the Netherlands, no. 29353/06, 2012 წლის 10 ივლისი

Vilborg Yrsa Sigurðardóttir v. Iceland, no. 32451/96, 2000წლის 30 მაისი

Vinter and others v. United Kingdom [GC], nos. 66069/09, 130/10 და3896/10, 2013 წლის 9 ივლისი, ქართული თარგმანი

Visser v.The Netherlands, no. 26668/95, 2002 წლის 14 თებერვალი, ქართული თარგმანი

W

W.S. v. Poland, no.21508/02, 2007 წლის 19 ივნისი

Wagner and j.m.w.l. v. Luxembourg, no. 76240/01, 2007 წლის 28 ივნისი

Weeks v. United Kingdom, no. 9787/82, 1987 წლის 2 მარტი

Wierzbicki v. Poland, no. 24541/94, 2002 წლის 8 ივნისი

Worwa v. Poland, no. 26624/95, 2003 წლის 27 ნოემბერი

X Y Z

X and Y v. the Federal Republic of Germany(dec.), no. 8744/79, 1983 წლის 2 მარტი

X v. the Netherlands, no. 8239/78, 1978 წლის 4 დეკემბერი

Yaremenko v. Ukraine, no. 32092/02, 2008 წლის 12 ივნისი

Aleksandr Zaichenko v. Russia, no. 39660/02, 2010 წლის 18 თებერვალი

Zhelezov v. Russia (dec.), no. 48040/99, 2002 წლის 23 აპრილი

Sergey Zolotukhin v. Russia [GC], no. 14939/03, 2009 წლის 10 თებერვალი, ქართული თარგმანი

Zhupnik v. Ukraine, no. 20792/05, 2010 წლის 9 დეკემბერი